ჰუმანური განვითარების აკადემია

პ ა ლ ა დ ი უ მ ი

თამაზ ბუთხუზი

სულთა ერთობა

უდკ (UDC) 1+17
ბ-9 58

ISBN 978-9941-6494-0

თუ თქვენთვის ადამიანი საშუალებაა და არა მიზანი

თუ თქვენ ქვეყნის მომავალი არ გაფიქრებთ

თუ თქვენ შვილების ღალატის გარდა აღარაფერი შეგიძლიათ

თუ თქვენ დანაშაულამდე მხოლოდ იმიტომ არ მისულხართ, რომ არც შემთხვევა გქონდათ და არც გამბედაობა გეყოთ

თუ თქვენ იჯერებთ მხოლოდ იმას, რაც თქვენთვის სასურველია

თუ თქვენ ზნეობაში პატიოსნების გარდა რაციონალიზმს ვერ ხედავთ

თუ თქვენთვის არსებობს სამშობლო სამშობლოს გარდა,

მაშინ თქვენ ეს ნაშრომი არ დაგაინტერესებთ. შესაბამისად, არ გვაინტერესებს თქვენი შეხედულება. ამ ეტაპზე ჩვენ შორის დისკუსია უსაფუძვლოა.

ფსევდოეროვნული იდეის გადასვლამ ჩვენი ქვეყნის გეგმაზომიერ განადგურებაში,
კრიმინალთა გაბატონებამ,
ძველი აზროვნებით ახალი ცხოვრების წესის ჩამოყალიბების ცინიკურმა მცდელობამ,
„მოდერნისტული" აზროვნების ძალადობრივად დანერგვის მცდელობით მიღებულმა სადო-მაზოხისტურმა სისტემამ,
ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვამ,
მეცნიერების, ეკონომიკის, წარმოების განადგურებამ,
ჩვენი ქვეყნიდან ადამიანური რესურსის, ენერგიის, ინტელექტის გადინებამ სხვა ქვეყნების საკეთილდღეოდ,
მხოლოდ ოცნებებით ქვეყნის განვითარების მცდელობამ დაგვარწმუნა, რომ
ჩვენ, როგორც სოციუმს, რაღაც მნიშვნელოვანი, ძალიან მნიშვნელოვანი გვაკლია.
და სანამ არ დავფიქრდებით, ვერ მივხდებით რა გვაკლია, იქამდე უბედურების წინაშე პირისპირ მარტო დავრჩებით.
დავფიქრდეთ
თუ ქვეყნის საზღვარი თანდათან გიახლოვდება, საკუთარი სახლიდან გასახლებენ და ღია ცის ქვეშ ცხოვრება შეგიძლია, გადარჩები.
თუ შენს სახლს ცეცხლი უკიდია და ხანძრის ჩაქრობა ერთი ქვაბი წყლით შეგიძლია, გადარჩები.
თუ კვირაში ერთხელ საკვების მიღებით არსებობა შეგიძლია, გადარჩები.
თუ ფილტვების ანთება დაგემართა და კარგი შელოცვა იცი, გადარჩები.
თუ შენი შვილების ნარკომანიისგან, ძალმომრეობისგან,... დაცვა მარტოს შეგიძლია, გადარჩები.
თუ წინასაარჩევნო დანაპირები არ შეგისრულეს და დეპრესიიდან როგორმე გამოძვერი, გადარჩები.
და გადარჩენილები, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მივხვდეთ, რომ ძვირდება ყველაფერი, უფასურდება მხოლოდ ადამიანის სიცოცხლე, ჩლუნგდება გონება, ირღვევა ადამიანთა შორის ურთიერთობა, მოვალეობა, პასუხისმგებლობა,...

ჩვენ ვცხოვრობთ სოციუმში, რომელიც დღითი დღე ყოველმხრივ დეგრადირებას განიცდის.

სოციუმი მტაცებელი, სისხლიანი მორალისტებით გაივსო.

როდის მივხვდებით, რომ ჩვენს ინტელექტს რაღაც აკლია და ეს რაღაც ინტელექტია.

როდის მივხვდებით, რომ ჩვენს სახელმწიფოს რაღაც აკლია და ეს რაღაც სახელმწიფოა.

როდის მივხვდებით, რომ ჩვენი სახელმწიფო, სახელმწიფო კი არა, სასტიკი ხორცსაკეპი მექანიზმია, რომელსაც ქონდრისკაცები მართავენ.

სწორედ ამ მექანიზმით იქმნება ის სოციუმი, რომელიც ყველაფერს ითმენს, ოცნებობს ადამიანის ღირსების საკარის ცხოვრებაზე, რასაც ვერასდროს ეღირსება.

სწორედ ესაა ის სოციუმი, რომლის ელიტას ქონში გახვეული შურით შურს მათი, ვინც მასზე მეტი მოიპარა, მეტი მოკლა, ვინც უკეთესი მანქანა, სახლი, ქონება კრიმინალით იშოვა.

როდის მივხვდებით, რომ სახელმწიფო კი არ ქმნის საზოგადოებას, არამედ საზოგადოება — სახელმწიფოს.

როდის მივხვდებით, რომ საზოგადოების აშენება მხოლოდ ეთიკის საფუძველზეა შესაძლებელი.

როდის მივხვდებით, რომ ამაღლებული ეთიკის დამკვიდრება მხოლოდ უმაღლეს ფასეულობებზე შეთანხმებით, კონგენიალობით შეიძლება.

ეს ნაშრომი ეხება კონგენიალთა სისტემის ფორმირებას, რომელსაც ხელეწიფება უმაღლეს ფასეულობებში გარკვევა და ამ ფასეულობებზე დაყრდნობით ეთიკური ნორმებით განმსჭვალული საზოგადოების შექმნა, რომლის გარეშე ადამიანის ღირსების საკადრისი სახელმწიფოს მშენებლობის მცდელობა უბრალოდ ინფანტილიზმია.

პარადოქსი

მოგეხსენებათ, მეხსიერების გარეშე მოვლენათა ანალიზი შეუძლებელია, ხოლო ანალიზის გარეშე რაციონალური აზროვნება წარმოუდგენელია. მხოლოდ რაციონალურად მოაზროვნე ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოებაა ეკონომიკური და სულიერი აღმავლობის გარანტი.

პარადოქსი შემდეგშია: ჩვენ ვთვლით, რომ არც მეხსიერების პრობლემას ვუჩივით, არც ანალიზის უნარს, არც რაციონალურ აზროვნებას და ამავე დროს სულიერი და მატერიალური სიღატაკის ჭაობში ვიხრჩობით.

შევთანხმდეთ – **არაა საჭირო აზროვნების ინსცენირება.**

დავბრუნდეთ რეალობაში.

დიახ, ჩვენ სწორედ რაციონალური აზროვნება გვაკლია, რის გამოც გაუცნობიერებელ ქმედებამდე, არსებულ ყოფამდე დავეშვით, შედეგი კი საკუთარ სულსა და სხეულზე ვიგრძენით.

ამ პარადოქსში გარკვევა გაცილებით მეტ ჩაფიქრებას, ჩაღრმავებას, თვითკრიტიკას მოითხოვს. ბავშვური გულუბრყვილობაა, ვიფიქროთ, რომ ყველაფერი თავისთავად გამოსწორდება.

ამ პრობლემის გააზრების გარეშე ნებისმიერი უსწავლელი, თავხედი, ავანტიურისტი, პოლიტიკური კარიერის მაძიებელი დაარწმუნებს მეხსიერებადაქვეითებულთ, რომ ჩვენ წინაშე არსებულ პრობლემებში: რეგრესში, სიღატაკეში,... დამნაშავეა:

1. ევროკავშირსა და ნატოში ჩვენი სწრაფად არმიმღები ევროპა და ამერიკა (პრინციპით – აი, თავის დროზე რომ მივეღეთ...). ასევე, მასონები, ებრაელები, იეღოველები, კათოლიკე და არაკათოლიკე მწვალებლები, მარხვისა და აღსარების არადროულად და არათანამიმდევრულად შემსრულებელნი, ეკლესიური ქორწინების გარეშე არსებული შარვლიანი და უშარვლო არაქალწულნი (რადგან სძაგს ისინი უფალსა),...

(თქვენი აზროვნების შესაბამისი და დამაკმაყოფილებელი მიზეზი მოინიშნეთ და დაიმახსოვრეთ შემდგომი გამოყენებისთვის, თვითგამოთაყვანებისთვის)

2. ნებისმიერი მთავრობა (თუ თავად არ ვარ ამ ელიტის წევრი), რადგან ის არის არჩევნების დარღვევით მოსული, არაკონსტიტუციური, ვიწროშუბლიანი, გაუაზრებელი, ხარბი, სისხლისმსმელი, სამშობლოს გამყიდველი, იუდა,...

(თქვენი აზროვნების შესაბამისი და დამაკმაყოფილებელი მიზეზი მოინიშნეთ და დაიმახსოვრეთ შემდგომი გამოყენებისთვის, თვითგამოთაყვანებისთვის)

3. ყველა ის ქართველი, რომელიც არ ცნობს, აღფრთოვანებით არ აღიარებს ჩემს განუმეორებლობას, ზეციურ აზროვნებას ან იდუმალ კავშირებს არაამქვეყნიურ კეთილ და ბოროტ ძალებთან, ან ჩემს ეზოთერულ განსწავლულობასა და უდიადეს კარმულ ძალას, რომელსაც შეუძლია

საქართველოს ისტორიულ გზაზე ჩამოწოლილი მეტაფიზიკური შავი ნისლი გაფანტოს და ყოველივე ამის გათვალისწინებით არ ამირჩევს მე პრეზიდენტად,...

(თქვენი აზროვნების შესაბამისი და დამაკმაყოფილებელი მიზეზი მოინიშნეთ და დაიმახსოვრეთ შემდგომი გამოყენებისთვის, თვითგამოთაყვანებისთვის).

როცა ამ კოშმარს უყურებ, გიჩნდება აზრი: **საქართველო არსებობს. ჩვენ გასაკეთებელი ცოტა რამ დაგვრჩა – შევქმნათ ქართველები.**

საქართველოში პოლიტიკოსები გვპირდებიან, რომ ხუთ წელიწადში ყველაფრის შეცვლა შეუძლიათ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ბოლო 2500 წელია უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა.

აქედან დასკვნა ერთია: თუ შენ არაფერი იცი, მაგრამ გგონია, რომ ყველაფერი იცი, უკვე პოლიტიკოსი ხარ.

ყველა დანარჩენს, ვინც ზემოთ მოყვანილი მიზეზებით ვერ დაკმაყოფილდა და ვისაც ჯერ კიდევ შემორჩენია ანალიზის უნარი, ზრდილობიანად შევახსენებთ, რომ ყველა ის პრობლემა, რომელიც აწევს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ეს არის ყველა დროსა და სივრცეში ჩვენი სოციალური აზროვნების დაბალი დონის შედეგი.

დიახ, სწორედ ამ დაქვეითებულ დონეზე წარმოიქმნა ყველა ის პრობლემა, რომელიც ადამიანის არასაკადრის ცხოვრებას განაპირობებს.

აქ უცილობლად უნდა გავიხსენოთ ალბერტ აინშტაინის მოსაზრება:

„პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია აზროვნების იმავე დონეზე, რა დონეზეც ეს პრობლემა წარმოიშვა. ამიტომ, საჭიროა შემეცნების უფრო მაღალ დონეზე გადასვლა, რათა შემდეგ ამ სიმაღლიდან ვცადოთ პრობლემის გადაჭრა".

რჩება ერთი გზა – **აზროვნების დონის ამაღლება.**

ცხადია, ამაღლებული აზროვნების დონეზე გადასვლა მკვეთრად გამოხატულ ნებას და შინაგანი სულიერი პოტენციალის სრულ მობილიზებას მოითხოვს.

ჩვენ ურთულესი ამოცანის წინაშე ვდგავართ. რთულ ამოცანას კი მარტივი ამოხსნა, სამწუხაროდ, მხოლოდ მითებსა და ზღაპრებში აქვს.

ჩვენი სასტიკი ყოფის ზედაპირული ანალიზი მოითხოვს, რეალობას შემეცნების განსხვავებული კუთხით შევხედოთ.

დავფიქრდეთ, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მდგომთ, „გააზრებულად" თუ გაუაზრებლად, ჩვენი და ჩვენი შვილების ცხოვრების, მომავლის სამართავად ვინ არ აგვირჩევია, ვის არ ვირჩევთ, ვის არ ავირჩევთ, მაგრამ ჩვენი საშველი მაინც არ არის.

დავუკვირდეთ პარადოქსს:

– თითოეულ ჩვენგანს, კონკრეტულ მე-ს სურს ადამიანის ღირსების საკადრისი ცხოვრება,

ასევე ცალკე აღებულ ჯგუფს – ჩვენ-ს იგივე უნდა,

შედეგი სახეზეა.

გამოდის, რომ ეს, ადამიანის საკადრისი ცხოვრება არც მე-ს და არც ჩვენ-ის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული.

მეტ-ნაკლებად განათლებულ ადამიანს აუცილებლად უნდა გაუჩნდეს უმთავრესი კითხვა:

თუ მე-სა და ჩვენ-ის ნება-სურვილით შედეგს ვერ ვაღწევთ, მაშ რა არის ის „მესამე", რაც ადამიანის ღირსების საკადრის ცხოვრებასთან მიგვიყვანს?

ეს, ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, შეგახსენებთ **კარლ გუსტავ იუნგის პარადოქსს,** რომლის არსი შემდეგშია:

– **იკრიბებიან მხოლოდ ინსტინქტით შეპყრობილი ცხოველები, მწერები, ფრინველები,... და იბადება „კოლექტიური გონი".**

სხვაგვარად არ იხსნება ვეშაპებისა და წეროების უნიკალური, ურთულესი მიგრაცია ან ფუტკრებისა და ჭიანჭველების ზეორგანიზებული, "გონივრული" ქმედება, ცხოვრება.

მათგან განსხვავებით ვიკრიბებით ჩვენ, გონიერი ადამიანები და იბადება კოლექტიური უგუნურობა.

მაშ ასე, გვაქვს ორი პარადოქსი.

შევეცადოთ, გავერკვეთ, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ შევიკრიბოთ გონიერი ადამიანები და დაიბადოს არა კოლექტიური უგუნურობა, არამედ **კოლექტიური გონი,** რომლის მეშვეობით გავიაზრებთ იმ **"მესამე"**-ს, რაზედაც არის დამოკიდებული განვითარებადი საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნა.

თავის მხრივ, კოლექტიური გონის ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს კონგენიალთა სისტემა. **კონგენიალური** (ლათ. **con** – ერთად, **genius** – გონი, სული) ნიშნავს სულითა და აზროვნების სტილით ახლოს მდგომ ადამიანებს.

კონგენიალურობა, თავისი არსიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა მოითხოვს ისეთ უმაღლეს ფასეულობებზე შეთანხმებას, როგორიცაა **საშობლო, ჭეშმარიტება, ბედნიერება, განათლება, თავისუფლება, განვითარება, ეთიკა,...**

ვიმეორებთ, ამ შეთანხმების გარეშე შეუძლებელია იმ **„მესამე"**-ს გააზრება, რომელიც თვითგანვითარებადი, პროგრესირებადი სოციალური სისტემის ჩამოყალიბებისთვის არის აუცილებელი.

მართლაც, შეუძლებელია, საათის მექანიზმმა შეასრულოს თავისი ფუნქცია, თუ მისი თითოეული დეტალი, ნაწილი არაა მოყვანილი ერთმანეთთან ჰარმონიაში და ამ ნაწილებს შორის არ არის „უმაღლესი შეთანხმება" მთავარ მიზანთან მიმართებაში.

უპირველესად გასარკვევია, თუ რატომ ვერ ქმნის ადამიანის ღირსების საკადრის ცხოვრებას ვერც **მე** და ვერც **ჩვენ**.

ეს პარადოქსი, თავის მხრივ, ითხოვს სოციუმის ანატომიაში გარკვევას.

სოციუმის ანატომია

ადამიანთა გაერთიანებამ შეიძლება შექმნას ბრბო, მასა, ხალხი, საზოგადოება, სახელმწიფო.

შევთანხმდეთ და ადამიანთა ნაკრები — ბრბო, მასა, ხალხი, საზოგადოება შემდეგნაირად დავახასიათოთ.

ბრბო — ადამიანურ არსგამოცლილ, გონივრულობამოკლებულ სუბიექტთა უმართავი ნაკრები. ბრბო მეტასტაბილური მდგომარეობაა.

მასა — სუბიექტთა მართვადი, მანიპულირებადი ნაკრები, სტაბილური მდგომარეობა.

ხალხი — რეალობის მაძიებელთა ნაკრები.

საზოგადოება — თვითრეგულირებადი, თვითორგანიზებადი, რეგენერაციის უნარის მქონე შემოქმედ ადამიანთა სისტემა. ხალხის განვითარების ორიენტირის განმსაზღვრელი, სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განვითარებისთვის აუცილებელი ბირთვი.

და თუ ეს დეფინიცია თქვენში შეშფოთებას არ იწვევს, გავაგრძელოთ საუბარი.

ერთი და იმავე ადამიანთა ჯგუფის მიერ შეიძლება შეიქმნას როგორც ბრბო, ასევე — მასა, ხალხი, საზოგადოება.

ერთი და იგივე სუბიექტი, იმის მიხედვით, თუ რომელ ჯგუფში აღმოჩნდება, უმრავლეს შემთხვევაში, როგორც საზოგადოების, ხალხის, მასის ან ბრბოს შემადგენელი სხვადასხვანაირად გრძნობს, ფიქრობს და მოქმედებს.

განვიხილოთ სუბიექტი, რომელიც ბრბოში, მასაში, ხალხში, საზოგადოებაში ხვდება.

მართლაც, ისეთი რა უნიკალური თვისება ახასიათებს ბრბოს, მასას, ხალხს, საზოგადოებას, რომ შეუძლია, შეცვალოს ადამიანი?

როგორც უნდა განსხვავდებოდნენ ადამიანები ერთმანეთისგან პროფესიით, ხასიათით, ინტელექტით,... მაინც ის ფენომენი მოქმედებს, რასაც შეიძლება **ბრბოს, მასის, ხალხის ან საზოგადოების სული** ვუწოდოთ. მისი ზემოქმედებით სუბიექტი, როგორც აღვნიშნეთ, სხვაგვარად აღქმას, ფიქრს, ქმედებას იწყებს. ჩნდება, მჟღავნდება ან გარდაიქმნება შესაბამისი იდეები და გრძნობები.

და თუ არსებობს გამონაკლისი, როგორც ცნობილია, ესეც ჩვენი მოსაზრების მართებულობას, კანონზომიერებას ადასტურებს.

ადამიანთა გაერთიანებანი თითქოს ქმნიან ახალ არსებას, ორგანიზმს (მასას, ბრბოს, ხალხს ან საზოგადოებას) მხოლოდ მისთვის მახასიათებელი ახალი თვისებებით, რომელიც განსხვავებულია მისი შემადგენელი უჯრედის, სუბიექტის თვისებებისგან.

ბრბო პრიმიტიული, სპონტანური, მეტასტაბილური წარმონაქმნია, რომელსაც ამჯერად ვრცლად არ განვიხილავთ.

მასა მეტ-ნაკლები სტაბილურობით ხასიათდება. შესაბამისად, შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს მასის საშუალო ხასიათი. მასაში მყოფი ადამიანი, მასის ნაწილი თავს „ძლიერად" გრძნობს. ის თითქოს ეძებს სამართლიანობას მაშინ, როცა დაკარგული აქვს ზნეობა. თავისუფლდება მარტივი იმპულსები, რომელიც სუბიექტის განმხოლოებისასაა შეზღუდული. მასა ქმნის ანონიმურობის შეგრძნებას, ქრება პირადი პასუხისმგებლობა, სუბიექტში ქრება კანონის შიში, ის კარგავს მის არსში ჯერ კიდევ შემორჩენილი, მოჩვენებითი მორალის ანარეკლს, თავისუფლდება ქვეცნობიერის ყველა უარყოფითი იმპულსი, იძირება ცნობიერი. ინდივიდი მზადაა ჰიპნოზისთვის. იგი გამოსხივების იმ ველში ხვდება, რასაც მასა ასხივებს. ის მართვადია და ცივილიზაციის კიბეზე რამდენიმე საფეხურით ეშვება. განსწავლულიც კი ზოოლოგიური ობიექტი ხდება, რომელსაც ნებისმიერი ვიგინდარა მარტივად მართავს. ჩნდება სპონტანურობა, ველური ენთუზიაზმი, ქრება საკუთარი თავის უნდობლობა, ეჭვი.

იბადება, ერთი მხრივ, ვიღაცის ან რაღაცის გაღმერთების დაუოკებელი სურვილი და მეორე მხრივ, ვიღაცისა თუ რაღაცის მიმართ ანტიპათია ან პათოლოგიური სიძულვილი. მიზანმიმართულად ამოტივტივებულ, შემოგდებულ, ზნეობადაქვეითებულ ე.წ. პოზიციურ თუ ოპიზიციურ ლიდერს საქმე უმარტივდება. ლოგიკა აღარაა საჭირო. მთავარია ექსპრესია, მთავარია იმეორო ერთი და იგივე. მასა ლიდერისგან არა მხოლოდ ძალის დემონსტრირებას, არამედ უკვე გამოყენებასაც ითხოვს. მისდამი შიში მასის წევრს მაზოხისტურ სიამოვნებას ანიჭებს. ის ქვეცნობიერად გრძნობს, რომ ლიდერის გაღმერთებით პასუხისმგებლობა ნებისმიერ ქმედებებსა თუ შედეგებზე მხოლოდ ლიდერს ეკისრება და იმედი აქვს, რომ აქედან რაიმე ხეირს მიიღებს.

იწყება ზიზღი ყველაფერი ახლისადმი, პროგრესისადმი, რასაც დაფიქრება, შემეცნება სჭირდება. მასის სული თითქოს მისი შემადგენელი დაჩლუნგებული სუბიექტის სული ხდება. ის ლიდერის ყველა პრიმიტიულ აზრს ეთანხმება, იმ აზრსაც კი, რომელსაც მასაში ყოფნის გარეშე არასდროს დაეთანხმებოდა. ყველა ქედს იდრეკს და მათში ჩნდება პირველყოფილი ადამიანის მახასიათებელი ელემენტები: ტაბუ პიროვნებებზე, აზრებზე,... მასას უკვე აღარ სჭირდება რეალობა. მას ილუზია სჭირდება და ამას ის ლიდერისგან იღებს. მასას ილუზიის გარეშე ცხოვრება უკვე აღარ შეუძლია.

ილუზია ენაცვლება რეალობას.

იწყება უკუკავშირი: – მასის მიერ იდეის ატაცება აიძულებს ლიდერს, დაიჯეროს, რომ ის, მართლაც „გენიოსია". მასში მასაზე ზემოქმედების სურვილი ახალი ძალით იღვიძებს. ასეთი პრესის ქვეშ მასა უცილობლად იქცევა ბრბოდ. ეს უკვე რევოლუციის, ამბოხის რეალური საფუძველია. შედეგად, ერთი უაზრო სისტემა, ხშირ შემთხვევაში, უარესით იცვლება და შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება.

ზემოაღნიშნული მოსაზრება არახალია და სოციუმის მეტ-ნაკლებად განსწავლულმა ნაწილმა ეს საკუთარ სულსა და ხორცზე უკვე იგრძნო.

ეს უმარტივესი გააზრებაც საკმარისია, რათა მივხვდეთ, რომ ადამიანთა გაერთიანება ურთულესი ფენომენია.

ამიტომ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, გავერკვეთ:

— რა არის ის შემაკავშირებელი „ნივთიერება", რაც ადამიანთა გაერთიანებებს ქმნის?

— რას შეიძლება შევადაროთ დღეს იმ ადამიანთა ნაკრები, რაც ჩვენს სოციუმს აყალიბებს?

ადამიანში ეთიკისა და გონივრულობის დაქვეითების საკითხს უხსოვარი დროიდან განიხილავდნენ. ეს პრობლემა ყველა მეტ-ნაკლებად განათლებულ შემოქმედ ადამიანთა კვლევის საგანი იყო და მკაცრ შეფასებებსაც არ ერიდებოდნენ.

არისტოტელე არათავისუფალთა, არსით მონათა ნაკრებს შინაურ ცხოველებს უწოდებს.

ფრიდრიხ ნიცშე მასას, ბრბოს არაორაზროვნად ნახირთან აიგივებს.

მასის ასეთ შეფასებას არ ერიდება არც ვაჟა და არც ილია.

ეს ემოციური დახასიათება, გარკვეულწილად, სერიოზულ, აზრობრივ დატვირთვასაც ატარებდა.

ჩვენი ყოფის არასიღრმისეული ანალიზისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადამიანთა მასა მართლაც იყოფა ორ, მკვეთრად გამოსახულ ნაწილად.

ერთ ნაწილს, უმრავლესობას თითქოს ისე აქვს დაქვეითებული ასტრალურობა (მგრძნობელობა), სიფაქიზე, რომ ყველაზე უმსგავსო, უსახურ გარემოშიც კი შეუძლია ადაპტირება, კმაყოფილების მიღება. ამ დაქვეითებული გარემოს მიღმა არსებული უსაზღვრო, საინტერესო, ლამაზი სამყარო კი მისთვის უცხოა, იმ აზრით, რომ ეს სამყარო მას უბრალოდ არ სჭირდება, ზედმეტია მისთვის. სუბიექტი თავს აფარებს ბუნაგს და ის უკვე დიდი ხანია ამ დატბორილ სულიერ ჭაობს შეეგუა.

ადამიანის ჭაობიდან ამოთრევა მარტივია. ურთულესია მისი სულიდან ჭაობის ამოგლეჯა.

ასეთის გონებრივი პოტენციალი მხოლოდ საკუთარი ბიოლოგიური ორგანიზმის თვალსაწიერით შემოიფარგლა. ასეთი არ ცდილობს ამაღლებას, საკუთარ **მე**-ში გარკვევას და ამით მთელი სამყაროს შეცნობას, ერთი მარტივი მიზეზის გამო, მას ჰგონია, რომ ის უკვე ამაღლებულია. ცხადია, უკვე „ამაღლებულს" აღარ სჭირდება შემოქმედება-განვითარება. ასეთს ჰგონია, რომ ყველაფერი აქვს: სად დაიძინოს, პურის ნაჭერი, ჭიქა წყალი, გარშემო თავისივე მსგავსნი ჰყავს და ამ „ჯოგში" ის თავს კმაყოფილად გრძნობს.

კმაყოფილი არაფერს ქმნის იმიტომ, რომ ის კმაყოფილია.

მას არ ეშინია სიმარტოვის, რადგან ჯოგში სიმარტოვის შეგრძნება უბრალოდ ქრება.

მეორე, ამაღლებული ასტრალურობის მქონე უმცირეს ნაწილს კი ეს უსაზღვრო რაოდენობის მცოხნავთა ჯოგი მარტოობას უმძაფრებს. ასეთი მე

მარტოა საკუთარ მე-სთან, ის გრძნობს თავის „გამორჩეულობას, განუმეორებლობას", არაიდენტურობას არავისთან და არაფერთან. ასეთი ღრმადაა დარწმუნებული, რომ არ იმყოფება თავის სულიერ სამყაროში, რადგან ჯოგის სული მისი სულიერი არეალი არ არის. ის სწორედ ამ გაუცხოებულ სამყაროში გრძნობს და განიცდის სიმარტოვის საშინელებას. მას ცნობიერება სთავაზობს, დაფიქრდეს, გაიაზროს ჯოგის ობიექტური არსი, ჯოგის სამყარო. ამ „ობიექტურობის" შემეცნებას ის არათუ გამოჰყავს მარტოობიდან, არამედ უფრო უმძაფრებს მარტოობის ტკივილს, რაც მასში უსასრულო სევდას იწვევს, რადგან არ უნდა ამ უსახო მუდმივობას, მუდმივ წყურვილს, უაზროდ დინებად დროს შეურიგდეს. სწორედ ეს უსახურობა აიძულებს მას, ღრმად ჩაიკეტოს საკუთარ ნაჭუჭში, სადაც ის უცილობლად იქცევა მარტოობის სევდის მცოხნავ ცხოველად, რომელიც სულიერ საკვებს განმარტოებული დაეძებს.

განსხვავება ისაა, რომ ასეთ მარტოობის მცოხნავთა სიმრავლე, ერთი შეხედვით, არ ქმნის ჯოგს.

ეს მსჯელობა არსებული საშინელი რეალობის საფუძველს თითქოს ააშკარავებს.

ჩვენი აზრით, უბედურების სათავე თვით ამ მსჯელობის არსშია. საქმე ისაა, რომ სოციუმის არც პირველ ნაწილს აქვს ისე დაქვეითებული ასტრალურობა, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია და არც მეორე ნაწილის ასტრალურობა ბრწყინავს ჩვენი ყოფის წყვდიადის ფონზე.

სწორედ ამაზე ამბობს ვაჟა:

„თუ მე არა ვარ მზის დარი,
არც შენ ანათებ ღამითა".

სწორედ ამ „ჯოგის" წევრებმა შექმნეს „ვეფხისა და მოყმის", „ჩაკრულოს",... ისეთი სულიერი შედევრები, რომელსაც მრავალი მარტოობის სევდით შეპყრობილი „ამაღლებული" ასტრალურობის ინდივიდი მოაწერდა ხელს, როგორც ავტორი და იამაყებდა ამით.

ასევე, მარტოობის სევდით შეპყრობილი, უმაღლესი ასტრალურობის მქონე გალაკტიონის ერთი ლექსიც კი საკმარისია, რომ „ჯოგის" სულიერი ვოლიერი შეინგრეს.

დავფიქრდეთ, ვის ინტერესებში შედის გაუნათლებელი, უსახური მასის არსებობა.

რა საფუძვლები აქვს მართვადი სოციუმის ჩამოყალიბებას?

მოგეხსენებათ, რათა გონება გაგეხსნას, ათიოდე წიგნის წაკითხვაა საჭირო, თუმცა ამ გონებისგამხსნელი 10 წიგნის აღმოსაჩენად უნდა წაიკითხო 10000.

ჩვენ ვფლობთ უმაღლეს განათლებას და ვცდილობთ ამ განსწავლულობის ცხოვრებაში გამოყენებას, მაშინ როდესაც საწყისი და საშუალო განათლება პრინციპულად არ მიგვიღია.

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანს უნდა გააჩნდეს საშუალო აზროვნების უნარი მაინც და ესმოდეს ეთიკის საწყისი საფუძვლები.

შესაბამისად, ვიღებთ სოციუმს, სადაც:

— არაა ზღვარი მორალურსა და ამორალურს შორის.

— ვლაპარაკობთ ერთს, ვფიქრობთ მეორეს, ვაკეთებთ მესამეს.

— ინფანტილურად ვადევნებთ თვალს კრიმინალური ელიტის ზეობას.

მერკანტილიზმით გატაცებული ერის სულიერი მამები, რომელთაც სოციუმის სულიერი მდგომარეობა უნდა ადარდებდეთ, მხოლოდ ძლიერთა ამა ქვეყნისათა სიამოვნებისთვის ზრუნავენ. ყველაფერ ამაზრზენზე თვალს ხუჭავენ და მმართველთა მორალურ ლეღვის ფოთლებად იქცევიან.

ამგვარად, საქართველო წარმატებით დაბრუნდა შუა საუკუნეებში, თუმცა უფრო მართებული იქნებოდა, გვეთქვა — საქართველო არასდროს გამოსულა შუა საუკუნეებიდან.

შედეგი: — ადამიანის ნიჭისა და უნარის მიუხედავად, ცხოვრებაში მის ადგილს იკავებს პროფესიული აფერისტი, რომელიც თეატრალური აღმაფრენით აპელირებს ილიათი და ვაჟათი, ეპირფერება სოციუმს და ამავე დროს ავიწყდება, რომ ეს სოციუმი, რომელმაც ერთი ტყვიით „დაავჯილდოვა" და მეორე — გაუსაძლისი ცხოვრებით, დღემდე უკეთესობისკენ არ შეცვლილა.

დღევანდელი ბავშვები სკოლაში ისევე იღებენ საღვთო სჯულს, როგორც წარსულში მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებს და სულიერ მოძღვართ ავიწყდებათ, რომ რელიგიურ რწმენაში ძალით ვერავის შეიყვან.

ადამ სმიტის მიხედვით, ბაზრის ფასეულობა გამოიხატება ფრაზაში: — „ადამიანი ეძებს საკუთარ სარგებელს და ამით ის ამდიდრებს საზოგადოებას. მაგ., როცა მეპურე პურს აცხობს, ის საკუთარ მოგებაზე ფიქრობს, მაგრამ შედეგი საერთო კეთილდღეობის ზრდაა".

ამისგან განსხვავებით, როცა კრიმინალურ-პოლიტიკური ლიდერები სოციუმს ძარცვავენ, საკუთარ კეთილდღეობას ზრდიან და არა — სოციუმისას.

შესაბამისად, ჩვენ ვართ სოციუმი, სადაც უფრო სარგებლიანია იყო მძარცველი პოლიტიკოსი, ვიდრე — მეპურე, ინჟინერი, მეცნიერი...

ეს ნაშრომი სწორედ სოციუმის დეგრადირების მიზეზებისა და სულიერი ამაღლების საფუძვლის ძიების მცდელობაა.

ჩანართი

აქ გასარკვევია, ვინ და როგორ ახერხებს ისეთი უსაზღვრო პოტენციალის მქონე არსების, როგორიცაა ადამიანი, დეგრადირებას, დამახინჯებას, ჯოგის დონემდე დაყვანას. ცხადია, ამ პროცესის პერმანენტულობის საფუძველს გაუნათლებლობა წარმოადგენს.

არ იფიქროთ, რომ ამ ჯოგის მიერ აღიარებულ ბელადებს, მმართველებს დიპლომებისა თუ წოდებების მიუხედავად, რაიმე საერთო აქვთ განათლებასთან.

როგორც ჯოგისთვისაა უცხო და მიუღებელი განათლებული ადამიანი, ასევე განათლებულისთვისაც მიუღებელია ჯოგის არსი.

დიდი სხვაობაა განათლებულსა და მენახირეს შორის.

დავფიქრდეთ, რა განათლება აქვს მენახირეს? – მიუხედავად ამისა, ის ნახირს მათრახით მშვენივრად მართავს. ხოლო მმართველთა მართვის იარაღი კი მასმედიის სხვადასხვა საშუალებებია.

მიგვითითებენ, თუ რა ჩავიცვათ, რა ვჭამოთ, რა დავლიოთ, რით გავრეცხოთ, რით დავიბანოთ, სად წავიდეთ, ვინ და როგორ შევიყვაროთ, როდის აღვშფოთდეთ, როდის დავიძინოთ ნეტარი ძილით, რა ვიფიქროთ პოლიტიკასა და დემოკრატიაზე, ეკონომიკასა და ისტორიაზე, როგორ ვიცხოვროთ, როგორ გავზარდოთ შვილები,...

ესაა ჩვენი არჩევანი. რას იზამთ, ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ჩვენივე გულისამრევ არჩევანს.

უპირველეს ყოვლისა გასარკვევია, თუ რატომ დაეცა ჩვენი სოციუმი ამ ამაზრზენ, არაადამიანურ ყოფამდე?

სწორედ ამ გაურკვევლობას მივყავართ დილემამდე – სიმარტოვე თუ ჯოგში გათქვეფა.

ეს დილემა სოციალურ ფილოსოფიაში გამოიხატება „ზრდილობიანი" ფორმით – **კონფორმიზმი და ნონკონფორმიზმი (ინდივიდუალიზმი)**.

სოციალურ ფილოსოფიაში კონფორმიზმი აშკარად უარყოფითად აღიქმება მაშინ, როცა ინდივიდუალიზმი დადებით ელფერს ატარებს. ამ დამკვიდრებული შეხედულებიდან გამომდინარე, თურმე ადამიანის დეგრადაცია იწყება მაშინ, როცა ის კარგავს ინდივიდუალიზმს და ხდება კონფორმისტი, ჯოგის წევრი.

საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხში გასარკვევად ვალდებულნი ვართ, გავაანალიზოთ, თუ რა დატვირთვა აქვს ცნებებს – კონფორმიზმი და ინდივიდუალიზმი.

კონფორმიზმი და ნონკონფორმიზმი

ცნება **მე**-ს და **ჩვენ**-ის წარმოდგენა მარტოობის სევდის მცოხვნელად და ჯოგად უმრავლესობაში უკიდურეს აღშფოთებას და პროტესტს გამოიწვევს. ეს გასაგებია, რადგან აქ სოციუმი წარმოდგენილია ადამიანისთვის შეურაცხმყოფელი სიტყვებით ეს, ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თითქოს დაპირისპირებულია სევდის მცოხვნელი – ინდივიდუალისტი და ჯოგში გაერთიანებული – კონფორმისტი.

გამოდის, რომ სახეზეა ორი განსხვავებული მდგომარეობა, „თეთრისა" და „შავის" მარადიული კონტრასტი და თითქოს ჩვენს რეალობაში სხვა ფერი არ არსებობს.

მართლაც, დროდადრო განსწავლულნი მასას ნახირად, ჯოგად მოიხსენიებენ. ცხადია, ეს შედარება ზრდილობის, ხასიათის, პოლიტკორექტულობის მიმანიშნებელია.

სამწუხაროდ, ხშირად განათლებულიც იმავე ტერმინოლოგიას იყენებს, იმ განსხვავებით, რომ მისი მხრიდან ეს მტკივნეული რეაქციაა იმ დამთრგუნველ უმრავლესობაზე, რომელსაც განვითარება ჭაობიდან ამოსვლა

არ სურს და მისი ნეტარება მხოლოდ ფიზიოლოგიური აქტებით შემოიფარგლება.

ორივე შემთხვევაში ცნება „ძირითადი მასა" აქ წარმოგვიდგება სიტყვების: ჯოგი, ნახირი ნეგატიური შეფერილობის სინონიმად.

განსწავლულმა იცის, რომ საკმარისია, ნახირს ნახირი უწოდოს და ის საოცარ შვებას იგრძნობს: სიყალბის ჭაობში შესვლა აღარ მოუწევს; პარლამენტარად აღარ აირჩევენ; მის ნეკროლოგში აღარ გაჩნდება ჩანაწერი – „საზოგადო მოღვაწე". შესაბამისად, აღარ დასჭირდება მლიქვნელობა, ტყუილების შეთხზვა. ჩვენზე უკეთ ხვდება, რომ თუ ის ნახირს „ნახირს" უწოდებს, ამით გადალახავს რუბიკონს, მოეხსნება უხერხულობის ტვირთი, ხდება თავისუფალი შემოქმედი და მას უკვე ამაღლებულზე ფიქრი შეუძლია. თუ მან ეს მოახერხა, მაშინ აუცილებლად მიხვდება, რომ ამაღლებული შემოქმედებისთვის სულაც არაა აუცილებელი, მასას ნახირი უწოდოს.

დღეს მან მხოლოდ ის იცის, რომ სიტყვა ნახირის უკან დგას უხერხული, უხეში სიმართლე. მისთვის ეს შეფასება მხოლოდ ემოციური, მტკივნეული მცდელობაა, მასა ამ მდგომარეობიდან გამოიყვანოს.

საკუთარი სევდის მცოხვნელის, ჯოგისა და ცოდნის მაძიებლების გარდა სოციუმში ასევე არსებობს ის გაუგებარი, გამოფიტული პლასტი, რომელიც საკუთარ თავს, არც მეტი არც ნაკლები, „სულით ელიტას", „პოლიტიკურ ელიტას", ზოგადად „ელიტას" უწოდებს.

სულაც არაა საოცრება ის, რომ ეს თვითაღიარებული „პოლიტიკური ელიტა", განსწავლულთა აზრით, ნახირის ყველაზე უარეს სახეობას წარმოადგენს. სწორედ მათგან ირჩევს ნახირი მენახირეს და ეს გასაგებია – ისინი სულით ერთნი არიან.

მათ ესმით ერთმანეთის.

სწორედ ისინი არიან უზნეო, უმწიფარი სუბიექტები, რომელთაც კატეგორიულად არ სურთ, ან არ შეუძლიათ უბრალოდ პატიოსნად იშრომონ, ამიტომ ნახირის მათდამი აღფრთოვანებას თავისდა სასიკეთოდ იყენებენ და პირად ცხოვრებას იწყობენ. ცხადია, ასეთი ელიტის წარმომადგენელი მასას საჯაროდ არასდროს უწოდებს ნახირს, თუნდაც იმიტომ, რომ სააშკარაოზე ნახირი ნახირს, ნახირად არ მოიხსენიებს.

ეს არ ეშლება ყველა დროისა და სივრცის პოლიტიკურ აფერისტს, ამიტომ მისდამი აღფრთოვანების გამოსახატად მისულ ასეთ მასას მიმართავს შემდეგი სიტყვებით: – ჩემი სათაყვანებელი, ბრძენი, ამაყი, შეუმცდარი, კდემამოსილი, დასავლური გარყვნილების არმიმღები, მრავალჭირნახული, მაგრამ გაუტეხელი, მებრძოლი, წმინდა მარიამის წილხვედრი ქვეყნის ნამდვილი მემკვიდრე ქართველნი, პატრიოტნი და ღრმადაა დარწმუნებული, რომ დღეიდან ეს უნიჭიერესი ხალხი ძველ შეცდომას აღარასოდეს დაუშვებს და მას მუდმივ მმართველად, მენახირედ აირჩევს.

ცოდნის მაძიებლისთვის მართლაც რთულია, მტკივნეულია როგორც თავისივე სევდასთან მარტო დარჩენა, ასევე საკუთარი თავის ჯოგად ან

„პოლიტიკურ ელიტად" შერაცხვა. სწორედ ასეთია მზად, ეძებოს იმ **„მესამის"** ჩამოყალიბება-დამკვიდრების საფუძვლები, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ადამიანის ღირსების საკადრისი ცხოვრების დამკვიდრება.

შევეცადოთ, ამ მწვავე პრობლემას ემოციის გარეშე შევხედოთ.

თითქოს ჩვენს რეალობაში, ერთი მხრივ, მრავლად მოიძებნებიან ისეთებიც, რომლებიც არც განდეგილებს მიაკუთვნებენ საკუთარ თავს და არც მცოხნავ ჯოგს. ალბათ მათ თავი იმ რაინდად წარმოუდგენიათ, რომელიც არსენა ოძელაშვილივით ან რობინ ჰუდივით ინდივიდუალურ თვისებებს ინარჩუნებს. ისინი ჯოგზე ამაღლებულ სუბიექტად, მცოხნავი ჯოგის პოტენციურ წინამძღოლად, სულიერ მამად აცხადებენ თავს.

მათდა სამწუხაროდ, უნდა განვაცხადოთ – ერთი მხრივ, თუნდაც რობინ ჰუდზე „ამაღლებული ინსტიტუტი" – გურული ფირალობა, სიმონ და დარიკო დოლიძეობა უბრალოდ ანაქრონიზმია.

მეორე მხრივ, წინამძღოლობის მოტრფიალეებს უბრალოდ შევახსენებთ ზოოლოგიის ფუნდამენტურ კანონზომიერებას – მცოხნავი ჯოგის წინამძღოლი ვერ იქნება ვერც მტაცებელი და ვერც უხერხემლოთა წარმომადგენელი. ის მართალია, უფრო „ბანჯგვლიანი", ძლიერი, მაგრამ მაინც მხოლოდ იმავე ჯოგის მცოხნავი წევრი შეიძლება იყოს.

განსაკუთრებით ნიჭიერთათვის, უფრო პოპულარულად: – ლომი ვერ იქნება მცოხნავი ჯოგის ბელადი. გარწმუნებთ, ანტილოპების წინამძღოლი ისეთივე ანტილოპაა, ოღონდ უფრო მეტად რქიანი.

აქედან გამომდინარე, წინამძღოლობის მანიით შეპყრობილს რჩება ერთი – თავი გამოაცხადოს სისხლისმსმელ მტაცებლად, რომელიც მცოხნავების ხარჯზე იკვებება. ასეთებს ავიწყდებათ, ან არ იციან, რომ ისინიც იმ კრიმინალურ დაჯგუფებას ეკუთვნიან, რომელიც არაფრით განსხვავდება ჯოგისგან. რა სახელითაც უნდა იყოს წარმოდგენილი მათი დაჯგუფება და რა ლამაზადაც უნდა ჟღერდეს ეს სახელი, ის მაინც ხროვას, ჯოგს ნიშნავს. შესაბამისად, მათდა სამწუხაროდ, ვიღებთ მტაცებელთა ჯოგის ნადირობას მცოხნავთა ჯოგზე და სხვა არაფერს.

ჩვენი რეალობის ანალიზიდან გამომდინარე, მგრძნობიარე, მოაზროვნე ადამიანს საწინააღმდეგო არგუმენტების მოძებნა გაუჭირდება.

ეს, ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, თითქოს არც ერთი ხარ, არც მეორე და ეს დაუკმაყოფილებლობა გიჩენს სურვილს, მოძებნო, აღმოაჩინო რაღაც სხვა „სივრცე", სხვა პოლუსი, სხვა ადგილი, სადაც ნორმალური განვითარების ადამიანი მეტ-ნაკლებად კომფორტულად იგრძნობს თავს.

თუმცა, რა ფერია, როგორ გამოიყურება და სადაა ის იდუმალი სხვა პოლუსი, ინფანტილური აზროვნების „პოლიტიკოსების" გარდა არავინ იცის.

მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ უმრავლესობისთვის ამ პოლუსის ძიებას საერთოდ არა აქვს აზრი. მათთვის ჯოგში ყოფნა არაა

დამთრგუნველი, რადგან ასეთი სისტემის მიმართ პასიური ადაპტირების საოცარი უნარი გააჩნიათ.

სწორედ ამ უნარს უწოდებენ **კონფორმიზმს.**

მისგან მკვეთრად განსხვავებული, მეტ-ნაკლებად განსწავლული, ნონკონფორმისტი (ინდივიდუალისტი) კი ღრმადაა დარწმუნებული, რომ მისი აღმატებულება განუმეორებელი პიროვნებაა და თავისი არსით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ცნებებისგან განუყოფელია. მას სჯერა, რომ მხოლოდ თავისუფლებით ფორმირდება და რეალიზდება მისი შემოქმედებითი პოტენციალი და ის აღასრულებს ყოფიერებას სრულად.

ასეთი ამაღელვებელი, სულის შემძვრელი და ჟრუანტელის მომგვრელი განმარტების მიუხედავად, **ამ ცნებებს გააჩნიათ ის ფაქიზი ნიუანსები, რომ ადვილად, შეუმჩნევლად გადადიან საპირისპირო ცნებებსა და ფასეულობებში.**

მართლაც, ძნელი დასადგენია, სად თავდება თავისუფლება და სად იწყება თავნებობა.

რა განსხვავებაა თავმოყვარეობასა და თვითკმაყოფილებას შორის?

როგორ გადადის თავმოყვარეობა საკუთარი თავის შეყვარებაში, ნარცისიზმში?

დიახ, საკმარისია, ანალიზის, ტონალობის უმცირესი ცვლილება და ინდივიდის დადებითი თვისება გადადის უარყოფით თვისებაში, აქ ზღვარი თითქოს წაშლილია.

ცნებათა და ფასეულობათა ასეთი შეუმჩნეველი ცვლილება-გადასვლები არა მარტო ჩვენი აზროვნებისა და ხასიათის სისუსტეზე, არამედ თვით ამ ცნებებისა და ფასეულობების გაუცნობიერებლობასა და არამკაფიო დეფინიაციაზე მიგვანიშნებს.

განვიხილოთ თუნდაც ისეთი უმნიშვნელოვანესი ცნება, როგორიცაა **თავისუფლება.**

ამ ცნების შეძლებისამებრ ზუსტი განსაზღვრების უქონლობას, არამკვეთრ, ბუნდოვან დასკვნებთან მივყავართ. დაუკვირდით, დღეს საყოველთაოდ მიღებული თავისუფლების განმარტებების განზოგადება მიგვიყვანს მინიმუმ ორი სახის გააზრებამდე:

1. თავისუფლება, ეს არის ის ობიექტური მდგომარეობა, ცხოვრების რაღაც მონაკვეთი, როდესაც ადამიანი თავისუფალია გარე იძულებისა და კონტროლისგან. შესაბამისად, მას **ეძლევა საშუალება,** საკუთარი შიგა სტიმულის მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება და იცხოვროს ამ გადაწყვეტილებით.

2. თავისუფლება, ეს ის სუბიექტური რეალობაა, როცა ადამიანს **ეძლევა საშუალება,** ჩამოაყალიბოს საკუთარი მიზნების იერარქია და ისწრაფოს ამ მიზნების აღსრულებისკენ.

თავისუფლების კიდევ მრავალი მსგავსი განმარტება შეიძლება მოიგონოს ადამიანმა, მაგრამ ყველა განმარტებაში, როგორც იტყვიან, ვერ ავცდებით საკვანძო აზრს – „... ადამიანს **ეძლევა საშუალება, უფლება...**"

„ადამიანს ეძლევა უფლება" ნიშნავს, რომ თავისუფლება ადამიანის შინაგანი მდგომარეობა კი არ არის, არამედ მას თავისუფლება გარე სისტემისგან ენიჭება ან არ ენიჭება.

ამ ლოგიკით გამოდის, რომ უმაღლეს ფასეულობათა უმნიშვნელოვანესი ცნება **„თავისუფლება"** ადამიანის არა შინაგანი, თანდაყოლილი ფასეულობაა, არამედ ის გარედან ეძლევა და მას მხოლოდ არჩევანი, შემოთავაზებული თავისუფლების მიღება-არმიღება ხელეწიფება.

ასეთ თავისუფლებას რაც გინდათ ის უწოდეთ, მხოლოდ არა – თავისუფლება.

1918 წ. გერმანიისგან გარედან ბოძებულმა თავისუფლებამ რაც მოგვიტანა, სამიოდე წელიწადში გახდა ცხადი. ქარის მოტანილი ქარმა წაიღო: დავკარგეთ „თავისუფლება", დამოუკიდებლობა და 70 წლიან სანატრელ მონობაში აღმოვჩნდით.

შედეგი – მონური მენტალიტეტი – დღესაც სახეზეა.

სწორედ ამ მიღებ-გაცემის ლოგიკამ, თავისუფლების არამართებულმა (პერსონიფიცირებულმა) გაგებამ მიიყვანა ჩვენი აზროვნება ისეთ ბოლომდე გაურკვეველ ცნებებთან, როგორიცაა კონფორმიზმი, ნონკონფორმიზმი – ინდივიდუალიზმი.

ე.წ. ინდივიდუალისტი დამოუკიდებლობას მართლაც გარეგნული სახით აღიქვამს და ეს დამოუკიდებლობა **მე**-სა და **სხვები**-ს დაპირისპირებაზე დაჰყავს.

ერთ მხარეზეა **მე**, მეორე მხარეზე – **სხვები** და არავითარი გამონაკლისი. წინააღმდეგ შემთხვევაში ინდივიდუალიზმი არაა ინდივიდუალიზმი.

მორჩა და გათავდა.

აი, ესაა მკვეთრად გამოსახული ილუზია.

და რაც უნდა გამწარებული იყოს ასეთი სუბიექტი სოციუმზე, როგორც თვითონ უწოდებს ჯოგზე, მისი ილუზორული **მე** გათქვეფილია ცნება „ჩვენ"-ში, იმ მარტივი მიზეზით, რომ მისი მსგავსი ტუტუცების, ინდივიდუალისტების გარკვეული პლასტი, არმია არსებობს, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, ქმნიან ცნება „ჩვენ"-ს, ჯგუფს.

შესაბამისად, ინდივიდუალისტს ჰგონია, რომ ის არაა კონფორმისტი, იმ დროს, როცა სრულად ექცევა „ორიგინალების", „განსხვავებულების" ჯგუფის გავლენის ქვეშ.

ინდივიდუალისტების უმრავლესობა ვერ იაზრებს, რომ ის კონფორმიზმის ტყვეა და ღრმადაა დარწმუნებული საკუთარ ორიგინალურობაში. ასეთი მიიჩნევს, რომ მისი პირადი აზრი უბრალოდ ხანდახან სხვადასხვა დაჯგუფებების აზრს ემთხვევა. ხშირად ასეთები ინდივიდუალობის გამოსახატად განსხვავებულ მანერებს ამუშავებენ, ფეხზე ან ჭიპზე ბეჭდებსა და მძივებს იკეთებენ, მაისურზე საკუთარ ინიციალებს იწერენ, სხეულზე დრაკონებს იხატავენ,... საკუთარ თავს ხან პანკად, სატანისტად, ლიბერტარიანელად, როკერად, ხან პაციფისტად,... აცხადებენ. მათ ეს

ყველაფერი „თვითდამკვიდრებისთვის", არაკონფორმისტის იმიჯისთვის სჭირდებათ.

დევიზი — **„მე სხვა ვარ!"** უბრალოდ ილუზიაა და ისინი არსით მასისგან არ განირჩევიან.

ზემოთ ნახსენები ჯოგისგან განსხვავებით, ესაა გაბნეული ნახირი.

დავუბრუნდეთ ჯოგს, ჯოგურ პრინციპს — კონფორმიზმს.

ცნება კონფორმიზმის ბუნდოვანება იკვეთება იქიდან, რომ ეს ტერმინი პოლიტიკურ-მორალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ხედვის კუთხიდან განსხვავდება და არა მხოლოდ შეფერილობით, რაც თავისთავად, კონფორმიზმის შეძლებისამებრ, ზუსტ განმარტებას ითხოვს.

პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით, სიტყვა კონფორმიზმი ნიშნავს საზოგადოებაში, ჯგუფში გაბატონებულ ქცევას, გემოვნებასა და აზრებთან ინდივიდის შეგნებულ მორგებას, პასიურ შემგუებლობას, იმის მიუხედავად, გააჩნია თუ არა ინდივიდს სხვა გემოვნება და აზროვნება.

კონფორმიზმი, ესაა სოციუმის აღიარებულ ან მოთხოვნად სტანდარტებზე ორიენტირება.

კონფორმიზმს, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიურ ცნებას, როგორც იტყვიან, კონფორმულ ქცევას, სულაც არა აქვს შეფასების მკვეთრად გამოხატული ნეგატიური ხასიათი.

ფსიქოლოგიაში კონფორმიზმი განიხილება **მსგავსობის, შესაბამისობის** მნიშვნელობით და აღნიშნავს ისეთ ქცევას, როცა ინდივიდისა და საზოგადოების აზრთა შორის განსხვავებისას ინდივიდი ადაპტირდება და საზოგადოების აზრს ეთანხმება. ადაპტაცია კი არსებობისთვის აუცილებელი პირობაა.

დასკვნა: — ან პოლიტიკურ მორალს არა აქვს კავშირი სოციალურ-ფსიქოლოგიასთან, ან ცნება კონფორმიზმი ცალსახა ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლევა.

ჩანართი

როგორც აღვნიშნეთ, ნანატრი ცხოვრება არც **მე**-ზე და არც **ჩვენ**-ზე არაა დამოკიდებული.

მართლაც, თუ ფილოსოფიურ ცნება **მე**-ს, სევდის მცოხვნელ საქონელსა და ნონკონფორმისტს შორის არაა განსხვავება, რას უნდა ველოდოთ ადამიანისგან?

ასევე, თუ განსხვავება არაა **ჩვენ**-ს, ჯოგსა და კონფორმისტებს შორის, მაშინ რას უნდა ველოდოთ ასეთი სოციუმისგან?

დიახ, ამ განმარტებიდან გამომდინარე, ვერც კონფორმისტი და ვერც ნონკონფორმისტი ვერ შექმნის ნანატრ ცხოვრებას.

იბადება კითხვა, ნუთუ ისეთი **მე**-ები, როგორებიც არიან საამაყო ილია, ვაჟა, გალაკტიონი,... ან **ჩვენ** — ცხრა ძმა ხერხეულიძე, სამასი არაგველი,... შეიძლება მარტოობის მცოხნავად ან ჯოგად მოვიხსენიოთ?

ამ მტკივნეულ კითხვას პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს.

— რა თქმა უნდა, არა და არა!

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენთვის საერთოდ მიუღებელია, ადამიანს საქონელი უწოდო.

აქ ჩვენ სულ სხვა რამ გვაწუხებს.

ჩვენი მსჯელობა, უპირველესად, კატეგორიულად მიუღებელი იქნება სწორედ იმ სოციუმისთვის, ვინც ერთი მხრივ, მუდმივად აპელირებს სახელებით – არსაკიძე, ილია, ვაჟა, გალაკტიონი,... და მეორე მხრივ კი, სწორედ მან მოკვეთა არსაკიძეს მარჯვენა, ესროლა ილიას, არ დააფასა ვაჟა, ნიკალა, თვითმკვლელობამდე მიიყვანა გალაკტიონი, დახვრიტა ტიციანი, მიხელ ჯავახიშვილი,... დღეს კი, ჯერარდაბადებულ ილიასა და ვაჟას კლავს...

ამ სოციუმის წარმომადგენელი ვერასდროს მიხვდება, თუ რატომ ვერ ქმნის ვერც **მე** და ვერც **ჩვენ** ნანატრ ცხოვრებას, ხოლო ილია, ვაჟა, გალაკტიონი,... ჩვენზე უკეთ ხვდებოდნენ, რომ ცალკე აღებული **მე** ბევრი ვერაფრის გამკეთებელია.

„სიყრმე სიბერედ ვაქციე,
ერი კი ვერა – ერადა".

გავიხსენოთ ისეთი მძლავრი **მე,** როგორიც იყო ერეკლე II და ისეთი **ჩვენ,** როგორიც – სამასი არაგველი.

მართლაც, რწმენასა და ქვეყნის სიყვარულში მათ ვერავინ გაეჯიბრება.

ამის მიუხედავად, შედეგი ცნობილია – 1795 წლის 11 სექტემბერი. აოხრებული თბილისი, ქვეყანა, ამოხოცილი ბავშვები, ქალები, მოხუცები.

იმ დღეს საქართველოს თავისუფლებას წერტილი დაესვა.

კიდევ ერთხელ – თურმე, სამწუხაროდ, გამარჯვება, პროგრესი არც **მე**-ზე და არც **ჩვენ**-ზეა დამოკიდებული.

თავისთავად იბადება კითხვა: რაში დასჭირდათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა ცნებების – კონფორმიზმის, ნონკონფორმიზმის დამკვიდრება და ამ სიტყვებით მანიპულირება?

სანამ ამ მანიპულირებაში გავერკვევით, შევხედოთ სოციუმის კლასიფიკაციას პლატონის ფილოსოფიის ხედვის კუთხიდან.

სიკეთის იდეა

ბრბო, ნახირი, ჯოგი, მასა,... საიდან ჩნდება ეს ადამიანის, ადამიანთა ნაკრების არსის შეურაცხმყოფელი სიტყვები.

მართლაც, ადამიანი ერთი მხრივ, ბუნების, სამყაროს გვირგვინი შექმნილია ხატად მისა და იმავდროულად ჯოგის, ნახირის შემადგენელია.

ამ ურთულეს, დამაფიქრებელ საკითხში გარკვევა, ცნება იდეის გარეშე, უბრალოდ შეუძლებელია.

ცნება იდეაზე შეძლებისდაგვარად სერიოზული საუბარი ქვემოთ გვექნება. აქ იძლებულნი ვხვდებით ზედაპირულად შევეხოთ იდეას განსახილველ პრობლემასთან მიმართებაში.

რაც უნდა შორს იყოს ადამიანი აზროვნებისგან, ფილოსოფიისგან, მას ყურმოკვრით მაინც ექნება გაგებული სახელები სოკრატე, პლატონი. ადამიანთა აზროვნებაში ცნება იდეა სწორედ მათ შემოიტანეს.

მარტივად რომ ვთქვათ, იდეა არის საგანთა კლასიფიცირების, განზოგადების მოდელი.

მაგალითად, არსებობს მრავალნაირი ცხენი – არაბული, ჯუჯა (პონი), თეთრი, შავი,... მაგრამ ამ კლასს აქვს ერთი საერთო – ”ცხენურობა”. ცხენთა მრავალფეროვნებაში არსებობს უფრო სრულყოფილი და ნაკლებად სრულყოფილი ცხენი. ცხადია, ცხენის იდეასთან ყველაზე ახლოს უნდა იყოს სრულყოფილი ცხენი. თუ საკითხს ასე მივუდგებით, ძნელი მისახვედრი არაა, რომ იდეა საგნის სრულყოფილების ზღვარია.

პლატონისთვის იდეა არის ის, რასაც სრულყოფა აღარ სჭირდება.

ასევე, ადამიანთა გაერთიანება სოციუმი შეიძლება ამგვარად წარმოვადგინოთ – ბრბო, მასა, ხალხი, საზოგადოება.

ცხადია, ამ კლასში სოციუმის იდეისგან ყველაზე შორს მყოფია ბრბო. მის შემდეგ მოდის მასა. ხარისხობრივად მასზე მაღლა დგას ხალხი. ხოლო საზოგადოება კი, სოციუმის ყველაზე გონივრული ნაწილი, ყველაზე ახლოს მდგომია ცნება სოციუმის იდეასთან.

იკითხავთ, ამ ჩამონათვალში სად არის ერი?

რადგან ჩვენთვის საზოგადოება სოციუმის გონებაა, გამოდის, რომ ერი არის ის უმაღლესი ფასეულობა, გრძნობა, რომელიც კრავს ამ გონს – საზოგადოებას.

თუ სოციუმს, როგორც სისტემას, არ გააჩნია მთავარი ქვესისტემა, საზოგადოება, გონივრულობა, ეს ნიშნავს ერთს, ამ სოციუმს აკლია მგრძნობელობა, ეროვნულობის განცდა და შესაბამისად, ვერასდროს შექმნის უმაღლეს იდეასთან ახლოს მყოფ სისტემას – სახელმწიფოს.

მხოლოდ გონივრულობა, საზოგადოება ქმნის ერის გვირგვინს – სახელმწიფოს.

გამოდის, რომ ერთი კლასის საგნები იდეასთან მიმართებაში თავიანთი სრულყოფის ხარისხით განსხვავდებიან.

პლატონის აზრით, იდეა არ არის აზრი, სიტყვა.

აზრი, სიტყვა ადამიანის პროგრამატივაა. პლატონის იდეა კი არსებობს ობიექტურად, ადამიანის გარეშეც.

ამრიგად, საგნის იდეა შეიძლება არსებობდეს საგნის გარეშეც.

იდეა შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ ზოგად ცნებად, რაც ახასიათებს საგნებს.

აქ დასაზუსტებელია – არსებობს კი რეალობაში იდეა, ზოგადი, მაგ. ზოგადი ფანქარი, ადამიანი?

შევეცადოთ, ამ კითხვას შეძლებისდაგვარად დამაჯერებელი პასუხი გავცეთ.

განვიხილოთ რკინის ნაჭერი, ქვა, წყალი. რა აქვთ მათ საერთო? შეიძლება მათი შედარება?

ან რას ნიშნავს განსხვავებული საგნების შედარება.

მართლაც, წყალს, რკინას, ქვას ხომ არ შევადარებთ ერთმანეთს რკინურობით, ქვაურობით ან წყალურობით (საინტერესო სიტყვებია, ნეტავ სწორად თუ ჩავწერეთ)?

— არა. ჩვენ მათი შედარება შეგვიძლია იმით, რაც მათთვის საერთოა. ეს საერთო, ზოგადი არის მასა. მასა გამოსახული გრამებში, კილოგრამებში.

დაუკვირდით, რომ არ ყოფილიყო ეს საერთო, ზოგადი (გრამები, კილოგრამები), არ იქნებოდა შედარების, გაზომვის პროცესი.

უარყავით ეს ზოგადი და აღარ იარსებებს მეცნიერება.

ე.ი ზოგადი, იდეა რეალურად არსებობს.

პლატონის აზრით, იდეათა სიმრავლეს ახასიათებს იერარქია და ამ იერარქიის წვერშია სიკეთის იდეა.

მისი აზრით, სიკეთის იდეა არის **ის, რაც ანიჭებს შემეცნებად საგნებს ჭეშმარიტებას.**

ის, რაც ადამიანს შემეცნების უნარს ანიჭებს, ჩათვალე სიკეთის იდეად.

ისაა ცოდნის და ჭეშმარიტების შემეცნების მიზეზი.

რაც უნდა მშვენიერი იყოს შემეცნება და ჭეშმარიტება, მიუხედავად ამისა, თუ შენ ჩათვლი სიკეთის იდეას უფრო ამაღლებულად, უფრო მშვენიერად, იქნები მართალი.

საგნები წარმოიქმნება იდეის მიმბაძველობით, მიისწრაფვიან მისკენ როგორც მიზნისკენ.

დასაფიქრებელია, რატომ მაინცდამაინც სიკეთის და არა მაგ., ჭეშმარიტების, მშვენიერების იდეა? — იმიტომ, რომ სიკეთის იდეა სილამაზის იდეაშიც მჟღავნდება და ჭეშმარიტების იდეაშიც.

სიკეთე, ეთიკურობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე ესთეტიკურობა (სილამაზე) და მეცნიერული შემეცნება (ჭეშმარიტება).

ესთეტიკური, შემეცნებითი, პოლიტიკური,... ყველაფერი უნდა იზომებოდეს სიკეთის იდეით და გარწმუნებთ, რომ სიკეთის იდეის შემოტანა ესაა სამყაროს ყველაზე ბალანსირებული სურათი.

შეცვალეთ სიკეთის იდეა ნებისმიერი სხვა რამით და მიიღებთ სიმახინჯეს, იმას, რასაც გარშემო ხედავთ.

ცხადია, ყველა დროსა და სივრცეში მოიძებნებიან ფილოსოფოსები, რომელთათვის იდეის არსებობა ადამიანისგან დამოუკიდებლად, ობიექტურად სისულელეა, აბსურდია.

მათი აზრით, პლატონი თავისი ფილოსოფიით ვერ პასუხობს კითხვას — თუ სიკეთის იდეაა უმაღლესი, განჭოლავს მთელ სამყაროს და ის თანაზიარია ჭეშმარიტების, სილამაზის, სიკეთის,... მაშინ საიდან გაჩნდა ამ სამყაროში ჭუჭყი, ძონძი, ნაგავი, უსახური, სიყალბე,...

მართლაც, თუ უმაღლესი იდეები — სიკეთე, ჭეშმარიტება, სილამაზე, კანონზომიერება,... განჭოლავს სამყაროს და ამ სამყაროში არსებობს საოცრება, გვირგვინი, გონის მატარებელი არსება — ადამიანი, როგორ ხდება,

რომ ამ არსებათა ნაკრები ე. წ. სოციუმი ეშვება ისეთ დონეზე, რომ ჩნდება განსაზღვრებები – ნახირი, ჯოგი, ბრბო,...

შევეცადოთ, პასუხი გავცეთ ამ კითხვას.

ჩვენ მიერ შექმნილი „მატრიცული თეორიის" თანახმად, სიკეთის იდეა თავის თავში მოიცავს უმაღლეს სულიერ ფასეულობებს, როგორიცაა განვითარება, შემოქმედება,... და ყველაზე მნიშვნელოვანი, უმაღლესი ინსტანცია – ცნება თავისუფლება, რაც არის ყოველგვარი განვითარების და შემოქმედების საფუძველი, საყრდენი.

თავისუფლება, როგორც უმაღლესი ფასეულობა, ადამიანს თანდაყოლილი აქვს. შესაბამისად, მას აქვს არჩევანის თავისუფლება, მიიღოს ან არ მიიღოოს მისი არსის გამჭოლი სიკეთის იდეა.

აქ შეიძლება გაჩნდეს შემდეგი კითხვა – თუ სიკეთის იდეა ჩემს ბედნიერებას ემსახურება, რატომ არ მაიძულებს მივიღო ჭეშმარიტება, გონივრულობა,...?

პასუხი თვით ამ კითხვაშია, რადგან იძულება უკვე თავისთავად არაა სიკეთე, იძულებითი თავისუფლება აღარაა თავისუფლება.

ჩნდება მეორე, არც თუ ისე გონებამახვილური განცხადება, პროტესტი – კარგია რომ მაქვს თავისუფალი არჩევანი და ამ არჩევანის უფლებით არ მინდა, მეზარება გავერკვე რაღაც კანონზომიერებებში, ფილოსოფიებში, კანტსა და ჰეგელებში, ვინსეტ ვან გოგებში, რაღაც ჭეშმარიტების კატეგორიებში,... არ მაინტერესებს პლატონისა და სოკრატეს რაღაც სიკეთის ობიექტური იდეები,... ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ბოროტების მხარეზე გადავდივარ. ხომ არ ნიშნავს, რომ ბოროტება მომწონს?

გამანებეთ თავი, მინდა ვიყო ჩემთვის. ვაცხადებ ნეიტრალიტეტს. ნუ გამიჭირეთ საქმე თქვენი ფილოსოფიით, თქვენი ღრმა აზრებით.

ამ, ასე ვთქვათ, აზრს შევხედოთ მეცნიერული ლოგიკით.

წარმოიდგინეთ იდეალური კრისტალი, რომლის კვანძებში განლაგებულია დადებითი ნაწილაკები კანონზომიერების სრული დაცვით.

დავუშვათ, ეს იდეალური წყობა დატოვა კვანძში მყოფმა ერთმა დადებითმა ნაწილაკმა და მის ადგილას შეიქმნა სიცარიელე.

რა მოხდა მერე, უბრალოდ მივიღეთ უწყინარი, ნეიტრალური არავის შემწუხებელი თავისთვის მყოფი სიცარიელე.

აი, აქ იწყება ყველაზე საინტერესო მოვლენა.

რა გასაოცარიც უნდა იყოს, ამ „უწყინარ", „ზარმაც" სიცარიელეს უჩნდება დადებითი ნაწილაკის საპირისპირო, უარყოფითი თვისებები, ის იწყებს მოძრაობას, დიფუზიას კრისტალში და თან გადააქვს შეძენილი უარყოფითი მახასიათებლები.

ზუსტად ასევე, თუ სივრცე, სოციუმი „გაჟღენთილია" სიკეთის იდეებით და ერთმა სიკეთით განჭოლილმა არ აღიარა, არ მიიღო სიკეთის იდეა, თითქოს არაფერი, უნდა წარმოშობილიყო უბრალოდ „უწყინარი" სიცარიელე.

არა, დავიმახსოვროთ ერთხელ და სკლეროზამდე, სიკეთის არმიღებისას, სიკეთის იდეის არარსებობისას წარმოიშვება არა ,,უწყინარი'', ,,უშფოთველი'' სიცარიელე, არამედ სიკეთის სიმძლავრის საპირისპირო ფენომენი ბოროტება. და რაც უფრო მეტი სიმძლავრის სიკეთის უარყოფა, არმიღება ხდება, მით მეტი სიმძლავრის ბოროტება იბადება.

ეს ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, სიკეთეს, გონივრულობას როგორც მაგ., სინათლეს, სჭირდება წყარო მზე, სანთელი,...

ბოროტებას, სიბნელეს კი წყარო არ სჭირდება. სიბნელე სინათლის არმიღებით, უარყოფით წარმოიშვება.

სინათლის გადაკეტვით, უარყოფით სიცარიელე კი არა, სიბნელე, ბოროტება იბადება.

ვიმეორებთ, დასკვნა ერთია: **სიკეთის, ჭეშმარიტების, გონივრულობის არმიღებით ჩვენს არსში ჩნდება არა უწყინარი ოლიგოფრენიული სიცარიელე, არამედ მძლავრი, შემტევი, დაუნდობელი ბოროტება.**

ახლა მთელი სისრულით გასაგები ხდება აბსოლუტური იდეის, აბსოლუტური სიკეთის, აბსოლუტური ჭეშმარიტების სიტყვები: **ვინც ჩემთან არაა, ის ჩემი წინააღმდეგია.**

დიახ, სიკეთეს აქვს საწყისი და ის აბსოლუტია. ბოროტებას არა აქვს საწყისი, საფუძველი, საყრდენი, ის სიკეთის, აბსოლუტის უარყოფაა. საყრდენის არარსებობა მეტასტაბილური მდგომარეობაა და რაც მძლავრია ბოროტება, მით სწრაფად ეცემა, ნადგურდება. ამიტომაა, რომ ფაშიზმმა მხოლოდ თორმეტიოდე წელი იარსება, ხოლო ბოლშევიზმმა – სამოცდაათი.

სიკეთის უარყოფა პროცესია, მეტასტაბილური მდგომარეობაა.

თქვენ იტყვით: ადამიანთა ისტორია გვიჩვენებს, რომ ბოროტება მეტასტაბილური კი არაა, მდგრადია. არა, გეშლებათ. სიმრავლე მდგრადობას არ ნიშნავს. ყველაფერი ის, რაც გონივრულობას უარყოფს, დინოზავრივით სამყაროს კანონზომიერებაში არ ეწერება, პრეისტორიული ხვლიკივით განწირულია. არ გჯერათ? გავაგრძელოთ გონივრულობის არმიღება, უარყოფა და შედეგსაც მალე ნახავთ.

დიახ, სოციუმი რომელიც არ ღებულობს სიკეთეს, გონივრულობას, აბსოლუტურ იდეას, გადადის იმ განსაზღვრულობაში რასაც ჯოგი, ნახირი, ბრბო შეიძლება ეწოდოს. ოღონდ გვახსოვდეს, რომ ეს არაა ადამიანის, ადამიანთა ნაკრების არსი, ესაა, როგორც აღვნიშნეთ, მდგომარეობა. შესაბამისად, საკმარისია, არ დავემალოთ სიკეთის იდეას და იმ წამსვე იბადება მუდმივი, მდგრადი ჩაკრულო, ვეფხი და მოყმე, სვეტიცხოველი,...

ჩანართი

დავფიქრდეთ

ცნებებით მანიპულირება

დავუბრუნდეთ კითხვას: რაში დასჭირდათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა ცნებების — კონფორმიზმის, ნონკონფორმიზმის დამკვიდრება და ამ სიტყვებით მანიპულირება?

ცნება კონფორმიზმის დეფინიციის ბუნდოვანება საკითხისადმი უფრო მკაცრ მიდგომას მოითხოვს.

მართლაც, კონფორმიზმის ცნებიდან გამომდინარე, გაუგებარია, ჩავთვალოთ თუ არა კონფორმისტად ადამიანი, რომელიც განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, არ ეწინააღმდეგება ჩვეულებებს, ტრადიციებს, ადათს.

რა ვუყოთ ზრდილობას, ქცევის გაბატონებულ წესებს?

რა ვუწოდოთ ადამიანს, რომელიც ვერ ეწინააღმდეგება მოდას და იმავდროულად თავს არაკონფორმისტად თვლის?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას სხეულზე ორიგინალური ტატუირება, ბრჭყვიალა რგოლები და პანკობაც ვერ უშველის, რადგან ესეც მოდაა.

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაექცევა ცხოვრებისთვის, სიცოცხლისთვის უმნიშვნელოვანეს ცნებას, რასაც სტანდარტიზაციას უწოდებენ.

რათა კონფორმისტი არ გვიწოდონ, ცხოვრებაზე უარი ხომ არ უნდა ვთქვათ?

გამოდის, რომ მეტ-ნაკლებად ყველანი კონფორმისტები ვართ.

თუ ყველა კონფორმისტია, მაშინ მისი საწინააღმდეგო ცნება — ინდივიდუალისტი — არ უნდა არსებობდეს.

თუ ეს უკანასკნელი დასკვნა თქვენთვის მიუღებელია და ამასთან კონფორმიზმის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლიათ, მაშინ იმის უფლება მაინც მოგვეცით, რომ ვიმსჯელოთ კონფორმიზმის ხარისხზე. კონფორმიზმის ხარისხში ალბათ ის უნდა ვიგულისხმოთ, თუ რა დონით ემორჩილება ინდივიდი ჯგუფის, სოციუმის სტანდარტებს და მოთხოვნებს. ის შეიძლება ემორჩილებოდეს მთლიანად, სამი მეოთხედით, ან ნახევრად და ასეთი ჩავთვალოთ კონფორმისტად ან არაკონფორმისტად — ინდივიდუალისტად. ეს იგივეა, რომ ნახევრად არაკონფორმისტი ნახევრად ორსულს შევადაროთ.

ნახევარი ჭიქა წყალი პესიმისტისთვის ნახევრად ცარიელია, ოპტიმისტისთვის — ნახევრად სავსე.

თუ ესეც მიუღებელია თქვენთვის, მაშინ მივდივართ კონფორმისტის არსის ცვლილების აუცილებლობასთან, ეს იგივეა, რაც სპექტაკლში სცენის დეკორაციის ცვლილება.

სცენა I

ინდივიდი არ იცვლის შეხედულებებს, მაგრამ ამას ხმამაღლა არ გამოთქვამს. ის წინააღმდეგობაში არ შედის სოციუმში გაბატონებულ აზრთან, რომელსაც მხოლოდ გარეგნულად ეთანხმება. მიდის მიტინგზე, საარჩევნო ურნასთან, მარჯვენა ხელით აძლევს ხმას, მარცხენა ხელით კი

ჯიბეში ბრანწს აკეთებს, მაგრამ თუ გარედან წნეხი შემცირდა, ან გაქრა (მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო), მაშინ მედგარი გმირი, ანტიკონფორმისტი ხდება, რადგან თავის დროზე ჯიბეში ბრანწი გააკეთა.

სცენა II

იგივენი და გამოსვლა სხვა.

ინდივიდი აზრს იცვლის არა იმიტომ, რომ არგუმენტაციას ვერ გაუძლო, არამედ იმიტომ, რომ წინააღმდეგობის გაწევის ეშინია. არც ეს არის კონფორმისტი, რადგან მისი აზრით, ტრადიციას, ადათ-ჩვეევებს ვერ ღალატობს. მას იცავს ტრადიციული ლოზუნგი, ფარი წარწერით – „დათვი რომ მოგერევა, ბაბაია დაუძახეო" ან „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო".

სცენა III

იგივენი და გამოსვლა სხვა.

ინდივიდი არაკომპეტენტურად თვლის თავს. უბრალოდ ვერ ერკვევა პრობლემაში, ვერ ხვდება საიდან განიცდის ზეწოლას, თორემ მოძალადეს კუდით ქვას ასროლინებდა. და თუ თავის გამოშტერება მაინცდამაინც არ ეხალისება, ამისთვის მრავალფეროვანი არსენალია მის განკარგულებაში – არ მცალია, დავიღალე, არ მჯერა, დავბერდი, მე ჩემი გავაკეთე, დაიწყე და მოვდივარ,... ასეთი სულაც არ თვლის თავს კონფორმისტად.

სცენა IV

იგივენი და გამოსვლა სხვა.

მის გარდა დამნაშავეა ყველა, რადგან აჩქარდნენ, პრობლემის არსში ვერ გაერკვნენ. „მე ხომ ვამბობდი...", „სხვა გზით უნდა წასულიყვნენ", „ამ ხალხს, ინტუიციის სახით, რაციონალურობა აკლია"... სხვა სიტყვებით, თქვენ წინაშე სულაც არ დგას კონფორმისტი. თქვენ წინაშეა ინტუიციით აღჭურვილი რაციონალური მეძავი.

სცენა V

იგივენი და გამოსვლა სხვა.

ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ საკუთარსა და სოციუმში გაბატონებულ აზრს შორის. შესაბამისად, არავითარ კონფორმიზმს ჩემი მხრიდან ადგილი არა აქვს.

აქ შეიძლება გაჩნდეს ერთი, არც ისე გასაკვირი ფენომენი, როცა ინდივიდი გრძნობს, რომ შიშისგან უბრალოდ ჩასვრილია, ის საკუთარი არაკონფორმიზმის, ინდივიდუალიზმის გამოსავლენად იმ ჯგუფს კი არ უწევს წინააღმდეგობას, ვისი პრესის ქვეშაც იმყოფება, არამედ მზადაა, გაანადგუროს, მისი აზრით, სუსტი ჯგუფი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის მიმართ საწინააღმდეგო არგუმენტები არ გააჩნია.

კიდევ მრავალი სხვა სცენის გახსენებაა შესაძლებელი, მაგრამ ესეც საკმარისია, დასკვნის გამოსატანად – ცნება კონფორმიზმსაც ღრმა გააზრება სჭირდება.

ამრიგად, საჭიროების მიხედვით ან კონფორმისტად გამოგაცხადებენ, ან – ინდივიდუალისტად.

ყოველივე ეს ჩვენ მიერ კონფორმიზმისა და ინდივიდუალიზმის ილუზორულ გააზრებაზე მიგვანიშნებს.

ინდივიდუალიზმი და დამოუკიდებლობა, კონფორმიზმი და თანამშრომლობა (კონფორმიზმის კერძო შემთხვევა), თითქმის სინონიმებია და თუ ეს ასეა, მაშინ ამას უცილობლად მივყავართ ალტერნატივასთან – „ინდივიდუალიზმი თუ კონფორმიზმი", „დამოუკიდებლობა თუ თანამშრომლობა" და დგება პრობლემა – თანამშრომლობა ვისთან, მცოხნავებთან თუ სისხლისმსმელებთან?

უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, მივედით **მე**-სა და **ჩვენ**-ს შორის ურთულეს დამოკიდებულებასთან, რომლის ამოუხსნელობა ყოფნა-არყოფნის ზღვართან უცილობლივ მიგვიყვანს.

დავფიქრდეთ, დამოუკიდებლობაში ალბათ იძულებისგან თავის დაღწევა იგულისხმება. სწრაფვა იმისკენ, რომ იცხოვრო ისე, როგორც შენ გეჩვენება მართებულად, შეგეძლოს დაიცვა საკუთარი თავი, აზრი, იდეა.

მეორე მხრივ, ინდივიდუალური ავტონომიის რეალიზაცია გულისხმობს ინდივიდის ჩართვას რაღაც სოციალურ ჯგუფში, სხვა სიტყვებით, ადაპტირებას სოციალურ სისტემასთან.

მართლაც, ამის გარეშე გაგიჭირდებათ, მაგ., ჯგუფის, გუნდის გარეშე ფეხბურთის თამაში. პარტნიორის, მწვრთნელის, დამხმარე ჯგუფის გარეშე ინდივიდუალური განვითარება, მოჭადრაკის ან მევიოლინეს პროფესიული ზრდა უბრალოდ შეუძლებელია.

ჯგუფთან ადაპტირების გარეშე, მისი იგნორირების შემთხვევაში, იკარგება თვითკონტროლი, რაციონალურობა და ადვილად მკვიდრდება ირაციონალური იმპულსები.

შედეგი – დამარცხება, დაჩოქება, განადგურება.

დეინდივიდუალიზაციას, ყველაფრის დავიწყებას და მათ შორის საკუთარი მე-ს დავიწყებას, დიდი ალბათობით, მივყავართ აგრესიულობასთან, არამოტივირებულ სისასტიკესთან, ვანდალიზმთან ან პიროვნულ ფსიქოლოგიურ დეგრადირება-განადგურებასთან.

ზემოაღნიშნულ მსჯელობას უცილობლად მივყავართ **მე**-სა და სხვა **მე**-ს შორის, ჩვენსა და ჩვენგან განსხვავებული აზრის მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთდაპირისპირების რეგულირების კანონზომიერების გააზრების აუცილებლობასთან.

მე-ს არარსებობა, ესაა საკუთარი აზრის არარსებობა.

პრიმიტიულ ადამიანს ისე არაფერი აწყნარებს, როგორც საკუთარი აზრის აბსოლუტური არქონა.

ეს არა მარტო ყველაფრის ღალატი, არამედ პირველ რიგში საკუთარი თავის ღალატია.

დაყრდნობა მხოლოდ იმაზე შეიძლება, რასაც წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია.

სწორედ ამიტომ გვჭირდება ახალი ხედვა, ახალი აზროვნების დონე, ისეთი ფილოსოფია, რომელიც გაგვათავისუფლებს ამ უსახური აზროვნებისგან და ეს თავისუფლება ჩვენი ყოფის სიმახინჯეს გაანადგურებს.

ამიტომაა საჭირო, ისეთი მთავარი ქვესისტემის შექმნა, სადაც ცნებები დამოუკიდებლობა და თანამშრომლობა ჰარმონიული და შეთავსებადი იქნება.

ჩანართი

ადამიანისთვის, როგორც სოციალური არსებისთვის, დამახასიათებელია მის გარემომცველ ჯგუფში დამკვიდრებული ქცევების მიმბაძველობა ადაპტაციის მიზნით.

სწორედ ეს თვისება უკვე მოიცავს კონფორმიზმის საფუძველს. ხშირად ადაპტირების აუცილებლობა ადამიანს კონფლიქტის შემცირება-აცილების მიზნით შეგნებულ უკან დახევას აიძულებს. ეს მიმბაძველობა ბადებს იმ ფენომენს, რაც ჩვენთვის აზრობრივ ზეგავლენას, მისთვის კი მიუღებელ აზრზე დათანხმებას ნიშნავს.

ამ დროს ხშირად კონფორმისტი ვერც კი ამჩნევს, როგორ შეიცვალა აზრი და ეს ხდება თავისთავად, გულწრფელად. მას სწამს, რომ ჯგუფი მართალია. საინტერესოა, რომ ამ ახალ აზრს ის ავითარებს მაშინაც, როცა ჯგუფის ზეწოლა, ზეგავლენა აღარაა.

მაგ., თუ სუბიექტი აღიარებს აინშტაინის ფარდობითობის თეორიას და ზედაპირული წარმოდგენაც კი არა აქვს ამ თეორიაზე, შეიძლება მას მკვეთრად გამოხატული კონფორმისტი ვუწოდოთ?

ცხადია, არც ისაა სადისკუსიო, რომ აუცილებელია, მსგავს შემთხვევებში კომპეტენტურთა მოსაზრებას და მსჯელობას ვენდოთ. თუმცა, თვით პიროვნების კომპეტენტურობაც ღრმა დაფიქრებას მოითხოვს.

ნდობა ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ უმრავლესობაში ნდობა გულუბრყვილობასა და მიამიტობაში გადადის. ასეთები მარტივად ექცევიან აზრობრივი ზეგავლენის, შთაგონების ქვეშ.

ფაქტობრივად, პოლიტიკური და არაპოლიტიკური შულერები მათთვის სასურველი აზრის სოციუმისთვის თავსმოხვევის მიზნით ადამიანთა ამ თვისებას წარმატებით იყენებენ.

შედეგი – პიროვნების და სოციუმის პერმანენტული გამოთაყვანება.

მეცნიერულმა გამოკვლევებმა დაგვანახა, რომ შთაგონებისადმი, ზეგავლენისადმი და კონფორმიზმისადმი მიდრეკილება ადამიანს ბავშვობიდანვე ახასიათებს და მიჰყვება სიცოცხლის ბოლომდე.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: – უმრავლეს შემთხვევაში, ჯგუფში გათქვეფილი ადამიანისგან არ უნდა ველოდოთ ორიგინალურ, განვითარებად აზრს.

ცხადია, არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში უსახურ ჯგუფში გათქვეფა და შემოქმედებით ჯგუფში ამაღლებული დიალექტიკა.

ხშირ შემთხვევაში, კონფორმიზმის საფუძველი ეყრდნობა ილუზორულ ლოზუნგს – უმრავლესობა არ ცდება.

აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ადამიანი გაურბის პასუხისმგებლობას და ეს უბიძგებს მას უსაფუძვლო, გაუაზრებელი ნდობისკენ.

აქ უნებლიედ გახსენდება კონ ფუ ძის სიტყვები:

„ყველაფერი ამაზრზენი, რაც ხდება ცისქვეშეთში, გაუნათლებლობის ბრალია".

და ეს გაუნათლებლობა ჩვენს ყოფიერებაზე ისახება.

ყოფიერება – არაყოფიერება

რაა ყოფიერება, არსებობა?

ყოფიერიდან, არსებულიდან რაა დამოკიდებული ადამიანზე და რა არა?

არსებულიდან რაზეა დამოკიდებული ადამიანი?

ეს სამი ფუნდამენტური კითხვა ჩვენი ინტერესის ჭრილში ასე გამოისახება:

რა შეუძლია ადამიანს?

შემეცნებადაინტერესებულთ ეს უმნიშვნელოვანესი კითხვები დასაბამიდან აწუხებდათ. თავიდან, ერთი შეხედვით, ეს კითხვები მარტივად მოგეჩვენებათ და ჩნდება პრიმიტიული პასუხი – ყოფიერება, არსებობა არის ის, რასაც ვხედავ, რასაც ვგრძნობ, რასაც ვეხები.

– რაა ამაში რთული და გაუგებარი?

– მაგრამ გრძნობთ კი ნეიტრონებს? ხედავთ კი სიღატაკის მიზეზებს? შეგიძლიათ სულს ხელით შეეხოთ?

დიახ, ჩვენი ხედვა, გრძნობა, შეხება, ცოდნა არა მარტო ფარდობითია, ცვალებადი, არამედ უმეტეს შემთხვევაში – ილუზორული და არასრულყოფილიც.

მხოლოდ ჩვენთან, საქართველოშია შესაძლებელი, ადამიანმა გატაცებით, ენერგიულად იმსჯელოს იმაზე და ამტკიცოს ის, რაშიც დარწმუნებული არ არის, რაც არ იცის.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი არსებული მხოლოდ ჩვენი ცოდნიდანაა წარმოებული.

უძველესი დროიდან ყოფიერებაზე, არსებობაზე გამოიკვეთა ორი – მონისტური და დუალისტური მიმართულება. მონისტების აზრით, ყოფიერება არის ღმერთი. არსებობს მხოლოდ ერთი სუბსტანცია – ღმერთი, დანარჩენი ყველაფერი მისგანაა შექმნილი. და ეს აზრი მკვეთრად განსხვავდება იმათი აზრისგან, ვინც ღრმადაა დარწმუნებული, რომ ღმერთმა შექმნა მხოლოდ სამყარო, ყველაფერი დანარჩენი კი მზადდება ჩინეთში.

დუალისტების აზრით კი არსებობს არა მარტო ღმერთი, არამედ მისი საწინააღმდეგო, საპირისპირო სუბსტანციაც.

მაგ., ზოროასტრიზმში არსებობს ბოროტების განსახიერება აჰრიმანი, რომელსაც სიკეთის ქმნა არ შეუძლია და მხოლოდ თავისუფალი შემოქმედებითი სულის, ორმუზდის მიერ შექმნილი სიკეთის განადგურება ხელეწიფება (ეს აჰრიმანი ისე ენერგიულად ანადგურებდა სიკეთეს და გონივრულობას, რომ ალბათ გენეტიკურად ქართული პოლიტიკური სპექტრის ფესვები უნდა ჰქონოდა). აჰრიმანი ბოროტების, ავადმყოფობის, სიღატაკის,... წყაროა, ის ბოროტი სულების, სიბნელისა და სიკვდილის მბრძანებელია. აჰრიმანი ყველაფრის გამანადგურებელი სულია.

დუალისტური მიდგომა თავისივე არსში წინააღმდეგობას მოიცავს. აქ ჩნდება პირველადობის პრობლემა.

თუ არაყოფიერი ყოფიერის უარყოფაა, მაშინ ის არ უნდა არსებულიყო ყოფიერებამდე. ამრიგად, არაყოფიერი გამოდის მეორადი, რაც ორი სუბსტანციის არსებობას ეჭვქვეშ აყენებს.

შესაბამისად, როგორც კი იქმნება ყოფიერება, არაყოფიერიც გვევლინება ყველგანშემაღწეველი სიბნელითა და ბოროტებით.

დუალიზმის არსში არსებული ზემოაღნიშნული წინააღმდეგობის მიუხედავად, დუალისტები მაინც ორი სუბსტანციის – ღმერთისა და სატანის ერთდროულ არსებობას აღიარებენ.

ანტიკურმა ფილოსოფიამ მძლავრი ნაბიჯი გადადგა ყოფიერების ფილოსოფიურ გააზრებაში.

განსაკუთრებით საყურადღებოა პარმენიდეს, დემოკრიტეს, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს,... მოსაზრებები. მაგ., პლატონმა შემოიტანა წმინდა ყოფიერების, წმინდა იდეის ცნება. მისი აზრით, წმინდა ყოფიერება, წმინდა იდეა უცვლელია, მუდმივია, მიუღწეველია გრძნობითი აღქმისთვის. მატერიალური სამყარო კი იდეათა სამყაროს, წმინდა ყოფიერების წარმოებულია, ჩრდილია. მატერია მეორადია, ის ქრება, იდეა – არა.

პლატონმა წმინდა ყოფიერებას, წმინდა იდეას ადგილიც კი მოუძებნა. ის ცის ღმერთის, ურანოსის სამყოფელის ზემოთაა. ამ იდეათა სამყაროს სივრცეს პლატონმა ჰიპერურანია უწოდა.

სოკრატესა და პლატონის მიერ იდეათა ყოფიერების დამკვიდრებამ უდიდესი როლი ითამაშა ადამიანის ცნობიერების არეალის გაფართოებაში.

თავისთავად ცხადია, თუ არსებობს ყოფიერი, როგორც აღვნიშნეთ, უნდა არსებობდეს არაყოფიერიც.

ყოფიერზე, არაყოფიერზე, არაფერზე ყველას თავისი წარმოდგენა აქვს. შევეცადოთ, გავერკვეთ, რას გულისხმობენ ყოფიერში, არაყოფიერში და არაფერში.

არაყოფიერი

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, თუ ყოფიერი ყველაფერია, მაშინ მისი საწინააღმდეგო – არაყოფიერი გამოდის **არაფერი.**

მათი აზრით, **არაყოფიერი, როგორც ყოფიერის უარყოფა, არ არის რაღაც. ის არაფერია.**

ბუდიზმში ,,არაფერი'' განიხილება როგორც სიცარიელე – **შუნიატა**. და ეს სიცარიელე განსხვავდება დემოკრიტეს ატომებს შორის არსებული სიცარიელისგან. ბუდისტური შუნიატა არის ყველაფრის წყარო და ყველაფრის მიზანი. დემოკრიტეს ცარიელი სივრცე კი აღნიშნავს მხოლოდ სიცარიელეს და სხვას არაფერს.

დემოკრიტეს სიცარიელისგან საკმაოდ განსხვავდება ფიზიკური ვაკუუმი, თუმცა რაღაცით ჰგავს შუნიატას, იმ გაგებით, რომ ფიზიკურ ვაკუუმში რაღაც წარმოიქმნება და რაღაც ქრება.

პლატონს თავისი წარმოდგენა აქვს ყოფიერებაზე. მან შემოიტანა ცნება წმინდა ყოფიერება. ცხადია, წმინდა ყოფიერებაში აზრს კარგავს ცნება ჭეშმარიტება, რადგან წმინდა ყოფიერება თვით ჭეშმარიტებაა.

დიახ, სინათლეში სინათლეს, თეთრში თეთრს აზრი არა აქვს.

შესაბამისად, არსებობის ამგვარ გაგებაში ცნება ჭეშმარიტება დაკავშირებული უნდა იყოს რეალურ, მიმდინარე ყოფიერებასთან. ცნება მიმდინარე ცვალებადობას მოიცავს. ხოლო ცვალებადობა აღიწერება იმ ფენომენით, რასაც დროს ვუწოდებთ.

ჩნდება კითხვა: დრო, წარსული ყოფიერია თუ არაყოფიერი?

– წარსული, ერთი მხრივ, ყოფიერია, რადგან წარსული ხომ იყო.

მეორე მხრივ, არაყოფიერია, რადგან უკვე აღარაა.

მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ განსხვავებაა **რაც იყო და აღარაა,** იმასა და **რაც არ იყო და არაა,** იმას შორის.

როგორც ამჩნევთ, თვით არაყოფიერი, როგორც არაფერი, მინიმუმ ორი ფერით გამოისახა.

გამოდის, რომ არაფერი რაღაც ფერი ყოფილა.

ცხადია, რაც იყო და არაა, შეიძლება ჩაითვალოს ყოფიერად, ხოლო რაც არ იყო და არაა, ალბათ ნამდვილად არაყოფიერია.

უფრო დამაფიქრებელია ცნება მომავალი.

მომავალში რაც იქნება, ის ყოფიერად მივიჩნიოთ, რადგან იქნება, თუ არაყოფიერად, რადგან ჯერ არაა?

თუ წარსულის, როგორც ყოფიერის მიმართ ჩვენ რაღაც რწმენა მაინც გვაქვს, რომ იყო, მომავალი ყოფიერი უკვე სულ სხვაა. მომავალის რწმენა არც ისე დამაჯერებელია, საეჭვოა.

გამოდის, რომ ამ არაფერს რაღაც საჭვო ფერიც დაედო.

აწმყოს ყოფიერება ასევე ღრმა გააზრებას მოითხოვს.

მართლაც, რას ნიშნავს დღეს, ახლა, ამ წამს?

აინშტაინის სპეციალური ფარდობითობის თეორიის თანახმად დრო დამოკიდებულია სიჩქარეზე, სხვადასხვა სიჩქარისას დრო განსხვავებულად მიდის. შესაძლოა, კოსმოსური ხომალდით სადღაც გაფრინდე, მოფრინდე და აქ აღარავინ დაგვხდეს შენი ტოლი.

იბადება მორიგი კითხვა: შეიძლება გავზომოთ სიჩქარე სივრცის მოცემულ წერტილში?

ჰაიზენბერგის განუზღვრელობის პრინციპის თანახმად, რომელიც დიდი ხანია დისკუსიას აღარ ექვემდებარება, ერთდროულად სიჩქარისა და კოორდინატის, მდებარეობის დაფიქსირება, განსაზღვრა შეუძლებელია.

ამ პრინციპის თანახმად, თუ სიჩქარეს ზუსტად გაზომავ, კოორდინატი, მდებარეობა აღარაა წერტილი, ის ხდება განუზღვრელი, გადღაბნილი, არამკვეთრი.

ალბათ ამიტომ აქვს ჰაიზენბერგის საფლავს წარწერა – **ის დამარხულია სადღაც აქ.**

ამ გადღაბნილი სივრცის, კოორდინატის შესაბამისი დრო აღიწერება წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

გამოდის, რომ საკუთარ განუზღვრელობის პრინციპში ღრმად დარწმუნებული ჰაიზენბერგის აზრით, ცნება „ახლა" თავის თავში მოიცავს წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც, ე.ი. ყოფიერსაც და არაყოფიერსაც.

ერთდროულად ყოფიერი და არაყოფიერი, ეს უკვე რაღაც, ალისას საოცრებათა სამყაროდანაა.

ეს კიდევ არაფერი.

მიკროსამყაროში, თუ ძალიან მოინდომებთ, უფრო მეტი აბსურდი – დროის შებრუნების, უკუსვლის შესაძლებლობაც კი არსებობს. და თუ ეს ასეა, მაშინ აქ რაღაც დროის წერტილებზე, წარსულსა და მომავალზე, შესაბამისად, ყოფიერებასა და არაყოფიერებაზე საუბარი საერთოდ, ზრდილობიანად რომ ვთქვათ, უცნაური ხდება.

საქმეს არც ის შველის, რომ პირველადობა დროს წავართვათ და გადავცეთ ყოფიერება-არაყოფიერებას.

იბადება ჯანმრთელი კითხვა – რას ნიშნავს ამ პირობებში წარსული, მომავალი? იმას, რომ ორივე ეკუთვნის როგორც ყოფიერს, ასევე არაყოფიერს?

ხოლო „ახლა" ეს არის, როგორც აღვნიშნეთ, ნარევი წარსულის, აწმყოსი და მომავლისა, ყოფიერის და არაყოფიერისა.

ჩნდება ჯანმრთელი აზრი

– რა კარგი, რა ნეტარი იყო ცხოვრება, სანამ დავიწყებდით მსჯელობას არაყოფიერზე.

ჩანართი

რადგან დავიწყეთ მსჯელობა არაყოფიერზე, იძულებული ვხდებით გავიაზროთ ცნება „სიკვდილი", რადგან ცნება სიკვდილი არაყოფიერთანაა გაიგივებული. მართლაც, ყველა შიშით ვფიქრობთ სიკვდილზე და მის გახსენებაზე ცოტა ხასიათი გვეცვლება და ვნერვიულობთ.

კითხვაზე – რატომ არ ვნერვიულობთ იმაზე, თუ რა დღეში ვიყავით დაბადებამდე? რა ხდებოდა ჩემს თავს მანამ, სანამ დავიბადებოდი?

მეტყვით – დაბადებამდე არ ვიყავი.

კარგი ერთი, მაშინ რატომ ნერვიულობ სიკვდილზე, მერეც ხომ არ იქნები?

გთხოვთ, დაფიქრდით, რომ ეს სულაც არ გახლავთ კალამბური.

რეინკარნაციაც რაღაც ვერ იძლევა ამ კითხვებზე პასუხს.

როგორც მიხსნიან სიკვდილი, ესაა გადასვლა ან სამოთხეში ან ჯოჯოხეთში ან ჩემთვის რაღაც ბუნდოვან წინასწარი დაკავების იზოლატორში, გამანაწილებელში – განსაწმენდელში.

ვთქვათ, გადავედი სამოთხეში. იქ ისეთებს დავინახავ, რომ გაკვირვებისგან ყბა ჩამომივარდება. ეს არაფერი, წარმოიდგინეთ იმათი გაოცება, ვინც იქ მე დამინახავს.

კარგი, ვთქვათ, გადავიტან მათ იქ ყოფნას და მიმოვიხედავ: სამოთხის ჩიტების ჟღურტული, შტრაუსის ვენის ტყის ზღაპრის ვალსზე ლომისა და ანტილოპას ცეკვა. ელვის პრესლის როკენროლი აკრძალულია, სამაგიეროდ, შეუჩერებლად გალობს ანგელოზთა დიდი საგუნდო დასი და ახლო-მახლო

მათი გამომრთველიც არავინაა. ეს ყველაფერი ალბათ ისეთი მოსაწყენი უნდა იყოს, რომ არარსებული სიკვდილი სანატრელი გამიხდება.

ვთქვათ, არ გამიმართლა სამოთხესთან მიმართებაში და მოვხვდი ჯოჯოხეთში, რაშიც ჩემი მამაო ალბათ ღრმადაა დარწმუნებული და იქ დაიწყება ჩემი მრავალფეროვანი წამება.

აქ გააზრების ორი ვარიანტი გვრჩება:

მაწამებს ეშმაკი და ძმანნი მისნი და ამ სისასტიკეს წინ ვერ აღუდგება ღმერთი, რადგან ვერ ერევა ეშმაკს. ამ შემთხვევაში დავდივართ დუალიზმზე. ორი სუბტანციის არსებობაზე.

ან პარადოქსი – ამ არსებობაში, ყოფიერებაში ღმერთი კეთილია და სიყვარულზე მეჩურჩულება, იქ კი სადისტია.

რჩება ერთი – სამოთხე გამოვაცხადოთ არაყოფიერად არაყოფიერში. ჯოჯოხეთი კი პირიქით.

ჩვენ ნურაფერში დაგვადანაშაულებთ, ყველაფერი ლოგიკას ემორჩილება.

გამოდის, რომ სამოთხეში ადამიანი ნეტარებას განიცდის იმიტომ, რომ ყოფიერში წესიერი იყო და დაჯილდოვდა, გადავიდა ყოფიერის არაყოფიერში.

ჯოჯოხეთში ტანჯვას განიცდის იმიტომ, რომ ყოფიერის ყოფიერში ისეთი არ იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო (ცუღლუტობდა) და გადავიდა პირიქით.

ხანდახან ადამიანს გიჩნდება აზრი, რომ ყოფიერება არაყოფიერების უკანონო შვილია და ვერ დაადგენ ვისგან გაუჩნდა არაყოფიერებას, ან პირიქით, არაყოფიერია ყოფიერების უკანონო შვილი და შესაძლებელია დავადგინოთ, თუ ვისგან გაუჩნდა ეს გაუგებრობა ყოფიერს.

გაიგეთ რამე?

ვერც მე, მაგრამ რაც მთავარია, საინტერესო და სახალისოა.

ყველაფერი გასაგები ხომ არ იქნება?!

დავუბრუნდეთ ყოფიერებას თავისი საეჭვო წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

ოდესღაც, 5 წლის ბიჭი რომ ვიყავი, დღეს ის მე ვარ? თუ მე ვარ, რატომ არა ვარ ისევე ბედნიერი, როგორიც ვიყავი?

თუ მე არ ვარ, რა, ის აღარაა და გადავიდა არაყოფიერში, გაქრა? ეს სამწუხარო მოვლენა მე რატომ არ გამაგებინეს?!

მე ვარ თუ არა ის, რაც ვიყავი, ან მერე ვიქნები, ალბათ თვითიდენტიფიკაციის პრობლემაა, რომელიც ვერავითარი ლოგიკით ვერ იხსნება.

რჩება ერთი – უნდა გაქრეს პრობლემა, მე დროში არ უნდა შევიცვალო, რათა აღარ დამჭირდეს თვითიდენტიფიკაცია.

დროში მუდმივობა ნიშნავს, აღარაა სიცოცხლე.

ე.ი. თუ გინდა საკუთარ თავთან იდენტიფიცირება, უბრალოდ არ უნდა დაიბადო.

და ესეც ლოგიკურია.

მაშინ სიკვდილს რაღა მოვუხერხოთ, ამისთანა არასასიამოვნო ფენომენი საერთოდ აზრს კარგავს.

მაინც ვეძებოთ გამოსავალი.

მაგ., არაყოფიერი გამოვაცხადოთ ყოფიერების უარყოფად.

არაფერი კი გამოვაცხადოთ არაყოფიერის არსებობის საშუალებად.

სხვა სიტყვებით, არაფერი იმ ყოფიერის საშუალებაა, სადაც არაფერიც კი არაფერია.

რათა გამოვიდეთ ამ აბსურდული ჩიხიდან, შევხედოთ ყოფიერებისა და არაყოფიერების საკითხს მეცნიერული სისტემური ანალიზის ხედვის კუთხიდან.

არსებობა და სიცოცხლე

როგორც მრავალგზის აღვნიშნეთ, ეს სამყარო თავისი ყოფიერით და არაყოფიერით ემორჩილება უმაღლეს კანონზომიერებას და ნებისმიერი გააზრება, განმარტება, ინფორმაცია, რომელიც არ ეწერება ამ კანონზომიერების შესაბამის თეორიებში უკვე საეჭვოა.

შესათანხმებელია, რას ვგულისხმობთ კანონზომიერებაში, თეორიაში.

ზოგადად, როდესაც მიმდინარეობს მსჯელობა რეალობაზე, უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ მონაცემებით, რომელიც დადგენილია ფილოსოფიური და არაფილოსოფიური კონცეფციებით, თეორიებით. განხსვავებულ თეორიებში უნდა ვეცადოთ, აღმოვაჩინოთ საერთო შეხების წერტილები. იმ ობიექტებს, მოვლენებს, რომლებიც იგივურია ერთმანეთთან, ზუსტ მეცნიერებაში ეწოდება ცნებები, ხოლო ჰუმანიტარულში – ფასეულობები.

მაგ., ფიზიკაში ელექტრონები განურჩეველია, ამიტომ არსებობს ცნება ელექტრონი. ყველა სამართლებრივი ქმედებაც იგივურია, ამიტომ არსებობს ფასეულობა „სამართლიანობა".

შეიძლება კერძო შემთხვევები თავდაპირველად, ზედაპირული შემეცნებისას არაიგივური გვეჩვენებოდეს, ორ სხვადასხვა ქმედებაში იგივურობა, სამართლიანობა ვერ დავინახოთ და პირიქით, მაგრამ მეცნიერული ან ფილოსოფიური მიდგომით, გააზრებით შეიძლება გამომჟღავნდეს მათი იგივურობა, ერთხარისხოვნება.

ცხადია, თითოეული თეორია განიხილავს არა მარტო მოვლენას ან ფასეულობას, არამედ მათ შორის ურთიერთობასაც. ცნებათა ან ფასეულობათა კავშირი ქმნის კანონზომიერებას, კანონს. ასევე, ცხადია, რომ ყველა კანონი არაა თანაბარფასეული, მათ შორის მთავარ კანონს ეწოდება პრინციპი.

მეცნიერული კანონზომიერების თვალსაზრისით, რაღაც ითვლება არსებულად იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ამ საგანსა თუ მოვლენაზე მეცნიერულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

რა მხატვრულად, გულანთებულად, მუსიკალური გაფორმებით არ უნდა მიმტკიცოთ, რომ კენტავრი არსებობს, სამწუხაროდ, ვერ დაგეთანხმებით, რადგან წარმოდგენა კენტავრზე მეცნიერულ თეორიას, კანონზომიერებას არ ეთანადება.

რა მკაცრი სახითაც არ უნდა მიმტკიცოთ, რომ საქართველო გააზრებული, განათლებული საზოგადოების გარეშე განვითარდება, ვერ დაგეთანხმებით.

როდის მივხვდებით, რომ

სახელმწიფოს აშენების მცდელობა აზოგადოების შექმნის გარეშე, ეს იგივეა ერბოკვერცხის შეწვა კვერცხის გარეშე.

რა ფორმითაც არ უნდა მიბრძანოთ, რომ ვაღიარო ის ზღაპრული გმირი, რომელიც ჯერ გადაარჩენს და შემდეგ გააბრწყინებს საქართველოს, არაფერი გამოგივათ, რადგან ეს მოსაზრება მეცნიერულ ლოგიკაში ვერ ეწერება.

მეტყვით, ყველა აზრს, მოსაზრებას აქვს უფლება იარსებოს, მრავალფეროვანია ყოფიერება, მრავალი თეორია არსებობს, ესაა პლურალიზმი. მაგ., აზრი მონიზმზე და აზრი დუალიზმზე თურმე ნუ იტყვით და ქმნის ამ ნანატრ პლურალიზმს.

ჩემი თხოვნაა, თავი შევიკავოთ, არ ავყვეთ ცდუნებას პირადი გამორჩენის ან ამბიციის მიზნით, რადგან სწორედ ასეთ მიდგომას დავყავართ ყოფიერების მრავალფეროვნების შეზღუდვამდე, ერთ ან ორ განსაზღვრებამდე. ყოფიერების სახეები, ფორმები ურთიერთგარდაიქმნებიან, ქმნიან საინტერესო ურთულეს იეარქიას, მაგრამ არ კარგავენ მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს და ეს უნიკალური ურთიერთგარდაქმნის ერთიანი სიმფონია სწორედ მეცნიერული ანალიზით აღიწერება.

ყოფიერების სახეთა ერთობა სულაც არ ნიშნავს ერთგვაროვნებას.

გულუბრყვილო სურვილი ვიმსჯელოთ ყოფიერებაზე, არსებობაზე მეცნიერული თეორიების, სისტემური ანალიზის გარეშე, უბრალოდ ინფანტილიზმია.

ცხადია, ყველა მეცნიერება ყოფიერებასთან მიმართებაში მისთვის დამახასიათებელ თეორიებს წარმოადგენს და, რა თქმა უნდა, ამ თეორიების ყურადღების ცენტრში ხვდება ყოფიერების, არსებობის სხვადასხვა ფორმები, სახეები.

ფიზიკის თვალთახედვით, არსებობს ელემენტარული ნაწილაკები, ვაკუუმი,... ასტრონომიის თანახმად, არსებობს ვარსკვლავები, გალაქტიკები,... ბიოლოგიური თეორიების თანახმად – დნმ, უჯრედი,... საზოგადოებრივი მეცნიერების თანახმად – ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობები ადამიანებს შორის,... ფსიქოლოგიის თანახმად – გრძნობა, ემოცია,... ფილოსოფიის თანახმად – იდეები (სოკრატე, პლატონი), ფორმა (არისტოტელე), აპრიორული პრინციპები (კანტი),...

ყველა შემთხვევაში არსებობა, ყოფიერება არაა საგნის ცალკეული თვისება, როგორც ფერი, მასა,...

იარსებო, ნიშნავს, გაგაჩნდეს განსაზღვრულობა გამოსახული თეორიებით, **კონცეპტებით** (ლათ. **conceptus** – ინოვაციური იდეა, რომელიც თავის თავში მოიცავს შემოქმედებით აზრს, იმპულსს).

ყოფიერების, არსებობის შემეცნებისადმი სწორედ ასეთმა მიდგომამ დაბადა **ონტოლოგია** – სწავლება ყოფიერებაზე (ბერძ. **ontos** – არსებული, **logos** – სწავლება).

ჩვენი აზრით, არაყოფიერება ესაა შესაძლებლის შეუძლებლობა.

რეალობა, ყოფიერება კი – შესაძლებლის აღსრულება.

რეალური ყოფიერების სახეობათა იერარქიულ დამოკიდებულებას სწავლობს მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი სინერგეტიკა (ერთიანი ქმედება).

ყოფიერება წარმოდგენილია გარკვეული უჯრედებით, გაერთიანებებით, სისტემებით — უმარტივეს ორგანიზმთა ურთიერთობით არდაწყებული, პრიმატების ურთულესი გაერთიანებით, სისტემით არდამთავრებული.

სინერგეტიკის, სისტემური ანალიზის მიხედვით, ხშირად ღია სისტემები აღმოჩნდებიან არაწონასწორულ დონეზე, არაწონასწორულ მდგომარეობაში, სადაც მათი ქმედება აღიწერება ალბათობის თეორიით, არაწრფივი განტოლებებით.

არაწონასწორული მდგომარეობიდან სისტემა გადადის თავისი ევოლუციის ერთ-ერთ შესაძლო ვერსიაში. აი, აქ ხდება თვითორგანიზაცია, წარმოიქმნება მდგრადი სტრუქტურები, მანამდე არარსებული წესრიგი.

სინერგეტიკის თანახმად, რეალური ყოფიერების სახეებს გააჩნიათ თვითორგანიზაციის, რეგენერაციის, თვითგანვითარების უნარი, საკუთარ არსში მოიცავენ შესაძლებლობას წარმოქმნან ახალი ტიპის ყოფიერება, რომელიც მდგრადობით, განვითარების ტემპით აღემატება მანამდე არსებულ ყოფიერების სახეს, ფორმას.

დიახ, თვითორგანიზაციის, თვითგანვითარების, რეგენერაციის უნარი არის ყველა არსებულის, ყოფიერის ორგანული მახასიათებელი.

დიახ, რეალურ ყოფიერებას სწორედ ეს თვისებები უნდა ახასიათებდეს.

და თუ ამაში გვეთანხმებით, მაშინ ყოფიერების გაიგივება არსებობასთან, როგორც მინიმუმ, უკმარისობის, პროტესტის გრძნობას იწვევს. მართლაც, დაუკვირდით, ყოფიერების ასეთი გაგება თითქოს ემიჯნება ისეთ უნიკალურ ცნებას, ფენომენს, რასაც **სიცოცხლე** ეწოდება.

აუცილებლად გამოჩნდება ჩვენზე განსწავლული, რომელიც ირონიული ღიმილით აგვიხსნის: — არსებობა და სიცოცხლე რელატივური, ამ კონტექსტში ვალიდური, კოჰერენტული ცნებებია და თქვენი დედიზიუნკტიური მსჯელობა არსებობის და სიცოცხლის შესახებ, იმდენად ფილისტერულია, რომ ჩემში სპლანხნოპტოზულ განცდას იწვევს და ამ განწყობის პაციფიკაციის მცდელობა კი ისეთ მდგომარეობაში მაგდებს, რომ სფიგმომანომეტრი მჭირდება.

აქ ჩვენი მხრიდან იბადება მორიდებული, მოკრძლებული კითხვა — ეს ღრმად განსწავლული ოპონენტი საკუთარ ცხოვრებას, იმ ყოფიერებაში, რომელშიც ჩვენთან ერთად იმყოფება, რას უწოდებს სიცოცხლეს თუ არსებობას?

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს არაა ის მეცნიერული არგუმენტი, რომელიც განსწავლულს სახიდან ირონიულ ღიმილს მოაცილებს.

მართლაც, ყოფიერების მახასიათებლებს თუ გავიხსენებთ, სისტემური ანალიზის ხედვის კუთხიდან, თვითორგანიზაციის, თვითგანვითარების,

რეგენერაციის უნარი გააჩნია მხოლოდ იმ სისტემას, რომელიც ერთადერთი სიტყვით გამოისახება – **ცოცხალი.**

თუ ამაში გვეთანხმებით, მაშ, რა ვუწოდოთ ჩვენს სოციუმს, რომელსაც არც თვითორგანიზაციის, არც რეგენერაციის უნარი არ გააჩნია, ხოლო თვითგანვითარებაზე საუბარი ზედმეტია, მიუხედავად ამისა, ის მაინც არსებობს. ასეთ მდგომარეობას სიცოცხლესთან, ყოფიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. გამოდის, რომ სახეზეა არაყოფიერება, უბრალოდ არსებობა.

ეს მსჯელობა ცხადყოფს, რომ ჩვენ ყოფიერების მონისტური გააზრებისკენ ვიხრებით. ვაღიარებთ ერთადერთ სუბსტანციას აბსოლუტს, აბსოლუტურ იდეას, ღმერთს.

სწორედ ამ ყოფიერების შემოქმედის სიტყვებია: – **მკვდრებმა დამარხონ საკუთარი მკვდრები.**

ამაზე უკეთეს დახასიათებას ვერ მოვუძებნით ჩვენს რეალობას, ჩვენს სოციუმს, ჩვენს არსებობას, იმ ჭაობს, რაშიც ვიმყოფებით.

ვიმეორებთ – როდის მივხვდებით, რომ ჩვენი ღმერთი ცოცხალთა ღმერთია და არა გვამების ღმერთი.

ჩვენი ყოფიერება არის ცოცხალთა ყოფიერება და არა გვამების არსებობა.

დიახ, ყოფიერება არის განვითარებადი ფენომენი, სიცოცხლე.

არაყოფიერება ის განუვითარებელი არსებობაა, რაშიც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით.

სიცოცხლე გაცილებით ამაღლებული მდგომარეობაა, ვიდრე ჩვენი არსებობა – დაქვეითება, რეგრესის საფუძველი.

თუ ეს მსჯელობა თქვენთვის მისაღებია, მაშინ გავბედოთ შეთანხმება, რომ

რეალური ყოფიერება ესაა სიცოცხლე, ბედნიერება.

არაყოფიერება კი – არსებობა.

ჩვენ განწირულნი ვართ სიცოცხლისათვის. ჩვენ ვივლით უსასრულოდ მანამდე, სანამ არ მივაღწევთ სიცოცხლეს, ბედნიერებას.

მხოლოდ მაშინ მივხვდებით, რომ ყოფიერება, სიცოცხლე, ბედნიერება იგივური ცნებებია.

ადამიანი სიცოცხლისთვის, ბედნიერებისთვის არის გაჩენილი.

სანამ გავერკვევით ყოფიერებას, სიცოცხლესა და ბედნიერებას შორის ჰარმონიის კანონზომიერებაში, ვცადოთ ცნება **არაფერში** გარკვევა.

აქამდე ჩვენ ვმსჯელობდით ცნებებზე ყოფიერსა და არაყოფიერზე. როგორც ვნახეთ, ამ თემაზე მსჯელობა არც თუ ისე იოლია. რაც შეეხება ცნება არაფერს, ის გაცილებით უფრო რთულად გასაგებია, ვიდრე ზემოხსენებული ყოფიერი და არაყოფიერი.

არაფრის გააზრება ჩვენ არ შეგვიძლია იმიტომ, რომ რაც არაა, იმის წარმოსახვა შეუძლებელია?

შენ ბედნიერება არ გინახავს, მაგრამ შეგიძლია წარმოიდგინო.

შენ სემირამიდას ბაღი არ გინახავს, მაგრამ მისი წარმოდგენა შეგიძლია.

არაფერი კი წარმოსახვასაც არ ექვემდებარება.

არაფერი ისაა, რაც არ არსებობს რაიმე სახით.

არაფერზე ვერც მოდელს და ვერც მოდულს შექმნი.

მისი წარმოდგენა არ შეიძლება ყოფიერების საშუალებებით.

ელემენტარული ნაწილაკები, კვანტური სიდიდეები შეიძლება წარმოიდგინოთ მეცნიერული გაგების აპარატით.

მეცნიერული ლოგიკით მე შემიძლია უსასრულობაც და ნულიც გამოვსახო მათემატიკურად და მისი წარმოსახვა ჩემი ცნობიერების ამოცანად ვაქციო.

ხოლო რაც შეეხება არაფერს, ამაზე ვერაფერს იტყვი.

არაფერი არის ის, რაც მათემატიკური აბსტრაქციითაც კი ვერ გამოისახება.

ჩანართი

ვერ ხედვით, ჩვენი სიბრმავით ვცდილობთ დავინახოთ ის, რაც ჩვენს მოდელსა და მოდულში არ ეწერება.

როდესაც არაფერზე ფიქრს იწყებ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ შენი ქმედებით, ფიქრით ქმნი რაღაცას და რაც უფრო უახლოვდები საზღვარს, რომელიც ყველაფერსა და არაფერს განაცალკევებს, მით უფრო იწევს ეს საზღვარი შენგან შორს, გისხლტება ხელიდან.

შესაბამისად, როგორც ხედებით, ეს ელემენტარული, მსუბუქი მსჯელობაც კი ავლენს განსახილველი პრობლემის სიღრმესა და სიმძიმეს.

ჩნდება აზრი, თუ ხელისა და გონების ასეთი ცეცებით არაფერი გამოდის, იქნებ მათემატიკურმა აბსტრაქციამ გვიშველოს. ეს ხომ ის აბსტრაქციაა, რომლის წინაშე ყველაფერი იჩოქებს, ფარხმალს ყრის.

რატომ არ შეგვიძლია ნულით გამოვსახოთ არაფერი? ნული ხომ არაფერს ნიშნავს. მათემატიკური აბსტრაქციის გათვალისწინებით, რიცხვთა ღერძზე ნულს კონკრეტული წერტილი შეესაბამება. და ეს რიცხვი ნული მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც დადებით და უარყოფით რიცხვთა გამყოფი წერტილი, საზღვარი.

მოგეხსენებათ, წერტილი წერტილია, იმიტომ რომ ის წერტილია და, შესაბამისად, არაფერი ვერ იქნება.

შესაძლებელია, რომ მათემატიკური აპარატით დააფიქსირო ყოფიერება, მატერია არაფრის ზღვარზე – სასრული მოცულობის უსასრულო შეკუმშვის ოპერაციით?

თუ აიღებთ რაღაც მოცულობის სხეულს, სივრცეს და დაიწყებთ მის უსასრულოდ შეკუმშვას, ეს პროცესი უასასრულოდ გაგრძელდება.

ამ უსასრულოდ მიმდინარე პროცესის ფორმულით გამოსახვა შეიძლება, მაგრამ წარმოდგენა შეუძლებელია.

უბედურება ისაა, რომ არაფრის არც წარმოსახვა და არც გამოსახვაა შესაძლებელი.

იქნებ იმიტომ გვიჭირს არაფრის გააზრება, რომ ის ჩვენი ყოფიერების მიღმაა, ის არაა ჩვენი სამყარო?

იქნებ ცნება არაფრის გაგება მეცნიერების პრეროგატივა არ არის.

მართლაც, რა არის არაფერი? – ალბათ ის, რაც უნდა ყოფილიყო დიდ აფეთქებამდე, ჯერ კიდევ სამყაროს წარმოქმნამდე.

ხშირად გაიგონებთ, რომ მეცნიერება ვერ იძლევა პასუხს – რა იყო ადრე, მანამდე, დიდ აფეთქებამდე.

ასეთი მიდგომა შეცდომაა.

ცნებას „მანამდე", „ადრე" აზრი აქვს განსაზღვრული მეცნიერული თეორიის ჩარჩოში.

დიდ აფეთქებასთან მიმართებაში მეცნიერულ თეორიას არა აქვს ცნებები „ადრე", „მანამდე", რადგან მეცნიერება არ განიხილავს მოვლენებს დროისა და სივრცის გარეშე.

თავის დროზე კარგად ნამეცადინებ მეცნიერს უჭირს, გაგაგებინოს, რომ მეცნიერებას აქვს თავისი ქმედების არეალი, ამიტომ თქვენ მაგიერ თვითონ წითლდება, რადგან პატიოსანია და მორცხვად უვლის გვერდს ამ საკითხს.

და ვინც ამ კითხვებს სვამს, სწორედ ამ ფაქტის, არეალის იგნორირებას ახდენს.

გვრჩება ერთი გზა, ამ საკითხს აბსოლუტური იდეალიზმის კუთხით მივუდგეთ.

როგორც ცნობილია, ჰეგელის ფილოსოფიით ცნება თავის თავში მოიცავს მის საწინააღმდეგო ცნებას. ამ საკითხს ვრცლად ქვემოთ განვიხილავთ. ახლა კი არ იქნება სადისკუსიო თუ ვიტყვით, რომ არ იქნებოდა ცნება სიკვდილი, ცნება სიცოცხლე რომ არ არსებულიყო. შესაბამისად, ცნება ყველაფერი თავის თავში მოიცავს ცნება არაფერს.

და როგორი ტევადიცაა ცნება **ყველაფერი**, ასეთივე არაფრისმომცველი უნდა იყოს ცნება **არაფერი**.

დიახ, ცნება აბსოლუტური ყველაფერი, თავისი არსიდან გამომდინარე, უნდა მოიცავდეს ყველაფერს და მის საწინააღმდეგო ცნებასაც, რასაც **არაფერს** ვუწოდებთ.

მივდივართ ჰეგელის მნიშვნელოვან დასკვნასთან – ყველაფერი არაფერია და არაფერი – ყველაფერი.

აბსოლუტური ყოფიერება ყველაფრის შესაძლებლობაა. შესაბამისად, ის თავის თავში უნდა მოიცავდეს არაფრის გაგების შესაძლებლობასაც.

ინდივიდუალური თუ სოციალური

რთულია, არ დაეთანხმო კონ ფუ ძის აზრს – **„ყველაფერი ამაზრზენი რაც ხდება ცისქვეშეთში, გაუნათლებლობის ბრალია".**

მართლაც, ჩვენთვის საოცნებო, ადამიანის ღირსების საკადრისი ცხოვრების დამკვიდრება აზროვნების, გონივრულობის, განათლების გარეშე უბრალოდ ის სისულელეა, რითაც გაჟღენთილია ჩვენი წარსული და აწმყო.

რა არ ვცადეთ, რა არ გავაკეთეთ, შედეგი მაინც არ ჩანს.

ელემენტარული აზროვნების უნარია საჭირო, რათა მივხვდეთ, რომ ადამიანური ცხოვრების დამკვიდრებას რაღაც კანონზომიერებებში გარკვევა სჭირდება.

უხსოვარი დროიდან ადამიანი დარწმუნებული იყო, რომ სამყარო რთული, მოწესრიგებული, ერთი მთლიანი სისტემაა.

თუ ამაში არაფერი გეჩვენებათ საეჭვოდ, განვაგრძოთ საუბარი.

სამყაროს მთლიანობის განმსაზღვრელ კატეგორიად ჩინურმა ფილოსოფიამ შემოიტანა ცნება დაო. დასავლურმა ცივილიზაციამ – ლოგოსი.

ჩვენ კი კარგი ცხოვრების დამამკვიდრებელ კატეგორიად ეგზალტირებული მიტინგები გამოვაცხადეთ.

მიტინგებისგან განსხვავებით, დაოსა და ლოგოსის არსი გამოხატავს ერთს – სამყაროს უნიკალურ, გონივრულ მთლიანობას, ორგანიზებულობას. დაო და ლოგოსი მთელ სამყაროს, როგორც სისტემას და მის შემადგენელ ნაწილებს (ცა, დედამიწა, ბუნება, საზოგადოება, პიროვნება, სოციუმი,...), ქვესისტემებს შორის ჰარმონიის დამამყარებელ კანონზომიერებას წარმოადგენს. დაოდან და ლოგოსიდან გამომდინარე, მთელი სამყარო გალაქტიკებით, ვარსკვლავებით, მთელი უსაზღვრო ენერგეტიკით სწორედ მოაზროვნე ადამიანის ბედნიერებისთვის შეიქმნა.

ამრიგად, ადამიანის ღირსების საკადრისი ცხოვრების, სოციუმის, საზოგადოების, სახელმწიფოს დასამკვიდრებლად აუცილებელია, არსებულ პრობლემებს სისტემური ანალიზით (სინერგეტიკა) მივუდგეთ.

ჯერ კიდევ ანტიკურმა აზროვნებამ ადამიანში დაინახა მთელი სამყარო.

გავიხსენოთ ქილონის სიტყვები: – შეიცან საკუთარი თავი და შეიცნობ სამყაროს, ღმერთებს.

დიახ, ადამიანში, როგორც უნიკალურ სულიერ და ბიოლოგიურ სისტემაში, მჟღავნდება მთელი სამყაროს კანონზომიერება

დიახ, ადამიანშია არეკლილი მთელი სამყარო

დიახ, ადამიანია სამყაროს, როგორც სისტემის, მოდელი.

ადამიანი, როგორც ნებისმიერი სხვა სისტემა, შედგება ქვესისტემებისგან – გული, ფილტვები, ღვიძლი,...

აქ უმთავრესი ისაა, რომ ადამიანი მისი შემადგენელი ქვესისტემების არითმეტიკულ ჯამს არ წარმოადგენს.

უფრო ნათლად, ჩვენი თითოეული ცალკე აღებული რომელიმე ორგანო არ ავლენს იმ თვისებებს, რაც მთლიანს, ცოცხალ სისტემას, ადამიანს ახასიათებს.

მართლაც, ცალკე აღებულ ქვესისტემებს – გული, ფილტვები, ღვიძლი,... – დამოუკიდებლად არსებობა, სიცოცხლე არ შეუძლია. მხოლოდ მათი ორგანული ერთობა ქმნის სისტემას – ადამიანს, სიცოცხლეს.

სისტემის ორგანული ერთობა ნიშნავს, რომ ელემენტებს არ შეუძლიათ არსებობა სისტემის გარეთ.

მათ არსებობა, განვითარება შეუძლიათ მხოლოდ სისტემაში.

ესაა სისტემის არსებობის აუცილებელი პირობა.

დიახ, ადამიანი, როგორც მთელი, სწორედ სიცოცხლითაა მეტი მისივე შემადგენელი ნაწილების არითმეტიკულ ჯამზე.

ეს მეტობა არის ის ინტეგრალური თვისება (სიცოცხლე), რაც ახასიათებს მთელს და აკლია მის ნაწილებს.

მთელსა და მისი შემადგენელი ნაწილების ჯამს შორის სხვაობა – დელტა – არის სიცოცხლე.

შესაბამისად, იკვეთება ბუნების უნიკალური კანონზომიერება

– მთელი უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი.

ირღვევა ეს პრინციპი, ირღვევა სისტემა, სიცოცხლე, განვითარება.

აქ ნათლად ჩანს მთელის, სისტემის პირველადობა მისსავე ნაწილებთან – ქვესისტემებთან მიმართებაში. თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ პირველადობა ფარდობითია და არა აბსოლუტური. თუნდაც იმიტომ, რომ მთელი ვერ იარსებებს ნაწილების გარეშე და პირიქით.

ადამიანთა ერთობა ქმნის სოციუმს.

შესაბამისად, სოციუმის არსი განვიხილოთ ადამიანის, როგორც მაღალორგანიზებული, რთული სისტემის კანონზომიერების ანალოგიით.

სოციუმი სისტემად, სიცოცხლისუნარიანად ჩაითვლება, თუ ის, როგორც მთელი, მეტი იქნება მის შემადგენელ ადამიანთა არითმეტიკულ ჯამზე, რაც სოციუმის განვითარებით უნდა გამოვლინდეს.

სოციუმის შემთხვევაში დელტა არის განვითარება.

თუ ამაში გვეთანხმებით, აქედან მივდივართ დასკვნასთან:

სამწუხაროდ, ჩვენი სოციუმი, შედეგიდან გამომდინარე, არაგანვითარებადია, სიცოცხლის უნარს მოკლებულია, შესაბამისად, ის სისტემად ვერ ჩაითვლება.

ჩვენი სოციუმის, როგორც მთელის, ენერგეტიკა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ენერგიათა ჯამი.

რადგან ჩვენი მიზანი სიცოცხლისუნარიანი სოციუმის, საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნაა, ვალდებულნი ვართ, გავერკვეთ სისტემის ანატომიაში.

როგორც აღვნიშნეთ, სისტემა ქვესისტემებისგან შედგება. სისტემის ანატომიაში გარკვევის პირველი და აუცილებელი ნაბიჯია, არსებულ ქვესისტემებში იმ მთავარი ქვესისტემის აღმოჩენა, რომელიც **მთლიანი სისტემის იდეა-არსს იმეორებს.**

მხოლოდ ამ მთავარი ქვესისტემის გააქტიურებითაა შესაძლებელი მთლიანი სისტემის ეფექტურობის, ქმედუნარიანობის ამაღლება-განვითარება.

მაგ., ავტომობილი, როგორც სისტემა, შედგება ქვესისტემებისგან: – გენერატორი, აკუმულატორი, რადიატორი, ძრავა, ტრანსმისია, ლანჟერონი, დიფერენციალი,... ცხადია, რომ ამ ქვესისტემებს შორის არის მთავარი ქვესისტემა და ეს არის ძრავა, რადგან სწორედ ძრავა იმეორებს მანქანის იდეა-არსს. შესაბამისად, თუ თქვენ მანქანის ქმედების ეფექტურობის ამაღლება გჭირდებათ, ძრავას – მთავარი ქვესისტემის სიმძლავრის გაზრდით უნდა დაიწყოთ.

ცხადია, ადამიანის არსის მქონე მთავარი ქვესისტემა არც გულია და არც კუჭი, ესაა ტვინი, გონი. შესაბამისად, თუ გსურთ ადამიანის ამაღლება, ეს პროცესი გონებრივი განვითარებით უნდა დაიწყოთ.

სოციუმიც, როგორც სისტემა, შედგება მრავალი ქვესისტემისგან – საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო, მოქეიფვეთა, კრიმინალთა, ეკლესიურთა, აფერისტთა,...

სოციუმშიც, როგორც სისტემაში, უნდა არსებობდეს ერთი მთავარი ქვესისტემა, რომელიც ჩვენ შემთხვევაში საქართველოს იდეა-არსს უნდა იმეორებდეს.

თუ სოციუმი ვერ ახერხებს განვითარებას, ეს ნიშნავს, რომ ამ სოციუმს მთავარი ქვესისტემა არ გააჩნია.

და თუ მთავარი ქვესისტემა არ არსებობს, ის უნდა შეიქმნას.

მთავარი ქვესისტემის გარეშე სისტემა არაგანვითარებადი და უსიცოცხლოა.

სამწუხაროდ, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სოციუმის წარმმართველ, „განმავითარებელ" ძალად განიხილებოდა კონკრეტული პიროვნება – მონარქი, პატრიარქი, პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი,...

შეუძლებელია, სოციუმის მთავარი ქვესისტემა იყოს ერთი პიროვნება, თუნდაც ჩვენი ისტორიული გამოცდილების ანალიზის შედეგიდან გამომდინარე.

მსოფლიო ისტორიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთავარი ქვესისტემა უნდა იყოს ადამიანთა ბუნებრივი, ჰარმონიული გაერთიანება, რომელიც შეძლებს, გაიაზროს მთავარი სისტემის იდეა-არსი და მას სიცოცხლისუნარიანობა მიანიჭოს.

მხოლოდ მთავარი ქვესისტემა იაზრებს უმაღლეს ფასეულობებს და მის საფუძველზე ადგენს სახელმწიფოს განვითარების ვექტორს.

სისტემას, მთავარ ქვესისტემას და ქვესისტემათა შორის ჰარმონიის კანონზომიერების აღქმისათვის აუცილებელია ახალი, ორიგინალური, არაფორმალური კვანტური ლოგიკა.

უპირველესად, აუცილებელია ადამიანის, პიროვნებისა და სოციუმის არსთა თანაფარდობაში გარკვევა.

ფილოსოფიაში ადამიანი განიხილება როგორც სოციალურ, ასევე ინდივიდუალურ არსებად.

მატერიალისტები ადამიანის არსში გარკვევას სოციუმის ხედვის კუთხიდან, მათ მიერვე დადგენილი სოციუმის „კანონზომიერებიდან" ცდილობდნენ. შესაბამისად, მათთვის სოციუმი იყო პირველადი და სუბიექტი – მეორადი.

არსებობს განსხვავებული ხედვაც, სადაც პიროვნება პირველადია და სოციუმი წარმოდგენილია, როგორც ინდივიდთა არსებობის არეალი.

მესამე მხარე კი ღრმადაა დარწმუნებული, რომ ადამიანი და სოციუმი ის უნიკალური ფენომენებია, რომლებიც ვერავითარ კანონზომიერებაში ვერ ეწერებიან და მათ არსს ბოლომდე ვერასდროს შევწვდებით.

აქედან გამომდინარე, ადამიანის, სოციუმის და მათ შორის ჰარმონიის კანონზომიერების არსი დღემდე სადისკუსიოა.

დიახ, ვერ გავიაზრებთ ადამიანის არსს, სანამ არ მივხვდებით, რომ ადამიანის არსის განხილვა მისი სოციალური არსის გარეშე უბრალოდ შეცდომაა.

ვიმეორებთ, სოციალურ ფილოსოფიაში ადამიანი განიხილება, როგორც სოციალურ-ინდივიდუალური არსება. ასეთი მშრალი განმარტება უკმარისობის გრძნობას ტოვებს.

ჩვენი აზრით, ადამიანი არც მხოლოდ ინდივიდუალური, განმხოლოებული სუბიექტია და არც მხოლოდ სოციალური არსება.

გამოდის, რომ თითქოს საქმე გვაქვს დუალიზმთან.

მსგავსი დუალისტური მიდგომა დიდი ხანია გამოიყენება კვანტურ ფიზიკაში. გვასწავლიდნენ, რომ ელემენტარული ნაწილაკი, მაგ., ფოტონი ამჟღავნებს როგორც ტალღურ, ასევე ნაწილაკურ თვისებებს. სინამდვილეში კი ელემენტარული ნაწილაკი არ არის ამ ორი თვისების ნაზავი. უბრალოდ, ის აპრიორულად ასეთია.

უფრო ნათლად, არსებობს ცხენი და არსებობს კაცი. მითოლოგიური კენტავრი თითქოს კაცისა და ცხენის ნაზავია. არა, ის არც კაცია და არც ცხენი, ის უბრალოდ კენტავრია, ისევე როგორც ღამურა — ის არც ჩიტია და არც თაგვი, არც მათი ნაჯვარი — ის ღამურაა.

შესაბამისად, ადამიანი არც მხოლოდ სოციალური და არც მხოლოდ ინდივიდუალური არსებაა, ის ადამიანია.

ამიტომ უსაფუძვლოა კითხვა — რაა პირველადი, ინდივიდუალურობა თუ სოციალურობა?

— ეს ორგანული ერთობაა, სადაც იერარქია არ არსებობს.

დიახ, ადამიანი აპრიორულად ერთდროულადაა სოციალურიც და ინდივიდუალურიც.

სოციუმის არსში დევს ადამიანის არსი. ადამიანის არსი კი სოციუმის არსს მოიცავს.

შესაბამისად, შეუძლებელია, ვისაუბროთ ადამიანის განვითარებაზე სოციუმის განვითარების გარეშე და პირიქით.

ჩნდება კითხვა: საიდან უნდა დავიწყოთ განვითარებისკენ სვლა პიროვნებიდან თუ სოციუმიდან?

სწორედ ამ საკითხზე დაუფიქრებლობამ მიიყვანა ჩვენი სოციუმის „განათლებული ელიტარული" ნაწილი იმ განცდამდე, რომ პიროვნული განვითარება შესაძლებელია განუვითარებელ, დეგრადირებად სოციუმშიც.

ვთვლით, რომ არავის აქვს უფლება, საკუთარ თავს განათლებული უწოდოს, სანამ ქვეყანა ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა.

თითქოს ვიღებთ ჯადოსნურ, ჩაკეტილ წრეს — **ადამიანი ვერ განვითარდება განუვითარებელ სოციუმში და სოციუმი ვერ იქნება განვითარებული, თუ ადამიანები არ განვითარდნენ.**

და ეს წრე ჩაკეტილად დარჩება, სანამ სისტემა სიცოცხლისუნარიანი არ გახდება, სანამ მთავარი ქვესისტემა არ ჩამოყალიბდება.

განსახილველ საკითხში ორიენტირებას ართულებს ფილოსოფიასა და სოციალურ ფილოსოფიაში დამკვიდრებული აბსტრაქტული ტერმინი – ადამიანი.

ეს ზოგადი ტერმინი – **ადამიანი – თავის თავში ორ განსხვავებულ, ურთიერთშემავსებელ, ურთიერთგანმსაზღვრელ ცნებას – ქალს და მამაკაცს – მოიცავს.**

ჩვენი აზრით, სოციუმის პირველად უჯრედს წარმოადგენს არა მონოწარმონაქმნი – ზოგადი ადამიანი, არამედ „დიმერი" მონომერებით – ქალით და მამაკაცით.

სწორედ ზოგადი ცნება ადამიანი – დიმერი და არა მონოწარმონაქმნი მოიცავს სოციუმის არსს, სოციუმი კი – დიმერის არსს.

შესაბამისად, პიროვნებისა და სოციუმის ურთიერთთანაფარდობის დადგენა თავისთავად ითხოვს **დიმერის – ქალისა და მამაკაცის – სულთა ერთობის არსში გარკვევას.**

სწორედ ამ ჰარმონიის, სულთა ერთობის არსში გარკვევაა პირველი ნაბიჯი სოციუმის, საზოგადოების, სახელმწიფოს განვითარებისკენ.

მამაკაცისთვის საკუთარ თავში სოციალური არსის გამომჟღავნება ქალთან ურთიერთობით იწყება და პირიქით – ქალისთვის საკუთარ თავში სოციალური არსის აღმოჩენა მამაკაცთან ურთიერთობით იწყება.

მამაკაცი და ქალი საკუთარ თავში სოციალური არსის აღმოჩენას, გამომჟღავნებას ერთმანეთთან ჰარმონიული ურთიერთობით, სიყვარულით იწყებენ.

ამ ურთიერთობის დისჰარმონიის შედეგია ჩვენი რეალური, უსახური სოციალური ცხოვრება.

ამ ჰარმონიის გარეშე ადამიანში ან სოციალური არსია ჰიპერტროფირებული და ადამიანი ნახირისკენ ისწრაფვის, ან ჰიპერტროფირებულია პიროვნული მე და ადამიანი მარტოობის სევდის მცოხვნელი ხდება.

მართლაც, თუ გვინდა შევქმნათ ბედნიერი, განვითარებადი სოციალური სისტემა, ვინმე მაინც უნდა გვიყვარდეს.

ჩანართი

ადამიანის ღირსების საკადრისი ცხოვრების დასამკვიდრებლად აუცილებელია, შეიქმნას მთავარი ქვესისტემა, რომელიც სიცოცხლისუნარიან, განვითარებად სისტემას, საზოგადოებას, სახელმწიფოს ჩამოაყალიბებს.

მთავარი ქვესისტემა იქმნება უმაღლესი ფასეულობების გააზრებისა და შეთანხმების საფუძველზე. უნდა გავიაზროთ:

1. ეთიკის საფუძვლები
2. საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძვლები
3. საზოგადოების განვითარების საფუძვლები
4. თავისუფალი საზოგადოების შექმნის საფუძვლები
5. საზოგადოების განვითარების მიზანი
6. სახელმწიფოს იდეა-არსი

7. სახელმწიფოს შექმნის ფილოსოფიური საფუძვლები

. . .

ამ შეთანხმების გარეშე განვითარებადი სოციუმის ჩამოყალიბების ყოველგვარი მცდელობა ან ინფანტილიზმია, ან ავანტიურიზმი, რაც უცილობლად მიგვიყვანს სრულ განადგურებამდე.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის იმ ილუზიის ზეგავლენის ქვეშ აღმოვჩნდებით, რომ ცნებები სოციალური და ინდივიდუალური ურთიერთდაპირისპირებულია და აუცილებელია მათ შორის რაღაც კომპრომისების ძიება.

შედეგი – მუდმივად ჩამოუყალიბებელი, არშემდგარი საზოგადოება, მუდმივი სულიერი და მატერიალური სიღატაკე.

ვიმეორებთ:

თუ გინდა ბედნიერი ცხოვრება, ვიღაცა მაინც უნდა გიყვარდეს.

გთხოვთ, კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ უკანასკნელი წინადადება.

საზოგადოების ჩამოყალიბების პრობლემა

ადამიანთა დამთრგუნველი უმრავლესობა ცხოვრების პრობლემების გადასაჭრელად უმოკლეს გზას ეძებს, რადგან ჩვენი ოცნებაა მუქთახორობით მაქსიმალური ხეირის მიღება.

თავისთავად ცხადია, აქ წინა პლანზე გამოდის უნიკალური ფენომენი – ადამიანთა შორის პერსონალური და არაპერსონალური კომუნიკაცია.

სწორედ აქ ვაწყდებით იმ სულსწრაფობის პრობლემას, რაც ჰარმონიული საზოგადოების ჩამოყალიბებას უშლის ხელს.

ეს სულსწრაფობა იგრძნობა ყველგან და ყველაფერში, მეგობრული ან ინტიმური საუბრის დროსაც კი.

ჩვენი სოციუმი რეალურად დგას გადაგვარების, სიღატაკის, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე.

დავუშვათ, რომ თქვენ გაქვთ რაღაც პროგრამა, თეორია, პროექტი ამ უკიდურესად მძიმე პრობლემის გადასაწყვეტად და ცდილობთ, გააგებინოთ საზოგადოებას ამ პროექტის არსი. ამ შემთხვევაში თქვენ დამთრგუნველი უმრავლესობისგან, რომელიც ყველაზე მეტად უნდა იყოს დაინტერესებული საკუთარი უბედურებიდან თავის დაღწევით, უცილობლად იღებთ პასუხს – თუ ღმერთი გწამს, მოკლედ მითხარი, როგორ გადამარჩენ. სხვა სიტყვებით, მე მეზარება ფიქრი, მეზარება ქმედება და კეთილი ინებე, მე ნუ შემაწუხებ და ისე გადამარჩინე და გამაბედნიერე.

ჩვენი სოციუმის პრობლემა იმაშია, რომ რაც უფრო ნაკლებს ფიქრობ, მით მეტი თანამოაზრე გყავს.

მართლაც, ვცდილობთ ურთულესი პრობლემების მოკლე წინადადებით გამოსახვას და ასევე მარტივი და ზედაპირული გააზრებით მის გადაჭრას.

იმის მიუხედავად, რომ ამ გზით არავითარი პრობლემა არ წყდება, არჩეული ორიენტირით სვლა მაინც ჯიუტად მიმდინარეობს, რაც ჩვენს ინფანტილიზმს კიდევ ერთხელ ადასტურებს.

ეს მანკიერება ნათლად ჩანს როგორც სოციუმში, ასევე ინდივიდუალური ურთიერთობისას.

რას ვგულისხმობთ ამ მანკიერებაში?

მიაქციეთ ყურადღება თუნდაც ჩვენი ელექტრონული ან არაელექტრონული მასმედიის მუშაობის სტილს, სადაც მაგ., ერთ საგაზეთო სტატიაში ან ნახევარსაათიან გადაცემაში სუბიექტი მწვავე სოციალური პრობლემების დასმას ცდილობს და იქვე „ახერხებს" მათ გადაწყვეტას.

მოკლე წინადადებებით, სლოგანებით, ლოზუნგებით რა შედეგსაც მივაღწიეთ, სარკეში საკუთარი თავის შეთვალიერებისას აღმოვაჩენთ, მერე დავათვალიეროთ ჩვენი საცხოვრებელი, გამოვაღოთ მაცივარი, ტანსაცმლის კარადა, შემდეგ გავიხედოთ ფანჯარაში და დასკვნას თავად გავაკეთებთ.

ეს, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, ასევე ვაწყდებით ზემოაღნიშნულზე უფრო რთულ პრობლემას, რომლის არსი შემდეგშია: ურთიერთობისას, აზრთა გაცვლა-გამოცვლისას ჩვენ სიტყვებს ვიყენებთ, მაგრამ ნაკლებად ვფიქრობთ იმაზე, თუ რა ინფორმაციის მომცველია ეს სიტყვები.

უფრო მკაცრად, ენის ფენომენის – ურთიერთობის „ტრადიციული" კონცეფცია – აგებულია სიტყვის, წინადადების განსაზღვრულობაზე.

სხვა სიტყვებით, რატომღაც ვთვლით, რომ სიტყვა შეესაბამება იმ ობიექტს, რისკენაც მიმართულია სიტყვა. ამ სიტყვებისგან იქმნება წინადადება, ხოლო მათი ერთობა ქმნის აზრს.

სიტყვები და წინადადებები რაღაცას აღნიშნავენ. მართლაც, სიტყვები: სამართალი, ეთიკა, განათლება, ელექტრონი,... გამოთქმები: ის პატიოსანია, ეს ჭკვიანი,... მკვეთრად განსაზღვრულია და ნათლად გამოსახავს იმას, რისი თქმაც მინდა. ყოველგვარი მცდელობა, აქ ვეძებოთ რაღაც შენიღბული, მზაკვრული, უბრალოდ არაკორექტულია.

მართლაც, რა გააჭირეთ საქმე, რაა აქ გაუგებარი?!

სწორედ ამ მიდგომაშია შენიღბული ჩვენი ტრაგედია.

საქმე იმაშია, რომ ხშირად პოსტულირებული შესაბამისობა სიტყვასა და მის მნიშვნელობას შორის სულაც არაა ნათელი.

სამწუხაროდ, სიტყვას არ ახასიათებს მდგრადობა, ერთმნიშვნელოვნება, მკაცრი განსაზღვრულობა.

მართლაც, შევადაროთ, თუ ვინ რას გულისხმობს ერთსა და იმავე სიტყვაში. ჰკითხეთ ბავშვს, განათლებულს, დეგენერატს, მეცნიერსა და არამეცნიერს, თუ რა არის ეთიკა, განათლება, რა არის სიყვარული, სიკეთე, ბოროტება, ზნეობა,... და მიიღებთ სხვადასხვა პასუხს. რადგან ასეა, გამოდის, რომ ძნელი მოსაძებნია ის სიტყვები, რომლებიც უკვე დადგენილს, განსაზღვრულს აღნიშნავს.

მართლაც, როცა გვიმტკიცებენ, რომ სიტყვა აღნიშნავს ობიექტს, თავიდანვე იგულისხმება, რომ ობიექტი ცნობილია, განსაზღვრულია.

აი, ეს კი, სამწუხაროდ, ყოველთვის არაა ასე.

დავუშვათ, სიტყვა მართებულად აღნიშნავს ობიექტს, ფენომენს.

ამ დაშვებით სწრაფად მივალთ წინააღმდეგობასთან.

მაგალითად, დაფიქრებულხართ სიტყვა ჭკვიანზე?

რამდენად შეესაბამება ეს სიტყვა იმ ადამიანს, ვისკენაც ისაა მიმართული?

ერთისთვის ჭკვიანი პერსონა მეორესთვის წმინდა წყლის იდიოტია და ეს განსხვავებული აზრი უფრო რადიკალური ხდება, თუ ის სხვა პარტიის წარმომადგენელია ან მისგან არავითარი ხეირია მოსალოდნელი.

რამდენად შეესაბამება სიტყვა „სახელმწიფო" იმ რეალობას, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ?

ერთისთვის სახელმწიფო არის დამსჯელი მექანიზმი.

მეორესთვის — პირიქით, ნაძარცვი ქონების შენარჩუნების სისტემა.

მესამესთვის — ქონების შოვნის უტყუარი საშუალება.

და ა.შ.

პარადოქსი: — თავის მხრივ, რატომღაც ყველა ღრმადაა დარწმუნებული, რომ ცნება "სახელმწიფო" მართებულად ესმის.

ადამიანები ერთმანეთს ველაპარაკებით და ვარწმუნებთ საკუთარ სიმართლეში, ვენდობით ან არ ვენდობით. ხშირად, სიტყვებს ვხმარობთ რაღაც წესების გამოყენებით, სადაც ნათლად არაა გამოსახული ლოგიკა და ამით ვცილდებით ცხოვრების კანონზომიერებას, რეალობას.

შესაბამისად, ჩვენ არ გვესმის ერთმანეთის და არც ვცდილობთ, რომ გავიგოთ.

ენა — ესაა ურთიერთობის საფუძველი.

ცხოვრება რეალიზდება ენაში.

და ამის უგულებელყოფის შედეგად ვართ გაუგებარი, უმიზნო ადამიანთა ნაკრები. ჩვენ ვარსებობთ და ცხოვრების აზრიც კი არ გვესმის.

და ის, რაც ჩვენ ამ აზრგამოქარული ცნებებით, ურთიერთობებით შევქმენით, არაა სიცოცხლე.

მართლაც, უხსოვარი დროიდანაა ცნობილი გაუგებრობის სიმბოლო — ბაბილონის გოდოლი.

ენა არის ქმედება, ენით ხდება ცხოვრებისეული თამაშის წესების ფორმირება. სამწუხაროდ, თამაშის წესები თავიდანვე არაა განსაზღვრული. ის ვითარდება სოციუმში. სიტყვის მნიშვნელობების კონსტრუირება მიმდინარეობს ცხოვრების პროცესში. შესაბამისად, ადამიანთა ურთიერთობისას პირველ დონეზე გამოდის ისეთი ფენომენები, როგორიცაა: რწმენა, ნდობა, დარწმუნება.

ურთიერთობის სირთულე კლებულობს, თუ ჩვენ ვეყრდნობით არა ერთ წინადადებას, არამედ წინადადებათა სისტემას.

უფრო ნათლად, განვიხილოთ მუდმივად ამაღელვებელი ფრაზა — მე შენ მიყვარხარ. თითქოს ეს სამსიტყვიანი წინადადება ნათლად გამოხატავს

ადამიანის ამაღლებულ შინაგან მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთისთვის ის ნიშნავს ერთი ღამით გართობას, მეორისთვის – საჩუქრების კასკადს: იახტა, საკუთარი კუნძული ხმელთაშუა ზღვაში,... ვიღაცისთვის კი ქორწინებას სამარის კარამდე...

ეს ისე, ხუმრობით, მაგრამ, თუ გავიხსენებთ თითქოს ჰუმანურ ლოზუნგებს –

„მეტი სარგებელი ხალხს!" – ხალხში ვინ იგულისხმება?

„ავიხდინოთ ქართული ოცნება!" – ვისთვის რაა საოცნებო?

ამ საკითხზე დაფიქრება გაგვახსენებს ბოლშევიკების იმედისმომცემ ყალბ ლოზუგს: **„მიწა გლეხებს, ქარხნები მუშებს!"**, რომელმაც მსხვერპლად მილიონობით ადამიანი შეიწირა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გაუნათლებელთა დამთრგუნველმა უმრავლესობამ სათავისოდ გაიგო და არ იკითხა – **პროდუქტი ვის?**

ზოგადად გაურკვევლობა მცირდება იმ შემთხვევაში, თუ აზრის გამოთქმა არ შემოისაზღვრება მარტივი სამსიტყვიანი ლოზუნგით, წინადადებით. და რაც უფრო მეტს ილაპარაკებს აღნიშნულ საკითხზე ინდივიდი, მით უფრო ნათელი გახდება, თუ რა იგულისხმება მის სიტყვებში.

შესაბამისად, **წინადადებათა სისტემა შედარებით უფრო ნათლად გამოხატავს აზრს, ვიდრე ერთი მოკლე წინადადება.** ეს განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მაშინ, როცა რამოდენიმე წუთში ურთულესი პრობლემის ჩამოყალიბება-განხილვას ითხოვენ.

სიტყვათა თამაში განსაზღვრავს ნდობას, რწმენას, ცხოვრებას და ვაი მას, ვინც ვერ გაიგო, ვერ მიხვდა ამ თამაშის წესებს. ეს გაგება-არგაგება განაპირობებს ვიღაცის „კეთილდღეობას" და ვიღაცის მარცხს.

ამ ისედაც გაუგებარ მდგომარეობას განსაკუთრებულ სიმძაფრეს მატებს ჩვენი დროის მოზაიკურად უკიდურესად გადატვირთული ინფორმაციული სივრცე, ელექტრონული და არაელექტრონული მასმედია, რომლის წარმატების მთავარი საფუარია მოკლე ფრაზებით, სიტყვებით ჟონგლიორობა.

შედეგი სახეზეა – ნებისმიერ ჩვენგანს, კონკრეტულ ინდივიდს უყალიბდება ცხოვრების ყალბი, საკუთარი კანონზომიერება ვარდისფერ ან მოქუფრულ, შავ ფერებში, რომელსაც რეალობასთან არაფერი აქვს საერთო.

ზემოაღნიშნულმა მსჯელობამ ნათლად გამოავლინა არა მხოლოდ სოციალურ, არამედ ყოფით ურთიერთობაში არსებული ლინგვისტიკური პრობლემები.

სწორედ ლინგვისტიკური პრობლემის ნათელი მაგალითია სიტყვა კონფორმიზმის, როგორც სიტყვის, ცნების ბუნდოვანება. ცხადია, ეს პრობლემა ეხება არა მარტო სიტყვა კონფორმიზმს.

შესაბამისად, თუ სიტყვათა უმრავლესობა სათქმელს ნათლად არ ასახავს, ცხადია, სოციუმში ურთიერთგაგების პრობლემა ჩნდება, რაც საზოგადოების ჩამოყალიბებას ხელს უშლის.

ჩანართი

თვითშემეცნებისა და ცნობიერების ხარისხი რეალობაში ვლინდება ადამიანის შემოქმედებასა და ურთიერთობებში.

ცხადია, შემოქმედებაში იგულისხმება: ქვის, ბრინჯაოს იარაღის შექმნა, მხატვრობა, დამწერლობა, ხუროთმოძღვრება, ფარდობითობის თეორია,... რითაც ადამიანი შინაგან არსს ავლენს. ურთიერთობა კი მოიცავს ენის, გამოხატვის სხვადასხვა საშუალებების, სიმბოლოთა სისტემების არსებობა-განვითარებას. თუ ღრმად დავფიქრდებით, ძალიან გაგვიჭირდება, ზღვარი გავავლოთ შემოქმედებასა და ურთიერთობის კულტურას შორის.

შემოქმედება, ურთიერთობა სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაგვარად ვლინდება.

შედეგად ვიღებთ ადამიანის განსხვავებულ აქტივობას, დამოუკიდებლობის ხარისხს, თვითგანკარგვის შინაგან მოთხოვნილებას, პასუხისმგებლობას.

ხშირად ადამიანი საკუთარ წარუმატებლობას აბრალებს გარე ფაქტორებს – გარემოს, სხვა ადამიანებს ან საკუთარ თავს იდანაშაულებს.

მაგ., ჩვენგან განსხვავებული პროტესტანტული ეთიკა ეფუძნება ღვთის მიერ ადამიანის გამორჩეულობას. უფრო ნათლად, ადრეულ პროტესტანტიზმში წარმოიშვა კითხვა: როგორ გავიგო, მოსწონს თუ არა ჩემი ცხოვრების წესი ღმერთს? – რადგან ყველაფერს ღმერთი განკარგავს, შესაბამისად, თუ მე წარმატებული ვარ, ეს ღმერთის კეთილგანწყობის შედეგია.

ე.ი. პროტესტანტულ ეთიკაში ადამიანის ღვთიური გამორჩეულობა მჟღავნდება მის საქმიან წარმატებაში, პასუხისმგებლობაში, შრომის კულტურაში, მიზანდასახულობაში, ლიდერობაში, საკუთარი თავის პატივისცემაში, თავმოყვარეობაში. ყოველივე ეს გადადის ჩვევაში და პირველ პლანზე გამოდის და მკვიდრდება ადამიანის ამაღლებული აქტივობის შინაგანი მოთხოვნა.

გამოდის, რომ პროტესტანტიზმი მიმართულია პიროვნებისკენ და თითქოს ნაკლები ყურადღება ეთმობა სოციუმს, ჯგუფს, თუნდაც იმიტომ, რომ პირველობისკენ სწრაფვა უმთავრესი ფასეულობაა.

პროტესტანტიზმისგან განსხვავებით, ჩვენს კულტურაში ფასეულობათა ცენტრი გადახრილია ჯგუფური ურთიერთობისკენ. მიზანდასახულობა, გამორჩეულობა, ლიდერობა მიუღებლად მიიჩნევა და წახალისებულია მორჩილება. მიუხედავად ამისა, ისეთი პარადოქსის წინაშე ვდგავართ, რომლის არშემჩნევაც შეუძლებელია, **– იქ, სადაც წახალისებულია პიროვნულობა, ვიღებთ შეკრულ, მონოლითურ საზოგადოებას, ხოლო ჩვენთან პირიქით, ეკლესიებში ჯგუფურად სიარულისა და ხუთასკაციანი ქეიფების მიუხედავად, დიფერენციაცია, კარჩაკეტილობა და გათითოკაცებაა დამკვიდრებული.**

არის გარკვეული ფასეულობანი, რომლებიც ყველგან პოზიტიურ ელფერს ინარჩუნებს – ვაჟკაცობა, სითამამე და შრომისმოყვარეობა. ლაჩრობა და სიზარმაცე კი ყველგან მკვეთრად გამოსახულ უარყოფით მოვლენადაა მიჩნეული. ასევე, ცხადია, რომ ასაკის მატებასთან ერთად პასუხისმგებლობაც უნდა იზრდებოდეს. და ესეც არასადისკუსიოა.

მიუხედავად ამისა, ეს უნივერსალური შეხედულებებიც შეიძლება სადისკუსიო აღმოჩნდეს. ევროპელებისთვის და ჩვენთვისაც თითქოს უფროსი ასაკის ახალგაზრდას უფრო მეტი სოციალური პასუხისმგებლობა მოეთხოვება, ვიდრე მოზარდს.

განსხვავებული და ფრიად საინტერესო მიდგომაა აფრიკულ მასაის ტომში. იქ 12-14 წლის მოზარდს უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე 16-18 წლის ახალგაზრდას.

რატომ? – იმიტომ, რომ 12-14 წლის ასაკში ის დაკავებულია საქონლის მწყემსვით. ის პასუხისმგებელია საქონლის არა მხოლოდ რიცხობრივ შენარჩუნებაზე, არამედ გამრავლებაზეც. ხოლო უფროს ასაკში კი იწყება მათი სამხედრო წვრთნა. ხდება ჯგუფში გაერთიანება, სადაც პასუხისმგებლობა დისციპლინით იცვლება.

თუ დავუკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ 14 წლამდე ჩვენც დიდ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ ბავშვს. ვაიძულებთ, ისწავლოს ენები, დაგვყავს ცეკვაზე, ხატვაზე, ტანვარჯიშზე,... და მისგან მუდმივად მოვითხოვთ ამაღლებულ პასუხისმგებლობას ამ საქმიანობების მიმართ. 16 წლის ასაკიდან კი პირადი პასუხისმგებლობა ქვეითდება. ეს განსაკუთრებით სოციალურ პასუხისმგებლობას ეხება.

პირველ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ბუნებრივად ვითარდება ადამიანში, ხოლო მეორე შემთხვევაში ბავშვს პასუხისმგებლობას იძულებით ვახვევთ თავს.

ალბათ გაჩნდება კითხვა: ამით რა განვითარებას მიაღწია მასაის ტომმა?

გულუბრყვილო შეკითხვაა, რადგან ყველა ცივილიზებულ საზოგადოებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შეგნებულად პასუხისმგებლობის განვითარებას და არა თავსმოხვეული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას (აქ მასაის ტომის მაგალითი თვალსაჩინოებისთვისაა მოყვანილი.).

მოზარდისადმი ჩვენი ამგვარი მიდგომა შესაბამის შედეგებს იწვევს და დიდი ალბათობით შესაძლოა მივიღოთ უპასუხისმგებლო, უინიციატივო, უნიათო, უნებისყოფო ადამიანი, რომელიც ცდილობს მოერგოს გარემოს, მიჰყვება დინებას, პროტესტის გრძნობა არ უჩნდება და სხვისი მართვის ობიექტად იქცევა. დგება ძლიერის მხარეს და ამით თავს გრძნობს დაცულად, „თავისუფლად", ილუზორულად ძლიერად.

ასეთი არ ესწრაფვის, უკეთესობისკენ შეცვალოს გარემო და ცდილობს, საკუთარი უმოქმედობა სხვადასხვა მიზეზით გაამართლოს.

გამოდის, რომ ცნება პასუხისმგებლობა ყველას სხვადასხვაგვარად ესმის და პასუხისმგებლობის ეთიკურ ბუნდოვანებას ლინგვისტიკური ბუნდოვანებაც ემატება.

აქ შეიძლება დაისვას კითხვა – ეს პრობლემა ჩვენ მიერ ხელოვნურად ხომ არაა შექმნილი?

ნუთუ შეიძლება, რაღაც ცნებების არასიღრმისეულმა გააზრებამ, საზოგადოების დამკვიდრება-განვითარების მცდელობა დაასამაროს?

ნუთუ მხოლოდ ჩვენი სოციუმი დგას ჩვენთვის „უაზრო", ჩვენ მიერვე ხელოვნურად გამოგონილი ბარიერის წინაშე, ხოლო დანარჩენი მსოფლიოსთვის კი ეს პრობლემას არ წარმოადგენს?

ნუთუ მართლაც, ეს ლინგვისტიკური ბუნდოვანება აფერხებს საზოგადოების ჩამოყალიბებას?

ლინგვისტიკური ბუნდოვანება

ცნებების, სიტყვების არამკაფიო განსაზღვრა ავსტრიელმა ფილოსოფოსმა **ლუდვიგ ვიტგენშტეინმა** (1889-1951) საკუთარი ლინგვისტიკური ფილოსოფიის საფუძვლად გამოაცხადა. მისი აზრით, რაც უფრო დაწვრილებით განვიხილავთ საგნის, ფენომენის აღმნიშვნელ სიტყვას, მით შესუსტდება აღნიშნული პრობლემა.

მისგან რადიკალურად განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს ცნობილი თანამედროვე ფრანგი ფილოსოფოსი **ჟან ლიოტარი** (1924-1998) თავის ნაშრომში **„პოსტმოდერნიზმის მდგომარეობა"** და ამ ნაშრომით ის ფილოსოფიური პოსტმოდერნიზმის ფუძემდებელი ხდება.

როდესაც თავს აიძულებ, გაუგო ამ ცნობილ ფილოსოფოსს, მიდიხარ იმ აზრამდე, რომ ლიოტარისთვის ადამიანი აგნოსტიკურია, მას საერთოდ არ გააჩნია გონებრივი პოტენციალი, რომელიც რეალურ სამყაროს სრულად შეამეცნებინებს. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ უნივერსალური აზროვნება სიყალბეა, არავინ ფლობს მთელს. შესაბამისად, შესაცვლელია ცოდნის ხასიათი. იმდენი „ახალი" ცოდნა დაგროვდა, რომ უაზრო გახდა „ძველი" ცოდნა. „სქელტანიანი წიგნების", „დიდი მოთხრობების" დრო წავიდა და ჭეშმარიტების ძიებას, საერთოდ, ეჭვის თვალით უნდა შევხედოთ.

ლიოტარის აზრით, მართლაც, რა დროს ჭეშმარიტებაა. წინა პლანზე უნდა გამოვიტანოთ ეფექტურობის და ხეირის, მომგებიანობის კრიტერიუმები. აგნოსტიციზმსა და მოსაზრებათა დაპირისპირებას სულაც არ სჭირდება სიტყვების განსაზღვრულობა, რაღაც ლოგიკური აზროვნება. თუ რამე სადისკუსიოა, მაშინ ძალა და სისწრაფე წყვეტს ყველაფერს.

აქ ერთია გაუგებარი, რატომ არ განიხილავს ბატონი ლიოტარი, თუ როგორ შეძლო ვიღაცაზე აღმატება მეორე მხარემ სისწრაფითა და ძალით?!

ვკითხოთ ღრმად პატივცემულ ლიოტარს: როგორ წარმოუდგენია მას სიმძლავრის გაზრდა მათემატიკური ანალიზის, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის, ზოგადი ფიზიკის, კვანტური ფიზიკისა და ქიმიის,... – სქელტანიანი წიგნების გარეშე?

ჩვენ კი ბატონ ლიოტარსაც და საკუთარ თავსაც შევახსენებთ, რომ როდესაც „სქელტანიანი წიგნების" დრო სრულდება, დგება ვიწროშუბლიანთა, შეზღუდულთა ეპოქა.

ღრმად პატივცემულ ბატონ ლიოტარს რა ენაღვლება, აწყობილი ჰქონდა ცხოვრება და შეეძლო ეცხოვრა აგნოსტიკურად, ლოგიკური აზროვნების გარეშე.

შემეცნებადაინტერესებული კი ხვდება, რომ უნდა გაარკვიოს, რა არის ძალა და სიმძლავრე და რა სჭირდება სიმძლავრის განვითარებას.

ცხადია, სოციუმი, რომელიც ვერ იაზრებს ლინგვისტიკური ფილოსოფიის აღნიშნულ პრობლემას, ისეთი „სისწრაფითა და ძალით" დაკარგავს ტერიტორიებს, რომ გააზრებასაც ვერ მოასწრებს.

ჩვენსავით დაქვეითებული აზროვნების მქონე სოციუმისთვის ლიოტარის ლოგიკა ნეტარების, თავის მართლების საფუძველი ხდება.

მართლაც, უნიკალურია ამ გამოჩენილი ფილოსოფოსის აზრთა წყობა. მისი აზრით, ახალი დრო მოვიდა. უნივერსალური ლოგიკის, მტკიცე პრინციპების ნაცვლად შემოდის **პარალოგიკა** – ლოგიკიდან გადახრა (ბერძ. **para** - გადახრა).

თუ სიტყვებით, მსჯელობით მაინც ვერაფერს შევიმეცნებთ, მაშინ პარალოგიკა ენის, სიტყვების თამაშისკენ, „მოკლე მოთხრობებისკენ" მიგვითითებს.

მისი აზრით, უნდა უარვყოთ ერთობა, იდენტურობა და უსაფრთხოებისკენ სწრაფვა.

უაზრობაა ამაღლებულზე ფიქრი. კონსენსუსი, უწყვეტობა, პროგრესი და სტაბილურობა აზრს კარგავს.

დიახ, მან შემოგვთავაზა პარალოგიკა, რომლის მიხედვით პოსტმოდერნიზმის დომინანტებია:

– დისკონსენსუსი და არა კონსენსუსი
– დისკრეტულობა და არა უწყვეტობა და პროგრესი
– არასტაბილურობა სტაბილურობის ნაცვლად
– შემთხვევითობა და არა აუცილებლობა
– თამაში და არა მიზანი
– ანარქია და არა იერარქია
– გაბნევა და არა ცენტრალიზება
– გაურკვევლობა გარკვეულობის ნაცვლად
– პარადოქსულის ესთეტიკა და არა მშვენიერის ესთეტიკა
– ვირტუალურობა და არა რეალური, საგნობრივი სამყარო
– ირონია ამაღლებული, მდგრადი ფასეულობების მიმართ.

ეცნობი ლიოტარის გააზრებებს და ხვდები, რომ მან ვერც ფრანგები და ვერც ევროპა ვერ გადაიყვანა პარალოგიკურ აზროვნებაზე. ჩვენ კი, ყოველგვარი ლიოტარის გარეშეც, მშვენივრად ვახერხებთ პარალოგიკით ცხოვრებას.

ამგვარი პოსტმოდერნიზმის კულტივირება ამჟამად მიმდინარეობს ორი ვარიანტით, ზომიერით და ავანგარდულ-ანარქიულით.

ზომიერი პოსტმოდერნიზმით გატაცებამ შეიძლება გარკვეული შარმი შესძინოს წესიერებითა და პოლიტიკურ-ეკონომიკური წარმატებებით გადაღლილ, მძლავრი ქვეყნების "მოსაწყენ" ცხოვრებას. ჩვენს ქვეყანას კი, ჩვენივე არსიდან აღმოცენებული, ასეთი „ავანგარდულ-ანარქიული მსოფლმხედველობა" უცილობლად წაშლის პოლიტიკური რუკიდან.

აღნიშნული პრობლემის განხილვისას უხერხულია გვერდი ავუაროთ ყველაზე ექსცენტრულ ფრანგ ფილოსოფოსს **ჟაკ დერრიდას** (1933წ). მისი ინტერესების სფეროა **დეკონსტრუქტივიზმი**. თვით ტერმინია საინტერესო და მრავალმნიშვნელოვანი. ერთი მხრივ, ამ სიტყვაში მითითებულია არსებული სტრუქტურისა და კონსტრუირებისადმი შენიღბული სიმპათია და მეორე მხრივ, დაშლის, დეკონსტრუირების სურვილი.

დერრიდას ფილოსოფია ითხოვს ენის ათვისებას. რას ნიშნავს ენის ათვისება? – ესაა დეკონსტრუირება. უფრო კონკრეტულად:

ვთქვათ, თქვენი ყურადღება მიმართულია სიყვარულის არსისკენ.

სიყვარული არის კეთილგანწყობა და სიმპათია, მაგრამ სიმპათია და კეთილგანწყობა სინონიმები არაა. სიყვარული არის სინაზე და აღფრთოვანება, მაგრამ სინაზე არაა აღფრთოვანება. გამოდის, რომ დეკონსტრუირებისას ჩემი წარმოდგენა სიყვარულზე მრავალპლასტიანი ხდება, იზრდება.

სიყვარულზე საუბრისას სასურველია შემოქმედებითი მიდგომა, დაუსრულებელი, იდუმალი მინიშნებები.

სიყვარულში ჩნდება სილამაზის მოთხოვნილება. სიყვარულზე ისე უნდა ვწეროთ, რომ მომდევნო წინადადება უფრო ლამაზი იყოს ვიდრე წინა.

რაა სიყვარული? – დაწერე მასზე მაქსიმალური გატაცებით, სინაზით და უკანასკნელ ფორმულირებაზე არ გაჩერდე.

დერრიდას ფილოსოფიაში მოსროლილი და განადგურებულია მეცნიერული ლოგიკა, ხოლო ესთეტიკა უფრო მეტია, ვიდრე ეთიკა.

დერრიდასთვის ესთეტიკა პირველადია. ის მნიშვნელოვნად მიიჩნევს გარეგნული იერსახის ესთეტიკურ გამოსახვას და განსახილველ საკითხს, პრობლემას ზედაპირულად უდგება.

ჩვენ იმდენად გავითავისეთ პრობლემის ზედაპირული განხილვის სქემა, რომ გარეგნული ესთეტიკაც კი სიმახინჯედ ვაქციეთ. არ იფიქროთ, რომ ლიოტარის და დერრიდას ფილოსოფია ჩვენს სოციუმს შესწავლილი აქვს და ამით ხელმძღვანელობს.

უბრალოდ, ეს ჩვენი ცხოვრების წესია და აქ დერრიდა და ლიოტარი არაფერ შუაშია.

მაგ., მსოფლიოში რატომღაც მოაზროვნედ აღიარებული თომას ჰობსის მიერ აღწერილი სახელმწიფოს მოდელი დაფუძნებულია მაკიაველის მოსაზრებაზე ადამიანის ასოციალურობის შესახებ, რომელიც სამ სიტყვაში ეტევა – ადამიანი ადამიანისთვის მგელია.

ჰობსის თეორიის მიხედვით, მმართველი, სუვერენი უფრო ცხოველია, ვიდრე ადამიანი.

ჩვენი უახლესი ისტორია გვაფიქრებინებს, რომ მმართველები ჰობსის ნაშრომით ხელმძღვანელობდნენ.

უბრალოდ, როდესაც განუვითარებელი, უზნეო ადამიანი სახელმწიფოს მმართველად გვევლინება, ის საკუთარ არაადამიანურ თვისებებს ჰობსის ფილოსოფიის გარეშეც მშვენივრად ავლენს.

დიახ, მას ჰობსის თეორიის გაცნობა არ დასჭირდება, მისი ქცევა ბუნებრივად, აბსოლუტურად დაემთხვევა ჰობსის მიერ აღწერილი მმართველის ქცევას.

ერთი ჭკვიანი კაცის აზრის პერიფრაზირებით რომ ვთქვათ, – გონივრული ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ეს სულელები და უზნეოები ჰგვანან ერთმანეთს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვალდებულნი ვართ, შევთანხმდეთ, რომ სიტყვათა არამკაფიო განსაზღვრულობაზე დაყრდნობით ახერხებენ უზნეო მმართველები ცნებებით მანიპულირებას, რითაც პირადი

მერკანტილური საჭიროების, ეგოისტური ამბიციების, კაპრიზის მიხედვით მართავენ ჯოგს, მასას.

მათ არ იციან და ჩვენ კი დავიმახსოვროთ, რომ ამბიცია არგამართლების უკანასკნელი თავშესაფარია.

სწორედ ლინგვისტიკური ბუნდოვანების გამოყენებით მიზანმიმართულად ამახინჯებენ მმართველები კანონმდებლობას (კანონი ისეთი სახითაა წარმოდგენილი, რომ მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალება ჩნდება.) **და ასამარებენ სამართალს, რაც მთავარია, უმაღლეს ფასეულობას – სიმართლეს, ჭეშმარიტებას, თავისუფლებას.**

სიტყვები ჩვენ უნდა ვაქციოთ ჭეშმარიტების, გონივრულობის ექოდ.

შესაბამისად, ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი აზროვნება და ორიგინალური მეთოდი, რომელიც სიტყვებს დაუბრუნებს სინათლეს, განსაზღვრულობას. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ჩვენ შორის შემოქმედებითი დისკუსიის, საუბრის წარმართვა, რაც საშუალებას მოგვცემს, გავერკვეთ იმ უმაღლეს კანონზომიერებაში, რასაც ეს სამყარო ემორჩილება.

სხვაგვარად შეუძლებელია ამ უსახური ცხოვრების ჭაობიდან ამოსვლა.

სწორედ ამიტომ გვჭირდება ისეთი იდეოლოგია, რომელიც ამ უსახური ბუნდოვანებისგან გაგვათავისუფლებს და ეს თავისუფლება საზოგადოების, ქვეყნის განვითარების საშუალებას მოგვცემს.

ჩანართი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი პირობაა ადამიანთა შორის ჰარმონიის, კონგენიალობის მიღწევა უმაღლეს ფასეულობათა არსსა და სკალაზე შეთანხმებით. აუცილებელია იმ იდეოლოგიაზე შეთანხმება, რომლის გარეშეც შეუძლებელია განვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბება.

აქ დასაფიქრებელია, რაა ის იდეოლოგია, რომელსაც შეუძლია ამ უსახური ცხოვრებისგან გაგვათავისუფლოს?

ზედაპირულად მაინც გადავხედოთ ცივილიზაციის ისტორიას.

გავიხსენოთ ეგვიპტე, შუამდინარეთი, ანტიკური საბერძნეთი, რომი, ევროპა, რუსეთი, ძველი და ახალი ჩინეთი, იაპონია, ჩრდილო და სამხრეთ კორეა, აშშ,... ადამიანთა ისტორია ფაქტობრივად ერების აღმავლობის და დაქვეითების ისტორიაა.

თუ მკვლევარი აბსოლუტურად ბრმა არ არის, ის აუცილებლად შეამჩნევს იმ მარტივ კანონზომიერებას, რომ ქვეყნებში, სადაც სულიერება იყო უმთავრესი, იწყებოდა განვითარება, აღმავლობა, იბადებოდა სიმძლავრე.

გავიხსენოთ ეგვიპტე.

ამ სახელმწიფოს არსი გაჟღენთილი იყო იმ სულიერებით, რომლის კვალი დრომაც ვერ წაშალა, ამიტომ იყო ეგვიპტე ყველაზე დღეგრძელი, ყველაზე წარმატებული სახელმწიფო. სწორედ სულიერების დაქვეითებამ განაპირობა ეგვიპტის დაცემა.

როდესაც ანტიკური საბერძნეთი შესწვდა ზოგადი იდეის არსს, მაშინ აღწევს ის თავისი განვითარების პიკს. იდეალიზმის დამკვიდრებას, განვითარებას მოჰყვა ბერძნული ყოფიერების აღმავლობა თავისი ფილოსოფიით, მეცნიერებით, ხელოვნებით. როდესაც რომი კარგავს სულიერებას, მაშინ ჩნდებიან ნერონები, კალიგულები,... ეცემა იმპერია.

პურიტანელი მამების სულიერებამ შექმნა ამერიკელი ერი, შეერთებული შტატები თავისი ეკონომიკური და მილიტარისტული სიმძლავრით.

ხოლო სულიერებით, ტრადიციებით გაჟღენთილმა იაპონიამ, უმოკლეს დროში, დამარცხებული ერის ნახტომისებური განვითარების ნათელი მაგალითით, მთელი მსოფლიო გააოცა.

შეადარეთ დაოს ფილოსოფიის საფუძველზე მდგომი ჩინეთი და მაოს მარქსისტულ-მატერიალისტური ჩინეთი. მარქსისტულ-მატერიალისტური ჩრდილო კორეა და არამატერიალისტური სამხრეთ კორეა.

დასკვნა ერთია: სულიერებაზე, იდეაზე, ცნობიერების პირველადობაზე დაფუძნებული ქვეყნები აღწევენ წარმატებას, ხოლო ყველა იმ ქვეყანაში, სადაც პირველადია მატერიალისტური აზროვნება, ვიღებთ ჩრდილო კორეასა და საქართველოს.

შესაბამისად, სანამ ადამიანი უმაღლეს ფასეულობებზე, ჭეშმარიტებაზე დაიწყებს მსჯელობას, უპირველეს ყოვლისა, ამ სამყაროში მენტალური ორიენტირებისთვის უნდა გაერკვეს უმნიშვნელოვანეს საკითხში: ვაღიაროთ იდეის, ცნობიერების პირველადობა, თუ გავაგრძელოთ ჩვენი უბედური ცხოვრება?

მაშ ასე, იდეალიზმი თუ მატერიალიზმი, ეს ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელიც დღესაც აქტუალურია და დიდი უნივერსალიების დავად მოიხსენიება.

მართლაც, დავფიქრდეთ – ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას, თუ პირიქით, ყოფიერება – ცნობიერებას?

ყოფიერების ცნობიერება

მეტ-ნაკლებად გააზრებული ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა – რაზეა დამოკიდებული საზოგადოების, ქვეყნის განვითარება, კეთილდღეობა? – ერთი შეხედვით ღრმა დაფიქრებას, რთულ ანალიზს არ მოითხოვს.

ამ საკითხის განხილვისას უმრავლესობა ეყრდნობა მარტივ, ყველასთვის გასაგებ კონცეფციას, რომლის არსი შემდეგშია:

პროტესტით – გამოსვლებით, დემონსტრაციებით, ლანძღვა-გინებით უარვყოთ ჩვენთვის მიუღებელი ფასეულობანი და მისაღების კულტივირებით, დახვეწით ათასწლობით ნანატრ, ბედნიერ ცხოვრებას მივაღწევთ.

მართლაც, **არსებულის დახვეწა და სრულყოფა** მარტივი და გასაგები კონცეფციაა.

ამ კონცეფციიდან გამომდინარე, დახვეწისა და სრულყოფის პროცესში შესაშური აქტივობითაა ჩართული ყველა, ვისაც აქვს პრეტენზია, საკუთარ თავს უწოდოს პოლიტიკოსი, ეკონომისტი, იურისტი, სოციოლოგი, ანთროპოლოგი, ფილოსოფისი,...

მიუხედავად ამისა, ესოდენ ნანატრი, სრულყოფილი ცხოვრება, დახვეწილი ყოფა შორეული, ბუნდოვანი მომავლის ნისლშია გახვეული. ეს ნისლი ნებისმიერ ავანტიურისტს უადვილებს მისთვის სასარგებლო ორიენტირის დასახვას. დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა.

იწყება მისი წინამძღოლობით სიდუხჭირით გამოთაყვანებული სოციუმის ენერგიული მარშირება ხან ერთმორწმუნე ჩრდილოეთისკენ, ხან არაერთმორწმუნე დასავლეთისკენ, ასევე, ხან სოციალიზმისა და კომუნიზმისკენ, ხან ნათელი კაპიტალიზმისკენ, იმისდა მიხედვით, თუ საიდან ელოდება ლიდერი ხეირს.

ავანტიურისტების ქმედების მოტივაცია გასაგებია.

გაუგებარია, სოციუმის დამთრგუნველი უმრავლესობის მიერ არსებულის დახვეწით, სრულყოფით კეთილდღეობის მიღწევის მითის ასე ადვილად მიღება-გათავისება.

აღნიშნული მოვლენა ადვილად ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს სოციუმში ისტორიულად გამჯდარია ყოფიერებისადმი არა იდეალისტური, არამედ მატერიალისტური მიდგომა.

და აზროვნების ეს ფორმა სულაც არ იყო იმპორტირებული რუსეთის მხრიდან 1801 წელს.

სამწუხაროდ, მატერიალისტური მსოფლმხედველობა ბევრად უფრო ადრე იყო ჩვენში გამჯდარი, რაც ადვილად ხსნის რუსეთის იმპერიის შედარებით მარტივ, ორგანულ დამკვიდრებას საქართველოში.

ეს აზრი მრავალი ჩვენი თანამოქალაქისთვის არა მარტო სადისკუსიო, არამედ კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდება.

განსაკუთრებით განსწავლულები უცილობლად გაიხსენებენ რუსთაველის „...პლატონისგან სწავლა თქმულსა...”

სამწუხარო ისაა, რომ მიუხედავად ამისა, უმრავლესობას მთელი სიგრძე-სიგანით არასდროს გაუაზრებია იდეალისტი პლატონის „სწავლა, თქმული”. საოცრება ისაა, რომ ჩვენს უცნაურ სულიერ წყობას მივყავართ მკვეთრად გამოსახულ პარადოქსთან – უმრავლესობაში, ერთი მხრივ, გაბატონებულია მატერიალისტური აზროვნება და, მეორე მხრივ, რატომღაც არავინ აღიარებს თავს მატერიალისტად, მარქსისტად.

დავფიქრდეთ ამ პარადოქსზე.

უპირველესად, გავიხსენოთ თანამედროვე მატერიალისტურ-მარქსისტული აზროვნების ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური საფუძვლები.

რაც უფრო ამაღლებული პრეტენზია აქვს სუბიექტს უმაღლეს აზროვნებაზე, შემოქმედებაზე, რატომღაც, მით უფრო ძნელია მისთვის იმ ქვეყანაში საკუთარი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება, სადაც ცხოვრობდნენ გოეთე, ბეთჰოვენი, ბახი, კანტი, ფიხტე, ჰეგელი,...

შესაბამისად, გასაგები ხდება განდიდების სურვილით შეპყრობილი ბატონი კარლ მარქსის სულიერი მდგომარეობა, მისი და მისი მიმდევრების შეუპოვარი სვლა ადამიანთა აზროვნების ისტორიაში საკუთარი პერსონის დასამკვიდრებლად.

მარქსის ძირითადი მსოფლმხედველობა წარმოდგენილია პოლიტეკონომიურ ნაშრომში – „კაპიტალი”. ამ ნაშრომში ფილოსოფიური პოტენციალის არსებობა, რბილად რომ ვთქვათ, სადისკუსიოა. მისი თანამოაზრის, ენგელსის

მთავარი ნაშრომი „ანტიდიურინგი" კი დაწერილია პოლემიკური შემართებით. აქ მინიმალურია მეცნიერული დებულებები, სამაგიეროდ, უხვადაა პოპულარული ნარკვევები. რაც შეეხება ამხანაგ ლენინს, ვისაც უნდა იმან ჩათვალოს პოლიტიკოსად, მაგრამ მისი ფილოსოფოსად მოხსენიება, უბრალად უმეცრებაა. მას მრავალ ფილოსოფიურ მიმართულებაზე მხოლოდ ყურმოკვრით მიღებული ინფორმაცია გააჩნდა. აქედან გამომდინარე, ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ყველა ფილოსოფოსი, მარქსისა და ენგელსის გარდა, ღრმად ცდებოდა. ის თავად გამოუტყდა მაქსიმ გორკს, რომ ჰეგელის შრომებს სიცოცხლის ბოლოს გაეცნო.

ამხანაგი ულიანოვის სათაყვანებელმა მარქსმა თავისი ფილოსოფიური კონცეფციის საფუძვლად გამოიყენა იდეალისტი ჰეგელის და ანთროპოლოგ-მატერიალისტი ფოიერბახის ფილოსოფია.

მიუხედავად ამ არასადიკუსიო ფაქტისა, მარქსი კატეგორიულად ემიჯნებოდა ორივეს.

ამ თეატრალურ გამიჯვნას მისთვის ხელი არ შეუშლია, რათა გამოეყენებინა ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკა იდეის გარეშე და ფოიერბახის მატერიალიზმი – ანთროპოლოგიის, ადამიანის გარეშე.

ფოიერბახის შემოქმედებაში ადამიანი მნიშვნელოვანი ფასეულობაა. მისი აზრით, ადამიანი სიყვარულის, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების გარეშე განწირულია მისდამი გაუცხოებულ, მკაცრ სამყაროში.

ორი უმაღლესი ფასეულობის – იდეისა და ადამიანის გარეშე, ნამსხვრევების შეჯვარებით მარქსმა მიიღო არსგამოცლილი მუტანტი სახელწოდებით – დიალექტიკური მატერიალიზმი და, მისგან გამომდინარე, ისტორიული მატერიალიზმი, რომლის არსი ერთი წინადადებით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

– **ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ყოფიერებას, არამედ ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას**.

ეს აზრი გამომდინარეობს ათეიზმის არსიდან.

ათეიზმი და ათეისტი არატოლფასოვანი სიდიდეებია. ათეიზმი იდეოლოგიაა. ათეისტი კი ადამიანია მთელი თავისი რთული, ცვლადი პოტენციალით.

ათეისტი მატერიალისტი შეიძლება გახდეს თეისტი.

ხოლო ათეიზმი ვერასდროს გახდება იდეალიზმი.

არსებობს აზრი, რომ ათეიზმი არა მსოფლმხედველობა, არამედ სამყაროს მხოლოდ გრძნობითი, ზედაპირული აღქმაა.

თუ თქვენთვის ეს თეზა მისაღებია, მაშინ უნდა დამეთანხმოთ, რომ ჩვენი ეკლესიისა და მრევლის დამთრგუნველი ნაწილი, რომელიც ამ სამყაროს, რელიგიას არა შემოქმედებითი გააზრებით, არამედ ზედაპირულად აღიქვამს, უბრალოდ მატერიალისტია.

ათეიზმი არ გამომდინარეობს მატერიალიზმიდან. პირიქით, მატერიალიზმის საფუძველია ათეიზმი.

მატერიალისტური თვალსაზრისით, პირველადია ის, რასაც გააჩნია სივრცული ფორმა და ემორჩილება დროს.

მატერიალიზმი ვერ ხსნის, თუ როგორ წარმოქმნის მატერიალური ნაწილაკების მოძრაობა სურვილს, გრძნობას, სიყვარულს, ეთიკას,... ყველაფერს, რასაც არ გააჩნია სივრცული განფენილობა, ფორმა და მედეგია დროში.

შესაბამისად, ის არ ცნობს უკვდავებას.

ათეიზმი, ესაა ნულის რწმენა.

ათეიზმი არის შიშისა და სიკვდილის რელიგია.

გერმანელი ბუნების მკვლევარი, ექიმი მატერიალისტი ფილოსოფოსი ლუდვიგ ბიუხნერი (1824-1899) ასე აწყნარებდა თავის მიმდევრებს – სიკვდილის შემდეგ ისინი კი არ გაქრებიან, არამედ კოსმოსურ მტვრად გარდაიქმნებიან.

მატერიალისტებისთვის ეს სამყარო უძირო საფლავია და მეგაგალაქტიკებთან ერთად ადამიანიც მთელ სამყაროს მტვრად ეფინება.

რა ადგილი უკავია ამ სიკვდილის რელიგიაში ადამიანს, ჭეშმარიტებას, ეთიკას, სილამაზეს?

ათეიზმი ვერ იქნება სილამაზის, ეთიკის, როგორც კატეგორიის კრიტერიუმი, რადგან სილამაზე, ეთიკა უმაღლესისგან თანდაყოლილი თვისებაა, რომელსაც მატერიალიზმი გააფრთებით ეწინააღმდეგება. აი, ამით ანადგურებს ის ეთიკის საფუძვლებს და ცარიელ, არაფრისმთქმელ, უბრალო დეკლარაციად აქცევს.

რა არის ევოლუცია უმაღლესის, ჭეშმარიტების, სილამაზის, ეთიკის გარეშე?

– ეს არის გამარჯვებულთა აღტკინებული სვლა დამარცხებულთა გვამებზე.

მატერიალისტური გაგებით, ჩვენ ვარსებობთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს შორეულ წინაპარს ჰქონდა ამ ცხოვრებაში გამოსადეგი დადებითი თვისება – მძლავრი ყბები, ბანჯგვლიანი კუნთები (შეცდომა არ გეგონოთ) და შეეძლო, ეფექტურად გაეგლიჯა მოწინააღმდეგე.

ჩვენ კი ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ წინაპართაგან თანდაყოლილი გვაქვს მოყვასის სიყვარული და აქედან გამომდინარე – ეთიკის საფუძვლები.

მატერიალისტთა აზრით კი, ჩვენი წინაპრების გარკვეული რაოდენობით გაერთიანებამ გამოკვეთა მიზანი – სახეობის გადარჩენა და აქედან გამომდინარე, ჩამოაყალიბა ურთიერთობის ნორმები. **სხვა სიტყვებით: ზნეობრივი ნორმა იბადება ჯოგის ლოგიკიდან.**

უფრო ნათლად, თურმე ნუ იტყვი და ოდესღაც, პრეისტორიულ პერიოდში, ზღვიდან ხმელეთზე გადმოსული არსებები, მაგ., ორი ხვლიკი თუ აფთარი მიხვდა, რომ თუ შეთანხმებულად იმოქმედებენ, ისინი ორჯერ გაძლიერდებიან და თუ სადმე გამოიჭერენ ინდივიდუალისტ, მარტოობის მცოხვნელ ხვლიკს, დაგლეჯენ და შეჭამენ.

გამოდის, რომ არა ეთიკა, არამედ გამარჯვებულთა ღრეობაა ურთიერთდახმარებით განვითარებისა და ევოლუციის ის საწყისი წერტილი, ტრამპლინი, რაც თავის მხრივ, საფუძვლად დაედო ჰუმანიზმს.

ყოველივე ზემოთქმული, მეტ-ნაკლებად ჭეშმარიტების მაძიებელი ადამიანისთვის, სამყაროს არსის უფრო ღრმა, გლობალურ გააზრებას ითხოვს.

ჩანართი

მართლაც, არსებობს მუდმივი კითხვა – ეს სამყარო მუდმივად, უსასრულოდ არსებობს, თუ მას აქვს საწყისი – არ იყო და გაჩნდა?

თავისთავად ცხადია, რომ მეორე ვარიანტი მატერიალისტური აზროვნების ადამიანისთვის აბსოლუტურად მიუღებელია, იმ მარტივი მოსაზრებით, რომ ამ შემთხვევაში არარსებულის დაბადებას, შექმნას საწყისი, შემქმნელი, შემოქმედი სჭირდება.

ყველა დროსა და სივრცეში მატერიალიზმისთვის ეს ყველაზე მძიმე კითხვა იყო.

შესაბამისად, მატერიალიზმი ამ საკითხში ეყრდნობა სამყაროს მუდმივობის თეორიას, რაც ნიშნავს ერთს – სამყარო არსებობდა, არსებობს და იარსებებს უსასრულობიდან უსასრულობამდე.

და ხდება საოცრება – ამ უსასრულო სამყაროში, ერთ-ერთი გალაქტიკის პერიფერიაზე, შემთხვევით წარმოიშვა რაღაც მოაზროვნე ობი, რომელიც არსებობს მცირე დროის განმავლობაში, რომელსაც, რატომღაც, სიცოცხლეს უწოდებენ და რომელიც აუცილებლად, შეუქცევადად, უკვალოდ გაქრება.

მატერიალიზმის განსაკუთრებულობა იმაშია, რომ ის უარყოფს სამყაროს მაორგანიზებელ ძალას. სამყარო განიხილება, როგორც ენერგიისა და მატერიის უაზრო, შემთხვევითი შემკვრივება. ის ცვალებადია, მაგრამ არასდროს გაქრება. ამ გლობალურ უაზრობაში არაფერი და არავინ ფლობს გლობალურ აზრს, ყველაფერი წამიერია და შემოსაზღვრული, შეზღუდული და ეს მდგომარეობა მუდმივია.

და როგორც აღვნიშნეთ, ამ მუდმივ უაზრო დროისა და სივრცის ერთ-ერთ ნაწილში, გალაქტიკის მიყრუებულ გარეუბანში, ერთ-ერთ პლანეტაზე, რატომღაც, ამინომჟავები შეიკრიბნენ, გაერთიანდნენ და წარმოქმნეს ცოცხალი უჯრედი. სწორედ ამ უჯრედისგან მრავალი მილიონი წლის განმავლობაში განვითარდა ფაუნისა და ფლორის მრავალსახეობა და მისი გვირგვინი – მოაზროვნე არსება, ადამიანი.

ვიღებთ საოცარ პარადოქსს – **უაზრო სამყაროში იბადება მოაზროვნე არსება.**

ეს პარადოქსი უფრო რელიეფური გახდება, თუ დავფიქრდებით, რომ ამ საყოველთაო უაზრობაში, უმიზნობაში იბადება პოტენციურად აზრის მქონე უჯრედი, რომელსაც გაუჩნდა **მიზანი.**

მივიღეთ მთელი სამყარო, რომელსაც არ გააჩნია აზრი და მიზანი და მისი ნაწილი, რაღაც საოცრება, პატარა რამ, რასაც აქვს ერთიც და მეორეც.

სამყაროს მუდმივობა ნიშნავს ერთს – მას აზრი და მიზანი არ გააჩნია. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას არსად არ ეჩქარება.

ხოლო მისი უმცირესი ნაწილის, უჯრედისთვის კი, პირიქით, ყველაფერი ემორჩილება აზრს – **იცოცხლოს.**

შესაბამისად, უჯრედს აქვს მიზანი, გაექცეს სიკვდილს, იმოქმედოს, გამრავლდეს, ისწრაფოს სიცოცხლისკენ.

სწორედ უჯრედის სიცოცხლისკენ სწრაფვამ გააქტიურა ევოლუციის მექანიზმი.

გადის მილიონობით წელი და ამ მიზნობრივ-აზრობრივი უჯრედიდან იბადება ადამიანი, ჰომოსაპიენსი. ამ მატერიალისტური აზროვნებიდან მივედით მორიგ პარადოქსამდე – ადამიანამდე.

ყველა ცოცხალს, უჯრედიდან პრიმატამდე უნდა უბრალოდ ცხოვრება.

ადამიანი პრინციპულად განსხვავებულია, მას უნდა კარგად ცხოვრება.

რა გასაკვირიც უნდა იყოს, მრავალი გულუბრყვილო მარქსისტისთვის მატერიალიზმმა სიცოცხლის არსად კმაყოფილება გამოაცხადა.

ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი ფრაზა თავის არსში მოიცავს უდიდეს რეგრესს.

– დავიმახსოვროთ, **კმაყოფილი ახალს, პროგრესს არ ქმნის, იმ მარტივი მიზეზით, რომ ის კმაყოფილია.**

გამოდის, რომ რეგრესის საფუძველია ისტორიული მატერიალიზმის ცნობილი დოგმა – **ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას.**

ცნობიერების ყოფიერება

მატერიალიზმს, ათეიზმს, რომელიც სიცოცხლის აზრად კმაყოფილებას აღიარებს, არ შეიძლება ჰქონდეს ეთიკური იდეალი. ათეისტი არ შეიძლება ეთიკური იყოს. ის შეიძლება იყოს მდუმარე კანონმორჩილი, პატიოსანი, მაგრამ ეს პატიოსნებაც ყალიბდება ათეიზმის გარეთ, მის ქვეცნობიერში, რასაც საბედნიეროდ, ათეიზმის მეტასტაზები ხშირად ვერ სწვდება.

პარადოქსი – **რატომ ელოდები ყოფიერებისგან ცნობიერებას, თუ ცნობიერება განისაზღვრება ყოფიერებით?**

აბსოლუტის მიერ შექმნილი სამყარო მართლაც უნიკალური ფენომენია. საკმარისია, მატერიალიზმი არ გამოვაცხადოთ პირველადად, რომ ჩვენ წინაშეა საოცარი მეტამორფოზა – **ეს სიკვდილის რელიგია გარდაიქმნება იმ სიცოცხლის დღესასწაულად, რომელიც იდეალიზმთან ერთად აბსოლუტურ ჰარმონიას ქმნის, რაც მატერიას უდიდეს ფასეულობად აქცევს.**

სრულყოფილებისკენ სწრაფვა არსებობის აუცილებელი პირობაა, მაგრამ ვიმეორებთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რაღაცის სრულყოფას ჯერ იმ რაღაცის შექმნა, შემოქმედება სჭირდება. შემოქმედება, განვითარება კი იდეის პირველადობის აღიარებას ითხოვს.

პრობლემაში ზედაპირულად მაინც რომ გავერკვეთ, დავუბრუნდეთ ანტიკური ფილოსოფიის იმ პერიოდს, როდესაც მატერიალიზმისადმი დაპირისპირებული იდეალისტური აზროვნების დაბადება მოხდა.

ფილოსოფიის ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის ავტორი სოკრატე გახლდათ.

სოკრატეს მსჯელობა, საუბარი კითხვების დასმით მიმდინარეობდა. სოკრატეს კითხვაზე, თუ რა არის „სილამაზე, მშვენიერი"? – პასუხად მოსაუბრეებს ყოველთვის კონკრეტული მაგალითი მოჰყავდათ: მშვენიერი ქალი, მშვენიერი ქანდაკება, ტაძარი და ა.შ. სოკრატეს კი მხოლოდ ზოგადი

აინტერესებდა. იდეალისტური აზროვნებით, სიტყვა „მშვენიერი" არ შეიძლება დაუკავშირო მხოლოდ რომელიმე კონკრეტულს, რადგან სიტყვა „მშვენიერი" გამოხატავს მშვენიერების არსს, იდეას, **ეიდოსს** (ეიდოსი იგივეა, რაც იდეა, მაგრამ უფრო ნათლად გამოსახული).

ერთი შეხედვით აქ თითქოს ახალი არაფერია, მაგრამ ეს ის გააზრებაა, რომელმაც მსოფლიო აზროვნება გაყო ორ მიმართულებად, რასაც დღეს მატერიალისტურ და იდეალისტურ აზროვნებას ვუწოდებთ. სოკრატემ ამ ცოდვილ მიწაზე პირველად ახსენა სიტყვები – „იდეა", „დიალექტიკა". სოკრატეს შემოქმედებას აგრძელებს და ავითარებს პლატონი.

ვიმეორებთ – **პლატონისთვის იდეა არის ის, რასაც სრულყოფა აღარ სჭირდება.**

პლატონის აზრით, ადამიანი საგანს შეგრძნებით აღიქვამს, იდეას კი მხოლოდ ნათელი გონებით შესწვდება.

იქნებ იდეა აზრია, რომლის გამოხატვა სიტყვიერად, წერილობით არის შესაძლებელი?

– არა.

პლატონი ამას კატეგორიულად გამორიცხავს.

იდეა არსებობს ჩვენგან, ადამიანებისგან დამოუკიდებლად. იდეა ობიექტური რეალობაა.

აქედან ფილოსოფიური მიმართულება – ობიექტური იდეალიზმი.

და ყველაზე მნიშვნელოვანი – პლატონის აზრით:

იდეა საგნისგან დამოუკიდებლად, განცალკევებით არსებობს. ის შეიძლება გადავიდეს, გამოვლინდეს საგანში ან დატოვოს იგი.

თქვენ შეგიძლიათ, გაანადგუროთ მწვანე ბალახი, მაგრამ ვერ გაანადგურებთ ცნება „მწვანე"-ს. შეიძლება აკრძალოთ ყველა ის საგანი, რომელსაც სამკუთხედის ფორმა აქვს, მაგრამ ვერ გაანადგურებთ იდეა „სამკუთხედს".

იდეა ყველა ქმედებისა და აზრის საფუძველი, პირველსაწყისია.

ადამიანთა აზროვნებაში იდეის შემოტანას უდიდესი, ჭეშმარიტად ეპოქალური მნიშვნელობა აქვს.

სწორედ იდეის ანტიკური კონცეფცია ფასდება დღეს, როგორც თანამედროვე პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის აზრწარმომქმნელი საფუძველი.

იდეის გაცნობიერების გარეშე ღირსეულად ცხოვრების ყოველგვარი იმედი დაკარგულია.

სამყაროში ყველა არსებულ „მატერიას" – მოვლენას, საგანს, შექმნილ სიტუაციებს და ქვეყნებსაც კი აქვს თავისი პირველადი, საწყისი „იდეა", არსი.

ორი ათას წელზე მეტი გაივლის სოკრატესა და პლატონის შემოქმედებითი ცხოვრებიდან და მათ, გეორგ ჰეგელის სახით, ობიექტური იდეალიზმის განმავითარებელი დიდი თანამოაზრე გამოუჩნდებათ. ჰეგელიც გამუდმებით იდეებზე ფიქრობდა და ყველგან იდეებს ხედავდა.

ჰეგელის აზრით, მთელი სამყაროს საფუძველია აბსოლუტური გონი, სული, იდეა - ღმერთი.

როგორც პლატონისთვის, ჰეგელისთვისაც იდეა არის ობიექტური რეალობა.

დიახ, იდეის პირველადობის აღიარების ლოგიკა თავისთავად ითხოვს იქ, „ზევით" ყველაფრის – არსებულისა და არარსებულის იდეის არსებობას ჩვენგან დამოუკიდებლად, ობიექტურად.

დიახ, იქაა დღევანდელი უსუსური საქართველოს გადაგვარების იდეა. საბედნიეროდ, იქვეა საქართველოს გადარჩენის და განვითარების იდეაც. ჩვენი შინაური და გარეშე მტრები საქართველოს გადაგვარების, განადგურების იდეას ეტყობა კარგად შესწვდნენ.

ჩვენი ვალია, სამშობლოს გადარჩენის, განვითარების იდეას შევწვდეთ.

მრავალი იტყვის – რა სისულელეა, სადღაც „ზემოთ", ჩემი ბედნიერებისა თუ უბედურების განმსაზღვრელი იდეის ძიება ან საერთოდ რა მნიშვნელობა აქვს, ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას, თუ პირიქით?

სწორედ ეს უკანასკნელი კითხვა, სამყაროს არსის წვდომის უგულებელყოფა არის ჩვენი უბედურების საფუძველი.

კიდევ ერთხელ შევეცადოთ, მარტივი მაგალითებით გავერკვეთ ჩვენი სოციუმის დაქვეითების არსში.

ვიმეორებთ, პლატონის ობიექტური იდეალიზმის მიხედვით იდეები არსებობს, "ჰკიდია ცაში" თავისთავად, ჩვენგან დამოუკიდებლად, ობიექტურად. მარტივად რომ ვთქვათ, სადღაც ჰკიდია "კომუნიკაციის" იდეა. ამ იდეას შესწვდა ალექსანდრ ბელი და იბადება, იქმნება ის, რასაც დღეს ჩვენ ტელეფონს ვუწოდებთ. აქ "კომუნიკაციის" აბსტრაქტული იდეა გადადის კონკრეტულში – ტელეფონში. იდეამ შექმნა საგანი, მატერია. ოდესღაც არც ტელეფონი არსებობდა, არც ბეთჰოვენის მე-5 სიმფონია, არც სატელიტური კავშირი. არსებობდა ტელეფონის, მე-5 სიმფონიის, სატელიტური კავშირის იდეები, რასაც შესწვდნენ ბელი, ბეთჰოვენი, არტურ კლარკი.

ყოფიერებაში რაღაც მანამდე არარსებულის შექმნა სხვა არაფერია, ვიდრე შემოქმედება, განვითარების აუცილებელი პირობა.

გამოდის, რომ იდეის პირველადობის გააზრება და აღიარება განვითარების, შემოქმედების საფუძველს ქმნის.

თუ ეს ჩვენი ელემენტარული, არასრული მსჯელობა თქვენთვის მისაღებია, მაშინ მარქსისტების იდეა – არსებული ყოფიერების, მატერიის, საგნის, მაგ., ტელეფონის დახვეწა, სრულყოფა სხვა არაფერია, თუ არა ხელოსნობა და არა შემოქმედება.

უფრო ნათლად:

რეალური ტელეფონი ჩვენში წარმოქმნის მატერიალისტურ იდეას, რომელიც თავის თავში მოიცავს დახვეწას, მაგ., ტელეფონ-ავტომატის შექმნას. თავდაპირველად, ეს აპარატები მცირე სიმძლავრის იყო და მხოლოდ ელიტარულ უბნებს ემსახურებოდა. შემდეგ იხვეწება სატელეფონო კვანძების

სისტემა და მათი რიცხვი საგრძნობლად მატულობს. ავტომატ-ტელეფონების შემდგომ დახვეწას მივყავართ იქამდე, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში ამ აპარატებით უკვე შესაძლებელი ხდება არა მარტო სასურველ აბონენტთან ცალმხრივი დაკავშირება, არამედ, როგორც იტყვიან, „ზარის მიღებაც". ასეთი ტელეფონ-ავტომატების ასიმპტოტური, უსასრულო დახვეწა კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ერთი შემოქმედი, მწერალი – არტურ კლარკი არ შესწვდომოდა „ცაში დაკიდულ", ყოფიერებაში ჯერ არარსებული სატელიტების გამოყენებით, „მობილური" ტელეფონების შექმნის იდეას. სწორედ ამ „იდეალისტურმა მიდგომამ" გახადა შესაძლებელი აბაზანიდანაც კი მსოფლიოს ნებისმერ წერტილთან დაკავშირება და დაასამარა ტელეფონ-ავტომატები.

როგორც აღვნიშნეთ, ახლის შექმნა ითხოვს იდეის წვდომას. იდეის წვდომა უკვე შემოქმედებაა. შემოქმედება თავისუფლების გარეშე შეუძლებელია.

პიროვნების თავისუფლება კი, ზრდილობიანად რომ ვთქვათ, უდიდეს დისკომფორტს უქმნის მარქსისტულ აზროვნებას.

ამიტომ მარქსისტებს აღაშფოთებდათ ის იდეები, რომლებიც თავის თავში ყოფიერების განმსაზღვრელ პოტენციალს ატარებდნენ. ამიტომ იყო მიუღებელი მათთვის მატერიის პირველადობასთან წინააღმდეგობაში მყოფი ბურჟუაზიული „ყალბი" მეცნიერებები – ნორბერტ ვინერის კიბერნეტიკა, მენდელის გენეტიკა,... რამაც შეცვალა ყოფიერება. მათთვის მიუღებელი იყო სიახლე, განვითარება. სამაგიეროდ, იხვეწებოდა, სრულყოფილი ხდებოდა მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდა, საკონცენტრაციო ბანაკები, დასმენის, დისიდენტების დახვრეტისა და მათი სულიერ ავადმყოფებად გამოცხადების ტექნოლოგიები.

მარქსისტების აზრით, მონათა რევოლუციის მაგ., სპარტაკის ავჯანყების დახვეწამ მიიყვანა კაცობრიობა ფრანგულ რევოლუციამდე. ფრანგული და 1905 წლის რევოლუციების დახვეწამ მიგვიყვანა „დიდი ოქტობრის 1917 წლის რევოლუციამდე".

დაუკვირდით, ჩვენი ყოფიერების უკანასკნელი 20 წლის ისტორია სხვა არაფერია, ვიდრე ნანატრი ბედნიერების მისაღწევად გამართული სისხლიანი და უსისხლო დემონსტრაციების დახვეწის, „ხელოსნობის" ისტორია და არავის მოსდის თავში აზრად, განვითარებისთვის აუცილებელ, ცაში „გამოკიდებულ" იდეებს ახედოს.

მხოლოდ ზეცისკენ თავის აწევაც საკმარისია, რათა ადამიანი მიხვდეს, რომ საქართველოში დღესაც **სუბიექტებს ვებრძვით და არა იმ გაუნათლებლობის ჭაობს, სადაც ეს სუბიექტები იბადებიან.**

დიახ, ჩვენ სწორედ ეს გვეშლება – ვებრძვით ავადმყოფებს და არა ავადმყოფობას.

დავფიქრდეთ, საიდან იბადება ეს ავადმყოფობა, რა არის ამ ავადმყოფობის წარმოშობის მიზეზი?

ჩანართი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მატერიალისტური მსოფლმხედველობა წარმოგვიდგენს სამყაროს არსებობის სამ ფორმას.

1. სამყარო, როგორც მუდმივი და, აქედან გამომდინარე, უაზრო და უმიზნო არსებობა

2. უაზრო და უმიზნო სამყაროში მიზნის, სიცოცხლის მატარებელი სასრული მიკროსამყარო (ორგანული ბუნება)

3. ამ მიკროსამყაროს „გვირგვინი" – ადამიანი, რომელიც არა მარტო საკუთარი არსის შენარჩუნებისკენ სწრაფვას, არამედ ამ არსებობისგან კმაყოფილების მიღებასაც ცდილობს.

მთავარია, მატერიალისტური თვალსაზრისით დავინახოთ კავშირი სიცოცხლეს, არსებობასა და კმაყოფილებას შორის.

გამოდის, რომ მარქსისტულ მსოფლმხედველობაში ცხოვრების სინონიმია კმაყოფილება. ზემოთ ნახსენებ სამყაროს არსებობის მესამე ფორმაში (ადამიანში) რაც მეტია კმაყოფილება, მით „სისხლსავსეა" ცხოვრება. ბიოლოგიური არსებობა (მეორე ფორმა) კი ფუნდამენტია, რაზედაც შეიძლება აშენდეს კმაყოფილების მყუდრო და საიმედო სახლი.

სწორედ ამ ილუზორული კმაყოფილების მიღწევის სურვილი ხდება მატერიალისტურ აზროვნებამდე არსებული ცხოვრების წესის ნგრევის, რევოლუციების საფუძველი.

დიახ, კმაყოფილების ძიებაა მარქსისტული ევოლუციის ქვაკუთხედი.

როდესაც ხდება მატერიალისტური აზროვნების დამკვიდრება, მიიღწევა მინიმალური კმაყოფილება, როგორც მინიმალური საცხოვრებელი ფართი, საკვები, სიბერეში პენსია,...

ცხადია, მინიმალური კმაყოფილების დონე დროთა ვითარებაში ითხოვს მეორე, უფრო მეტი კმაყოფილების დონეს. მატერიალიზმის საფუძველზე აშენებული ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს ადამიანთა მზარდ მოთხოვნილებებს. რჩება ერთი გზა – ხალხის მინიმალური კმაყოფილების დონეზე შეკავება სულიერი და ფიზიკური ტერორით, იძულებით, შიშით.

გამოდის, რომ ტოტალიტარიზმი მატერიალიზმის არსიდან გამომდინარეობს.

ტოტალიტარიზმის დამკვიდრება კვლავ იწვევს „კმაყოფილთა" აგრესიას.

ვიღებთ ციკლს: სიღატაკიდან სიღატაკემდე, სისხლისღვრიდან სისხლისღვრამდე.

ცინიზმის არსი იმაშია, რომ ვიღებთ ავჯანყებებს, რევოლუციებს, სამოქალაქო ომებს, მილიონობით ადამიანთა განადგურებას ადამიანთა კეთილდღეობის სახელით.

ყოველივე ამის ღრმა საფუძველია არაშემოქმედებითი, გაუნათლებელი ადამიანის ოცნება – ყველაფრის კეთება არაფრის კეთებისთვის, რაც რუსულ მატერიალიზმში შეინიღბა ლოზუნგით: **„თითოეულისგან შეძლების მიხედვით, თითოეულს მოთხოვნილების შესაბამისად".** ეს იყო სოციუმის განვითარების უმაღლესი ფორმის – კომუნიზმის არსი.

დღესაც მოიძებნებიან საკმაო ოდენობის გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც ღრმად არიან დარწმუნებულნი ამ ლოზუნგის ჭეშმარიტებაში. ალბათ გსმენიათ, "ამ გზიდან რომ არ გადაეხვიათ, ჩვენზე ბედნიერი არავინ იქნებოდა".

და არავინ დაფიქრებულა, რომ ასეთი „ბედნიერება" არის ყოველგვარი უბედურების საწყისი. მიმდინარეობს საზოგადოების შეუქცევადი რეგრესი, ქრება თავისუფლება და, შესაბამისად, შემოქმედება.

ადამიანი ღმერთმა სწორედ ამ შემოქმედებითი შემეცნებისთვის გააჩინა, რათა შემოქმედმა ადამიანმა ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროში ახალი მიკროსამყაროები შექმნას.

აქ გასარკვევია, თუ რატომ დამკვიდრდა ასე იოლად ეს ილუზორული მატერიალისტური აზროვნება სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში. დავუკვირდეთ, ამ ლოზუნგში წარმოდგენილია ორი ცნება – შესაძლებლობა და მოთხოვნილება. შესაძლებლობა თავის თავში მოიცავს რაღაცის კეთებას, ენერგიის ხარჯვას, მოთხოვნილება კი – მხოლოდ რაღაცის მიღებას.

შესაბამისად, ამ ლოგიკით კარგი ცხოვრებისკენ სწრაფვა (თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით) ზღუდავს პირველს – თითოეულისგან შესაძლებლობის მიხედვით.

ასეთი სისტემის ამუშავება ამკვიდრებს ილუზორულ გამცემთა ბატონობას მიღების მსურველთა უმრავლესობაზე, რადგან დაქვეითებული მორალის საზოგადოებაში გაბატონებულია აზრი: „რატომ გამოვწურო ჩემგან შესაძლებლობის მაქსიმუმი, თუ შესაძლებელია, მივიღო სახელმწიფო მმართველებისგან მოთხოვნილების მიხედვით".

ჩვენი ოცწლიანი „თავისუფლების" ისტორია ეს არის ძარცვის ინტენსივობის ზრდა შემოქმედების დაქვეითების ფონზე.

მკვიდრდება მატერიალისტური, ყოფიერების პირველადობის მაღიარებელი ცხოვრების წესი შესაბამისი ლოზუნგით – **„მე ჩემსას მივიღებ და მერე ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა".**

დემიურგი

მატერიალისტური, ყოფიერების პირველადობის დოგმის შესაბამისი ცხოვრების წესი გავრცელებულია ჩვენს თითქმის ყველა სოციალურ ფენაში, თვით ეკლესიაშიც კი. ამ შემზარავ ავადმყოფობას, ამ მენტალურ რაქიტს აქვს სახელი. მას ეწოდება უზნეობა – ეთიკის, უმაღლეს ფასეულობათა არარსებობა.

უმაღლესი ფასეულობების – ჭეშმარიტების, მშვენიერების, სიცოცხლის ძალის,... ძიებას პირველ დონეზე გამოჰყავს ყველაზე მთავარი ფასეულობა – პასუხისმგებლობის ეთიკა, ადამიანის პასუხისმგებლობა აწმყოსა და მომავალზე.

ღრმა ანალიზის უნარის მქონე ადამიანი, რა გასაკვირიც უნდა იყოს, ასევე უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას წარსულზე. თუნდაც იმიტომ, რომ აწმყოსა და მომავალზე პასუხისმგებლობა რეალური და არა მითოლოგიური წარსულის ანალიზზე შენდება.

შევთანხმდეთ, აწმყოსა და მომავალზე პასუხისმგებლობის შინაგანი აუცილებელი მოთხოვნილება არის შემოქმედება.

სწორედ ესაა იმის გააზრება, თუ როგორი უნდა იყოს სოციუმში ადამიანთა თანაარსებობის, ერთობის, ამაღლება-განვითარების ძირითადი პრინციპი, სიცოცხლის პრინციპი.

დიახ, თანამედროვე ეთიკის უმაღლეს დონედ პასუხისმგებლობის ეთიკა უნდა ვაღიაროთ.

პასუხისმგებლობის პრინციპი მოითხოვს ისეთი ფასეულობების წინ წამოწევას, რომელიც მაქსიმალურად შორეული მომავლის პროექციაში საუკეთესო შედეგს მოგვცემს.

დიახ, სწორედ პასუხისმგებლობის ეთიკა არის სამყაროს შემოქმედებითი შემეცნების, სიახლის, განვითარების, მანამდე არარსებულის დაბადება-დამკვიდრების საფუძველი.

სამყაროს შემოქმედებითი შემეცნება არის ახალი ხედვით გამოტანილი დასკვნების, შედეგების უწყვეტი, ვიმეორებთ, ჯერ არარსებულის, სიახლის აქტიური, მიზანდასახული ძიების პროცესი.

ამაღლებული აზროვნების ადამიანებს უხსოვარი დროიდან აინტერესებდათ სიახლის, მანამდე არარსებულის, სამყაროს დაბადების, შექმნის საკითხი.

ჰომეროსის შემოქმედებაში სამყაროს შექმნის მითი დაკავშირებულია დემიურგის ცნებასთან. დემიურგი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ოსტატს, ხელოსანს. მოგვიანებით ეს სიტყვა აღნიშნავდა მჭედელს, დურგალს.

შესაბამისად, ანტიკურ საბერძნეთში სამყაროს შემქმნელად გვევლინება ხელოსანი და არა — შემოქმედი.

ჩვენი აზრით, ეს ერთი შეხედვით, სამყაროს შექმნის უცნაური ახსნა არა შემოქმედებითი, არამედ ხელოსნური საწყისით, ანტიკური ბერძნული აზროვნების ლოგიკაში უნდა ვეძებოთ.

მართლაც, თუ მეცნიერების ისტორიით დაინტერესდებით, აღმოაჩენთ ბერძენ მოაზროვნეთა, ფილოსოფოსთა ქედმაღლურ დამოკიდებულებას მატერიალური საგნების შექმნის ფენომენის მიმართ.

ისინი მათთვის უაღრესად საინტერესო, საჭირო მოვლენებისა და საგნების არსის გააზრებისას ექსპერიმენტსაც კი თაკილობდნენ, რადგან ექსპერიმენტი ითხოვს ინსტრუმენტარიების შექმნა-გამოყენებას. თითქოს ცდის ჩატარებას არა ფილოსოფოსთა, არამედ ხელოსანთა საქმედ მიიჩნევდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში მინის საგნები უკვე არსებობდა, რა გასაკვირიც უნდა იყოს, მათ არ ჰქონდათ ჩვეულებრივი ლუპა, ლინზა. მოგეხსენებათ, მრუდე ზედაპირიანი მინა უკვე ლინზაა.

ელინი ფილოსოფოსების „არასერიოზული" დამოკიდებულება ექსპერიმენტის, ინსტრუმენტარიების შექმნის მიმართ შეიძლება შემდეგი ლოგიკით აიხსნას: თუ გაქვს უნარი, გაიაზრო რაიმე მოვლენა, ფენომენი და შენი მსჯელობის მართებულობაში დარწმუნებული ხარ, რა საჭიროა მისი ცდით შემოწმება?! ეს მან შეამოწმოს, ვისაც საკუთარი აზროვნების სრულყოფილებაში ეჭვი ეპარება.

სხვა სიტყვებით, თუ ამაღლებულ ზეციური აზროვნების სფეროს სწვდები, მაშინ ამ აზროვნების გადამოწმება დაქვეითებულ, მატერიალურ, არასრულყოფილ სამყაროში შეუფერებელია. შესაბამისად, გამოდის, რომ მათი აზრით, იდეის, აზრის რეალიზება მატერიალურ, საგნობრივ სამყაროში

ხელოსნის საქმეა. გააზრება, იდეის წვდომა კი მხოლოდ შემოქმედის პრეროგატივაა.

პლატონის დიალოგში – „ტიმეოსი", რომელიც ფაქტობრივად მისი კოსმოლოგიის ერთადერთი სისტემური ნარკვევია, „დემიურგი" წარმოგვიდგება ოდნავ ამაღლებული „სტატუსით". ამის მიუხედავად, ის მაინც, იდეალური მოდელის შესაბამისად, უფორმო, აღრეული მატერიალური სამყაროს დამლაგებელ-მომწესრიგებლად რჩება. დაუკვირდით, პლატონის დემიურგი არაფრისგან კი არ ქმნის სამყაროს, არამედ ხვეწს უკვე არსებულ მატერიას. მას ყველა საგანი ჰარმონიაში მოჰყავს თავისსავე თავთან.

პლატონისგან განსხვავებით, არისტოტელეს შემოქმედებაში დემიურგი მკვეთრად გამოსახულ ხელოსნად მოიაზრება.

ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში დემიურგი განიხილება როგორც სამყაროს არასრულყოფილი შემქმნელი და არა შემოქმედი. ის სამყაროს ქმნის უზენაესი ღვთაების პნევმას დახმარებით.

ამ დახმარების მიუხედავად, მის მიერ შექმნილი მატერიალური სამყარო შემქმნელივით არასრულყოფილია – ეჭვიანი, შურიანი, თანაგრძნობის არმქონე. აქ დემიურგი განტევების ვაცად გვევლინება. მართლაც, ვინმემ ხომ უნდა აგოს პასუხი არასრულყოფილი სამყაროს შექმნაზე?...

დემიურგი ესაა ის, რომელსაც არ გააჩნია სიყვარულის უნარი. მისი არასრულყოფილება ითვლება ყველა უბედურების სათავედ.

ნეოპლატონიკოსთა აზრით, ადამიანი დემიურგისგან (მატერიალისტური აზროვნებისგან) უნდა გათავისუფლდეს, რათა სიკეთის, ღმერთის საუფლომდე ამაღლდეს.

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ აზრს – **სამყაროს შემქმნელი არის დემიურგი, ხელოსანი და, შესაბამისად, შემსრულებელია და არა მბრძანებელი.**

მოგეხსენებათ, ქრისტიანული არსის თანახმად, სამყაროს შემოქმედი არის ღმერთი, ადამიანი კი მისი ხატი. ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს – მან ჩემში შემოქმედების ნიჭი, უნარი ჩადო **„ხატად თვისად"**.

ამ უმნიშვნელოვანესი ქრისტანული ჭეშმარიტების მიუხედავად, შუა საუკუნეებში (ჩვენთან კი დღესაც) ქრისტიანულ სამყაროში შემოქმედება, ქმნადობა რატომღაც მხოლოდ ღმერთის, უმაღლესი მბრძანებლის პრეროგატივად ცხადდება.

აქედან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, განუვითარებელი გონება შემოქმედ ადამიანს, შემოქმედებას, ახლის შექმნის იდეას უმაღლესი ავტორიტეტისადმი დაპირისპირების კონცეფციად და, შესაბამისად, მკრეხელობად განიხილავდა.

ქრისტეს სიტყვები – **„ვინ გითხრათ, რომ თქვენ ღმერთები (შემოქმედნი) არა ხართ"** (იოანე 10, 34.), მართლაც, რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ადამიანი ცხადდება ხელოსნად, მხოლოდ მატერიალური არსის მქონე არსებად.

დაქვეითებული აზროვნების, ბნელეთის ნისლში გახვეული, ქრისტიანული რწმენის მატერიალისტური გაგების სასულიერო პირები მწვალებლებად აცხადებდნენ წიგნის ბეჭდვის გამომგონებელ იოჰან გუტენბერგს, ჯორდანო ბრუნოს, გალილეო გალილეის, იან ჰუსს,...

გადის დრო და ჩვენთან არსობრივად არაფერი იცვლება.

მატერიალისტური აზროვნებით გაჟღენთილი ეკლესიური სისტემა ვერ ეგუება ამაღლებული აზროვნების, შემოქმედ, თავისუფალ ადამიანებს. მწვალებლებლად ცხადდებიან არა მარტო პერსონები – ჩარლზ დარვინი, ენდრიუ ვებერი,... არამედ მეცნიერთა, ფილოსოფოსთა, ხელოვანთა, თეოლოგთა თითქმის მთელი სპექტრი. ეკლესიაში შემოქმედი, მოაზროვნე ადამიანის ადგილი არ არის და თუ ეკლესიის არეალში მაინც აღმოჩნდება ასეთი, ის აუცილებლად განიდევნება, მოიკვეთება.

აქ გასაკვირი არაფერია, რადგან მატერიალისტი, თავისი არსიდან გამომდინარე, უბრალოდ ვერ იტანს მასზე ამაღლებულ, შემოქმედ პიროვნებას. ეს გასაგებია, გაუგებარია მეტ-ნაკლებად განათლებული ადამიანების მხრიდან ტოტალური, შეგნებული ან შეუგნებელი მონური შემგუებლობა იმ სიბნელის მიმართ, რაც ქვეყანას განვითარების საშუალებას არ აძლევს.

იკვეთება ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რიტორიკული კითხვა – ასე ადვილად რატომ მკვიდრდება სოციუმში, ელექტრონულ და არაელექტრონულ მასმედიაში მიუღებლობა, ზიზღი შემოქმედების, განვითარების, სიახლის მიმართ?

შეხედეთ, ნებისმერი გადაცემა, ნებისმიერი რუბრიკა არაშემოქმედებითია, პლაგიატია და ისიც უხარისხო.

მართლაც, არავინ თქვას, რომ სახელმწიფო და მის მიერ დაქვემდებარებული მასმედია არ ზრუნავს გონებადასუსტებულ ადამიანებზე – შეხედეთ შოუებს, თურქულ, ბრაზილიურ, მექსიკურ, ინდურ,... სერიალებს...

და თუ ვინმემ გონებრივი გადატვირთვის გამო საღამოს ვერ შეძლო ამ სერიალების, შოუს ნახვა, სანერვიულო არაფერია, მისთვის მეორე დილას აუცილებლად გაიმეორებენ.

არსებული უსუსური მდგომარეობა ამ უსახური ცხოვრების ფსიქოლოგიური საფუძვლების, სულიერი რაქიტის არსის ძიებას გვაიძულებს. არ დაგვავიწყდეს, რომ მართებული დიაგნოზის დასმა ჯანმრთელობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ანალიტიკური ფსიქოლოგიის ავტორის **კარლ გუსტავ იუნგის** აზრით, თითოეული ჩვენგანი იბადება „პიროვნული ესკიზის შესაბამისად" და გარემო მხოლოდ ავლენს იმას, რაც ადამიანშია.

აბსოლუტურად ვეთანხმებით ბატონ იუნგს, იმ პირობით, თუ ისიც დაგვეთანხმება, რომ თითოეულ ჩვენგანში, უმაღლესისგან უსაზღვრო პოტენციალია ჩადებული.

ზიგმუნდ ფროიდის პიროვნულ ქვეცნობიერს იუნგმა დაამატა კოლექტიური ქვეცნობიერი, რითაც მას და ფროიდს შორის უკვე არსებული გამძაფრებული დისკუსია განხეთქილებაში გადაიზარდა.

ფროიდის აზრით, პიროვნული ქვეცნობიერი იმყოფება ცნობიერის ქვემოთ.

ქვეცნობიერი შედგება გადატანილი განცდებისგან, მოგონებებისგან, იმპულსებისგან, არამკვეთრი, გადღაბნილი ყოფილი ცნობიერისგან, რომელიც განდევნილია ცნობიერიდან ან უბრალოდ დავიწყებულია. ქვეცნობიერი მოიცავს კომპლექსებს, ემოციურ აზრებს, მოგონებებს, წარსულის გამოცდილებას, მემკვიდრეობით ინფორმაციას. ცნობიერში კომპლექსები ვლინდება ძლევამოსილების ან არასრულფასოვნების სახით, რაც ადამიანის ქმედებაზე ახდენს გავლენას. კომპლექსი ჰგავს პატარა პიროვნებას ადამიანში, როგორც მთელში.

შევეცადოთ, გავერკვეთ იმ კოლექტიური ქვეცნობიერის არსში, რასაც ასე ენერგიულად უარყოფდა ბატონი ფროიდი.

ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში ჰიპოკრატესთვის პიროვნული ქვეცნობიერის არსებობა საიდუმლოს არ წარმოადგენდა. ის ამ ფენომენს მოიხსენიებს ყველასთვის გასაგები ტერმინით – ადამიანის „შინაგანი ხმა". კოლექტიური ქვეცნობიერის არსებობა კი ყველა დროსა და სივრცეში იწვევდა ენერგიულ დაპირისპირებას.

წიგნის ფორმატი, რა თქმა უნდა, არ იძლევა ამ საინტერესო დისკუსიაში ჩართვის საშუალებას. ამის მიუხედავად, თუ თქვენთვის ცნება „ერის სული" არაა მხოლოდ მეტაფორული გამოთქმა და გწამთ „ეროვნული მენტალიტეტის", ერის, როგორც შეკრული მთლიანის – დამოუკიდებელი ორგანიზმის არსებობა, მაშინ რა დააშავა „კოლექტიურმა ქვეცნობიერმა", ეროვნულმა ქვეცნობიერმა?

საბოლოოდ იუნგის ანალიტიკურ ფსიქოლოგიაში გამოიკვეთა დღეს ჩვენთვის საინტერესო სამი ცნება – **კოლექტიური ქვეცნობიერი, პიროვნული ქვეცნობიერი და არქეტიპი, რომელზეც მოგვიანებით გვექნება საუბარი.**

ჩანართი

დავფიქრდეთ, კოლექტიურ ქვეცნობიერში გამჯდარი მიზანი – კმაყოფილებისთვის ცხოვრება – ჩვენს პიროვნულ ქვეცნობიერში ხომ არ გადმოდის?

როგორც აღვნიშნეთ, კმაყოფილების ძიება, ჰედონიზმი რეგრესისკენ პირდაპირი გზაა.

დაუკვირდით, მართლაც, თუ მე ინჟინერი ვარ და ჩემ მიერ შექმნილი ძრავას სიმძლავრე არ მაკმაყოფილებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში ვაკეთებ ყველაფერს, რათა მისი სიმძლავრე გავზარდო. თუ მე უკმაყოფილო ვარ დღევანდელი ცხოვრებით, მხოლოდ ამ შემთხვევაში ვცდილობ, გავხადო ის უკეთესი. ამ

ხედვის კუთხიდან უკმაყოფილებას, უკმარისობას უდიდესი ზნეობრივი დატვირთვა აქვს.

დიახ! პროგრესის მამოძრავებელი ძალა უკმაყოფილება, უკმარისობაა.

შესაბამისად, თუ უკმაყოფილება, უკმარისობა პროგრესს ამკვიდრებს, გამოდის, რომ კმაყოფილება რეგრესისკენ მიმავალი გზაა.

დავფიქრდეთ, ეკლესიაში კმაყოფილების მისაღებად დავდივართ, თუ უკმაყოფილების, უკმარისობის გამო?

თუ ეკლესიაში მხოლოდ კმაყოფილების მისაღებად დავდივართ და არა ღვთის რწმენისა და სიყვარულის უკმარისობის გამო, მაშინ ჩვენ კერპს ვეთაყვანებით და არა **შემოქმედს**, თავისუფლების, სიცოცხლის ღმერთს.

შემოქმედება, ესაა ჩვენი წინსვლის ორიენტირი.

შემოქმედება, ესაა შუქურა, რომელიც უსასრულობიდან ანათებს.

შემოქმედება, ესაა ადამიანში ღვთის ხმა.

შემოქმედების წყურვილი არაამქვეყნიურია და შექმნილია ამ ქვეყნისთვის.

სამწუხაროდ, კმაყოფილების ძიება ჩვენს ქვეცნობიერში მტკიცედაა გამჯდარი.

და თუ უკმაყოფილება ახლის ძიებაა, მაშინ კმაყოფილება არა ახლის, არამედ დღემდე არსებულის მითვისების, ხარჯვის, გაფლანგვის დღესასწაულია. ამიტომ ვაწყობთ დემონსტრაციებს, რევოლუციებს, რათა „სამართლიანობის აღდგენის" სახელით უკვე ვიღაცის მიერ მითვისებულის მითვისების კმაყოფლებით უმაღლესი ნეტარება განვიცადოთ.

ვის მოუბრუნდება ენა ამის წინააღმდეგ?

ხედავთ, რა კარგია, როგორი კეთილი სურვილებითაა გაჟღენთილი მატერიალისტური აზროვნება?

და გვავიწყდება, რომ ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა სწორედ ამგვარი კეთილი სურვილებითაა მოკირწყლული. ცდუნების ტექნოლოგია უმარტივესია, ის სამ სიტყვაში ეტევა – **თითოეულ პოლიტიკოსს მოთხოვნილების მიხედვით.**

ორი ათეული წელია, ამ სამსიტყვიანი ლოზუნგით აღფრთოვანებულნი ველოდებით სიკეთეს, კმაყოფილებას და ვიღებთ ფსევდოპოლიტიკოსთა მხრიდან ხალხის სახელით ხალხის ძარცვას და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან ჩვენს ცნობიერში გამჯდარია განცხრომით, ენერგიის ხარჯვის გარეშე ცხოვრებაზე ოცნება.

ამ ჯოჯოხეთური, შეკრული წრიდან ერთადერთი გამოსავალია – საკუთარ არსში ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი არქეტიპის – **ჭეშმარიტი მე**-ს აღმოჩენა.

ჭეშმარიტი მე

ცნება არქეტიპი (პირველსახე) ჯერ კიდევ **ფილონ ალექსანდრიელის** შემოქმედებაში გვხვდება. მისი აზრით, ადამიანის პირველსახეა ღმერთი.

ზედაპირულად რომ ვთქვათ, **იუნგის** არქეტიპი არის არა კონკრეტულად გამოვლენილი ზოგადი ფსიქიკა, რომელიც „გამჯდარია" ერის, სოციუმის, როგორც „მთლიანი ორგანიზმის" ქვეცნობიერში, არამედ, როგორც პირველსახე, ფსიქიკური შინაარსის უფორმო ფენომენი, რომლის წყარო არაა ცალკე აღებული პიროვნება.

არქეტიპი არსებობს კოლექტიურ ქვეცნობიერში, საიდანაც პიროვნულ ქვეცნობიერში გადმოდის. გარკვეულ დროსა და სივრცეში, საჭიროების შემთხვევაში, პიროვნული ქვეცნობიერიდან არქეტიპი ადამიანის ცნობიერში გადადის და მჟღავნდება არა მარტო შინაარსით, არამედ კონკრეტული ფორმით.

უფრო ნათლად.

უხსოვარი დროიდან არსებობს აბსტრაქტული, ზოგადი ცნება ,,უცხოს'' (უცხო ადამიანის, გაუგებარი მოვლენის, ახალი აზრის, შეუცნობლის...) შიში. სწორედ ეს პირველსახე – ,,შიშის'' არქეტიპი გადაეცემა თაობიდან თაობებს, ილექება სოციუმის, ნაციის ქვეცნობიერში და მჟღავნდება ინდივიდის ქვეცნობიერში. აბსტრაქტული შიში ინდივიდის ქვეცნობიერიდან, ,,საჭიროების'' შემთხვევაში, გადადის კონკრეტულ – სამყაროს დასასრულის, მასონების, იეღოველების,... – შიშში.

ჩვენი კომპლექსები აშიშვლებენ არქეტიპების ბირთვს.

უსასრულოა არქეტიპების რაოდენობა. იუნგი მათგან გამოყოფს შემდეგ მთავარ კოლექტიურ არქეტიპებს:

პერსონა (ნიღაბი) – რა სახითაც ვეჩვენებით საზოგადოებას. ფარავს ადამიანის რეალურ ბუნებას. ამით ვეგუებით გარემოს, ვიქცევით გარემოს შესაბამისად. აქ იკარგება ორიგინალობა, ავტონომიურობა.

ჩრდილი – ჩვენში ქვენა ადამიანი. ესაა აგრესიულობისკენ მიდრეკილება, შიში, ინფანტილური სურვილები, სექსუალური კომპლექსები, ცხოველური ინსტინქტები – უძველესი არქეტიპების გამოძახილი.

ჩრდილის არქეტიპი პასუხისმგებელია ქვენა გრძნობებზე, სოციუმში გამეფებულ არარაციონალურ აზრებზე, ქმედებაზე. ის ნიღბის, პერსონის უკან იმალება, ან პირად ქვეცნობიერში გადადის.

ხშირად ჩრდილი სხვაზე პროექცირდება, რადგან ადამიანს ჩრდილის თავისად აღიარება არ სურს ,,ჩემი შენ გითხარიო...'' პრინციპიდან გამომდინარე.

ანიმა – არაცნობიერი ქალური საწყისი მამაკაცის ფსიქიკაში.

ანიმუსი – მამაკაცური ფსიქიკა ქალის ფსიქიკაში.

ეგო – გაცნობიერებული (ცნობიერი) გონი, ის, რაც ვიცი. ის მოიცავს პერცეფციებს (გრძნობითი სისტემით სამყაროს სრული სურათის წარმოდგენა), მოგონებებს, აზრებს, გრძნობებს. ეგო ჩვენი ცნობიერების ცენტრი, თვითშემეცნების საფუძველია. გონით ვგრძნობთ ცნობიერი ქმედების შედეგებს.

კოლექტიური ქვეცნობიერისგან განსხვავებით, რომელსაც პიროვნება ვერ შეიმეცნებს, პირადი ქვეცნობიერის შინაარსი ცნობიერისთვის მისაწვდომია. ქვეცნობიერსა და ეგოს შორის არსებობს მძლავრი ,,ორმხრივი მოძრაობა, კავშირი''.

განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს იუნგის შემდეგი არქეტიპის გააზრება.

იუნგი მას უწოდებს „**Self**"-ს. რაც ქართულად არის **„თვით",** თუმცა მის შემოქმედებაში, კონტექსტიდან გამომდინარე, ამ სიტყვას უფრო მეტი დატვირთვა აქვს.

იუნგის ეს არქეტიპი არის პიროვნების ბირთვი, სადაც ადამიანი გრძნობს ერთიანობას, ჰარმონიას, მთლიანობას, სრულყოფილებას როგორადაც უმაღლესმა ჩაგვიფიქრა.

ამ ჩანაფიქრისკენ სვლა არის ადამიანის ცხოვრების მთავარი მიზანი.

რატომ ვეჯიბრებით სხვას, როცა შიგნით გვყავს ის, რისკენაც უნდა ვისწრაფოთ – ჭეშმარიტი მე.

ესაა ადამიანის ფსიქოლოგიური მთლიანობის გამომსახველი, პიროვნების არსის სიღრმისეული ცენტრი. ის, როგორც ფსიქიკის (ცნობიერი და არაცნობიერი) ნაწილი, გამაერთიანებელ პრინციპად გვევლინება.

იუნგის აზრით, ეს არა მარტო ცენტრია, არამედ წრეც და სფეროც, რომელიც მოიცავს ცნობიერს და ქვეცნობიერს და იმავდროულად არის შემეცნების ცენტრი.

ეს არის მთლიანობის არქეტიპი, სრული ადამიანური პოტენციალი, ფსიქიკის მარეგულირებელი ცენტრი. ის მოიცავს განცდილს და ჯერ არგანცდილს, წარმოადგენს მთლიანობას, სადაც ურთიერთდაპირისპირებულნი გაერთიანებულნი არიან. ის უფრო მაღლა დგას, ვიდრე ჩვენი წარმოდგენა საკუთარ შესაძლებლობებზე. ის აბალანსებს და ჰარმონიაში მოჰყავს ყველაფერი. ესაა ღმერთი ჩვენში. მართლაც,

სიყვარულში ჭეშმარიტი სიყვარული ღმერთია.

გრძნობაში ჭეშმარიტი გრძნობა ღმერთია.

ჩემში ჭეშმარიტი მე ღმერთია.

ალბათ დიდ შეცდომას არ დავუშვებთ, თუ იუნგის ამ მნიშვნელოვან არქეტიპს **ჭეშმარიტი მე**-თი გამოვსახავთ.

შესაბამისად, ვიღებთ ძირითად არქეტიპებს – **პერსონა, ჩრდილი, ანიმა, ანიმუსი, ეგო, ჭეშმარიტი მე.**

ეს მთავარი არქეტიპები, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის ქვეცნობიერში კოლექტიური (ეროვნული) ქვეცნობიერიდან გადმოდის.

ადამიანი ადვილად ითვისებს და ამჟღავნებს იმას, რისი შესაბამისი არქეტიპიც არსებობს კოლექტიურ ქვეცნობიერში.

შესაბამისად, ჩვენი სოციუმის ქვეცნობიერში საუკუნეების განმავლობაში დალექილი ის არქეტიპები უნდა ვეძებოთ, რომლებიც ჩვენს კოლექტიურ და პიროვნულ ქვეცნობიერს განკარგავენ და ჩვენს განვითარებას აფერხებენ.

დავფიქრდეთ, ქართველი ათასწლეულების განმავლობაში გაჰყურებდა ზღვის უსაზღვრო ჰორიზონტს და არ დაინტერესებულა, თუ რა იყო ჰორიზონტს მიღმა. მას გემის აშენება აზრადაც არ მოსვლია (დასაფიქრებელია, სიტყვა ზღვარი ხომ არაა წარმოებული სიტყვიდან ზღვა). სწორედ ეს არის მატერიალისტური აზროვნების შედეგად ჩამოყალიბებული არქეტიპი – იდეისკენ, უხილავისკენ სწრაფვის მინიმალიზაცია.

ქართველი შორიდან უმზერდა მზის სხივებზე კავკასიონის ალმასივით მბრწყინავ მწვერვალებს და მისკენ ნაბიჯიც არ წასცდენია.

ჩვენი არსებობის მოკრძალებული სამი ათას ხუთასწლოვანი ისტორიის მიუხედავად, იალბუზს, მყინვარს, თეთნულდს პირველად დუგლას ფრეშფელდი იპყრობს (1865წ), უშბას კი – ჯონ კოკინი (1888წ). გიორგი ნიკოლაძემ სიტყვა ალპინიზმი ქართულ ცნობიერებაში მხოლოდ 1923 წელს შემოიტანა.

ფსიქოლოგიაში არსებობს თეზა, რომ ადამიანთა ნაწილს მისთვის უცხო ობიექტის, მოვლენის შემეცნებისას პრობლემები უჩნდება. მისი გონება ახლის აღქმის მიმართ პროტესტს აცხადებს და აგრესია ან აპათია (მთქნარება, ძილქუში) ეწყება. ფსიქიატრიაში ახლის შემეცნებისას ფსიქიკის აშლილობას **მიზონეიზმი** უწოდეს.

ქართველები განსაკუთრებით გამოვირჩევით ახლის მიღება-შემეცნების შიშით – მიზონეიზმით. ქართველს სიახლის შიში ჩრდილივით თან დაჰყვება, მაშინაც კი, როდესაც შიშის რაიმე დამაჯერებელი საფუძველი არ გააჩნია. ეს არქეტიპი მძლავრ ზემოქმედებას ახდენს ჩვენს აზრებზე, გრძნობებზე, ქმედებებზე და თითქოს სპონტანურად აყალიბებს ინსტინქტებს.

ჩვენს საზოგადოებაში ახლის შემეცნება-დამკვიდრების პრობლემურობა, სირთულე აშკარად მიგვანიშნებს შესაბამისი მძლავრი არქეტიპის არსებობაზე. ეს არქეტიპი იმ მიზონეიზმის საფუძველია, რითაც ჩვენი საზოგადოების დამთრგუნველი უმრავლესობაა დაავადებული.

შესაბამისად, ჩვენში მძლავრად მოქმედებს ახლის არმიღების, არშემეცნების, წარმატების არმიღწევის არქეტიპი.

თვით ევროპელებმა, კერძოდ ესპანელებმა, არაბი დამპყრობლებისგან ბევრი რამ ისწავლეს, რაც შემდეგ ევროპული კულტურისა და მეცნიერებისთვის განვითარების მძლავრი იმპულსი აღმოჩნდა. რუსებმა სახელმწიფოს მართვა და სამხედრო ხელოვნება მონღოლებისგან ისწავლეს.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერც ერთი დამპყრობლისგან მნიშვნელოვანი ვერაფერი ავითვისეთ. დიახ, ეს კოლექტიურ, ეროვნულ ქვეცნობიერში უხსოვარი დროიდან ფესვგამდგარი, „უცხოს" შიშის არქეტიპის ზემოქმედების შედეგი გახლავთ.

ამ თეზისის საწინაღმდეგო აზრი – „სტუმარი (უცხო) ღვთისაა" – „სხვა ოპერიდანაა" და ზემოაღწერილ „უცხოსთან" არავითარი კავშირი არა აქვს. ამ ფენომენიდან იბადება სიტყვა საუცხოო, ეს სხვა არქეტიპია და ამაზე ნუღარ შევჩერდებით.

განსაკუთრებული, ორიგინალური აზროვნება არაა საჭირო, რათა დავინახოთ „მესიის", „გმირის", „გადამრჩენის" არქეტიპიც, რაც ჩვენს ისტორიას დღემდე წითელ ხაზად დაჰყვება. ამ არქეტიპის მნიშვნელოვანი ასპექტია ხალხის ბედნიერებისთვის შეწირული გმირის გაცოცხლება და საჭირო დროსა და სივრცეში თეთრ ცხენზე ან უცხენოდ მოვლინება.

აქედან – მუდმივი „გადამრჩენლის", ერთმმართველის დაუოკებელი მოთხოვნილება.

ჩვენს სოციუმში ასევე აშკარადაა გამოკვეთილი რელიგიური არქეტიპი – **„ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა",** რასაც, სამწუხაროდ, მხოლოდ არაფრისკეთებით მაქსიმალური კმაყოფილების მიღწევის სურვილი ასაზრდოებს. ფრაზა – „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ" – სწორედ სოციუმის ქვეცნობიერში არსებული არქეტიპის კონკრეტული გამოვლენაა ცნობიერში.

სოციუმში გაბატონებული უგუნურობა ცალსახად მიგვანიშნებს, რომ ღვთისმშობელმა დიდი ხანია ხელი აიღო ჩვენზე და ჩვენი სულიერების არეალიდან კუთვნილი წილი გაიტანა.

ჩვენი ამაღლება-განვითარების ხელშემშლელი მრავალი სხვა არქეტიპის გამოვლენა, გააზრება კი თქვენთვის მოგვინდვია.

მდგომარეობა იმითაც მძიმდება, რომ ხშირად, რასაც ჩვენ ტრადიციას ვუწოდებთ, ეს იმ არქეტიპების ნაკრები გახლავთ, რაც ჩვენს განვითარებას უშლის ხელს.

სკანდინავიელებსა და ინგლისელებში (დრეიკი, სკოტი, ამუნდსენი, ნანსენი,...) მკვეთრად გამოხატული „უცხოსადმი", ახლისადმი დაუოკებელი ინტერესი კი ისტორიულად ვიკინგების თაობებში დალექილი არქეტიპის შედეგია.

დისკუსიას არ ექვემდებარება ის, რომ ნაციის თაობიდან თაობაზე ქვეცნობიერში გადასული ფორმა და არსდაკარგული წარმოდგენები რელიგიაზე, უმაღლეს ფასეულობებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანთა **ეგოს, პერსონის და ჩრდილის** ფორმირებაზე.

სწორედ არქიტიპების გავლენით იხსნება ჩამორჩენილი ერების, ქვეყნების არსებობა.

თვით არქეტიპის განმარტებიდან გამომდინარე, პიროვნებას კოლექტიური ქვეცნობიერის ცნობიერად აღქმა არ ხელეწიფება.

ცხადია, თუ კოლექტიურ ქვეცნობიერს სოციუმის გამოთაყვანება შეუძლია, მისი განვითარება, პროგრესიც მასვე უნდა შეეძლოს. თუ ეს მოსაზრება მართებულია, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს განვითარებისთვის საჭირო არქეტიპების ტრანსფორმირება და შექმნა.

შევეცადოთ, გავერკვეთ არქეტიპების დამკვიდრების და ნგრევის მექანიზმში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იუნგის აზრით, არსებობს კავშირი კოლექტიურ ქვეცნობიერსა და ინდივიდუალურ ცნობიერს შორის.

უპირველესად დასადგენია უკუკავშირის გზა ინდივიდუალური ცნობიერიდან კოლექტიურ ქვეცნობიერამდე, არქეტიპამდე.

დავფიქრდეთ, დღევანდელი (და არა მარტო დღევანდელი) სოციუმის ცნობიერი მზრუნველი პატრონის, "უფროსი ძმის" გააფთრებულ ძიებაშია, რაც ეფუძნება აზრს, რომ დამოუკიდებლად განვითარების, მძლავრი

სახელმწიფოს შექმნის სულიერი და მატერალური პოტენციალი არ გაგვაჩნია. ეს აზრი ეტევა ერთ წინადადებაში – წერე და იკითხე, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება, ვინ მოგცემს ამის უფლებას,...

ყოველივე ეს საუკუნეების განმავლობაში ეროვნულ ქვეცნობიერში იმ დალექილი არქეტიპის შედეგი უნდა იყოს, რასაც გავბედოთ და, თუ იუნგი არ გვიწყენს, **მიზოელეფთერია** ვუწოდოთ.

სხვა სიტყვებით, იუნგის მთავარ არქეტიპებს დავამატოთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი არქეტიპი – **მიზოელეფთერია,** რომელიც გადმოდის ინდივიდის ქვეცნობიერში და მის ცნობიერში ღებულობს კონკრეტული კურატორის – რუსეთის ან აშშ-ის სახეს. ასევე, ამ არქეტიპის გამოძახილია ბუნდოვანი ნეიტრალიტეტი, ის სტატუსი, ის აბსტრაქტული მდგომარეობა, რომელშიც ერთდროულად ორი ან მეტი პატრონის მოძიება იგულისხმება დევიზით – "არც შამფური დავწვათ, არც მწვადი" (გასტრონომიული პოლიტიკა). რაც შეეხება ნებისმიერ კოალიციაში თანაბარუფლებიანი, მძლავრი სტატუსით გაერთიანებას, ჩვენი აზროვნების ფარგლებს სცილდება.

დავუბრუნდეთ კითხვას – რამდენადაა შესაძლებელი ნეგატიური არქეტიპის ნეიტრალიზება, განადგურება?

1817 წელს გერმანელმა პროფესორმა ბარონ ფონ დრეზმა გამოიგონა და 1818 დააპატენტა "მანქანა სირბილისთვის". 1862 წელს 19 წლის პიერ ლალემენმა გააუმჯობესა ეს სარბენი მანქანა და პარიზში შეიქმნა ის, რასაც დღეს ველოსიპედი ჰქვია. როდესაც გამოშტერებულმა პიერ ლალემენმა განიზრახა ველოსიპედის სერიულად წარმოება, მას დასცინეს, ცირკში ეკვილიბრისტების გარდა ვინ შეძლებს მის ტარებასო.

დიახ, კოლექტიურ ქვეცნობიერში არსებობს სიახლის შიში, რაც ადამიანის ცნობიერში კონკრეტულად წონასწორობის დაკარგვის, დაცემის შიშის სახეს იღებს. გადის დრო და ჩნდებიან ადამიანები, რომლებმაც გადალახეს ეს შიში, მატულობს ასეთი ადამიანების რიცხვი და როდესაც ეს რიცხვი აღწევს რაღაც კრიტიკულ ოდენობას, მაშინ იწყება კოლექტიურ ქვეცნობიერში ამ შიშის არქეტიპის მსხვრევა და დგება საპირისპირო პროცესი, ხუთი წლის ბავშვებს შორის ჩხუბი – „ჩამოდი ველოსიპედიდან, ახლა ჩემი ჯერია".

ნეტავ, შესაძლებელია ამჟამად დაფიქსირდეს რამდენი ველოსიპედია დღეს დედამიწაზე?

აქედან გამომდინარეობს უკვე ნაკლებად სადისკუსიო დასკვნა: არსებობს ინდივიდთა კრიტიკული რიცხვი, რომელთა ცნობიერების ჰარმონიას, კონგენიალობას ხელეწიფება შექმნას დასახული ამოცანის შესაბამისი კოლექტიური ცნობიერება. ასეთ კოლექტიურ ცნობიერებას შეუძლია შეაღწიოს კოლექტიურ ქვეცნობიერში, შეცვალოს და დაამკვიდროს ახალი არქეტიპი.

დიახ!

რჩება ერთი გზა – არსებულ სოციუმში, სისტემაში შეიქმნას ადამიანთა კრიტიკული რაოდენობისგან შემდგარი ის მთავარი ქვესისტემა, რომელიც განვითარების ვექტორის შესაბამისი არქეტიპების ჩამოყალიბებას უმოკლეს დროში, რამდენიმე წელიწადში შეძლებს.

ეს თავისთავად ითხოვს მთავარი ქვესისტემის ისეთი ჯგუფის, საზოგადოების შექმნას, რომლის მთავარი საფუძველია კონგენიალურობა.

ვიმეორებთ, საზოგადოების კონგენიალურობაში, უპირველესად, იმ უმაღლეს ფასეულობებზე შეთანხმებას ვგულისხმობთ, რომლის გარეშეც ამაღლებული ეთიკის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

დიახ, კონგენიალურობა სულითა და აზროვნების სტილით ახლოს მდგომ ადამიანთა ერთობაა.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ იმ კონგენიალთა სისტემის შექმნას ემსახურება, რომელიც, ერთი მხრივ, საუკუნეების განმავლობაში დალექილი განვითარების ხელშემშლელი არქეტიპების შესუსტებას და, მეორე მხრივ, უმოკლეს დროში კოლექტიურ ქვეცნობიერში განვითარების არქეტიპის დამკვიდრებას შეძლებს.

ჩანართი

თუ რას წარმოადგენს მთელი სრულყოფილებით **ჭეშმარიტი მე**, ეს ამ ნაშრომის, ჩვენი გონებრივი ძიების უმთავრესი ამოცანაა. ზედაპირული გააზრებით, რეალური, მიწიერი **ჭეშმარიტი მე**-ს წარმოდგენა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია.

როგორც ცნობილია, საშუალოდ ადამიანი თავისი გონებრივი შესაძლებლობის მხოლოდ 3%–5% იყენებს. საკმარისია, ადამიანთა ისტორიას გადავხედოთ, პირამიდების გრანდიოზულობიდან არდაწყებული და პლანეტა მარსზე კოსმოსური ხომალდით სინჯების აღებით არდამთავრებული, რომ აღვიქვათ ადამიანის გონივრული პოტენციალის, შესაძლებლობის სიმძლავრე. თუ 3%–5%-მა ეს შეგვაძლებინა, წარმოიდგინეთ, რა შეუძლია 10, 50, 100 პროცენტს – **ჭეშმარიტ მე**-ს. ალბათ 7%–10%-ანი პოტენციალის ამოქმედებით „მთებს გადავდგამდით".

ეს ნაშრომი სწორედ ჩვენში არსებული **ჭეშმარიტი მე**-ს გამოვლენას ემსახურება.

ამ უდიდესი სიმძლავრის ასამუშავებლად საჭიროა, ცნობიერი შევიდეს, გაიხსნას იმ არაცნობიერში, რომელიც იმ შემთხვევაშიც კი მართავს ჩვენს არსს, როცა ცნობიერი გათიშულია (მაგ., ძილისას).

შევხედოთ ამ საკითხს ბიოლოგიური და არაბიოლოგიური ხედვის კუთხით.

რა შეუძლია ასეთ სიმძლავრეს? – საკუთარი ორგანიზმის აზრობრივი მართვა, წარმოუდგენელი ოდენობის ინფორმაციული მასალის ათვისება და ანალიზი. სიმძლავრეს მოიკრებს ფსიქონეიროიმუნოლოგია (ადამიანის გონის, ემოციის გავლენა იმუნურ სისტემაზე), დამკვიდრდება სპონტანური რემისია, თავისთავადი გამოჯანმრთელება.

მხოლოდ ჩვენი საკუთარი ბედის, ცხოვრების მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება აფერხებს თითოეულ ჩვენგანში **ჭეშმარიტი მე**-ს გამოვლენას. კონგენიალური სისტემის გარეშე საკუთარ თავში ამ სიმძლავრის აღმოჩენა შეუძლებელია. ამას კი, როგორც აღვნიშნეთ, არსებულისგან განსხვავებული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, ადამიანად თავის შეცნობა სჭირდება.

ერთხელ, მაიმუნები შეიკრიბნენ და დაფიქრდნენ – ხომ არ გავხდეთ ადამიანებიო. ყველა აღფრთოვანდა. ამ საკითხზე კენჭისყრა მოაწყვეს. ერთი მაიმუნი წინააღმდეგი აღმოჩნდა. ჰკითხეს – რატომ ხარ წინააღმდეგი? – მან ჩაახველა და ბოხი ხმით თქვა: – კი, კარგი ცხოვრება აქვთ ადამიანებს, მაგრამ დავფიქრდეთ, თუ ადამიანები გავხვდებით, ხომ მოგვიწევს ჯერ სკოლაში სიარული, მერე – უმაღლესში, მერე ვიღაც კანტების, ჰეგელების, ვაჟას, აინშტაინების, ჰუსერლების და სხვა ათასი უბედურების შესწავლა, გვინდა ეს? მაიმუნები ღრმად ჩაფიქრდნენ, განმეორებითი კენჭისყრა მოაწყვეს და ერთხმად დაადგინეს – ვრჩებით მაიმუნებად.

ჩვენც ხომ არ მოვაწყოთ კენჭისყრა?

თუ არა და გავაგრძელოთ მსჯელობა.

საკუთარი არსის, სამყაროს შეცვლისა თუ შემეცნების კენჭისყრით მცდელობა უმაღლესი ხარისხის გამოთაყვანებას ადასტურებს.

შევიგნოთ, **ჩვენ ახალ სამყაროს ვერ შევქმნით. ეს სამყარო უკვე შექმნილია. ჩვენ ვალდებულნი ვართ, შემოქმედნი ვიყოთ ამ სამყაროში.**

სამყაროს სურათი

მართლაც, მეტ-ნაკლებად განათლებული უნდა ხვდებოდეს, რომ შეუძლებელია ღირსეული ცხოვრების დამკვიდრება, თუ ადამიანმა, საზოგადოებამ ამაღლება, თვითგანვითარება ვერ შეძლო. ცხადია, ეს სამყაროს კანონზომიერების გააზრებას საჭიროებს, რადგან ჩვენც სამყაროს ნაწილი ვართ. არათუ განათლებული, გოჭიც კი უნდა ხვდებოდეს, რომ სამყაროს კანონზომიერების გააზრება, თავისთავად, სამყაროს მთლიანი სურათის აღქმას ითხოვს.

სამყაროს მთლიანი სურათის დანახვა კი შესაძლებელია ერთდროულად სამი ფუნდამენტური – **თეოლოგიური, ფილოსოფიური** და **მეცნიერული –** უნივერსალური ხედვით, რაშიც ყველა მოაზროვნე ადამიანი დაგვეთანხმება.

პარადოქსი – საკმარისია, ადამიანი გახდეს თეოლოგი, ფილოსოფოსი ან მეცნიერი, რომ მისთვის ეს ჭეშმარიტება უკვე სადისკუსიო ხდება.

ერთ რომელიმე მიმართულებაში პროფესიულ ჩაღრმავებას მკვლევარი დანარჩენი ორი მიმართულების შემეცნების აუცილებლობასთან უნდა მიჰყავდეს. და თუ ეს ასე არ ხდება, მაშინ ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ეს ადამიანი, მისი დაუოკებელი სურვილის მიუხედავად, ვერც თეოლოგად ჩამოყალიბდა, ვერც ფილოსოფოსად, ვერც მეცნიერად. ის მხოლოდ „მეცნიერის, თეოლოგის ან ფილოსოფოსის“ რაღაც ბეჭდით დადასტურებულ დიპლომს ფლობს. და ვერ ხვდება, რომ ის მეცნიერად ვერ შედგება, თუ ფილოსოფიაში და რელიგიაში არ გაერკვა, ასევეა თეოლოგიც და ფილოსოფოსიც. ხოლო, თუ ადამიანი როგორღაც ახერხებს სხვების დარწმუნებას, რომ ის ერთ-ერთ მიმართულებას დანარჩენი ორის იგნორირებით შესწვდა, რატომღაც ადამიანურობას ავტომატურად კარგავს.

საკმარისია, გავიხსენოთ ნაცისტი ექიმების, მეცნიერების კვლევები საკონცენტრაციო ბანაკებში.

მეტ-ნაკლებად განათლებული ადამიანი უნდა ხვდებოდეს, რომ ყურადღების, შემეცნების პოტენციალის მაქსიმუმი არა შემადგენელზე, ნაწილზე, არამედ მთელზე უნდა გადავიტანოთ, რადგან ცნება ერთობას, საკუთარ თავში, მხოლოდ მთელი მოიცავს და ეს არ გახლავთ სიტყვათა თამაში.

სწორედ ამ მიდგომის უგულებელყოფით მივედით იმ მდგომარეობამდე, რომ დღემდე არ გვაქვს პასუხი ყველაზე მთავარ კითხვაზე:

– რაა სიცოცხლე?

მართლაც, თუ თქვენ გინდათ, შეისწავლოთ სიცოცხლის საფუძველი – უჯრედი, მაშინ, რატომღაც მიღებულია, რომ ის ორგანიზმიდან უნდა გააცალკევოთ, მიკროსკოპში დაათვალიეროთ, გაახუროთ, მასში დენი უნდა გაატაროთ,... თითქოს იღებთ რაღაც მეცნიერულ ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ინფორმაციად რჩება, რადგან გავიწყდებათ, რომ თქვენ საქმე ცოცხალ უჯრედთან, სიცოცხლესთან კი აღარ გაქვთ, არამედ თქვენ წინ მკვდარი საკვლევი ობიექტია.

თუ გსურთ, შეიმეცნოთ სიცოცხლის კანონზომიერება, ვალდებულნი ხართ არა მხოლოდ ცალკეული ნაწილები გამოიკვლიოთ და შეიმეცნოთ, არამედ დაუნაწევრებელი მთელიც და მას შეხედოთ მეცნიერული, ფილოსოფიური, თეოლოგიური ხედვის კუთხიდან. ასევე, ცოცხალი ურთიერთკავშირით იქმნება მთლიანი, ადამიანი და თუ მას ანატომიურად დავშლით, დავანაწევრებთ, შეიძლება შევაგროვოთ რაღაც ინფორმაცია, მაგრამ ვერასდროს გავიგებთ, რაა **ადამიანი**.

ასევე, შეუძლებელია, შეიმეცნო ადამიანი, როგორც სოციალური არსება, რომელიც არაა ცოცხალ, უშუალო კავშირში სხვა ადამიანებთან, სოციუმთან. თუ იგი მთლიანის ორგანულ ნაწილად არ აღიქვამს თავს, აუცილებლად „იხრწნება, ლპება" და მისი პოტენციალის, ადამიანური არსის გარკვევა შეუძლებელი ხდება.

მთელი სამყარო ცოცხალი, მოაზროვნე, მთლიანი ორგანიზმია, რომლის შემადგენელი ნაწილებიც მთელი სამყაროს სიცოცხლის უხილავ კვალს ატარებს.

შესაბამისად, **სიცოცხლის, ადამიანის, სამყაროს შემეცნება უნივერსალურ აზროვნებას მოითხოვს.**

საზოგადოებაში, რატომღაც, დამკვიდრებულია მოსაზრება – თითქოს ადამიანის აზროვნების უნივერსალიზმს, მრავალმხრივობას მისი ტალანტი განსაზღვრავს.

ჩვენი აზრით კი პირიქით, ადამიანის ტალანტი, გენიალურობა მისი უნივერსალიზმის შედეგია.

ხის სიძლიერე მისი ფესვებით იზომება. ასევეა ადამიანიც. ადამიანის სულიერი განვითარების ხარისხს კულტურულ ფასეულობათა აღქმისა და

გათავისების დონე განსაზღვრავს და რაც უფრო ღრმაა მისი ფესვები, კულტურისა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა აღქმა-გათავისების ხარისხი, ადამიანის შინაგანი ზრდა, განვითარება მით უფრო ეფექტურია.

ჩნდება კითხვა – **უნივერსალიზმისკენ სწრაფვა დილეტანტიზმისა და ზედაპირულობისკენ ხომ არ გვიბიძგებს?**

– არა, პირიქით, უნივერსალიზმი პროფესიონალიზმს ავითარებს.

რაც უფრო უნივერსალურია ადამიანი, საკუთარ თავს კონკრეტულში მით მეტად ამჟღავნებს.

დამკვიდრებულია დიფერენციაციის ტრადიცია. თითქოს აუცილებელია კაცობრიობის განვითარების შედეგი – კულტურა, მეცნიერება,... – დანაწევრდეს და ეს ცოდნა დანა-ჩანგალივით „ყუთებში" ჩალაგდეს, დახარისხდეს.

ამ ქმედების არსი მარტივია: მკვეთრად შემოსაზღვრონ, სხვებისგან გამიჯნონ საკუთარი თემატური „საკუთრება", რათა „ერთმორწმუნენი" მიიზიდონ, რომელნიც სხვათა მიმართ ზიზღით იქნებიან განწყობილნი. ამგვარად, იქმნება დამცავი ჯებირი, ჯავშანი, რათა „გარედან შემოღწევის" ყოველგვარი საშუალება მოისპოს.

ჩვენგან მოითხოვენ, მომწიფებამდე განვსაზღვროთ, თუ რა დარგის სეგმენტით შემოვსაზღვროთ ჩვენი აზროვნება მომავალ ცხოვრებაში. ჩვენც ვირჩევთ ინტერესების სფეროს, რომელსაც განვითარებისკენ სვლის ბუნებრივ, უპირობო გზად მივიჩნევთ.

აბა, სხვაგვარად როგორ?

და სრულიად გვავიწყდება, რომ თვით ბუნებას არ აინტერესებს, თუ რა საამქროებად, სამთავროებადაა დაყოფილი ბუნების კანონზომიერების შემსწავლელი დისციპლინები.

ბუნება ფეოდალური კანონებით არ ცხოვრობს. ის ერთიან ჰარმონიულ კანონზომიერებას ემორჩილება.

დიახ, აუცილებელია სინამდვილის სინთეზური – რელიგიური, ფილოსოფიური და მეცნიერული – შემეცნების გონივრული, მხატვრული შენადნობით ათვისება.

ჩვენ კი, სამწუხაროდ, სამყაროს აღქმა რელიგიად, ფილოსოფიად და მეცნიერებად – ფორმად, აზრად და სახედ დავანაწევრეთ.

დიახ, ჩვენ „ანალიზის" ალესილი დანით ჭეშმარიტი გავაცალკევეთ მშვენიერისგან, რადგან სამყაროს მთლიანობაში აღქმისთვის გონება, ძალა, სითამამე არ გვეყო.

ალბათ, სამყარო გაოცებული უმზერს ამ უცნაურ დანაწევრებას, უკვირს ჩვენი ქმედება და გვეკითხება:

ნუთუ სილამაზე, ჰარმონიულად ორგანიზებული მთელი ჭეშმარიტების სახე არაა?

ნუთუ ბუნების ლოგოსი, როგორც შინაგანი, კანონზომიერი, საკრალური არ ამჟღავნებს თავს, არ გველაპარაკება ჰარმონიის ენით, კოლორიტით,

სიმეტრიით, სრულყოფით, იმ სიმბოლოებით, რაც მხატვრული სახე და ფორმაა?

ალბათ არამამაცთა „შემოქმედების" შედეგია ლოზუნგი: – „პურის გამოცხობა ხაბაზის საქმეა", რაც მშვენივრად მიესადაგება მატერიალისტური მიდგომის (ხელოსნობის) და არა შემოქმედებითი სამყაროს სფეროს.

დიახ, მათ სამყარო თონე ჰგონიათ.

ამრიგად, ჩვენი „მეცნიერული ცხოვრება" ფეხსაცმლის კერვის საამქროს ემსგავსება, სადაც ერთნი ლურსმნის ჩაჭედებაში ოსტატდებიან, მეორენი – ღებვაში, მესამენი კი – თასმების გაყრაში და იბადებიან „საამქროს მეცნიერები", დახელოვნებულნი მხოლოდ თასმის გაყრაში,... ეს პროფესიული განმხოლოებაა.

შედეგიც სახეზეა.

შრომის დიფერენციაციამ მეცნიერება საამქროს ჩაკეტილობასა და „უსტაბაშების" პროფესიულ შეზღუდულობამდე დაიყვანა, რომელთაც ვიწრო სპეციალობის ჩარჩოების გარღვევა, შემეცნების სფეროს გაფართოება არ სურთ. „უსტაბაში" უკვე ვეღარ ბედავს ზოგადზე იფიქროს და მისი აზროვნება მხოლოდ კონკრეტული ფაქტების განხილვით შემოიფარგლა.

შესაბამისად, ამაღლების ყოველგვარი მცდელობა, როგორც საამქროს კანონის დარღვევა, დილეტანტიზმად და არასერიოზულ მიდგომად მიიჩნევა.

საერთო კანონზომიერების შემეცნების სარკე ნაწილებად დაიმსხვრა.

მატერია და სული, ადამიანი და ბუნება, ორგანული და არაორგანული, სუბიექტი და ობიექტი,... ერთმანეთს დაუპირისპირდა.

ყველაფერი დახარისხდა და უჯრებში ჩაიკეტა.

ამრიგად, ჩვენი მეცნიერება ფეოდალურ სახელმწიფოს დაემსგავსა, ფეოდალთა, „უსტაბაშთა" სამეფოები განცალკევდა. ყველგან ბარიერები, სასაზღვრო ბოძები აღიმართა, საბაჟოები შეიქმნა. ჩამოყალიბდა სუვერენული მიკროსამთავროები მიკრომონარქებით, რომლებიც ერთმანეთს გააფთრებით ებრძვიან. აბა, გაბედე და ფიზიკოსმა ფილოსოფიის, ეკონომიკური მეცნიერების, პოლიტოლოგიის, თეოლოგიის საზღვრები დაარღვიე, მყისვე ამუშავდება ლოზუნგი – **„პური მეპურემ უნდა გამოაცხოს"!**

და თუ არ ცხვება ეს ხარისხიანი პური?!

დიახ, არ გვინდა შემოქმედება, უნივერსალიზმი, გვინდა ხელოსნებად დავრჩეთ.

და როცა ლეონარდო და ვინჩს, მიქელანჯელოს, გოეთეს,... ვიხსენებთ, რატომღაც ამოოხვრით ვიმეორებთ ფრაზას – „უნივერსალთა დრო წავიდა" და გვავიწყდება, რომ აინშტაინის ინტერესთა სფერო ფიზიკასა და მათემატიკასთან ერთად მოიცავდა ხელოვნებას, ფილოსოფიას, ისტორიას,... ის ავტორია 150 წიგნისა ისტორიასა და მეცნიერების ფილოსოფიაზე.

და სწორედ ამით იყო ის აინშტაინი.

ნილს ბორი გატაცებული იყო ფილოსოფიით, ბიოლოგიით, ხელოვნებით, ფსიქოლოგიით, სოციოლოგიით, სპორტით,... და სწორედ ამით იყო ის ნილს ბორი. ასევე მაქს პლანკი,...

ჩვენი მსჯელობიდან გამოდის, რომ უნივერსალიზმი შემოქმედების, განვითარების აუცილებელი პირობაა.

ფენომენს, საგანს მხოლოდ ერთი, ვიწრო პროფესიული ხედვის კუთხიდან თუ შევხედავთ, მაშინ ვერასდროს მივუახლოვდებით ჭეშმარიტებას და მივალთ დამთრგუნველ დასკვნამდე – „სიმართლე" მხოლოდ ის არის, რასაც პროფესიული ავტორიტეტები, ხელისუფალნი, „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" გვიბრძანებენ.

რეალობა ისაა, რომ თეოლოგიურ, ფილოსოფიურ, მეცნიერულ მოსაზრებათა თანხვედრა, შეჯერება იმდენად რთულია, იმდენად ენციკლოპედიური ხედვის, ურთულესი ანალიზის, მრავალმხრივობის მომთხოვნია, რომ „მკვლევარი" უკიდურეს აზრობრივ ოპოზიციაში გადადის და ეს გასაგებია, რადგან საკუთარი ცალმხრივობის გამოვლენა არავის უნდა.

ამავე დროს „მკვლევარებს" ავიწყდებათ, რომ უნივერსალიზმის წინააღმდეგ „კონტრარგუმენტების", პრაგმატულობის, აუცილებლობის „თეორიათა" აშკარად გამოსახული აგრესიით წარმოდგენა უკვე ცალმხრივობის დამადასტურებელია.

შედეგი ისაა, რომ ეს ცალმხრივობა არა მარტო აპირისპირებს თეოლოგიას, მეცნიერებასა და ფილოსოფიას, არამედ ხშირად ამ დიფერენციაციისკენ სწრაფვა უსახურ კონფლიქტშიც კი გადადის. ეს არაა გასაკვირი. საოცარი ისაა, რომ „მკვლევარნი" ამ დაპირისპირებით რაღაც პათოლოგიურ სიამოვნებასაც კი განიცდიან.

ჩანართი

ბორი, ჰაიზენბერგი, ერენფესტი, ლაუე ბრწყინვალე მუსიკოსები იყვნენ. პლანკი უნივერსიტეტში მუსიკის თეორიის ლექციებს კითხულობდა და მასთან თანამშრომლობას მრავალი ორკესტრი ოცნებობდა. მისი ხელმძღვანელობით გუნდში მღეროდა ახალგაზრდა ოტო განი, რომელიც 30 წლის შემდეგ ურანის გაყოფის ფენომენს აღმოაჩენს.

ჰაიზენბერგი, პაული, ლაუე, შრედინგერი ფლობდნენ უძველეს ენებს. ლუი დე ბროილი საერთოდ ისტორიკოსი იყო, შრედინგერი – ფილოსოფიისა და თეოლოგიის ღრმად მცოდნე. განსაკუთრებულად გათვითცნობიერებული იყო ინდურ რელიგიაში. იყო პოეტი. გამოცემული აქვს საკუთარი ლექსების კრებული. პლანკსა და ზომერფელდს შორის მეცნიერული მიმოწერა ლექსებით მიმდინარეობდა.

არისტოტელე, ავიცენა, როჯერ ბეკონი, იოჰან გოეთე, ალექსანდრ ჰუმბოლდტი, რენე დეკარტე, ჯონ დი. პიერ დიემ, ატანასიუს კირხერ, ნიკოლა კოპერნიკი, გოტფრიდ ლაიბნიცი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, ნიკოლა ორემ, ბლეზ პასკალი, ნიკოლა ტესლა, ომარ ხაიამი, ჰილდეგარდა ბინგენსკელი, ფრიდრიხ შილერი, შენ კო, თომას იუნგი.

ალბერტ დიდი. XIII საუკუნის დასაწყისი – ფილოსოფოსი, თეოლოგი, მეცნიერი. თომა აქვინელის მასწავლებელი.

ალექსანდრ ჰუმბოლდტი. XIX საუკუნე მოგზაური, მეცნიერ-ენციკლოპედისტი, ფიზიკოსი, მეტეოროლოგი, გეოგრაფი, ბოტანიკოსი, ზოოლოგი.

პიერ დიუემ XX საუკუნე – ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი.

ნიკოლა ორემი XIV საუკუნე – ფილოსოფოსი, ნატურფილოსოფოსი, ასტრონომი, თეოლოგი. მისმა შრომებმა დიდი გავლენა მოახდინა ნიკოლა კუზანელზე, კოპერნიკზე, გალილეისა და დეკარტეზე.

ჰილდეგარდა ბინგენსკელი ქალბატონი, XII საუკუნე – მისტიკოსი, თეოლოგი, მუსიკოსი, ბუნებისმეტყველი, მედიკოსი.

შენ კო (ჩინეთი) XI საუკუნე – მათემატიკოსი, ასტრონომი, მეტეოროლოგი, გეოლოგი, ზოოლოგი, ბოტანიკოსი, ფარმაკოლოგი, აგრონომი, ეთნოგრაფი და კარტოგრაფი, დიპლომატი, გენერალი, ინჟინერი, გამომგონებელი, პოეტი და მუსიკოსი, ფინანსთა მინისტრი.

ჰეგელი – მაქსიმალური ყურადღებით ეკიდებოდა ექსპერიმენტს, საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებს. თავად ატარებდა ექსპერიმენტებს მაგნეტიზმსა და ოპტიკაში, მისთვის თითქმის მეორე პროფესია იყო უმაღლესი მათემატიკა, დიფერენციალური აღრიცხვა. გატაცებული იყო ფიზიკით, ქიმიით და ზუსტი მეცნიერების ისტორიით, აღარაფერს ვამბობთ ჰუმანიტარული მეცნიერებების კომპლექსზე.

ასეთი უნივერსალიზმის გარეშე აზროვნება არის ცარიელი სიტყვებით ბავშვური თამაში.

მსოფლმხედველობა

როგორ გადაილახოს აზრობრივი, დარგობრივი დიფერენციაცია?

ადამიანი მრავალმხრივი არსებაა. ერთი მხრივ, ის კულტივირებას უკეთებს თეოლოგიას, ფილოსოფიას, მეცნიერებას და, მეორე მხრივ, აქვს მცდელობა, სამყაროს სრული სურათის შემეცნებისას ამ სამების უსუსურობა დაამტკიცოს, მაშინ, როდესაც ერთის განვითარება დანარჩენი ორის განვითარებას თავისთავად განაპირობებს.

ზოგიერთი თეოლოგის, მეცნიერის ან ფილოსოფოსის ერთმანეთის ორგანული ვერ ატანა მხოლოდ თვით მკვლევარებს აკნინებს და ფილოსოფია, მეცნიერება და თეოლოგია აქ არაფერ შუაშია.

ცივილიზებულ სამყაროში დღეს მეცნიერული ხედვა, უტილიტარულობიდან გამომდინარე, წინა პლანზეა წამოწეული. ცხადია, მეცნიერული შედეგების გარეშე დღევანდელი ცხოვრება ძნელი წარმოსადგენია.

სწორედ ესაა ჩვენი და ჩვენი მსგავსი განუვითარებელი ქვეყნების უბედურება. ჩვენ იმ საზოგადოებას წარმოვადგენთ, სადაც ასტროლოგს უფრო მეტი შემოსავალი და პოპულარობა აქვს, ვიდრე – ასტრონომს.

ამიტომ, მსოფლიო მეცნიერული აზრის არნახული ამაღლების მიუხედავად, ჩვენი ცხოვრება მაინც უსახური რჩება.

ადამიანი არაცნობიერად გრძნობს, რომ თეოლოგიის, მეცნიერებისა და ფილოსოფიის გარეშე ნორმალური, ღირსეული ცხოვრების დამკვიდრება უბრალოდ ოცნებაა.

ადამიანთა მთელი ისტორია ამას ამტკიცებს.

მართლაც, თითქოს მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის კონფლიქტი შეუსაბამოა, რადგან, ჯერ ერთი, ფილოსოფია თავად არის მეცნიერული და მეორეც — მისი ყურადღების ცენტრში ყოფიერების ის კარდინალური საკითხებია, რომლის გარეშეც ცხოვრება არასერიოზული გახდებოდა. მესამე — ფილოსოფია ცდილობს აზრობრივსა (მეცნიერულ) და მისტიკურს (რელიგიას) შორის არსებული გაურკვევლობა გადალახოს.

რაც შეეხება რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართებას, რა საოცარიც უნდა იყოს, როცა მეცნიერება უკანასკნელ კარს შეაღებს, ის უცილობლად ღვთიური რწმენის წინაშე აღმოჩნდება.

ეს ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, ათეიზმზე დაფუძნებულმა სისასტიკემ (ბოლშევიზმი, ფაშიზმი) რელიგიის აუცილებლობა ნათლად გამოავლინა.

და თუ ყოფიერების არსში ღმერთს ვერ დავინახავთ, გავაღმერთებთ ფულს, ძილს, ჭამას, მღვდელმთავრებს, უმეცრებას, სისასტიკეს,... დავალთ იმ კვაზირელიგიამდე, რომლის დამანგრეველი ძალის მასშტაბურობა შესაძლოა, ვერც კი განვსაზღვროთ.

მაგალითად, ისეთი განსწავლულიც კი, როგორიცაა ნობელის პრემიის ლაურეატი ბერტ რასელი, რელიგიას დასცინის და მეცნიერებას, ფილოსოფიასთან შედარებით, გაცილებით მაღლა აყენებს.

ჰეგელისთვის უპირველესია ფილოსოფია. დანარჩენი მეორადია.

ნიცშე ცდილობს იპოვოს რაღაც სხვა, რომელიც არც ერთია, არც მეორე, არც მესამე და თითქოს ვერც კი ხვდება, რომ იმ ახალ ეთიკას ქმნის, რომელიც ისევ რელიგიას უბრუნდება.

დრო ყველაფრის მსაჯულია.

დრომ დაგვანახა, რომ ნებისმიერი ცივილიზაცია წარმოდგენილია თეოლოგიით, ფილოსოფიითა და მეცნიერებით.

ეს ფაქტია.

ადამიანთა ისტორიაში სხვა პრეცედენტი ჯერ არ არსებობს.

ეს უნდა გაითვალისწინოს ყველამ — ფილოსოფოსმა, მეცნიერმა და თეოლოგმა.

როდის მივხვდებით, რომ თეოლოგთა მსჯელობა მართებულია. მართებულია ფილოსოფოსთა და მეცნიერთა მსჯელობებიც. როგორც ბლეზ პასკალი იტყოდა, მათი დასკვნებია არასწორი, რადგან ისინი ერთმანეთის მოსაზრებებს არ ითვალისწინებენ და მიღწევებს კი უგულებელყოფენ.

ჩვენ გვაიძულებენ, დავემორჩილოთ თეოლოგებს, ფილოსოფოსებს, მეცნიერებს შორის არშემდგარი დიალოგისა და თანამშრომლობის შედეგად გამოტანილ დასკვნებს და გვავიწყდება, რომ მათი დიალოგისა და თანამშრომლობის გარეშე, ამ მოზაიკური შედევრის შექმნის გარეშე სამყაროს ერთიან სურათს ვერც წარმოვიდგენთ და ვერც გავიაზრებთ.

თეოლოგებს, ფილოსოფოსებსა და მეცნიერებს შორის ყველაზე მეტად პრეტენზიულნი მეცნიერები არიან. ისინი ყოველი არამეცნიერულის მიმართ დისტანციას ინარჩუნებენ. მეცნიერთა საკმაოდ დიდ ნაწილს განსაკუთრებული დაძაბულობა აქვს რელიგიასთან. რელიგიური ელიტის უმრავლესობას, მარტივად რომ ვთქვათ, ალერგია აქვს მეცნიერების მიმართ. ისინი მკვეთრად ემიჯნებიან მეცნიერებას.

ჯერჯერობით რელიგიის მეცნიერულ რელსებზე გადაყვანა შეუძლებლად მიიჩნევა. რელიგიასა და მეცნერებასთან მიმართებისას ფილოსოფია თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში და ვერ ხვდება, რომ ფილოსოფიას ორივე უცხოდ აღიქვამს და სტუმრის წასვლაზე ოცნებობენ.

აქ დასაფიქრებელია ამ ურთიერთობის ხასიათი. ისინი ვერ ხვდებიან, რომ რომელიც უნდა დაამატო მეორეს, ფილოსოფიას – მეცნიერება, თუ პირიქით, ორივე ძლიერდება.

მათ ეჩვენებათ, რომ მეცნიერებისთვის რელიგიის დამატება, მეცნიერებაში რელიგიური მოტივის შეტანა ორივეს ანგრევს. ამიტომ მეცნიერები ამგვარ იმპლანტაციას სასტიკად ეწინააღმდეგებიან. ხოლო რელიგიაში მეცნიერების ინექცია გამოცხადების საკრალურობასა და სასწაულებს ეწინააღმდეგება.

ეს ერთი მხრივ.

ცალმხრივი განვითარება, არაუნივერსალიზმი, უპირველეს ყოვლისა, პიროვნული და სოციალური მსოფლმხედველობის შეზღუდულობას განაპირობებს. სამყაროს სრული სურათის აღქმა სრულფასოვანი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას საჭიროებს. ეს უკანასკნელი კი სოციუმის, საზოგადოების აზროვნების დონეს განსაზღვრავს.

მეორე მხრივ, დისკუსიას არ ექვემდებარება მოსაზრება:

– სახელმწიფო კი არ ქმნის და ავითარებს საზოგადოებას, არამედ, პირიქით, საზოგადოება ქმნის და ავითარებს სახელმწიფოს.

საზოგადოების არსში გარკვევა არც ისე მარტივია, როგორც ჩვენს „განათლებულ საზოგადოებას" ჰგონია.

მთელი ჩვენი 3500 წლოვანი ისტორია, 100 – 150 წლის გამოკლებით, არის გარედან იძულებით თავსმოხვეული, სახელმწიფოს მიერ მოთვინიერებული „საზოგადოების" ჩამოყალიბება.

იცვლებოდა ადამიანთა ისტორია, არ იცვლებოდა ჩვენი „სახელმწიფოს" მიერ ჩამოყალიბებული მცოხნავი „საზოგადოების" არსი – განუვითარებელ ჯოგად ყოფნის კმაყოფილების განცდა. ის ნეტარებას განიცდიდა ბიზანტიის, სპარსეთის, მონღოლეთის, თურქეთის, რომანოვებისა და სტალინის რუსეთის,...

მიერ თავსმოხვეული „სახელმწიფოსგან" შემოთავაზებულ არაგანვითარებად სისტემაში არსებობით.

ქართველი კაცი უნდა მორგებოდა თავსმოხვეულ „სახელმწიფოს" და არა – პირიქით. მას არ უჩნდებოდა სურვილი, შეექმნა საკუთარი სულიერი, გენეტიკური მოთხოვნილების შესაბამისი განვითარების არსის მქონე სახელმწიფო.

ვიმეორებთ, ელემენტარული აზროვნების უნარია საჭირო, რათა მივხვდეთ, რომ სახელმწიფოს ქმნის საზოგადოება. ხოლო სოციუმში საზოგადოება ყალიბდება საზოგადოების წევრთა შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი ნორმებით.

თავის მხრივ, ურთიერთობის ნორმა ეთიკიდან გამომდინარეობს, ხოლო ეთიკის საფუძველია რელიგია.

უმაღლეს სულიერ ფასეულობათა სისტემა – რელიგია თეოლოგიით შეიმეცნება.

შესაბამისად, თუ თეოლოგიური გააზრება დაქვეითებულია, მაშინ ამაღლებულ რელიგიურ სიწმინდეზე საუბარი აზრს მოკლებულია. ასეთი რელიგია აყალიბებს პაროდიულ ეთიკას, ნორმას, საზოგადოებას და პაროდიული საზოგადოების მიერ შექმნილ იმ რაქიტულ წარმონაქმნს, რასაც განუვითარებელ, არშემდგარ სახელმწიფოს უწოდებენ.

აქედან გამომდინარე, ყველა ჩვენი სოციალური დეფექტის სათავე თეოლოგიური გააზრებისადმი არასერიოზული ან ცინიკური დამოკიდებულებაა.

ცინიზმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს აზროვნებაში თეოლოგია და მართლმადიდებლობა შეუთავსებელ ცნებებად განიხილება.

ნაბრძანებია ბრმა რწმენა, რწმენა – გონის გარეშე.

ამ მსჯელობამ მრავალ ეკლესიურ ადამიანში შეიძლება უკიდურესი პროტესტი გამოიწვიოს.

გვავიწყდება მთავარი – „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და **ყოვლითა გონებითა შენითა.** ეს არის პირველი და დიდი მცნება" (მათე 22, 37–38).

ამიტომ გავბედავ და ვიკითხავ – რა არის მართლმადიდებლური ქრისტიანობის არსი – ამაღლებული სულიერების, თავისუფალი, განვითარებადი საზოგადოების ჩამოყალიბება, თუ იმ დეგრადირებული, ჩამორჩენილი მასის მწყემსვა, რასაც გარშემო ვხედავთ?

როგორ გვესმის მართლმადიდებლებს ქრისტიანობის საფუძველი – სამება?

რა არის მამა, ძე, სულიწმიდა?

რატომ გვევლინება უმაღლესი, აბსოლუტი სამი ფორმით და არა მკვეთრად გამოსახული ერთი სუბსტანციის სახით?

და თუ ეს ბუნდოვანია, ან პასუხი საერთოდ არ გაგვაჩნია, მაშინ ღრმად დაფიქრება მოგვიწევს, რა ფასი აქვს ასეთ გაუცნობიერებელ რწმენას, საფუძველს ყოვლისა და მათ შორის საზოგადოებისა, იმ საზოგადოებისა,

რომელმაც განვითარებადი სახელმწიფო უნდა შექმნას, რომლის გარეშე, ჩვენი, ჩვენი შვილების, საქართველოს მომავალი განწირულია.

ვიმეორებთ:

რელიგია ქმნის ეთიკას, ეთიკა – საზოგადოებას, საზოგადოება – სახელმწიფოს.

ჩანართი

შევეცადოთ, მთლიანობაში დავინახოთ ჩვენ წინაშე წარმოქმნილ პრობლემათა ჯაჭვი. როგორც აღვნიშნეთ, ლინგვისტიკური ბუნდოვანება ამახინჯებს ინფორმაციას.

ინფორმაცია, თავის მხრივ, ცოდნის წყაროა, რომელიც მსოფლმხედველობას აყალიბებს.

მსოფლმხედველობა იმ შეხედულებათა ნაკრების, შეფასებათა კრიტერიუმების, პრინციპების, წარმოდგენების ერთობაა, რომლითაც სამყაროს გააზრება ხდება და განისაზღვრება ადამიანის ადგილი ამ სამყაროში.

მსოფლმხედველობა ადამიანთა ცხოვრებას, ქმედებას ორგანიზირებულ, გააზრებულ და მიზანმიმართულ ხასიათს ანიჭებს. მსოფლმხედველობა ადამიანის სულიერი სამყაროს რთული ფენომენია, რომლის საფუძველია მისი გონივრულობა, შემეცნება.

ადამიანთა ისტორიაში განვითარების მაღალ დონეს მხოლოდ ის ერები, ქვეყნები აღწევდნენ, რომლებიც ახერხებდნენ საკუთარ ცნობიერებაში გამართული, ლოგიკური მსოფლმხედველობის სისტემა ჩამოეყალიბებინათ. სწორედ ამ მსოფლმხედველობით განისაზღვრებოდა ადამიანის ადგილი ამ სამყაროში და ადამიანი ამ მსოფლმხედველობის შესაბამისი ორიენტირით ცხოვრობდა.

მსოფლმხედველობის გარეშე აზრს კარგავს ისტორიის, ფილოსოფიის, რელიგიის გააზრებაც.

და როდესაც ჩვენი მსოფლმხედველობა ასე შორსაა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების საფუძველზე ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობისგან, შედეგიც შესაბამისია: ჩვენ ვართ ისინი, ვინც ცხოვრობენ და ცხოვრების აზრის, მიზნის ძიებას არ ცდილობენ.

დაქვეითებული მსოფლმხედველობის ადამიანი უბრალოდ ავადმყოფია. ჩვენი დროის პარადოქსი იმაშია, რომ ჩვენი დაავადებული საზოგადოების მკურნალობაზე სწორედ ის ავადმყოფი იღებს პასუხისმგებლობას, ვინც ეს სოციუმი დააავადა.

შესაბამისად, რათა შეიქმნას ახალი, ჯანმრთელი საზოგადოება, აუცილებელია, ახალი მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდეს.

მსოფლმხედველობის გარეშე შეუძლებელია საკუთარი ფუნქციის, როლის დანახვა იმ პროცესში, რასაც სიცოცხლე ჰქვია. გამოდის, რომ ინფორმაციის ბუნდოვანება ბადებს იმ ყალბი მსოფლმხედველობის მქონე სუბიექტს, რომელიც მზადაა, აქტიური წინააღმდეგობის გარეშე მიიღოს ყველაფერი, რასაც შთააგონებენ.

სახელმწიფოს ვალი იზრდება. ხალხი სიღარიბეში სულს ღაფავს და ჩვენ გვიმტკიცებენ, რომ ეკონომიკა წინ მიდის. ქვეყანას მართავენ ვიგინდარები და ჩვენ ამას დემოკრატიას ვუწოდებთ. ჩვენი ცხოვრება გაჟღენთილია შურით, სიხარბით, ეგოიზმით, პათოლოგიით და ჩვენ ამას სოციუმში ინტელექტის არსებობას ვარქმევთ. ჩვენ არ შეგვიძლია, განვასხვაოთ წარმოება და ვაჭრობა, მოგება და მიტაცება, პატივისცემა და მლიქვნელობა, დახმარება და დათვური სამსახური.

ამიტომაა, რომ ჩვენს სოციუმში თანაგრძნობა ადვილი მისაღწევია, შური, დაცინვა, უარყოფა კი უნდა დაიმსახურო.

აი, სწორედ ესაა მსოფლმხედველობის, პიროვნების და სოციუმის დაქვეითების ნიშნები, დეგრადაციის მახასიათებელი.

კითხვაზე – ვინაა დამნაშავე? პასუხი არც თუ ისე ძნელია.

დამნაშავეა ადამიანი. დიახ, ადამიანი – მე, შენ, ის, რადგან ვერ ვანსხვავებთ დახმარებას გათახსირებულობისგან, სიხარბეს – გულმოწყალებისგან, კეთილშობილებას – ანგარებისგან და ვერ ვხედავთ ბოროტების სათავეს, საფუძველს.

ყოველივე ამის გააზრებას სჭირდება ეთიკა. ეთიკა მაშინ იწყება, როცა სიტყვების არსის გაგებას ვცდილობთ. ჩვენ არ ვიბადებით იდიოტებად. ჩვენ ასეთებად ყალბმა ინფორმაციამ, მსოფლმხედველობამ, ეთიკის დაქვეითებამ გვაქცია.

ჩვენ ვერ ვხვდებით, არ ვიცით, რატომაა ის, ჩვენი ცხოვრების მიმთვისებელი ცხოველზე დაქვეითებული არსება – ადამიანი.

და თუ ამაზე პასუხი არ მაქვს, მაშინ, უპირველესად, საკუთარ თავს უნდა დავუსვა ილიას კითხვა – ვარ კი მე, ადამიანი?!

და თუ ადამიანს ეს კითხვაც არ ებადება, მას არ სჭირდება ეთიკა, რადგან მას საერთოდ არ აინტერესებს რაა აბსოლუტი. თუ სოციუმის უმრავლესობა მხოლოდ ასეთი სუბიექტებითაა წარმოდგენილი, მაშინ განვითარებისკენ სვლა – ეთიკა, საზოგადოება, სახელმწიფო – დასაწყისშივე განწირულია.

შესაბამისად, უპირველესია აბსოლუტის, ეთიკის არსის გააზრება სახელმწიფოსთან მიმართებაში.

თუ ეს მსჯელობა თქენთვის მისაღებია, მაშინ ეს თავისთავად ითხოვს თეოლოგიურ საკითხებზე შეთანხმებას.

აბსოლუტი

ჩვენი ღრმა რწმენით, ადამიანის ღირსების საკადრისი საზოგადოების, სახელმწიფოს ჩამოყალიბება-დამკვიდრება გადის ზემოაღნიშნულ რაციონალურ ფორმულირებაზე – **რელიგია ქმნის ეთიკას, ეთიკა – საზოგადოებას, საზოგადოება – სახელმწიფოს.**

თავისთავად ცხადია, ამ ფორმულირებას გამოუჩნდებიან ოპონენტები, როგორც ფანატიკურად მორწმუნეების, ასევე ათეისტების მხრიდან.

მსჯელობაში სიცხადის შესატანად, ლინგვისტიკური ფილოსოფიიდან გამომდინარე, თავს ვალდებულად ვთვლით, შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ, რას ვგულისხმობთ ცნება რელიგიაში. ცხადია, ეს ჩვენგან განსხვავებული მოსაზრების არსებობას არ გამორიცხავს.

ჩვენ ცნება რელიგიის განსაზღვრისას საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნის მსოფლიო ისტორიაში აპრობირებულ სვლას დავეყრდნობით.

შესაბამისად, ამ ნაშრომში რელიგიას, უპირველესად, განვიხილავთ, როგორც საზოგადოების გაერთიანების, შეკვრის, ურთიერთობის, ეთიკის საფუძველს.

რა ქმნის რელიგიას?

რელიგიის შექმნის საფუძველი ადამიანში თანდაყოლილი, აპრიორულად არსებული ის უმაღლესი კანონზომიერებაა, რომლითაც გაჟღენთილია ადამიანი, სამყარო. ამ კანონზომიერებას ადამიანი ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან გრძნობდა, რაც ურთიერთობის ეთიკაში – საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველში ვლინდებოდა.

ჰეროდოტე (ძვ.წ.Vს.) თავის „ისტორიაში" გვიამბობს: დაახლოებით ძვ.წ.აღ. 11500 წლიდან ეგვიპტეს ადამიანები მართავდნენ. მანამდე კი **„ეგვიპტეში ღმერთები მეფობდნენ".** ამ ღმერთებს შორის ერთი განსაკუთრებით აღმატებული იყო, **ვინც ადამიანთა ჰარმონიული თანაარსებობის აუცილებელ კანონზომიერებას, ჭეშმარიტებას ფლობდა.**

„პტახოტეპის სწავლებაში" ჩანს, რომ 49 საუკუნის წინ მათ უკვე გააზრებული ჰქონდათ, **„ღვთიური კანონზომიერებიდან გამომდინარე, ყველა თავისუფალის თანასწორობა"**.

44 საუკუნის წინ ნაშრომში – **„ჰერაკლეოპოლისელი მეფის სწავლება შვილისადმი"**, ავტორი გვარწმუნებს:

– ფარაონს მოეთხოვება, არ გააკეთოს არაფერი უსამართლო, უკანონო.

– არ დაანგრიო სხვათა ძეგლები... არ ააშენო სამარხი სხვათა სამარხების ნამუსრევი ქვით, საკუთარი ქვა გამოკვეთე, გახსოვდეს, დიდსულოვნება მეფეთა სამკაულია.

– ჭეშმარიტებას მიყევი და დიდი დღე გექნება. ნუგეში ეცი მტირალს, არ დაჩაგრო ქვრივი, არ წაართვა სამემკვიდრო... არ დასაჯო უბრალო.

– ნუ მოკლავ კაცს, ნუ შესცოდავ, მოგიბრუნდება.

– ნუ გამოარჩევ დიდებულს უბირისგან, დაიახლოვე ადამიანი უნარიანი და ხელოვანი ყოველ საქმეში.

ირღვევა ეს პრინციპები – ირღვევა სახელმწიფო.

რაც შეეხება სახარებას, სამ სიტყვაში გამოსახული ათი მცნების არსი – **„გიყვარდეს მოყვასი შენი"** – მრავალ ქვეყანაში ეთიკის საფუძველი ხდება და ეს უმაღლესი ეთიკა კონსტიტუციაშიც ისახება.

დამეთანხმებით, მსოფლიო ისტორიაში ამ მრავალგზის აპრობირებული სვლის გაუთვალისწინებლობაა მკრეხელობა და არა – პირიქით.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ აბსოლუტური კანონზომიერება ეთიკის გარდა, უმაღლეს სამართალსაც მოიცავს.

უმაღლესი კანონზომიერების გააზრებას აშკარად გამოხატული უპირატესობა აქვს.

კიდევ ერთხელ, საზოგადოება ქმნის სახელმწიფოს თუ სახელმწიფო – საზოგადოებას?

ჩვენთან დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ სახელმწიფო ქმნის საზოგადოებას.

დიახ, საქართველოში „სახელმწიფო" ქმნის „საზოგადოებას", „ელიტას", რომელიც მართულია და ბუნებრივი განვითარების, ამაღლების უნარი არ გააჩნია.

დიახ, აფერისტების, კრიმინალების მთავარი ამოცანაა, შექმნან ისეთი სისტემა – „სახელმწიფო" – და მისი უმძლავრესი იარაღი – პოზიტიური სამართალი, რომლითაც მთელი სოციუმის, საზოგადოების დამორჩილება მოხდება. ხალხის დამონებაში, გაღატაკებაში, გაუბედურებაში ისინი საკუთარ სიმძლავრეს ხედავენ.

მათ არც სმენიათ, რომ ერთმა ბიჭმა თამამად, ყველას გასაგონად განაცხადა: **არ შეიძლება ქვეყნის მმართველი ბედნიერი იყოს, თუ მისი უკანასკნელი ქვეშევრდომიც ბედნიერი არ იქნება.**

და ეს, სხვისი ბედნიერების მაძიებელი, სულაც არ გახლდათ სუსტი ბიჭი. სწორედ ქვეშევრდომთა ბედნიერების ძიებით შექმნა მან ისეთი სიმძლავრე, რომლის სადარიც არ დასიზმრებია ჩვენს „ძლიერ ელიტას".

ეს ჩინგიზ ხანის სიტყვებია.

ამრიგად, საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარებისთვის აუცილებელია უმაღლესი ფასეულობა – ადამიანთა ურთიერთობის ეთიკა.

შესაბამისად, ეთიკის საფუძველზე ჯერ საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს და შემდეგ სახელმწიფო.

ამრიგად, აზრობრივი სვლა – **თეოლოგია, რელიგია ქმნის ეთიკას, ეთიკა – საზოგადოებას, საზოგადოება – სახელმწიფოს,** ჩვენთვის ძალაში რჩება.

უპირველესი კითხვა, რაც დაინტერესებულმა ადამიანმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას, შემდეგშია: – სანამ თეოლოგიაზე დავიწყებდეთ საუბარს, დავფიქრდეთ, აბსოლუტი, უმაღლესი, ღმერთი საერთოდ არსებობს, თუ არა?

და თუ არსებობს, ექვემდებარება თუ არა ჩვენი მხრიდან შემეცნებას, რადგან ჩვენი აზრით, აბსოლუტის შეძლებისდაგვარად შემეცნების გარეშე რაიმე ჰიპოთეზის წამოყენება უბრალოდ მკრეხელობაა.

ამგვარად, ჩვენი უპირველესი მიზანი, ამოცანა აბსოლუტის შეძლებისდაგვარად შემეცნებაა.

დამეთანხმებით, რომ მიზნისკენ სვლისას მე უნდა მქონდეს გარკვეული წარმოდგენა მიზნის შესახებ. ცხადია, თუ ჩემი შემეცნების მიზანი ღმერთია, მე, როგორც სუბიექტი, ვიწყებ სვლას მისკენ, როგორც ჩემი შემეცნების ობიექტისკენ, მწვერვალისკენ.

ნამდვილ შემეცნებაში იგულისხმება სუბიექტური წარმოდგენის თანხვედრა, დამთხვევა ობიექტურ რეალობასთან.

მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება **სუბიექტური ობიექტური და პირიქით.**

სხვა სიტყვებით: შემეცნების პროცესი დაიყვანება სუბიექტისა (შემმეცნებლისა) და ობიექტის (შესამეცნებლის) ურთიერთგახსნაზე, გაიგივებაზე.

შევეცადოთ, შეძლებისდაგვარად შევიმეცნოთ აბსოლუტი.

ჩვენთვის უმთავრესია ამ მიზნისკენ უმნიშვნელოვანესი სვლის მეცნიერული მეთოდის ჩამოყალიბება.

ჩემი შემეცნების მიზანი შეიძლება იყოს ის ობიექტი ან მოვლენა, რაზედაც მაქვს წარმოდგენა, მაგ., იურისპრუდენცია, ეიფელის კოშკი, სფერული ელვა,...

ასევე, შესწავლის მიზანი შეიძლება იყოს ჯერ აღმოუჩენელი ვირტუალური საგანი ან მოვლენა. მაგ., XX საუკუნის დასაწყისში ქიმიური ელემენტების პერიოდულ სისტემაში იყო ცარიელი უჯრები, ჯერ არ იყო აღმოჩენილი შესაბამისი ნივთიერებები, მაგრამ არსებობდა ვირტუალური წარმოდგენა ამ აღმოუჩენელ ნივთიერებათა შესახებ, რაც მკვლევართა შემეცნების მიზნად იქცა. ასევე, დღეს არავის უნახავს კვაზინაწილაკი კვარკი, მაგრამ ფიზიკოსები უდიდესი ენთუზიაზმით ცდილობენ მის შემეცნებას და წარმატებასაც აღწევენ.

შესაძლებელია ასეთი ვარიანტიც – არსებობს უკვე აღმოჩენილი საგნები, რომელთა მიმართ შემეცნების ინტერესი მინიმალურია, მაგრამ ამ საგანს შეიძლება აღმოაჩნდეს რაღაც განსაკუთრებული თვისება, მახასიათებელი, რომელზეც მანამდე არავის ჰქონდა წარმოდგენა. ამ შემთხვევაში ამ ობიქტის მიმართ იცვლება დამოკიდებულება. შესაბამისად, ასეთი ობიექტი შემეცნების მიზნად მხოლოდ მას შემდეგ იქცევა, რაც ეს თვისებები აღმოაჩინეს. მაგ., ურანის მარილი მრავალი მეცნიერის კოლექციის ნაწილი იყო და მას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ. მას შემდეგ, რაც ბეკერელმა ურანის გამოსხივება აღმოაჩინა, ის მეცნიერთა შემეცნების მიზნად იქცა.

ცხადია, არსებობს ისეთი საგანი თუ მოვლენა, რომელიც ჯერ ვირტუალურადაც არაა წარმოდგენილი. ის შემეცნების მიზნად მას შემდეგ იქცევა, როცა მას აღმოაჩენენ.

აქედან შეიძლება გაკეთდეს არც თუ ისე ორიგინალური დასკვნა:

ობიექტი, რომელიც არ არსებობს, ვერ გახდება შემეცნების ობიექტი. ეს ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, ნებისმიერი რეალურად ან ვირტუალურად აღმოჩენილი ობიექტის შემეცნების სურვილს თან უნდა ახლდეს იმისი რწმენა, რომ ამ ობიექტს მე ოდესმე შევიმეცნებ.

ამ რწმენის გარეშე შემეცნების მცდელობა ლოგიკას მოკლებულია.

რას ნიშნავს ობიექტის შემეცნების რწმენა?

ცხადია, რაიმე ობიექტის შემეცნების რწმენა საჭიროებს ჩემს წარმოსახვაში მის სასრულობას და ეს აუცილებელია, რათა მისი გააზრება შევძლო. თუ ჩემს წარმოდგენაში ობიექტი უსასრულოა, მე მას ვერასდროს შევწვდები. და თუ მაინც ვიწყებ მის შემეცნებას, ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს – მე ობიექტის შემეცნება კი არ მაინტერესებს, არამედ შემეცნების პროცესი, რათა ჩემზე თქვან, – მეცნიერია, ფილოსოფოსია, თეოლოგია, სოციოლოგია,... და ვიღებთ იმ აბსოლუტურ სიყალბეს, რითაც სავსეა ჩვენი ყოფიერება.

ცხადია, ღმერთის შემეცნების მცდელობისას უნდა შევთანხმდეთ ამ საკითხთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო ვარიანტზე:

I. ღმერთი არ არსებობს.

როგორც აღვნიშნეთ, ობიექტის, ღმერთის არარსებობის შემთხვევაში, მისი შემეცნება აზრს მოკლებულია. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მტკიცებულებების მიუხედავად, თუ ღმერთის არსებობა თქვენში კიდევ ეჭვს იწვევს, მაშინ თქვენ რჩებით მართლმადიდებელ ათეისტად და შეგიძლიათ შეწყვიტოთ ამ ნაშრომის კითხვა.

II. ღმერთი არსებობს, მაგრამ ის უსასრულოა და მის – სიკეთის, სიყვარულის,... – შემეცნებას ვერასდროს შევძლებ. შესაბამისად, ვირწმუნებ სიკეთის, სიყვარულის, ღმერთის განმარტებას მათგან, ვინც რაღაც, ჩემთვის გაუგებარი მექანიზმით, შეძლო უსასრულობაში გახსნა, უსასრულობის შემეცნება.

ესაა ავტორიტარული რწმენა. უფრო მკაცრად რომ ვთქვათ, გულუბრყვილოთა რწმენა. განა მის წინაშე ყველა ერთნი არა ვართ?

III. ღმერთი არსებობს. ის უსასრულოა. ვერც მე და ვერც ვერავინ ვერ შეიმეცნებს მას. ამის მიუხედავად, მე მისი მწამს ყოველგვარი შემეცნების გარეშე.

ესაა გონებასუსტთა რწმენა.

IV. ღმერთი იმიტომაა ღმერთი, რომ ადამიანმა შეიმეცნოს, რათა ამაღლდეს, გაიგოს რაა სიკეთე, სიყვარული, ჭეშმარიტება,... ამიტომ ის სასრულია და ამით გვიჩნდება რწმენა იმისა, რომ მე მას ოდესმე შევიმეცნებ, ოდესმე შევწვდები სიყვარულს, სიკეთეს, ჭეშმარიტებას,...

ცხადია, ღმერთთან ცნება „სასრული"-ს დაკავშირება თქვენში წინააღმდეგობას გამოიწვევს, მაგრამ გთხოვთ, ნუ აჩქარდებით, ამ საკითხს მოგვიანებით ვრცლად განვიხილავთ.

უფრო ნათლად: როცა ღმერთის შემეცნების საკითხი დგება, ვდგებით დილემის წინაშე – მისი შემეცნების რწმენა არ გამაჩნია, ან მე ვფლობ ამ რწმენას.

განვიხილოთ პირველი შემთხვევა.

თუ ჩემთვის ღმერთი ტრანსცენდენტურია, მიღმური, უსასრულო, მაშინ ჩემთვის, როგორც სასრულისთვის, ღმერთის შემეცნების ყოველგვარი იმედის არსებობა უკვე აპრიორულად გამორიცხულია, შემეცნების რწმენა ნულს უახლოვდება. შემეცნების ამ რწმენის გარეშე თვით ღმერთის რწმენა უკვე ეჭვქვეშ დგება. აქ მხოლოდ ერთი გამოსავალია – ღმერთის რწმენა მივიღო ჩემზე ამაღლებული, თვით ღმერთის მიერ გამორჩეული სუბიექტის მეშვეობით.

მარტივად რომ ვთქვათ, ღმერთი პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ევლინება მიწიერ, ჩემთვის გაუგებარ, რაღაცით ჩემგან გამორჩეულ ადამიანს, სუბიექტს (მაგ., მამაოს). შესაბამისად, მას უჩნდება ტრანსცენდენტური, უსასრულო ღმერთის შემეცნების იმედი (და თუ მას ეს იმედი ღმერთისგან არ ენიჭება, მაშინ ის არაფრით არ განსხვავდება ჩემგან და აქ დისკუსია აზრს კარგავს).

შესაბამისად, როცა მე ვუყურებ შემეცნების იმედით გაბრწყინებულ ამ სუბიექტს, მაშინ მისი რწმენის ანარეკლი ხდება ჩემი შემეცნების იმპულსი და არა ღმერთი.

ეს კერპთაყვანისმცემლობაა და ქრისტიანობასთან აბსოლუტურ წინააღმდეგობაში შედის.

მართლაც უცნაურია – რას ნიშნავს ეს, როგორ, ერთს მოევლინა ღმერთი, მეორეს არა?

განა ღმერთი ერთშია და მეორეში არა?

ღმერთი ისაა, რაც ყველგან და ყველაფერშია, რომლის შესახებ სუბიექტური წარმოდგენა, ათეისტების გარდა, ყველას აქვს.

თავისთავად ცხადია, რომ ლოგიკური მსჯელობისას ჩნდება კითხვები:

– ღმერთი სასრულია თუ უსასრულო?

– ჩვენს სამყაროშია თუ მის მიღმა?

– ჩემშია თუ ჩემ გარეთ?

– ჩემშიცაა და ჩემ გარეთაც?

– მხოლოდ ჩემ გარეთ, დამოუკიდებლად არსებობს?

თუ ღმერთი სასრულია, მაშინ მისი სრულად შემეცნების იმედი მიჩნდება.

თუ უსასრულოა, მაშინ მას ვერასდროს შევიმეცნებ, ის ჩემთვის მიუწვდომელია.

ხაზგასმით ვაცხადებთ, ჩვენი მსჯელობის საგანი ის კი არაა, თუ როგორია ღმერთი, არამედ ის, თუ როგორ შევიმეცნოთ ღმერთი?

როგორ ავმაღლდეთ მის შემეცნებამდე?

და, საერთოდ შესაძლებელია კი ღმერთის შემეცნება?

როგორც მოგვიანებით ვნახავთ, იმანუილ კანტის აზრით, ღმერთი ისაა, რომლის შემეცნება უბრალოდ შეუძლებელია, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებს სცილდება. ამ მხრივ ბატონი კანტი ორიგინალობას არ ამჟღავნებს, რადგან მანამდე, 40 საუკუნით ადრე, არსებობდა იზიდას ქანდაკება წარწერით: „**მე ვარ ის, რაც იყო, არის და იქნება, ვერც ერთი მოკვდავი ვერ ამხდის საბურველს**".

ცხადია, იუდაიზმს საფუძველი ძველ ეგვიპტეში ეყრება და, შესაბამისად, მათთვისაც ღმერთი ისაა, რომელსაც ვერცერთი მოკვდავი ვერ შეიმეცნებს.

ამ მოდელის თანახმად, ღმერთი არაამქვეყნიურია, ჩემი ცნობიერების მიღმაა. ბატონი კანტის ტერმინოლოგიით რომ გამოვთქვათ, ღმერთი ტრანსცენდენტურია, მიღმურია. შესაბამისად, მე მას ვერ შევიმეცნებ, ვერ შევწვდები.

კანტამდე კაცობრიობამ ამ აგნოსტიციზმიდან არც თუ ისე ორიგინალური გამოსავალი იპოვა – უმაღლესთან, აბსოლუტთან ურთიერთობა მხოლოდ მესამე პირით, კონტაქტპერსონითაა (მოსე, მუჰამედი,...) შესაძლებელი.

ასეთი ღმერთი ცხადად, არათუ მე, მოსესაც არ ეცხადება.

ცხადია, ღმერთის შემეცნების ასეთი მოდელი:

– ღმერთი

– მოსე
– სასულიერო სისტემა
– ხალხი

ქმნის იერარქიულ სისტემას, დისციპლინას, მკაცრად ორგანიზებული ცხოვრების წესს, რაც ებრაელ ხალხს მკვეთრად ახასიათებს.

ჩვენი აზრით, ქრისტეს გამოცხადება, განკაცება მიანიშნებს, რომ ღმერთი ჩვენშია. ქრისტე არაა მიღმური, იმქვეყნიური. ის ჩემშია.

სწორედ ამას ადასტურებს სახარებაში მოყვანილი ფრაზები:

„ვინ გითხრათ რომ თქვენ ღმერთები არა ხართ" (იოანე. 10,34),

„მე მამაჩემში ვარ და თქვენ ჩემში, და მე თქვენში" (იოანე 14, 20).

განა არ გსმენიათ: „ნუ ეძებთ ღმერთს ნურც ცაში, ნურც მიწიერ სამოთხეში, ეძებეთ ღმერთი საკუთარ თავში".

ქრისტე იყო, არის და იქნება, ამიტომ ადამიანის გონება საკუთარ არსში ქრისტეს ქრისტიანობამდეც გრძნობდა.

ჩემს სულიერ წინაპარს უმაღლესი ხომ რეალობაში ჰყავს ნანახი.

ჩვენ ღმერთის შემეცნებისას გამოვდივართ პოსტულატიდან:

– ღმერთი ჩვენშია.

თუ გინდა დამარცხდე, ეს ადვილი საქმეა, ამისთვის ნუ დაიჯერებ რომ შენ ღმერთი ხარ.

ადამიანს საკუთარ თავში უმაღლესის არსებობას, ცხოველური ბუნებისგან განსხვავებული, რაღაც ამაღლებული სულიერი არსის შეგრძნება მიანიშნებს.

ჩანართი

რას ნიშნავს ჩემში ღმერთის არსებობა?

უპირველესად, ესაა ჩემში იმ უნიკალური ფენომენის არსებობა, რასაც სურვილი ჰქვია.

ჩვენი სურვილი განკარგავს სიცოცხლის ძალის, როგორც განვითარების უმძლავრესი პოტენციალის მიღება-არმიღების აქტს.

თუ სურვილი ცხოვრების მმართველი ძალაა, მაშინ რეალობა, რომელსაც ჩვენ გარშემო ვხედავთ, ამ სურვილის ძალთა ქმედების ჯამური შედეგია.

გამოდის, რომ სურვილი არის ყოვლისშემძლე ფენომენი, რადგან ის ან ანიჭებს ადამიანის სიცოცხლეს აზრს ან უაზრო ყოფიერებაში გადაჰყავს.

ადამიანის სურვილი ბადებს ყოვლისშემძლე, უსაზღვრო ძალას.

სურვილის უმაღლესი ფორმა ნებისყოფაა.

მართლაც, ჭეშმარიტი სურვილი ის სურვილია, როცა სხვა სურვილებისთვის ადგილი აღარ რჩება. მთავარი სურვილისკენ სვლა და შენში არსებული სხვა სურვილების დათრგუნვა სხვა არაფერია, ვიდრე ნებისყოფა. ეს ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, საკმარისია, ადამიანმა გადაწყვიტოს, რომ მას რაღაცის გაკეთება არ შეუძლია, რომ იმავე წამს უარყოფს ღვთაებრივ წარმოშობას, ყოვლისშემძლეობას.

საკუთარი თავის დარწმუნება იმაში, რომ რაღაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანის, ამაღლებულის გაკეთება არ შეგიძლია, უბრალოდ სიზარმაცეს, არგაკეთების სურვილს ნიშნავს.

არგაკეთების სურვილიც სურვილია და ამ სურვილს რეალობის არმიღება ჰქვია. მისთვის რეალობა იცვლება ილუზიით, ფანტაზიით, ოცნებით.

დაუკვირდით, არგაკეთების სურვილის ყოვლისშემძლეობა ადამიანს რეალობის შეგრძნებასაც აკარგვინებს. სიზარმაცეს, არაფრის კეთებასაც დიდი ძალისხმევა სჭირდება.

მართლაც, ადამიანში ადამიანურობის დაკარგვას უდიდესი ძალა სჭირდება.

ადამიანმა ერთხელ გადაწყვიტა, რომ ის მოკვდავია.

მან ისურვა სიკვდილი და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — ის მოკვდა.

ადამიანს დაავიწყდა, რომ სურვილი ყოვლისშემძლეა.

დაავიწყდა, რომ ის ღვთაებრივად ძლიერია და რასაც ისურვებს, იმას აუცილებლად მიაღწევს.

ფრთხილად იყავით სურვილთან — ის აღსრულებადია.

დიახ, ჩვენ ვისურვეთ სიკვდილი და აგვისრულდა ოცნება — ჩვენ მოსიარულე გვამები ვართ.

ნუ გაიკვირვებთ — ჩვენ დიდი ხანია გვამები ვართ, უბრალოდ ნელა ვიხრწნებით.

სიკვდილნასურვები ადამიანი ფიქრობს, როგორც მოკვდავი, გვამი.

ცხოვრობს, როგორც გვამი.

სწამს, როგორც გვამს.

უყვარს, როგორც გვამს გვამი.

გვამები გვამებს ბადებენ.

გვამები აშენებენ გვამურ ცხოვრებას.

ითხრიან და უთხრიან ერთმანეთს საფლავებს.

და გვამები გვამებს, მკვდრები მკვდრებს მარხავენ.

ქმნიან თეორიებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი უსუსური გვამები არიან და ყოველივე ამით უნდათ, საკუთარი სიზარმაცე, გვამობა გაამართლონ.

და „მეცნიერულ" შრომებში საკუთარი გვამობის დასადასტურებლად ეყრდნობიან პოსტულატს — **ვერცერთმა გვამმა უკვდავებას ვერ მიაღწია.**

დიახ, ვერც მიაღწევენ, რადგან ეს მათ შექმნეს სამყარო, სადაც უკვდავება აკრძალული და შეუძლებელია.

„მკვდრებმა დამარხონ თავიანთი მკვდრები" — ეს ჩვენი კი არა, ქრისტეს სიტყვებია.

ეს ნაშრომი სხვა არაფერია, ვიდრე ჩვენში სიცოცხლის ძალის, სურვილის აღძვრისა და განვითარების მცდელობა.

უმაღლესი

დიახ, ადამიანში ორი არსება ცხოვრობს, ერთი, რომელიც საკუთარ თავში ცხოველურ ბუნებას მოიცავს და მეორე — მისგან განსხვავებულს — სულიერს. ადამიანის ეს ორმაგი ბუნება მიგვანიშნებს, რომ თითქოს ის გარდამავალ ეტაპზე იმყოფება და საქმე გვაქვს ერთ ადამიანში მოქცეულ ორ, წარმავალ (მატერიალურ) და მარადიულ (იდეალურ) არსებასთან.

ალბათ, ადამიანის განვითარება მატერიალურიდან სულიერისკენაა მიმართული.

მაგრამ ვაი თუ, პირიქით?

ამ ურთულეს კითხვას როგორმე უნდა გავცეთ პასუხი.

მართლაც, როგორ ხერხდება, რომ ერთ არსებაში ალტრუიზმი და ეგოიზმი, ხელგაშლილობა და სიძუნწე, გულმოწყალება და სისასტიკე, სიყვარული და სიძულვილი, კეთილშობილება და მუხანათობა, მშვიდობისკენ სწრაფვა და აგრესიულობა, სიმამაცე და ლაჩრობა, გონებაგახსნილობა და სისულელე ერთდროულად არსებობს?

საშინელება მაშინ იწყება, როდესაც ქვენა ბუნება მძლავრობს ზენაზე, ცხოველური – ამაღლებულზე. ასეთი ზნეობადაქვეითებული ადამიანი ცხოველზე საშიშია, რადგან მას გონება აქვს და დიდ საშიშროებას სწორედ ეს ზნეობაგამოცლილი გონება წარმოადგენს.

ცხოველი ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრობს, ის თავის მსგავსს „უაზროდ" არ ანადგურებს, ამას მხოლოდ ადამიანი ახერხებს და ამით ის ცხოველზე უარესია. თუმცა, ამაღლებაც მხოლოდ ადამიანის თვისებაა. ისტორიამ იცის ადამიანის დიდი სულიერი მეტამორფოზა – სავლე-პავლე, მარიამ მაგდალინელი, ფრანცისკო ასიზელი,...

ტალახში ჩაწოლილი ცხოველისგან განსხვავებით, დაცემულ, წუმპეში ჩაფლულ ადამიანს თავის აწევით ვარსკვლავიანი ცის აღქმა მაინც შეუძლია. ვარსკვლავიანი ცის დანახვა კი წარმოშობს კითხვას – რაა ის უმაღლესი სუბსტანცია, აბსოლუტური გონი, რომელიც ამ საოცარ წესრიგს ქმნის?

მორწმუნე ადამიანისთვის ამ უმაღლესი სუბსტანციის არსებობა ჭეშმარიტებაა. სამწუხაროდ, ადამიანთა დიდი ნაწილისთვის, რომელიც ამ სამყაროს მატერიალისტური თვალთახედვით უყურებს, იდეათა იდეის, აბსოლუტური გონის, ღმერთის არსებობა საეჭვოდ რჩება.

მათთან ამ თემაზე დისკუსია ურთულესია, რადგან ურწმუნოება მათი რწმენაა.

მაინც შევეცადოთ, იქნებ შევძლოთ და სამყარო განსხვავებული პოზიციიდან დავანახოთ.

სამყაროს, სიცოცხლის, ბიოლოგიური ევოლუციის, კანონზომიერების მატერიალისტური თვალსაზრისით განხილვისას მკვლევარებს ურთიერთგამომრიცხავი დასკვნები გამოაქვთ, ან საერთოდ ლოგიკურ ჩიხში ექცევიან. მატერიალურ სამყაროში მიმდინარე მოვლენები უფრო დამაჯერებელ ახსნას მოითხოვს.

ბუნებაში მოქმედებს ე.წ. თერმოდინამიკის მეორე კანონი – ენტროპიის კანონი (წესრიგის შემცირების ზომა), რომლის მიხედვითაც სისტემა უწესრიგობისკენ – ენტროპიის ზრდისკენ მიისწრაფვის.

მართლაც, დაუკვირდით: ყველაფერი უწესრიგობისკენ მიისწრაფვის – ოდესღაც აშენებული სახლი აუცილებლად დაინგრევა, დაიშლება, უწესრიგოდ დაყრილი აგურების გროვად იქცევა. სახლი კი არა, პირამიდებიც კი იშლება.

წესრიგისკენ სვლა ენერგიის ხარჯვას მოითხოვს. წესრიგში მიზნობრივ, მდგრად, მაღალენერგეტიკულ, კანონზომიერებას დამორჩილებულ მდგომარეობას ვგულისხმობთ.

აქედან გამომდინარე, სისტემებისთვის მართებულია ორი კოსმოგონიური დასკვნა:

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამყაროს აქვს საწყისი. საწყისი რომ არ ჰქონოდა, მაშინ მუდმივი უსასრულო ქაოსი, უწესრიგობა უნდა ყოფილიყო და საერთოდ არ წარმოიქმნებოდა პლანეტები, ვარსკვლავები, გალაქტიკები და თერმოდინამიკის მეორე კანონის თანახმად, მთელ სამყაროში ყველგან ერთნაირი ტემპერატურა იქნებოდა, რაც აღიწერება ტერმინით – ”სამყაროს სითბური სიკვდილი”.

რადგან მსგავსი რამ არ შეინიშნება, ეს იმას ნიშნავს, რომ სამყარო უსასრულოდ არ არსებობდა, მას ჰქონდა საწყისი. დასაწყისში მას უნდა ჰქონოდა მაქსიმალურად შესაძლო, წარმოუდგენლად მაღალი ტემპერატურა და შემდგომ უნდა დაწყებულიყო სამყაროს მდორე, ნელი გაციება. და თუ გაციების სიჩქარე არ შეესაბამება ჩვენ მიერ დადგენილ ფიზიკურ კანონებს, ეს ადასტურებს მხოლოდ ერთს – სამყაროს ჰქონდა არამატერიალური საწყისი და ის ამ გაციებას არეგულირებს.

2. ჩვენი სამყაროს შეუქცევადი სწრაფვა უმაღლესი წესრიგიდან უწესრიგობისკენ ნიშნავს, რომ საწყის მომენტში ის იმყოფებოდა მაქსიმალურ შესაძლო წესრიგში. უფრო ნათლად, ჩვენი სამყარო მიისწრაფვის უწესრიგობისკენ. მარტივად, ალეგორიულად რომ ვთქვათ, სამყარო, ჩვენ ვმოძრაობთ იმ გზაზე, სადაც გზის ყოველი მონაკვეთის გავლისას იზრდება ქაოსი, უწესრიგობა. ლოგიკურად გამოდის, რომ ამ გზის ბოლოს მაქსიმალურად შესაძლო უწესრიგობა უნდა დაგვხვდეს. თუ ამ პროცესის უკუსვლას განვიხილავთ, აზრობრივად დროში უკან დავბრუნდებით, ცხადია, გზის ნებისმიერი მონაკვეთის გავლისას პირიქით, უწესრიგობა შემცირდება, წესრიგი გაიზრდება. საბოლოოდ ჩვენ მივაღწევთ იმ წერტილს, სადაც მაქსიმალურად შესაძლო წესრიგი იქნება.

ასეთი იდეალური წესრიგი არ წარმოიშვებოდა თვითნებურად და უმიზნოდ. მაშასადამე, არსებობდა რაღაც მაორგანიზებელი ფაქტორი, რომელმაც არაფრისგან საოცარი წესრიგი შექმნა.

შესაბამისად, მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე: **სამყაროს აქვს საწყისი და შექმნის მომენტში მას მაქსიმალურად შესაძლო, აბსოლუტური წესრიგი ახასიათებდა.**

უფრო ნათლად, არსებობს ჩვენი სამყაროს წარმოქმნის საყოველთაოდ მიღებული და საკმაოდ დასაბუთებული მოდელი, რომლის ძირითადი საყრდენია მეცნიერთა მიერ დაფიქსირებული ე.წ. ”წითელი წანაცვლება”, რელიქტორული გამოსხივება (კოსმოსური ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომელიც შემორჩენილია სამყაროს ფორმირების პერიოდიდან და ყველა მიმართულებით ერთნაირ ინტენსივობას ინარჩუნებს).

არსებობს ე.წ. **დოპლერის** ეფექტი, რომლის თანახმად, თუ თქვენ გიახლოვდებათ სწრაფად მოძრავი ხმოვანი სხეული (მაგ., თვითმფრინავი, სირენაჩართული სახანძრო მანქანა), მაშინ თქვენ გესმით ხმის არა ის

ტონალობა (სიხშირე), რაც ახასითებს გაჩერებულ მანქანას, არამედ უფრო მაღალი ტონი. თუ მანქანა პირიქით, გშორდებათ, მაშინ თქვენ გაიგონებთ დაბალ ტონალობას.

ანალოგიურად, რადგან მნათი სხეულის ნათება, სინათლე ასევე სიხშირეა, მაშინ გასაგებია, რომ თუ ეს მნათი სხეული (მაგ., ვარსკვლავი) სწრაფად გვიახლოვდება, მაშინ ჩვენ დავინახავთ მაღალი სიხშირის ცისფერ ნათებას. თუ მნათი სხეული, ვარსკვლავი, პირიქით, სწრაფად გვცილდება, მაშინ დოპლერის ეფექტის თანახმად, მისი ცისფერი ფერი ჩვენ მოგვეჩვენება დაბალი სიხშირის წითელ ფერად.

ცხადია, რაც უფრო სწრაფად გვცილდება ვარსკვლავი, გალაქტიკები, მით უფრო წითლად გვეჩვენება მათი ნათება. ასტრონომებმა აღმოაჩინეს, რომ ჩვენგან უკიდურესად დაშორებული სამყაროს – გალაქტიკებისა და ვარსკვლავების ნათება გვეჩვენება წითლად. სწორედ ესაა „წითელი წანაცვლება".

ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს: ჩვენგან უკიდურესად დაშორებული ვარსკვლავები უფრო დიდი სიჩქარით გვცილდებიან, ვიდრე ახლოს მყოფი ვარსკვლავები. ეს, ასე ვთქვათ, მარტივად გასაგებ ენაზე. რეალურად კი, აინშტაინის ზოგადი ფარდობითობის თეორიის თანახმად, ვარსკვლავები ჩვენ გვცილდებიან იმიტომ, რომ სივრცე (სამყარო) ფართოვდება და გაფართოებული სივრცე, ასე ვთქვათ, „წარიტაცებს" ვარსკვლავებს.

დიახ, „წითელი წანაცვლების" საფუძველზე მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე – სამყარო ფართოვდება. სხვა სიტყვებით, რაც დრო გადის, მით უფრო ფართოვდება სამყარო. თუ გონებით უკან წარსულისკენ წამოვალთ, ცხადია, XII საუკუნეში სამყარო უფრო ნაკლები მოცულობის იყო ვიდრე დღეს, XXI საუკუნეშია. უფრო ნაკლები იყო IV საუკუნეში. თუ გავაგრძელებთ ამ მსჯელობას, მივალთ დასკვნამდე, რომ გარკვეული დროის (13,7 მილარდი წლის) წინ სამყარო უნდა ყოფილიყო მაქსიმალურად მცირე, ის ერთ უსასრულოდ მცირე წერტილში უნდა ჩატეულიყო.

დიახ, ამ უსასრულოდ მცირე წერტილის აფეთქებით, 13,7 მილიარდი წლის წინ დაიწყო სამყაროს დაბადება, გაფართოება. მანამდე კი სამყარო არ არსებობდა. არ არსებობდა სივრცე, დრო, მატერია. დიახ, მანამდე არაფერი არსებობდა. და ეს ის არაფერია, სადაც არაფერიც კი არ არსებობდა.

აქედან გამომდინარეობს, რომ სამყაროს აქვს საწყისი. მანამდე არაფერი იყო და ის, რამაც სამყარო შექმნა, კონცენტრირებული იყო უსასრულოდ მცირე, ნულოვანი რადიუსის მქონე წერტილში. ნულოვანი რადიუსი ნიშნავს, რომ არ იყო სივრცე, შესაბამისად, არ იყო არც მატერია, არც დრო და ამ ნულოვანი რადიუსის წერტილში მოხდა აფეთქება, რაც საფუძვლად დაედო სამყაროს, მის გაფართოებას და ჩამოყალიბებას.

მეცნიერთა უმრავლესობა ამ დასკვნას ეთანხმება. მათი აზრით, ამ აფეთქების შედეგად წარმოიქმნა ელემენტარული ნაწილაკები, მათგან ატომები,

რომელთა მეშვეობით, მოგვიანებით შეიქმნა ვარსკვლავები, პლანეტები, გალაქტიკები, ორგანული ბუნება, ადამიანი.

მაგრამ რა აფეთქდა, რატომ აფეთქდა, ამაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეცნიერები მორცხვად დუმილს არჩევენ, დამაჯერებლად ვერაფერს ამბობენ. თავს იმით იმართლებენ, რომ ეს სკითხი მათ კომპეტენციაში არ შედის.

შესაბამისად, თუ რა იყო მანამ, სანამ არაფერი იყო და რა იყო კონცენტრირებული ამ წერტილში და რატომ, მაინც უპასუხოდ რჩება.

დიახ, რა აფეთქდა, რა იყო აფეთქების მიზეზი და როგორ იყო ნულოვანი რადიუსის წერტილში, არაფერში კონცენტრირებული ის უზარმაზარი ენერგია, რომლის აფეთქებამაც მთელი სამყარო წარმოშვა, ყველა დროისა და ყველა მოაზროვნის გონების ძიების მთავარ მიზნად რჩება.

ჩვენი აზრით, ნულოვან რადიუსში, სადაც სივრცე არ არსებობს, მატერიის კონცენტრაცია აზრს მოკლებულია. შესაბამისად, იქ კონცენტრირებული უნდა ყოფილიყო წმინდა პოტენციური ენერგია სივრცის, დროისა და მატერიის გარეშე. აფეთქების მიზეზი იყო რაღაც და ის რაღაც არამატერიალური, იდეალური უნდა ყოფილიყო.

ნულოვანი რადიუსის წერტილში მხოლოდ არასხეულებრივი, არამატერიალური შეიძლება განთავსებულიყო. ის შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ აბსოლოტური გონი, იდეა, რადგან მას არც დრო, არც სივრცე, არც მატერია არ სჭირდება. ის უნდა ყოფილიყო საწყისი. და ამ საწყისმა შექმნა ყველაფერი — ის მატერია, რისგანაც შევდგებით და რასაც ვხედავთ.

ე.ი. მატერიის პირველსაწყისი, წყარო იყო გონი, იდეა. იდეამ შექმნა მატერია.

ჩანართი

სამყარო თავისთავად გონივრულია, რაც მის უნიკალურ კანონზომიერებაში მჟღავნდება და გააჩნია მიზანი.

სამყაროში ადამიანად არსებობა შესაძლებელია იმ პირობით, თუ ის ამ გონივრულობასთან ჰარმონიაშია.

სწორედ სამყაროს გონივრულობასთან ჰარმონიას ჰქვია — ზნეობა.

სწორედ ჰარმონიის შეგრძნებისთვის მოგვენიჭა აბსოლუტისგან აზროვნების, თვითშემეცნების უნარი.

სწორედ ჰარმონიისკენ სწრაფვაა შემეცნება, მუდმივი განვითარება, ადამიანის ცხოვრების აზრი.

ადამიანი ურთიერთშემავსებელია — სული და სხეული.

ფიზიკური და ფსიქიკური,

იდეალური და მატერიალური,

წარსული და მომავალი,

სივრცული და დროითი.

ურთიერთშემავსებელი ცალმხრივობის წესრიგს თავისთავად გამორიცხავს.

ცალმხრივობაში ვგულისხმობთ, რომ ადამიანი განიხილება როგორც მხოლოდ მატერია, სხეული ან მხოლოდ სული, სხეულის გარეშე — ანგელოზი.

ცხადია, ცალმხრივობის შემთხვევაში აზრს კარგავს ინდუქტივობა — ორი განსხვავებულის ერთმანეთში გადასვლა.

ადამიანი არც ცხოველია, არც – ანგელოზი. ის ადამიანია – სულისა და სხეულის ჰარმონია. ამ არასადისკუსიო მოსაზრების მიუხედავად, რა გასაკვირიც უნდა იყოს, ჩვენს საზოგადოებაში მარტივ, გაუცნობიერებელ ადამიანს უჭირს ურთიერთშემავსებელთა სრული აღქმა-შემეცნება. ასეთს ყურადღება გადააქვს მხოლოდ ერთზე – მარტივსა და თვალშისაცემ ყოფიერების მატერიალურ ასპექტზე. ის თვლის, რომ ეს სავსებით საკმარისია და რატომ გადაიტვირთოს თავი კიდევ რაღაც უხილავი სულით, რაც მისი აზრით უბრალოდ სისულელეა.

თუ ადამიანი ცალმხრივია, მაშინ სამყაროც ცალმხრივი გამოდის, რადგან ადამიანი სამყაროს ორგანული ნაწილია.

აი, აქედან იწყება ჩვენი სოციუმის უბედურება. ჩვენ არ შეგვიძლია დავინახოთ, გავიაზროთ საგნების, მატერიის გარდა ის რაღაც, რასაც სული ჰქვია.

მართლაც, ჰკითხეთ ნებისმიერს, თუ რაა სული და უმრავლეს შემთხვევაში მიიღებთ ან ინფანტილურ, ან უკიდურეს შემთხვევაში სიმბოლურ პასუხს – ზეციდან გადმოსული მტრედი.

ჩვენ ვალდებულნი ვართ, შეძლებისდაგვარად გავიაზროთ მეტად მნიშვნელოვანი უმაღლესი ფასეულობა – სული.

ამისთვის, უპირველესად, უნდა შევთანხმდეთ, რომ იმ უსასრულოდ მცირე წერტილში, საიდანაც იშლება, იბადება სამყარო, კონცენტრირებული უნდა ყოფილიყო აბსოლუტური იდეა, გონი, სული – **ყველაფრის შექმნის შესაძლებლობა**, რაც ცნება ლოგოსის არსს შეადგენს.

ლოგოსი

ლოგოსი – აბსოლუტური, უნივერსალური პოტენციალი.

ლოგოსი ძველი ბერძნულით ნიშნავს სიტყვას, გონს, გონივრულ საფუძველს, კანონს.

ლოგოსით აღინიშნება ყოფიერების საყოველთაო კანონი, შეხედულება, აზრი, მსოფლიო კანონზომიერება, სამყაროს აზრობრივი საფუძველი, რომელსაც ჩვენი აზრი და ქმედება უნდა ემორჩილებოდეს.

არსებობს შიგა ლოგოსი – ჯერ გამოუთქმელი აზრი და გარე ლოგოსი – გამოთქმული აზრი.

ლოგოსი, ესაა გონივრულობის საყოველთაო პრინციპი – აბსოლუტი. ის ავსებს ყველაფერს და განსაზღვრავს განვითარებას.

ლოგოსი არის ობიექტური ცნების – არსებულის გონი.

გამოდის, რომ ლოგოსი არის ყოვლისმომცველი ინფორმაციული ბაზა, ყველა ფორმა და საშუალება სულიერი და მატერიალური სამყაროს შესაქმნელად. ლოგოსში კონცენტრირებულია აბსოლუტური გონი, ყველა ცოდნა, იდეა, აზრი. სიტყვა (ლოგოსი) წარმოგვიდგება, როგორც იდეათა იდეა, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს ყველაფრის და, რა თქმა უნდა, განვითარების შესაძლებლობასაც. ამით ალბათ გასაგები ხდება:

– „თავდაპირველად იყო სიტყვა (ლოგოსი) და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი ” (იოანე 1, 1.).

ამრიგად, თავდაპირველად არსებობდა სიტყვა, როგორც შესაძლებლობა. ყველაფრის შექმნის შესაძლებლობა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო ყველაფრის შექმნის შესაძლებლობა.

სამყარო შეიქმნა სიცოცხლისთვის. თითქოს თავიდანვე ყველაფერი საგანგებოდ იყო მომზადებული სიცოცხლის წარმოსაქმნელად. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს მთელი რიგი არაშემთხვევითი კავშირებისა, რომლებიც სამყაროს მიკრო და მაკრო დონეებზე არსებობს.

ავიღოთ ერთ-ერთი ფუნდამენტური მუდმივა ელექტრონის მასა. ის რომ მცირედით მეტი ყოფილიყო, ვიდრე არის, სამყარო სულ სხვა სახის იქნებოდა.

საკმარისია, ამ სამყაროს შემქმნელ უმაღლეს გონს (ლოგოსს) პროტონისა და ნეიტრონის ფუნდამენტურ მუდმივებს შორის უსასრულოდ მცირე განსხვავება დაეშვა, მივიღებდით არასტაბილურ წყალბადს. ამ შემთხვევაში გამორიცხული იქნებოდა მძიმე ელემენტების შექმნა და შესაბამისად, არსებული სიცოცხლის წარმოშობა. საკმარისია, გრავიტაციული და სუსტი ურთიერთქმედების კონსტანტებში სულ მცირე განსხვავება ყოფილიყო, სამყარო იქნებოდა ორგანული სიცოცხლის გარეშე. საკმარისია, ელემენტარული ნაწილაკების მასათა ფარდობაში ან ელექტრომაგნიტური და ძლიერი ურთიერთქმედების კონსტანტებში სულ მცირე განსხვავება არსებულიყო, ვიდრე არის, სიცოცხლისთვის აუცილებელი ქიმიური ელემენტები არ წარმოიქმნებოდა და ა.შ.

გამოდის, რომ ჩვენი სამყარო უსასრულოდ დიდი რაოდენობის ვარიანტთა შორის ერთადერთი ვარიანტია, რომლის პირობებშიც არსებული სიცოცხლის წარმოშობაა შესაძლებელი.

ყველა სხვა ალტერნატიული ვარიანტი, სულ მცირე გადახრითაც კი, შექმნიდა ჩვენი სამყაროსგან სრულიად განსხვავებულ სამყაროს უსასრულო კომბინაციით, მაგრამ ყველა შემთხვევაში – სამყაროს, დღეს არსებული სიცოცხლის გარეშე.

ჩვენი სამყარო უდიდესი არქიტექტორის, უდიდესი ხელოვანის – აბსოლუტის წინასწარ გამიზნული შემოქმედების ნაყოფია.

დიახ, ეს მან შექმნა ყველაფერი არაფრისაგან, იმ არაფრისაგან, რომელიც თავის არსში მოიცავს ყველაფერს. მან შექმნა სიცოცხლის საფუძველი, ის პირველი უჯრედი, საიდანაც ვიბადებით მე, შენ, ლეოპარდი, ირემი, ხე, ყვავილი,...

მთელი ეს სამყარო სიცოცხლისთვის, შენთვის შეიქმნა.

მართლაც, ყველასთვის ცნობილია, რომ სიცოცხლისთვის დედამიწაზე აუცილებელია წყალი. ცოცხალი უჯრედების მასის 80% წყლისგან შედგება. წყალს განსაკუთრებული თვისებები, ანომალიები ახასიათებს. ის სტრუქტურით ყველა სხვა სითხისგან განსხვავდება. გამოდის, რომ ვიღაცამ, უდიდესი აზრით, მიზნით წყალი ასეთი ანომალიით განზრახ შექმნა. არ იქნებოდა ეს ანომალია, არ იქნებოდა არსებული სიცოცხლე, არ ვიქნებოდით ჩვენ,...

წყალი არის საოცარი, ძნელად კუმშვადი სითხე. მას ნულიდან ოთხ გრადუსამდე ინტერვალში გათბობისა და გაცივებისას მოცულობის გამოაგნებლად არაკანონზომიერი ცვლილება ახასიათებს. წყალს უნიკალური კუთრი სითბოტევადობა და მოლეკულათა სპეციფიკური პოლარობა ანიჭებს უნარს, სხვადასხვა სითხისა და მყარი სხეულისთვის კარგი გამხსნელი იყოს. ასეთი მაღალი ხსნადობის უნარის გარეშე არსებული სიცოცხლე არ გაჩნდებოდა. წყალს კიდევ ერთი, ინფორმაციის „ჩაწერის", დამახსოვრების უნიკალური თვისებაც აქვს. მხოლოდ წყალს აქვს სიცოცხლისთვის აუცილებელი წყალბადური ბმები. წყალი განსაზღვრულ როლს ასრულებს ფოტოსინთეზში. სინათლის გავლენით, წყლის დაშლისას წარმოიქმნება თავისუფალი ჟანგბადი, სიცოცხლისთვის აუცილებელი ელემენტი. წყალში ეფექტურად მიმდინარეობს ორგანული ნივთიერებების სინთეზი. წყლის მოლეკულას აქვს ორიგინალური სტრუქტურა, წყალბადის ორი ატომი ჟანგბადის ატომის მიმართ ასიმეტრიულადაა განლაგებული.

არ იქნებოდა ეს ასიმეტრია, არ იქნებოდა სიცოცხლე, არ იქნებოდა ადამიანის **გონი, ის უნიკუმი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია აღქმა, დამახსოვრება, შედარება, გააზრება, წარმოდგენა, მიხვედრა, პროგნოზირება, შემეცნება,...**

— არსებობს ამ ფენომენზე მაღალი, უფრო ძლიერი რამ?

ყოველივე ეს უმაღლეს აბსოლუტურ გონს რომ არ შეექმნა, მაშ ვინ გაიგებდა სამყაროს არსებობის შესახებ?

არადა რა აზრი აქვს სამყაროს, თუ მისი არსებობის შესახებ არავის ეცოდინება?

მისი შემმეცნებელი, აღმქმელი გონის გარეშე სამყაროს შექმნას აზრი, მიზანი არ ექნებოდა. გონის გარეშე სამყარო კოსმოსური აბსურდი იქნებოდა.

დღეს მეცნიერებას სამყაროს სრული სურათის მატერიალისტური, ათეისტური დასაბუთება არა აქვს. პარადოქსია, რომ მატერიალისტები მაინც ჯიუტად დგანან საკუთარ პოზიციაზე. მათმა ავადმყოფურმა გონებამ შექმნა ცნებები „სიკვდილი", „დასასრული", რაც ბუნებას საერთოდ არ ახასიათებს და ამ მოგონილი სამყაროთი, რომელშიც კონკრეტული ადამიანი უკვალოდ ქრება, სხვასაც და საკუთარ თავსაც აშინებენ.

რას იზამთ, თითოეული მათგანი საკუთარი შემეცნების შესაძლებლობის ზღვარზე, როგორც სამყაროს, ასევე კონკრეტული ადამიანის დასასრულს წარმოიდგენს.

ვიმეორებთ, როცა მეცნიერება ყველა წინააღმდეგობას გადალახავს და საბოლოოდ მიაღწევს მწვერვალს სახელწოდებით — „ცოდნა", მას იქ უმცროს ძმასთან, მეცნიერებასთან შეხვედრის ათასწლეულობით ლოდინით მოქანცული ლოგოსი დახვდება.

ორში ერთია:

ან მოაზროვნე ადამიანი და მისი გონი, ხილული და უხილავი სამყაროს ეს უნიკალური ფენომენი, ამ ცოდვილ მიწაზე გარკვეული მიზნითაა შექმნილი, ან

ადამიანი სიკვდილის შემდეგ გადადის არაფერში, უბრალოდ ქრება, როგორც ამას უგუნური ადამიანები წარმოიდგენენ.

სიკვდილის არსებობაში დარწმუნებული ადამიანისთვის სამყარო უაზრობაა, თვით ადამიანი კი ამ უაზრობაში დროებით, შემთხვევით მოხვედრილი სუბიექტი, რომლის არსებობას რაიმე აზრი, მიზანი არ გააჩნია.

ყველა ჩვენი უბედურების ძირითადი საფუძველი ცხოვრებისადმი სწორედ ამგვარი მატერიალისტური მიდგომაა.

როგორ დავარწმუნოთ გაუაზრებელი სუბიექტი, რომ

ადამიანი, სიცოცხლის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, მეორე კოსმოსური ფენომენია და მისი აღქმა უსულო ბუნების შემთხვევითი შემოქმედების ნაყოფად, რომელიც უცილობლად გაქრება, მსუბუქად რომ ვთქვათ, თვით ადამიანის არსის შეურაცხყოფაა.

ვიმეორებთ, მთელი ეს სამყარო სიცოცხლისთვის, შენთვის შეიქმნა.

დავფიქრდეთ, ამ უკიდეგანო სამყაროში ადამიანი მაინცდამაინც აქ, დედამიწაზე რატომ გაჩნდა?

საიდანაა ადამიანში საკუთარი თავისა და გარე სამყაროს შეცნობის, აზროვნების უნარი?

მატერიალისტური, ათეისტური გაგებით დედამიწაზე სიცოცხლე სრულიად შემთხვევით წარმოიშვა და ადამიანის არსებობას ლოგიკა, აზრი, მიზანი არ გააჩნია, ის უბრალოდ შემთხვევითობაა. შესაბამისად, მსოფლიო ისტორია ქაოსურ მოვლენათა მხოლოდ ჩამონათვალია.

როგორც აღვნიშნეთ, მატერიალისტური თვალთახედვის საფუძველია შემთხვევითობა, ქაოსი, მიზნის არარსებობა, ადამიანი სულის გარეშე. მეტ-ნაკლებად განათლებულ ადამიანში ეს თვალთახედვა შინაგან პროტესტს იწვევს. სწორედ ეს პროტესტი გვავალდებულებს, შეძლებისდაგვარად, მიწიერი ანალოგიით, ავხსნათ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ცნება – **სული**.

ჩანართი

შევეცადოთ, უმარტივესი ფორმით მაინც გამოვსახოთ ცნება **სული** იმ ტერმინებით, რომლის უარყოფა არაგანსწავლულისთვისაც კი შეუძლებელი იქნება.

ვიზუალურად მაინც ყველასთვის ცნობილია აინშტაინის ფორმულა –

$$\mathbf{E = m C^2}$$

E – სიმბოლო აღნიშნავს ენერგიას. ენერგია ზოგადად არის რაღაცის ქმნადობის, შექმნის უნარი.

m – მასა, მატერიალური სხეულის მახასიათებელი.

C – სინათლის სიჩქარე.

აქ ნათლად ჩანს, რომ ენერგია გადადის მატერიაში.

ენერგია ახასიათებს ყველა მატერიალურ სხეულს.

ნებისმიერი სხეული თითქოს „გაჟღენთილია" ენერგიით.

არსობრივად კი მატერია არის ენერგიის შემკვრივება, განივთება.

შევეცადოთ, სამყაროს შექმნის საყოველთაოდ მიღებული დიდი აფეთქების მოდელი ამგვარად ჩამოვაყალიბოთ.

ჩვენი აზრით, უპირველესად არსებობდა უსასრულოდ მცირე რადიუსის მქონე წერტილში კონცენტრირებული აბსოლუტური იდეა, აბსოლუტური წმინდა ენერგია, როგორც ყველაფრის შექმნის შესაძლებლობა მატერიის გარეშე.

სწორედ ამ წმინდა იდეის გათავისუფლებაა დიდი აფეთქების მიზეზი.

აბსოლუტური იდეის გათავისუფლება, აფეთქება, მატერიაში გადასვლა ხდება წარმოუდგენლად მცირე დროში – 5,39121 x 10^{-44} წამში (პლანკის დრო). ურთულესია ამ მცირე დროის არა მარტო გააზრება, არამედ წარმოსახვაც კი. მაინც გავბედოთ და ეს წარმოუდგენლად მცირე დრო **სამ ეტაპად** დავყოთ.

აბსოლუტური იდეის გაშლისას უპირველესად თავისუფლდება მასში კონცენტრირებული აბსოლუტური გონი. აბსოლუტური გონი ზედაპირულად შეიძლება დახასიათდეს როგორც ქმნადობის, შემოქმედების უმაღლესი, წმინდა პოტენციალი, უნარი. ისაა აბსოლუტური კანონზომიერება, ის არქიტექტურა, რის მიხედვითაც უნდა შეიქმნას ეს სამყარო.

აქ თავდება აბსოლუტური იდეის გაშლის **პირველი ეტაპი.**

პირველ ეტაპს შეიძლება ვუწოდოთ რეალობის შექმნის აბსოლუტური შესაძლებლობის, პოტენციალის, წმინდა ენერგიის დაბადება.

მეორე ეტაპი არის აბსოლუტური გონის, როგორც აბსოლუტური შესაძლებლობის, პოტენციალის, წმინდა ენერგიის მატერიაში გადასვლა. აქ აბსოლუტური გონი იშლება, იკვანტება და წარმოიქმნება გონივრულობის, კანონზომიერების მატარებელი სუბელემენტარული იდეები. იქმნება რეალობის დაბადების წინაპირობა.

გონივრულობის მატარებელი სუბელემენტარული იდეების შემკვრივებით იქმნება ელემენტარული ნაწილაკები, რომლებიც ერთდროულად იდეებიცაა და მატერიალური ნაწილაკებიც.

იწყება **მესამე ეტაპი**. იბადება დრო და სივრცე (ეს პროცესი – მესამე ეტაპი, 13,7 მილიარდი წელია, რაც გრძელდება). ელემენტარული ნაწილაკებისგან იქმნება მატერია, ის რეალური სამყარო, რაც ჩვენ გარშემოა. სხვა სიტყვებით, ელემენტარული ნაწილაკები ის ტალღებია, რითაც სივრცეში იშლება აბსოლუტური გონი, კანონზომიერება და მისი ნაწილი ქმნის რეალობას, ჩვენს გონივრულობას.

თავისთავად ცხადია, იბადება კითხვები – რატომ აფეთქდა, რა აფეთქდა და თუ აფეთქდა, რა იყო დეტონატორი?

ჩვენ ზედაპირულად წარმოგიდგინეთ ის მოდელი, რომლითაც იხსნება, როგორ აფეთქდა, როგორ წარმოიშვა სამყარო. რჩება უმთავრესი კითხვა – **რატომ** აფეთქდა?

აქ მთავარია, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ დიდი აფეთქებისას იდეა გაიშალა, წარმოგვიდგა აბსოლუტური გონის სახით.

ამგვარი აპროქსიმაციით მივდივართ აზრთან, რომ აფეთქების მიზეზი იყო სურვილი, გრძნობა.

დაუკვირდით, აბსოლუტური გონის ანარეკლს, ჩვენს გონს, რომელიც შექმნილია ხატად მისა, არა აქვს სხვა მიზეზი, საყრდენი გარდა გრძნობისა, სურვილისა, რათა დაიძრას ჭეშმარიტებისკენ. ამ ურთულეს საკითხზე ქვემოთ გვექნება დეტალური საუბარი.

დიახ, შემოქმედის, უსასრულო პოტენციალის, აბსოლუტური გონის ხატად იქმნება ჩვენი გონივრულობა.

სწორედ ეს აბსოლუტური გონია აბსოლუტური სული, ხოლო მისი გაშლა ყოველ ჩვენგანში არის კონკრეტული სული.

დასკვნა: – აბსოლუტური იდეა, გონი, სული არის ის საწყისი, პირველადი, რაც ქმნის მეორადს – მატერიას და საშუალებას აძლევს მეორადს დაუბრუნდეს საწყისს, პირველადს.

დიახ გონი, ცნობიერება ქმნის ყოფიერებას.

ნებისმიერი ის ცნობიერება, რომელიც ვერ ხვდება თავისი წარმოშობის კანონზომიერებას, არღვევს სულის, ცნობიერების პირველადობას, ქმნის იმ სიმახინჯეს, რაც ჩვენ თვალწინაა.

თუ არ გვჯერათ, შეხედეთ ჩვენს სოციუმს და მერე ილიას სარკეში ჩახედვაც არ დავივიწყოთ.

ჩვენ წარმოვადგენთ გამოფიტულ, გამომშრალ, დემენციით დაავადებულ მასას, რომელიც ვერ სწვდება კანონზომიერების, რელიგიურობის, ეთიკის მნიშვნელობას საზოგადოების, სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

შესაბამისად, ვიღებთ პაროდიულ სახელმწიფოს, რადგან ჩვენ ეკლესიურები ვართ და არა რელიგიურები, ქრისტიანები.

ჩვენი სასიცოცხლო არეალი, „სახელმწიფო" გაჟღენთილია მაქსიმით – „გძულდეს მოყვასი შენი".

დავფიქრდეთ, მართლაც, რისთვის სჭირდება „გძულდეს მოყვასი შენი"-ს პრინციპზე დაფუძნებულ, დეგრადირებულ, არაგანვითარებად სახელმწიფოს რელიგია?

სახელმწიფო და ეკლესია

სახელმწიფოს, რომელიც აყალიბებს თავისი ეგოისტური ვნებების დამაკმაყოფილებელ სოციუმს, თითქოს არ უნდა სჭირდებოდეს რელიგია, ეკლესია.

შეგახსენებთ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას – **თეოლოგია, რელიგია ქმნის ეთიკას, ეთიკა – საზოგადოებას, საზოგადობა – სახელმწიფოს.**

მოგეხსენებათ, კონსტიტუციურად ეკლესია და სახელმწიფო გამიჯნულია.

ვიმეორებთ, დამაფიქრებელია, რისთვის სჭირდება რელიგია, ეკლესია არსგამოცლილ სახელმწიფოს, რომელიც თავად აყალიბებს ეთიკაგამოცლილ, მისდამი მონურად განწყობილ „საზოგადოებას"?

რატომ ეფერებიან ერთმანეთს სახელმწიფო და ეკლესია?

რატომ იყურებიან ეკლესიისკენ „ძლიერნი ამა საქართველოსანი"?

ეს რაღაც უცნაურია.

ინფანტილიზმია, თუ ვინმე ფიქრობს, რომ სახელმწიფო მზადაა ვინმეს, ვინც არ უნდა იყოს ის, ეკლესია თუ მამაზეციერი, ალტრუისტული მოსაზრებებით ძალაუფლება გაუყოს.

არა. ალტრუიზმი და ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ეს ორი შეუთავსებელი ცნებაა და არა მხოლოდ ჩვენთან.

საკმარისია, ადამიანთა ისტორიას ზედაპირულად გადავხედოთ, რათა დავინახოთ, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას, რელიგიურ და პოლიტიკურ ელიტას შორის მუდმივად მიმდინარეობს ან ძალაუფლებისთვის უსასტიკესი ბრძოლა, ან ურთიერთმომგებიანი ჩახუტება-თანამშრომლობა.

ესეც საოცარია, ნუთუ თანამედროვე პოლიტიკურ ვარსკვლავებს, რომელთა ძალაუფლებას, ამ მხრივ, შუასაუკუნეების მმართველთა

ძალაუფლება ვერც კი შეედრება, ეკლესიისგან სჭირდებათ „ღვთივკურთხეული", „ღვთის მოადგილის" ტიტულების მინიჭება.

რა ანაქრონიზმია, შუა საუკუნეებში ხომ არ ვართ?

რაში სჭირდებათ ეს უბადრუკი ტიტულები – „ღვთივკურთხეული", „ღვთის მოადგილე" მათ, ვინც საკუთარი პერსონები დიდი ხანია ღვთაებებად გამოაცხადეს?

სჭირდებათ.

დიახ, ძალიანაც სჭირდებათ, თუნდაც იმიტომ, რომ იმ სოციალურ იერარქიას, რომლის სათავეშიც ისინი არიან, „აზრობრივი", „მორალური" იერარქია ჰაერივით სჭირდება.

დიახ, ნათლად უნდა გამოჩნდეს ის, ვინც ხელშეუხებელია.

ნათლად უნდა გამოჩნდეს, რომ არიან ისინი, ვინც ემსახურებიან, და ისინიც – ვისაც უნდა ემსახურონ. სწორედ ამიტომაა საჭირო მათი საკრალურობის, ქრისტიანობის გაპიარება, იმის მიუხედავად, რომ მათი რელიგიურობისა არავის, მათ შორის თავადაც არ სწამთ.

მაშ, რა საჭიროა ეს ფარსი?

ეს კითხვა მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანმა შეიძლება დასვას.

მათ სასიცოცხლო ინტერესებში შედის საზოგადოების ქვეცნობიერში გადასული საკრალური ბრძანების დამკვიდრება – **„ემონე ღმერთს"**. თუ გავითვალისწინებთ უმრავლესობის მიერ გაუაზრებელი რწმენის ფენომენს, დაქვეითებულთა ტვინის ქერქში რთული ორსიტყვიანი წინადადებიდან **„ემონე ღმერთს"**, ილექება მათთვის ერთადერთი გასაგები სიტყვა – **„ემონე"**, ხოლო ცნება ღმერთი აბსოლუტურად შეუცნობადი და ბუნდოვანია.

ამრიგად, მათ არსში უკვე ჩაჭედილია ცნება – **ემონე**. რჩება ერთი, როგორმე გაერკვეს – ვის? ამ ვიღაცეებიდან მასავით გაღატაკებულს ხომ არ დაემონება? მასზე ჭკვიანის მონობას პირად შეურაცხყოფად აღიქვამს. რჩება ხელისუფალი. აქ ხეირის ბუნდოვანი იმედი მაინც რჩება – „იქნებ არ გამსრისონ".

დიახ, ჩვენთან ბრძანება – **„ემონე ღმერთს"** – არის პირდაპირი ბრძანება **„ემონე ხელისუფალს"**.

აი, რატომ და რაში სჭირდებათ ეკლესია.

ამ ბრძანებიდან ირიბად გამომდინარეობს ვიღაცის ეგოისტური მიზნებისადმი მსხვერპლშეწირვის „ეთიკური" იდეალი, იმ დროს, როდესაც სახეზე გვაქვს დამმონებლისა და დამონებულის ინტერესთა სრული არდამთხვევა, გაუცხოება.

არ იფიქროთ, რომ აქ პარადოქსს აქვს ადგილი.

არა. ეს არაა ვიღაცის პიროვნული ბოროტი განზრახვა, სოციუმის შეცდომაში შეყვანა. როგორ გეკადრებათ, ეს არის ხელისუფალთა ობიექტური რეალობა და ამ რეალობის არსია, სოციუმი თავის ინტერესებს, სურვილებს დაუქვემდებაროს.

ეს ისე ბუნებრივად ხდება, რომ თავისთავად იბადება აზრი – აბა, სხვანაირად როგორ? ძალაუფლება იმიტომაა ძალაუფლება, რომ მას ვიღაცა შეეწიროს.

ეს გასაგებია.

გაუგებარია ერთი, ვინ უნდა გამოზარდოს ეს დასამონებელი, შესაწირი იდიოტები?

ხელისუფლებას ამისთვის არ სცალია. ის ძარცვითა და ნაძარცვის შენარჩუნებითაა დაკავებული.

აი, აქ იკვეთება ეკლესიის ძირითადი ფუნქცია სენტენციით, აზრით:

– **,,შენ ილოცე, ნუ სვამ კითხვებს, ნუ განიკითხავ, როცა გძარცვავენ შენ, შენს შვილებს, ქვეყანას, რადგან სუსტი, თავიდან აღსაზრდელი, დაბადებიდან ცოდვილი არსება ხარ** ”...

ამიტომ, შენ საკუთარ ცოდვებს მიხედე და არა სასულიერო თუ არასასულიერო საჭეთმპყრობელთა ცოდვებს. ეს შენ მოგეთხოვება ღვთის შიში, მარხვა, მორჩილება, მოკრძალება, მსხვერპლის გაღება და არა - მათ.

რაც მთავარია, იკრძალება კითხვა – რატომ?

ნუ სვამ კითხვებს, რით ვერ გაიგე, რომ ღმერთს არ ეკითხებიან – **რატომ**? ეს ნიშნავს ერთს – არავის და მათ შორის არც საკუთარ თავს ჰკითხო – **რატომ?**

კითხვა – რატომ? – განვითარების, წინსვლის, შემეცნების საფუძველია.

ამ კითხვით იწყება სამყაროს შემეცნების მცდელობა.

– რატომ მიგვატოვა ღმერთმა?

– რატომ გავჩნდი ამ ქვეყანაზე?

– რატომ ვართ ასეთი უბედურნი?

. . .

სწორედ ამიტომ იკრძალება ამ კითხვის დასმა.

ამიტომ არიან ეკლესიური ავტორიტეტები – რატომ? – კითხვის გარეშე.

ქვეცნობიერში მკვიდრდება ბრძანება: – ავტორიტეტი კითხვის გარეშეა!

საკუთარი არარაობიდან, უსუსურობიდან გამომდინარე, მას კი არ უნდა ჰკითხო, არამედ უნდა დაემორჩილო.

მორჩა და გათავდა!

ამიტომ იქმნება ღვთის მოყვარე კი არა, ,,ღვთის მოშიში” მრევლი.

ამიტომ გახდა ბატონობისა და მორჩილების ეთიკა ეკლესიის ეთიკა.

ამიტომ ეფუძნება ამ უტყვ კრავთა მორჩილება იდუმალებით მოცულ, საკრალური აკრძალვის პრინციპს

– არ გაბედო და არ იკითხო!

სწორედ ამიტომ სჭირდება სახელმწიფოს, რომელიც სახელმწიფო არ არის, ეკლესია, რომელიც ეკლესია არ არის.

დიახ, სჭირდება იმიტომ, რომ სახელმწიფოსგან განსხვავებით, ეკლესია უფრო ეფექტურად აკონტროლებს კრავთა პირად ცხოვრებას და ამით

ფასდაუდებელ ინფორმაციას აწვდის ხელისუფალთ, რათა მათ ძალაუფლება შეინარჩუნონ.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეკლესია ყოველივე ამას ალტრუისტული მოსაზრებებით აკეთებს, ესეც უბრალოდ ინფანტილიზმია.

ბიზნესი ბიზნესია.

ამისთვის ეკლესია სახელმწიფოსგან ითხოვს და იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ, განსაკუთრებულ სტატუსსა და პრივილეგიებს.

გგონიათ, აქ თავდება ჩვენი უბედურება? – არა, ერთი შეხედვით ამაზე მეტი რა უნდა დაგვემართოს, მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობთ. მაგალითად, კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩვენთან დაფიქსირდა გაკოტრებული ღატაკი.

ალბათ გამოსავალი ერთია – ტვინზე აუცილებლად მრავალძარღვა უნდა დავიდოთ.

ჩანართი

მართლაც, რაა ადამიანი? – შემთხვევით გაჩენილი განვითარებული ცხოველი, შემთხვევით წარმოქმნილი აზროვნების უნარით, რომელსაც საკუთარი ქვენა გრძნობების დასაკმაყოფილებლად დასჭირდა სახელმწიფოსა და ფსევდოეკლესიის გამოგონება?

იქნებ, ის მასზე უფრო მაღალი ინსტანციის, აბსოლუტური გონის მიერ შექმნილი უმაღლესი არსებაა, რომელიც ამ სამყაროში განსაკუთრებული მისიითაა მოვლენილი?

მოვუხმოთ ჯანსაღ აზრს, ლოგიკას.

განვითარებად სახელმწიფოს მხოლოდ ეთიკის საფუძვლებზე ჩამოყალიბებული საზოგადოება ქმნის და არა შემთხვევით გაჩენილი ცხოველთა ნაკრები.

სხვის მიერ თავსმოხვეული, არაგანვითარებადი სახელმწიფო კი, სწორედ შენი დეგრადირებისთვის აყალიბებს ღმერთის, ქრისტეს რწმენისგან და ეთიკისგან გამოქარულ, გამოთაყვანებულ მასას, რომელსაც, რატომღაც საზოგადოებას უწოდებენ.

ყოფიერების აღსრულებას, საზოგადოების ჩამოყალიბებას სიცოცხლის ძალის, სურვილის მქონე ადამიანები სჭირდება, ადამიანები, რომლებიც საკუთარ ყოვლისშემძლეობას ხვდებიან და გრძნობენ.

ყოვლისშემძლემ იცის, რომ მიაღწევს ყველაფერს, რასაც ისურვებს, თუმცა ამას შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს. ეს მას არ აშინებს, რადგან საკუთარი ყოვლისშემძლეობის აღქმა რეალობაში სურვილის აღსრულების პროცესს აჩქარებს. თავისი უძლეველობის შემმეცნებელი ყურადღებას არ აქცევს ყალბ ბარიერებს, ცდუნებებს, რაც მთავარი სურვილის აღსრულებისას დროსა და ენერგიას ართმევს. ყოვლისშემძლემ იცის, რაა საჭირო სურვილის რეალიზებისთვის, როგორ უნდა იმოქმედოს.

რა თქმა უნდა, არის შეცდომებიც, მაგრამ შეცდომა იმიტომაა შეცდომა, რომ ის ნათლად ჩანს და თუ ჩანს, მაშინ მისი გამოსწორებაც შესაძლებელია.

ეს, ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, შეცდომას თავისი ფასეულობა აქვს. ის საშუალებას გვაძლევს ნათლად გავიაზროთ, მივაგნოთ იმ ჭეშმარიტ სურვილებს, რომლებიც ადვილად ემორჩილებიან ტრანსფორმაციას, რათა ერთმანეთთან შეთანხმებასა და ჰარმონიაში მოვიდნენ.

რამდენადაა შესაძლებელი დაქვეითებულ სოციუმში სიცოცხლის ძალის, სურვილის, პოტენციალის მქონე ადამიანების დაბადება?

რა შემზარავიც უნდა იყოს დეგრადირებული სოციუმი, როგორიც უნდა იყოს ადამიანის განვითარების დონე, ის არაა უმაღლესისგან მიტოვებული და მას ერთხელ მაინც გაუჩნდება კითხვა:

– რისთვის გავჩნდი ამ ქვეყანაზე და რა დანიშნულება მაქვს?

და თუ ამ კითხვას ჩაუღრმავდება, აღმოაჩენს, რომ საკუთარ თავს ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა დაუსვა. ის აუცილებლად დაფიქრდება:

– ვინ ვარ მე?

– რა შემიძლია მე?

– როგორ გადავრჩე, როგორ ვიცხოვრო ჩემდამი აგრესიულად განწყობილ გარემოში?

– როგორ შევიმეცნო სამყარო, მისი კანონზომიერება, რათა ამ კანონზომიერებით დავადგინო ცხოვრების ის წესი, რომლის გარეშე ჩვენი, ჩვენი შვილების, მომავალის, სამშობლოს გადარჩენა შეუძლებელია?

ესაა ჩვენი გონების ძიების საფუძველი.

– როგორ შევიმეცნო ის სამყარო, სადაც ვცხოვრობ, როგორ გავიგო: – **ვინ ვარ მე?**

ჯერ კიდევ 25 საუკუნის წინ, დელფოსში აპოლონის ტაძარზე ამოკვეთილი იყო ქილონის სიტყვები – **„შეიცან საკუთარი თავი, შეიცნობ სამყაროს, ღმერთებს"**.

თუ ამ ფრაზას ინდუქტივობას მივუყენებთ, გამოდის, რომ **ღმერთის** შემეცნება **მე**-სა და სამყაროს შემეცნებას ნიშნავს. **სამყაროს** შემეცნება ღმერთისა და საკუთარი თავის შემეცნებას ნიშნავს.

აქ თავისთავად იკვეთება დასკვნა: – **მე, სამყარო და ღმერთი იგივური ცნებებია.**

მე, სამყარო, ღმერთი

ალბათ მრავალი მოიძებნება, ვინც შეგვახსენებს: რაღა დროს ღმერთზე ლაპარაკია XXI საუკუნეში, როდესაც ასეთ დონეზეა ასული მეცნიერება.

ზედაპირული აზროვნებით შესაძლოა, ადამიანმა ვერც კი წარმოიდგინოს სამყაროს კანონზომიერების გააზრებისთვის ღმერთის შემეცნების აუცილებლობა.

ცნობილია, რომ ზოგადად შემეცნებისთვის აუცილებელია მოდელის შემოტანა. შესაბამისად, ღმერთის შემეცნების მცდელობაც მოდელის შემოტანას ითხოვს.

თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ერთია სამყაროს შემეცნებისთვის ღმერთის მოდელის შემოტანა და მეორეა, რაა თვით ღმერთი.

სხვა სიტყვებით, **ერთია ჩემი წარმოდგენა ღმერთზე და მეორეა, რაა თვით ღმერთი.**

დისკუსიას არ ექვემდებარება მოსაზრება, რომ ადამიანის არსში თანდაყოლილია ცნობისმოყვარეობა, ყველაფრის შეცნობის ინტერესი: რატომ მიყვარს, რატომ მძულს, რატომაა ასეთი ლამაზი ვარსკვლავიანი ცა,...?

კითხვა — **რატომ?** — ევოლუციის, განვითარების საფუძველია და მოიცავს მრავალფეროვან სპექტრს. მაგალითად:

რატომ უნდა ჰქონდეს მაინცდამაინც ცხრამეტი ნაოჭი ხინკალს?

ან რატომ შეიქმნა ეს სამყარო?

ცხადია, ეს ორი „რატომ" შემეცნების თვალსაზრისით განსხვავებულია.

ის, თუ რასთან მიმართებაში სვამს ამ კითხვას ადამიანი, განსაზღვრავს მისი ინტერესების სფეროს.

ადამიანში ჩადებულია უსაზღვრო შესაძლებლობა, თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ შესაძლებლობა და მისი გამოყენების უნარი, გონივრულობა სხვადასხვა რამაა. ადამიანის ინტერესები მის გონივრულობას ავლენს და პირიქით: ადამიანის გონივრულობა, განვითარების ორიენტირი კი მისი ინტერესების არეალს განსაზღვრავს.

შესაბამისად, ადგილი აქვს უკუკავშირს.

რა ინტერესებიც აქვს ადამიანს, ისეთია ადამიანი.

დიახ, არსებობს ამაღლებული და დაქვეითებული ინტერესები.

სწორედ ინტერესები ავლენს ადამიანის უმაღლეს ფასეულობათა სკალას — თუ რა არის მისთვის მნიშვნელოვანი და ღირებული.

არსებობენ პიროვნებები, ვისი ინტერესების სფეროც ფართოა, გაშლილია ელემენტარული ნაწილაკიდან სოციალურ ფილოსოფიამდე, ფერწერული ტილოდან მუსიკალურ ჰარმონიამდე, პოეზიიდან ასტრონომიამდე,...

მხოლოდ ასეთს შეუძლია, რომელიმე ერთ მიმართულებაში ჭეშმარიტი ჩაღრმავებით, სხვა მიმართულებებს შორის ურთიერთკავშირისა და ჰარმონიის აღმოჩენა.

მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი მთელი სამყაროს ფუნდამენტური კანონზომიერების შეცნობა.

ცივილიზაციისა და კულტურის ისტორიას სწორედ ასეთი პიროვნებები ქმნიან.

კაცობრიობის ისტორიის თანმდევია ფუნდამენტური კითხვები:

— რატომ შეიქმნა ეს სამყარო?

— რა იყო მანამ, სანამ არაფერი იყო?

თუ პიროვნების ინტერესის მიღმა რჩება ამ კითხვებზე პასუხის ძიება, მაშინ მასში უნივერსალური აზროვნების შემაკავშირებელი ჯაჭვი გაწყვეტილია, რაც სამწუხაროდ, პიროვნების შეზღუდულობის უტყუარი მაჩვენებელია.

თვით კითხვა **რატომ-ს** აქვს ფართო სპექტრი. ამ სპექტრიდან ჭეშმარიტების მაძიებელი ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესია კითხვა — **რატომ და როგორ შეიქმნა სამყარო?**

თუ სამყაროს განვითარების დროის ღერძს გავავლებთ და წარმოსახვით წარსულისკენ წავალთ, ნულს მივუახლოვდებით და გავცდებით, მივალთ იქ, სადაც ჯერ კიდევ არაფერი იყო. იმისი დაშვება, რომ მივედით იქ, სადაც

არაფერი იყო და არაფრიდან წარმოიშვა სამყარო, თავისთავად მიგვიყვანს იდეალიზმთან – იდეამ დაბადა მატერია.

ცინიკური მოსაზრების – არაფრისგან მხოლოდ არაფერი შეიძლება დაიბადოს – საწინააღმდეგოდ ვამტკიცებთ, რომ არაფრისგან კი არა, იდეისგან შეიქმნა მთელი სამყარო.

არაფრისგან რაღაცის შექმნას სწორედ იდეა სჭირდება და ესაა შემოქმედება, ხოლო დანარჩენი კი ხელოსნობაა.

მართლაც, როგორ შეიძლება ადამიანს არ აინტერესებდეს კითხვა: – როგორ შეიქმნა ეს სამყარო და საკუთარ თავს მოაზროვნედ მიიჩნევდეს?!

როგორც აღვნიშნეთ, საყოველთაოდ აღიარებული დიდი აფეთქების თეორიის თანახმად, სამყაროს შექმნამდე არსებობდა ნულოვანი რადიუსის მქონე წერტილში კონცენტრირებული რაღაც ენერგია, რომლის აფეთქებითა და გაშლით წარმოიშვა სამყარო. ხოლო, თუ რა აფეთქდა და რატომ, ამ კითხვას მეცნიერები მორცხვად გვერდს უვლიან.

მეცნიერებით დილეტანტურად აღტაცებულთ შევახსენებთ, რომ შვეიცარიაში, ცერნში უბრწყინვალეს გონებათა ნაკრების მცდელობის მიუხედავად, ჯერაც ვერ გამოიკვლიეს, საიდან გაჩნდა ეს ნულოვანი წერტილი და რა იყო ამ ნულოვან წერტილში, სანამ სამყარო წარმოიშვებოდა.

ისინი მხოლოდ რეალობის, სამყაროს, დროისა და სივრცის შექმნიდან უმცირესი დროის შემდეგ განვითარებულ პროცესებს, მოვლენებს სწავლობენ. ხოლო ის, თუ როგორ წარმოიქმნა არაფრისგან ყველაფერი, დღეს ემპირიული კვლევისთვის მიუწვდომელია, სიბნელითაა მოცული.

უხსოვარი დროიდან მოაზროვნე ადამიანები სამყაროში ემპირიული კვლევისთვის მიუწვდომელი პროცესების ასახსნელად, შესამეცნებლად იყენებდნენ მოდელს.

ადამიანებმა შეამჩნიეს, რომ მაგ., თუ ერთ კილოგრამ ვერცხლს და ერთ კილოგრამ ქვას ერთი და იმავე ტემპერატურამდე გავახურებთ, აღმოჩნდება, რომ ვერცხლი უფრო სწრაფად კარგავს სითბოს, ცივდება ვიდრე – ქვა.

იმ დროისთვის ამ ფენომენს, მოვლენას მეცნიერებმა ახსნა ვერ მოუძებნეს.

ისინი იძულებულნი გახდნენ ამ პროცესის ასახსნელად შეექმნათ მოდელი: მათ სითბო წარმოიდგინეს როგორც უფერო, უწონო სითხე, რომელიც შეიძლება, სითხის მსგავსად, გადაედინოს ერთი სხეულიდან მეორეში. ამ მოდელის თანახმად, სხეულს, რომელიც გვიან ცივდება, უნდა გააჩნდეს ამ უწონადო სითხის დიდი ტევადობა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეს მოვლენა ენერგიით და არა უწონო, უფერო სითხით იხსნება, დღემდე შემორჩენილია ტერმინი სითბოტევადობა.

ამ მოდელმა უდიდესი როლი ითამაშა ფიზიკის განვითარებაში, ჭეშმარიტების ძიებაში.

თუ ამ მარტივმა მოდელმა მეცნიერება გამაოგნებელ სიმაღლემდე აიყვანა, მაშინ დაქვეითებული აზროვნების სუბიექტიც უნდა ხვდებოდეს, თუ რა

პოტენციალი გააჩნია სამყაროს კანონზომიერების, ჰარმონიის, უმაღლესის, აბსოლუტის, ღმერთის შემეცნებისთვის მართებულად შერჩეულ მოდელს.

დიახ, მეცნიერებაში მოდელს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

დღესაც, როდესაც ჩვენ არ გვაქვს ემპირიული მასალა, რათა არაფრისგან სამყაროს წარმოშობა ავხსნათ, აუცილებელია მოდელის შემოტანა.

წმინდა იდეისგან მატერიის შექმნის, დაბადების ასახსნელად მოაზროვნეებმა შემოიტანეს ცნებები: აბსოლუტი, სუბსტანცია, უმაღლესი, ღმერთი, როგორც სამყაროს შემოქმედის მოდელი.

მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ მოდელირება, მოდელი არის ის, რის გარეშეც ჭეშმარიტებასთან მისვლა მხოლოდ აფერისტებს შეუძლიათ.

აი, ეს არ ესმით განათლებულთ, ვინც ღმერთის არსებობას უარყოფს, ხოლო გაუნათლებელმა დეკარტემ, ნიუტონმა, აინშტაინმა, პლანკმა, შრედინგერმა,... ჭეშმარიტების ძიებისთვის ღმერთის არსებობის აუცილებლობა აღიარეს.

გამოდის, რომ სამყაროს შემეცნების სურვილი უნივერსალურ აზროვნებას მოითხოვს. უნივერსალური აზროვნებისკენ სწრაფვას კი ისევ აბსოლუტის მოდელის შემოტანის აუცილებლობასთან მივყავართ.

შევეცადოთ, ღრმად გავიაზროთ რა არის უნივერსალიზმი, რა არის უნივერსალური აზროვნება, უნივერსუმის მოდელი.

ჩვენი აზრით, უნივერსუმის, აბსოლუტის მოდელში ურთიერთდაპირისპირებული, ურთიერთშემავსებელი, ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებები ჯერ კიდევ განუცალკევებელია, გახსნილია ერთმანეთში, შერწყმულია ერთმანეთთან. სწორედ ეს ურთიერთგახსნილთა, ურთიერთდაპირისპირებულთა, ურთიერთგანმსაზღვრელთა ერთიანობა ქმნის უნივერსუმს, იმ უდიადეს იდეას, რასაც აბსოლუტი ჰქვია.

სამყარო ეს არის გაშლილი უნივერსუმი.

სამყარო გაჟღენთილია უნივერსალიებით.

უნივერსალიების შემეცნების მცდელობა მიზეზ-შედეგობრიობის არსში წვდომას საჭიროებს.

სამყაროში მიმდინარე ყველა პროცესი მიზეზ-შედეგობრივია. შესაბამისად, იქამდე, სანამ შეიქმნებოდა სამყარო, აბსოლუტურ იდეაში უნდა არსებულიყო მიზეზ-შედეგობრიობის სუბსტანცია.

აბსოლუტში მიზეზ-შედეგობრიობა, როგორც შესაძლებლობა, ურთიერთში გახსნილი მიზეზისა და შედეგის ერთ მთლიანობას, უნივერსუმს წარმოადგენს.

სწორედ ამ უნივერსუმის გაშლამ დაბადა, შექმნა სამყარო.

შესაბამისად, უნივერსალური აზროვნების გარეშე ამ სამყაროს შემეცნების მცდელობა უბრალოდ ინფანტილიზმია, ილუზიაში გადასვლაა.

უნივერსალიზმის წვდომა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წვდომას ნიშნავს.

რა იგულისხმება მიზეზ-შედეგობრივ კავშირში?

წარმოიდგინეთ, რომ ვიღაცამ გაიღიმა.

ღიმილი

ღიმილი შესაძლოა, უბრალოდ კარგი ამინდით იყოს გამოწვეული. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარგი ამინდი მიზეზია, ხოლო ღიმილი – შედეგი.

ჩვენ ვსაუბრობთ მიზეზსა და შედეგზე, მაგრამ ღრმად არ გაგვიაზრებია ცნებების – მიზეზისა და შედეგის არსი.

ღიმილის მიზეზი – გაზაფხული, კარგი ამინდი.

თავის მხრივ, გაზაფხულს განსაზღვრავს დედამიწის ღერძის ეკლიპტიკის სიბრტყის მიმართ დახრილობის კუთხე 23,5°.

თვით კარგი ამინდი კი დამოკიდებულია ატმოსფერულ წნევაზე, ტემპერატურაზე, დედამიწის მაგნიტურ ველზე, მზის აქტივობაზე,... თავის მხრივ, მზის აქტივობას განაპირობებს „ირმის ნახტომის" გალაქტიკაში მზის მდებარეობა და გალაქტიკის ენერგეტიკა. „ირმის ნახტომზე" კი ზემოქმედებს სხვა გალაქტიკები, თუნდაც „ანდრომედას ნისლეული", რომელთანაც ადრე თუ გვიან ჩვენს გალაქტიკას შეჯახება მოუწევს, რაც მზის ადგილმდებარეობის შეცვლას გამოიწვევს. მზეზე ზემოქმედებს აღმოჩენილი თუ ჯერაც აღმოუჩენელი ენერგიები და მატერიები, შავი ხვრელები და მათი ურთიერთქმედება და ა.შ.

ამრიგად აღმოჩნდა, რომ ამ უბრალო ღიმილის, როგორც შედეგის მიზეზი მთელი კოსმოსური სამყაროა.

თუმცა, შესაძლოა, ჩვენი კლასიკოსისა არ იყოს, ხიდან ჩამოვარდნილმა ადამიანმა გაიღიმოს და მას შემდეგ ის მოწყენილი ვეღარავინ ნახოს... ამ ღიმილის მიზეზი გრავიტაციაა.

ახლა გრავიტაციის ახსნას ნუ მომთხოვთ.

გამოდის, რომ ხიდან ჩამოვარდნა, თავით დაცემა და მასთან დაკავშირებული მუდმივი ღიმილის მიზეზიც მთელი სამყაროა.

რაც შეეხება შედეგს – თავად ღიმილს, ისიც მთელ სამყაროს მოიცავს, მას შეუძლია შეცვალოს ცივილიზაცია, გაიხსენეთ თუნდაც ჯოკონდას ღიმილი. ხოლო მასთან დაკავშირებული ლოგიკური და ალოგიკური დასკვნები თქვენთვის მოგვინდვია.

მიზეზ-შედეგობრიობას, შემეცნებისთვის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს, თუ არაზედაპირულად მივუდგებით, აუცილებლად მივხვდებით, რომ ის, რასაც ჩვენ მიზეზ-შედეგობრიობას ვუწოდებთ, არის ჩვენი პრიმიტიული მიხვედრილობა მხოლოდ იმისა, რომ ერთ მოვლენას მეორე მოვლენა მოჰყვება, მაგ., ღრუბელს – წვიმა.

დიახ, ჩვენი განუვითარებელი გონება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის რეალურ არსს ვერ იაზრებს და რატომღაც, შეთანხმებულნი ვართ და მოვლენათა ცვლილებას მიზეზ-შედეგობრივ კავშირად ვნათლავთ.

უნივერსალურ აზროვნებას მოკლებულნი დასხდნენ და შეთანხმდნენ, რომ თუ ცაზე ღრუბელია, იწვიმებს და გააკეთეს პრიმიტიული დასკვნა – ღრუბელი წვიმის **მიზეზია**.

საქართველოს მოსახლეობის 79,8% დაჯდა და შეთანხმდა, რომ ერთი პოლიტიკური ლიდერის მეორეთი შეცვლას მოაქვს **შედეგი** – კარგი ცხოვრება.

მოსახლეობის დარჩენილი 20,1% კი დაჯდა და შეთანხმდა, ყოფილი პოლიტიკური ლიდერი რომ დარჩენილიყო, მივიღებდით **შედეგს** – ჩვენს ბედნიერებას...

დარჩენილი 0,1% კი გაოგნებული უყურებს ხან ერთს, ხან მეორეს.

სწორედ ასეთი პრიმიტიული, ზედაპირული აზროვნებაა ჩვენი უბედურების მიზეზი.

და სამწუხაროდ, გვიკვირს, როდესაც ღრუბელს არ მოჰყვება წვიმა და ახალი ლიდერის მოსვლას – კარგი ცხოვრება.

სწორედ ასევე, უნივერსალურ აზროვნებას მოკლებულნი დასხდნენ და შეთანხმდნენ, რომ სახელმწიფო იქმნება ადამიანთა ხელშეკრულების საფუძველზე.

სწორედ ესაა სახელმწიფოთა წარმოქმნის ხელშეკრულებითი თეორია და არ გახსენებიათ, რომ საზოგადოება, სახელმწიფო ბუნებრივი წარმონაქმნია, ემორჩილება სამყაროს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს – ბუნებრივ კანონზომიერებას. ამ კანონზომიერებას კი ფეხებზე ჰკიდია ჩვენი შეთანხმება-არშეთანხმება.

ეს იგივეა, დავსხდეთ და შევთანხმდეთ, რომ სამკუთხედის შიგა კუთხეების ჯამი არა 180°, არამედ 280°-ია. გარწმუნებთ, რომ ასეთი შეთახმება არავითარ შედეგს არ მოიტანს.

სჯობს იმაზე შევთანხმდეთ, რომ მიზეზ-შედეგობრიობა, უნივერსუმი არის ღმერთი, ხოლო **ღმერთი არის სამყაროს კანონზომიერება და ამ კანონზომიერების არსი.**

ღმერთის მოდელი არის ჩვენი ამგვარი წარმოდგენა აბსოლუტზე. შესაბამისად, შეთანხმებას, რომელიც აბსოლუტის, ბუნებრივი კანონზომიერების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის უგულებელყოფით ხდება, მოაქვს შესაბამისი შედეგი – დეგრადაცია.

რაც უფრო ღრმად შევდივართ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების არსში, რაც უფრო ვუახლოვდებით უნივერსუმის არსს, ღმერთის არსს, მით ნაკლებ სისულელეს ჩავდივართ ცხოვრებაში.

უარყავით ღმერთი და ვერასდროს მიხვდებით იმ სამყაროს კანონზომიერებას, რომლის ორგანული ნაწილია სოციუმი, საზოგადოება, სახელმწიფო.

უარყავით ღმერთი და ვერასდროს შესწვდებით იმ კანონზომიერებას, რომელიც მართავს ჩვენს სოციუმს.

თუ რა არის მოდელი და როგორ გამოიყენება ის სოციუმის, საზოგადოების, სახელმწიფოს, სამყაროს კანონზომიერების შემეცნებისას, მოგვიანებით უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

როგორიცაა ჩემ მიერ წარმოდგენილი ღმერთის მოდელი, იმ სიღრმით შევიმეცნებ სამყაროს, იმ სიღრმით შევიმეცნებ საკუთარ თავს.

ჩანართი

შემეცნებისას, ანალიზისას, მსჯელობისას ლოგიკური არგუმენტაციისთვის უმნიშვნელოვანესია მიზეზ-შედეგობრივ კავშირში გარკვევა. ჩვენი მსჯელობა ღიმილის მიზეზზე ვინმეს შეიძლება გადაჭარბებულად, არამეცნიერულად მოეჩვენოს. ამიტომ გთავაზობთ ჩარლზ დარვინის ბრწყინვალე მაგალითს მისი ნაშრომიდან ,,სახეობათა წარმოქმნა''.

,,რაც უფრო მეტი შინაბერაა ინგლისში, მით მეტი რძე მზადდება''. ამ მოსაზრებაზე დარვინისეული მიზეზ-შედეგობრივი წყობა ასეთია. ,,შინაბერებს უყვართ და უვლიან კატებს. კატები ანადგურებენ თაგვებს. თაგვები, რომლებიც მინდვრის ბაზის სოროებს ანადგურებდნენ, შემცირდნენ. გამრავლდნენ მინდვრის ბაზები. მინდვრის ბაზი ამტვერიანებს მინდორში სამყურა ბალახის ნათესებს. სამყურა მრავლდება. ძროხებს უჩნდებათ საკმარისი საკვები და მათი წველადობა მატულობს''.

იტყვით, რომ დარვინის ამ მაგალითში სულაც არაა მიზეზი მთელი სამყარო.

მიზეზი იწყება შინაბერებით და მთავრდება შედეგით – რძე.

აქ არც ისე მარტივადაა საქმე. რატომღაც ბ-ნ დარვინს გამორჩა შინაბერების არა როგორც მიზეზის, არამედ როგორც შედეგის გაანალიზება. გასაგებია, რომ რაც უფრო მეტია შინაბერა, მით მეტია რძე, მაგრამ რატომ მოიმატა შინაბერათა რიცხვმა? რაა ამის მიზეზი?

– ცხადია, იმდროინდელ ინგლისში მამაკაცების სექსუალურობის დაქვეითება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს არა მხოლოდ ალკოჰოლიზმით, თამბაქოს, ნარკოტიკების (რომელიც იმ დროს თავისუფლად იყიდებოდა აფთიაქში) მოხმარებით, არამედ ისევ მზის გამოსხივების და კოსმოსური რადიაციის გააქტიურებით, რაც, თავის მხრივ, გალაქტიკაში მიმდინარე მოვლენებზეა დამოკიდებული...

იბადება კითხვა: რომელია პირველადი, მიზეზი თუ შედეგი? – ცხადია, პირველადია მიზეზი, მეორადი – შედეგი. თავის მხრივ ეს იმდენად ნათელია, რომ დისკუსიას არ საჭიროებს.

ამის მიუხედავად, პირველადობისა და მეორადობის საკითხს თუ მკაცრად მივუდგებით, ეს ზედა ფორმულირება არც ისე მარტივ ჭეშმარიტებად მოგვეჩვენება, რადგან აქ გასათვალისწინებელია ის, რომ ერთ მიზეზს, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა ჰქონდეს შედეგთა ურთულესი სპექტრი. ხოლო შედეგი თავის თავში მოიცავდეს მიზეზთა უსასრულობას. ეს ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, აინშტაინის ფარდობითობის თეორიიდან გამომდინარე, რაც საკმაოდ კარგად ეწერება სამყაროს კანონზომიერებაში, არც ისე უაზრობაა დროის უკან დინება, რაც, თავის მხრივ, მიზეზისა და შედეგის პირველადობის ცვალებადობას ნიშნავს. კვანტურ ფიზიკაში უკვე არის მოსაზრება, რომ ელემენტარულ ნაწილაკთა ურთიერთობაში შესაძლებელია იმ შედეგის დაფიქსირება, რომლის მიზეზს – ელემენტარულ ნაწილაკს ჯერ არ დაუწყია ქმედება. და თუ ეს მოვლენა ექსპერიმენტით დამაჯერებლად დადასტურდება, მიზეზამდე, შედეგის არსებობამდეც მივალთ. ასევე, ცხადია, შედეგიც შეიძლება მოგვევლინოს მიზეზად. განა შედეგი – სიღატაკე მრავალი უბედურების მიზეზად არ იქცევა?

ჩვენმა ტვინმა ათასწლეულობით ევოლუციისას ისწავლა განმეორებითი მოვლენების შემჩნევა, დაფიქსირება. შეიქმნა რაღაც კანონზომიერების შაბლონი. თუ ერთ მოვლენას მოჰყვება მეორე მოვლენა, ადამიანები მათ შორის კავშირს ხედავენ. ერთ მოვლენას აღვიქვამთ მიზეზად, მეორეს კი – შედეგად.

თითქოს ესაა ადამიანის უმნიშვნელოვანესი უნარი, რაც ცხოველებს არ გააჩნიათ. არა, ცხოველსაც აქვს ამის შემჩნევისა და დაფიქსირების უნარი. ცხოველი გარბის, როცა ადამიანს ხედავს, რადგან მან დააკავშირა ის საფრთხესთან, სიკვდილთან.

ხოლო ფრინველი, რომელსაც ადამიანისგან აგრესია არ უგრძვნია, სიკვდილი არ უნახავს, უშიშრად მაჯდება ხელზე.

ჩვენ ხშირად ვხედავთ იმას, რაც გვინდა და იბადება მოვლენათა შორის არარსებული კავშირები.

მაგ., დადგენილია, რომ გარდაცვლილ ადამიანთა 99,9% ჭამდა კარტოფილს. ამ ინფორმაციიდან გამოდის დასკვნა, რომ სიკვდილის მიზეზი კარტოფილია. თუ ეს თქვენთვის მიზეზ-შედეგობრივი კავშირია, უფრთხილდით კარტოფილს.

ხომ არ მივაწეროთ კარტოფილს სიგარეტის მსგავსად: კარტოფილის ჭამა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას. კარტოფილი კლავს.

და თუ რამეს ჩვენ შემთხვევითობას ვარქმევთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მიზეზს და შედეგს ნათლად ვერ ვხედავთ.

არაიდეალისტები ერთდროულად შემთხვევითობას და მიზეზ-შედეგობრივ კავშირს აღიარებენ. ხშირად ჩვენ ნაკლებინფორმაციულობას, უცოდინარობას ვუწოდებთ შემთხვევითობას, ან თუ შემთხვევითობას, როგორც ფენომენს ვაღიარებთ, ამით წინააღმდეგობაში შევდივართ მიზეზ-შედეგობრივ კავშირთან.

მაგ., ლატარეაში ჯეკპოტის მოგება ეს სულაც არ გახლავთ შემთხვევითობა. ეს არის გაყიდული ბილეთების ნომრებიდან ერთ-ერთის დამთხვევა მომგებიან ნომერთან. აქ თავიდანვე დეტერმინირებულია, რომ ვიღაც აუცილებლად მოიგებს. საკითხავი მხოლოდ ისაა, ის ვიღაც შენ იქნები თუ სხვა?

ჩვენ ხშირად ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ შედეგზე, მაშინ, როცა მიზეზი და შედეგი ქმნის ერთ მთელს.

ყველა ჩვენი მარცხი, წარუმატებლობა შენიღბულად განპირობებულია გარე სამყაროს და საკუთარი თავის ნეგატიური აღქმით (ნეგატივი – წერე და იკითხე, ამ ქვეყანას მაინც არაფერი ეშველება), რაც ქვეცნობიერად არასრულფასოვნების კომპლექსითაა გამოწვეული. ნეგატიურ განწყობას უარყოფით შედეგამდე მივყავართ. და პირიქით, პოზიტიური განწყობა წარმატებისკენ უმოკლესი გზაა.

აქ შეიძლება მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა – აზრი მიზეზის არსია, ცხოვრებისეული მდგომარეობა კი – აზროვნების შედეგი.

ამრიგად, მივიღეთ ბუმერანგის პრინციპი – რასაც აძლევ სამყაროს, გარემოს, იმას გიბრუნებს უკან.

ეს, რა თქმა უნდა, ეხება აზრთა ხარისხსაც, რომელსაც ჩვენ "ვასხივებთ". მას აქვს ბედნიერების ან უბედურების, სიყვარულის ან სიძულვილის, შიშის ან სითამამის,... ვიბრაცია.

და არ დავივიწყოთ, რომ

აზრი, გონი ყველაზე მძლავრი ძალაა სამყაროში.

ის თუ სად ხარ და როგორ ხარ, შენი აზროვნების ხარისხით განისაზღვრება.

თქვენი გონება ქმნის თქვენს რეალობას.

ჩვენი ცხოვრება ესაა იმ ყველაფრის შედეგი, რაზეც ოდესღაც გვიფიქრია, რაც გაგვიკეთებია, გვიგრძვნია.

მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელი იმაზე, რაც ხდება თქვენ გარშემო, რადგან ყველაფერ ამას თქვენი აზრი, თქვენი გონი განკარგავს.

დაიმახსოვრეთ, თქვენ ხართ თქვენი ცხოვრების ყოველი წამის ავტორი და პირველადი მიზეზი.

უნდა იფიქრო, რომ შენ ყველაფერი შეგიძლია.

ის, რაც გსურთ მიიღოთ, აუცილებელია, თავდაპირველად ჯერ აზრში, არსში გქონდეთ.

თუ გინდა ბადრიჯანი, ნუ დათესავ კომბოსტოს.

გამოდის, რომ საკუთარ თავში გარკვევა ყველაფერში გარკვევას ნიშნავს.

შესაბამისად, არ დავინანოთ დრო და ენერგია საკუთარ მე-ში გასარკვევად.

ვინ ვარ მე?

როგორ გავიგო, ვინ ვარ მე, როგორ შევწვდე არა მარტო ჩვენამდე დაგროვილ, არამედ აბსოლუტურად ახალ, ჯერ არარსებულ ცოდნას და როგორ შევიმეცნო სამყარო, ღმერთი?

ცხადია, ამ ცოდნის მიღების მეთოდები და ფორმები მრავალგვარია.

არიან ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათ ესმით რაღაც გარეგანი, უცხო ,,ხმა'', რომელიც მათ არსში ლაპარაკობს, იძლევა მითითებებს და კარნახობს ტელეპათიური არხებით, ვერცხლის ძაფებით. შინაგანად სწამთ, რომ ეს ხმა მოდის უხილავი ,,მფარველისგან'', ,,სულიერი დამრიგებლისგან'', ,,მოძღვრისგან'', ,,მასწავლებლებისგან'', გარკვეული და გაურკვეველი წარმოშობის ,,ანგელოზებისგან'', მოკლედ ყველასგან, გარდა იმისა, რასაც **მე,** კონკრეტული ადამიანი ჰქვია.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველა სხვადასხვა ჯიშის ,,უხილავი მფარველი'' გაერთიანებულია რაღაც ზეციურ არასამთავრობო ორგანიზაციაში სახელწოდებით ,,გონებრივად შეზღუდულთა მხარდაჭერა, თანადგომა'', ერთი დაუოკებელი სურვილით – რადაც უნდა დაუჯდეთ, აამაღლონ ჩემი დაქვეითებული გონივრულობა, შემეცნების უნარი და ცოდნა. ამის მიუხედავად, დედამიწაზე, და კერძოდ ჩვენთან, განუვითარებელთა სულისშემძვრელი კონცენტრაცია, ჩემი ჩათვლით, გვაფიქრებინებს ამ ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე და უნებურად ჩნდება, როგორც იტყვიან, ,,გონივრული ეჭვი'' ამ ორგანიზაციის დამფინანსებლების მიერ ფულის ,,გათეთრების'' მასშტაბურობაზე.

შესაძლებელია თუ არა საკუთარი თავის, სამყაროს, ღმერთის შემეცნება, გონებრივი ამაღლება რაღაც ზეციური არასამთავრობო ორგანიზაციის გარეშე?

მართლაც, როგორ შევიმეცნო რეალური სამყარო, მისი კანონზომიერება?

მინდა, გავიგო, რაა ილუზიისა და სიყალბის გარეშე სიკეთე, სიყვარული, სიმართლე, სახელმწიფო, რელიგია, ღმერთი და, რაც მთავარია, **ვინ ვარ მე.**

და თუ ამას ვერ შევძლებ, რა აზრი აქვს ასეთ ცხოვრებას?

ვიმეორებთ და კიდევ ბევრჯერ გავიმეორებთ ქილონის რჩევას – **შეიცან საკუთარი თავი და შეიცნობ სამყაროს, ღმერთს.**

ალბათ ეს ლოზუნგი თავის თავში მოიცავს ჭეშმარიტებას, თუნდაც იმიტომ, რომ მე, ჩემი უსუსურობის მიუხედავად, მაინც ვარ ამ სამყაროს ორგანული შემადგენელი ნაწილი. თუ ეს ასეა, მაშინ მეც იგივე არსი უნდა მქონდეს, რაც მთელ სამყაროს.

რჩება უმცირესი – როგორ შევიმეცნო საკუთარი თავი?

სამწუხაროდ, ბატონ ქილონს საკუთარი თავის შემეცნების ინსტრუქციის დატოვება დაავიწყდა.

მაინც ვცდი საკუთარი თავის შემეცნებას.

საკუთარ თავზე ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამ ვიცი, კერძოდ ის, რომ მე რეალობა ვარ. არ ვიცი, გრძნობს თუ არა, აღიქვამს თუ არა სამყაროს, საკუთარ რეალობას ხე, მთვარე, ქვა, ინდაური,... მაგრამ მე ნამდვილად ვიცი, რომ შევიგრძნობ, აღვიქვამ სამყაროს, საკუთარ თავს რეალობად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მივხვდებოდი, რომ **მე ვარ ადამიანი, მე ვარ მე.**

ადამიანი არის ის, ვინც მიხვდა, რომ ადამიანია.

აქ საოცარ პარადოქსთან გვაქვს საქმე, თუნდაც იმიტომ, რომ თუ რაა ადამიანი, ამაზე მხოლოდ ბუნდოვანი, ილუზორული წარმოდგენა გვაქვს.

ამის მიუხედავად, ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, ჩემი ცნობიერება აღიქვამს, გრძნობს საგნებს, მოვლენებს. მე ვეხები საგნებს, გეხები შენ და არ დავფიქრებულვარ, რას ნიშნავს „გეხები", რას ნიშნავს „აღგიქვამ".

მე მხედველობისა და სმენის ორგანოებით გხედავ და მესმის შენი.

დიახ, შენგან არეკლილი სინათლე, შენი ხმა ჩემი გრძნობის ორგანოებით აღიქმება, გარდაისახება ელექტრულ სიგნალებში და ჩემი ნერვული სისტემით მიეწოდება ტვინს. ამ იმპულსებიდან ჩემს გონში წარმოისახება, მოდულირდება შენი გამოსახულება, ხმა,...

იმას, რასაც შენთან შეხებას ვუწოდებ, ესეც კი ფარდობითი ცნებაა, რადგან ეს შეხებაც დადის ჩემი კანის უკანასკნელი შრის, ატომების შენს ატომებთან ურთიერთობაზე და არა შეხებაზე. ატომები უშუალოდ არ ეხებიან ერთმანეთს. მხოლოდ მიახლოებული და არა შეხებული ატომების შეშფოთება ისევ ელექტრული სიგნალით მიეწოდება ტვინს და იქ ხდება შენთან შეხების ფენომენის მოდულირება. გამოდის, რომ ხდება არა შენი, არამედ რაღაც მოდულირებულის შემეცნება.

ნუ დავიზარებთ და შეძლებისდაგვარად გავერკვეთ, რას ნიშნავს მოდული, მოდულირება.

ზოგადად, მოდული ნიშნავს ადამიანის გონში არსებულ საზომს. ადამიანი ყველა ახალ მიღებულ ინფორმაციას ადარებს ამ შიდა საზომს.

ფსიქოლოგიაში არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანი მისთვის უცხო ობიექტს, მოვლენას თავდაპირველად ვერ აღიქვამს. უფრო ნათლად: მაგ., ამერიკის აბორიგენ მოსახლეობას კოლუმბის გემი ვერ უნდა „დაენახა", ვერ

უნდა აღექვა, თუმცა წყლის ზედაპირზე გემის მიერ დატოვებულ კვალს ნათლად ხედავდა.

საქმე იმაში გახლავთ, რომ როდესაც ინდივიდი მისთვის უცნობ საგანს, მოვლენას ხედავს, მისი ცნობიერი მისი ანალოგის, საზომის მოძებნას ცდილობს და თუ მსგავსი ვერაფერი იპოვა (ამერიკელ ინდიელებს კოლუმბამდე გემი არ ენახათ), მისი გონება ამ საგნის, იდეის თუ ფენომენის აღქმის მიმართ პროტესტს აცხადებს. უბრალოდ ვერ „ხედავს" ამ მისთვის უცნობ იდეას, საგანს, ფენომენს.

ალბათ გაიოცებთ: რას ჰქვია ამხელა გემს ვერ ხედავდნენ?!

ყველა ახალი იდეის აღქმა, „დანახვა" ასევე ძალიან რთულია. სწორედ ამაზე მიგვითითებს უმაღლესი: **მიყურებთ და ვერ მხედავთ, მისმენთ და არ გესმით.**

შეიძლება ვინმესთვის უმაღლესის დანახვა-არდანახვა სადისკუსიო აღმოჩნდეს. თუმცა იმას, რომ რაღაც იდეის ან მოვლენის დანახვა და შემეცნება, რომლის ანალოგი, შესადარი ჩვენთვის არ არსებობს, საკმაოდ უსუსურ მდგომარეობაში გვაყენებს, დიდი მტკიცება არ სჭირდება.

ანალოგის უქონლობა ნიშნავს იმას, რომ მე არ მაქვს ის საზომი, რასაც უნდა შევადარო, რასთან შესაბამისობაში, ჰარმონიაში უნდა მოვიყვანო შესამეცნებელი იდეა, საგანი, მოვლენა.

ცხადია, თქვენს გონებაში არსებული იმ ანალოგის, შესადარის არაილუზორულობა, რომელთან მიმართებაშიც განიხილება თქვენთვის საინტერესო იდეა, მოვლენა, საგანი, განსაზღვრავს თქვენი შემეცნების ხარისხს.

როგორ შევქმნათ არაილუზორული, რეალური მოდული ჩვენს ცნობიერებაში?

მაგალითად, თუ თქვენს წარმოდგენაში დედამიწა ბრტყელია, მაშინ თქვენთვის დედამიწის გარშემო მოგზაურობა, ჰელიოცენტრული სისტემა, კოპერნიკისა და კეპლერის კანონები აბსურდია. სხვა სიტყვებით, თქვენს გონებაში არსებული სამყაროს რეალური შემეცნება, „ბრტყელ დედმიწასთან" მიმართებაში, თქვენთვის უკვე დიდ პრობლემას წარმოადგენს. ეს, ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, არქიტექტურაში, ფერწერაში, კომპოზიციაში ხელოვანი ყოველთვის გამოყოფს რაღაც ერთ ნაწილს, შესადარ დეტალს, რომელთან მიმართებაშიც განიხილება მთელი შესაქმნელი ნიმუში. უფრო ნათლად, არქიტექტურაში, შემოქმედს მისთვის მნიშვნელოვანი რაღაც დეტალის (მაგ., ფასადის საფუძვლის სიგანე, თაღი) მიმართ ჰარმონიაში მოჰყავს მთელი სისტემა, ნაგებობა.

დიახ, სწორედ ამ დეტალს, ანალოგს, რომელთან მიმართებაშიც ცდილობთ, შეიმეცნოთ საგანი და მასთან ჰარმონიაში მოიყვანოთ თქვენთვის საინტერესო სისტემა, ეწოდება მოდული.

ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში ბრტყელი დედამიწა და ფასადის საფუძველი არის მოდულები. აქედან გასაგებია, ჩემს გონებაში არსებული

მოდულის, საზომის გავლენა სამყაროს შემეცნების ილუზორულობაზე. მართლაც, როდესაც ვცდილობ, შევიმეცნო კონკრეტული ქალბატონი, მე მას ვადარებ ჩემს გონებაში არსებულ ქალის მოდულს, რომელიც, სამწუხაროდ, ჭეშმარიტი ქალის ფორმისა და არსისგან მეტ-ნაკლებად შორსაა.

აქედან გასაგებია ის ილუზორულობა, რაც თან ახლავს ჩვენ მიერ სამყაროს, ადამიანების, საგნების, მოვლენების გააზრებას.

საგნის, მოვლენის შემეცნებისას მათ ჰარმონიაში მოყვანას ჩემს გონებაში არსებულ მოდულებთან, ეწოდება მოდულირება.

გამოდის, რომ მე შევიგრძნობ, „ვეხები" არა გარე, რეალურ სამყაროს, არამედ ჩემს შემეცნებაში არსებულ მოდულირებულ (არაჭეშმარიტ, ილუზორულ) სამყაროს.

შემეცნება ხდება ამ მოდულირებული სამყაროსი და სხვა არაფრის.

ჩემს ცნობიერებაში სწორედ ამ მოდულირებით „რეალიზდება" გარე სამყარო.

ამიტომ ვიმეორებ, ჩემი წარმოდგენა შენზე შორსაა სინამდვილისგან და იმდენად ილუზორულია, რამდენადაც შორსაა ჩემი მოდული ადამიანის ჭეშმარიტი არსისგან.

გამოდის, რომ ყველაფერი, რასაც გარშემო ვხედავ, აღვიქვამ, ჩემს ტვინშია მოდულირებული. შესაბამისად, ილუზიაა.

უფრო მკაცრად, შევთანხმდეთ ცნება „ილუზიაზე". თუ მე ფეხს წამოვკრავ ქვას, ქვა არაა ილუზია, ილუზიაა ჩემი წარმოდგენა ქვაზე.

სინამდვილე კი მხოლოდ ისაა, რომ ჩემ გარშემო არსებულ საგნებს ვეჯახები, ვგრძნობ, შენთან ვურთიერთობ, მაგრამ რეალობაში რა ხარ, არ ვიცი.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: **მე ვარ ერთადერთი რეალობა, ხოლო სინამდვილეა ის, რომ მე ვურთიერთობ საგნებთან, სამყაროსთან**.

დიახ, ერთადერთს, რასაც რეალურად ვგრძნობ, აღვიქვამ, ესაა საკუთარი თავი – **მე**.

დიახ, აქედან გამომდინარე, ამ სამყაროში ჩემთვის სინამდვილე მხოლოდ ისაა, რომ მე ვურთიერთობ შენთან.

შევეცადოთ, ეს მსჯელობა მკაცრი განმარტებით გამოვსახოთ.

ჩემთვის, მე-სთვის სინამდვილის ერთადეთი საფუძველია ჩემსა და გარე სამყაროს შორის ურთიერთობა.

მე არ ვიცი, რეალობაში როგორია გარე სამყარო. მხოლოდ ვგრძნობ მას და ვიცი, რომ ის არაა მე.

მართლაც, შენ არა ხარ **მე**. ასევე, ვარსკვლავი, ზღვა, ღრუბელი,... არაა **მე**.

აქედან გამომდინარე, **მე**-ს გარეთ არსებულ სამყაროს შეიძლება ვუწოდოთ **არა მე.**

ასევე, არა მე-ა მომავალში ჩემ მიერ ჯერ არგააზრებული, ჯერ არშექმნილი სამყარო.

აქედან დასკვნა:

მხოლოდ მე ვარ რეალობა, სინამდვილე კი შენთან ურთიერთობაა.

გარე სამყარო ჩემთვის არის **არა მე,** რომელიც ჩემს გონებაში მოდულირდება.

ამ სამყაროში პირველადი, ყველაფრის საფუძველი ჩემი გონებაა. სხვა ყველაფერი კი – არა მე – ჩემს გონებაში მოდულირებული სამყარო.

პირველადის, ჩემი გონის გარეშე არ არსებობს არც მოდული და არც მოდულირებული სამყარო – არა მე.

დასკვნა: **მე-ს გარეშე არ არსებობს არა მე.**

სხვა სიტყვებით: – **სუბიექტის (მე-ს) გარეშე არ არსებობს შესამაცნებელი ობიექტი (არა მე).**

ჩანართი

მე-ზე, როგორც ერთადერთ რეალობაზე, პირველად დეკარტემ გაამახვილა სერიოზული ყურადღება. მისი მტკიცებულებიდან – „**ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ**" – გამომდინარეობს, რომ **მე**-ს აზროვნების გარეშე არაფერი არსებობს. ვარსკვლავები, წვიმა, კომპიუტერი, ზღარბი,... ჩემი აზროვნების წარმოსახვაა და სხვა არაფერი.

აქედან გამომდინარე, ზომიერად ნაკვები, პატიოსანი ადამიანისთვის საოცნებო ნივთების – მანქანის, შემწვარი გოჭის რეალურად არარსებობა ვაკელი, და არა მარტო ვაკელი, ნარკომანის ნაბოდვარს ჰგავს.

ამის მიუხედავად, არ გირჩევთ დეკარტესთან ლოგიკურ დავას, რადგან, რა გასაკვირიც უნდა იყოს, მისი აზრთა წყობა სავსებით ლოგიკურია და სრულიად არაწინააღმდეგობრივი.

წარმოიდგინეთ ასეთი საუბარი:

რენე დეკარტე – ამ სამყაროში არაფერია ჩემი ცნობიერების, გონის, აზრის – **მე**-ს გარდა.

გრიშა – მაშ ლამარა, ეს სიგარეტი?

რენე – შენც და სიგარეტიც ჩემი შეგრძნებების მოჩვენება ხართ, რომელსაც ბადებს ჩემი აზრი, ცნობიერი.

გრიშა – არსებობს ხელსაწყო, მაგ., ფოტოაპარატი, რომელიც მაფიქსირებს მე. რა, ფოტოაპარატსაც ეჩვენება? ასევე, არსებობს სამეცნიერო ხელსაწყოები, რომლებიც აფიქსირებენ იმასაც კი, რასაც ადამიანი საერთოდ ვერ გრძნობს, მაგ., რადიაციულ გამოსხივებას.

რენე – ამ ხელსაწყოების ინფორმაციასაც ჩვენ გრძნობითი ორგანოებით ვიღებთ, მიკროსკოპში თვალით ვიყურებით, ფოტოსაც თვალით აღვიქვამთ. ჰეიგერის მთვლელის წრიპინი ყურებით გვესმის.

გრიშა – გამოდის, რომ რეალური სამყარო ჩვენი აზრის მიღმა არ არსებობს?

რენე – რა თქმა უნდა არა, მე მეჩვენება, ეს ყველაფერი რასაც ჩვენ რეალობას ვუწოდებთ: ჩვენ, ჩვენი საუბარი, ყველა ჩემი შეგრძნება, ჩემ გარეშე არსებული მთელი სამყარო, ესაა ჩემი უსასრულო სიზმარი. შენც ხომ ხედავ სიზმარს?

გრიშა – კი, მაგრამ მერე ვიღვიძებ.

რენე – რა, ძილში გაღვიძება არ დაგსიზრმებია?

გრიშა – მე კი, მაგრამ ხომ შეიძლება ვინმემ მიჩქმიტოს და გამეღვიძოს?

რენე – ჩქმეტა და ჩემი გაღვიძება, ჩემს გონებაში ესეც მხოლოდ შეგრძნებებია.

გრიშა – ტკივილს ხომ ვგრძნობ ჩქმეტისას?

რენე – რა, ძილში არ გიგრძვნია ტკივილი? ძილის, ჰიპნოზის დროს ცივი სხეულის შეხებისას დამწვრობაც კი ჩნდება.

გრიშა – თუ ყველაფერი სიზმარია, მაშინ გადი შუა ქუჩაში და მანქანას გადაუდექი წინ. ნახავ, რომ რეალურად გაგიტანს მანქანა და შენ ტკივილი მერე იკითხე.

რენე – თუ ტკივილი ჩემი გონების პროდუქტია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე მისი განცდა ყველაფერს მირჩევნია.

გრიშა – აჰაა! გეშინია? ესეც შენი არარეალური საგნები, მანქანა.

რენე – შიში, ესეც ჩემი გონების პროდუქტია და სულაც არა მაქვს დაუოკებელი სურვილი, ის განვიცადო. თანაც, თავი მომაბეზრე და ჩემს ცნობიერებას აღარ უნდა შენთან საუბარი, რადგან შენც ჩემივე ცნობიერის პროდუქტი, ილუზია ხარ. წადი, იმეცადინე ლოგიკაში და მიხვდები, რომ იდიოტი ხარ.

მართლაც, დეკარტეს ლოგიკაში შეცდომა არ არის.

ვთქვათ, დეკარტე სადღაც, რაღაცაში არ ცდება, მაგრამ ჩვენ რაში გვჭირდება ფიქრი იმაზე, შემწვარი კარტოფილი ტყემლით რეალობაა, თუ ჩემი წარმოსახვა?

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ წარმოსახვა ქმნის **მოდულს.**

მოდულთან მიმართებაში ყალიბდება ჩვენი წარმოდგენა სამყაროზე, ღმერთზე, ადამიანზე, სახელმწიფოზე,...

შესაბამისად, ყოფიერების კანონზომიერებაში გასარკვევად, ადამიანის ღირსების საკადრისი ცხოვრების დასამკვიდრებლად, მოდულის ჭეშმარიტებასთან შეძლებისდაგვარად მიახლოება გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

ეს თავისთავად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჭეშმარიტებასთან მიახლოებული მოდული განსაზღვრავს ადამიანის შემეცნებისა და ცოდნის, ფსიქიკის სიმტკიცის ხარისხს.

მთელი ამ საუბრის მიზანია ადამიანის შემეცნების მექანიზმის გარკვევა, წვდომა, გააზრება. ეს კი საკუთარი არსის, მე-ს გარკვევას მოითხოვს.

სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი გამოაცხადა საკუთარი ფილოსოფიის საფუძვლად გერმანელმა იოჰან ფიხტემ.

მე ვარ მე

ფიხტეს ფილოსოფიის არსი შეიძლება ჩამოყალიბდეს სამი პრინციპით:

I. **მე** ვარ **მე**

II. **მე** ვარ **არამე**

III. **მე** ვარ **მე** და **არამე**

ეს უკიდურესად მოკლედ წარმოდგენილი სამი პრინციპი თავდაპირველად ზოგიერთში გარკვეულ ჩაფიქრებას გამოიწვევს, დანარჩენში კი უბრალოდ მთქნარებას.

საკმარისია, ზედაპირულად გადავხედოთ ფიხტეს ფილოსოფიის მკვლევართა შეხედულებებს, რომ ამ პრინციპთა შინაარსობრივი

ინტერპრეტაციების გარდა მრავალ გაურკვევლობას, ზიზღს, ღვარძლს და სისულელესაც წავაწყდებით.

ფილოსოფოსთა საკმაოდ დიდი ნაწილი, რატომღაც, მისი ფილოსოფიური პრინციპების ფორმულირებაში მისივე ავადმყოფური აზროვნების ტრაგედიას ხედავდა. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ პრინციპებში წარმოდგენილია ორი არსებითად განსხვავებული სუბიექტური და ობიექტური ხედვის აღრევა.

ეს კიდევ არაფერი. თურმე ნუ იტყვით და, ფიხტეს ფილოსოფიაში ადგილი არა აქვს დამაჯერებელ მტკიცებულებას, თუ რა არის პირველი პრინციპი, როგორ გადადის პირველი გაცილებით უაზრო მეორე პრინციპში, და საერთოდ როგორ ჩნდება ამ ორიდან, ყოველგვარი ლოგიკის, აზრისა და მტკიცებულების გარეშე მესამე, ყველაზე აბსურდული პრინციპი?!

როდესაც მისი ლექციის მსმენელნი ან ღრმად ჩაფიქრებული ოპონენტები მას III პრინციპზე გადასვლის უსაფუძვლობაზე მიუთითებდნენ, ფიხტე უკიდურესად ღიზიანდებოდა. არავის აცლიდა ბოლომდე აზრის გამოთქმას და მიმართავდა მათ: ვიცი, რაც უნდა მითხრათო.

ფიხტე ცდილობდა, მსმენელთა მხრიდან გამოთქმული აზრი III პრინციპის პირველ ორთან შეუთავსებლობაზე, მსმენელთა და ოპონენტთა მიუხვედრელობაზე დაეყვანა. ფიხტეს მხრიდან ჯიუტი, ენერგიული, აგრესიული მტკიცება, რომ ეს გადასვლა დღესავით ნათელია, მსმენელებსა და ოპონენტებში საპასუხო აგრესიას და გაცოფებას იწვევდა.

მაგ., ანსელმ ფოიერბახი (ფილოსოფოს ლუდვიგ ფოიერბახის მამა) – ერთ-ერთი ამ გაცოფებულთაგანი წერდა: – „მე ვარ ფიხტეს, როგორც უზნეო ადამიანის, დაუძინებელი მტერი. მისი ფილოსოფია არის გულისამრევი ცრუსიბრძნის ნაშობი, აღვირახსნილი ფანტაზიის ნაყოფი, რომელიც ამახინჯებს გონებას და რატომღაც წარმოდგენილია როგორც ფილოსოფია... ფიხტესთან არდათანხმება სიცოცხლისთვის უბრალოდ საშიშია, რადგან ის არის მოუთვინიერებელი მხეცი, რომელიც ვერ იტანს ვერავითარ წინააღმდეგობას, არ ისმენს სხვის აზრს და ყველას პირად მტრად აცხადებს, ვინც არ იზიარებს მის უაზრობას. დარწმუნებული ვარ, რომ მას შეუძლია თავი წარმოიდგინოს მუჰამედად. მაჰმადიანობის აღზევების დრო რომ ყოფილიყო და მისი კათედრა კი – სამეფო ტახტი, ის თავის ცრუსწავლებას დანერგავდა ხმლითა და საპყრობილეებით”.

რაღა დაგიმალოთ და მძიმე მოსასმენია.

მრავალი, უფრო შეურაცხმყოფელი მოსაზრებაც იყო გამოთქმული ფიხტეს ფილოსოფიაზე. სამწუხაროდ, ეს ნეგატივი, რაღაც ფორმით, დღესაც გრძელდება. თუმცა, შესაძლებელია, გავუგოთ ამ გამწარებულ ოპონენტებსა და მსმენელებს, რადგან მათი დაობებული გონება ვერ ხვდებოდა, რომ ისინი სინამდვილესა და ჭეშმარიტებაზე ახალი აზროვნების დაბადების მოწმენი გახდნენ.

ნუ ვიქნებით გამონაკლისნი და ჩვენც თამამად, ენერგიულად ჩავერთოთ ამ უაღრესად საინტერესო ვნებათაღელვაში. და როგორიც უნდა იყოს ჩვენი პირველი რეაქცია ფიხტეს ფილოსოფიის ამ სამ პრინციპზე, წინასწარ გარწმუნებთ, რომ ეს უნიკალური ლაკონურობით გამოთქმული, ორიგინალური ჭეშმარიტება თქვენში, საბოლოო ჯამში, აღფრთოვანებას გამოიწვევს.

აღფრთოვანებას რომ თავი გავანებოთ, **ეს პრინციპები, ჩვენი ღრმა რწმენით, ის საფუძველია, რომლის გარეშე ადამიანის, საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარება, ქვეყნის სახელმწიფოდ ქცევა უბრალოდ შეუძლებელია.**

საკუთარი არსისა და სამყაროს შემეცნების საკითხში ფიხტე ისეთი სიმაღლის იდეას შესწვდა, რომ ეს იდეა ფეიერვერკივით იშლება, მრავალმხრივი ხდება. შესაბამისად, გავბედოთ და ფიხტეს ეს პრინციპები ჩვენი საზოგადოების, ქვეყნის ჩამოყალიბება-განვითარების ჭრილში გავიაზროთ.

ამიტომ გთხოვთ მაქსიმალურ ყურადღებას არა იმიტომ, რომ რთული გასაგებია, არამედ იმიტომ, რომ ძალიან საინტერესოა.

თუ მაინცდამაინც არ გეხალისება ფიხტეს ფილოსოფიაში ჩაღრმავება, 129-ე გვერდზე დასკვნას მაინც გაეცანი.

შევეცადოთ, შეძლებისდაგვარად გავშალოთ ეს სამი პრინციპი.

I. **პრინციპი**

მე ვარ **მე**

ამ პრინციპში ფიხტე გვთავაზობს, რომ **მე** განვიხილოთ არა როგორც სუბიექტი, არამედ როგორც სუბიექტ-ობიექტი.

აქ თითქოს სულისშემძვრელი და გამაოგნებელი არაფერია. უბრალოდ, ფიხტემდე არსებული ფილოსოფია **მე**-ს განიხილავდა, როგორც სუბიექტს, რომელსაც გარე სამყაროს შემეცნება ხელეწიფება ან — არა.

I პრინციპი გამომდინარეობს უნიკალური პოსტულატიდან — **მე** ვარ, **მე** ვარსებობ.

მე ვარ, ეს ნიშნავს, რომ **მე ვარ მე**, რადგან **მე** ვარ ერთადერთი რეალობა და ჩემ გარეშე არსებული სამყარო ილუზიაა. ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს — **სუბიექტის, მე-ს გარეშე არ არსებობს ობიექტი.**

დიახ, ესაა სუბიექტური იდეალიზმი.

ფიხტემდე ადამიანი განიხილებოდა, როგორც შემმეცნებელი სუბიექტი და არ არსებობდა ის ფილოსოფიური სისტემა, რომელიც დაძრავდა მის სუბიექტურობას ობიექტურობისკენ.

— ხედავთ, რა იდეალურად ავხსენით ფიხტეს პირველი პრინციპი?!

— კაი, კაი, თუ მთლად იდეალურად არა, ოდნავ გასაგები ხომ მაინც გავხადეთ.

ჩავთვალოთ, რომ გავიგეთ და გადავიდეთ მეორე პრინციპზე.

II. **პრინციპი**

მე ვარ **არამე**

სიღრმისეულად შევხედოთ ამ პრინციპს.

ეს პრინციპი მკითხველში მაშინაც და დღესაც უფრო მეტ გაურკვევლობას იწვევდა, ვიდრე პირველი.

უბრალოდ დავფიქრდეთ, მართლაც რას ნიშნავს **მე** ვარ **არამე**?

წარმოვადგინოთ ამ პრინციპის ინტერპრეტაცია:

II პრინციპის თანახმად მე-ს ხელეწიფება, შექმნას, განავითაროს ყველაფერი, რაც შეიძლება მოხდეს მასში როდესმე, თავისივე თავიდან გამომდინარე ისე, რომ იოტისოდენადაც არ გავიდეს თავისივე თავიდან და არ გაწყვიტოს, არ გაანგრიოს თავისივე წრე, სფერო.

ერთი მხრივ, სახეზეა ამ პრინციპის ინტერპრეტაცია და ამ დროს, ამ ინტერპრეტაციის კავშირი მეორე პრინციპთან **თითქოს** არ ჩანს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ინტერპრეტაციაში საერთოდ არ ფიგურირებს სიტყვა **არამე**.

გამოდის, რომ II პრინციპის ეს ინტერპრეტაცია თითქოს ორჯერ უფრო გაუგებარია, ვიდრე ერთხელ გაუგებარი ფიხტეს – **მე** ვარ **არამე**.

კიდევ კარგი, არსებობს სიტყვა თითქოს.

თითქოს

წარმოიდგინეთ სოფელი მირზაანი და თავისი ეზოს ღობეზე მიყრდნობილი ხუთი წლის მეოცნებე ბიჭი. ეს, ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, გაიხსენეთ ნიკალას ტილოები – ირემი მთვარიან ღამეში, გიორგობა,...

ამ პატარა ბიჭმა არც იცის და არც შეიძლება იცოდეს, რომ არსებობს, იარსებებს ნიკალა.

სწორედ ამ პატარა ბიჭისთვის ნიკალა არ არის **მე,** შესაბამისად, მისთვის ნიკალა არის **არამე**. მაგრამ ჩვენ დღეს ხომ ვიცით, რომ **მე** არის **არამე**, რადგან ეს ბიჭი არის ნიკალა.

ცხადია, ნიკალა და მისი შემოქმედება განუყოფელი, ორგანული ერთობაა.

შესაბამისად, ნიკალა და მისი ტილოები იგივურია.

არ არსებობს ნიკალა მისი ტილოების გარეშე და ტილოები – ნიკალას გარეშე.

ფიხტესავით საშიში რომ არ გავხდე, იმედია, ამის მტკიცებას არ მომთხოვთ, ეს ხომ მართლაც დღესავით ნათელია?!

ხომ დაგარწმუნეთ, რომ ნიკალა და მისი ტილოები იგივურია.

გამოდის, რომ ამ ბიჭისთვის ნიკალაც და მისი ტილოებიც არის **არამე**.

ჩავთვალოთ, რომ წარმოგიდგინეთ ისეთი მტკიცებულება, რომელიც ქვას გახეთქავს, ამიტომაც მეთანხმებით და მივყვეთ მსჯელობას.

მაშ ასე – **მე** არის **არამე.**

არამე შეიძლება იყოს არა მხოლოდ ის, რაც შეიძლება მოხდეს მასში, ნიკალაში როდესმე, არა მხოლოდ **მე**-ს, ნიკალას მიერ შექმნილი სამყარო, არამედ მთელი სამყარო, რადგან მის ტილოებში მთელი სამყაროა ჩატეული.

ამრიგად, ნიკალა არის საკუთარ არსში ყოველგვარი რეალობის მთლიანად განმსაზღვრელი წრე, სფერო.

შესაბამისად, მეც ვარ საკუთარ არსში ყოველგვარი რეალობის მთლიანად განმსაზღვრელი წრე, სფერო.

დიახ, შენც ხარ საკუთარ არსში ყოველგვარი რეალობის მთლიანად განმსაზღვრელი წრე, სფერო.

თუ თქვენ გიჩნდებათ აზრი – რას მეუბნები, ის ხომ უდიადესი მხატვარი ნიკალაა. მე კი მე ვარ, სად მე და სად ნიკალა, მე არაფერი შემიძლია.

თუ თქვენ ასე ფიქრობთ, სწორედ თქვენ გჭირდებათ ფიხტეს ფილოსოფია.

თუ თქვენ ფიქრობთ, რაც დავით აღმაშენებელმა გააკეთა, თქვენ იმას ვერ შეძლებთ და იტყვით – ის ხომ დავით აღმაშენებელია?!

სწორედ თქვენ გჭირდებათ ... ფიხტეს, ჰეგელის,... ფილოსოფია.

მეტყვით, რა, დავით აღმაშენებელმა იცოდა ფიხტე, ჰეგელი?!

ზოგიერთმა ოღონდ წიგნი არ წაიკითხოს, არ იაზროვნოს და ათას მიზეზს მოიგონებს...

მივმართავთ მათ: – ის ანტიკური, აღმოსავლური და აზიური ფილოსოფია, რაზეც აშენებულია ... ფიხტეს, ჰეგელის,... ფილოსოფია, მშვენივრად იცოდა დავითმა, თუნდაც შედეგიდან გამომდნარე.

სწორედ წინამდებარე ნაშრომი დაგვარწმუნებს, რომ ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია, როცა მივხვდებით, რომ მეც და შენც ვართ – **მე ვარ – მე ვარ მე.**

გამოდის, რომ ზემოთ მოყვანილი ინტერპრეტაცია არც ისე გაუგებარი ყოფილა, რადგან ამ ხუთი წლის ბიჭს ხელეწიფებოდა შეექმნა, განევითარებინა ყველაფერი ის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო მასში შემდგომში ისე, რომ ის იოტისოდენადაც არ გამოსულიყო თავისივე თავიდან და არ გაეწყვიტა, არ გაენგრია თავისივე წრე, სფერო.

მართლაც, ის რომ საკუთარი **მე**-დან იოტისოდენადაც კი გამოსულიყო, ნიკალა არ იქნებოდა ნიკალა, დავითი არ იქნებოდა დავითი, მე არ ვიქნებოდი მე, შენ არ იქნებოდი შენ.

დავფიქრდეთ, I პრინციპში **მე** არის ერთადერთი რეალობა და ყველაფერი დანარჩენი – არარეალობა, **არამე**.

II პრინციპიდან – **მე** ვარ **არამე** – გამომდინარე, თურმე ნუ იტყვით და, არის რაღაც **არა მე**, რომელიც ჩემი ცნობიერების მიღმა, ჩემგან დამოუკიდებლად არსებობს.

შესაბამისად, **მე**-ს, სუბიექტის გარდა არსებობს რაღაც **არა მე**, რომელიც ჩემი ცნობიერების მიღმა, ჩემგან დამოუკიდებლად არსებული რეალობაა.

გამოდის, რომ არსებობს ობიექტური რეალობა **მე**-ს გარეშე. აქ დასაფიქრებელი ხდება ფიხტეს აზრი, რომ სუბიექტის გარეშე არ არსებობს ობიექტი. **მე**-ს გარეთ არსებული სამყარო ილუზიაა.

ეს არაა შეუთავსებლობა, სწორედ აქ ჩანს აზროვნების სითამამე, ესაა პირველი ნაბიჯი სუბიექტურობიდან ობიექტურობისკენ.

დიახ, ჩემში უნდა არსებობდეს რაღაც ჩემთან, **მე**-სთან დაპირისპირებული **არამე**, რომლის გარეშეც შემეცნება, ცოდნა, განვითარება შეუძლებელია.

აქედან, II პრინციპი **მე** ვარ **არამე,** სულ სხვა სიმაღლიდან ჩანს.

ეს, ერთი მხრივ, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორ გავიგოთ **მე**-ს და **არამე**-ს დაპირისპირება, წინააღმდეგობა?

მაგ., მე მაქვს წასაკითხი ეს წიგნი. ამ შემთხვევაში **მე** მკარნახობს: წაიკითხე, წაიკითხე. შინაგანი ხმა – **არამე** კი მეუბნება: არ გეზარება? წადი, სადმე გაერთე.

(ისე გირჩევთ, რომ წაიკითხოთ წიგნები, ზოგიერთი მათგანი წასაკითხად არის დაწერილი.)

ამრიგად, შედგა დაპირისპირება, წინააღმდეგობა. გადაწყვეტილებას ვიღებთ წინააღმდეგობის გადალახვით, აზრთა შეჯერებით, სინთეზით.

შევთანხმდეთ, ჩემი ცნობიერების გარეთ არსებული სამყარო სიმბოლურად აღვნიშნოთ როგორც **არა მე**. ხოლო შემეცნების პროცესში ჩემში შემოსული, შემეცნებისთვის აუცილებელი სამყარო აღვნიშნოთ **არამე**-თი.

მაშასადამე, **მე**-ს გარეთ არსებული სამყარო წარმოვადგინოთ ცალ-ცალკე ჩაწერილი – **არა მე**-თი და შიდა – ერთად ჩაწერილი **არამე**-თი.

ერთი მხრივ, **მე** ვარ ის, რაც ახლა ვარ. **მე** ის აღარ ვარ, რაც თუნდაც გუშინ ან ბავშვობაში ვიყავი. თუნდაც იმიტომ, რომ ბავშვობიდან დღემდე არათუ ჩემი აზროვნება, ჩემი უჯრედებიც კი გამოიცვალა. თუ მე ახლა ვარ **მე**, მაშინ ჩემი ბავშვობა არის **არამე**, თუმცა მე ხომ ვიცი, რომ ის ბავშვი – **არამე** არის **მე**.

გარდა ამისა, **მე** მომავალში შევიცვლები და გავხდები **არამე**, თუმცა მე ხომ ვიცი, რომ ის რაც ვიქნები, ასევე ვარ **მე**.

გამოდის, რომ წინააღმდეგობა **არამე**-სთან, თუნდაც წარსულთან და შესაძლო მომავალთან ამაღლებული შემეცნების საფუძველია.

ასევე, ამ წინააღმდეგობით, შემეცნებით მე შემიძლია სამყარო ვაქციო **არამე**-დ, შემოვიყვანო **მე**-ში, ერთადერთ რეალობაში, გავაიგივო **მე**-სთან (**მე ვარ არამე**) და ამით ვაქციო ის რეალობად.

ამრიგად, მე ვარ რეალობის შემოქმედი, ავტორი.

სწორედ ამას მიხვდა ნიკალა, ამას მიხვდა დავითი.

დიახ, დავითი არის ის, ვინც პირველი მიხვდა, რომ დავითია.

მესამე პრინციპში წარმოდგენილი **მე** განიხილება როგორც სრულყოფილი, აბსოლუტური მე.

თუ როგორ მოვახერხოთ, რომ მე გავხდე აბსოლუტური მე, ამ საკითხზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

შესაძლო გაურკვევლობის მოსახსნელად კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ ცნებათა გამოსახვის სიმბოლიკა:

მე – აბსოლუტური მე წარმოდგენილია დიდი შრიფტით.

მე – შემმეცნებელი, ემპირიული მე.

არა მე – შესამეცნებელი სამყარო – მე-ს მიღმა არსებული.

არამე – შემეცნებისთვის, დაპირისპირებისთვის აუცილებელი სამყარო (მე-ში შემოსული).

ფიხტეს აზრით, სამყაროს რეალობად მქცეველი **მე** უსასრულობაში მიიღწევა და ეს სწრაფვა წრფივად მიმდინარეობს.

ჩვენი აზრით, შემეცნების არეალის გაფართოება გრაფიკულად შეიძლება შევადაროთ კონცენტრირებულ წრეებს, სფეროებს. შესაბამისად, რაც მეტს შეიმეცნებს ადამიანი, მისი ცნობიერების წრის ფართობი სწრაფად, არაწრფივად იზრდება.

გამოდის, რომ ადამიანის შემეცნების გაფართოება უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ფიხტეს ფილოსოფიიდან ჩანს.

სწორედ ეს მოსაზრება გვიღრმავებს რწმენას, რომ შევძლებთ სამყაროს რეალობად მქცეველ **მე**-მდე, აბსოლუტურ **მე**-მდე ამაღლებას და, შესაბამისად, ჩვენი ძირითადი მიზნის – თვითორგანიზაციის, თვითგანვითარებისა და რეგენერაციის უნარის მქონე საზოგადოების, სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ნუ დავივიწყებთ, რომ **მე**-სა და **არამე**-ს დაპირისპირებით, შემეცნებით შევქმენით რეალური სამყაროს შემქმნელი აბსოლუტური **მე**.

აქედან მრავალისთვის გაუგებარი

III პრინციპი:

მე ვარ **მე** და **არამე**

დიახ, ფიხტეს ოპონენტებს განსაკუთრებით აცოფებდათ I და II პრინციპიდან III-ზე გადასვლის, მათი აზრით, აბსურდულობა.

მართლაც, ფიხტეს აზრით, რადგან **მე** არის ყოველგვარი რეალობის საკუთარ არსში მთლიანად განმსაზღვრელი წრე, სფერო, ამიტომ მესამე პრინციპში – **მე** ვარ **მე** და **არამე**, **მე** არის **სუბსტანცია.**

დიახ, ერთ წინადადებაში – **მე** ვარ **მე** და **არამე** ფიხტემ ჩაატია ის ფილოსოფია, იმ რეალობის ანალიზი, რომელიც იყო არა ადამიანამდე, არამედ ადამიანის შემდეგ.

დასკვნა:

ფიხტეს ფილოსოფიიდან ნათლად ჩანს, რომ თუ სურვილი გაქვს, შენ ხარ მთელი სამყარო. რადგან მისი აზრით, მე ვარ მე და მე ვარ არამე – მთელი სამყარო.

დიახ, თუ სურვილი გაქვს, შენ ხარ მთელი სამყარო.

ხოლო თუ გაინტერესებს მტკიცებულება, რატომ ხარ მთელი სამყარო, თავიდან გადაიკითხე ეს თავი.

სხვა სიტყვებით, **ფიხტეს ფილოსოფია არის ადამიანის მიერ შექმნილი სამყაროს ფილოსოფია.**

ეს ფიხტემდე აზრად არავის მოსვლია.

შეხედეთ ამ სამ პრინციპს. შეხედეთ ამ ჩემპიონი ბიჭის აზრთა წყობის უბრალოებას, ლაკონურობას და მიხვდებით, რათა დაეშვა ამ უბრალოებამდე, მთელი შენი პოტენციალი უნდა აამუშაო, ათწლეულობით იფიქრო ჭეშმარიტების არსზე, შეისწავლო ფიხტემდე არსებული ყველა ფილოსოფია და თუ მოახერხე ყველაფერზე და, რაც მთავარია, საკუთარ თავზე „ამაღლება", მხოლოდ მაშინ დაეშვები მის „უბრალოებამდე".

რას შესწვდა ფიხტე?

რა უნდოდა მას?

მას უნდოდა, ჩვენთვის გაეგებინებინა, რომ უმაღლესის მიერ შექმნილი სამყაროს გარდა არსებობს ადამიანთა მიერ შექმნილი სამყაროც.

მართლაც, მიმოიხედეთ და გარშემო ადამიანის მიერ უძველესი დროიდან შექმნილ სამყაროს დაინახავთ – პირამიდები, ბაბილონის „დაკიდული ბაღები", არტემიდა ეფესელის ტაძარი, ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება, ჰალიკარნასის მავზოლეუმი, როდოსის კოლოსი და ალექსანდრიის შუქურა – იმ შვიდ საოცრებას, რამაც შემდგომი საოცრებების შექმნა გახადა შესაძლებელი: კომპიუტერი, მობილური, რობოტი, კოსმოსური ხომალდი,...

დიახ, ჩვენ ამ საოცრებების შემქმნელთა სიტყვებით ვმეტყველებთ, ვაზროვნებთ მათი აზრებით, ვმსჯელობთ მათ მისწრაფებებსა და მათ მიერ ნაანდერძევ გეგმებზე. ვხედავთ იმას, რაც აგვიხსნეს და დაგვანახეს, ვცხოვრობთ მათ მიერ შექმნილი და დატოვებული ყოფიერებით, ბუნებით, რომელიც განსხვავებულია ადამიანამდე არსებული ბუნებისგან.

სწორედ ჩემში შემოსული ყველაფერი ეს არის **არამე** და **მე** ვარ **არამე**.

დიახ, ფიხტეს ფილოსოფია ეს არის უმაღლესი შემოქმედის გამგრძელებლის – ადამიანის, როგორც შემოქმედის ფილოსოფია.

სწორედ ესაა იმ თამამი აზრების ორიენტირი, რომლის გარეშე სამყაროს კანონზომიერების წვდომა შეუძლებელია.

მე არაა ინდივიდუალური **მე**. ეს არაა რომელიღაც ინდივიდის აზროვნება. ესაა საყოველთაო აზროვნება, გამომჟღავნებული ცალკეულ ადამიანში – ჩემში, შენში, სხვაში.

ფიხტეს უნდოდა აეხსნა, შეემეცნებინა მთელი ობიექტური სამყარო, რეალობა მთელი სისრულით.

აბსოლუტური **მე** ესაა საკუთარი თავის რეალიზება, რომელიც გადალახავს წინააღმდეგობას თავისუფლებით. **მე** აბსოლუტურად თვითქმედითია. ის არ განისაზღვრება საგნებით, ის თავად განსაზღვრავს საგნებს. **მე** თვითრეალიზდება იმ ფილოსოფიური სისტემის მეშვეობით, რომელიც მიიღწევა ინტელექტუალური, შემოქმედებითი შემეცნებით.

ამიტომ დაარქვა ფიხტემ საკუთარ სწავლებას „მეცნიერული სწავლება".

დიახ, ფიხტეს ფილოსოფია, ეს არის ჯერ არნახული ხედვა რეალობისა. ეს ხედვა იყო გაცილებით უფრო ღრმა, ვიდრე ყველა, მანამდე არსებული ფილოსოფიური გააზრება ერთად აღებული.

ეს არის ის საფეხური, რომლის შემდეგ კაცობრიობამ მიიღო ჰეგელის გამოგნებელი ფილოსოფია.

ფიხტემ ამ ახალი ორიენტირით, მანამდე არსებული დაობებული სივრციდან, სადაც არამე იყო მხოლოდ გარე სამყარო, ახალი ამაღლების, კვანტური ნახტომის შესაძლებლობა შექმნა.

დიახ, ვერავინ დაინახა **არამე**-ში **მე**.

ვერავინ დაინახა **მე** და **არამე**-ში სუბსტანცია, აბსოლუტი.

ეს ის ზღვრული მდგომარეობაა, ის საფეხური, ის სიმაღლე, საიდანაც ერთი მძლავრი ნაბიჯია საკმარისი, რათა მთელი სინათლით, მთელი სიღრმით დაინახო და მიხვდე ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს იოანეს სახარებას 10,34.

გავბედოთ ეს ნაბიჯი.

გავბედოთ ნაბიჯი აბსოლუტისკენ.

ამ ნაბიჯის გადადგმა ჩემში შემეცნების მექანიზმის უფრო ღრმად გააზრებას ითხოვს.

ჩანართი

მე ვარ მე. აქ მთავარია, როგორ დავინახო საკუთარი არსი, საკუთარი მე. ცხადია – **მე**-ს ქმედითობით, აზროვნებით, რადგან მხოლოდ აზროვნება გაგხდის, გაქცევს შენ შენივე ყურადღების ობიექტად. შესაბამისად, **მე** განხილული უნდა იქნას არა მარტო როგორც სუბიექტი, არამედ როგორც ობიექტი. დიახ, **მე** არის საკუთარი თავისთვის ინტერესის, შემეცნების ობიექტი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ფიხტესთვის არსებობს ორი **მე**: **აბსოლუტური** – საყოველთაო, ყველასთვის ერთნაირი **მე** და **ემპირიული მე**. ემპირიული **მე** – დაკვირვებით, ცდით, გრძნობითი სისტემით შემმეცნებელი **მე**.

აბსოლუტური **მე** – თითქოს ემპირიული **მე**-ს უკან მდგომი, ემპირიული **მე**-ს არაცნობიერი **მე**. ემპირიულმა **მე**-მ არც კი იცის, რომ აბსოლუტურმა **მე**-მ შექმნა ის რეალობა, სადაც ახლა ვიმყოფებით. სწორედ მის მიერ შექმნილ ამ რეალობის სფეროში აღმოვაჩენთ თავს, საკუთარ **მე**-ს. ემპირიული **მე** დაძაბული აზროვნებით, ნებისყოფით, ამაღლებული შემოქმედებით, ნაბიჯ-ნაბიჯ იაზრებს, რომ ის და ობიექტების მთელი სამყარო – **არა მე** შექმნა აბსოლუტურმა **მე**-მ. ემპირიული მე იაზრებს აბსოლუტური **მე**-ს მიერ შექმნილ სამყაროს. ფიხტესთვის ამ შექმნილი სამყაროს გარეთ არაფერია.

თუ ფიხტეს აზრით, ყოფიერება არის **მე**-ს აზროვნების პროდუქტი, მაშინ გამოდის, რომ ის აღიარებს ყოფიერების სრულად შემეცნების შესაძლებლობას. ემპირიულ **მე**-ს შეუძლია, შეიმეცნოს ყველაფერი, რაც შექმნა აბსოლუტურმა **მე**-მ და ეს შემეცნება შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ამიტომაა ფიხტესთვის, კანტისგან განსხვავებით, სამყარო შემეცნებადი.

აბსოლუტური **მე**-ს მიერ შექმნილი სამყარო – **არა მე** ემპირიული **მე**-ს წინააღმდეგობისთვის, შემეცნებისთვის შექმნილი ობიექტია. ემპირიულმა **მე**-მ მუდმივად უნდა გადალახოს ეს წინააღმდეგობა. **არა მე** გამოდის როგორც ქმედების აღმძრავი მხარე, რომელიც მოქმედებს ჩვენს მგრძნობელობაზე. ცხადია, რაც უფრო მგრძნობიარე ხარ, მით მეტად ხარ ქმედითი.

არა მე-ს დამოკიდებულებიდან **მე**-ს „გათავისუფლების" მცდელობა არის თვითშემეცნების აქტი. ამ თვითშემოქმედების აქტით ინდივიდი ბადებს **მე**-ს თავისუფლებას. გადალახო **არა მე**-ს მიერ შექმნილი ბარიერები, წინააღმდეგობები არის თვითშემეცნება.

გამოდის, რომ აბსოლუტურმა **მე**-მ ემპირიული **მე**-სთვის შექმნა წინააღმდეგობები და მათი გადალახვით ემპირიული **მე** ხვდება აბსოლუტურ **მე**-სთან საკუთარ იდენტურობას. **არა მე**-ს შემეცნებით ემპირიული **მე** ხვდება, რომ ეს **არა მე** თვითონვეა.

ფიხტეს აზრით, სამყაროს, **არა მე**-ს შემეცნების ეს პროცესი ემპირიული **მე**-სთვის მიმდინარეობს სქემით: შეგრძნება, განჭვრეტა, წარმოდგენა, განსჯა, გონი.

ნათლად გავერკვეთ, რა დამოკიდებულებაა წინააღმდეგობასა და შემეცნებას შორის.

წინააღმდეგობა და შემეცნება

სუბიექტის (მე-ს) გარეშე არ არსებობს ობიექტი (არა მე). სწორედ ესაა იმ სუბიექტური იდეალიზმის არსი, რომელიც ჩამოაყალიბა ფიხტემ.

შესაბამისად, სუბიექტის გარეშე არსებული **არა მე** არის ილუზორული, მოჩვენებითი სამყარო.

ვიმეორებთ, არსებობს ორი არა მე. აქედან ერთი ჩემ მიერ აღქმული, ჩემს ცნობიერში შემოსული რეალური სამყაროა (**არამე**), ხოლო მეორე – ჩემი ცნობიერების მიღმა დარჩენილი, ჩემ გარეთ არსებული ჩემთვის ილუზორული სამყარო (**არა მე**).

ამ ილუზორული სამყაროს მოდულირებით, ჩემს ცნობიერში გადმოსვლით ხდება ილუზორულობის მოხსნა, სამყაროს გარეალურება.

ვიმეორებთ, ერთადერთი რეალობა ვარ მე. შესაბამისად, ჩემ მიერ შემეცნებით აღქმული მოდული უკვე რეალობაა, რადგან ის ჩემშია. ჩემში შემოსული ინფორმაცია გარე სამყაროზე – **არა მე**-ზე შემეცნებით ჰარმონიაში მოდის ჩემში არსებულ რეალურ მოდულთან და იქცევა ცოდნად, რეალობად.

დიახ, ჩემშია რეალობა!

რადგან **მე** ვარ ერთადერთი რეალობა და ჩემთვის გარე სამყარო არის ილუზორული – **არა მე**, გამოდის, რომ მე შენგან, როგორც ილუზორული **არა მე**-სგან, რეალურს ვერაფერს მივიღებ. მე მხოლოდ ვურთიერთობ შენთან და ამ ურთიერთობისას შენგან მე არაფერი „მეძღვნება".

გამოდის, რომ მე **არა მე**-სგან — შენგან, სხვისგან ვერაფერს ვისწავლი.

ეს მსჯელობა შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ.

მართლაც, რას ნიშნავს, სხვისგან ვერაფერს მივიღებ, ვისწავლი?

ნუ ავჩქარდებით, დავფიქრდეთ.

თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ **ეს ნაშრომი, რასაც ახლა თქვენ კითხულობთ, გასაგები იქნება მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, ვისაც აღნიშნულ პრობლემაზე, საკუთარ მე-ს ამაღლებაზე ჩვენამდე უფიქრია, სხვა არც დაინტერესდება და ვერც გაიგებს.**

გამოდის, რომ წიგნის წაკითხვა მასში განხილულ საკითხში გაურკვეველ მკითხველს ვერაფერს შემატებს.

მაშ, რა აზრი აქვს წიგნს?

აქ, თითქოს წიგნის, თუნდაც მასწავლებლის, ფუნქცია საერთოდ დაკნინებულია.

არა.

აქ დაკნინებულია ჩვენი არასწორი შეხედულება წიგნზე, მასწავლებელზე.

წიგნს რომ ვინმეს განვითარება შეეძლოს, მაშინ ამ ცოდვილ მიწაზე განუვითარებელი სანთლით საძებარი გახდებოდა. მართლაც, ყველას უნდა, რომ განათლებული იყოს. თუ ეს სანატრელი განათლება წიგნის საშუალებითაა შესაძლებელი, მაშინ ყველას გვეშველა, რადგან წიგნი არაა ფუფუნების საგანი. ღვთის მადლით, წიგნი ყველასთვის ხელმისაწვდომია. აიღეთ ინგლისური, ჩინური, იაპონური ენების შემსწავლელი ან ფიზიკის, მათემატიკის წიგნები, აითვისეთ და გარწმუნებთ, რომ მაღალანაზღაურებადი სამუშაოს პოვნა, ჩვენთან თუ არა, საზღვარგარეთ ნამდვილად აღარ გაგიჭირდებათ.

აქ მკითხველი აუცილებლად მეტყვის, ჩემს გასანათლებლად მასწავლებლის გარეშე წიგნს აზრი არა აქვსო.

დაუკვირდით, ამ მსჯელობაში თქვენთვის წიგნმა, როგორც შემეცნების საფუძველმა, უკვე გარკვეულწილად აზრი დაკარგა და სრული შემეცნების წყაროდ მხოლოდ მასწავლებელი შემოგვრჩა.

ესეც შეცდომაა.

დავსვათ კითხვა — **ადამიანს არ შეუძლია, გააკეთოს ის, რაც მისთვის არ უსწავლებიათ? — არა.**

ვინ ასწავლა პითაგორას გეომეტრია?

ვაჟას — ლექსების წერა?

პელეს — ფეხბურთის თამაში?

მართლაც, ნეტავ ვინ ასწავლა ალექსანდრე ბელს ტელეფონის გამოგონება?

— მასწავლებელმა? მწვრთნელმა? — ვცდებით!

ეს, რომ მხოლოდ მათ შეძლებოდათ, მაშინ ორი რუსთაველი ან ოთხასი პელე მაინც გვეყოლებოდა.

ვინმე გვეტყვის: – ცალკე აღებული მასწავლებელი ან წიგნი ვერ გვასწავლის, მაგრამ მასწავლებელი და წიგნი ერთად ხომ ასწავლის ადამიანებს?!

პასუხი მარტივია: – თერთმეტი, თექვსმეტი და მეტი წელი წიგნები და მასწავლებლები არ მოგვკლებია, თუმცა შედეგი სახეზეა – როგორც ქვეყანა ვდეგრადირდებით.

ჩვენ ვერ ვაკეთებთ იმას, რასაც ვერ ვგრძნობთ, რისი შინაგანი მოთხოვნილებაც არა გვაქვს.

მართლაც, თუ მასწავლებელმა შეძლო ერთ მოწაფეში რუსთაველის შექმნა, მაშინ მეორე მოწაფემ რა დააშავა?

ამ კითხვაზე პასუხის ძიება აუცილებლად მიგვიყვანს დასკვნასთან:

ვიმეორებთ, ყველაფერი, რაც ვითარდება ჩემში, თუნდაც უსასრულოდ, ვითარდება მხოლოდ ჩემგან, ჩემივე საკუთარი არსის, კანონების შესაბამისად და ამას სხვა, ჩემ გარდა ვერავინ მოახერხებს.

აქედან მეორე დასკვნა:

საგნის, მოვლენის შემეცნებისას მე გარედან სხვისი არაფერი „მეძღვნება".

გამოდის, რომ **გასარკვევია მასწავლებლის დანიშნულება, როლი, მისია.**

ამ საკითხში გასარკვევად აუცილებელია, გავაანალიზოთ ცნება **შემეცნების** არსი.

ცნება **შემეცნება**, ასე ვთქვათ, „ეფუძნება" ცნება **წინააღმდეგობას**.

უფრო ნათლად:

მე ვერ დავადგენ ბეტონის სიმტკიცის ხარისხს, თუ მასზე ზემოქმედება არ მოვახდინე. იმისდა მიხედვით, თუ რა ძალის სიდიდის წინააღმდეგობას გაუძლებს ბეტონის ნიმუში, დგინდება მისი სიმტკიცე. მე ვერასდროს შევიმეცნებ კოსმოსს, თუ არ დავძლიე დედამიწის მიზიდულობა, რაც ეწინააღმდეგება კოსმოსური ხომალდის კოსმოსში გასვლას. სპორტში მეტოქესთან ჩემი დაპირისპირების, წინააღმდეგობის გარეშე შეუძლებელია, შევიმეცნო ჩემი შესაძლებლობის ზღვარი.

დიახ, **წინააღმდეგობის გარეშე შემეცნება არ არსებობს.**

აქედან გამომდინარე, წინააღმდეგობის გადალახვის სურვილი და შემეცნების სურვილი ერთი და იგივეა.

დიახ, თუ ჩემში რაღაც წინააღმდეგობის გადალახვის სურვილი არ აღიძრა, მე არ ავმოქმედდები და, შესაბამისად, ვერ განვვითარდები, ვერ შევიმეცნებ, ვერ გამოვიყენებ ჩემში არსებულ ღვთით მომადლებულ პოტენციალს.

მასწავლებელი, მოწაფესთან მიმართებაში, ის ფასეულობაა, რომ აღძრას მასში წინააღმდეგობის გადალახვის, აქტიურობის სურვილი. დანარჩენს თვით ახალგაზრდაში აპრიორულად უმაღლესისგან ჩადებული უდიდესი პოტენციალი შეძლებს.

სხვა შემთხვევაში მასწავლებელი თავის ფუნქციას კარგავს და იქცევა იმ ოსტატად, რომელმაც შეგირდს ხელოსნობა უნდა ასწავლოს, და არა იმ

იმპულსის წყაროდ, რაც აღსაზრდელში შემოქმედების პოტენციალს აამუშავებდა.

ასევეა წიგნი.

მან უნდა აღძრას ჩვენში აქტიურობა, წინააღმდეგობის დაძლევის სურვილი, რათა ამ წიგნში მოცემული ინფორმაცია ჩემი შემოქმედების, შემეცნების საფუძველი გახდეს.

ცხადია, თუ ცისარტყელას დანახვისას ჩემში არ აღიძრა ინტერესი, აქტიურობა, რათა გადავლახო ამ ფენომენის არსის შემეცნების პროცესში არსებული წინააღმდეგობები, ვერასდროს გავიგებ, რაა ცისარტყელა.

ცხადია, თუ არ დავინტერესდი ჩვენი სოციუმის დეგრადირების მიზეზებით, სულიერი და მატერიალური სიღატაკის არსით და ჩემში არ აღიძრა სიღატაკის დაძლევის, წინააღმდეგობის გადალახვის სურვილი, ვერასდროს გავიგებ, როგორ გამოვიყვანო ჩვენი სოციუმი არსებული მდგომარეობიდან.

აქედან დასკვნა: — **თუ რაიმე საგანი, ფენომენი თქვენში ინტერესს არ აღძრავს, მაშინ ის არ წარმოადგენს თქვენთვის გადასალახ წინააღმდეგობას და თქვენ ამ საგანს, მოვლენას ვერ შეიმეცნებთ.**

მე ვცხოვრობ, ეს ნიშნავს, რომ მე შევდივარ ურთიერთობაში, წინააღმდეგობაში გარე და შიდა სამყაროსთან. ეს ურთიერთობა, წინააღმდეგობა აღძრავს ჩემში იმ აქტიურობას, რომლის გარეშეც საერთოდ შეუძლებელია შემეცნება. მთელი სამყარო — **არა მე**, არის ჩემთვის გადასალახი წინააღმდეგობა, შემეცნების ობიექტი.

დიახ, ამ საწინააღმდეგოთი (**არა მე**-თი) **მე** მხოლოდ მოძრაობაში მოდის. **არა მე**-ს ჩემთვის მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ **მე**-მ ქმედება დაიწყოს.

ამ პირველაღმძრავის გარეშე **მე** ქმედებას არ დაიწყებდა.

დიახ, **მე**-ს **არსი ქმედებაა. ქმედების გარეშე ის არასდროს იარსებებს.**

მე-სთვის აღმძრავს (პირველმამოძრავებელს) ერთადერთი ფუნქცია აქვს — აღძრას ის საწინააღმდეგო ძალა, რომელსაც მხოლოდ **მე** შეიგრძნობს.

როგორც აღვნიშნეთ, პირველაღმძრავი შეიძლება იყოს არა მარტო სხვა ადამიანი, არამედ საგანი, მოვლენა, ფენომენი. მაგ., ალპინისტისთვის — მწვერვალი, მეზღვაურისთვის — ოკეანის ჰორიზონტი და საერთოდ ყველაფერი, რაც **მე**-ს უღვიძებს წინააღმდეგობის გადალახვის ინტერესს, სურვილს, ყველაფერი, რაც მახსენებს თავს, იწვევს ჩემში შეგრძნებებს.

გამოდის, რომ ჩემთვის გრძნობადი მთელი სამყარო შეიძლება იყოს პირველაღმძრავი, ჩემი ქმედების საფუძველი.

ამ ლოგიკით ადვილია, პასუხი გავცეთ ყველა დროსა და სივრცეში არსებულ კითხვას — რატომაა ერთი ადამიანი უფრო შედეგიანი, ვიდრე მეორე?

ვთქვათ, მიმდინარეობს ურთიერთობა **მე**-სა და **შენ**-ს შორის. მე ვარ შენთვის პირველმამოძრავებელი, ქმედების აღმძრავი და როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობით გავარკვიეთ, ჩემგან შენ არაფერი „გეძღვნება".

ასევე, შენ ხარ ჩემთვის ქმედების აღმძრავი და შენგან მე არაფერი „მეძღვნება", მაგრამ შენ ჩემთვის ხარ ძვირფასი ადამიანი, ამაღლებული გრძნობის სამყარო. ცხადია, მე შენგან ქმედების უმძლავრეს იმპულსს ვიღებ, ვხდები აქტიური და მინდა შევიმეცნო ყველა ის ბარიერი, რაც ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრებაში გვიშლის ხელს. ეს აქტიურობა მეტ-ნაკლებად ავითარებს ჩემი შემეცნების უნარს, ინტელექტს.

ბოროტება მაშინ იწყებს აღზევებას, როცა შენ გარშემო არ მოიძებნება შენთვის იმდენად ძვირფასი ადამიანი, რომლისადმი სიყვარული შენში აღძრავდა იმ მაქსიმალურ აქტიურობას, რის გარეშეც შენივე ამაღლება, განვითარება, უძლეველობა გამორიცხულია.

დიახ, თუ თქვენთვის არ არსებობს ასეთი ადამიანი, თქვენ უბრალოდ გონებაჩლუნგობისთვის ხართ განწირულნი.

ამრიგად, შეუფასებელია ქრისტიანობის საფუძვლის — **„გიყვარდეს მოყვასი შენი"**-ს უდიადესი ძალა.

სიყვარული ის ფენომენია, რომელიც შენში ქმედების უდიდეს იმპულსს ბადებს. მოყვასის სიყვარული, უპირველესად, შენ გამაღლებს, შენ განვითარებს.

დიახ, მხოლოდ სიყვარულს შეუძლია დაგაპყრობინოს ევერესტი, დაგაწერინოს „მერი", ფარდობითობის თეორია,...

როდის მივხვდებით, რომ **ქრისტიანობა — მოყვასისა და სამყაროს სიყვარული — ესაა სიცოცხლის ძალის, განვითარების, აქტიურობის და არა მორჩილების, დაჩოქების, პასიურობის რელიგია.**

გამოდის, რომ ჩემში და ჩემ გარშემო არსებული გრძნობათა სამყარო ჩემს ამოქმედებაში უდიდეს როლს ასრულებს.

დიახ, ჩემ გარშემო არსებულ გრძნობათა სამყაროში **მე** ვარსებობ მხოლოდ როგორც ქმედითი, შემოქმედი.

მხოლოდ წინააღმდეგობა ამამოქმედებს მე.

მხოლოდ ქმედითს შემიძლია გრძნობათა სამყაროში საკუთარი თავის შემეცნება.

დიახ, ესაა შემეცნება.

შემეცნების გარეშე ჩემს აქტიურობას არავითარი თვითშემეცნება არ მოაქვს.

თავის მხრივ, თვითშემეცნების გარეშე ვერ შევწვდები **არა მე**-ს — მთელ სამყაროს.

ამიტომ მოგვცა ღმერთმა გრძნობათა სამყარო.

ჩანართი

ერთი მხრივ, ზემოთ მოყვანილი შეხედულებები თითქოს არ არის მოკლებული დამაჯერებლობას, მეორე მხრივ, წიგნის, მასწავლებლის მთავარ ფუნქციად ინტერესის აღძვრის გამოცხადება შეიძლება მრავალი ადამიანისთვის სადისკუსიო აღმოჩნდეს.

როგორც აღვნიშნეთ, ამ პრობლემაში გარკვევის ამოსავალი წერტილია კითხვა: – ვინ ასწავლა ვაჟას სამყაროს შემეცნება, ტიტანური აზროვნება? – მასწავლებელმა? და თუ ეს ასეა, იმ გენიოსმა რატომ მეორე ვაჟა არ გაზარდა? ან თავად, საკუთარ თავთან მიმართებაში, რატომ არ გამოიყენა ღვთისგან მინიჭებული ეს გამაოგნებელი მადლი?

ამ პრობლემის განხილვისას დიდად დასაფიქრებელია კლასიკოსის აზრი აღმზრდელთან მიმართებაში: „... მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა...'' და ბუნების მხრიდან დანაშაულებრივი გულგრილობა, მოზარდის მიმართ უყურადღებობა, გადადის უმაღლეს დანაშაულში, ქრისტიანულ უმძიმეს ცოდვაში, მასწავლებლის მხრიდან სუიციდში: „...სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ...''

შესაბამისად, ამ შემთხვევაში დანაშაულის პრევენციის საშუალებების ძიებას თვით ბუნების აღზრდის აუცილებლობასთან, მკურნალობასთან მივყავართ, რათა ბუნება გათავისუფლდეს პათოლოგიური ქვენაგრძნობებისგან, მანკიერებისგან, კორუფციისგან, მიკერძოებისგან და თანაბარი ყურადღებით მოეპყროს ყველა აღსაზრდელს.

ეს, ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, თუ სერიოზულად გვაინტერესებს შემეცნების, განვითარების პრობლემა, მაშინ დავსვათ გულუბრყვილო კითხვა – ფრაზაში „...თუ ბუნებამც არ უშველა...'' ცნება „ბუნებაში'', „ბუნებისგან შველაში'' რა იგულისხმება?

განრისხებული პასუხი: **– რას ჰქვია ბუნებაში რა იგულისხმება?! – რა და ბუნება! –** მხოლოდ ჩვენს ინფანტილიზმს ამჟღავნებს.

თუ დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ იმ „ბუნებაში'' გარკვევა, რომელზეც, თურმე ნუ იტყვი და, ჩემი სიცოცხლე, განვითარება, ბედნიერი ცხოვრებაა დამოკიდებული, უმნიშვნელოვანეს საკითხად წარმოგვიდგება.

მართლაც, რა იგულისხმება ცნება ბუნებაში – ის გარემო, სადაც დაიბადა, გაიზრდა სუბიექტი, თუ პირდაპირი გაგებით – ორგანული ბუნება, ბიოსფერო?

იქნებ, ზემოხსენებულ ბუნებაში ადამიანის ბუნება იგულისხმება?

თუ ამ უკანასკნელზე შევჩერდებით, მაშინ, ერთი შეხედვით, საკითხი მარტივდება და თვითშემეცნებასთან დაკავშირებულ პრობლემაზე დადის.

აქ მეტ-ნაკლებად განათლებული ადამიანი უცილობლად დაგვეთანხმება, რომ გარემო, ბიოსფერო, თვით ადამიანი თავისი არსით იმ უნიკალური ფენომენის ორგანული შემადგენელი ნაწილია, რასაც ბუნება, სამყარო ჰქვია.

თავისთავად ცხადია, სამყაროს შემადგენელი ნაწილის – ადამიანის ბუნებასა და თვითშემეცნებასთან დაკავშირებულ საკითხებში, შეძლებისდაგვარად, სრულყოფილი გარკვევა სამყაროს ზოგადი კანონზომიერების მეტ-ნაკლებად გააზრებას ითხოვს.

კანონზომიერების მაძიებელნი

გალაქტიკების მკვეთრი და არამკვეთრი ნათებები, ჰორიზონტის გამაოგნებელი ხაზი, ოკეანის გრანდიოზული ტალღების გრაციოზულობა, წარმოდგენილ ფერთა უსაზღვრო ჰარმონია... ესაა აბსოლუტის შემოქმედების იდეალური ტილო, რომელიც უნიკალური კანონზომიერებით იცვლება ან წამის მემილიონედ, ან მილიარდი წლის განმავლობაში. ამ ტილოზე გამოსახულია

მთელი სამყარო, მატერიალურიც და არამატერიალურიც – სულითა და აზრებით. ეს აბსოლუტური კანონზომიერება ყოველ წამს განსაცვიფრებელ სკულპტურებს ქმნის: ყინვით ურთულეს ორნამენტებს ჩვენს მინებზე, თვალისმომჭრელ ელვას, ვარსკვლავიან ცას, გალაქტიკების უსასრულო სპირალებს, აყვავილებულ ველს და ამით განუმეორებელი არომატით, ემოციით, გრძნობით ავსებს ჩვენ გარშემო ჰაერს, სივრცეს. და ეს დამატყვევებელი სიმფონია გამაოგნებელი ჰარმონიით განუწყვეტლივ იცვლება, გარდაიქმნება, გადადის ახალ მდგომარეობაში - ვითარდება.

აი, ესაა ყველა ჭეშმარიტების იდეალური ფორმა და ამ უდიადეს შემოქმედებაში, ამ უმაღლესი ჭეშმარიტების, ჰარმონიისა და კანონზომიერების დღესასწაულის ფონზე, ჩემ ირგვლივ მიმოფანტულია ნაგლეჯები, ნაფლეთები ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე.

და სული აჩეხილია, სისხლისგან იცლება.

აქ ჰაერიც კი გამოფიტული და უსიცოცხლოა.

სივრცე სავსეა გაციებული, გამოთაყვანებული თვალებით ან გონებასუსტის გაფანტული, უაზრო, არაფრისმეტყველი, სულისშემძვრელი ღიმილით.

და დგახარ განადგურებული სულით, აუტანელი, პულსირებადი ტკივილით...

სწორედ ეს ტკივილი მკარნახობს, მიბიძგებს ქმედებისკენ, რათა დავბადო ჩემში ის სინათლე, ის იდეალური, რაც თავისთავად, უბრალოდ არ არსებობს ჩვენ მიერვე გათახსირებულ მიკროსამყაროში, რომელიც საერთო იდეალისგან გაუცხოებულია.

დაუკვირდით, ეს უდიადესი სინათლე ჩვენთან უბრალოდ არ არსებობს, მაშინ, როდესაც მთელ სამყაროში არსებობს როგორც უბრალო.

სამყარო ისაა, სადაც ეს სინათლე, აბსოლუტური კანონზომიერება მოქმედებს. დიახ, კანონზომიერება მოქმედებს იმის მიუხედავად, ვხედავთ, თუ ვერ ვხედავთ, ვგრძნობთ, თუ ვერ ვგრძნობთ, გვესმის, თუ არ გვესმის, აღვიქვამთ მას თუ ვერა.

კანონზომიერებასთან ჰარმონიაში ყოფნა სიცოცხლეა, განვითარებაა, ხოლო კანონზომიერების გარეშე – მხოლოდ არსებობა, რეგრესი.

განათლებულ ადამიანთა ისტორია კანონზომიერების აღმოჩენისა და გამოყენების ისტორიაა.

რა არის ეს სამყარო, რისგან შედგება მატერია, სოციუმი და რა კანონზომიერებას ემორჩილება?

კანონზომიერება ეს ის ორიენტირია, რომელიც პრობლემის წინაშე მყოფ მეცნიერს, მკვლევარს სწორი გეზის, გადაწყვეტილების არჩევასა და შემთხვევითობის გამორიცხვაში ეხმარება.

ყველა გამოცდილმა ოქროს მაძიებელმა მშვენივრად იცის, თუ სად დაიწყოს ოქროს ძიება და როცა პირველ თვითნაბად ოქროს ნამცეცს აღმოაჩენს, მისი ადგილმდებარეობა და პირობები მას უკვე ძიების მიმართულებასა და სიღრმეს კარნახობს. ვინც კანონზომიერება არ იცის, მისთვის ეს ნაპოვნი ოქროს ნამცეცი შემთხვევითობაა, რომელიც ვერასდროს

მიიყვანს მაძიებელს შედეგამდე – ოქროს საბადომდე. ხოლო კანონზომიერების მფლობელი მაძიებლისთვის იგივე შედეგი – ოქროს ნამცეცი – ოქროს საბადომდე პირდაპირი ორიენტირია.

და რაც ყველაზე მთავარია, კანონზომიერების ცოდნას კაცობრიობა ისეთ დიდ აღმოჩენებთან და მნიშვნელოვან მიღწევებთან მიჰყავს, რასთან შედარებით ოქროს საბადოც არაფერია.

უნდა გვახსოვდეს, რომ თუ კანონზომიერების ძარღვს გავყვებით და რაიმე მნიშვნელოვანს აღმოვაჩენთ, უნდა განვაგრძოთ ამ კანონზომიერების სიღრმისეული კვლევა და მიზანს უცილობლად მივაღწევთ.

დიახ, მთელი სამყარო აბსოლუტური კანონზომიერებითაა გაჟღენთილი. მას მხოლოდ უგუნურნი, სიცოცხლის წყურვილს მოკლებულნი, აზრობრივი სინათლის არმქონენი ვერ ამჩნევენ, ვერ ამჩნევენ იმ აბსოლუტურ კანონზომიერებას, რაც სამყაროში თავდაპირველად ჭეშმარიტი სილამაზით ვლინდება.

გამაოგნებელია ბუნება და ამ მშვენიერების ფონზე ის სულიერი სიმახინჯე, სიღატაკე, გონივრულობის დაქვეითება, რითაც გადაჯერებულია ჩვენი სოციუმი, სამყაროსთან გაუცხოების, აბსოლუტის კანონზომიერების არეალიდან გასვლის დასტურია და ეს პროცესი დღეს არ დაწყებულა.

დიახ, სამყარო ეს ის არეალია, რომელიც სისულელის გარდა ყველასა და ყველაფრის ნავსაყუდელია. უგუნურობით სიცოცხლისგან გაუცხოება ევოლუციისგან განდგომას, ჩიხში შესვლას, სამყაროს კანონზომიერებიდან გასვლას ნიშნავს.

სამყაროში ვითარდება ყველა ხილული თუ უხილავი მოვლენა. სამყარო გვიზიდავს...

ამაღლებული აზროვნება სამყაროში მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა.

დიახ, ხშირად, ძალიან ხშირად ეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები რენტგენის გამოსხივებასავით უხილავია, თუმცა ის არსებობს. სამყაროს აღქმისთვის აუცილებელია, შეცვალო ხედვის კუთხე. ყურადღებით დაუკვირდი საკუთარ ცხოვრებას, გააანალიზე და მაშინ ამ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს მკვეთრად და ნათლად დაინახავ.

თუ ადამიანი რამეზე დიდხანს ფიქრობს, კანონზომიერების ძიებაშია, მაშინ ადრე თუ გვიან, ეს აზრი გამოვლინდება, გადავა შედეგში, რადგან ძიება, ქმედება პროვოცირებას უკეთებს სხვა ქმედებებს და ეს აყალიბებს მაძიებლის ჩვევას, რაც განვითარებული ადამიანის ხასიათის ძირითადი განმსაზღვრელი და, შესაბამისად, მიზნის მიღწევის აუცილებელი პირობაა. სწორედ ეს განსაზღვრავს ჩვენს მომავალს, ბედს.

კანონზომიერების მაძიებელი ადამიანი ნერგავს აზრს, სურვილს, ქმედებას და სამყარო მას შესაბამის ნაყოფს – წარმატებას, ბედნიერებას უბრუნებს.

თუ გინდა მიიღო, უნდა იაზროვნო, იმოქმედო, გასცე. ბედნიერებისკენ სხვა გზა არ არსებობს.

არ შეიძლება სამყაროსგან რაღაც აიღო ისე, რომ რაღაც სანაცვლოდ არ დააბრუნო. ესაა აბსოლუტური კანონზომიერების ფუნდამენტური კანონი – ენერგიის მუდმივობის კანონი.

აღება მხოლოდ იმისი შეიძლება, რისი დაბრუნებაც შეგიძლია.

დიახ, სამყარო გვაძლევს უფლებას, ავიღოთ კრედიტითაც, თუმცა უცილობლად მოგვიწევს დაბრუნებაც, მაგრამ უკვე პროცენტებით.

შეუძლებელია, შესწვდე კანონზომიერებას, თუ ამ კანონზომიერების შესამეცნებლად ენერგიას არ დახარჯავ.

სამწუხაროდ, დიდი ხანია, რაც ჩვენი სოციუმი უგულებელყოფს ჭეშმარიტების, კანონზომიერების ძიებას.

ქართულმა „საზოგადოებამ“ თავისი გულგრილობით 28 წლის ტატო (1817-1845) სიცოცხლეს გამოასალმა და მისი აზროვნების სიმაღლით არც კი დაინტერესებულა. იმ დროს, როცა ჩვენი „საზოგადოება” უდიდესი ინტერესით, დიდი გულმოდგინებით მსჯელობდა ჩიხირთმისა თუ ბოზბაშის უპირატესობაზე.

სწორედ ამ დროს, ინგლისელ კანონზომიერების მაძიებელ ჰენრი ბესსემერს (1813-1898) უკვე გამოგონებული აქვს მარკების დასამზადებელი ნემსისებური შტამპი, შაქრის ლერწმის საპრესი მანქანა, ცენტრიდანული ტუმბო და უკვე სამხედრო იარაღის წარმოებისთვის ფოლადის ჩამოსხმის ახალ, ეკონომიურ მეთოდს ეძებს.

აქ უმნიშვნელოვანესია, რომ ჩვენი „საზოგადოება” კლავს ტატოს, ხოლო ინგლისის საზოგადოება ჰენრი ბესსემერს საკუთარი პოტენციალის სრულად გამოვლენის საფუძველს უქმნის.

ბესსემერის მაგალითი მოგვყავს აღმოჩენათა კასკადის წარმოქმნის, ურთიერთდამოკიდებულების იმ კანონზომიერებაში გასარკვევად, რომელიც ჩვენ გვაკლია და ყველაზე მეტად გვჭირდება.

ბესსემერი 1856 წელს მიზანს აღწევს. ქმნის კონვერტერს, რომლის საშუალებით თუჯისგან ფოლადის მიღებაა შესაძლებელი.

ეს მეთოდი მის სახელს ატარებს.

მოგეხსენებათ, თუჯი მყიფე მასალაა, არ ექვემდებარება ჭედვას და გლინვას. თუჯისგან ფოლადის მისაღებად საჭიროა მასში არსებული მინარევების კონცენტრაციისა და ტემპერატურის რეგულირება. ბესსემერმა კონვერტერში 1200 გრადუსამდე გახურებულ თუჯს ქვემოდან ჟანგბადის ჭავლი მიაწოდა. დაჟანგვის რეაქციისას გამოიყოფა დამატებითი სითბო და ამით, ერთი მხრივ, საწვავის ეკონომიასთან გვაქვს საქმე, მეორე მხრივ, შესაძლებელია გამდნარ ლითონში მინარევების კონცენტრაციის რეგულირება. ბესსემერის გამოგონება საშუალებას იძლეოდა, მიეღოთ ფოლადის გამოდნობის სწრაფი და იაფი მეთოდი. თუმცა ამ მეთოდს ჰქონდა ხარვეზიც.

ბესსემერის მეთოდით ფოლადის მიღება ხანმოკლე პროცესია. ის დაახლოებით 15 წუთს გრძელდება, რის გამოც რთულია, ზუსტად დადგინდეს ჟანგბადის მიწოდების რეჟიმი. ჟანგბადის მიწოდების დრო და ოდენობა

ფოლადის ტემპერატურასა და ფოლადში ნახშირბადის კონცენტრაციას განსაზღვრავს. ეს უკანასკნელი კი – ფოლადის ხარისხს.

ხარისხიანი ფოლადის მისაღებად აუცილებელია 1600 გრადუსამდე გამდნარ ფოლადში ნახშირბადის კონცენტრაციის ცვალებადობის, დინამიკის მყისიერი დადგენა. ვინაიდან, გამდნარი მასის ტემპერატურისა და მინარევების კონცენტრაციის გაზომვა შეუძლებელია, რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი ამ პარამეტრების გამოსხივებით დადგენა.

გამარჯვების ერთი ნაბიჯი – ფოლადის მიღება, მეორეს – გამოსხივების შესწავლას ითხოვს და სითბური გამოსხივება მკვლევართა ყურადღების ცენტრში ექცევა.

თუ თქვენმა აზრმა, აღმოჩენამ ახალი აზრები და ამოცანები არ დაბადა, თქვენი მიღწევა შემთხვევითია. არაგანვითარებადი აღმოჩენა კი ფასეულობას არ წარმოადგენს.

სითბური გამოსხივების კანონზომიერებაში გასარკვევად ყურადღება მიაქციეს ერთ ფაქტს – როდესაც ორ, ზომით ერთნაირ ქვისა და რკინის ბურთულას მაღალ ტემპერატურაზე ახურებდნენ, ქვის ბურთულა რკინის ბურთულაზე უფრო ძლიერ ანათებდა.

თითქოს გამოდის, რომ სხვადასხვა მასალისგან დამზადებული გახურებული სხეულების გამოსხივების სპექტრები განსხვავდება.

აღმოჩნდა, რომ მთლიანი ბურთულების ნაცვლად, გამოფუღრულ ბურთულებს თუ ავიღებთ და შიგნიდან, მცირე ხვრელიდან გამოსხივების სპექტრს შევისწავლით, მაშინ ეს გამოსხივება ნივთიერების გვარობაზე უკვე აღარ იქნება დამოკიდებული. სწორედ ასეთი უნივერსალური გამოსხივების ფუნქცია შემოიტანა მეცნიერებაში გუსტავ რობერტ კირხოფმა (1842-1887).

თუ იცით გამოსხივების უნივერსალური ფუნქცია, გახურებული სხეულის გამოსხივების სპექტრით, შესაძლებელია ტემპერატურისა და მინარევების კონცენტრაციის დადგენა.

ბესსემერის მეთოდით ფოლადის დნობისას კონვერტერის ყელიდან ამოფრქვეული, გახურებული მასის გამოსხივებით შესაძლებელი გახდა, ნახშირბადის კონცენტრაციის დადგენა და როდესაც ის სასურველ ნიშნულს აღწევდა, ჟანგბადის მიწოდება წყდებოდა.

კაცობრიობამ მიიღო მაღალხარისხიანი, იაფი ფოლადი. ფოლადის გამოდნობამ გაუგონარ მასშტაბებს მიაღწია.

შედეგად, არნახულ ტემპებს იღებს ინდუსტრია – რკინიგზის მშენებლობა, გემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა, სამხედრო იარაღის წარმოება,...

ლონდონში 1863 წელს იხსნება მეტრო.

ჩვენთან ჯერ კიდევ ბატონყმობაა. ლუარსაბი ჭერში ბუზებს ითვლის და „საზოგადოება" ისევ უდიდესი ინტერესით, დიდი გულმოდგინებით მსჯელობს ჩიხირთმისა თუ ბოზბაშის უპირატესობაზე.

დაუკვირდით, რა მრავალფეროვანია, ჩვენი ერთფეროვნება.

ჩანართი

არ იფიქროთ, რომ ილიას ჭამა-სმაზე ორიენტირებული პერსონაჟები – ლუარსაბი და დარეჯანი დაქვეითებული თავადაზნაურობის სახეებია და სრულად არ ასახავენ საქართველოს ბედზე მოფიქრალ, განათლებულ ელიტას.

ამ მხრივ, საინტერესოა გრ. ორბელიანის წერილი დ. ყორღანაშვილისადმი: „გუშინ დასრულდა მეოცე ღამე ქორწილში ყოფნისა. უკანასკნელი ორი ღამე იყო მეტად სამაგალითო. აგიწერ, მაგრამ საღერღელი არ აგეშალოს ლხინისა. ბილეთებით ვიყავით მოწვეული საზანდარის ქორწილში. დანიშნულ საათს სამისას, მირზაჯან-იაგორ სტეფანიჩი, მელიქსაზედ, მე, იერუსალიმსკი, იოსებ ეთიმოვი და სხვანი ათამდე, ოთხის ფარნით მივედით სახლთან, შევედით დარბაზში, თეჯირებით და მაყლებით გამართულში, სადაც დაგვხვდნენ, დასტა-დასტა კარგნი კამპანიანნი”.

ეს იმ დროს, როცა მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედი, მისი დისშვილი – ტატო სიღატაკეში კვდებოდა.

უკომენტაროდ

კანონზომიერების არხი

დაუკვირდით კანონზომიერების მახასიათებელ ერთ-ერთ საინტერესო თვისებას.

კანონზომიერების ყველა აქტიურმა მაძიებელმა იცის, რომ ერთ აღმოჩენას აუცილებლად ახალი ამოცანები, ახალი აღმოჩენები მოჰყვება.

გამოსხივების უნივერსალური ფუნქციის დადგენამაც ახალი ამოცანა – მის არსში გარკვევა მოითხოვა.

მრავალი წლის განმავლობაში არ არსებობდა თეორია, რომელიც სითბურ გამოსხივებასთან დაკავშირებულ ექსპერიმენტს მართებულად აღწერდა. ამ მოვლენის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას გერმანელმა ფიზიკოსმა მაქს პლანკმა (1858-1947) ტიტანური შრომა შეალია. მან სითბურ გამოსხივებაზე მანამდე არსებული ფრაგმენტული წარმოდგენები, მოსაზრებები ერთ მთლიან სურათად შეკრა და ერთი შეხედვით, უმარტივესი ფორმულით გამოსახა:

$$E = h\nu$$

სადაც **h**-ს მან მსოფლიო მუდმივა დაარქვა, მოგვიანებით კი მას პლანკის მუდმივა ეწოდა. ამ ფორმულამ შეძლო, აღეწერა გახურებული სხეულის გამოსხივების სპექტრის უცნაურობა, თუმცა, ის მანამდე არსებულ არათუ შეხედულებებს, არამედ ინტუიციასაც კი ეწინააღმდეგებოდა.

პლანკი იმედოვნებდა, რომ ამ დამოკიდებულებას უკვე ცნობილი კანონზომიერებით აღწერდა. თუმცა, მისი მცდელობა, ეს მოვლენა მანამდე არსებული ფიზიკით აეხსნა, უშედეგოდ დასრულდა. მაშინ მან დაუშვა თითქმის სიგიჟე – გამოსხივება მიმდინარეობს კვანტებით, პორციებით.

ეს, მართლაც სიგიჟე იყო, რადგან მანამდე არსებული ფიზიკა ამტკიცებდა, რომ გამოსხივება ტალღური ბუნებისაა და მისი წყვეტადობა

დაუშვებელია, უაზრობაა. მან არ იცოდა, რომ ამ უაზრობით, სიგიჟით ბუნების ახალი კანონზომიერება აღმოაჩინა. პლანკისთვის გამაოგნებელი აღმოჩნდა ეს მიგნება, რაც მას ძალიან აწუხებდა. ხვდებოდა, რომ ამით კლასიკური ფიზიკა დაანგრია. ფიქრობდა: – ნუთუ კერძო პრობლემის გადაჭრის მცდელობისთვის უნდა განადგურდეს ყველაფერი, რაც მანამდე დაგროვდა? ძალიან ძვირი ხომ არ დაჯდა გამოსხივების ახსნა?

მართლაც, დამკვიდრებულ ლოგიკაზე აღზრდილი ადამიანისთვის ძალიან რთული იყო ამ ლოგიკისგან განდგომა.

მოგვიანებით, ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმულ სიტყვაში მან განაცხადა, რომ იმ დროს კვანტის არსებობის დაჯერება ნიშნავდა ბუნების მიზეზ-შედეგობრივი, უწყვეტი კავშირების დარღვევას.

რათა აღიარო კვანტის არსებობა, არაა საკმარისი მხოლოდ ინფორმატიულობა, ანალიზი. აუცილებელია წარმოსახვა, აზრის დიდი ძალა, ფანტაზია და თეორიის მოულოდნელი წინასწარმეტყველების წინაშე აღუწერელი სითამამე.

1900 წელს 14 დეკემბერს, პარასკევს ფიზიკოსთა საზოგადოების სააქტო დარბაზში, უამინდობის გამო, მცირე აუდიტორიის წინაშე პლანკმა წაიკითხა მოხსენება – ”ნორმალურ სპექტრში ენერგიის განაწილების კანონის თეორია.” იქ დამსწრეთათვის ეს იყო ცუდი ამინდისა და აბსურდის ნაზავი, არავინ იცოდა, რომ ამ წამს, ამ მომენტში დაიბადა ახალი ლოგიკა, ახალი აზროვნება – კვანტური ფიზიკა.

მართლაც მარტივია ეს ფორმულა:

$$E = h\nu$$

ძალიან, ძალიან მცირეა პლანკის მუდმივა – **h.**

სააქტო დარბაზში მსხდომნი ვერ მიხვდნენ, რომ გაიღო ის უმცირესი კარი – **h**, რითაც ცივილიზაცია ახალ, უდიდეს სამყაროში გადავიდა.

ეს აღმოჩენა აინშტაინის ყურადღებას იპყრობს. იქმნება ფარდობითობის სპეციალური და ზოგადი თეორია, ფოტოეფექტის კვანტური თეორია, სითბოტევადობის კვანტური თეორია.

პლანკის ფორმულამ დასაბამი მისცა კაცობრიობაში დღეს არსებულ ყველა ტექნოლოგიურ ფასეულობას – მობილური ტელეფონიდან არდაწყებული და კოსმოსური ხომალდებით არდამთავრებული.

და თუ გვინდა, ავმაღლდეთ, თუ გვინდა პროგრესი, თუ გვინდა ბედნიერება, ჩვენც უნდა გავიაროთ ეს უმცირესი კარი და არსებული დამყაყებული ლოგიკა ახალი, ამაღლებული, ორიგინალური ლოგიკით შევცვალოთ. ახალი, კვანტური ლოგიკით შევხედოთ სამყაროს კანონზომიერებას.

თვით **კანონზომიერებიდან გამომდინარეობს ანალოგიის პრინციპი და სისტემათა თეორია.**

შევეცადოთ, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ.

დიდ გააზრებას არ მოითხოვს იმისი დანახვა, რომ აბსოლუტს, სამყაროს კანონზომიერებას აქვს ჯერ ჩვენთვის გაუცნობიერებელი მიზანი. კანონზომიერება თითქოს ამ მიზნისკენ არხს, ორიენტირს ქმნის. საკმარისია, თქვენ რაიმე მოვლენის ახსნის მცდელობისას კანონზომიერებას შემთხვევით ან გააზრებულად შეეხოთ, რომ უკვე ამ კანონზომიერების არხში, საზღვრებში აღმოჩნდებით და თუ ფოლადისებურ ნებისყოფას გამოავლენთ, რათა კანონზომიერების ენა შეისწავლოთ, მიზნამდე სვლა თითქოს თავისთავად მიმდინარეობს. თითქოს კანონზომიერების არხი შეცდომის დაშვებისგან გიცავთ. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ თქვენ შემეცნებით, ამაღლებით, ცოდნით, ინფორმაციულობით იმ ინტელექტუალურ დონეს მიაღწიეთ, რასაც ჩვეულებრივ ენაზე შემოქმედს ვუწოდებთ. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც თქვენ კანონზომიერების ენას მეტ-ნაკლებად აღიქვამთ, ფლობთ.

და ეს ყოველ ჩვენგანს შეუძლია, ყოველ ჩვენგანშია ეს უსაზღვრო პოტენციალი, სწორედ ამას გვიმტკიცებს საკუთარი ფილოსოფიური სისტემით ფიხტე.

ამრიგად, მოგვეთხოვება სამყაროს კანონზომიერების თვალით, გონივრული ხედვით შევხედოთ და არა ჩვენი ილუზორული წარმოდგენებით.

მართლაც, პლანკამდე დაგროვილი იყო უდიდესი ინფორმაცია გარე სამყაროს მოვლენებსა და მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე. თითქოს აბსოლუტმა მიზანმიმართულად დააგროვა ეს ცოდნა, რათა მდინარის ანალოგიურად, მიზნამდე არსებული წინაღობა გაენგრია და კაცობრიობა განვითარებისკენ მეყსეულად გადაეყვანა.

ეს გარღვევა იმ ტრანსცენდენტურ ადამიანთა ხვედრია, რომელთა ნებისყოფას, ძიების წყურვილს, პოტენციალს ვერავითარი ბარიერი აღუდგება.

შევიდეთ პლანკის სამყაროში. ფიქსირდება მოვლენა (უნივერსალური გამოსხივება), რომელიც მანამდე არსებული ცოდნით, გამოცდილებით, შეხედულებებით, ინფორმაციით არ იხსნება. თითქოს, აბსოლუტი იქამდე არსებული ლოგიკის უარყოფას და ჭეშმარიტების ახალ დონეზე გადასვლას გაიძულებს.

ალბათ ნიკალასავით პლანკსაც წმინდა გიორგი ადგა თავზე მათრახით – დაწერე, ახალი თეორია დაწერეო!

ჩვენთვის კი, როგორც ჩანს, წმინდა გიორგიმაც ვერ მოიცალა. ყოფილ ლენინის მოედანზე, ლენინის ძეგლის ნაცვლად, ლენინის სამშობლოდან იმპორტირებული წმინდა გიორგის მოოქროვილი ძეგლის დადგმამაც კი ვერ გვიშველა.

მეცნიერების ისტორია, ადამიანთა ისტორია, ნებისყოფისა და გააზრების უნარის მქონე ადამიანთა მეშვეობით, დაგროვილი ცოდნით, პოტენციალით ჭეშმარიტების ახალი დონის წვდომის, გარღვევის ისტორიაა.

ეს ურთულესი, მაგრამ აუცილებელი პროცესია და ეს აბსოლუტმა საკუთარი ჯვარცმითა და ამაღლებით დაგვანახა.

სწორედ ამით იხსნება ჩემში, როგორც შემოქმედში, მისი არსებობა. აი, ეს იცოდა სოკრატემ, ეს იცოდა ვაჟამ, გალაკტიონმა, ნიკალამ, ნილს ბორმა, პლანკმა, აინშტაინმა,... ეს, მათ განიცადეს საკუთარი შემოქმედებით, ნებისყოფით კაცობრიობის განვითარების ახალ დონეზე საკუთარი მხრებით გადაყვანის, ამაღლების დღესასწაული.

გადახედეთ ადამიანთა განვითარების ისტორიის ფრაგმენტს – ბესსემერი, კირხოფი, პლანკი, აინშტაინი, ბირთვული ერა... ნილ არმსტრონგის სიტყვები მთვარიდან: – ადამიანის ეს მცირე ნაბიჯი კაცობრიობისთვის უდიდესი ნახტომია.

ჩვენ სწორედ ამ კანონზომიერების ჯაჭვიდან ვართ ამოვარდნილნი და შემოქმედი ადამიანისთვის ამაზე საშინელი არაფერია.

მართლაც, რაა ადამიანი, შემთხვევით გაჩენილი განვითარებული ცხოველი შემთხვევით წარმოქმნილი აზროვნების უნარით, თუ მაღალი ინსტანციის, აბსოლუტური გონის მიერ შექმნილი უმაღლესი არსება, რომელიც ამ სამყაროში განსაკუთრებული მისიითაა მოვლენილი საკუთარი თავის, სამყაროსა და ბედნიერების შესამეცნებლად?

ამ კანონზომიერების არხიდან ამოვარდნა ამ მისიის უგულებელყოფას ნიშნავს.

და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენს სოციუმში ადამიანი მართლაც დღისით, მზისით სანთლითაა საძებარი.

გადავხედოთ ჩვენს მუდმივად ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მყოფი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ კანონზომიერებაში გარკვევის, შემეცნების, განვითარების, ამაღლების, წინსვლის არავითარ იმპულსს არ ვამჟღავნებთ. ერთადერთი, რითაც თავს ვიწონებთ – „უმძლავრესი იმპერიებიც კი დაიშალა, გაქრა და ჩვენ კიდევ ვარსებობთ" და ამ ფრაზით მისტიკურ, პათოლოგიურ სიამოვნებას ვიღებთ.

ჩვენ ვერ ვხვდებით და არც არავინ გვეუბნება, რომ გაქრე, ჯერ უნდა დაიბადო.

ისე, რომელი სჯობია, იფიქრო 3500 წელი, თუ თავით?

ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, ბუნებაში არაფერი ქრება. ეგვიპტური კულტურა და ცივილიზაცია, ჩვენ გარდა, მთელ სამყაროში გაიშალა. საბერძნეთი, რომი არ გამქრალა. ენერგიის მუდმივობის კანონის შესაბამისად ის გადავიდა დასავლეთ ევროპაში, შეერთებულ შტატებში, დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში.

და სამწუხაროდ, ამ ცივილიზაციის ენერგიის, კულტურის კანონზომიერ სვლას ისე მთქნარებით გავაყოლეთ თვალი, რომ არც სურვილი გაგვჩენია და არც გონივრულობა გვეყო, რათა ეს მაცოცხლებელი ძალა მიგვეღო.

და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ დიდი ხნის მკვდრები ვართ, უბრალოდ, ნელა ვიხრწნებით.

ცხადია, ბევრისთვის მიუღებელი იქნება ეს დასკვნა.

ჩვენგან პასუხი ერთია – **შედეგიდან გამომდინარე.**

მაგ., არაბებისგან გონიერმა სამყარომ მათემატიკა, მედიცინა, ასტრონომია, არქიტექტურა,... მიიღო, ჩვენ – მხოლოდ ქათმის საცივი. რუსეთმა მონღოლებისგან სახელმწიფო სისტემის მართვის კანონები, სამხედრო სიმძლავრე აითვისა, ჩვენ კი – აკვანი, ხინკალი და დედის გინება.

და თუ ცივილიზებული სამყაროდან მაინც რაიმე შემოდიოდა, ისიც რუსეთიდან პათოლოგიური ანარეკლით.

ვიცით, რთულია ამ რეალობის აღიარება, მაგრამ შევხედოთ სიმართლეს თვალებში, თუ გნებავთ პრობლემის გადაწყვეტა, მაშინ აუცილებელია პრობლემის აღიარება. გავიხსენოთ უკანასკნელი ოცდახუთი წელი, რომელიც ჯერ კიდევ გვახსოვს, სადაც ყველაზე ნათლად გამოჩნდა აბსოლუტთან, საღ აზრთან, კანონზომიერებასთან გაუცხოება. არათუ გონივრულობა, თვითგადარჩენის ინსტინქტიც კი დავკარგეთ.

საკუთარი შვილების, ახლობლების, სახელმწიფოს ბედის მართვის სადავეებს ვანდობთ ყველა ვიგინდარას და ამ მართვაში ჩვენი მონაწილეობა შემოიფარგლება მხოლოდ მიტინგებზე მამაცი სკანდირებით:

– გა-და-დე-ქიიი, გა-და-დე-ქიიი!

– გაუმარ-ჯოს, ჯოს, ჯოს!...

მთელი ჩვენი ლოგიკური აზროვნება ეტევა მარტივ ფრაზაში: – ოღონდ ეს წავიდეს და ვინც უნდა ის მოვიდეს. და სრულდება ჩვენი სურვილი – მოდის ის, ვისაც უნდა...

და კანონზომიერების გვერდის ავლით გამოკვეთილი, დაქვეითებული აზროვნების ელიტა გვესახება, როგორც ჩვენი გასაბრწყინებელი საქართველოს ნათელი მომავლის საფუძველი.

ყველა ჩვენი მინავლული ოცნება არჩევნებისას იღვიძებს და ვნერვიულობთ ამომრჩეველთა სიაზე, ხმების დათვლის წესებზე, ამომრჩეველთა აქტივობაზე, საუბნო კომისიებში პარტიების პროცენტულ შემადგენლობაზე, ჯერ ეგზიტპოლების და შემდეგ ცეესკოს შედეგებზე.

არა, ეს ჯერ კიდევ არაა საშინელება, საშინელება ისაა, რომ ჩვენთან ეს პროცესი ყოველ ოთხ წელიწადში პერმანენტულად მეორდება.

ამრიგად, მივდივართ დასკვნამდე: დამახსოვრება ადვილია, გახსენებაა ძნელი.

ჩვენი ალოგიკური გონება ვერ ხვდება ერთ მარტივ ჭეშმარიტებას – არჩევნებს, მთელი თავისი ატრიბუტიკით, რაიმის შეცვლა რომ შეეძლოს, ის დიდი ხანია ამოღებული იქნებოდა ჩვენი კონსტიტუციიდან ხალხის მიერვე არჩეულ დეპუტატთა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

ახალი აზროვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის ალბერტ აინშტაინის აზრით, პრობლემა, წარმოქმნილი დაქვეითებული აზროვნების დონეზე, ვერასდროს გადაწყდება იმავე აზროვნების დონიდან, რა დონეზეც ეს პრობლემა წარმოიშვა. აუცილებელია, გადავიდეთ ახალ, ამაღლებული აზროვნების დონეზე და იქიდან ვცადოთ ამ პრობლემის გადაჭრა.

ეს ნაშრომი სწორედ ახალი, უნივერსალური აზროვნების დონეზე გადასვლისა და კანონზომიერების არხში მოხვედრის მცდელობაა, რის გარეშეც სიცოცხლის, ბედნიერების მიღწევა უბრალოდ შეუძლებელია.

კანონზომიერების უარყოფას, კანონზომიერების არხიდან გასვლას ილუზიაში გადავყავართ.

ჩანართი

შემოქმედება ეს ცნობიერიდან არაცნობიერისკენ არხის გახსნაა.

ესაა ერთი ნაბიჯი, ერთი მოძრაობა, არაცნობიერის კარის შეღება.

შემოქმედება ეს არის ღვთაებრივი გრძნობისთვის არაცნობიერიდან შენსკენ, ცნობიერისკენ მომავალი არხის გამტარობის გაზრდა.

მაშინ მიხვდები, თუ როგორ იბადება მიქელანჯელოს გარეშე მიქელანჯელოს დავითის ქანდაკება. მისი არსი მოდის არაცნობიერის მიღმისეული სამყაროდან. მიქელანჯელო ამ არსს მხოლოდ ათავისუფლებს მარმარილოსგან. შემოქმედი მხოლოდ გამტარი არხია და არა შემქმნელი. ეს ის არხია, საიდანაც მეცხრე სიმფონია ბეთჰოვენისგან დამოუკიდებლად იღვრება და მას მხოლოდ ერთი პრობლემა აქვს, ცნობიერით ამ საოცრების ნოტების ფურცელზე გადატანა მოასწროს.

ეს ის დაძაბული წამებია, როცა უნდა მოასწრო ამ მიღმისეული სამყაროდან არხით გადმოსული ფრაზის – „...შეიცვლებიან ქარით სიონნი...'' – ქაღალდის ნაგლეჯზე გადატანა, ან როცა საადგომო კრავის ტილოზე გადატანა უნდა მოასწრო.

ეს არხი იხსნება, ნათდება მაშინ, როცა ხვდები, რომ **მე ვარ მე**.

ირღვევა, ნისლივით ქრება საზღვარი შენსა და არაცნობიერს – მთლიან სამყაროს შორის. მყარდება ჰარმონია, აბსოლუტური შეთავსება სიცოცხლესთან, სამყაროსთან.

შემოქმედება ესაა აბსოლუტური, ჰარმონიული პულსირება მთელთან.

– გსურს, იყო უდიადესი შემოქმედი?

– მაშ, ნუ გასწევ წინააღმდეგობას, ნუ გაჯიუტდები, ნუ გადარაზავ კარს!

მიქელანჯელო მხოლოდ იმიტომ გახდა მიქელანჯელო, ნიკალა იმიტომაა ნიკალა, რომ მათ არაცნობიერისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. **დარჩნენ იმად, რაც იყვნენ – ცოცხლებად.**

სიცოცხლე არის შემოქმედება და შემოქმედება – სიცოცხლე.

შემოქმედებით შეიმეცნებს ადამიანი საკუთარ თავს და სამყაროს, შემოქმედებით იცვლება ადამიანი და ამით ცვლის მთელ სამყაროს.

არაწინააღმდეგობა არის სიყვარული. ესაა უცებადი განათება, არსში შეღწევის აქტი, განმსჭვალულობა.

და რაც მთავარია, შენმა შემოქმედებამ უნდა დაბადოს ახალი იდეები და მასთან მისასვლელი ახალი გზები, ამოხსნის ახალი მეთოდები.

მხოლოდ ამ შემთხვევაში იხევს უკან სიყალბე, ილუზია.

ილუზორული სამყარო

ჩვენი უსახური ყოფა, თავის არსში, მოიცავს ნათლად გამოსახულ პარადოქსს – ერთი მხრივ, თითქოს ჩვენი სოციუმი არ განიცდის ინტელექტის, გამოცდილების, ცოდნის უკმარისობას, მეორე მხრივ, სახეზე გვაქვს სოციუმში გამჯდარი გამაოგნებელი ილუზორულობის ხარისხი.

მართლაც, უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე სახელმწიფოს მმართველობაში მოსული ყველა პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პროგრამა ეყრდნობოდა და ეყრდნობა ჩვენი სოციუმის ოცნებას – ქვეყნის ევროკავშირში სრულფასოვან გაწევრიანებას, ხელფასების და პენსიების ზრდას,... ჩვენ ვირჩევდით, ვირჩევთ და კვლავაც ავირჩევთ ნებისმიერ პოლიტიკურ ლიდერს, ვინც ამ შეპირებით მაქსიმალურად მოგვხიბლავს და აზრადაც არ მოგვდის, ამ დანაპირებთა (ევროკავშირში გაწევრიანება, ხელფასი, პენსია,...) ასრულების კანონზომიერებასთან შეუთავსებლობა, ილუზორულობა გავაცნობიეროთ.

სამწუხაროდ, არასდროს დავფიქრებულვართ, რომ **არსებობს სამყაროს ფუნდამენტური კანონები, რომლის უგულებელყოფასაც სიყალბის, ილუზიის დამკვიდრებასთან მივყავართ.**

წარმოიდგინეთ წყალქვეშა ნავი, რომელსაც გარკვეულ სიღრმეზე პრობლემები შეექმნა და საჭიროებს სარემონტო სამუშაოებისთვის მყვინთავის ოკეანეში გასვლას. მოგეხსენებათ, რომ ადგილი აქვს წნევათა სხვაობას ოკეანესა და წყალქვეშა ნავს შორის. ამიტომ არსებობს წყალქვეშა ნავში შლუზ-კამერა, სადაც შედის მყვინთავი სკაფანდრით, კამერა იხურება სპეციალური ლიუკით, შემდეგ თანდათანობით შემოდის ოკეანის წყლის ნაკადი და მას შემდეგ, რაც გათანაბრდება წნევა შლუზსა და ოკეანეს შორის, იღება ოკეანეში გასასვლელი ლიუკი.

წნევათა გათანაბრების გარეშე გარე კარის გახსნა კატასტროფაა. მსგავსი პრობლემა შეიქმნა პანამის არხის მშენებლობისას, რომელსაც ატლანტის ოკეანე წყნარ ოკეანესთან უნდა დაეკავშირებინა. როგორც ცნობილია, მათ შორის არსებობს დონეთა (იგივე წნევათა) სხვაობა და ამიტომ გემებისთვის შეიქმნა ურთულესი შლუზების საფეხურების მსგავსი სისტემა, რომელიც სძლევდა დონეთა სხვაობას. შლუზების ამ სისტემის გარეშე ორ ოკეანეს შორის წნევათა (დონეთა) სხვაობა წალეკავდა არხს და მიმდებარე ტერიტორიას.

ანალოგიურად, ევროკავშირის წამყვან ქვეყნებსა და საქართველოს შორის ეკონომიკურ დონეთა (წნევათა) სხვაობა იმდენად დიდია, რომ საზღვრის – „შლუზის" გახსნა ეკონომიკის (წნევათა) გათანაბრების გარეშე ჩვენთვის კატასტროფის ტოლფასია. წარმოიდგინეთ გახსნილი საზღვრები და ჩვენი დამშეული საზოგადოება, რომელიც მოეფინება მთელ ევროპას და თვეში 500-600 ევროსთვის მზადაა, შეასრულოს ნებისმიერი სამუშაო. შესაბამისად, ამ გადინების შედეგად გამოთავისუფლებული საცხოვრებელი არეალი და

პოტენციური შემოქმედებითი, ინტელექტუალური სივრცე, რომლის ათვისება ჩვენ ვერ შევძელით, ცარიელი არ დარჩება და აუცილებლად შეივსება მეზობელი და არამეზობელი ქვეყნების აქტიური, სიცოცხლისუნარიანი ნაწილით. თუ დავუკვირდებით, ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს...

ასევე, ვინც რუსეთთან დაახლოებას გვთავაზობს და მასთან მიმართებაში პოლიტიკურ-ეკონომიკური „შლუზის" სპეციფიკას არ ითვალისწინებს ან ვერ ხვდება ან ძალიან კარგადაც ხვდება, რომ ქვეყანა განადგურებისკენ, დეგრადირებისკენ მიჰყავს.

შედეგის წარმოდგენა თქვენთვის მოგვინდვია.

საქართველოში ეკონომიკური და სოციალური აზროვნების დონის ამაღლების გარეშე ცივილიზებული სამყაროს საზღვრების გახსნა ჩვენთვის სწორედ ტანჯულისთვის, ავადმყოფისთვის ხანჯლის გამოწვდაა.

ამრიგად, ვინც ამ გამანადგურებელი შედეგების გათვალისწინების გარეშე, წნევათა გათანაბრების გარეშე შლუზის გახსნას შეგვპირდება, ის ან აფერისტია ან უვიცი. და ეს ორი ცნება ჩვენთვის და ქვეყნისთვის ერთი და იგივეა, რადგან ცხადია, რომ მისი უვიცობა ჩვენ ძალიან ძვირად დაგვიჯდება.

გამოდის, რომ ეკონომიკის, განვითარების დონეთა გათანაბრების გარეშე კარგი ცხოვრების ილუზორული მოლოდინი შეუქცევად ტრაგიკულ შედეგად შემოგვიბრუნდება.

უბედურება ისაა, რომ ჩვენ ჯიუტი გაუაზრებლობით, აღფრთოვანებით ვირჩევდით, ვირჩევთ და დიდი ენთუზიაზმით კვლავაც ავირჩევთ ნებისმიერს, რომელიც ამ შენიღბულ აღსასრულს გვპირდება.

თავისთავად ცხადია, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ეკონომიკის სწრაფი განვითარების საშუალებათა მოძიება.

პოლიტეკონომიურ მეცნიერებათა ფუძემდებლის ადამ სმიტის აზრით, თუ სოციუმს, საზოგადოებას, ერს, სახელმწიფოს არა აქვს უნარი, შექმნას ისეთი სულიერი ან მატერიალური პროდუქტი, რომელზეც მოთხოვნილება იქნება მის საზღვრებს გარეთ, ასეთი სოციუმი განწირულია სიღატაკისთვის, მონობისთვის.

არიან ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ წიაღისეული – კეთილშობილი, რადიაქტიული ან ფართო მოხმარების ლითონის საბადოები, გაზისა და ნავთობის დიდი მარაგი, ან ნაყოფიერი მიწის კოლოსალური ფართი, რომელზეც შესაძლებელია საკვები პროდუქტების – მარცვლეული კულტურის, ხორცეულის,... ისეთი მასშტაბითა და ხარისხით წარმოება, რომელიც მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია წიაღისეულის ისეთი მარაგი, რაც დროებით მაინც ამოასუნთქებდა ჩვენს განადგურებულ ეკონომიკას. ილუზიაა, რომ ჩვენი მინერალური წყლები, ციტრუსი, ღვინო შეძლებს მსოფლიო ბაზარზე კონკურენცია გაუწიოს ლათინურ ქვეყნებს ან თუნდაც საბერძნეთის ციტრუსს, ფრანგულ, კალიფორნიულ, იტალიურ ან თუნდაც მოლდავურ

ღვინოს. ნებისმიერი, ვინც საწინააღმდეგოს მტკიცებას შეეცდება, არასერიოზულად უდგება ამ საკითხს, ან შეგნებულად ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.

თუმცა, დასაფიქრებელია, თუ როგორ მიაღწია წარმატებას სინგაპურმა, სამხრეთ კორეამ, იაპონიამ,... რომელთაც წიაღისეულის დიდი მარაგი არ გააჩნიათ, მაგრამ მათ შეძლეს მსოფლიო ბაზარზე საკუთარი თავის დამკვიდრება იმ ერთადერთი, უმნიშვნელოვანესი, ულევი რესურსით, რასაც გონივრულობა, ცოდნა, ინტელექტი ეწოდება. მათ ჩამოაყალიბეს ისეთი საზოგადოება, რომელმაც შეძლო ნაციონალური ინტელექტის მობილიზებით პრობლემებში გარკვევა, ილუზიიდან გამოსვლა და იმ კანონზომიერების შემეცნება, რომლის გააზრების გარეშე ეკონომიკის ამაღლებაზე საუბარი უბრალოდ ილუზიაა.

ამრიგად, წინა პლანზე გამოდის ინტლექტის მოძიების აუცილებლობა, ეს არის ჩვენი ეკონომიკის ამოქმედების და განვითარების საფუძველი, ჩვენთვის ერთადერთი შანსი.

ამ ურთულესი ამოცანის გაუაზრებლად გადაჭრა, ამერიკული თუ ბრიტანული განათლების მოდელის პირდაპირი გადმოტანით, უფრო ართულებს ნიჭისა და ინტელექტის აღმოჩენისა და გამოყენება-განვითარების პრობლემას. ნებისმიერი, და მათ შორის, ბრიტანული და ამერიკული მოდელი თავის დროზე შემუშავებულ იქნა მათი შესაბამისი ნაციონალური არქეტიპების გათვალისწინებით.

ამრიგად, აუცილებელია იმ მეთოდიკაში გარკვევა, თუ როგორ მიმდინარეობს ეროვნულ ცნობიერებაში სამყაროს შემეცნება, ცოდნის მიღება, შენახვა, გადაცემა – ცოდნის მართვა.

გულანთებული მტკიცება, რომ ამ ცოდვილ მიწაზე ჩვენზე ნიჭიერი, გონიერი ერი იშვიათად მოიძებნება და მისი გონიერების გამოსავლენად საკმარისია მხოლოდ ლოზუნგი – „მიეცი ნიჭსა გზა ფართო" – არასწორი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ეს საუკუნოვანი ლოზუნგი ლოზუნგად რჩება და ნიჭის აღმოჩენასა და მისთვის „გზის გაფართოებაზე" ზრუნვა აზრად არავის მოსვლია.

მართლაც, „ნიჭი" თავისთავად არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს, თუ ის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ათვისების, გამოყენებისა და განვითარებისკენ არ იქნა მიმართული. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი გაცილებით რთულია, ვიდრე ჩვენი საზოგადოების „ნიჭიერ" ნაწილს წარმოუდგენია.

ყველა ჩვენი ნაშრომი და ეს წიგნიც სწორედ ზემოაღნიშნული ამოცანის გადაჭრას ემსახურება. შესაბამისად, ამ ნაშრომში გათვალისწინებულია კაცობრიობის მიერ უდიადეს პიროვნებებად აღიარებულ, უმაღლესი ზნეობისა და განათლების მქონე ადამიანთა: ... კანტის, ჰეგელის, იუნგის, დეკარტეს, ფიხტეს, სოკრატეს, ვაჟას,... ნააზრევი.

გარწმუნებთ, რომ ამის გარეშე პროგრესის მიღწევის ყოველგვარი მცდელობა აბსოლუტური ინფანტილიზმია.

ამისთვის კი აუცილებელია, ჩვენი სულიერი წყობის თვითშემეცნების, სამყაროს კანონზომიერების წვდომის, ინტელექტის ამაღლების მეცნიერული მეთოდების შექმნა-განვითარება.

გარწმუნებთ, რომ ინტელექტის მოძიება გაცილებით მეტ გააზრებას, ძალისხმევას, მეთოდოლოგიურ, სისტემურ მიდგომას მოითხოვს, ვიდრე წიაღისეულის, გაზის ან ნავთობის მოძიება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენი ეროვნული ინტელექტი, ის ჭეშმარიტი **მე**, რაზედაცაა დამოკიდებული ჩვენი განვითარება, სიმძლავრე, სიცოცხლე, სამწუხაროდ, ღრმადაა ჩამარხული ჩვენს ქვეცნობიერში, მრავალი საუკუნის მანძილზე დამტვერილი, იუნგის მიერ გააზრებული უსასრულო რაოდენობის არქეტიპების ქვეშ.

დიახ, დღეს ჩვენ განვიცდით მწვავე ინტელექტუალურ უკმარისობას, რომელიც აუცილებლად გადავა ქრონიკულ ფორმაში.

მხატვრულად რომ გამოვსახოთ, ჩვენი გადამრჩენი **მე** – ინტელექტი, თავისუფლება, შემოქმედების უდიადესი პოტენციალი ჩამარხულია ყველაზე რთულად გასარღვევ იმ მთავარი არქეტიპების ქვეშ, როგორიცაა ზემოაღნიშნული **პერსონა, ჩრდილი, ანიმა, ანიმუსი, ეგო**.

ეს ინტელექტს სჭირდება ენერგიული, გააზრებული მოძიება, წარმოჩენა, თორემ, როგორც ვხედავთ, უმეცრება, სიცარიელე არა მხოლოდ მშვენივრად გრძნობს თავს, ზედაპირზე დევს და აქტიურადაც მკვიდრდება.

დიახ, უმეცრებას, სიცარიელეს, არაყოფიერის სიცარიელისგან განსხვავებულს, შეუძლია არა მხოლოდ ჭამა-სმა, ძილი, ხვრინვა და სექსი, არამედ ჩვენთან სახელმწიფოს მართვასაც მშვენივრად ახერხებს.

ვიმეორებთ, ინტელექტის მოძიება წიაღისეული სიმდიდრის მოძიებაზე გაცილებით რთული ამოცანაა.

მართლაც, როგორ მიმდინარეობს წიაღისეულის მოპოვება? – უპირველესად აუცილებელია თავის პროფესიაზე შეყვარებული, მიზანდასახული, პროფესიონალი გეოლოგის ჩამოყალიბება. გეოლოგმა უნდა შეისწავლოს არა მარტო ფუნდამენტური მეცნიერებები: მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია,... არამედ ფიზიკური სრულყოფისკენაც უნდა ისწრაფოდეს. ის გაჟღენთილი უნდა იყოს იმ დაუწერელი საველე კანონებით, რომელიც, თავისი არსით, ალპინისტების, მეზღვაურების ეთიკური კოდექსისგან არ განსხვავდება.

გეოლოგის მიზნისკენ სწრაფვა არ არის დამოკიდებული არც ზამთრის სიცივეებზე, არც ზაფხულის სიცხეებზე. ის ყველა მოსალოდნელი სიძნელის გადასალახად მზადაა. წიაღისეულის მოპოვებისას ბურღი, როგორც დანა კარაქში, ისე შედის დედამიწის ზედა ფენებში, მაგრამ ყველა გეოლოგმა იცის, რომ ამ თხელი, რბილი ფენის ქვეშ უმტკიცესი გრანიტი დახვდება, რომლის ბურღვაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ძიების პროცესი იმითაც

მძიმდება, რომ ნებისმიერი მიზეზით ბურღვის შეჩერება კატასტროფის ტოლფასია.

ასევე, ინტელექტის ძიება თავიდან მარტივ, გასართობ ამოცანად წარმოგვიდგება, მაგრამ ყველა შემოქმედებითმა მკვლევარმა იცის, რაც უფრო ღრმავდება სამყაროზე ცოდნა, რაც უფრო იშლება ძიების სპექტრი, მით უფრო ამაღლებულ ინტელექტს მოითხოვს პრობლემის გადაწყვეტა. ისეთი არქეტიპები, როგორიცაა ჩრდილი, ეგო, პერსონა, რომელიც ჩვენს ქვეცნობიერში, უფორმო და უშინაარსო ფენებად მრავალი ათასწლეულის განმავლობაში ყალიბდებოდა, გრანიტზე უფრო მტკიცე ფენებია.

სწორედ ამ არქეტიპთა გარღვევას ემსახურება ეს წიგნი.

გარწმუნებთ, რომ მთელი ცივილიზებული კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა, პოტენციალი ემსახურება მე-ს არაცნობიერში თავისუფლებისა და შემოქმედების მოძიებას, რაც ღმერთმა ჩადო ჩვენში ხატად თავისა.

ჩანართი

რას ნიშნავს ხუთი მთავარი არქეტიპის ქვეშ მოყოლილი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ჭეშმარიტი **მე**-ს მოძიება?

– პირველივე „შრე" **პერსონა**, როგორც აღვნიშნეთ, ესაა ნიღაბი, რომელიც ემსახურება პიროვნების მხრიდან საკუთარი თავის იმგვარად წარმოჩენას, როგორადაც მას სურს, რომ საზოგადოებამ დაინახოს და მოიწონოს. რამდენადაც დეგრადირებულია სოციუმი, იმდენად შემზარავი და ამაზრზენია ეს ნიღაბი. ნიღბის მორგების პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობს. ეს ნიღაბი ჩვენს სახეზე უკვე შეხორცებულია.

ამგვარად, ამ ნიღბების თეატრში ზოგი პატრიოტის პაროდიაა, ზოგი – ინტელექტუალის, ზოგი – ქრისტიანის და ეს სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს.

შესაბამისად, უკან იხევს ორიგინალობა, შემოქმედება, რეალური ცხოვრებისკენ სწრაფვა.

უფრო შემაშფოთებელია ჩვენს სოციუმში **ჩრდილის** არქეტიპი, რომელიც ზედაპირზე დევს: ცხოველური ინსტინქტები, აგრესიულობისკენ მიდრეკილება, სექსუალური კომპლექსები და ა.შ.

ხოლო, რაც შეეხება **ანიმას**, ის არაცნობიერი ქალური საწყისია მამაკაცში და როგორც ბევრ ფსიქოანალიტიკოსს ჰგონია, მამაკაცისთვის ეს ჰომოსექსუალიზმისკენ გადახრას განაპირობებს.

ჩვენი აზრით კი, მამაკაცისა და ქალის ჰარმონიული ურთიერთობისთვის ქალური ფსიქიკის საწყისი მამაკაცში აუცილებელი ფენომენია. ამ ფენომენის გარეშე კაცი ვერასდროს მიხვდება, რა არის ქალისთვის ბედნიერება. ამ შემთხვევაში გამორიცხულია თვით სიყვარული.

სიყვარული ეს არის სწრაფვა, ბრძოლა სხვისი ბედნიერებისთვის.

სიყვარულის გარეშე კი არაა ქმედითი ახალი თაობა, განვითარება.

მართლაც, წარმოუდგენელია, მამაკაცმა გაუგოს ქალს, თუ არ შეუძლია ქალური ფსიქიკის ხედვის კუთხიდან სამყაროს დანახვა. იგივე მსჯელობა მიესადაგება **ანიმუსს.**

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეტიპი **„ეგო"**, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის არა მარტო ცნობიერების ცენტრი, არამედ თვით ცნობიერების წრეც. სამწუხაროდ, ჩვენი პერცეფცია იმდენად ილუზორულია, რომ შემეცნება,

თვითშემეცნება შორსაა რეალობისგან და ვისაც ეჭვი ეპარება ამ დასკვნაში, ვურჩევთ, გონების თვალით გადახედოს ჩვენს უსახურ ცხოვრებას.

მოსაზრება, რომ ამ გაუგებარი, რაღაც უარყოფითი არქეტიპებისგან გათავისუფლებული, უდიადესი **მე**-ს მქონე, შოთა, ილია, ვაჟა,... გვყავდა, სწორედ ადამიანში ჭეშმარიტი **მე**-ს არსებობას ამტკიცებს. ეს, ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, ჩვენი უაზრობით გაჟღენთილი ცხოვრება ნათლად გვიჩვენებს, რომ ადამიანის ღირსების საკადრისი ცხოვრების დამკვიდრებისთვის გათითოკაცებული ტალანტების, გენიოსების, ვარსკვლავების, **მე**-ების არსებობა არასაკმარისია.

შესაბამისად, ქვეყნის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტ **მე**-ებს შორის ჰარმონიის დამყარებას, რომელიც იმ **მესამის**, **იდეის** გააზრებას შეგვაძლებინებს, რაც პროგრესირებადი სახელმწიფოს შექმნის საფუძველს წარმოადგენს.

კონსტრუირებული იდეები

სანამ **მე**-ებს შორის ჰარმონიის პრინციპების ძიებას დავიწყებთ, უნდა დავადგინოთ, ეს უდიადესი ჭეშმარიტი **მე** ამ პოტენციალს – ინტელექტს, ცოდნას გამოცდილებით იძენს, თუ ეს ღვთიური მადლი თანდაყოლილი აქვს?

ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხში ჩაღრმავება ვცადოთ დეკარტისეული აზროვნების ხედვის კუთხიდან.

დეკარტეს აზრით, არსებობს სამი სახის იდეა, ცოდნა:

– **თანდაყოლილი,** რომელსაც მე აღმოვაჩენ საკუთარ თავში,

– **შეძენილი,** გარედან მიღებული იდეები, რაც ჩემგან განსხვავებული საგნებისკენ მიმითითებს (ცდისა და გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბებული ცოდნა),

– **შექმნილი, კონსტრუირებული იდეები.**

ეს უკანასკნელი არის რაღაც საგანზე, მოვლენაზე არა რეალური, არამედ შენივე მოგონილი, კონსტრუირებული ცოდნა. მაგ., რაა ჭექაქუხილი?

– ელია ღრუბლებში დააჭენებს ეტლს, ხმაურობს და ელვას ისვრის (ზევსში არ შეგეშალოთ) და რეკომენდებულია პირჯვრის სამჯერ გადაწერა.

ეს ისე, ხუმრობით, მაგრამ ოდესღაც ეს აზრი, იდეა, ვიღაცის მიერ იყო კონსტრუირებული და რა საოცარიც უნდა იყოს, დღესაც ჰყავს ამ იდეას მომხმარებელი.

კონსტრუირებული, შეთხზული იდეები, დეკარტეს აზრით, ქიმერულია და შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება.

კონსტრუირებული იდეების მიმართ ასეთი მკაცრი ვერდიქტი ცოტა დამაფიქრებელია, მაგრამ რას იზამთ, დეკარტე დეკარტეა.

მისგან განსხვავებული აზრის ძიება დროებით გადავდოთ და გავბედოთ დეკარტეს აზრების ანალიზი.

უპირველესად, განვიხილოთ **შეძენილი იდეების, ცოდნის** მართებულობა.

ამ სამყაროში მე მხოლოდ ორ რამეში ვარ დარწმუნებული –

I – ვარსებობ,

II – მაქვს სამყაროს შემეცნების სურვილი, უნარი, აქტივობა.

ცხადია, რაღაცის შემეცნების შემდეგ მიღებულ ინფორმაციას, დასკვნას „ვაგზავნი" ჩემი მახსოვრობის „ყულაბაში", როგორც „შემნახველ საკანში", ბანკში შემდგომი გამოყენებისთვის. თავისთავად იბადება კითხვა: – შეუძლია კი ამ მახსოვრობის ყულაბას, სისტემას (რომელზედაც წარმოდგენა, არა მაქვს თუ რა არის და როგორ მუშაობს), შეინახოს ეს შემეცნებული ინფორმაცია ხელუხლებლად და საიმედოდ?

მაგ., დღეს შეგიმეცნე, როგორც იტყვიან, გაგიცანი და აღვფრთოვანდი შენით. ეს შემეცნება შენზე, დასკვნა, რომ საინტერესო პიროვნება ხარ, მახსოვრობის ყულაბაში გავუშვი. ორი თვის შემდეგ შენზე წარმოდგენა ხომ არ შემეცვლება? ის ინფორმაცია შენზე, როგორც შემეცნების პროდუქტი, რომელიც ჩავაბარე მახსოვრობის ბანკს, რაღაც დროის შემდეგ, როგორც ვადაგასული კონსერვის ქილა, გაფუჭებული ხომ არ დამხვდება?

ან პირიქით: – იქნებ, ჩემი ტვინის ხვეულებში ჩანერგილი იდეა – ამ ქვეყანაზე შენზე უკეთესი არაფერია – უფრო გაფურჩქნილი და აყვავებული დამხვდეს?

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ხომ დარწმუნებული ვარ, რომ დრო, ეს უნიკალური ფენომენი ცვლის შეხედულებებს, წარმოდგენებს. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ის მაინც ფაქტია, რომ დროსა და მახსოვრობას შორის ჰარმონია, შეხმატკბილება სასურველზე გაცილებით დაბალ დონეზეა.

გაიხსენეთ, რამდენჯერ გაგვამწარა, გვიღალატა მახსოვრობამ და ერთი კვირის წინ დამახსოვრებული უაღრესად საჭირო ტელეფონის ნომერი პირწმინდად წაშლილი დაგვხვდა. კარგი, ტელეფონის ნომერს, მისამართს, საბანკო ანგარიშის ნომერს კაცი ქაღალდზე ჩაიწერს, მაგრამ ახალი იდეების, ცოდნის ქაღალდზე ან კომპიუტერის პროცესორში გადატანა და ამით, ისედაც გაზარმაცებული ჩვენი ტვინის უფუნქციოდ დატოვება სად მიგვიყვანს, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

ზოგადად რომ ვთქვათ, გამოდის, რომ ახალი შემეცნება, ახალი ცოდნის მიღება მახსოვრობაში შენახული შემეცნებული ცოდნის, მასთან შედარებისა და მათი გაერთიანების გარეშე შეუძლებელია.

თუ დავუშვებთ, რომ მახსოვრობის ბანკში დაცული ინფორმაციის, ცოდნის შენახვის საიმედოობა, „დაძველების" ან ემოციური დატვირთვის გამო ირღვევა, მაშინ გამოდის, რომ შემდგომი შემეცნება, ახალი ცოდნა უკვე არასრულყოფილია. არა და, ცივილიზაციის პროგრესი სახეზეა. ცოდნა მატულობს.

დიდ მტკიცებას არ საჭიროებს აზრი – კაცობრიობამ დღეს მეტი იცის, ვიდრე ათასი წლის წინ იცოდა.

როგორც ჩანს, შეძენილი ცოდნის, იდეის ეს მოდელი არაა სრულყოფილი, რადგან ამ მოდელის თანახმად ადგილი უნდა ჰქონდეს რეგრესს. შეძენილი

ცოდნის, იდეის მოდელი ვერ ხსნის, თუ რა ხდებოდა, რა ხდება, რა მოხდება.

გამოდის, რომ გვინდა თუ არა, იძულებულნი ვართ შემეცნების საფუძვლად თანდაყოლილი იდეების მოდელი გამოვაცხადოთ.

დასკვნა: — სამყაროს შევიმეცნებ თანდაყოლილი გონივრულობით, იდეებით. თანდაყოლილი გონივრულობა, ცოდნა არის მუდმივი, უცვლელი, დამოუკიდებელი.

უკვე ესეც საკმარისია, რათა მივხვდე, თუ ვინ ჩადო ის ჩემში.

ეს იდეები, ერთი მხრივ, არის წმინდა სუბიექტური, რადგან ჩემშია და იმავდროულად ობიექტურიც, რადგან უცვლელი და მუდმივია.

მე — არასრულყოფილი, ან სხვა ჩემი მსგავსი, რაც უნდა მწვანე კიტრად მოჰქონდეს თავი, ასეთ სრულყოფილ გონივრულობას, ცოდნას, იდეებს ვერ შექმნიდა. ცხადია, მისი შექმნის საფუძველი ის საყოველთაო სუბსტანციაა, რომელმაც შემქმნა მე, შენ და ყველაფერი არსებული. ეს, ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, თუ ჩემში არსებობს თანდაყოლილი ცოდნა, იდეები, მაშინ რატომ ვარ ასეთი უსუსური? საიდან მიჩნდება აზრი ჩემი არასრულყოფილების შესახებ?

აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რაღაცის ფლობა და მისი გამოყენება ფრიად განსხვავებული რამაა.

დიახ, რაღაცის ფლობა და რასაც ფლობ იმისი გააზრება განსხვავებული რამეა. დაფიქრდი, მან შეგქმნა და, შესაბამისად, მშვენივრად იცის, თუ რა უდიადეს ფასეულობას ფლობს შენი სახით. ეს შენ გეპარება ეჭვი საკუთარ პოტენციალში.

ადამიანი შეიგრძნობს საკუთარ არასრულფასოვნებას იმიტომ, რომ ის მუდმივად მიისწრაფვის ბედნიერებისკენ და რატომღაც ვერ აღწევს. აქედანაა მუდმივი უკმაყოფილება.

დასკვნა: — ე.ი. არაფერი შემიძლია...

და არასდროს დამისვამს საკუთარი თავისთვის კითხვა: — ვიცი კი, რაა ის ბედნიერება, ის სრულყოფა, რისკენაც ასე უშედეგოდ მივისწრაფვი? — არ ვიცი რისკენ, მაგრამ მაინც მივისწრაფვი, ე.ი. ჩემი სწრაფვის მიზანი ჩემთვის უცნობია. ეს იმ მოდელის შედეგია, რის მიხედვითაც მე მხოლოდ შეძენილი ცოდნის მატარებელი ვარ.

რაა ბედნიერება, მხოლოდ თანდაყოლილი იდეით თუ მივხვდები, არა და, შევწვდე ჩემივე თანდაყოლილ იდეებს, ცოდნას, თურმე ურთულესი ამოცანაა.

ცხადია, ვინც ღმერთის მიერ შექმნილ თანდაყოლილ იდეას არ აღიარებს, ის თავისივე თავის შექმნილად აცხადებს თავს. სწორედ ასეთი ისწრაფვის იმისკენ, რაც არ ესმის.

და თუ აღიარებ თანდაყოლილ იდეას, მაშინ შეუძლებელია, არ აღიარო აბსოლუტის არსებობა. ეს იგივეა, რომ აღმართი აღიარო და არ აღიარო დაღმართი.

დეკარტეს აზრით, **ღმერთის მიერ ჩემში ჩადებული იდეა, ცოდნა, რომელიც განგვჭოლავს ჩვენ, ესაა ოსტატის ბეჭედი მის შემოქმედებაზე**.

თანდაყოლილი იდეა არ გვეკუთვნის ჩვენ, მაგრამ განგვჭოლავს ისევე, როგორც ოსტატის დამღა, ბეჭედი წარმოადგენს მის ნამუშევარს.

თუ ჩემში არის რაღაც სრულყოფილი, ისიც ჩემგან არაა, მისგანაა.

ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ არ უნდა ვირწმუნოთ ადამიანის, მისი შემოქმედების შესაძლებლობის უსაზღვროება?

ადამიანის ღმერთზე დამოკიდებულებამ არ უნდა მიგვიყვანოს დოგმატურ, ტრადიციულ მეტაფიზიკასთან. ღმერთის ბეჭედი, ეს ჩემი შემეცნებითი შესაძლებლობების, პოტენციალის დაცვაა.

ღმერთი, რომელიც მე გამაცნეს, როგორც მეცნიერული აზრის გავრცელების ბლოკირება, აღმოჩნდა ჭეშმარიტების გარანტი.

ეჭვი, ჩემი შესაძლებლობის შეზღუდულობისა სწორედ ამ გარანტით ქრება.

მე მისი დამღა მაქვს ამოტვიფრული (შენც დაიხედე, და აუცილებლად იპოვი).

ღმერთი ჭეშმარიტი ცოდნის გარანტია, მას სიცრუე არ ახასიათებს.

მას არ სჭირდება ტყუილი.

ტყუილი სუსტს სჭირდება.

ვისაც ჰგონია, რომ ის არაა ღმერთის ქმნილება, ვისაც ჰგონია, არა აქვს უმაღლესი სიკეთისა და ჭეშმარიტების დამღა, მხოლოდ მას ეპარება თავის შესაძლებლობაში ეჭვი.

სწორედ ათეისტები გარბიან ეკლესიებში.

ცხადია, ღმერთი არის ყველა არსებული ჭეშმარიტების გარანტი, რის შემეცნებასაც ადამიანი შეძლებს. ეს ის მარადიული ჭეშმარიტებებია, რასაც ეყრდნობა ახალი ცოდნის კონსტრუქცია, ხერხემალი.

ღმერთი, აბსოლუტური შემქმნელი, პასუხისმგებელია იმ იდეებსა და ჭეშმარიტებებზე, რის საფუძველზეც მან ეს სამყარო შექმნა. მისი ნება იყო, შეექმნა ეს სამყარო და მისივე ნებაა, რომ ატომსა და კოსმოსს ერთი და იგივე კანონზომიერება განკარგავს.

ეს კი სამყაროს შემქმნელის მარადიულობისა და რეალური არსებობის დასტურია. აი, აქ ინგრევა სამყაროს შემთხვევითი შექმნის ვერსიები, უნივერსალური ცოდნის შესაძლებლობის არაღსრულების ვერსია.

ეს, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, უაზრობაა ღმერთთან შეჯიბრი, თუნდაც იმიტომ, რომ ის შენშია, შენი არსია.

ღვთიური გონივრულობა ადამიანის გონივრულობის გარანტია.

თუ ეს ასეა, მაშ რატომ ცდება ადამიანი? ცხადია, ცდება არა ღმერთი, არამედ ადამიანი, რომელიც ვერ სწვდება თანდაყოლილ ცოდნას, იდეას.

თუ არ ვცდილობ, შევწვდე თანდაყოლილ იდეებს, სწორედ მაშინ ვიტყუებ თავს, უარვყოფ კანონზომიერებას, ჩავდივარ ცოდვას საკუთარი თავის, სხვის, სამყაროს წინაშე.

ნუ მოიტყუებთ თავს!

დეკარტესთვის შესამეცნებელი სამყარო ეს არის ორი სუბსტანციის – განფენილისა და კონცენტრირებულის, ე.ი. მატერიალურისა და აზროვნების, მენტალურის ერთობა.

და ეს ერთობა არის ყველაფრის უცვლელი საფუძველი. მისი აზრით, მენტალურსა და არამენტალურს შორის შუალედური საფეხურები არ არსებობს.

ჩანართი

XX საუკუნის მეორე ნახევარში ფსიქოლოგიის სწრაფმა განვითარებამ თითქოს საშუალება მისცა ფილოსოფოსებს, შემეცნების საკითხში ნაკლებად აბსტრაქტული თეორიები შეექმნათ. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა კოგნიტური ფსიქოლოგია (ლათ. cognitus - შემეცნება, შესწავლა, გაცნობიერება).

კოგნიტური ფსიქოლოგია – ფსიქოლოგიის განხრა, რომელიც შეისწავლის ადამიანის ცნობიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აქ ძირითადად იკვლევენ მახსოვრობასთან, ყურადღებასთან, გრძნობასთან, ლოგიკურ აზროვნებასთან, ინფორმაციის მიღებასთან, წარმოსახვასთან დაკავშირებულ საკითხებს. იმასთან, თუ როგორ ვიღებთ გადაწყვეტილებას.

ფილოსოფოსები ეყრდნობიან თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკას. ესაა დისციპლინა, რომელიც იმყოფება ფსიქოლოგიისა და ლინგვისტიკის ზღვარზე. შეისწავლის ენის, აზროვნების და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულებას. ეძებს ანალოგიას ადამიანის შემეცნებასა და გამომთვლელ მანქანებში ინფორმაციის დამუშავების პროცესს შორის. კომპიუტერის ანალოგიურად, თურმე გვაქვს რაღაც სისტემა, რომელსაც შეუძლია ინფორმაციის მიღება, დაგროვება, შენახვა, დამუშავება და გადაცემა.

ასეთი მიდგომა უკმარისობის განცდას ტოვებს, რადგან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გამომთვლელი მანქანა, კომპიუტერი ჯერჯერობით მაინც ვერ ფლობს შემოქმედებით უნარს.

სამწუხაროდ, ამ მოსაზრებამ ვერ ახსნა ენის, აზროვნების, გრძელვადიანი მახსოვრობის ინტელექტთან დაკავშირებული პრობლემები.

ამ მხრივ, გარკვეულ იმედს იძლეოდა გენეტიკური და კულტურულ-ისტორიული ფსიქოლოგია. მათი აზრით, თანდაყოლილი იდეები, ცოდნა ეს არის მემკვიდრეობით, გენეტიკურად მიღებული ფასეულობა. ორგანიზმებს შეუძლიათ საკუთარი ნიშნები და განვითარების უნარი შემდეგ თაობებს გენეტიკური გზით გადასცენ. გენებში ინახება გადასაცემი ინფორმაცია. თუმცა, ამ თეორიით ვერ იხსნება, თუ რატომ უჩნდება გენიოსი ორ არაგანვითარებულ ინდივიდს ან ორ გენიოსს – არაგანვითარებადი, შემეცნების უნარს მოკლებული სუბიექტი.

რჩება უკანასკნელი – პრობლემის გადაჭრა იმ უნიკუმის არსში უნდა ვეძებოთ, რასაც კონკრეტული ადამიანი, **მე** ჰქვია.

თანდაყოლილი ცოდნა

მართლაც, ჩვენ ურთულესი პრობლემის წინაშე ვდგავართ. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი გადამრჩენელი **მე** უამრავი არქეტიპების ქვეშაა ჩამარხული და მათ შორის უმთავრესია **პერსონა, ჩრდილი, ანიმა, ანიმუსი, ეგო**.

თქვენ როგორ გაკადრებთ, მაგრამ მე ვიცი, რომ ისეთი არქეტიპები, როგორიცაა თუნდაც პერსონა, ჩრდილი, ეგო ჩემში ჰიპერტროფირებულადაა წარმოდგენილი. მართლაც, იმ უსახურ სიყალბეში, თეატრში, რასაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია, პერსონის, ნიღბის გარეშე არსებობა თითქმის შეუძლებელია. შესაბამისად, იკარგება თავისუფლება და შემოქმედება. საუკუნეების განმავლობაში დალექილი დაქვეითებული სურვილები, ერთმანეთის მიმართ აგრესიულობა, ეგოიზმით განადგურებული ცნობიერების უსუსურობა უკიდურეს ზღვარს აღწევს. გარწმუნებთ, რომ ჭეშმარიტ **მე**-ს გადაფარებული ეს არქეტიპები, „პლასტები" ნებისმიერ გრანიტზე გაცილებით ძნელი გასარღვევია.

იბადება ბუნებრივი კითხვა – ღირს კი ამ „პლასტების" დაძლევაზე კოლოსალური ენერგიის ხარჯვა, თუ **მე**-ს სიმძლავრის არსი და ამუშავების მექანიზმი ბურუსითაა მოცული?

მართლაც, ეს სიმძლავრე – შემეცნება, თვითშემეცნება, ცოდნის მიღება, **მე**-ს თანდაყოლილი აქვს, თუ როგორც ყველაფერი ამ ქვეყანაში, ესეც საშოვარი, მოსაპოვებელია?

შევეცადოთ, ამ მეტად რთულ საკითხში გავერკვეთ.

როგორც ყველა ამაღლებული აზროვნების ადამიანისთვის, ასევე დეკარტესთვის მნიშვნელოვანი იყო ფილოსოფიური კითხვა – როგორ ხდება ადამიანის მიერ ცოდნის მიღება, შემეცნება?

ჩვენ ხშირად ვიყენებთ სიტყვა ცოდნას და ამ დროს არ დავფიქრებულვართ, რა იგულისხმება ამ ცნებაში.

ცოდნა რაღაცის შესახებ არის სხვადასხვა ინფორმაციათა ერთობის, გააზრების შედეგად მიღებული დასკვნა, თეორია, რომელიც შეესაბამება კანონზომიერებას და ახალი თეორიების შექმნის საფუძველი ხდება.

ინფორმაციის ფლობა არ არის ცოდნის იგივური.

მაგალითად: წვიმს ინფორმაციაა, მაგრამ არა ცოდნა. ახსნა, თუ რა არის წვიმა და რატომ წვიმს, ეს უკვე არის ცოდნის გამოვლინება.

დეკარტემ თავისი შემოქმედების ქვაკუთხედად, საყრდენ პრინციპად – **„კოგიტო"**, აზროვნების სუბსტანცია გამოაცხადა. გაიხსენეთ მის მიერ ბრწყინვალედ ფორმულირებული თეზა:

– „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ".

ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ ჯერ კიდევ IV საუკუნეში **პარმენიდემ** მთელ კაცობრიობას მიმართა კითხვით: **„რა, აზროვნება და არსებობა ერთი და იგივე არ არის"?**

დეკარტემ ცნება **მე**, „თვითშემეცნება" თავისი ფილოსოფიის ამოსავალ წერტილად აქცია. ის თვლიდა, რომ გარე სამყაროზე ყველა წარმოდგენა შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ და იმავდროულად აბსოლუტურ სინამდვილედ მივიჩნიოთ დაეჭვებული, მოაზროვნე **მე**-ს არსებობა.

სხვა სიტყვებით, მან რეალობად **მე** – **შემმეცნებელი გამოაცხადა, ხოლო გარე სამყაროს რეალობაში ეჭვი შეიტანა.**

მართლაც, გასარკვევია ის სამყარო, რასაც მე აღვიქვამ, რეალობაა თუ ილუზია.

დიახ, დეკარტეს მტკიცებულებაში „**ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ**" იგულისხმება, რომ აზროვნების გარეშე არაფერი არსებობს.

ხომ არ გეცნოთ რამე ფიხტესგან?

დიახ, ფიხტე აღტაცებული იყო დეკარტეს აზროვნების მასშტაბურობით.

ფილოსოფიური მიმართულება **სოლიფსიზმი** ამტკიცებს, რომ ერთადერთი რეალობა მოაზროვნე სუბიექტია და ყველაფერი სხვა მხოლოდ მის ცნობიერებაშია. შესაბამისად, მთელი სამყარო **მე**-ს ცნობიერის პროდუქტი, წარმოსახვა, სიზმარია.

ასევეა შენთვისაც, გარე სამყარო არის შენი სიზმარი, რომელიც მთელი სიცოცხლე გრძელდება, და ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეს სიცოცხლე უსასრულოა.

მართლაც, სუბიექტური იდეალიზმის უკიდურესი ფორმის – სოლიფსიზმის აზრით, თუ ეს სამყარო, რომელიც არსებობს 13,7 მილიარდი წელი, არის ჩემი აზროვნების პროდუქტი, ჩემი სიზმარი, მაშინ ეს თავისთავად ნიშნავს, რომ მეც ვარსებობ 13,7 მილიარდი წლის მანძილზე. უფრო მეტიც, მე მანამდეც უნდა ვყოფილიყავი, სანამ ჩემი აზროვნება ჩემივე აზროვნების პროდუქტს, სიზმარს შექმნიდა. ამ ლოგიკით, მე უნდა ვიარსებო ამ სიზმრის დასრულების შემდეგაც.

გამოდის, რომ მე განფენილი ვარ ორ უსასრულობას შორის. ამიტომ მე ვარ ის, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება.

დიახ, ეს გრანდიოზული სიზმარი გეკუთვნის მხოლოდ შენ. მთელი სამყარო არსებობს მხოლოდ შენთვის. შენ ხარ სამყაროს ცენტრი, მისი წყარო. შენ ხარ მთავარი ფასეულობა, ერთადერთი რეალობა, ჭეშმარიტება. სხვა ყველაფერი, მთელი სამყარო, მხოლოდ ილუზიაა, რომელიც გაუცნობიერებლად შენივე აზროვნების პროდუქტია. ყველაფერი, რაც შენ გარშემოა, არის შენი არაცნობიერის შემოქმედება. სამყარო და შენი ცხოვრება ესაა განსაკუთრებული სიზმარი. განსაკუთრებულობაში, უპირველესად, იგულისხმება ის, რომ ამ სიზმარში ყველა მოვლენა შეთანხმებულია ერთმანეთთან, არავითარ შეცდომას, წყვეტადობას არ აქვს ადგილი, ყველაფერი კანონზომიერებას ემორჩილება.

მართლაც, დაფიქრდი, შენი არაცნობიერის შექმნილია კეპლერისა და ნიუტონის კანონები, შენი სიზმარია ჰაიზენბერგი თავისი განუზღვრელობის პრინციპით, დანტე ალიგიერი,... და შენ ამაზე არც კი დაფიქრებულხარ.

ეს ნიშნავს, რომ შენი არაცნობიერი, მთელი სამყაროს შემქმნელი, მოწესრიგებულია და, როგორც აღვნიშნეთ, თავის შემოქმედებას მკაცრ კანონზომიერებას უქვემდებარებს, რომელიც ასევე შენი აზროვნების პროდუქტია. სხვა სიტყვებით, შენ ხარ სუპერინტელექტუალური მოაზროვნე და სუპერკომპიუტერის თვითკმარი პროგრამა.

ზოგადად, არსობრივად შენ აბსოლუტი ხარ, მაგრამ ოდესღაც დაგავიწყდა ეს.

ამრიგად, შენი ახლანდელი ცხოვრების სიზმარში დგას ამოცანა – განვითარდე, დაუბრუნდე მივიწყებულ ჭეშმარიტებას, შენივე ღვთაებრიობას.

უნდა მოძებნო გასაღები, რათა დაუბრუნდე შენში ჩამარხულ მეხსიერებას, რომელიც დაგაბრუნებს საკუთარ თავში, **მე**-ში, აბსოლუტთან. დაგანახებს იმ უცნაურ, **პრობლემებით, კითხვებით და მწუხარებით სავსე ცხოვრებას, რომელიც შენივე შექმნილია.**

შენი ჭეშმარიტი არსი შენშივეა, მივიწყებულია, მაგრამ ოდესმე დაიბრუნებ მეხსიერებას, შეუერთდები დავიწყებულ მე-ს, შენში არსებულ ღვთიურ ნაწილს, ღვთაებრიობას, ყოვლისშემძლეობას, დაიბრუნებ მთლიანობას და დაინახავ – შენ წინ გაიშლება უკვდავება, მარადისობა,...

ნახე, რა გენიალური პერსპექტივაა.

შენი არაცნობიერით შექმნილ სამყაროში – გალაქტიკაში, წიგნებში, მუსიკაში, ფილმებში გაბნეულია შენგან დავიწყებული ღვთაებრივი ცოდნა. გაბნეულია ეს ნამსხვრევები, რათა მოაგროვო, მოძებნო, გაიაზრო – ვინ ხარ, საიდან მოდიხარ, სად მიდიხარ, იგრძნო ამ კითხვის მნიშვნელობა და ძალა.

რატომ ცხოვრობ მაინცდამაინც ამ სიზმრისეული ცხოვრების დროს? შესაძლოა, ამ წიგნის კითხვისას დავიწყებული ცოდნა გიბრუნდება, ის არაცნობიერიდან გადმოდის ცნობიერში. იქნებ, ეს ერთი საფეხურია შენი საწყისი არსისკენ, უძლეველობისკენ, უკვდავებისკენ, ღვთიური ძალისკენ.

შეიძლება, ამ წიგნთან შეხვედრა შენივე არაცნობიერის მიერ წინასწარაა დაგეგმილი. ეს წიგნი არის შენი გრძნობის, წარმოსახვის ნაწილი და ამ წიგნის ავტორი შენივე არაცნობიერია, შენივე ნაწილია, შენი დაბრუნებული ცოდნის, მახსოვრობის ნაწილი. ესაა შენი მიწიერი **მე**-ს ნაბიჯი ღვთაებრიობისკენ.

ამიტომ დავინტერესდით **სოლიფსიზმით**.

ამიტომ იყო სოლიფსიზმი გონების ძიების საგანი ისეთი ამაღლებული ინტელექტის მქონე ადამიანებისთვის, როგორებიც იყვნენ ჯორჯ ბერკლი (1685-1753) და იოჰან ფიხტე.

ბერკლის ფილოსოფიაში სამყაროში მატერიის არსებობა არ გაითვალისწინება. ამ თეორიას მან **იმმატერიალიზმი** უწოდა.

ცხადია, ეს აზრი არის გზა სოლიფსიზმამდე – სუბიექტურ იდეალიზმამდე.

დიახ, ბერკლისთვის ეს სამყარო სხვა არაფერია, ვიდრე სუბიექტი, ზეინდივიდუალური **მე** – მისი სული და მისი აზრები.

შეიძლება ვთქვათ, რომ ჯორჯ ბერკლი სოლიფსისტია, მაგრამ თავისებური ხედვით, რადგან ის სუბიექტში, **მე**-ში გულისხმობს რაღაც ფორმით არსებულ ზეინდივიდუალური ცნობიერების მქონე **მე**-ს.

მისთვის ერთადერთი რეალობაა ზეინდივიდუალური **მე** – ღმერთის ცნობიერება.

ბერკლის ეს თეორია **მე**-ს, სუბიექტის გარდა, გამორიცხავს ყველა სხვა სახის სულებს. გამოდის, რომ სამყაროში სხვა არაფერია, ვიდრე ზეინდივიდუალურ სუბიექტში წარმოშობილი იდეები.

ბერკლის აზრით, ყველა საგანი, მოვლენა იდეაა, რომელიც ზეინდივიდუალურ, აბსოლუტურ, ღვთაებრივ გონში არსებობს. შესაბამისად, მე, შენ, წიგნი, სანთელი, იები,... წარმოვადგენთ აბსოლუტური გონის იდეებს. შენ, როგორც იდეა, ჩემს ცნობიერში აღძრავ შეგრძნებებს და ამიტომ გხედავ, მესმის, აღგიქვამ.

თანამედროვე ფილოსოფიაში მსგავს შეხედულებას იზიარებდა ფიზიკოსი შრედინგერი.

თავისთავად ცხადია, რომ როგორი ორიგინალური და საინტერესოც უნდა იყოს სოლიფსიზმი, ის ადრე თუ გვიან წააწყდება აუცილებლობას, **ახსნას ჩემში აზრების წარმოშობის მიზეზი, თუ როგორ ვიაზრებ საკუთარ მე-ს და ჩემგან განსხვავებულ საგნებს.**

ნუ მოგეჩვენებათ აბსურდულად დეკარტესა და ბერკლის შეხედულებები.

თუ როგორ მიმდინარეობს შემეცნების პროცესი ჭეშმარიტად არავინ იცის.

აქ ვალდებულნი ვართ, გავიხსენოთ და ღრმად განვიხილოთ **„მოდელის"** არსი.

მართლაც, ურთულესია სამყაროს შემეცნება და მის კანონზომიერებაში გარკვევა. როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამ პროცესის გააზრების გასამარტივებლად დასჭირდა ადამიანს მოდელის შექმნა.

ჩვენი ღრმა რწმენით, მოდელის არსი არა მარტო გვიადვილებს სამყაროს გააზრებას, არამედ მის გარეშე საერთოდ შეუძლებელია შემეცნება.

თუ თქვენი წარმოდგენა, შეხედულება, თეორია რაიმე საგანზე ან მოვლენაზე აკმაყოფილებს ერთადერთ მოთხოვნას, ახსნას რა ხდებოდა, რა ხდება და დიდი ალბათობით განსაზღვროს, რა მოხდება, მაშინ ეს თქვენი მოსაზრება რაღაც მოვლენასა თუ საგანზე სწორედ ის მოდელია, რომელიც ჭეშმარიტად ჩაითვლება მანამ, სანამ ვინმე უფრო უკეთესს არ მოიფიქრებს.

დიახ, ვიმეორებთ, – **შემოქმედებითი მკვლევარისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ნებისმიერი წარმოდგენილი მოსაზრება, თეორია ჭეშმარიტია თუ არა, ეტევა თუ არა საღი აზროვნების არეალში, გასაგებია თუ არა, მოსაწონია თუ არა, დახვეწილია – თუ დაუხვეწავი.**

დიახ, შემოქმედებით მკვლევარს თავდაპირველად ყოველივე ეს არ აინტერესებს, რადგან მისთვის უმნიშვნელოვანესია: შეუძლია თუ არა ამ

მოსაზრებას, თეორიას, მოდელს ახსნას რა ხდებოდა, რა ხდება და დიდი ალბათობით განსაზღვროს, იწინასწარმეტყველოს რა მოხდება.

მოდელს მეტი არაფერი მოეთხოვება.

ნილს ბორის ატომის მოდელი ისე ჰგავს რეალურ ატომს, როგორც ქიზიყი – ლამანშს. ამის მიუხედავად, ის მშვენივრად ხსნის რა ხდებოდა, რა ხდება და რა მოხდება.

ვიმეორებთ, მოდელის არსი სამყაროს გააზრების ეფექტურობის გაადვილებაა. ის რეალობის აღქმისა და შემეცნების საშუალებაა და არა სამყაროს შემცირებული ფოტოგრაფიული გამოსახულება.

ამიტომ სოლიფსიზმს ნუ შევხედავთ როგორც აბსურდს, არამედ შევხედოთ როგორც მოდელს, რომელიც მე-ს შემეცნებაში დაგვეხმარება.

შემეცნების პროცესში შეძლებისდაგვარად გარკვევისთვის ფიხტემ ბერკლისგან განსხვავებული საკუთარი ხედვა წარმოადგინა.

მის სუბიექტურ იდეალიზმში სული უწყვეტად ქმნადი და ევოლუციური ფენომენია, რომელიც სამყაროს ფორმირებას ახდენს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერკლი ამტკიცებს, რომ ყველა საგანი არსებობს როგორც იდეა ღვთიურ გონში, რომელიც ადამიანის გონებაში შეგრძნებებს ქმნის.

ფიხტე კი აბსოლუტურ **მე**-ს, საბოლოო ჯამში, აიგივებს არა ინდივიდუალურ ან ზეინდივიდუალურ გონიერებასთან, ცნობიერებასთან, არამედ მთელი კაცობრიობის თვითშემეცნებასთან.

სოლიფსიზმიდან გამომდინარე, ჩვენი გონება ის ურთულესი ფენომენია, სადაც თავისთავად არსებობს წარმოსახვა, გრძნობა, რომლის გარეშე არ არსებობს ცოდნა.

დიახ, წარმოსახვა, გრძნობა ის უნიკუმია, ის ფუნდამენტია, რაზეც იბადება ცოდნა.

სხვა სიტყვებით, თანდაყოლილი, თავისთავად არსებული გრძნობა და წარმოსახვა ნიშნავს თანდაყოლ, აპრიორულ ცოდნას.

თავის მხრივ კი, გრძნობა, წარმოსახვა, ცოდნა სხვა არაფერია გარდა შემოქმედებითი პოტენციალისა.

ჩვენ სწორედ შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას ვესწრაფვით, რათა საკუთარი თავი, მომავალი გადავარჩინოთ.

გრძნობა აზრის კარიბჭეა. ალბათ ამიტომაა, რომ გრძნობაგამოცლილნი ვართ.

ჩანართი

თავისთავად ცხადია, შემეცნებისადმი, განვითარებისადმი ალერგიულად განწყობილი ადამიანისთვის დეკარტეს, ბერკლის, ფიხტეს,... მსჯელობა სულზე მისწრებაა. მართლაც, თუ ეს სამყარო ილუზიაა, მაშინ რაღა საჭიროა შრომა, ცოდნის დაგროვება, ინტელექტი,...

ამიტომ, აქ იძულებულნი ვართ, ყურადღება გავამახვილოთ განსხვავებაზე, სოლიფსიზმის მიერ გარე სამყაროს ილუზორულად გამოცხადების მოდელსა და **მე**-ს რეალობიდან ილუზიაში გადასვლის სწრაფვას შორის.

არსებობს სუბიექტური იდეალიზმისგან განსხვავებული რაღაც, არც თუ ისე გასაკვირი ფენომენი, რაც მკაცრი რეალობიდან ადამიანის ილუზორულ სამყაროში გაქცევას ასახავს.

მას ფსიქოლოგიაში **ესკაპიზმი** (ინგლ. გაქცევა, თავის შველა) ეწოდება. ჯერჯერობით ის ავადმყოფობად არ ითვლება, თუმცა ამ მოვლენაზე ყურადღების გამახვილება სულაც არაა ზედმეტი, რადგან მძლავრ უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე. ესკაპიზმი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სტრესის, ფსიქოლოგიური ტრავმის მიმართ, ადამიანის მხრიდან საპასუხო უსუსური რეაქცია.

როდესაც ნებისყოფადაქვეითებული ადამიანი ვერ აღწევს დაგეგმილ, სასურველ შედეგს, მაშინ მასში ესკაპიზმი პასიური ცხოვრების წესში მჟღავნდება. იწყება გაუთავებელი უაზრო, ყალბი სერიალების ყურება, ალკოჰოლი, ნარკოტიკები,... გამოგონილი ან უსუსური ადამიანების გაღმერთება, სიყვარული ან პირიქით, რეალური ადამიანის არმიღება, ზიზღი. ესკაპიზმით შეპყრობილი აღარ ამჟღავნებს ინტერესს საზოგადოებაში აღიარებული ფასეულობების მიმართ და ირჩევს საკუთარი ოცნებების სამყაროს.

ესკაპიზმი მჟღავნდება სუბიექტის არა მარტო ქცევაში, ცხოვრების წესში, არამედ მის პრიმიტიულ მსჯელობაშიც. მაგ., – **წერე, იკითხე, კედელს თავი ახალე, ამ ქვეყანას მაინც არაფერი ეშველება.** ამიტომ, სჯობს ლუდის სმა და საამურ ცხოვრებაზე ოცნება. ფული არა მაქვს და არც მექნება, ამიტომ არც ვისწავლი, არც ვიმუშავებ, ,,კიდეც დავლევ, კიდეც მოვწევ, კიდეც ვინერვიულებ,''... მირჩევნია, თუ რამე დამრჩა, ისიც გავყიდო, ვიშოვო ნარკოტიკი და გადავიდე ოცნებათა სამყაროში.

თავისთავად ცხადია, რომ სოლიფსიზმის ილუზია ისე ჰგავს ესკაპიზმის ილუზიას, როგორც ჰეგელი – ნაძალადევის მეტროს.

ემპირისტები და რაციონალისტები

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, გავერკვეთ, როგორ იქმნება ცოდნა, როგორ შევწვდეთ ჭეშმარიტებას?

რა როლს ასრულებს წარმოსხვა, გრძნობა აზროვნებაში, ჭეშმარიტების შემეცნებაში?

როგორ ხდება შემეცნება?

რატომაა, რომ ერთი სწრაფად იმეცნებს და მეორეს კი უჭირს?

რატომაა ერთი მოაზროვნე, მეორე კი, როგორც იტყვიან, შტერი?

ნუთუ არ არსებობს ის მეთოდები, რომელიც მე, ჩამორჩენილს, გამოშტერებულს გამხდის მოაზროვნეს, გამაგებინებს, თუ როგორ ხდება ადამიანის ღირსების საკადრისი ცხოვრების დამკვიდრება, სოციუმის განვითარება?

მართლაც, **შეუძლია თუ არა ჩემს შემეცნებას, მიიღოს, აითვისოს რაღაც ჩემთვის უცხო, უკიდურესად განსხვავებული, მიუღებელი, მანამდე შეუმჩნეველი, მანამდე გაუაზრებელი?**

შეუძლია თუ არა ჩემს ინდივიდუალურ ცნობიერს, კოლექტიურ უფორმო და "უშინაარსო" ქვეცნობიერში არა მარტო შეღწევა, არამედ მისი საკუთრ თავთან და აბსოლუტურ კანონზომიერებასთან ჰარმონიაში მოყვანა?

და თუ ეს შესაძლებელია, რამდენად დამეხმარება ამაში დეკარტე, მის მიერ დაბადებული ახალი დროების ორიგინალური აზროვნება და მის საფუძველზე აშენებული უმძლავრესი უახლესი ფილოსოფიური სისტემები?

ხომ არ ჰგავს საკუთარ თავში თავისუფალი, შემოქმედი, ჭეშმარიტი **მე**-ს ძიება გაცვეთილ მეტაფორას – „ბნელ ოთახში შავი კატის ძებნას?" მით უმეტეს, თუ კატა საერთოდ არაა ამ ოთახში.

– არა.

თუ ეს შეძლო ჰომეროსმა, სოკრატემ, დანტემ, მიქელანჯელომ, ვაჟამ, გალაკტიონმა,... მაშინ მე რა დავაშავე?

როგორ მოახერხეს მათ „ბნელ ოთახში შავი კატის დაჭერა?" – ეს ის კითხვაა, რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი.

ამ ამოცანის ამოსახსნელად ფიხტეს „**მე ვარ მე**"-ზე ზემოთ განხილული მსჯელობა არის აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობა. სწორედ ამ არასაკმარისობის შეძლებისდაგვარად შემცირების მცდელობაა ეს ნაშრომი.

ამისთვის უფრო დაკვირვებით გადავხედოთ ადამიანთა ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიის უკანასკნელ 400 წელიწადს.

გვეკითხებიან: – რა დროს ..., დეკარტე, კანტი და ჰეგელია,... XXI საუკუნეში?

მათ ვუპასუხებთ: – ერთი მხრივ, ჩვენ უნდა გავიაროთ აზროვნების, განვითარების ის გზა, რაც გაიარა ცივილიზებულმა სამყარომ, მეორე მხრივ, თუ ადამიანი, სოციუმი დაიბნა ამ გზაზე, ვერავითარ შედეგს ვერ აღწევს, ვერ ვითარდება, მაშინ უნდა დაუბრუნდეს საწყისს და ყველაფერი თავიდან დაიწყოს.

1619 წლის 9-10 ნოემბრის ღამეს 23 წლის დეკარტე ჩაფიქრდა თანდაყოლილი ცოდნის, გარემომცველი სამყაროს რეალობა-ილუზორულობაზე. 1637 წელს ის გამოსცემს ნაშრომს, სადაც სრული სიმძლავრით გამოჩნდა მისი ფილოსოფიის კვინტესენცია – **ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ.**

სწორედ ეს, დეკარტეს მიერ ახალ საფეხურზე აყვანილი აზროვნების განსაკუთრებულობა თანდაყოლილი ცოდნის, იდეის გათავისების მცდელობა იქცა ფილოსოფიური სამყაროს დისკუსიის საგნად.

დეკარტეს მიერ ამ საკითხის წამოწევით იწყება ადამიანთა ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რასაც **ახალი დროება** ჰქვია.

დიახ, **ახალი დროება** დღევანდელი ცივილიზაციის, უდიდესი განვითარების საძირკველი, საფუძველი იწყება კითხვით – **ცოდნა თანდაყოლილია, თუ – შეძენილი ფენომენი?**

ფილოსოფოსები გაიყვნენ ორ ბანაკად.

მათ, ვინც თვლის, რომ არსებობს თანდაყოლილი ცოდნა, იდეა, რითაც ადამიანი შეიმეცნებს სამყაროს, ეწოდათ **რაციონალისტები** (ლათ. ratio – გონება).

ხოლო მათ, ვინც თვლის, რომ სამყაროს შემეცნება ხდება გრძნობით, დაკვირვებით, ემპირიით ეწოდათ **ემპირისტები.**

ემპირია ბერძნული სიტყვაა და გამოცდილებას ნიშნავს. ემპირია ბუნებრივ პირობებში გრძნობითი ორგანოებით გარე სამყაროზე დაკვირვების შედეგად მიღებული გამოცდილებაა. ის ექსპერიმენტისგან იმით განსხვავდება, რომ ემპირიული ცოდნა არა სამყაროზე ზემოქმედების შედეგად, არამედ ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვების შედეგად მიიღება.

ემპირისტების ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია **ჯონ ლოკი**. მან შექმნა ნაშრომი **"ცდები ადამიანის გონივრულობაზე"**, სადაც აკრიტიკებს დეკარტეს **„თანდაყოლილი იდეების"** თეორიას. მისი აზრით, ახალდაბადებული ადამიანის გონი „ცარიელი დაფაა" და ის შინაარსობრივად ივსება, უპირველეს ყოვლისა, შეგრძნებებით. გრძნობითი ცდებით, ემპირიით იქმნება ადამიანის შინაგანი გამოცდილება. გამოცდილებაში ის გულისხმობს იდეათა ერთობლიობას, რაც მისი აზრით, არის გრძნობითი შთაბეჭდილებები, წარმოდგენები, ცნებები. მან ცოდნის, გონივრულობის საწყისად გამოაცხადა გრძნობა, ემპირია. მისი ლოზუნგია – „ყველაფერი ცდიდან". ყველაფრის საფუძველია ემპირიზმი და „სენსუალიზმი". შემეცნების ყველა ფორმა, საბოლოო ჯამში, დადის გრძნობებთან.

ფილოსოფიაში ნაკლებად გარკვეული ადამიანისთვის ლოკის მსჯელობა ნათელი და აშკარაა. **თუმცა, როგორც ჭკვიანები გვიხსნიან, ადვილად გასაგების უკან, როგორც წესი, ძალიან დიდი გაუგებრობა იმალება.**

ეს ჩემზე კარგად იცოდა ლაიბნიცმა.

ლაიბნიცი რაციონალისტური მიმართულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. მან ლოკის ნაშრომის – **"ცდები ადამიანის გონივრულობაზე"** საპასუხოდ დაწერა წიგნი – **„ახალი ცდები ადამიანის გონივრულობაზე"**.

ლოკის „სენსუალიზმის" ფორმულას – **„არაფერია ინტელექტში ისეთი, რაც არ იყო ადრე გრძნობაში" –** ლაიბნიცმა დაამატა – **„თვით ინტელექტის გარდა".**

ლაიბნიცის აზრით, ახალდაბადებულის ცნობიერება ეს არაა „სუფთა დაფა, ფურცელი", „ცარიელი შენობა". ესაა მარმარილოს ბლოკი, რომელშიც უკვე ჩანს მომავალი ქანდაკების ფორმა. ადამიანში უკვე თავიდანვეა ჩადებული ის, რასაც პლატონი და დეკარტე „თანდაყოლილ იდეას" უწოდებენ.

ლაიბნიცი ღრმადაა დარწმუნებული, რომ გრძნობიდან ვერ მიიღებ ინტელექტს, რაციონალურ აზროვნებას. ლაიბნიცი რაციონალისტია, ის აფასებს ემპირიას, თუმცა ემპირიულ მონაცემებს იაზრებს აბსტრაქტული აზროვნების საფუძველზე. დიახ, ის დეკარტესავით დარწმუნებულია, რომ

წარმოდგენასა და ცოდნას გრძნობად სამყაროსთან კავშირი არა აქვს, ამიტომ მათი შეძენა შეუძლებელია. წარმოსახვა და ცოდნა თანდაყოლილია.

რა საინტერესოდაც უნდა მოგვეჩვენოს რაციონალისტებისა და ემპირისტების მსჯელობები, მაინც ადგილი აქვს დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, რადგან ლაიბნიცის მეტაფიზიკის სახელით ცნობილი რაციონალიზმი, სამწუხაროდ, ხელოვნური და სიცოცხლის უუნარო აღმოჩნდა.

ჯონ ლოკის, დევიდ იუმის და სხვათა შესაშური ენერგიულობის მიუხედავად, ემპირიზმი სკეპტიციზმამდე დაეშვა.

ამრიგად, მდგომარეობა ჩიხში შევიდა.

სწორედ ამ დროს ევროპულ აზროვნებას მხსნელად **კანტის** გენია მოევლინა. ის შეეცადა, განემუხტა დაძაბულობა. მან ოფიციალურად განაცხადა, რომ ფილოსოფიაში კოპერნიკისებურ გადატრიალებას მოახდენდა. გადატრიალების არსი კი ამ ორი მიმართულების შეჯერებაში მდგომარეობდა.

მარტივად რომ ვთქვათ, კანტი ემპირიზმისა და რაციონალიზმის დადებითი მხარეების გაერთიანებას შეეცადა.

კანტის აზრით, არსებობს ორი სახის ცოდნა: **აპრიორული, რომელიც ჩვენში თავიდანვეა ჩადებული და აპოსტერიორული, გამოცდილებით შეძენილი ცოდნა.**

აპრიორული ცოდნის წყაროა ადამიანის შემეცნების უნარი – განსჯა, გონი.

აპოსტერიორული ცოდნის წყარო კი გამოცდილება, ემპირიაა. კანტი დაკვირვებისას მიღებულ გამოცდილებას შემდეგნაირად განმარტავს: – ეს არის ''განსჯის'' პროდუქტი, რომელიც ''გრძნობით'' არეალს, მასალას ეყრდნობა.

კავშირი აპრიორულ და აპოსტერიორულ ცოდნას შორის შემმეცნებელი სუბიექტის პროდუქტიული წარმოსახვით მყარდება.

თვით სუბიექტი აიძულებს აპრიორულ ცოდნას, გავიდეს მისი საზღვრებიდან და ემპირიულ ცოდნასთან გაერთიანდეს. ამ ''ზღვარს მიღმა'' გასვლას ლათინურად **ტრანსცენდენცია** ეწოდება.

შესაბამისად, ჩვენი მეცნიერული ცოდნა ტრანსცენდენტურია არა თავისთავად, არამედ ემპირიულ ცოდნასთან გაერთიანებისას, ზედდებისას.

მოაზროვნე სუბიექტის აქტივობისას თითქოს აპრიორული ცოდნა ემპირიულს ედება.

აქ თითქოს ადგილი აქვს ემპირიულ და რაციონალურ შეხედულებათა დაახლოებას, მაგრამ შემეცნების საკითხში მაინც ვერ გაეცა პასუხი მრავალ კითხვას. ემპირისტებისა და რაციონალისტების დამეგობრება არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც კანტს ეგონა.

კანტის აზრით, ყოველგვარი ყოფიერება არის აზროვნება, სხვა სიტყვებით, შემეცნებადი ყოფა.

შესაბამისად, სამყარო შეუცნობადი, აზრის გარეშე, სულის არეალის გარეშე არ არსებობს.

მიუხედავად ამ ბრწყინვალე კატეგორიული განცხადებისა, კანტმა ეს სამყარო დაყო **ფენომენებად, მოვლენებად,** რასაც ჩვენი გონება სწვდება და **ნოუმენებად**, იმად, რასაც ვერ სწვდება.

ნოუმენი (ბერძ. **noumenon** – ჩასაწვდომი, მისახვედრი) პირდაპირი გაგებით, გონებით მისაწვდომი, აზრობრივი არსი. ის განსაზღვრავს ადამიანის ცოდნის იმ სფეროს, რომელიც გადის გრძნობითი აღქმის საზღვრებს გარეთ. პლატონმა ეს ტერმინი პირველად იხმარა დიალოგში „ტიმეოსი". აქ ნოუმენი წარმოდგენილია როგორც გონების ძიების საგანი, რეალობა, რომელიც არსებობს თავისთავად, თავის თავში. კანტის ტრანსცენდენტალური იდეალიზმიდან ამ ტერმინმა მიიპყრო ამაღლებული ყურადღება. კანტი ამ ტერმინს განიხილავს ორჯერ: როგორც უარყოფით, პრობლემატურ ცნებას („წმინდა გონების კრიტიკა") და როგორც არაგრძნობითი განჭვრეტის საგანს (ღმერთი, თავისუფლება, მორალი...), რომელიც მიუწვდომელია ადამიანისთვის („პრაქტიკული გონების კრიტიკა").

კანტის ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიაში ნოუმენი გაიგივებულია „საგანთან თავის თავში", რომელიც თეორიული შემეცნებისთვის მიუწვდომელია, მაგრამ გრძნობითი შემეცნების წყაროა. მარტივად რომ ვთქვათ, ნოუმენი არის სახელი მაგ., ღმერთი, რომელიც მიუწვდომელია თეორიული მსჯელობისთვის, მაგრამ ჩემი რელიგიური გრძნობების უდიადესი წყაროა.

კანტის აზრით, ნოუმენი არ შეიძლება მეცნიერული კვლევის საგანი იყოს. მასზე მსჯელობა მხოლოდ რწმენითაა შესაძლებელი.

დიახ, კანტის აზრით, ნოუმენების ზუსტი განსაზღვრება შეუძლებელია, შესაბამისად, ნოუმენები ბოლომდე არ გვიხსნიან თავის არსს, ისინი თითქოს თავის თავში არიან „ჩაკეტილნი", აქედან კანტის გამოთქმა – **„საგანი თავის თავში".**

სწორედ ამიტომ **კანტმა შემოგვთავაზა ცოდნის ფარგლების შემოსაზღვრა, რათა რწმენისთვის დაეთმო ადგილი.**

გამოდის, რომ კანტის აზრით, ჩემთვის, როგორც სუბიექტისთვის, შეუცნობადია ობიექტი – „საგანი თავის თავში".

კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ კანტის აზრი: – **ჩემთვის, როგორც სუბიექტისთვის** (შემმეცნებლისთვის), **მიუღწეველია ობიექტის** (შესამეცნებლის) **სრული გააზრება.**

ფაქტობრივად, ამით კანტმა უფსკრული გათხარა ჩემსა და საგანს შორის, **სუბიექტსა და ობიექტს** შორის.

სწორედ კანტის ეს მძიმე ვერდიქტი, რომ **არის ამ სამყაროში ბევრი ისეთი უმნიშვნელოვანესი რამ, რომელსაც მე ვერასდროს შევიმეცნებ,** მართალი გითხრათ, მე დიდ სევდას მგვრის.

აქ ჩემთვის ყველაზე მეტად გულდასაწყვეტია ის, რომ კანტის ფილოსოფიაში ბოლომდე არაა ახსნილი, თუ რატომ რჩება აბსოლუტურად შეუცნობადი „საგანი თავის თავში", რომელიც ჩემს ცნობიერებას ევლინება.

ეს, ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, მოგეხსენებათ, ადამიანი ქმნის მოვლენებს, საგნებს (მობილური, კომპიუტერი,...).

თუ ადამიანი, როგორც შემეცნებითი სუბიექტი, ქმნის მოვლენათა (ფენომენთა) სამყაროს, თავად არ უნდა იყოს მხოლოდ მოვლენა, მხოლოდ წარმოდგენა. შესაბამისად, ის ნოუმენია.

გამოდის, რომ კანტის თანახმად, ადამიანი არის არა მარტო მოვლენა, არამედ – შეუცნობადი, „საგანი თავის თავში".

ასეთი მიდგომა ჩემში დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, პროტესტს იწვევს, რადგან **მე მინდა, შევიმეცნო საკუთარი თავი – მე, რათა შევიმეცნო სამყარო, შევიმეცნო ღმერთი, შეგიმეცნო შენ.**

ჩანართი

მე, როგორც განსაკუთრებული, უნიკალური ფენომენი, ჯერ კიდევ ბიბლიაშია აღნიშნული – **ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად და მსგავსად თავისა** (დაბადება 1.26.).

ანტიკურ ფილოსოფიაში პროთაგორას (ძვ.წ.V ს.) აზრი: **"ადამიანი არის ყველა საგნის საზომი"**, დღესაც ყურადღებას, დაფიქრებას მოითხოვს.

გაცილებით ღრმა გააზრებას ითხოვს სოკრატეს (ძვ.წ.V ს.) უმნიშვნელოვანესი დაზუსტება: ადამიანი კი არა, **"მოაზროვნე ადამიანი არის ყველა საგნის საზომი".**

დემოკრიტესა (ძვ.წ.V-IV ს.) და არისტოტელესთვის (ძვ.წ.IV ს.) ადამიანი არის მიკროკოსმოსი, ყოფიერების მთავარი არსი.

ანტიკურ ფილოსოფიაში ადამიანი არის კოსმოსის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, კოსმოსის უმაღლესი გამოვლინება. აქ ადამიანი და სამყარო წარმოდგენილია როგორც ურთიერთსადარი თანაფარდობა.

გავიხსენოთ ქილონი – **„შეიცან საკუთარი თავი და შეიცნობ მთელ სამყაროს, ღმერთებს".**

შუა საუკუნეებში ადამიანის ასეთ შეფასებას მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ექცეოდა და ცნება ადამიანი დოგმატური აზროვნების ჭაობში იკარგება.

დგება 1265 წელი. იბადება **დანტე** (დურანტე დელი ალეგიერი).

სიყვარულმა დანტეს შეაცნობინა ის უძლეველი ძალა, **"რაც ამოძრავებს მზესა და ვარსკვლავებს".** ამ სიტყვებით მთავრდება "**ღვთაებრივი კომედია**" და იწყება განუმეორებელი ეპოქა – ეპოქა ადამიანის აღორძინებისა – რენესანსი.

ადრეული ჰუმანიზმის წარმომადგენელი ჯოვანი პიკო დელლა მირანდოლა (1463-1494) ღრმად იყო დარწმუნებული, რომ – **„იქ, სადაც არის სიცოცხლე, იქ არის სული. სადაც არის სული, იქ არის გონება".**

მართლაც, სიცოცხლის უკეთესი დახასიათება გაუჭირდება ადამიანს.

სული და გონება.

თუ თქვენთვის **სული და გონება იგივური ცნებები არაა**, მაშინ გაგიჭირდებათ იმისი გაგება, რომელია უპირატესი მათ შორის.

აღორძინების პერიოდში წინ გამოდის ადამიანი, როგორც შემოქმედი, ღმერთის ფუნქციის მიმღები, აღმქმელი **მე**-სი, სამყაროსი.

ასევე, პლატონიზმის წარმომადგენელი, ფლორენციელი **მარსილიო ფიჩინოს** (1433-1499) აზრით, ადამიანი ღვთის მსგავსად უძლეველია.

და თუ ეს ასეა, მაშინ მე, შემოქმედს უსაზღვრო გონივრულობისა და სილამაზის რეალიზება შემიძლია.

კი მაგრამ, როგორ მივაღწიო ამას?

აღორძინების ეპოქაში, ანტიკური პერიოდისთვის დამახასიათებელი, სხეულისა და სულის ერთობის მთლიანობაში გააზრება დაიწყო.

ხელოვნება აღწევს სრულყოფის უმაღლეს დონეს. აღორძინების ადამიანი არის არა უბრალოდ შემოქმედი, არამედ, ესთეტიკური აზრით, შემოქმედი მხატვარი – ფილოსოფოსი, არქიტექტორი, ფერმწერი, სკულპტორი, პოეტი, მუსიკოსი,...

ლეონარდო და ვინჩი – მხატვარი, გამომგონებელი,... მიქელანჯელო – მხატვარი, პოეტი, სკულპტორი,... ორივე – ფილოსოფოსი.

რენესანსი, ეს არის ესთეტიკის ფილოსოფია.

რენესანსი, ეს არის რეალობა, სხეული, საიდანაც ანათებს სულიერება, ღმერთი გამომჟღავნებული ადამიანში.

და თუ ვინმეს ამაში ოდნავ მაინც ეპარება ეჭვი, ვთხოვთ, გაიხსენოს მიქელანჯელო: – სიქსტის კაპელა, ნათელისა და ბნელის გარიყვა, მზისა და მთვარის დაბადება, ადამის დაბადება, დავითის ქანდაკება, და ვინჩის – საიდუმლო სერობა, ღვთისმშობელი ყრმით,...

იწყება საოცრება – შემოქმედი, მხატვარი საკუთარი თავის აღმზრდელად, შემქმნელად გვევლინება, ამიტომ შეუძლებელია, რომ მხატვარი არ იყოს ფილოსოფოსი, თეოლოგი, პოეტი, მათემატიკოსი...

შემოქმედებაში იხვეწება და სრულყოფას აღწევს ადამიანის სხეულის ხაზების ჰარმონია. ანტიკურმა ეპოქამ ადამიანის სიმაღლე ექვს-შვიდ ნაწილად დაყო. აღორძინების ბრწინვალე წარმომადგენელმა, გენუელმა მწერალმა, ჰუმანისტმა, ახალი ევროპული არქიტექტურის ფუძემდებელმა, ხელოვნების თეორეტიკოსმა **ალბერტიმ** კი – 600 ნაწილად. გერმანელმა ფერმწერმა, გრაფიკოსმა, ქსილოგრაფმა **ალბრეხტ დიურერმა** (1471-1528) კი – 1800 ნაწილად.

დიახ, ასეთი სრულყოფისკენ სწრაფვა უკვე მკაცრი მათემატიკური სილამაზეა.

დაუკვირდით, დღევანდელი მათემატიკა დისტანცირებულია სუბიექტურობისგან. **რენესანსის მათემატიკა კი, დაბადებული სულში, ქმნის სიცოცხლეს და სუბიექტის, საგნის ფორმა მშვენიერებაში გადაჰყავს.**

ყველაფერი, რაც არსობრივად არსებობს სამყაროში, როგორც მოვლენა ან წარმოსახვა, იბადება ჯერ სულში, შემდეგ კი გადადის შემოქმედის მარჯვენაში, ხელში.

მიქელანჯელოს აზრით, **მარმარილოს ვერც ერთი გენიოსი ვერ მიამატებს აზრს, რაც მის არსში თავიდანვე არ არის ჩადებული და რასაც ხელი, ჩვენი განსჯის მსახური, მხოლოდ გამოავლენს.**

ხელი – განსჯის მსახური – შემოქმედების უდიადესი პრინციპი.

ანთროპოცენტრიზმი, ეგზისტენციალიზმი

ზემოთ აღნიშნული, უკიდურესად მოკლე, მიმოხილვიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ რენესანსმა წინ წამოსწია ადამიანი – **მე.**

ანტიკურ ეპოქაში დაბადებული ფილოსოფიური მიმართულების – ანთროპოცენტრიზმის განვითარებამ უმაღლეს დონეს მიაღწია.

ანთროპოცენტრიზმი – ადამიანის არსის განმსაზღვრელი იდეოლოგია, რომელიც თვით ადამიანისგან გამომდინარეობს. ანთროპოცენტრიზმი

განიხილავს ადამიანს, როგორც კონკრეტულ, თვითკმარ ფენომენს, რომელსაც საკუთარი ცხოვრების წესის განსაზღვრა ხელეწიფება.

ამ იდეოლოგიის მიხედვით, ცნებებში – **ადამიანი, საზოგადოება – პირველადია ადამიანი. ადამიანი წარმოადგენს იმ ცენტრს, სადაც გრძნობა, აზრი და სამყარო იკვეთება.**

სწორედ რენესანსის დროს წინ წამოწეული **მე** და მისი ყოფიერება, მისი სამყარო – ანთროპოცენტრიზმი, როგორც ფილოსოფია, ხდება დეკარტეს, ბერკლის, ფიხტეს და მთელ შემდეგ თაობათა გონების ძიების საგანი.

ანთროპოცენტრიზმი, როგორც რენესანსისა და ახალი დროების მნიშვნელოვანი ფილოსოფიური მიმართულება, გარკვეული გაგებით, ხდება ეგზისტენციალური ფილოსოფიის განმსაზღვრელი, თუნდაც იმიტომ, რომ ეგზისტენციალური ფილოსოფიისთვისაც ადამიანი არის ამოსავალი წერტილი.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მატერიალიზმსა და იდეალიზმს, ემპირიზმსა და რაციონალიზმს შორის განსხვავებებზე.

ანტიკური პერიოდიდან ჰეგელამდე ფილოსოფიის არსი **გონივრულობით** იყო გაჟღენთილი. ისინი ეყრდნობოდნენ გონის ძალას და მას არსებობის ჭეშმარიტ განმსაზღვრელ საყრდენად თვლიდნენ.

XIX საუკუნეში ზოგიერთმა ფილოსოფოსმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ **გონივრულ,** რაციონალურ ფილოსოფიაში თანდათანობით დაიკარგა კონკრეტული ადამიანი, მისი ყოფა, ცხოვრება. ამიტომ წინ წამოიწია და პირველადად, რეალობის განმსაზღვრელად ცხადდება ადამიანის ცხოვრება.

იბადება **ცხოვრების ფილოსოფია** (შოპენჰაუერი, ნიცშე).

მოგვიანებით ცხოვრების ფილოსოფიას ცვლის ეგზისტენციალიზმი (ლათ. **exsistentia** – არსებობა) - ადამიანის არსებობა.

ამ მიმართულებაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ადამიანთა ცხოვრების იმ მხარეებზე, რითაც რაციონალიზმი ნაკლებად ინტერესდებოდა.

ცხადია, საკითხავია, ეს უნამუსო რაციონალიზმი რას არ აქცევდა ყურადღებას?

რას და – ადამიანს, ცხოვრებაში მის მარტოობას, უსუსურობას, დაუცველობას.

ეს მიდგომა არახალია. ადამიანს უხსოვარი დროიდან აწუხებდა განწირულობა.

პასკალის, კერკეგორის,... (ეგზისტენციალიზმის ფუძემდებლები) შემოქმედებაში სიყვარულით, შიშითა და ძრწოლვით შეპყრობილ ადამიანს საკმაო ადგილი ეთმობა.

მათი აზრით, ადამიანი ზღვრულ მდგომარეობაში – შეყვარებული ან სიკვდილის შიშით შეპყრობილი, ნათლად ავლენს თავის არსებობას, არსს.

გამოდის, რომ ეგზისტენციალიზმი არის ადამიანის არსის გააზრება ზღვრულ მდგომარეობაში.

ეგზისტენციალური გაგებით, ჩვენი გონება, განსჯის უნარი ჭეშმარიტების საკვლევად გამოუსადეგარია. ადამიანს არ შეუძლია აბსტრაქტული აზროვნება.

სწორედ ამ უსუსურ, შეწუხებულ, ზღვრულ მდგომარეობაში ქმნის ადამიანი საკუთარ თავს. ის მუდმივად დგას არჩევანის წინაშე – თავისუფლება თუ წესრიგი, აქტიურობა თუ მორჩილება, ცხოვრება თუ მისგან გაქცევა. ამ არჩევანით ამჟღავნებს ის თავის თავისუფლებას და იმავდროულად პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებებზე.

> დაუკვირდით, ეგზისტენციალიზმი აპირისპირებს ცნება **თავისუფლებას** და **წესრიგს,** რაც ჩვენი **მატრიცული თეორიის** თვალთახედვით მიუღებელია, რადგან ცნება **თავისუფლება** და **წესრიგი** იგივურია, რის მტკიცებულებას მოგვიანებით მოგახსენებთ.

ეგზისტენციალური მიდგომით – მხოლოდ შიშით, ძრწოლვით ფსიქიკის ზღვრულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის შინაგანი არსის გააზრება – ჩვენი აზრით, არასრულყოფილი, ირაციონალურია.

ფრანგი ფილოსოფოსი **ანრი ბერგსონი** (1859-1941) ცხოვრებას განიხილავდა კოსმოლოგიური, ე.ი. მთელი სამყაროს განვითარების ხედვის კუთხიდან. ის, მათემატიკური განათლების მიუხედავად, რატომღაც თვლიდა, რომ მეცნიერება ცხოვრებას, ადამიანის შემოქმედებას უხეშად, დანაწევრებულად განიხილავდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ცხოვრებაში გასარკვევად მეცნიერულ მეთოდს ის არასაკმარისად მიიჩნევდა. მისი აზრით, ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ინტუიციითაა შესაძლებელი. ბერგსონი თვლიდა, რომ ინტუიცია ფილოსოფიისა და მეცნიერების ზოგადი საფუძველია. ფილოსოფია უპირველესად ინტუიციური ცოდნაა და ამიტომ ის ხელოვნებას უფრო ჰგავს, ვიდრე მეცნიერებას.

მეცნიერული მეთოდისადმი ასეთმა არასერიოზულმა დამოკიდებულებამ ბევრი ვერაფერი მოუტანა კაცობრიობას.

სამწუხაროდ, ბერგსონის მაინც ორიგინალური ფილოსოფია დღეს ნიცშეს ფილოსოფიის ჩრდილში მოექცა.

ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, ცხოვრების ფილოსოფია თანდათან ამჟღავნებს თავის უსუსურობას და შეუმჩნევლად **ეგზისტენციალიზმში** გადადის.

„არსებობა", ეგზისტენციალური გაგებით, არის სუბიექტის გასვლა შიგნიდან – **მე**-დან გარეთ – **„სხვისკენ"**, მისკენ სწრაფვა და გახსნილობა.

ეგზისტენციალიზმის თეისტურ ვარიანტში (იასპერსი, მარსელი) ეს **„სხვა"** ღმერთია.

ეგზისტენციალიზმის ათეისტური (სარტრი, კამიუ) გაგებით, ეს **„სხვა"**, საითაც **მე** მიისწრაფვის, არის „არაფერი".

და ადამიანი ამ სწრაფვით, ორივე შემთხვევაში, თავისუფალი ხდება.

ამ ფილოსოფიის თანახმად, ადამიანის არსებობა განსაზღვრავს მის არსს.

სხვა სიტყვებით, ადამიანი ჯერ იბადება, იწყებს არსებობას, ცხოვრებაში რაღაც ადგილს იკავებს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს გარემომცველ სამყაროში გარკვევას.

აქ თითქოს ყველაფერი გარკვეულია და ეს მსჯელობა დისკუსიას არ უნდა იწვევდეს. საკმაოდ დამაჯერებელი ლოგიკური განსაზღვრების მიუხედავად, იბადება მრავალი კითხვა, რაზედაც ეს ფილოსოფიური მიმართულება სრულ პასუხს ვერ იძლევა.

მართლაც, თუ არსებობა, გარემო განსაზღვრავს ადამიანის არსს, მაშინ დამაჯერებლად, სრულად ვერ იხსნება ის ფენომენი, რასაც პროგრესს, განვითარებას ვუწოდებთ.

ეს თითქმის იგივე ემპირიზმია და აქ ახალი არაფერია.

გაიხსენეთ ემპირისტების მსჯელობა – ადამიანის შემეცნება დაბადებისას ცარიელი ფურცელი, არსს მოკლებული ფენომენია, რომელიც შემდგომი ცხოვრებით იძენს აზრს, გონებას, არსს.

ჩვენ აღარ დავუბრუნდებით ემპირიზმისგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულების მქონე რაციონალურ ფილოსოფიას. უბრალოდ გავიხსენებთ ჩინელ ფილოსოფოსს ჰუი შიმს, რომელმაც აღნიშნულ საკითხზე ოცდასამი საუკუნის წინ გამოთქვა აზრი – **ბუმბული უკვე კვერცხში არსებობს.**

დიახ, ჩემში არათუ დაბადებისას, არამედ დაბადებამდეც არსებობს არსი – თავისუფლების, შემოქმედების, სამართლიანობის, სიყვარულის სახით.

წინააღმდეგ შემთხვევაში მივდივართ დასკვნასთან: – რადგან ადამიანი თავდაპირველად არაფერს წარმოადგენს, მისი არსი არაა დეტერმინირებული, ამიტომ ის მეცნიერულ განსაზღვრებას არ უნდა ექვემდებარებოდეს.

შემდგომში ადამიანის შინაგანი არსის ჩამოყალიბება დამოკიდებულია არსებობაზე. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ცვალებადი და განუჭვრეტელი ფენომენია. შესაბამისად, მეცნიერულ, ფილოსოფიურ განსაზღვრებას მით უმეტეს არ უნდა დაექვემდებაროს.

შედეგად ვიღებთ ჩვენთვის უკვე ცნობილ დასკვნას: – ადამიანი წარმოადგენს განუჭვრეტელ არსებას, **„საგანს თავის თავში".**

ეგზისტენციალური გაგებით ეს ნიშნავს, რომ ვერ შევიმეცნებ ადამიანს, საკუთარ თავს, სამყაროს, ღმერთს. ვიმეორებთ, ეგზისტენციალური ფილოსოფიიდან გამომდინარე, ადამიანი არის მხოლოდ ის, რასაც არსებობა ქმნის და იმის იქით არაფერია.

ჩვენს უღიმღამო არსებობას თუ როგორი ადამიანის არსის ფორმირება შეუძლია, ამას გოჭიც კი მიხვდება.

ნებისმიერი ეგზისტენციალური მტკიცებულება, რომ მოგვიანებით ადამიანს ხელეწიფება შეცვალოს მისივე არსის დამბადებელი „არსებობა", თავდაპირველი განსაზღვრებიდან გამომდინარე, ნაკლებალბათურია, რადგან მეორადი (არსი) იმიტომაა მეორადი, რომ დამოკიდებულია პირველადზე (არსებობაზე) და არა პირიქით.

მართლაც, თუ ადამიანი საწყის მდგომარეობაში მოკლებულია ყოველგვარ არსს, რომელიც განსაზღვრავდა მის შინაგან ბუნებას, მაშინ ნებისმიერი ჩვენგანი გაურკვეველი ყოფიერებისთვისაა განწირული.

გამოდის რომ, ყოველგვარი მცდელობა თავიდანვე დავსახოთ მიზნები, განვსაზღვროთ ცხოვრების წესი აზრს მოკლებულია, რადგან თავიდან მე არ გამაჩნია არსი და იძულებული ვარ წავიდე იქ, სადაც გარემოება მიბიძგებს. სხვა სიტყვებით, მე კი არ განვკარგავ გარემოს, ყოფიერებას, არამედ გარემო განმკარგავს მე, განკარგავს ჩემს არსს.

ეგზისტენციალური ფილოსოფიის მრავალფეროვნებას (თუნდაც ის, რომ არსებობს ათეისტური და თეისტური ეგზისტენციალიზმი) და ამოცანათა სიმრავლეს მივყავართ მკვლევართა დაბნეულობასთან, რაც გამოიხატება მათი დასკვნით: – სოციალური მეცნიერების არსებობა უაზრობაა.

თუმცა, არსებობენ მეცნიერები, რომლებიც იმაზე აღარ დავობენ, რომ სოციუმის შესახებ დაგროვდა ცოდნა, მაგრამ ქმნის თუ არა ეს ცოდნა მეცნიერებას – როგორც ცისფერთვალება ბიჭი იტყოდა – **საკითხავი აი, ეს არის.**

ჩვენი აზრით, მთელი სამყარო გაჟღენთილია კანონზომიერებით. შესაბამისად, სოციუმი, როგორც სამყაროს ნაწილი, ნაწილაკობრივი სისტემა, ასევე უნდა ემორჩილებოდეს რაღაც კანონზომიერებას.

თუ ბუნებრივი მოვლენები აღიწერება უკვე დადგენილი კანონებით, როგორც უმაღლესი კანონზომიერებების ფასეულობებით, ასევე სოციალური მოვლენების ინტერპრეტირებაც სულიერი უმაღლესი ფასეულობების ხედვის კუთხიდან უნდა ხდებოდეს.

საბუნებისმეტყველო თეორიების მართებულობა ბუნების მოვლენებზე დაკვირვებით მიღებული დასკვნებით მტკიცდება. სოციალური თეორიების მართებულება კი – მისი ეფექტურობით.

გამოდის, რომ სოციალური მეცნიერებისთვის დამახასიათებელია რეალობის არეალს არგაცილებული იდეალის, იდეის ეფექტურობა.

როგორც ყველა ნაწილაკობრივ სისტემას, სოციუმსაც უნდა ახასიათებდეს ალბათური (სტატისტიკური) კანონზომიერება, რომელმაც გარკვეულ ფასეულობაზე დაყრდნობით უნდა ახსნას ადამიანთა ქმედების არსი წარსულში, აწმყოში და დიდი ალბათობით იწინასწარმეტყველოს მომავალი.

არ არსებობს არავითარი დამაჯერებელი ახსნა, საფუძველი, რომლის მიხედვითაც უნდა გამოირიცხოს სოციალური რეგრესისა და პროგრესის ამხსნელი მეცნიერული კანონზომიერების აღმოჩენა.

აქ საქმე გვაქვს რაღაც პარადოქსთან – ერთი მხრივ, არ დავობენ იმაზე, რომ ეკონომიკა, პოლიტოლოგია, პედაგოგიკა,... მეცნიერული კანონზომიერებით უნდა განისაზღვროს და იმავდროულად თვლიან, რომ სოციალური სისტემა, რომელიც ამ ყველაფერს მოიცავს, თურმე ნუ იტყვი და, მეცნიერულ გააზრებას არ ექვემდებარება.

ჩვენთან ეს საკითხი დისკუსიის, განსჯის მიღმაა იმ მარტივი მიზეზით, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ეკონომიკა, არც პოლიტოლოგია, არც პედაგოგიკა,... არავითარ კავშირში არ არის მეცნიერებასთან.

სოციალური მეცნიერების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა დროსა და სივრცეში წინა პლანზე გამოდიოდა დისკუსიით გადაჯერებული საკითხები – თავისუფლება თუ აუცილებლობა და პიროვნება თუ მასა.

თავისუფლებაში იგულისხმება სურვილის შესაბამისად ქცევა, ქმედება და სასურველია, რომ ეს ქმედება გარკვეულ ფასეულობებთან შეთანხმებაში იყოს. ცხადია, ეს ფასეულობები მუდმივად განიცდის კორექციას, მოდიფიკაციას, გარდაქმნას. ფასეულობათა ცვალებადობა მყისიერად არ ხდება, ამ ცვლილებებს საკმაოდ დიდი დრო სჭირდება და წყვეტადობა თითქმის შეუმჩნეველია. შესაბამისად, ადამიანი ყველა დროსა და სივრცეში ამ ფასეულობების ჩარჩოშია მოქცეული.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი სულიერ ფასეულობათა ჩარჩოშია მოქცეული, მისთვის მიუღებელია როგორც აბსოლუტური თავისუფლება, ასევე აბსოლუტური აუცილებლობა. ფასეულობებზე დაყრდნობით ვცდილობთ, გავერკვეთ პიროვნებასა და მასას შორის დამოკიდებულებაში. ერთი მხრივ, იყო მასის წარმომადგენელი, ნიშნავს თითქმის დაუფიქრებლად, კრიტიკის გარეშე მიიღო მასაში გაბატონებული ტრადიციები, ფასეულობები. იყო პიროვნება კი გულისხმობს, ჩამოაყალიბო საკუთარი გააზრებული ფასეულობები, რამაც შეიძლება უმრავლესობასთან წინააღმდეგობაში შეგიყვანოს, რასაც, უკეთეს შემთხვევაში, შენი ცხოვრებიდან განდევნა მოჰყვება, ან ეს წინააღმდეგობა ტრაგედიით დასრულდება.

არჩევანი შენზეა.

ჩანართი

როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევარი ეჭვს გამოთქვამს, რომ სოციალური პრობლემების მეცნიერული მეთოდებით მართვა, გადაჭრა შეუძლებელია.

აქ დასაზუსტებელია, პრობლემა კონკრეტულ მეცნიერებაშია, თუ მეცნიერის შესაძლებლობებში?

დღემდე ამ საკითხში სრული გაურკვევლობაა. ყოველთვის იყვნენ და დღესაც არსებობენ ფილოსოფოსები, მეცნიერები, რომლებიც სოციუმის შესახებ მეცნიერებას ეჭვქვეშ აყენებენ.

მათი არგუმენტაციის ლოგიკა ასეთია: ადამიანს ახასიათებს ნების თავისუფლება, ამიტომ მისი ქმედების წინასწარმეტყველება ურთულესია. ადამიანის თავისუფალი ნება შეუთავსებელია სოციალური მოვლენების კანონზომიერებასთან.

აქ და ახლა, როგორც არასდროს, უნივერსალური აზროვნება გვჭირდება.

ის, რომ ადამიანის, როგორც სოციუმის ნაწილაკის ქმედების წინასწარგანუჭვრეტელობა გამოცხადდა საზოგადოებრივი მეცნიერების არარსებობის საფუძვლად, რბილად რომ ვთქვათ, ამ ფილოსოფოსების ფილოსოფოსობას აყენებს ეჭვქვეშ და არა საზოგადოებრივი მეცნიერების არსებობას.

ამ „ფილოსოფოსებს" შევახსენებ, რომ ელემენტარული ნაწილაკების (ელექტრონების, პოზიტრონების, ფოტონების,...) ქმედების წინასწარმეტყველება გაცილებით რთულია, ვიდრე თუნდაც ამ „ფილოსოფოსების" აზროვნება და ქმედება. სწორედ ამ ნაწილაკებს გააჩნიათ ისეთი თავისუფალი ნება, რომელიც ყველაზე თავქარიან „ფილოსოფოსსაც" კი არ დაესიზმრება. ამის მიუხედავად, ელემენტარულ ნაწილაკებს გააჩნიათ საკუთარი **„უმაღლესი ფასეულობები"**, რომელთა გააზრების შედეგად შესაძლებელი გახდა, ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთობის კანონზომიერების, კვანტური ფიზიკის ყველაზე ეფექტურ მეცნიერებად ჩამოყალიბება.

დაუკვირდით, თუნდაც თავისუფლებისა და აუცილებლობის, პიროვნებისა და მასის, ადამიანის, როგორც სოციუმის ნაწილაკის, ცხოვრებისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხის გარკვევისას წინა პლანზე გამოდის ცნება – **„ფასეულობა".**

დიახ, ფასეულობები განკარგავს ადამიანთა ქცევას და თუ ჩვენ ამ ფასეულობათა არსის გააზრება-მიღებას შევძლებთ, მაშინ სოციალური მეცნიერება ისეთივე სიმძლავრით წარმოგვიდგება, როგორც კვანტური ფიზიკა.

თავისთავად ცხადია, ადამიანთა ფასეულობებში გარკვევა, უპირველესად, ადამიანის, **მე**-ს არსში გარკვევას ითხოვს.

მართლაც, თუ არსებობამდე ჩემს არსში არ იყო ჩადებული ევოლუციის, განვითარების, შემოქმედების, უძლეველობის იმპულსი, მაშინ საკითხავია, როგორ ახერხებს არსებობა, ყოფიერება, გარემო ჩემში ამ ფენომენის კონტრაბანდით შემოტანას?

დავფიქრდეთ, ახალგაზრდა ბონაპარტე კორსიკაში რომ დარჩენილიყო და არ გადასულიყო საფრანგეთში საცხოვრებლად, გახდებოდა ის ნაპოლეონი? თითქოს მხოლოდ რევოლუციის შემდგომი პერიოდის საფრანგეთის სოციუმში იყო შესაძლებელი ბონაპარტისგან ნაპოლეონის დაბადება.

მართლაც, ბონაპარტე 1769 წლის 15 აგვისტოს თბილისში, ოქროს უბანში რომ დაბადებულიყო, 24 წლისა ბრიგადის გენერალი გახდებოდა? გაანადგურებდა 1795 წელს კრწანისის ბრძოლაში 26 წლის ბონაპარტე ჯერ აღა მაჰმად ხანს და მერე დაიქვემდებარებდა მთელ სპარსეთს? – იტყვით არა, რადგან ის ინტელექტუალური ყოფა, სამხედრო პოტენციალი, შემართება, გარემო, რაც იყო თბილისში, ვერ შექმნიდა მისგან იმპერატორს, რადგან ეგზისტენციალიზმის ხედვის კუთხიდან **„არსებობა"**, გარემო ქმნის ადამიანის არსს. სხვა სიტყვებით, იმდროინდელი საქართველოს ყოფა სუბიექტში უდიადესი მხედრთმთავრის არსს ვერ შექმნიდა.

და ეს თითქოს არასადისკუსიო რეალობაა, სანამ არ გავიხსენებთ ერთ, არაფრით გამორჩეულ ბიჭს, სახელად **თემუჩინს**, რომელიც დაიბადა 1155 წლის 25 აგვისტოს დელიუნ-ბოლდოკის ველზე, სტეპში, სადაც რაღაც ინტელექტუალური გარემოს ძიება საერთოდ აზრს მოკლებულია. მიუხედავად ამისა, მან დაიპყრო თითქმის მთელი იმდროინდელი ცივილიზებული სამყარო და შექმნა ისეთი იმპერია, რაც არ დასიზმრებია ღრმად პატივცემულ ნაპოლეონ ბონაპარტეს.

ამ ბიჭს ადამიანთა ისტორია იცნობს **ჩინგიზ ხანის** სახელით.

გეთანხმებით, რომ ჩვენი მსჯელობა ცოტა არ იყოს უტრირებულია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ თეზისი – არსებობა ქმნის ადამიანის არსს – ღრმად დასაფიქრებელია.

მე

ზემოაღნიშნული ზედაპირული ექსკურსიც კი აჩვენებს, რომ უახლესმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ ბევრი ვერაფერი მოუტანა XX, XXI საუკუნეებს. სწორედ ამ პერიოდში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ცივილიზებული" სამყაროს თვალწინ I, II მსოფლიო და ლოკალურ ომებში გაწყდა 160 მილიონი ადამიანი.

გამოდის, რომ **მე**-ში – ყველაფრის საწყისში – არსებული შემოქმედებითი და ეთიკური უდიდესი პოტენციალის გათავისუფლება ვერ მოხერხდა. ადამიანმა რეგრესისა და პროგრესის გზათა გასაყარზე ორიენტირი დაკარგა.

ვიმეორებთ, ასეთი გზაბნეულობის შემთხვევაში ყველაზე რაციონალური გადაწყვეტილებაა გზის გასაყართან დაბრუნება და მართებული ორიენტირის მოძებნა.

სწორედ ამიტომაა აუცილებელი, დავბრუნდეთ უკან და შევხედოთ XVIII-XIX საუკუნეების ფილოსოფიას ჩვენი განვითარებისთვის საჭირო ხედვის კუთხიდან.

სხვა გზა არ გვრჩება.

როგორც აღვნიშნეთ, კანტის აზრით, მართალია არის უფსკრული სუბიექტსა და ობიექტს შორის, **მე**-სა და **„თავის თავში მყოფ საგანს"** შორის, თუმცა ეს თავისთავადობა საგანს ხელს არ უშლის ჩვენს გრძნობებზე იმოქმედოს.

მართლაც, მე ვგრძნობ ღმერთის ყურადღებას, ზნეობისა და განათლების აუცილებლობას, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცი რაა ღმერთი, ბოლომდე არ ვიცი რაა ზნეობა, რაა განათლება, რით განსხვავდება ზნეობა პატიოსნებისგან ან განათლება – განსწავლულობისგან,... მაგრამ რა აზრი აქვს ჩემს სწრაფვას სრულყოფისკენ, თუ **მე,** შემმეცნებელს არ ხელმეწიფება საკუთარი თავის, **მე**-ს შემეცნება იმ მიზეზის გამო, რომ თვით ადამიანი არის **საგანი თავის თავში**.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფიხტე გატაცებული იყო დეკარტეს იდეებით, ხოლო კანტის ფილოსოფიამ მას მნიშვნელოვანი, ორიგინალური ნაბიჯი გადაადგმევინა. დეკარტეს მსგავსად ფიხტემ თავისი ფილოსოფიის საყრდენად გამოაცხადა **მე – ადამიანი როგორც შემმეცნებელი, როგორც ერთადერთი რეალობა.** ფიხტემ იცოდა, შეიმეცნებდა რა **მე**-ს, შეიმეცნებდა სამყაროს, მის კანონზომიერებას.

როგორც ცნობილია, სპინოზასა და დეკარტესთვის სხვა საკითხების ფონზე ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ერთ საკითხში გარკვევა – რასაც ვხედავ გარშემო, რასაც შევიგრძნობ, რეალობაა, თუ არა? სამყაროს აღვიქვამ ჭეშმარიტად ისეთს, როგორიც ის თავისთავადაა, თუ როგორც ილუზიას?

შესაბამისად, რათა გავერკვეთ ადამიანისა და სოციუმის არსში, აუცილებელია ჩემი ილუზორულობის ხარისხის დადგენა.

და თუ მე ილუზორულად აღვიქვამ სამყაროს, მაშინ გასაგებია, თუ რატომ ვერ დაიბადა სოციალური მეცნიერება. მართლაც, ილუზია და მეცნიერება შეუთავსებელი ცნებებია.

ფიხტე ცდილობს სპინოზა-დეკარტეს – **ჭეშმარიტება როგორც თავისთავადის** – ძიებასა და კანტის ფილოსოფიას შორის სინთეზის მოძებნას.

როგორც აღვნიშნეთ, კანტს აინტერესებდა სამყაროს შემეცნების საკითხი, ამიტომ ის ცდილობდა, შემეცნებისთვის ყველაზე რთული ასპექტი – მეცნიერული და ფილოსოფიური ცოდნის შესაძლებლობანი აეხსნა.

სხვა სიტყვებით, სანამ რაიმეში გარკვევას გადავწყვეტდეთ და ჭეშმარიტების ძიებას დავიწყებთ, ჯერ დავადგინოთ ჩვენი გონებრივი შესაძლებლობანი – საერთოდ შეუძლია თუ არა, ჩვენს გონს ყველაფრის შემეცნება.

უდიდეს მნიშვნელობას იძენს კითხვა: – **მე**, როგორც **სუბიექტს** (შემმეცნებელს), შემიძლია შევიმეცნო საგანი, **ობიექტი** (შესამეცნებელი)?

სამყაროს შემეცნების საკითხში კანტის ამ მიდგომას მთელი ევროპა ფეხზე ადგომით, ტაშისკვრითა და აღფრთოვანებული შეძახილებით შეხვდა (მათ ჯერ არ იციან, რომ წინ ელით გამაოგნებელი შეხვედრა ჰეგელის ფილოსოფიასთან.).

სწორედ შემეცნებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მცდელობას აგრძელებს კანტის მოწაფე ფიხტე.

ჩვენი მთავარი ამოცანა **მე**-ში, როგორც თავისუფალ, შემოქმედ ფენომენში გარკვევაა. ეს თავისთავად ითხოვს ამ თემასთან დაკავშირებით დეკარტეს, ბერკლის, ფიხტეს შემოქმედებაში შეძლებისდაგვარად უფრო მეტ ჩაღრმავებას.

ფიხტეს შემოქმედების, მისი მსოფლმხედველობის ძირითადი საფუძველი, პრინციპი, როგორც აღვნიშნეთ, არის **მე.**

მე-დან, **როგორც ერთადერთი რეალობიდან, დედუცირდება შემეცნების ყველა კანონი** (დედუცირება – ლოგიკური მსჯელობით ზოგადიდან კონკრეტულის გააზრება).

დიახ, ფიხტე ცდილობს, ყველაფერი ააგოს ცნებიდან – მე.

ფიხტეს აზრით, ყველაზე დამაჯერებელი ჩვენს შემეცნებაში არის **მე ვარ, მე ვარ მე – მე ვარ რეალობა.**

აუცილებლობა მოითხოვს, კიდევ ერთხელ, უფრო ღრმად გავიაზროთ ზემოთ განხილული ფიხტეს ფილოსოფიური სისტემა.

დიახ, ალბათ შემეცნება საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ, **„შეიცან საკუთარი თავი და შეიცნობ სამყაროს, ღმერთს"** – პრინციპიდან გამომდინარე.

ეს ჩვენზე კარგად ესმოდა ფიხტეს, ამიტომ მან უპირველესად საკუთარ თავს დაუსვა კითხვა:

რას ნიშნავს **მე ვარ?**

ეს ნიშნავს ერთს – **მე ვარ მე.**

მე ვგრძნობ იგივეობას **მე**-სთან, საკუთარ თავთან. მე შეიძლება ყველაფრის რეალობაში ეჭვი მეპარებოდეს, შენს რეალობაშიც, მაგრამ **მე**-ს რეალობაში ეჭვს ვერ შევიტან, თუნდაც იმიტომ, რომ **მე თვით რეალობის საფუძველია.**

მე რომ რეალური არ ვიყო, მაშინ გარე სამყაროს მხრიდან წინააღმდეგობას ვერ ვიგრძნობდი.

მართლაც, შევხედოთ ჩვენს დღევანდელობას. სამწუხაროდ, დამთრგუნველ უმრავლესობას დაკარგული აქვს წინააღმდეგობის აღქმის და, შესაბამისად, ამ წინააღმდეგობის გადალახვის სურვილი, რაც ფიხტეს აზრით, მას საკუთარი თავის შემეცნების გზას უკეტავს და თუ მან საკუთარი თავი ვერ შეიმეცნა, ვერასდროს მიხვდება, რომ რეალობას წარმოადგენს და შედეგიც სავალალოა — ამ სამყაროში ერთადერთი რეალობა **მე,** თავისი უმოქმედობით, ილუზიაში გადადის. შესაბამისად, გასაკვირი არ არის ჩვენში გაბატონებული სიღატაკე.

დავუბრუნდეთ ფიხტეს ქმედით ადამიანებს.

მართლაც, ჩემთვის, **მე**-სთვის ყოველთვის მოიძებნება რაღაც, რაც მეწინააღმდეგება და რაც მთავარია, **მე** ამ წინააღმდეგობას ვგრძნობ და ვიაზრებ.

სხვა სიტყვებით, **მე**-სთვის, როგორც **სუბიექტისთვის,** არსებობს ის, რაც ეწინააღმდეგება და რასაც ეწოდება **ობიექტი — არა მე**.

არა მე ეწინააღმდეგება **მე**-ს, ზღუდავს მას, ისევე, როგორც **მე** ზღუდავს **არა მეს**. აქ შემეცნების პროცესისას სუბიექტი და ობიექტი ურთიერთზღუდავენ, ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და ეს წინააღმდეგობა შემეცნების საფუძველი ხდება.

დიახ, **შემეცნებისთვის, განსაზღვრებისთვის აუცილებელია სუბიექტს — შემმეცნებელს და ობიექტს — შესამეცნებელს შორის ურთიერთდაპირისპირება, წინააღმდეგობა.**

აქ ღრმად დასაფიქრებელია შემეცნებისკენ ფიხტესეული სვლა.

მართლაც, ერთი მხრივ, რათა **მე**-მ შეიმეცნოს საკუთარი თავი, ის უნდა დაუპირისპირდეს რაღაცას. შენთან (სხვასთან, რაღაცასთან) დაპირისპირება არ გამოდგება, რადგან, ფიხტეს აზრით, **მე**-ს გარეთ არსებული ყველაფერი ილუზიაა და, შესაბამისად, შემეცნებაც ილუზიით იქნება გაჯერებული. გარე სამყაროსთან დაპირისპირების გზით მიღწეული შემეცნებით არასრულყოფილ, ილუზორულ ცოდნას მივიღებთ.

გამოდის, რომ შემეცნება აუხდენელი ოცნებაა?

— არა.

არსებობს ერთი გზა — **ჭეშმარიტი შემეცნებისთვის ერთადერთ რეალობაში — მე-შივე უნდა შედგეს დაპირისპირებულობის აქტი.**

ფიხტეს ეს აზრი ორიგინალურად, სხვა სიტყვებით ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

თუ გვინდა, ერთ მთლიანში (**მე**-ში) მოხდეს დაპირისპირება, მაშინ იძულებულნი ვხდებით, მთლიანი (**მე**) ორ ურთიერთდაპირისპირებულ **მე**-დ დავშალოთ.

უფრო ნათლად, **მე** უნდა დაიშალოს ორ შემადგენელ, შეზღუდულ ურთიერთდაპირისპირებულ **მე**-დ ისე, რომ ეს ორი **მე** შეადგენდეს მთლიან **მე**-ს.

სიმბოლურად ეს დაშლა ასე ჩავწეროთ:

მე $\rightleftarrows$ **მე + მე.**

თუ თქვენ ოდესმე საკუთარ თავთან ჭადრაკი გითამაშიათ, მაშინ ეს ფორმულირება თქვენთვის გასაკვირი არ უნდა იყოს. ამ შემთხვევაში **მე** თითქოს ნაწევრდება ორ ურთიერთდაპირისპირებულ **მე**-დ – თეთრი ფიგურებით და შავი ფიგურებით მოთამაშედ.

როდესაც დაფის ერთ მხარეს ვდგავარ, მეორე წარმოსახვითი პოზიციაა, ერთი მხრივ, ვარ იგივე **მე** და იმავდროულად ჩემი მოწინააღმდეგე – **არამე.**

შესაბამისად, ურთიერთდაპირისპირების აღსანიშნავად **მე + მე** ასე წარმოვადგინოთ – **მე + არამე** – და არც ეს უნდა იყოს გასაკვირი.

ასეთი ხედვა თუ თქვენში მაინცდამაინც დიდ დისკომფორტს არ იწვევს, მაშინ ერთადერთ რელობაში **მე**-ში შემეცნებითი დაპირისპირება შეიძლება სიმბოლურად ასე წარმოვადგინოთ:

მე $\rightleftarrows$ **მე + არამე**

აქ ცხადია, **მე** და **არამე** – ეწინააღმდეგებიან, ზღუდავენ ერთმანეთს.

თუ ეს მსჯელობა თქვენთვის მისაღებია, მაშინ **მე** შესაძლებელია ასე წარმოვადგინოთ:

მე $\rightleftarrows$ **მე** (შეზღუდული) + **არამე** (შეზღუდული)

თუ ეს ასეა, მაშინ საბოლოო დასკვნა:

მე-ში ხდება დანაწევრებული, შეზღუდული მე-ს დაპირისპირება დანაწევრებულ, შეზღუდულ არამე-სთან.

ახლა მთავარია ცნება წინააღმდეგობის (ურთიერთდაპირისპირებულობის) ნათლად გამოსახვა. მაგ., წინააღმდეგობის გამოსახვა შესაძლებელია არა მარტო წინსართი **არა**-თი, არამედ სიმბოლოებითაც **„+"** და **„–"**. „თეთრი" და „შავი" ასევე ურთიერთდაპირისპირებულია. შევთანხმდეთ და ურთიერთდაპირისპირება, წინააღმდეგობა გამოვსახოთ ტერმინებით – „თეზისი" და „ანტითეზისი".

თუ **მე**-ს თეზისად ჩავთვლით, მაშინ მისი დაპირისპირებული **არამე** ანტითეზისი იქნება და პირიქით.

ვიღებთ: **მე** $\rightleftarrows$ **მე** (თეზისი) + **არამე** (ანტითეზისი)

როგორც აღვნიშნეთ, **მე** და **არამე** ზღუდავენ ერთმანეთს და სწორედ ამით განსაზღვრავენ ერთმანეთს, რადგან ნებისმიერი განსაზღვრება **ურთიერდაპირისპირებულების** შეერთებაა.

მიაქციეთ ყურადღება ჩვენთვის საინტერესო ცნებას – **ურთიერდაპირისპირებულობა.** ეს არ უნდა გავიგოთ როგორც

ურთიერთგანადგურება, ესაა პროცესი, როცა დაპირისპირებულნი აღწევენ შეთანხმებას და ამით მაღლდებიან. ასეთი ურთიერთობის შედეგს **სინთეზი** ვუწოდოთ.

შესაბამისად ვიღებთ:

მე (სინთეზი) ⇄ **მე** (თეზისი) + **არამე** (ანტითეზისი)

თეზისის და ანტითეზისის დაპირისპირება, წინააღმდეგობა ქმნის შემეცნებას და ამაღლებს **მე**-ს.

ამაღლებულ **მე**-ში კვლავ ჩნდება შიდა დაპირისპირება და ისევ წარმოიქმნება ახალი სინთეზი, ახალი ამაღლება და ა.შ. სწორედ ეს ამაღლებათა კასკადი არის ფიხტესთვის ადამიანის – **მე**-ს განვითარება.

ჩანართი

რა თქმა უნდა, ფიხტეს **მე** არის ადამიანში არსებული შემეცნებადი ფილოსოფიური სისტემა და არა ყოფიერი ადამიანი. ფილოსოფიური **მე** ყველა მოაზროვნე ადამიანში ერთნაირად ფუნქციონირებს, ხოლო ჩვენი ყოფიერი **მე**-ები ერთმანეთისგან განსხვავდება.

მართლაც, ჩვენ ერთი ცის ქვეშ ვცხოვრობთ, ერთი ენა, ერთი ტრადიცია, ადათ-ჩვეები, ერთი კულტურა გვაერთიანებს, მიუხედავად ამისა, ერთმანეთისგან რადიკალურად განვსხვავდებით და ეს არაა გასაკვირი, რადგან ერთ ოჯახში, ერთნაირ პირობებში გაზრდილნიც კი განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

– რა ქმნის ამ განსხვავებას?

– რით ვართ განსხვავებულნი და უნიკალურნი?

დიახ, განსხვავებული გვაქვს ტემპერამენტი, ფსიქიკა, გონივრულობა, მგრძნობელობა და ეს ალბათ მშობლებისგან ჩვენში მემკვიდრეობით სრულად არ გადმოდის. მართლაც, ადამიანთა ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ დაქვეითებული მახასიათებლების მქონე მშობლებს გენიოსი ბავშვები უჩნდებათ და გენიოს მშობლებს – დეგრადირებული შვილები.

ეს სამყარო ყველას სხვადასხვაგვარად გვეხსნება, ყველა სხვადასხვანაირად განვიცდით შიშს, წარმატებას, მარცხს და ალბათ ეს ყველაფერი გავლენას ახდენს ჩვენს მთელ მომავალ ცხოვრებაზე. იქნებ ყველაფერი, რაც გვაქვს, დამოკიდებულია მშობლების მხრიდან აღზრდისას გამოვლენილ სიყვარულზე, იქნებ პირიქით – ყველაფერი მშობლებისადმი, ახლობლებისადმი, მოყვასისადმი ჩვენი მხრიდან სიყვარულზეა დამოკიდებული? იქნებ ეს სიყვარულის ჯავშანი გვიცავს წარუმატებლობისა და უიღბლობისგან?

რთულია ადამიანის არსი. დაუკვირდით სტუდენტს, თუ როგორ ელაპარაკება ის რექტორს, ქუჩაში გამვლელს, მშობელს, მეგობრებს. ის მკვეთრად განსხვავებულ ხასიათს, ქცევას ამჟღავნებს. ჩვენც იმავეს ვაკეთებთ.

ნუთუ მთელი ცხოვრება ვთვალთმაქცობთ? – არა. მთელი ეს განსხვავებები კომპლექსში ქმნის სრულიად თავისებურ, უნიკალურ და განუმეორებელ არსებას, რომელიც გამოისახება **მე**-თი.

ყველა ადამიანს აქვს საკუთარი წარმოდგენა თავის თავზე. ყველა თავისებურად ხედავს საკუთარ თავს, რაღაცას ვერ ხედავს, რაღაცას აკლებს, რაღაცას უმატებს. მიუხედავად იმისა, რომ რაიმე ძირითად ნაკლს თუ უპირატესობას გამოვყოფთ, საბოლოოდ მაინც ვადგენთ, არც ისე ცუდი ვარ. არა, უფრო მეტიც, ვარ საკმაოდ ნორმალური, სიმპათიური, საინტერესო, ნიჭიერი, ჭკვიანი, კეთილი,...

ადამიანთა ცხოვრებაში ყველაზე დიდი ტრაგედია ამ წარმოდგენის მსხვრევაა, როცა შინაგანად ხვდები, რომ სამწუხაროდ, არც ისეთი კეთილი და ნიჭიერი ხარ, როგორც გეგონა.

ამ ტრაგედიის წინააღმდეგ ადამიანს ქვეცნობიერში აქვს დაცვის მექანიზმები, მათ შორის საინტერესოა **განდევნისა** და **ინვერსიის კომპლექსი**.

განდევნის კომპლექსი ხშირ შემთხვევაში ამუშავებას იწყებს დიდი სტრესისას, როდესაც ადამიანი ივიწყებს მისთვის არასასურველ მოვლენას, წარუმატებლობას.

ინვერსიის კომპლექსი აღწერს იმ ფსიქიკურ მოვლენას, როდესაც პირველადი იმპულსი აბსოლუტურად საწინააღმდეგოთი იცვლება.

მაგ., ვაჟებში სექსუალური იმპულსი, სწრაფვა გოგონებისადმი, ერთი შეხედვით, მათდამი ყურადღების გაზრდას უნდა იწვევდეს, მაგრამ არც თუ ისე იშვიათად ხდება საპირისპირო, გოგონების მიმართ ვაჟები გამოხატავენ აგრესიას უხეშობით, შეურაცხყოფით, გინებით,...

ოდნავ შენიღბულად, მაგრამ შესამჩნევად გამოიხატება ინვერსიის კომპლექსი საერთო საქმის მიმართ.

მაგ., ადამიანის ქვეცნობიერში ბუნდოვანი სახით არსებობს პროფესიისადმი სიყვარული და თუ სუბიექტს ეჩვენება, რომ ვინმე იმავე პროფესიისადმი, გონივრული ფორმით, ამაღლებულ სიყვარულს ამჟღავნებს, მაშინ თითქოს მას ამ პიროვნებისადმი უნდა უჩნდებოდეს სიმპათია, პატივისცემა, მხარდაჭერის სურვილი. ამ დროს კი ხდება პირიქით, ჩნდება ინვერსია – ზიზღი, აგრესია ამ პიროვნების მიმართ.

ეს ინვერსია ყოველდღიურ ყოფაში ხშირად უფრო იოლი შესამჩნევია. ვიღაცაზე გაბრაზებული სუბიექტი სახლში ჯავრს იყრის ცოლზე, ოჯახის წევრებზე, კატაზე,... აქაც ქვეცნობიერი ორიენტაციას უცვლის მრისხანებას და მიმართავს სხვა ობიექტზე. ადამიანებში ეს იმდენად გავრცელებული სისუსტეა, რომ ცივილიზებული სახელმწიფოების ზოგიერთ დაწესებულებაში სპეციალური ოთახი არსებობს, სადაც უფროსის სურათი ან ფიტულია დამაგრებული და ნებადართულია აგრესიის გამოვლენა ნებისმიერი ფორმით: გინება, თეფშების, ჭიქების სროლა,...

როგორც ვხედავთ, ფილოსოფიური **მე** არის ზოგადი, ყოფიერი **მე**-სგან განსხვავებული ცნება. ფილოსოფიური **მე** არის მოდელი და, როგორც აღვნიშნეთ, ის არაა რეალური **მე**-ს ფოტოგრაფიული ასლი.

მე და არამე

ფიხტესთვის აბსოლუტი, სული არის უსაზღვრო, შემტევი, ქმედითი. **მე** არის აბსოლუტური სულის ნაწილი, რომელიც ცდილობს გააცნობიეროს, მოიცვას **არა მე**, ის სამყარო, რომელიც **მე**-ს გარეთაა და აქციოს ის სულიერების ობიექტად.

თავის მხრივ, შესამეცნებელი სამყარო (**არა მე**) არის გრძნობადი მატერია, რომელსაც სურს, რომ მოიცვას **მე**-მ და აიყვანოს შემეცნების ამაღლებულ დონეზე. **არა მე** ზღუდავს **მე**-ს სულის ამ ქმედებას, რადგან შეზღუდვის, წინააღმდეგობის გარეშე არავითარი შემეცნება არ მოხდება.

დაუკვირდით, სწორედ ამ წინააღმდეგობის გამო **არა მე**-ს – სამყაროს მხოლოდ მცირე ნაწილი აღწევს ჩემი სულის, აზროვნების, შემეცნების გარკვეულ დონემდე. ამრიგად, შესამეცნებელი სამყარო მე სრულად არ მეხსნება, რითაც ჩემს მუდმივ განვითარებას უკეთებს პროვოცირებას.

მაგ., **მე** ვცდილობ შევიმეცნო ფიზიკა – **არა მე**. ფიზიკა, როგორც სამყაროს შესამეცნებელი ნაწილი, შემეცნებისას წინააღმდეგობას მიწევს, ბოლომდე არ მეხსნება და ამით ხდება ჩემი მუდმივი განვითარების საფუძველი.

აქ შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს კითხვა, რატომ არ მეხსნება **არა მე (სამყარო)** თავიდანვე სრულად?

– თუნდაც იმიტომ, რომ შემეცნება ეტაპობრივია.

თავდაპირველად მე მეჩვენება, რომ არ ვფლობ იმ პოტენციალს, რაც სამყაროს სრულად შემეცნებისთვისაა საჭირო. სამყაროს პირველადი, თუნდაც მცირედით შემეცნება იწვევს ჩემს, როგორც შემმეცნებლის პოტენციალის გამოვლენის ზრდას და მხოლოდ ამის შემდეგ ვარ მზად სამყაროს შემეცნების შემდგომი ეტაპისთვის. ამრიგად, ჩემი შემეცნების პოტენციალის გამოვლენა და სამყაროზე ცოდნა ურთიერთმონაცვლეობით მაღლდება, ვითარდება.

შესაბამისად, განვითარებას საფეხურებრივი სვლა ახასიათებს.

სხვა სიტყვებით, მცირედის შემეცნების შემდეგ, თუნდაც ოდნავი ამაღლებით, ისევ გვაქვს დაპირისპირება, ჩნდება ახალი თეზისი და მისი შესაბამისი ანტითეზისი, რომლის შედეგია ახალი სინთეზი, ამაღლებული **მე** და ა. შ.

მართლაც, გაიხსენეთ ქრისტეს სიტყვები – **„კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ვეღარ იტვირთავთ" (იოანე 16. 12.).**

განვიხილოთ შემეცნების, განვითარების საფეხურებრივი სვლა ჩვენი ქვეყნის მთავარი პრობლემის გადაჭრის მცდელობის მაგალითზე.

ჩვენი ქვეყანა მუდმივად ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა. ვიმეორებთ და კიდევ ბევრჯერ გავიმეორებთ, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა გაცილებით რთული ამოცანაა, ვიდრე ჩვენს „განათლებულ საზოგადოებას" ჰგონია.

უფრო ნათლად, ვთქვათ მინდა შევქმნა რაღაც იდეოლოგია, კონცეფცია, პროექტი, პირობითად – **„მატრიცული თეორია",** რომელიც ჩვენს საზოგადოებას მისცემს საშუალებას, არა მარტო გამოვიდეს ამ დაუმთავრებელი კოშმარიდან, არამედ უმოკლეს დროში განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწიოს.

თავისთავად ცხადია, რომ, თუ მე ფიზიკოსი ვარ, მაშინ ამ თეორიის შექმნას ზუსტი მეცნიერებების – კვანტური ფიზიკისა და მათემატიკური ლოგიკის საფუძველზე დაყრდნობით შევეცდები.

მოგეხსენებათ, რთული პრობლემის მარტივი გადაწყვეტა არ არსებობს. და ეს დიდი ხანია, არა მხოლოდ მათემატიკოსებისა და ფიზიკოსებისთვისაა ცნობილი. სწორედ ამიტომ შეიქმნა რთული ამოცანის ამოხსნის მატრიცული

მეთოდი. სამწუხაროდ, რთული ამოცანის ამოხსნის რაიმე სხვა მეთოდი ამ ცოდვილ მიწაზე ჯერ არავის მოუფიქრებია.

მათემატიკური მატრიცის ზოგადი არსია რთული ამოცანის მარტივ ამოცანებად დაშლა და ამ რთული პრობლემის გარკვეული ლოგიკით, ალგორითმით გადაჭრა.

შესაბამისად, თუ რომელიმე „ჰარიზმატული პოლიტიკოსი" გპირდებათ ბედნიერ ცხოვრებას, რთული ამოცანის მარტივად გადაწყვეტას და არ იცის, რა არის მათემათიკური მატრიცა, თქვენ შეგიძლიათ პირდაპირ დაასკვნათ, რომ თქვენ წინაშეა თაღლითი ან ინფანტილური ადამიანი.

თუ არ დაგვიჯერებთ, მორიგ შეცდომას დაუშვებთ. თუმცა დაგაწყნარებთ: ნუ ინერვიულებთ, ნუ გადაყვებით აქამდე დაშვებულ შეცდომებს, რადგან წინ კიდევ მრავალი, შინაარსიანი, საინტერესო, კარგად სანერვიულო, მრავალფეროვანი შეცდომები გელით.

დიახ, პოლიტიკა ის ურთულესი სფეროა, რაც მათემატიკური მატრიცის გამოყენებას მოითხოვს.

ალბათ ამიტომ განაცხადა **დე გოლმა – „პოლიტიკა იმდენად სერიოზული რამ არის, რომ ის არ შეიძლება ვანდოთ პოლიტიკოსებს"**, თუნდაც ჰარიზმატულებს.

დიახ, ჩვენ წინაშეა ურთულესი ამოცანა – საქართველოს გადარჩენა, განვითარება.

მატრიცული მეთოდის თანახმად, ეს რთული ამოცანა ქვეამოცანებად უნდა დაიშალოს. პირველი ქვეამოცანაა ადამიანის არსში გარკვევა, რადგან საქართველო არაა მხოლოდ გეოგრაფიული ცნება, ის უპირველესად ადამიანებია. შესაბამისად, შეუძლებელია ადამიანის ბედნიერებისთვის შექმნა რაღაც თეორია, თუ არ იცი რაა ადამიანი, არ იცი მისი არსი.

აქ ნათლად ჩანს, რომ პირველივე ქვეამოცანა საკმაოდ რთულია. მართლაც, არათუ ზოგადად ადამიანის, არამედ შესაძლოა, კონკრეტული ადამიანის არსში გარკვევისთვისაც კი არ გეყოთ ერთი ცხოვრება.

დამეთანხმებით, რომ ზოგჯერ დიდი ხანია იცნობ ადამიანს, გგონია, რომ კარგად იცნობ და უცებ, ისეთ რამეს მოიმოქმედებს, რასაც მისგან არ ელოდი, რაც მის არსს სხვაგვარად წარმოაჩენს.

ადამიანის არსში გარკვევას ოდითგანვე ცდილობდა ხელოვნება, უპირველესად, ლიტერატურა – ჰომეროსით არდაწყებული და ფოლკნერით არდამთავრებული.

ამრიგად, ვიღებთ პირველ ქვეამოცანას – **ლიტერატურასა და ხელოვნებაში გარკვევა**.

თუმცა, ლიტერატურა არასაკმარისი აღმოჩნდა ამ ურთულესი ამოცანის გადასაწყვეტად. მართლაც, ჰომეროსისთვის ადამიანის არსია – **გიყვარდეს, მოკალი, შეაკვდი**.

უდიადესი კი გვეუბნება – **არა კაც კლა**. ეს კოლიზია ადამიანთა არსის ფილოსოფიურ გააზრებას მოითხოვს.

გამოიკვეთა მეორე ქვეამოცანა — ადამიანის არსის **ფილოსოფიური** გააზრება.

ადამიანი სოციუმში, ურთიერთობებში ვლინდება და, შესაბამისად, აუცილებელია ამ პრობლემის სოციალური ფილოსოფიის კუთხით განხილვა.

აქედან, მესამე ქვეამოცანა — **სოციალური ფილოსოფია**.

სოციალური ფილოსოფია ითხოვს ადამიანის ფსიქოლოგიაში გარკვევას.

მივედით მეოთხე ქვეამოცანასთან — **ფსიქოლოგიაში** გარკვევა.

ფსიქოლოგიურად დაპირისპირებულ ადამიანთა შორის ჰარმონიის დამყარების მცდელობას მივყავართ **პოლიტიკურ-სამართლებრივ ფილოსოფიასთან**.

ეს უკვე თავისთავად ითხოვს **იურიდიული ფილოსოფიის გააზრებას**.

ეს კი მიგვიყვანს მეშვიდე ქვეამოცანასთან — ადამიანთა **ისტორიის** გახსენებასთან და ა.შ.

ამრიგად, რაც უფრო სერიოზულად მივუდგებით მთავარი ამოცანის ამოხსნას, მით უფრო იმატებს ქვეამოცანათა რიცხვი.

ამგვარად, მთავარი ამოცანა, თავისი მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, დაიშალა რამდენიმე ათეულ ქვეამოცანად. ყველა მეტ-ნაკლებად ინტელექტუალური ადამიანი დაგვეთანხმება, რომ ამ ქვეამოცანებიდან მიღებული ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია მთავარი ამოცანის — ქვეყნის გადარჩენა — ამოხსნა.

იმისათვის, რომ ამოიხსნას ქვეყნის კოლაფსიდან გამოყვანის ურთულესი ამოცანა, აუცილებელია შევეცადოთ, გავიაზროთ სოციუმის მახასიათებელ ფენომენთა სრული სპექტრი. ეს კი თავის მხრივ უნივერსალიზმს ითხოვს. უნივერსალიზმი კი ყველა დარგის საფუძველთა შეცნობითა და გადააზრებით მიიღწევა. ჩვენი ამოცანის არსიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ჩაღრმავებაა საჭირო იმ დარგების ანალიზისას, რაც სოციუმის პრობლემატიკას ეხება.

უნივერსალიზმი კი აუცილებელია, რათა შეიქმნას ისეთი თეორია, რომელიც თვითგანვითარებადი, თვითორგანიზებადი, რეგენერაციის უნარის მქონე საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნა-განვითარებას შეგვაძლებინებს.

წარმოგიდგენიათ ქვეყნის გადარჩენა იმ თავხედი სუბიექტების მხრიდან, ვისაც ელემენტარული წარმოდგენაც კი არ აქვთ თუნდაც ადამიანის ფსიქოლოგიაზე, ფილოსოფიაზე, იურიდიულ ფილოსოფიაზე, ადამიანთა ისტორიაზე და ა.შ.?

ასეთები გვპირდებიან ნათელ მომავალში შერეკვას და ჩვენ კი ვერ ვხვდებით, რომ ეს ნათელი მომავალი შიშითა და კანკალით, ძრწოლვით ელის ჩვენს მისვლას.

ნათელი მომავლისა კი რა მოგახსენოთ, მაგრამ დღესდღეობით მეცნიერული მიდგომის — მატრიცული თეორიის უგულებელყოფით მივიღეთ ის შედეგი, რასაც საკუთარ სულსა და სხეულზე ვგრძნობთ.

იბადება კითხვა: – შევძლებ კი მე შემეცნების ამ ურთულესი გზის გავლას?

სწორედ ამას ემსახურება ეს ნაშრომი. ამიტომ გესაუბრებით თქვენ, ამიტომ დაგვჭირდა ჩვენი ურთულესი პრობლემის განხილვა არა ფოლკლორული, არამედ მეცნიერული და ფილოსოფიური ხედვის კუთხით.

შევეცადოთ, შემეცნების პრობლემაში ფიხტეს ფილოსოფიაზე დაყრდნობით გავერკვეთ.

ფიხტეს ფორმულირება:

მე $\rightleftarrows$ **მე + არამე.**

როგორც აღვნიშნეთ, მთავარი ამოცანის გადაწყვეტა დამოკიდებულია **მე**-ს შემეცნების ხარისხზე.

თავდაპირველად **მე**, როგორც ფიზიკოსი ამ ამოცანის ამოსახსნელად მათემატიკურ მატრიცას ვიყენებ.

შესაბამისად,

მე $\rightleftarrows$ **მე**$_{\text{ფიზიკოსი}}$

ასეთი ფორმულირება, როგორც აღვნიშნეთ, შემეცნება-განვითარებას ვერ უზრუნველყოფს, რადგან აქ, ერთადერთ რეალობაში – **მე**-ში არა გვაქვს შემეცნების აუცილებელი პირობა – წინააღმდეგობა. ამიტომ საჭიროა, **მე** ფიზიკოსს დაუპირისპირდეს **არამე** და ეს პროცესი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

მე $\rightleftarrows$ **მე**$_{\text{ფიზიკოსი}}$ **+ არამე**

ამ შემთხვევაში **არამე** არის ჩემში ის ლიტერატორი, რომელსაც ხელეწიფება ჰომეროსის, ფოლკნერის,... შემოქმედების ანალიზი.

აქ **მე**-ში მიმდინარეობს თეზისსა (**მე**$_{\text{ფიზიკოსსა}}$) და ანტითეზისს (**არამე**$_{\text{ლიტერატორს}}$) შორის სინთეზი. შესაბამისად,

მე $\rightleftarrows$ **მე**$_{\text{ფიზიკოსი}}$ **+ არამე**$_{\text{ლიტერატორი}}$

თავისთავად ცხადია, ამ სინთეზით ხდება **მე**-ს ამაღლება, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე თავდაპირველი **მე** და ეს ასე შეიძლება გამოვსახოთ – **მე**$_1$.

მე$_1$ $\rightleftarrows$ **მე**$_{\text{ფიზიკოსი/ლიტერატორი}}$ **+ არამე**

შემდგომი ნაბიჯი ფილოსოფიაში გარკვევას ითხოვს. **მე** არ გახლავართ ფილოსოფოსი. ჩემი არაფილოსოფოსობა ასე დავაფიქსიროთ **არამე**$_{\text{ფილოსოფოსი}}$.

მე ვიწყებ დიალოგს ფილოსოფიასთან, **არამე**$_{\text{ფილოსოფოსთან}}$. ეს მაიძულებს მე, როგორც სუბიექტს, გავიხსნა ობიექტში – ფილოსოფიაში და მივიღებთ:

მე$_1$ $\rightleftarrows$ **მე**$_{\text{ფიზიკოსი/ლიტერატორი}}$ **+ არამე**$_{\text{ფილოსოფოსი}}$.

ამ სინთეზს მივყავარ შემდგომ ამაღლებამდე.

ვხდები: **მე**$_2$ $\rightleftarrows$ **მე**$_{\text{ფიზ./ლიტ./ფილოსოფოსი}}$**+ არამე**$_{\text{სოციოლოგი}}$ და ა.შ.

იგივე პროცესი მიმდინარეობს, როდესაც სუბიექტი ცდილობს პროფესიულ ამაღლებას. იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი გაცნობიერებულია კლასიკურ ფილოსოფიაში, სურს გაიფართოოს ცოდნა და აითვისოს მაგ., ეგზისტენციალური ფილოსოფოსია, მაშინ

მე $\rightleftarrows$ **მე**$_{\text{კლას.ფილოსოფოსი}}$ **+ არამე**$_{\text{ეგზის.ფილოსოფოსი}}$.

ნუ დავიზარებთ და ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ზოგადი დასკვნის სახით ასე ჩამოვაყალიბოთ: **თავდაპირველად მე წარმოგვიდგება მე-სა და არამე-ს ჯამად.**

მე ⇄ მე + არამე.

შემდეგ ხდება სინთეზი მე-სა და არამე-ს შორის. ამ დაპირისპირებულთა სინთეზით, მცირედით მაინც შევიმეცნებ საკუთარ თავს, ოდნავ ავმაღლდები. მე შევიცვალე და გავხვდი სხვა. სქემატურად ეს ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ: თავდაპირველად ვარ ის, რაც ვარ,

მე ⇄ მე + არამე.

შემდეგ **მე-სა** და **არამე-ს** სინთეზით ავმაღლდი და გავხდი ცოტათი უფრო ამაღლებული **მე – სხვა მე.**

სხვა მე ⇄ მე + არამე.

შემდეგ, ამ ამაღლებულ დონეზე ისევ **მე-სა და არამე-ს** სინთეზით ისევ ვმაღლდები და ა.შ.

დიახ, თავისთავად ცხადია, რომ **სხვა მე**-ში იგულისხმება იგივე **მე,** ოღონდ შემეცნებაამაღლებული.

აქ იკვეთება შემდეგი კითხვა:

შესაძლებელია კი მე ფიზიკოსმა შევიმეცნო ფილოსოფია, ლიტერატურა,...?

და საერთოდ, როგორ იმეცნებს **მე,** როგორც **სუბიექტი** (შემმეცნებელი), **არა მე-ს,** როგორც **ობიექტს** (შესამეცნებელს)?

მივედით ფილოსოფიის მნიშვნელოვან კითხვასთან – საერთოდ შესაძლებელია თუ არა **სუბიექტი** შევიდეს **ობიექტში,** გაიხსნას ობიექტში, სრულად გაიაზროს ობიექტი?

ჩანართი

ჩვენ იმ ზღვრამდე დავედით, რომლის იქით ადამიანი უკვე აღარაა ადამიანი. ეს დაქვეითება მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ხალისით, ჩვენი სრული თანხმობით და ანთროპოლოგიური კატასტროფის წინაშე ტვინგამოქარული ადამიანის მახასიათებელი უაზრო, არაფრისმთქმელი ღიმილით ვდგავართ.

ჩვენივე ინფანტილიზმიდან გამომდინარე, არავითარ შეშფოთებას არ იწვევს გენოფონდის დეგრადირება – ალკოჰოლიკთა, ნარკომანთა,... არნახული ოდენობა. სოციუმის, რაღაც სასწაულით, ჯერ კიდევ ფსიქიკაშემორჩენილი ნაწილიც მეთოდურად ნადგურდება. დანარჩენი დამთრგუნველი უმრავლესობისთვის კი გარე სამყაროსა და საკუთარ არსში გარკვევის ერთადერთ საშუალებად ელექტრონული მასმედია, ტელევიზია რჩება. დიახ, ის ჩვენი ტელევიზია, რომელიც დაარსებიდანვე ცენტრალიზებული და მონოპოლიზებულია და მისი მთავარი, უცვლელი ფუნქციაა სოციუმის გამოთაყვანება, საღათას (მენტალურ) ძილში გადაყვანა.

შეხედეთ და მიხვდებით, რომ ჩვენი სატელევიზიო ანძა ნარკოტიკით სავსე გიგანტურ შპრიცს დაემსგავსა, რომელიც ჩვენს სხეულშია გარჭობილი და გონებრივად დაქვეითებული ადამიანები მეთოდურად, პერმანენტულად პრიმიტიულ, ილუზორულ სამყაროში გადაჰყავს.

მათთვის ტელევიზიის გარეშე არავითარი ინფორმაცია, არავითარი იდეები არ არსებობს. რეალობაა ის, რაც ეკრანზეა, სიყვარულია ის, რაც ეკრანზეა,

პოლიტიკაა ის, რაც ეკრანზეა, ერთადერთი ჭეშმარიტებაა მხოლოდ ის, რაც ხდება ეკრანზე.

ეს ეკრანისეული ჭეშმარიტება ისეა გაცვეთილი, რომ საცოდაობით ვერც კი უყურებ.

ჰომოსაპიენსი გარდაიქმნა რაღაც **„ვიზიონსაპიენსად"**. ის ხარბად იღებს ნებისმიერ მიწოდებულ ნარკოტიკს ამ გიგანტური შპრიციდან და ყოველდღე უფრო მზარდ ულუფას ითხოვს. მისი დაუოკებელი მოთხოვნა ყოველგვარი შეფერხების გარეშე მელოდრამული სერიალებით კმაყოფილდება.

ეს ის უფსკრულია, რომელშიც ვარდებით და ნუ გგონიათ, რომ რაც უფრო ღრმაა უფსკრული, მით მეტი შანსი გაქვთ, ფრენა ისწავლოთ.

შესაბამისად, განვითარების, სიცოცხლის, სულის საზრდო — მეცნიერება, ფილოსოფია, რელიგია მისი არსისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. რაც უფრო გაუცხოებულია აზროვნებისადმი ეს დამთრგუნველი უმრავლესობა, მით უფრო იკვეთება სოციუმში შემორჩენილ იმ მოაზროვნეთა, შემოქმედებითი პოტენციალის მქონეთა მნიშვნელოვნება, რომელთაც საკუთარ თავზე უნდა აიღონ ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტა.

სწორედ შემოქმედ, მოაზროვნე ადამიანთა ფუნქციაა, საკუთარ თავზე აიღონ სოციუმის პრობლემების გაშიშვლება და ამით სოციუმის საღათას ძილიდან გამოყვანა.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ განვითარება, ცხოვრებისეული წარმატება დაკავშირებულია ცოდნასთან, ნებისყოფასთან, ადამიანთა შორის ჰარმონიულობასთან, აზროვნების ელასტიკურობასთან, იმასთან, რასაც ძირითადად ფილოსოფია იძლევა.

გახსნა

როგორც აღვნიშნეთ, კანტმა სუბიექტის მიერ ობიექტის ბოლომდე შემეცნება შეუძლებლად მიიჩნია. მან სუბიექტსა და ობიექტს შორის გათხარა უფსკრული, რაც ნიშნავს, სუბიექტი სრულად ვერ გაიხსნება ობიექტში, ბოლომდე ვერ შეიმეცნებს მას.

კანტის აზრით, **მე** როგორც სუბიექტი სრულყოფილად ვერ შეიმეცნებს **მე**-ს როგორც ობიექტს. გამოდის, რომ მე ვარ **საგანი თავის თავში**.

და თუ **მე** არ გამეხსნება **მე,** მაშინ საკუთარ არსს ვერ გავიაზრებ, ვერ შევიმეცნებ, ვერასდროს გავიგებ, რაა სამყარო, რაა ღმერთი. შესაბამისად, ვერ შევწვდები კანონზომიერებას და ვერ გამოვალ იმ უბადრუკი, დაქვეითებული მდგომარეობიდან, სადაც თქვენთან ერთად ვიმყოფები.

სერიოზულად დავფიქრდეთ.

როგორ შეიძლება სუბიექტმა ობიექტი გაიაზროს, შეიმეცნოს, გაიხსნას ობიექტში? როგორ ახერხებს ყოფიერება თავისი თავის წარმოსახვას? — აი, ესაა ფილოსოფიის ძიების საგანი და მთავარი პრობლემა.

მართლაც, თუ სუბიექტი არ შევიდა, არ გაიხსნა ობიექტში, თუ სუბიექტი ობიექტთან არ გაიგივდა, მაშინ სუბიექტის მხრიდან ობიექტის სრული შემეცნება ვერ მოხდება.

— როგორ ხდება სუბიექტის ობიექტში შესვლა?

— სუბიექტისა და ობიექტის გაიგივება?

— სუბიექტის მიერ ობიექტის სრული შემეცნება?

ამაში გარკვევისთვის გავიხსენოთ XV საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი, კარდინალი **ნიკოლო კუზანელი**. ამ საინტერესო ადამიანმა ეს საკითხი მათემატიკური ლოგიკით ახსნა. წარმოიდგინეთ წრეწირის რკალი და მისი მხები. თუ წრეწირის რადიუსს უსასრულოდ გავზრდით, მაშინ რკალი უსასრულობაში მხებს დაემთხვევა, მათ შორის განსხვავება მოისპობა.

უფრო ნათლად. თავდაპირველად გვქონდა რკალი და მისგან განსხვავებული მხები. მხები სხვაა, რკალი — სხვა. ეს ორი განსხვავებული რამ უსასრულობაში, ზღვარში ხდება იგივური. სწორედ გაიგივებისას რკალი „მიხვდება", რაა მხები და — პირიქით.

ეს შეიძლება ასე გამოითქვას — უსასრულობაში მხებისთვის რკალი **სხვა მეა**. ასევე, რკალისთვის მხები — **სხვა მე**. თუ კუზანელის ამ მსჯელობას განვაზოგადებთ, შეგვიძლია მივიდეთ მის დასკვნამდე: **ორი განსხვავებული, დაპირისპირებული რამ უსასრულობაში იხსნება, ჰარმონიული და იგივური ხდება.**

კუზანელის აზრით, უსასრულობა ღმერთია, ღმერთი — გონი.

გამოდის, რომ სუბიექტის ობიექტში გახსნა, შესვლა, გაიგივება შესაძლებელია ღვთიურ დონემდე ამაღლებულ გონში. ეს ამაღლება, სუბიექტის ობიექტში გახსნა, კუზანელისა და ფიხტეს აზრით, უსასრულო პროცესია.

უფრო მკაცრად:

შევეცადოთ, ყოველივე ამ მსჯელობის შემდეგ ვუპასუხოთ კითხვას:

— **როგორ უნდა გარდაისახოს ყოფიერება, რათა საკუთარი თავი გამოავლინოს?**

ცხადია, იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი და ობიექტი არაა გაყოფადი, არსით ერთნაირი, იგივურია.

ფიხტეს აზრით, სუბიექტის ობიექტში გახსნა, ჰარმონიაში შესვლა, გაიგივება ხდება მხოლოდ გონში ინტელექტით.

მართლაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, **მე**-სა და **არამე**-ს, მათ იგივეობას გონით ვხვდები, რადგან როგორც კი წარმოიშვება ამაღლებული შემეცნება, იმ წამსვე ხდება **მე**-სა და **არამე**-ს განცალკევება, დანაწევრება, განმხოლოება. შემდეგ მიმდინარეობს მათ შორის დაპირისპირება, შემდეგ — სინთეზი.

გონში ხდება **მე**-ს და **არამე**-ს გაიგივება და სინთეზით ვიღებთ **სხვა მე**-ს, ურთიერთდაპირისპირებულთა ჰარმონიით ოდნავ უფრო ამაღლებულ საწყისს, **მე**-სგან განსხვავებულ **სხვა მე**-ს.

მართლაც, **მე** შევიმეცნებ საკუთარ **მე**-ს იმდენად, რამდენადაც გამოვეყოფი შესამეცნებელ **მე-ს** როგორც შემმეცნებელი **მე.**

ცხადია, ეს მსჯელობა ზოგადად ვრცელდება სუბიექტსა და ობიექტზე.

ე.ი. **მე** სუბიექტმა შეიძლება შეიმეცნოს **არამე** ობიექტი.

დიახ, შეიძლება ობიექტური გახდეს სუბიექტური.

სუბიექტის და ობიექტის, როგორც განსხვავებული სახეობების განმხოლოება და მათი შემდგომი გაერთიანება არის შემეცნების მთელი მექანიკის საფუძველი. როგორც აღვნიშნეთ, ფიხტეს აზრით, ეს პროცესი გონში უსასრულოდ მიმდინარეობს.

სწორედ ფიხტეს ეს უსასრულობა იწვევს ჩემში შეშფოთებას.

მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ფიხტეს ფილოსოფია, მისი მსოფლმხედველობა განვითარებისკენ გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუნდაც იმიტომ, რომ ილუზიისგან გათავისუფლების მძლავრი სვლა მისგან დაიწყო. იმავდროულად დაიწყო კანტის მიერ სუბიექტსა და ობიექტს შორის გათხრილი უფსკრულის ამოვსება.

როგორც ვახსენეთ, პირველად ფიხტემ დაინახა წინააღმდეგობა კანტის ცნებაში **„საგანი თავის თავში"**. მან თავის შემოქმედებაში ყველა არსებულის აბსოლუტურ საწყისად წარმოგვიდგინა აბსოლუტური **მე.**

მე-სა და **არამე**-ს უსასრულო სინთეზით მიმდინარეობს **მე**-ს უსასრულო ამაღლება აბსოლუტურ **მე**-მდე, რომელსაც ეხსნება მთელი ობიექტური სამყარო, ის სამყარო, რომელსაც ფიხტე უწოდებს **არა მე**-ს.

ამრიგად, თვითშემეცნებადი სუბიექტი **ღვთაებრივ სუბსტანციამდე** მაღლდება.

თვითშემეცნების აქტი უნიკალური მოვლენაა. ის არის ქმედება და იმავდროულად ამ ქმედების პროდუქტი, ე.ი. ურთიერთსაწინააღმდეგოს — სუბიექტისა და ობიექტის თანხვედრა, რადგან ამ აქტში მე საკუთარ თავს ბადებს, საკუთარ თავს ადგენს, იაზრებს.

ცხადია, **მე**-ს მიერ **მე**-ს შემეცნება არის მხოლოდ თავისუფალთა ქმედება.

ცხოველს, მონას არ აინტერესებს, ვინაა ის.

დავიმახსოვროთ, მონა ყველაფერს აიტანს საკუთარი თავისუფლების გარდა.

მე ვარ — ეს უკვე პასუხია მოწოდებაზე — **იყავ, შეიცან შენი მე!**

შეიცანი **მე**, როგორც ავტონომიური რეალობა და ამით თავისუფალთა სამყაროში შეხვალ. სხვა შემთხვევაში ზოოლოგიურ არსებათა — გოჭებისა და ბაყაყების სამყაროში დარჩები.

შეიცან საკუთარი თავი, ეს თავისუფლებისკენ მოწოდებაა.

ეს თავისუფლების იდეალიზმია, ეთიკით ორიენტირებული იდეალიზმი.

აქ ბუნების სამყაროდან თავისუფალთა ბუნების გამოკვეთა მიმდინარეობს.

პირველში ბატონობს აუცილებლობა, მეორეში, თავისუფალთა სამყაროში — მიზანშეწონილობა.

შედგა უდიადესი აქტი — აუცილებლობიდან მიზანშეწონილობის გამოკვეთა.

აბსოლუტურ **მე**-ში, აბსოლუტურ **გონში** ბუნება განიხილება როგორც ადამიანის თავისუფლების გამოვლენის საშუალება.

აბსოლუტურ **მე-ში** თვით **აბსოლუტიც** კი აღარ არსებობს როგორც შეუცნობადი, **საგანი თავის თავში,** რაც კანტმა საკუთარ ფილოსოფიაში ჩამოაყალიბა.

აბსოლუტური **მე**-ს, როგორც სუბიექტის აქტივობა, ქმედება არის ყველა არსებულის წყარო. ჩვენ ბუნების ობიექტები რაღაც დამოუკიდებლად გვეჩვენება, რადგან ამ ობიექტების წარმოქმნის რეალური წყარო ჩვენი შემეცნების მიღმაა.

ამის გასააზრებლად აუცილებელია, ობიექტურში სუბიექტური საწყისი გაიხსნას და თუ ამას შევძლებთ, მივხვდებით, რომ სამყარო არსებობს, რათა განახორციელოს საკუთარი თავი.

მე-ს ქმედებას რაღაც წინააღმდეგობები სჭირდება, რომლის გადალახვისას იხსნება, აშკარავდება მისი ყველა განსაზღვრება და ბოლოს ის სრულად შეიმეცნებს თავს და ამით აღწევს იგივურობას საკუთარ თავთან. ფიხტეს აზრით, შეუძლებელია ასეთი იგივურობა სასრულ დროში აღსრულდეს. ეს უფრო იმ იდეალს ჰგავს, საითკენაც უნდა ისწრაფოდეს თავისუფალი ადამიანი.

ასეთი იდეალისკენ სვლა არის ისტორიული პროცესის აზრი.

ფიხტეს საწყის ცნება **მე**-ში, ერთი მხრივ, იგულისხმება ის, რასაც თვითარეკვლის აქტით ადამიანი საკუთარ თავში აღმოაჩენს.

ესაა ემპირიული **მე**.

მეორე მხრივ, ის აბსოლუტური რეალობაა, რომელიც ბოლომდე მიუღწეველია ჩვენი შემეცნებისთვის. მისი თვითგახსნით, თვითგანვითარებით იბადება აბსოლუტური **მე**, ამიტომაა ის ღვთაებრივი.

არ იფიქროთ, რომ სიტყვა დაბადებაში იგულისხმება არარსებულის გაჩენა, დაბადება. არა, დაბადება შეიძლება მხოლოდ იმისი, რაც ჩემში არსებობს, რაც ჩემში თავიდანვეა ჩადებული.

აბსოლუტური **მე** არის მარადიული მოძრაობა და ჩვენი შემეცნებისთვის აღქმადია მხოლოდ იმ მომენტში, როცა ის წააწყდება რაღაც ბარიერს, რაღაც წინააღმდეგობას — **არა მე-ს,** და რაც მთავარია, ამ უკანასკნელით ის იზღუდება.

გავიხსენოთ — წინააღმდეგობის გარეშე შემეცნება შეუძლებელია.

ამ დროს აბსოლუტური **მე**-ს შემოქმედება მიმართულია არა მარტო ბარიერის, **არა მე**-ს დაძლევის, შემეცნებისკენ, არამედ მის საზღვრებს მიღმა.

შემოქმედება საზღვრებს მიღმა ხედვაა.

შემოქმედი პირველი ბარიერის გადალახვის შემდეგ სხვა ბარიერს, სხვა საზღვარს აწყდება და ასე შემდეგ. ეს რაღაც პულსირებას ჰგავს —

ბარიერთან შეჩერება, მისი გააზრება, გადალახვისას შემეცნება. ეს ყოველივე **მე**-ს ბუნებაა.

აი, ამ ბუნებით ის არც სასრულია, არც უსასრულო, არამედ ურთიერთსაწინააღმდეგოს — სასრულისა და უსასრულოს, ადამიანურისა და ღვთაებრივის, ემპირიულისა და აბსოლუტური **მე**-ს ერთობაა.

ინდივიდუალური, ემპირიული და აბსოლუტური **მე** ხან ემთხვევიან და იგივურდებიან, ხან იშლებიან და განსხვავებულნი ხდებიან. აი, ეს დაშლა-შეერთება, პულსაცია არის მისი დიალექტიკის ბირთვი. თვითშემეცნებას — **მე ვარ,** თან დაჰყვება მისი საწინააღმდეგო — **არამე**.

მთელ დიალექტიკურ პროცესს აქვს მიზანი — მიაღწიოს ისეთ წერტილს, სადაც ურთიერთდაპირისპირება მოიხსნება და ურთიერთდაპირისპირებულები **მე** (სუბიექტი) და **არა მე** (ობიექტი) დაემთხვევა ერთმანეთს, ე.ი. მოხდება **სუბიექტის ობიექტში გახსნა.**

ვიმეორებთ, ფიხტეს აზრით, ასეთი სრული იდეალის მიღწევა, სადაც აღარ არსებობს ურთიერთდაპირისპირება **მე**-სა და **არა მე**-ს შორის, მხოლოდ უსასრულობაშია შესაძლებელი.

აი, ეს ურთიერთდაპირისპირებულთა იგივურობის უსასრულობაში მიღწევა რომანტიკულია, ლამაზია, თუმცა ჩემთვის — მიუღებელი.

ცხადია, ჩემთვის უპირველესი ამოცანაა, **საქართველოში,** როგორც ობიექტში, ჩემი, როგორც სუბიექტის — **მე**-ს შეძლებისდაგვარად სრული გახსნა, რაც განვითარების აუცილებელი პირობაა.

— რამდენადაა შესაძლებელი ეს ამაღლება უმოკლეს დროში?

ამაში გარკვევისთვის დავუბრუნდეთ საკუთარი არსის, **მე**-ს გააზრებას.

მე ⇄ მე + არამე

როგორც აღვნიშნეთ, **მე**-სა და **არამე**-ს სინთეზით ვმაღლდებით და ვიღებთ ოდნავ ამაღლებულ **სხვა მე**-ს. შემდეგ ამ დონეზე პროცესი მეორდება და უფრო ვმაღლდები. უსასრულო ამაღლებით გადავდივართ აბსოლუტში.

ჩანართი

აბსოლუტური **მე** არის აბსოლუტური რეალობა, ყველაფრის ერთობისა და მარადიულობის საყრდენი.

აბსოლუტი ესაა საკუთარი არსის დამბადებელი მე, ყოფიერებისა და გონის ერთობა, განურჩევლობა. აბსოლუტური **მე** საკუთარი არსის რეალიზებას ახდენს იმდენად, რამდენადაც ის აზროვნებს. აზროვნებს კი იმიტომ, რომ საკუთარი **მე**-ს რეალიზებას ახდენს.

აბსოლუტური მე ესაა ჩემი ჭეშმარიტი, თავდაპირველი არსი, ბუნება.
ესაა მუდმივი საყოველთაო არსება, უფორმო ყველა ფორმაში
ესაა უსასრულო სიხარული
აბსოლუტური თავისუფლება
აბსოლუტური სრულყოფა
ყველაფრის გამჭოლი
დროით და სივრცით არშეზღუდული
სიკვდილს არდაქვემდებარებული

სამყაროს დინამიკური პრინციპი
აბსოლუტური მე არის ჩემი ბუნების თვითმნათი ცნობიერება
ის სინათლე, რითაც განათებულია სამყარო, სადაც ქრება მღელვარება და დამანგრეველი აზრები
აბსოლუტური მე არის ის, რაც ფეთქავს ყველას მკერდში
ის, რითაც ყველა შევიგრძნობთ სამყაროს
ის, რაც პულსირებს ყველა ნერვში
ესაა ყველას ღიმილი, ყველას ჰარმონია
ესაა სიბრძნე ყველა ბრძენში, ძალა – ძლიერში, ენერგია – ენერგიულში, სიკვდილის სიკვდილი
ესაა აბსოლუტური გონის და ცნობიერების უმაღლესი სინთეზი
ესაა ბედნიერება.

აბსოლუტური მე

შევეცადოთ ფიხტეს ფილოსოფიას, **მე**-ს ამაღლების პროცესს კიდევ ერთხელ „ზემოდან" დავხედოთ ჩვენთვის საინტერესო ხედვის კუთხიდან. როგორც აღვნიშნეთ, შემეცნების ასეთი ფორმულირება: **მე ⇄ მე (მე** ვარ **მე).** ვერ უზრუნველყოფს განვითარებას, რადგან აქ ერთადერთ რეალობაში – **მე**-ში არ გვაქვს შემეცნების აუცილებელი პირობა – წინააღმდეგობა. მარტივად რომ ვთქვათ, რეალური აქ მხოლოდ ერთი სუბიექტია – **მე,** მაშინ, როცა წინააღმდეგობას, შემეცნებას ორი ელემენტი მაინც სჭირდება.

ვიმეორებთ, სოლიფსიზმიდან გამომდინარე, შემეცნებისთვის გარე სამყარო – ქვა, წვიმა, თოვლი, გრიშა, ლამარა და ა.შ. არ გამოგვადგება, რადგან გარე სამყარო ილუზიაა. ილუზიასთან წინააღმდეგობაში შესვლა მოგვცემს ილუზორულ ცნობიერებას, ილუზორულ კანონზომიერებას. როგორც უკვე მოგახსენეთ, რჩება ერთი გამოსავალი – რეალური **მე** „დავანაწევროთ" ორ რეალურ ელემენტად – **მე** და **არამე**-დ. ვიღებთ ფორმულირებას:

მე ⇄ მე + არამე.

ამ ფორმულირებას ამგვარად შევხედოთ – **მე** ვარ ერთადერთი რეალობა და მსურს შევიმეცნო ჩემი შესამეცნებელი სამყაროს ნაწილი – **არამე.**

განვიხილოთ ალმასი. ერთი მხრივ, ალმასი ილუზიაა. მეორე მხრივ, ის არ მეხსნება, მეწინააღმდეგება. მე მსურს დავადგინო მისი სიმკვრივე, სინათლის გარდატეხის კოეფიციენტი, შიგა სტრუქტურა, ეს კი საკმაოდ დიდ თეორიულ ცოდნას და ემპირიას, გულმოდგინე დაკვირვებას მოითხოვს.

სხვა სიტყვებით, მე ვარ **სუბიექტი** და ჩემ წინაშეა **ობიექტი,** რომელიც უნდა შევისწავლო, შევიმეცნო. სრული შემეცნება მაშინ მოხდება, თუ მე როგორც სუბიექტი, „შევალ", „გავიხსნები" ობიექტში. ალმასში **მე-ს** „გახსნა", მოხსნის ალმასის ილუზორულობას და მოხდება რეალური შემეცნება.

ჩნდება კითხვა: – **ნებისმიერი საკვლევი ობიექტის სრულად შესამეცნებლად რამდენადაა შესაძლებელი მასში (ალმასი, საზოგადოება, სახელმწიფო) გასხნა, აზრობრივად, მენტალურად შესვლა?**

– შესაძლებელია, თუ გაიხსენებთ, რომ სოლიფსიზმის მიხედვით მთელი სამყარო, ალმასი, ეკონომიკა, ბოტანიკა,... ჩემი მენტალობის, აზროვნების პროდუქტია.

სჯობს, ამ საკითხს ასე მივუდგეთ – შენ ეს ყველაფერი იცოდი, დაგავიწყდა და ახლა იხსენებ. ჯერჯერობით თავი გავანებოთ ალმასსა და შროშანს და ფუნდამენტურ და არაფუნდამენტურ მეცნიერებებში „გახსნას" მივხედოთ.

როგორც უკვე განვიხილეთ, როცა სამყაროს შემეცნებას იწყებს **მე** ფიზიკოსი, შემეცნებისთვის ის უპირისპირდება ფიზიკოსისგან განსხვავებულ **არამე**-ს, რაც ფიხტეს ფორმულირებით ასე გამოისახება:

მე ⇄ **მე**$_{\text{ფიზიკოსი}}$ + **არამე**

თუ მე შევდივარ, „ვიხსნები" ლიტერატურაში, შესამეცნებელია ლიტერატურა, ვიღებთ ფორმულირებას – **არამე**$_{\text{ლიტერატორი}}$.

მე-ში მიმდინარეობს თეზისსა (**მე**$_{\text{ფიზიკოსსა}}$) და ანტითეზისს (**არამე**$_{\text{ლიტერატორს}}$) შორის სინთეზი. შესაბამისად, **მე** ⇄ **მე**$_{\text{ფიზიკოსი}}$ + **არამე**$_{\text{ლიტერატორი}}$.

ცხადია, ასეთი სინთეზის შემდეგ **მე** უკვე ის **მე** აღარ ვარ, რაც ვიყავი, ვარ ამაღლებული **მე**$_{\text{ფიზიკოსი/ლიტერატორი}}$.

და ა.შ.

რამდენად მიღწევადია ასეთი უნივერსალიზმი?

როგორც ადამიანთა ისტორია გვარწმუნებს, ერთ ადამიანს შეუძლია უნივერსალიზმის მიღწევა, გარკვეული გაგებით, რისი ნათელი მაგალითიცაა – მიქელანჯელო, და ვინჩი, გოეთე, ჩეხოვი, დე ბროილი,...

მე ლიტერატურაში გახსნით ვიხსნები ჰომეროსის, შექსპირის, ჰემინგუეის შემოქმედებაში და სწორედ ამით შემაქვს რეალობა, ვაცოცხლებ ოდისევსს, ჰამლეტს, ჰარი მორგანს,... სწორედ ამით ივსება და იზრდება ჩემი არსი, მე აღარ ვარ მხოლოდ მე, ჩემში უკვე არის ჰამლეტიც, გალაკტიონიც და ვაჟაც,...

კითხვისას მე საკუთარ თავს ვაიგივებ იმ პერსონაჟთან, რომელიც მომწონს და გადავდივარ მის სამყაროში.

შედეგად, შემმეცნებელი, დამკვირვებელი, **ემპირიული მე** თანდათანობით ვმაღლდები. თითოეული შესვლით, ახალი შემეცნებით შესამეცნებელ ობიექტში შემაქვს რეალობა და **არა მე** ჩემს რეალობაში თვითარეკვლით კაცობრიობის გონის სახით შემოდის. და **მე** – **ემპირიული მე** – ვუახლოვდები, თანდათან გადავდივარ იმ აბსოლუტურ **მე**-ში, რომლის გონის, თვითშემეცნების პროდუქტია: მე, შენ, მთელი სამყარო.

გამოდის, რომ აბსოლუტური მე, არის თავისუფლების მფლობელი კაცობრიობის გონი. აბსოლუტურ **მე**-ს საკუთარი გონის პროდუქტის, სამყაროს სრული შემეცნება ხელეწიფება. და ეს შემეცნება უკვე არც ფიზიოლოგიასა და არც ფსიქიკაზე არაა დამოკიდებული.

კაცობრიობის გონი, აბსოლუტური **მე** მთელ სამყაროზე ისეთი სიღრმისეული ცოდნაა, რომელიც კონკრეტული, ემპირიული ადამიანის ცნობიერების მიღმა გადის და, როგორც აღვნიშნეთ, მისი მიღწევა მთელი კაცობრიობის გონის გაერთიანებას ითხოვს.

ჩავუღრმავდეთ ამ მოსაზრებას. ერთი შეხედვით ჩანს, რომ ერთი კონკრეტული შემმეცნებელი პიროვნება სამყაროში გახსნით **მე**ფიზიკოს/ლიტერატორ/ფილოსოფოსი... აღწევს აბსოლუტურ **მე**-ს.

თუმცა, ნუ დავივიწყებთ, რომ როდესაც მე ვიხსნები სამყაროში, ვისწრაფვი აბსოლუტური **მე**-სკენ უპირველესად **შენში** უნდა გავიხსნა.

შენ ჩემთვის ხარ არა ილუზორული სარკე (ვერცხლით ან ალუმინით დაფერილი მინა), არამედ რეალური სარკე, რომელშიც ჩემს თავს აღმოვაჩენ როგორც ფასეულობას. გახსნისას ჩვენი მენტალური ინფორმაცია იცვლება, ერთიანდება და, შესაბამისად, ჩემი ცოდნა არა წრფივად, არამედ უფრო სწრაფად, ექსპონენციალურად ფართოვდება.

გახსნის არსიდან გამომდინარე, აბსოლუტისკენ სვლისას მე და შენ მენტალურად ერთნი ვართ.

აქედან იხსნება თვით სიყვარულის არსი.

ეს ორისთვის ერთი **მე,** აბსოლუტია.

დაუკვირდით ფრაზას: **„გიყვარდეს მოყვასი შენი"** და მივხვდებით,

– რას ნიშნავს სიყვარული,

– რას ნიშნავს აბსოლუტური **მე,**

– რა არის ქრისტიანობა.

შესაბამისად, **მე** იხსნება რა სამყაროში, იხსნება ყველა **მე**-ში და ადამიანთა მენტალური სამყარო ერთიანდება. აბსოლუტურ **მე**-ში ჩვენ მენტალურად ერთნი ვართ.

შექცევადობის პრინციპის თანახმად გამოდის, რომ ეს სამყარო **მე**-ების მენტალობის ინტეგრალური ჯამის მიერაა შექმნილი.

თუ ბერკლის ფილოსოფიით ეს სამყარო უზენაესის, უმაღლესი გონის პროდუქტია, ფიხტეს აზრით, ეს სამყარო **მე**-ების მენტალობის ინტეგრალური ჯამის პროდუქტი გამოდის.

დიახ, აბსოლუტური **მე** არის ყველა **მე**-ს გაერთიანება და, შესაბამისად, ეს რეალობა არის ყველა **მე**-ს მიერ შექმნილი.

ჯერჯერობით კი ჩემი განვითარების მიზანი – აბსოლუტური **მე** – ჩემი ცნობიერების საზღვრებს მიღმა არსებული არამიწიერი, უმაღლესი მენტალური სამყაროა.

სხვა გზა არ რჩება, ჩემი ცნობიერების მიღმა არსებულ მენტალურ სამყაროს უბრალოდ **არაცნობიერი** ვუწოდოთ.

ეს ის სამყაროა, რომელიც თავის თავში ყველაფერს მოიცავს.

ეს ის სამყაროა, სადაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ურთიერთგახსნაში, ერთობაში გადადის.

ეს ის ამაღლებული მდგომარეობაა, რასთან მიახლოებისას მოყვასის სიყვარულს, ჰარმონიულ ცხოვრებას, უაზრობის, გაუნათლებლობის დამარცხებას მიზეზი აღარ სჭირდება.

ახლა გავბედოთ და ფიხტეს სოლიფსიზმს უფრო თამამად შევხედოთ.

ემპირიული, ინდივიდუალური მე, ესაა გრძნობების და აღქმის ერთობლიობა, ყოველივე ის, რისი მეშვეობითაც ვცდილობდი შემემეცნებინა საკუთარი თავი, გარე სამყარო, სადაც ყველაფერი მიზეზ-შედეგობრივ კანონს ემორჩილება.

აბსოლუტური **მე** – ამაღლებული, ზეინდივიდუალური, ჩემში მსოფლიო ყოფიერების არაცნობიერის საფუძველი.

მე, როგორც რეალობა, ვიხსნები **არა მე**-ში, სამყაროში და ვანიჭებ მას რეალობას.

ეს გახსნა უკუკავშირით მამაღლებს **მე.**

ამ ამაღლებით მე ვუახლოვდები აბსოლუტურ **მე**-ს.

შესაბამისად, მთელი სამყარო ხდება აბსოლუტური მე-ს გონის პროდუქტი, რომელიც უკვე ჩემგან, ემპირიული მე-სგან დამოუკიდებელი რეალობაა.

მივიღეთ **მე**-სგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობა – **მთელი სამყარო.**

ამრიგად, სოლიფსიზმი გადადის ობიექტურ იდეალიზმში.

იკვრება უდიადესი წრე.

იმედს ვიტოვებთ, რომ ამ აზრობრივი სითამამით – **სოლიფსიზმისა და ობიექტური იდეალიზმის გაშიშვლებული სინთეზით** არც დეკარტეს, არც ფიხტეს, არც ჰეგელს ვაწყენინებთ.

გამოდის, რომ აბსოლუტური **მე** არის ყველა არსებულის საწყისი.

აბსოლუტური **მე**-თი **არა მე**-ს, მთელი სამყაროს ობიექტივაცია, სრულად გახსნა ხდება.

ამრიგად, შემმეცნებელი სუბიექტი ისწრაფვის, დაიკავოს კლასიკური რაციონალიზმის, ღვთაებრივი სუბსტანციის ადგილი.

სამყარო, ბუნება არის მხოლოდ ადამიანის შემოქმედებითი თავისუფლების აღსრულების საშუალება.

დიახ, სამყარო, ბუნება არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ **მე**-მ მასთან წინააღმდეგობით ცოდნის მიღება, საკუთარი თავის გააზრება შეძლოს იმ დონემდე, რომ **მე** საკუთარ თავთან იგივეობის შემეცნებამდე ამაღლდეს და კითხვაზე:

— ვინ ვარ?

მან გააზრებულად და ამაყად განაცხადოს:

— მე ვარ მე.

იმისი მიხვედრა, რომ **მე ვარ მე,** უკვე ამაღლებაა.

ეს ამაღლებული **მე** ისევ შედის გარემომცველ სამყაროსთან წინააღმდეგობაში. ისევ ახალი წინააღმდეგობის გადალახვა, ახალი ცოდნა, ისევ ამაღლება, ისევ წინააღმდეგობა და ა.შ. სწორედ წინააღმდეგობის გადალახვის ეს პულსაციებია ადამიანის, **მე**-ს არსი და ეს არსი სასრულიცაა და უსასრულოც.

სასრულისა და უსასრულოს, ამ ორი ურთიერთდაპირისპირებულის ერთობა, სინთეზი არის მე.

დიახ, სასრულისა და უსასრულოს, ამ ორი ურთიერთდაპირისპირებულის ერთობაა ადამიანის არსი.

სწორედ ასეთი არსის მქონე ადამიანთა საერთო გონია აბსოლუტური **მე,** ის საოცარი ფენომენი, რომელიც საკუთარ არსში მოიცავს ჭეშმარიტ სიკეთეს.

შესაბამისად, აბსოლუტურ მე-ს სიკეთის ქმნადობისთვის მიზეზი აღარ სჭირდება.

დიახ, ადამიანი აბსოლუტისგან ამ მინიშნებას ხანდახან გრძნობს და ჩვენ ამ ამაღლებას, ამ ბედნიერებას შესაძლოა წამიერად, მაგრამ მაინც განვიცდით, როდესაც სიკეთის ქმნადობისთვის ან სიყვარულის აღსრულებისთვის მიზეზი აღარ გვჭირდება, რადგან სიკეთე, სიყვარული შენი არსია.

აქედან მივდივართ დასკვნამდე: — **უყვართ იმიტომ, რომ უყვართ და სხვა ახსნა არ არსებობს და სხვა ახსნა არცაა საჭირო.**

აი, მაშინ ხვდები, ქალის, შვილის, სამშობლოს ჭეშმარიტ სიყვარულს არ სჭირდება არც მიზეზი და არც შედეგის მოლოდინი.

სამშობლო და ჭეშმარიტება იგივური ცნებებია და ამას ახსნა აღარ სჭირდება.

დიახ, არიან ისეთებიც, რომლებსაც სამშობლო უყვართ, იმიტომ რომ უყვართ და ამისთვის მიზეზი არ სჭირდებათ.

ჩვენ ამ ნაშრომით უპირველესად სწორედ მათ ვეძებთ.

დიახ, აბსოლუტური **მე**-ს არსებობაზე მიგვანიშნებს ის შინაგანი ხმა, ის რაღაც არაცნობიერი, თითქოს არაფრით მტკიცებადი რწმენა, რომ მე ამ სიყვარულის ძალით მთელი სამყაროს ყოფიერების აღმქმელი არსება ვარ.

დიახ, მხოლოდ ასეთი სიყვარული ბადებს ჩემში აბსოლუტურ თავისუფლებას, რის გარეშე შეუძლებელია საკუთარი თავის, სამყაროს, ღმერთის შემეცნება.

მხოლოდ ამის შემდეგ ხდება **ემპირიული მე**-ს ჰარმონიული დაკავშირება აბსოლუტურ **მე**-სთან.

მხოლოდ მაშინ ვგრძნობ სრულყოფილად, რომ **მე ვარ მე.**

მე ვაიგივებ საკუთარ თავს **მე**-სთან და **მე**-ს – ჩემს ცნობიერს შეძლებისდაგვარად სურს, შესწვდეს აბსოლუტურ **მე-ს, აბსოლუტურ ცნობიერს, აბსოლუტურ გონს,** რის გარეშეც ჩემი, შენი, ყველას ცხოვრების რადიკალურად შეცვლა, პროგრესის მიღწევა შეუძლებელია.

ჭეშმარიტება შენ უნდა შექმნა და ის იმ ფორმით გამოვლინდება, როგორადაც შექმნი – შენი შემოქმედების უნარის შესაბამისად.

ჩანართი

ფიხტესთვის ყოფიერება შემეცნებადია, რადგან ის არის ჩემი აზროვნების პროდუქტი.

როგორც აღვნიშნეთ, ფიხტესთან იკვეთება ორი მე – აბსოლუტური **მე და** ემპირიული **მე.**

აბსოლუტური **მე** – ყველასთვის საერთო მე. აბსოლუტური **მე** ზურგს უკან საყრდენად უდგას ემპირულ **მე**-ს.

ჩვენმა ემპირიულმა **მე**-მ არც კი იცის, რომ აბსოლუტურმა **მე**-მ შექმნა რეალობა – **არა მე,** რომელშიც საკუთარ თავს აღმოვაჩენთ. ემპირიული **მე** ამ შექმნილს იაზრებს, იმეცნებს.

დიახ, ემპირიულ **მე**-ს შეუძლია, შეიმეცნოს ყველაფერი, რაც შექმნა აბსოლუტურმა **მე**-მ და ეს შემეცნება შესაძლოა, უსასრულოდ გაგრძელდეს.

აბსოლუტური **მე** ქმნის წინააღმდეგობებს **მე**-სთვის, რათა მან გადალახოს ის და ამაღლდეს. ამ გადალახვით ხდება ამაღლება და აბსოლუტურ **მე**-სთან იდენტობის შემეცნება.

არა მე-ს შემეცნებით ემპირიული **მე** უახლოვდება იმ ცნობიერებას, რომ **არა მე** თვითონაა.

კანტის ტრანსცენდენტური სუბიექტის ნაცვლად ფიხტემ შემოგვთავაზა აბსოლუტური **მე**, რომლის მეშვეობით სურდა, **მე**-ს გარეთ არსებული სრული რეალობის, მთელი ობიექტური სამყაროს, მისი თავისთავადობის ეჭვქვეშ დაყენება.

ფიხტეს აბსოლუტური **მე** ესაა ქმედითი **მე**, ის ყოველი წინააღმდეგობის გადალახვით, თავისუფალი შემოქმედებით ახდენს საკუთარი თავის რეალიზებას.

მხოლოდ ასეთ ქმედით **მე**-ს შეუძლია საკუთარი თავის შემეცნება. დეკარტემ ქილონის აზრს ასეთი პერიფრაზირება მისცა – **ვისაც შეუძლია, აღწეროს საკუთარი თავი, მას შეუძლია აღწეროს მთელი სამყარო.**

საკუთარი თავის აღწერა ესაა გამარჯვება, ესაა გენიოსობა.

ბახის ფუგები, ლეონარდოს საიდუმლო სერობა, აინშტაინის ფარდობითობის თეორია, ვაჟას გველის მჭამელი,... ესაა შემოქმედის მონაყოლი საკუთარ თავზე.

შინაგანი მე ქმნის ადამიანს ადამიანად.

ფიხტეს ფილოსოფია ესაა ქმედების, თავისუფლების ფილოსოფია, რომელიც ათავისუფლებს ადამიანს გარეგანი შებოჭვისგან.

ფიხტეს **მე,** როგორც აღვნიშნეთ, ეს არის აბსოლუტურად თვითშემოქმედი, ის არ განისაზღვრება გარე სამყაროთი, პირიქით, ის განსაზღვრავს მას. **მე** უმაღლესი ინტელექტის მეშვეობით ახდენს საკუთარი თავის რეალიზებას გარკვეული ფილოსოფიური პროექტით. ამიტომ უწოდებს ის თავის სისტემას მეცნიერულ სწავლებას.

ფიხტეს ფილოსოფია, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა იმით, რომ ის გვიჩვენებს ფილოსოფიის შესაძლებლობასა და სიმძლავრეს, რომლის მთავარი პრინციპია ფილოსოფიურად გააზრებული სუბიექტი – **მე**.

მშრალი მატერიალიზმისგან განსხვავებით, ფიხტეს სუბიექტური იდეალიზმი ავითარებს ქმედებას. დიახ, ფიხტესთან სამყარო წარმოჩენილია, როგორც ადამიანის ქმედება. მიუხედავად მისი სწავლების აბსტრაქტულობისა, ის არის მნიშვნელოვანი, მძლავრი ნაბიჯი ადამიანის და საზოგადოების შემეცნებისკენ.

კანტმა დააპირისპირა სუბიექტი და გარე სამყარო – ობიექტი.

ფიხტე უკვე თამამად აცხადებს: – სუბიექტი ესაა სამყაროსა და, შესაბამისად, მართებული ფილოსოფიის ერთადერთი საფუძველი.

ფიხტეს ფილოსოფიურ სისტემაში უკვე მჟღავნდება სუბიექტის და ობიექტის ის იგივურობა, რომელიც გეორგ ჰეგელმა თავის აბსოლუტურ იდეალიზმში მთელი სიმძლავრით წარმოადგინა.

აბსოლუტი ფილოსოფიის ისტორიაში

უპირველესად უნდა შევთანხმდეთ თვით ცნება აბსოლუტზე (**absolutus** ლათ. – უპირობო, შეუზღუდავი). ფილოსოფიაში ყველაფერი არსებულის სულიერი საწყისი, სამყაროს მუდმივი პირველსაფუძველი – აბსოლუტი, შესაძლოა, წარმოგვიდგეს როგორც აბსოლუტური სული, აბსოლუტური იდეა.

პარმენიდესთვის აბსოლუტი ესაა წმინდა ყოფიერება.

პლატონისთვის – პირველადი სიკეთე.

არისტოტელესთვის – თავისი თავის გამააზრებელი აზროვნება (აზროვნების აზროვნება), საბოლოო მიზანი, პირველამამოძრავებელი.

კანტთან აბსოლუტი მჟღავნდება წმინდა გონების იდეალში. ესაა საგანი თავის თავში. ესაა კატეგორიული იმპერატივი.

ფიხტესთან აბსოლუტი არის აბსოლუტური **მე** – კაცობრიობის ცნობიერება, თვითშემეცნება, გონი. აბსოლუტთან სრულად შერწყმა, თანხვედრა უსასრულობაში მიიღწევა. შესაბამისად, ადამიანთა ისტორია ამ იდეალთან მხოლოდ უსასრულოდ მიახლოებაა.

შელინგთან აბსოლუტი გვევლინება **სამყაროს ღვთიურ საწყისად** და მის გააზრებას იგი უტიფარი ეგოიზმით უდგება. მისი აზრით, აბსოლუტთან შერწყმა, გახსნა მიიღწევა სუპერინტელექტუალური ინტუიციით. ეს

სუპერინტუიცია ჩვეულებრივი მოკვდავისთვის მიუღწეველია, ეს მხოლოდ მის მსგავს გენიოსთა ხვედრია, პრეროგატივაა.

ჰეგელთან აბსოლუტურ სულს არატრადიციული გაგება აქვს. მისთვის ეს ცოცხალი რეალობაა და ესაა აბსოლუტური თვითშემეცნების მხრიდან თავისი თავის შექმნის აქტი. აქ, ადამიანში აბსოლუტის არსებობა აუცილებელი პირობაა. ყველა მოძრაობის, ქმედების, განვითარების იდეალია **ინდივიდუალური მე**-სა და აბსოლუტური **მე**-ს თანხვედრა, შერწყმა. ჰეგელისთვის მიუღებელი აღმოჩნდა შელინგის სუპერინტუიცია, როგორც აბსოლუტური იდეის, ჭეშმარიტების ფილოსოფიური წვდომის უმაღლესი ფორმა.

ჰეგელის აბსოლუტის ელემენტები შეიძლება აღმოვაჩინოთ არისტოტელეს შემოქმედებაშიც.

ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ჰეგელის აბსოლუტში გარკვევა.

ჰეგელისთვის აბსოლუტთან შერწყმის პირველი ნაბიჯია სუბიექტსა და ობიექტს შორის დაპირისპირების გადალახვა. დიახ, მისი აზრით, ესაა ინდივიდუალური ცნობიერების სვლა მთელი სამყაროს, კაცობრიობის სულიერი სამყაროსკენ, ზოგადსაკაცობრიო ცნობიერებისკენ.

სხვა სიტყვებით, ინდივიდუალურმა ცნობიერებამ, **მე**-მ უნდა გაიაროს ის გზა, ყველა ის ეტაპი, რაც კაცობრიობამ მთელი ისტორიის მანძილზე გაიარა. დიახ, არ არსებობს ახალი ცოდნა ძველი ცოდნის გარეშე. ასეთი **მე** ფლობს კაცობრიობის კულტურის მთელ სიმდიდრეს და მისი უმაღლესი შემადგენელი ნაწილის – მეცნიერების მიღწევებს. სწორედ ასეთს შეუძლია, შეხედოს საკუთარ თავს და სამყაროს, მსოფლიო ისტორიის, ,,**მსოფლიო სულის**'' ხედვის კუთხიდან. სწორედ ასეთს შეუძლია, მოხსნას დაპირისპირება საგანსა და სუბიექტს შორის.

ინდივიდუალური ცნობიერების სვლა ზოგადსაკაცობრიო ცნობიერებისკენ უნდა მიმდინარეობდეს სისტემურად – აბსტრაქტულიდან კონკრეტულისკენ. ამ სვლის ყოველი ახალი საფეხური უნდა მოიცავდეს ყველა განვლილ საფეხურს, გააზრებულს უფრო მაღალ და მაღალ დონეზე.

ჰეგელი თავის ფილოსოფიურ სისტემას უწოდებს ,,**აბსოლუტურ იდეალიზმს**''. საწყის ცნებად მან გამოაცხადა **აბსოლუტური იდეა**, რომელიც არსებობს ჩვენგან დამოუკიდებლად, ობიექტურად. ის ცდილობს, ერთი ცნებით – **აბსოლუტით** – მოიცვას მთელი ბუნებრივი და სულიერი სამყარო.

ჩვეულებრივი გაგებით, ტერმინი ,,იდეა'' არის საგნის, მოვლენის არსის განმსაზღვრელი ცნება, მთავარი აზრი.

ჰეგელის აბსოლუტური იდეა არის გონი, აზროვნება.

აბსოლუტური იდეა არის სუბსტანცია, რომელიც ყველა საგნის პირველსაფუძველს, არსს წარმოადგენს. ის არსებობს მუდმივად და თავის თავში მოიცავს ყველა შესაძლო განსაზღვრებას ბუნების, საზოგადოებრივ, სულიერ,... მოვლენებზე.

ჰეგელისთვის უმაღლესი ჭეშმარიტების შემეცნების ინსტრუმენტია არა **ფორმალური,** არამედ **დიალექტიკური** ლოგიკური აზროვნება, ხოლო ამ შემეცნების ძირითადი საფუძველია **ცნება.**

დიალექტიკური ლოგიკის მამოძრავებელი ძალა არის დაპირისპირება, წინააღმდეგობა. ის ამით წინააღმდეგობაში შევიდა არისტოტელეს ფორმალურ ლოგიკასთან (რასაც ქვემოთ განვიხილავთ), რაც ვერ გაბედა ვერც კანტმა, ვერც ფიხტემ.

უხსოვარი დროიდან კაცობრიობას მრავალფეროვანი ინფორმაციული მასალა დაუგროვდა გასააზრებლად. აღნიშნული ინფორმაციის აღქმა ადამიანის შემეცნების ხარისხობრივად ახალ, ამაღლებულ დონეზე გადასვლას ითხოვდა. ადამიანი ბუნებასა და საზოგადოებაში ყოველი ფეხის ნაბიჯზე საყოველთაო ურთიერთკავშირების დამადასტურებელ ფაქტებს აწყდებოდა. და, შესაბამისად, შემეცნებადაინტერესებული ადამიანი ყველაფერში გარკვევას, სამყაროს კანონზომიერების შეცნობას ცდილობდა.

რაც უფრო მეტი ემპირიული ფაქტი და ცოდნა გროვდებოდა, მით უფრო ცხადად იგრძნობოდა ამ დაგროვილი ენციკლოპედიური ცოდნის გაანალიზებისა და დასკვნების გამოტანის აუცილებლობა. ცივილიზაციის განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლა სამყაროს, კაცობრიობის ისტორიისა და კულტურის განვითარებას შორის კავშირის დადგენას საჭიროებდა.

იწყება სამყაროს ახლებური შემეცნება-გააზრება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმანუილ კანტმა კრიტიკულად შეხედა ადამიანის შემეცნების უნარს. შემეცნების უნარის გააქტიურებას ის კატეგორიულად ითხოვდა. ცხადია, გაჩნდა კითხვა – სადაა შემეცნების გააქტიურების წყარო?

ამ კითხვას პასუხს სცემს არა ბუნებისმეტყველი კანტი, არამედ იდეალისტი კანტი.

ის გონს „ზებუნებრივ" უნარს ანიჭებს, რასაც მან **აპრიორული** უწოდა. აპრიორული – თანდაყოლილი, ემპირიისგან დამოუკიდებელი უნარი.

ადამიანს სივრცე და დრო ესაჭიროება ორიენტირებისთვის, რათა დაადგინოს, თუ სად და როდის მოხდა ესა თუ ის მოვლენა. კანტისთვის სივრცე და დრო ის სუბიექტური ფორმებია, რომელსაც სინამდვილეს ზემოდან ვადებთ.

თვით ბუნება, სამყარო ჩვენ მხოლოდ ზედაპირულად გვეხსნება და არა არსობრივად. შესაბამისად, ის რჩება შეუცნობლად, საგნად თავის თავში.

კანტისთვის სამყარო, მატერია, რომელიც ჩვენმა გონებამ უნდა შეიმეცნოს, წარმოგვიდგება, როგორც ემპირიული მასალა ლოგოსის, საყოველთაოს, აბსოლუტის გარეშე.

ჰეგელს კანტის ეს დასკვნა აღიზიანებს, რადგან სინამდვილე, ის სამყარო, რაც ჩვენ თვალწინაა, კანტის მიერ გონის (ლოგოსის, აბსოლუტის) გარეშედ

ცხადდება. გამოდის, რომ გონი, როგორც სამყაროს უცილობელი, შემადგენელი, ორგანული ნაწილი არაა სინამდვილე.

მართლაც, დამაფიქრებელია, გონის გარეშე, არაგონივრული სამყაროს ნაწილი – **მე** (ჩემი გონი) როგორ შეიძლება იყოს სინამდვილე?!

თუ ჭეშმარიტი ცოდნის მიღება შეუძლებელია, ხომ არ ვწირავთ საკუთარ თავს არაჭეშმარიტი ცოდნისთვის?

რად ფასობს ასეთი ცოდნა?

რაში გვჭირდება ის?

ჰეგელისთვის მიუღებელი იყო კანტის „უფსკრული" სუბიექტსა და ობიექტს („საგანი თავის თავში") შორის, „უფსკრული" – შემმეცნებელსა და შესამეცნებელს შორის.

გამოდის, რომ შემეცნებადაინტერესებული ადამიანი ან ამ უფსკრულის პირას ტკეპნის მიწას, ან ლაბირინთში შედის, საიდანაც არაა გამოსავალი. თითქოს შემეცნების მწვერვალისკენ მძლავრი შტურმი მთის ძირშივე მთავრდება. შესაბამისად, ჩვენი შემეცნების უნარის შემოსაზღვრულობას, სისუსტეს უნდა შევეგუოთ.

სწორედ ეს შემოსაზღრულობა აღმოჩნდა მიუღებელი ჰეგელისთვის. კანტის ფილოსოფიაში ჰეგელის მხრიდან დანახული სკეპტიციზმი და სუბიექტივიზმი ხდება კრიტიკის საგანი.

ჰეგელს უკვირს – როგორ შეიძლება გამოვიკვლიოთ ჩვენი შემეცნების უნარი შემეცნებამდე ან შემეცნების პროცესის გარეშე?

ასეთი სურვილი წყალში შესვლამდე ცურვის სწავლის მცდელობას ხომ არ ჰგავს?

ჰეგელი ცამდე მართალია. თუ კანტი „უფსკრულის" ერთ ნაპირზე შემეცნებას განიხილავს, მეორეზე კი შესამეცნებელი საგნის ჭეშმარიტებას, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ შემეცნება ჭეშმარიტების მიღმა აღმოჩნდება? – მსჯელობს აღშფოთებული ჰეგელი. ის ისეთი გაბრაზებულია, რომ ეთიკის ნორმებსაც კი სცდება – „ცხოველებიც კი არ არიან ისეთი სულელები, როგორც ეს მეტაფიზიკა, რადგან ისინი თავს ესხმიან გრძნობად საგნებს, შეიპყრობენ მათ და ჭამენ."

თუ კანტი შემეცნებისადმი უნდობლობას განიცდის, ჩვენც უნდობლობა ხომ არ გამოვაცხადოთ ამ „უნდობლობის" მიმართ?

ამ შემთხვევაში, დაბნეულობისადმი შიში თვით დაბნეულობა ხომ არაა?

ან ჭეშმარიტების წინაშე შიშს ხომ არა აქვს ადგილი?

ან ინტელექტუალური თვითმკვლელობისკენ მიმავალი გზა ხომ არაა?

ჩვენი აზრით, კაცობრიობას უხსოვარი დროიდან მოჰყვება ძველეგვიპტური მისტიკა, უდიადესის შემეცნების მცდელობის შიში, თვითდარწმუნება იმაში, რომ არსებობს უდიადესი ჭეშმარიტება, რომელიც მხოლოდ იზიდამ იცის და უბრალო მოკვდავი მას ვერასდროს შესწვდება.

დიახ, ეს აზრი ისეა გამჯდარი დამთრგუნველი უმრავლესობის გონებაში, რომ ყოველი მცდელობა ვინმეს გააგებინო, რომ სხვა ჭეშმარიტებაც არსებობს, უბრალოდ კრახით მთავრდება.

ასეთნი, რატომღაც უდიდესი თვითკმაყოფილებით, ნეტარებითა და სიამაყით აცხადებენ: – არსებობს უდიადესი ჭეშმარიტება, რომელსაც მე ვერასდროს შევწვდები.

ამ დამკვიდრებული მოსაზრებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ვერც კანტმა შეძლო.

შევეცადოთ, ამ ჩვენთვის დამთრგუნველ პრობლემას უფრო მკაცრად შევხედოთ.

ნუთუ მართლაც განწირულები ვართ?

ნუთუ შემეცნებისთვის აუცილებელი მექანიზმი – ჩვენი ლოგიკა უძლურია, შესწვდეს უმაღლეს ჭეშმარიტებას?

ლოგიკა აუცილებელი ინსტრუმენტია, რომელიც გვეხმარება დიდი რაოდენობის ინფორმაციაში ვიპოვოთ ის ფასეული, რაც გვჭირდება.

აზროვნების განვითარების ისტორიამ ნათლად დაგვანახა, რომ ადამიანთა უმრავლესობის აზროვნება ეფუძნება არისტოტელეს ე.წ. ფორმალურ ლოგიკას.

ჩანართი

მსოფლიო ისტორიით, ლიტერატურით, ხელოვნებით, არქიტექტურით,... ჩვენამდე მოღწეული უსაზღვრო ინფორმაციის გააზრება, ანალიზი, დასკვნების გამოტანა არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

და მართლაც, როცა ვცდილობთ, გავიაზროთ: ეგვიპტური ეპიტაფიები, პაპირუსის ჩანაწერები, ელინური კულტურა, შუმერების მიერ ფილებზე ჩაწერილი ინფორმაცია, ძველი ბერძნული ტრაგედიების არსი, ჩვენი წინაპრების სულიერი მდგომარეობა, როდესაც ჩვენი ხედვის კუთხიდან ვმსჯელობთ ოიდიპოს მეფეზე, ცეზარზე, ნერონსა და კალიგულაზე, ვარსქენისა და შუშანიკის დამოკიდებულებაზე, ჰამლეტის შინაგან არსზე, უკვე გადავდივართ ჩვენივე ილუზორულ სამყაროში და არა იმ რეალობაში, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ.

შესაბამისად, ჩვენი დასკვნები მსოფლიო ისტორიაზე დაყრდნობით შეიძლება ყალბი აღმოჩნდეს.

განხილვისას ჩვენ ხშირად გვავიწყდება, არ ვითვალისწინებთ იმას, რომ ისინი საკუთარ ცხოვრებას აანალიზებდნენ, საკუთარ კითხვებს სცემდნენ პასუხს და არა – ჩვენს კითხვებს.

მაგალითად, როცა ბერძენი პოეტი წერს: – გულო, შენ წინ აღიმართა უბედურების სასტიკი არმია, შეხვდი მათ მედგრად და ერთად ვეკვეთოთ მტერს. – ეს შინაგანი დიალოგი სულაც არ გახლავთ წმინდა ფსიქოლოგიური, წმინდა მეტაფორული, არამედ ეს არის რეალური, ფიზიკური კონტექსტით წარმოდგენილი დიალოგი. იმ დროს გული, სული ითვლებოდა ადამიანში მყოფ დამოუკიდებელ ცოცხალ არსებებად, რომელთანაც შეიძლებოდა და აუცილებელიც იყო საუბარი, მსჯელობა არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით.

ან წარმოიდგინეთ XXX საუკუნეში არქეოლოგიური გათხრის შედეგად აღმოჩენილი ფეისბუქზე დადებული ფრაზა – ჩემი გული ისეა სავსე შენი სიყვარულით, რომ სადაცაა ვნებისგან გული გამისკდება.

ცხადია, XXX საუკუნის ისტორიკოსი ამ ფრაზიდან დაასკვნის – XXI საუკუნის დასაწყისში ადამიანებს ეგონათ, რომ სიყვარული არის მოცულობითი მატერიალური ძალა, რომელიც ლოკალიზებულია გულში, როგორც სიცოცხლისთვის საშიში ფეთქებადი მასალა – წარმოიდგინეთ მისი შთაბეჭდილებები და დასკვნები,...

თუმცა, არის დროში უცვლელი, ადამიანთა ურთიერთობების განმსაზღვრელი ფასეულობები, გრძნობადი სისტემა, რომლის ღრმა ანალიზი შეგვიმსუბუქებს მსოფლიო ისტორიის აღქმას.

სწორედ ადამიანთა ურთიერთობების მუდმივ ფასეულობათა შეძლებისდაგვარად განსაზღვრას ემსახურება ეს ნაშრომი.

ამგვარად, მხოლოდ მუდმივ ფასეულობათა გააზრებითაა შესაძლებელი მსოფლიო ისტორიის, ძველი ცოდნის არაილუზორული აღქმა, რის გარეშეც ახალი ცოდნის დაგროვება უბრალოდ შეუძლებელია.

დავიმახსოვროთ ერთხელ და სკლეროზამდე – არ არსებობს ახალი ცოდნა, რომელიც ძველ ცოდნას არ ეყრდნობა.

ფორმალური ლოგიკა

ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული უმრალესობის აზროვნებას განკარგავს არისტოტელეს ლოგიკის სამი კანონი.

შეიძლება ვიღაცამ თქვას, მე არც კი გამიგია არისტოტელეს ლოგიკის კანონები და როგორ უნდა იყოს მასზე აშენებული ჩემი აზროვნება?!

დაგაწყნარებთ.

თქვენ შეიძლება არავითარი ლოგიკის კანონი არ გსმენიათ, მაგრამ გარწმუნებთ, ის, რასაც სკოლაში გასწავლიდნენ და ვინც გასწავლიდათ, არისტოტელეს ლოგიკის კანონებს ეყრდნობოდა.

არისტოტელეს ლოგიკის კანონებია:

1. იგივეობის კანონი: უნდა შეგვეძლოს გავაიგივოთ და განვასხვაოთ საგნები.

იგივეობის კანონი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: მოსაზრება რაღაც საგანზე, მოვლენაზე უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული და დარჩეს მუდმივი მასზე მსჯელობის პროცესისას. (A=A ან A არის A) ამ პირობის დაცვა, არაორაზროვნების მისაღწევად მკაცრი განსაზღვრულობის გარანტიას იძლევა.

2. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი: აზრი უნდა ვითარდებოდეს არაწინააღმდეგობრივად.

არისტოტელე ყველაზე არასადისკუსიო პრინციპად თვლიდა „წინააღმდეგობის კანონს", რომლის ფორმულირება მოგვცა თავის ნაშრომში „მეტაფიზიკა". „ორი ერთმანეთის გამომრიცხავი ცნება ერთდროულად ჭეშმარიტი ვერ იქნება", რაც გამოისახება: „მცდარია – A არის A და არა A".

ამ ფორმულირების შინაარსი კი ამგვარია: შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე საგანი, მოვლენა ერთსა და იმავე დროს იყოს და არც იყოს.

3. გამორიცხული მესამეს კანონი: ორ ურთიერთგამომრიცხავ მსჯელობაში ერთი ჭეშმარიტია, მეორე მცდარი და მესამე გამორიცხულია.

განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ არისტოტელეს გამორიცხული მესამეს კანონზე, რომლის არსი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: – ერთდროულად, ერთ საკითხზე, საგანზე გამოთქმულ ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებაში არ შეიძლება არსებობდეს ორი ჭეშმარიტება. ერთი შეხედვით, აქ რამეში ეჭვის შეტანა უადგილოა.

მაგალითად 1+1=2 და დისკუსია ამ საკითხზე თითქოს უაზრობაა.

მართლაც, ან არის, ან არ არის, მესამე გამორიცხულია.

ორ ურთიერთგამომრიცხავ მსჯელობაში 1+1 არის 2 და 1+1 არ არის 2, ერთი მსჯელობა ჭეშმარიტია, მეორე – მცდარი, მესამე გამორიცხულია.

ცხადია, ვინც იმის მტკიცებას შეეცდება, რომ 1+1=1 ან 1+1=3, არანორმალურის შთაბეჭდილებას დატოვებს. ეს მხოლოდ გაღიზიანებას გამოიწვევს და ჩვენ მას იდიოტად, მასონად ან ინტრიგანად ჩავთვლით და თუ საქმე რაიმე მნიშვნელოვანს ეხება, შეიძლება თავი ვეღარ შევიკავოთ და აგრესიაც გამოვავლინოთ.

მართლაც, ერთს მივუმატოთ ერთი ორია.

მორჩა და გათავდა!

ჩვენი გონება პროტესტს აცხადებს და დისკუსია უაზრობაა, რადგან აქ ყველაფერი ნათელი და გასაგებია.

არა, ღრმად პატივცემულო გონებავ!

რა საოცარიც უნდა იყოს, აქ შეიძლება გაგებულში უდიდეს გაუგებრობას, არამართებულ გაგებას წავაწყდეთ და აღმოვაჩინოთ უფრო მეტიც – საოცრება: შეიძლება, მართებულობა სწორედ გაუგებარში ვიპოვოთ.

რა თქმა უნდა, ცალსახად არ უნდა გავიგოთ, რომ 1+1=2 არამართებულია. უბრალოდ ის სრულად არ ასახავს ჭეშმარიტებას. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ალბათ სიტყვა მართებულობის მაგივრად სხვა ტერმინი უნდა ვიხმაროთ, მაგრამ ახალმა ტერმინმა შეიძლება უფრო გაართულოს ტექსტის გააზრება.

უფრო ნათლად: – თეოლოგიის ისტორიიდან ცნობილია, რომ როდესაც თეოლოგიურ მსჯელობებში მსგავს პრობლემას წააწყდნენ, მაშინ თომა აქვინელმა კონკრეტული ტერმინების შემოტანა სცადა და მის მიერ გამოყენებულმა სიტყვათა რაოდენობამ შემაძრწუნებელ, ძნელად დასაჯერებელ რიცხვს – 1300000-ს მიაღწია (სრულყოფილ ენებში სიტყვათა რაოდენობა დაახლოებით ნახევარ მილიონს შეადგენს). თუმცა, მართლაც ბევრი ტერმინი აქვს შემოტანილი აქვინელს, მაგრამ ეს ჩვენამდე მოღწეული ინფორმაცია მაინც ეჭვს ბადებს. ცხადია, მათი დამახსოვრება ურთულესი პრობლემაა. გამოსავალი ერთია – უნდა შევეცადოთ, სიტყვის არსი კონტექსტიდან გამომდინარე გავიგოთ.

ჩვენში გავრცელებული თვალსაზრისი, ერთ მოვლენასა თუ საგანზე გამოთქმული ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებიდან ერთი ჭეშმარიტია, მეორე – მცდარი, მესამე კი გამორიცხული, განვითარების შემაფერხებელია, რადგან სწორედ ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება ყოველგვარ სიახლეს, აღმოჩენას.

არისტოტელეს ლოგიკის დოგმად ქცევამ, ერთი მხრივ, რამდენი ბოროტება, სისხლი, კოცონზე დამწვარი, სახრჩობელაზე გაყვანილი, დახვრეტილი,... და მეორე მხრივ, რამდენი ცოდვილი ჯალათის შექმნა გამოიწვია, ვერავინ დათვლის.

საინტერესო ისაა, რომ ამგვარად ფორმულირებული ლოგიკის კანონები დისკომფორტს იწვევდა ამაღლებული აზროვნების ადამიანებში არისტოტელემდე, არსტოტელეს დროსაც და არისტოტელეს შემდეგაც. უფრო საინტერესო ისაა, რომ თვით არისტოტელე თავისივე ლოგიკის კანონის შეუსაბამო, მაგრამ ბრწყინვალე აზრს აფიქსირებს – ”მთელი შეიძლება უფრო მეტი იყოს, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი“ (გამოდის, რომ 1+1 შეიძლება იყოს სამი ან უფრო მეტიც).

წარმოიდგინეთ, რა საშინელ დღეში ჩავარდებოდა გენიოსი ფიზიკოსი ნილს ბორი, რომელიც საკუთარი აზრის დაცვას არაარისტოტელესეული, არაფორმალური ლოგიკით შეეცადა.

გავიხსენოთ მისი დიალოგი ოპონენტებთან, როდესაც საქმე ცივილიზაციის ურთულეს პრობლემას, ატომის აგებულებასა და გამოსხივებას შეეხო. იმდროინდელი ლოგიკის კანონის მიხედვით, ელექტრონს ატომის ბირთვის გარშემო დიდი ხნის განმავლობაში ვერ უნდა ებრუნა. ის ბირთვს უნდა დასცემოდა. ბორმა ”არისტოტელეს ლოგიკის” დარღვევა გაბედა და განაცხადა:

– ელექტრონს ბირთვზე დაცემა უნდა ავუკრძალოთ!

– რას ბრძანებთ? – აღშფოთდნენ ”ლოგიკით აღსავსე” ოპონენტები – როგორ თუ ავუკრძალოთ? ელექტრონსა და ბირთვს შორის ხომ მიზიდულობის ძალები მოქმედებენ?

– დიახ!

– აღიწერებიან თუ არა ისინი მაქსველის განტოლებებით?

– დიახ.

– განა ელექტრონისა და ბირთვის ყველა მახასიათებელი, თვისება ამ კანონით არ გამოითვლება?

– დიახ.

– მაშასადამე, ელექტრონის ატომში მოძრაობა ამ კანონს უნდა დაექვემდებაროს.

– არა!

– როგორ? თან ექვემდებარება და თან არა? მაქსველის კანონები ჭეშმარიტია და იმავდროულად არაა ჭეშმარიტი?

– დიახ!

დამეთანხმებით, რომ ასეთმა მსჯელობამ ყველაზე გაწონასწორებული ოპონენტიც კი შეიძლება კედლებზე გაიყვანოს.

ნილს ბორი ბოროტებას გადაურჩა. მის ”ალოგიკურობაში” ადამიანებმა ჭეშმარიტების შეცნობა შეძლეს.

რა ვუყოთ მეორე უდიდეს მეცნიერს – ლუდვიგ ბოლცმანს, რომლის განსხვავებული, არაფორმალური ლოგიკა მიუღებელი აღმოჩნდა მეცნიერთათვის, რამაც ბოლცმანი თვითმკვლელობამდე მიიყვანა?! აქ სიყვარულსა და მოთმინებას ბოროტებამ აჯობა.

ასეა ახლაც. ვერ ვითმენთ და ზიზღით ვუყურებთ ადამიანს, რომელიც ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ შეიძლება იყოს და არც იყოს...

ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ არაფორმალური ლოგიკა ამაღლებული აზროვნების მქონე ადამიანებს მშვენივრად ესმოდათ:

ჰერაკლიტე – ”ყველაფრის აზრი ურთიერთწინააღმდეგობაა”. ”ჩვენში ერთდროულად არსებობს ცოცხალი და მკვდარი, სიფხიზლე და ძილი, ახალგაზრდა და მოხუცი”.

ლაო ძი – „მსუბუქის არსია მძიმე”; ”მოძრაობის არსი – უძრაობა”. ”ჩემი სიტყვების გაგება და აღსრულება ადვილია, მაგრამ ხალხს არ ესმის და არ შეუძლია აღსრულება”. ”ვუყურებ მას (დაოს) და ვერ ვხედავ, ამიტომ ვეძახი მას უხილავს. ვუსმენ მას და არ მესმის, ამიტომ ვეძახი მას გაუგებარს, ვცდილობ ხელი მოვკიდო და ვერ ვკიდებ, ამიტომ ვეძახი – არაფერს”. ”მართალი სიტყვები ჰგავს მის საწინააღმდეგოს”.

ჩუან ძი – ”ერთი არის ერთი და ამავე დროს ერთი არ არის ერთი”.

შესაბამისად, არაფორმალური ლოგიკით, კვანტური აზროვნებით 1+1 შეიძლება იყოს ორიც, ერთიც და არაფერიც.

ჩუან ძი ამ დოგმას 1+1=2, ლამაზად, პოეზიით ანადგურებს. ის გეკითხებათ: – წვიმის ერთ წვეთს მეორე წვეთი რომ მივუმატოთ, რას მივიღებთ?

დიახ, მიიღებთ ისევ ერთ წვეთს. გამოდის რომ 1+1 შეიძლება იყოს ერთი.

დიახ! ელემენტარული ნაწილაკები ნაწილაკებიც არიან და ტალღებიც.

ჩვენი აზრით, ფორმალური ლოგიკა, რომლის მიხედვითაც „შეუძლებელია, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებები ერთდროულად ჭეშმარიტება იყოს,” შესაძლებელია, ჩვენთვის დამღუპველი აღმოჩნდეს.

სწორედ ამ „მისტიკის” წინაშე დაიხია კანტმა.

ბოლომდე ვერ დაანგრია არსებული შეხედულებები ფიხტემ.

ძნელია, ძალიან ძნელი დოგმათა მსხვრევა.

ძნელია იზიდას პირბადე ახადო.

ამ თამამ ნაბიჯს ჰეგელის გენია სჭირდებოდა.

ჩვენი აზრით, გონების გზა სიმამაცისა და უდრეკლობის გზა უნდა იყოს – რწმენის გზა, რომელსაც წინ ვერაფერი აღუდგება.

დიახ! ჰეგელის ლოგიკური მსჯელობის, ნათელი გონების წინაშე იზიდას ქანდაკებაზე ამოკვეთილი სიტყვები – „მე ვარ ის, რაც იყო, არის და იქნება, მოკვდავთაგან ვერავინ ამხდის საბურველს" – უბრალოდ ქრება.

ჰეგელმა არა მარტო ახადა საბურველი იზიდას, არამედ ისე გააშიშვლა, რომ ლელვის ფოთოლიც კი არ დაუტოვა.

რათა, დავადგნოთ არისტოტელეს ფორმალურ ლოგიკასა და ჰეგელის არაფორმალურ, დიალექტიკურ ლოგიკას შორის განსხვავება, ჰეგელის უნიკალურ აზროვნებაში შეძლებისდაგვარად ჩაღრმავება მოგვიწევს. ეს ჩაღრმავება დავიწყოთ „ცნებათა" ბუნების, არსის ჰეგელისეული გააზრებით.

ჩანართი

არსებობს ზნეობის, ესთეტიკის, ევოლუციის, რელიგიის, სიყვარულის, რწმენის, სიძულვილის, დაცემულის აღზევების,... და, რაც მთავარია, ზეშემოქმედების სამყარო, სადაც ფორმალური ლოგიკა უბრალოდ უძლურია.

და ეს მართებულია, რადგან ფორმალური ლოგიკით არაფრისგან რაღაცის, ყველაფრის შექმნა შეუძლებელია.

ფორმალური ლოგიკით ვერ იხსნება, თუ როგორ შეიძლება არსებობდეს ერი, ეთნოსი, სოციუმი დროსა და სივრცეში, რომელიც მზად არის აირჩიოს თავისი ბედის, ცხოვრების მმართველად ნებისმიერი სუბიექტი მხოლოდ ერთი პრინციპით – **ოღონდ ეს მოშორდეს და ვინც გინდა, ის მოვიდეს.**

ფორმალური ლოგიკით ვერ იხსნება, როგორ შეიძლება არსებობდეს სოციუმი, რომელსაც არ აინტერესებს საკუთარი მომავალი.

ფორმალური ლოგიკით ვერ იხსნება, როგორ შეიძლება არსებობდეს ერი, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ვერ შეძლო ადამიანის ღირსების საკადრისი საზოგადოების, სახელმწიფოს დამკვიდრება-განვითარება.

ამ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვან და მტკივნეულ კითხვებზე პასუხს ვერ იძლევა თავისივე სიჯიუტით დაობებული, სიმკაცრით, სიმძიმით შეზღუდული ფორმალური ლოგიკა.

ჩვენ კი გონებრივად დაქვეითებული სუბიექტის უაზრო ოცნებით, მომღიმარი სახით ვცდილობთ, ურთულესი პრობლემის ფორმალური ლოგიკით – სხვა ქვეყნების მიბაძვით, მათი პოლიტიკური მართვის სისტემების უნიჭო კოპირებით საოცნებო ცხოვრების დამკვიდრებას.

რატომ გვაქვს იმედი, რომ ჩვენი ცხოვრების ფორმალურ ალოგიკურობას ფორმალური ლოგიკით ავხსნით?

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს, ჩემი და შენი ალოგიკური ცხოვრება რეალობაა, მკაცრი რეალობა.

ცხადია, თუ ფორმალური ლოგიკა რაიმე პრობლემას ვერ ხსნის, ის ვერც მის გადაჭრას მოახერხებს.

შესაბამისად, ამ უაზრო რეალობას უნდა ჰქონდეს თავისი ლოგიკა.

უნდა არსებობდეს ყოვლისშემძლე, ყველა უაზრობის გამანადგურებელი ლოგიკა და ღვთის მადლით არსებობს ასეთი – ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკა.

ჰეგელის ცნება და უარყოფა

ჰეგელამდე ცნება განიხილებოდა როგორც სუბიექტური წარმონაქმნი. სხვა სიტყვებით, ეს არის ჩემი, სუბიექტის წარმოდგენა ობიექტზე, მაგ., ჭიქაზე, როგორც ცნებაზე და ეს წარმოდგენა ყველა ადამიანისთვის აღმოჩნდება განსხვავებული, სუბიექტური (ამ ცნებაში ერთი წარმოიდგენს ბროლის ჭიქას, მეორე – ფაიფურისას,...).

სუბიექტურ იდეალიზმში ცნება არსებობს ადამიანის გონებაში.

ჰეგელი კი ცნებას აიგივებს საგნის არსთან, რაც ნიშნავს ცნების არსებობას საგნის არსში, ჩვენგან დამოუკიდებლად, ობიექტურად.

თუ სუბიექტური ცნება ემთხვევა ობიექტურ ცნებას, მაშინ, ჰეგელის აზრით, ვიღებთ **აბსოლუტურ ცნებას**. ამ დროს გვაქვს სუბიექტისა და ობიექტის იგივეობა ცნებასთან მიმართებაში. სუბიექტი იხსნება ობიექტში.

დიახ, ეს ის იგივურობაა, ის გახსნაა, რომელიც ფიხტეს შემოქმედებაში ყოველთვის სასურველი იდეალია და მხოლოდ უსასრულობაში მიიღწევა.

გარდა ამისა, ჰეგელის ცნებას ახასიათებს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება: **ის თავიდანვე ურთიერთდაპირისპირებულთა, ურთიერთგამომრიცხავთა ერთობად წარმოგვიდგება.**

თავისთავად ცხადია, ეს ურთიერდაპირისპირება ჩადებულია ნებისმიერ ცნებაში. **სწორედ ეს, ურთიერთდაპირისპირებულთა ერთობა არის განვითარების, დიალექტიკის საფუძველი.**

ჰეგელი გვარწმუნებს, რომ **ურთიერთწინააღმდეგობაშია ჭეშმარიტება, ხოლო მისი არარსებობა არის შეცდომის, დაბნეულობის კრიტერიუმი.**

ჰეგელის დიალექტიკა იგივე ლოგიკაა.

როგორც აღვნიშნეთ, ჰეგელის ცნება საგნის არსს, შესაბამისად, საგნის იდეას წარმოადგენს.

ჰეგელის აზრით, ცნებები, იდეები მოძრაობენ, ურთიერთქმედებენ, უპირისპირდებიან ერთმანეთს და ეს პროცესი მიმდინარეობს ლოგიკურად, დიალექტიკური გზით.

ამ ურთიერთდაპირისპირებას ჰეგელი **უარყოფას** უწოდებს.

დიახ, მისი აზრით, ყოველგვარი განვითარება მიმდინარეობს განსაზღვრული სქემით: მტკიცებულება (თეზისი), ამ მტკიცებულების **უარყოფა** (ანტითეზისი) და ბოლოს **უარყოფის უარყოფა**, დაპირისპირების მოხსნა (სინთეზი). სინთეზით – დაპირისპირებულთა, თეზისისა და ანტითეზისის „შერიგებით", წარმოიქმნება ახალი ხარისხობრივი მდგომარეობა. არავის ეგონოს, რომ სინთეზისას თეზისი და ანტითეზისი ერთმანეთს ანადგურებენ.

არა.

ჰეგელისეული სინთეზისას თეზისიდან და ანტითეზისიდან ფასეულის ამორჩევა და შენახვა ხდება რაღაც ამაღლებულ, ჰარმონიზებულ ერთობაში.

ყოველი ცნება, ყოველი მოვლენა, რაც ხდება ბუნებაში, ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში გაივლის განვითარების ასეთ სამმაგ ციკლს – მტკიცება, უარყოფა და უარყოფის უარყოფა – ახალი მტკიცებულება, რომლის მიღწევის შემდეგ პროცესი მეორდება უფრო მაღალ დონეზე და ეს გრძელდება მანამ, სანამ არ მიიღწევა უმაღლესი სინთეზი.

ვიმეორებთ, ჰეგელის უარყოფა ეს ის უარყოფაა, როცა უარყოფილიდან ყველაფერი კარგი, სასარგებლო კი არ იკარგება, არამედ გადადის ახალში.

დიახ, შეუძლებელია ამაღლება დიალექტიკის გარეშე და ეს ჩვენზე კარგად ესმოდა ჰეგელს.

განვიხილოთ უარყოფა უფრო ნათლად.

თუ არსებობს ცნება „ნათელი", ის თავის თავში უნდა მოიცავდეს ცნება „ბნელს", რამდენადაც ცნება „ბნელის" გარეშე იკარგება ცნება „ნათელი". თავისთავად ცხადია, რომ ცნება „ნათელი" უპირისპირდება ცნება „ბნელს", „ნათელი" „უარყოფს" ბნელს, „ბნელი" – „ნათელს".

ასევე, ცნება „ჭკვიანი" არ გაჩნდებოდა, რომ არ ყოფილიყო მისი საპირისპირო ცნება „სულელი". ესეც დაპირისპირებული, ერთმანეთის უარმყოფელი ცნებებია.

ჰეგელის აზრით, სწორედ ეს დაპირისპირება, ეს უარყოფა არის ქმედების, მოძრაობის, განვითარების იმპულსი.

დაპირისპირებულის გარეშე ცნება „ჭკვიანი" შეზღუდული და ცალმხრივია.

მართლაც, როცა გვიმტკიცებენ, რომ რომელიმე სუბიექტი ჭკვიანია, ჩვენ აუცილებლად უნდა მოვითხოვოთ პასუხი კითხვაზე – ჭკვიანია? რა კრიტერიუმებით, ვისთან მიმართებაში? თუ ის ჭკვიანია ეძგვერაძე ბარნაბასთან მიმართებაში, შეიძლება „სულელი" აღმოჩნდეს აინშტაინთან მიმართებაში. სხვა შემთხვევაში ცნება „ჭკვიანი", როგორც აღვნიშნეთ, ცალმხრივი და შეზღუდულია.

ამრიგად, მხოლოდ შიგა დაპირისპირებით წარმოიქმნება განვითარების იმპულსი. ცნება „სულელი"-სა და ცნება „ჭკვიანი"-ს დაპირისპირებამ ჩემში განვითარების იმპულსი გამოიწვია, რადგან მისი სისულელის კრიტერიუმების დასადგენად აუცილებელია, აინშტაინის სიჭკვიანეში, მის შემოქმედებაში, ფარდობითობის თეორიაში გავერკვე, რაც თავისთავად ჩემს განვითარებას ნიშნავს.

შესაბამისად, ჰეგელი მართალია, რადგან ორი ცნების ურთიერთდაპირისპირება (სულელი – ჭკვიანი) განვითარების იმპულსი აღმოჩნდა.

აქედან გამომდინარე, თუ გვეუბნებიან, რომ რომელიმე პოლიტიკოსი არის ჭკვიანი, ცნება „ჭკვიანი" თავისთავად არაფერს მეუბნება, უნდა გავიხსენოთ, რომ ცალმხრივად აღებული ცნება „ჭკვიანი" შეზღუდული ცნებაა, ამიტომ ჩვენ უნდა ვიკითხოთ – რა კრიტერიუმებით, ვისთან მიმართებაშია ჭკვიანი აღნიშნული სუბიექტი?

დიახ, ვიკითხოთ, რატომაა ჭკვიანი? ნუ ვიქნებით შეზღუდულები,...

ზოგადი დასკვნა: ცნება თავის თავში მოიცავს მის საწინააღმდეგოს, დაპირისპირებულს.

ამ დაპირისპირებით ჩვენ განვსაზღვრავთ ცნებას (ჭკვიანი) რაღაც ამაღლებულ დონეზე.

ამაღლებულ დონეზე გააზრებულ ცნებასაც, ცხადია, ასევე აქვს მისი საწინააღმდეგო ცნება. ახალი დაპირისპირებით ვიაზრებთ ცნებას უფრო მაღალ დონეზე და ა. შ.

სანამ ცნება არ მიაღწევს მის სრულყოფილ განსაზღვრებას – აბსოლუტურ ცნებას, იდეას, მანამდე მისი განვითარების თითოეული საფეხური იძლევა ფარდობით, დაუმთავრებელ, არასრულ ჭეშმარიტებას.

სამწუხაროდ, ვერც კანტმა, ვერც ფიხტემ სწორედ ეს, ურთიერდაპირისპირებულობისა და მათი ერთობის კანონი აზროვნების, განვითარების მთავარ კანონად ვერ აქციეს. მათთვის ჭეშმარიტებად რჩებოდა არისტოტელეს იგივეობის კანონი (არაწინააღმდეგობრიობის კანონი), რაც, როგორც აღვნიშნეთ, გამოიხატება იმაში, რომ ერთ ცნებაში არ შეიძლება ვიგულისხმოთ ორი განსხვავებული, ურთიერთდაპირისპირებული რამ.

არისტოტელეს ლოგიკით გამოდის, რომ ჭკვიანი ჭკვიანია და იმავდროულად არ შეიძლება იყოს სულელი. თუმცა, ვიღაცასთან მიმართებაში ჭკვიანი შესაძლოა აბსოლუტურად სულელიც აღმოჩნდეს.

ჰეგელის დიალექტიკა დაიბადა მაშინ, როცა მან უარყო არისტოტელეს იგივეობის კანონი – **არ შეიძლება ერთდროულად იყოს A და არა A.**

ჰეგელის პრინციპით ცნება, იდეა თავიდანვე მოიცავს უარყოფას თავის თავში. დიახ, როგორც აღვნიშნეთ, ცნება „ჭკვიანი" თავის თავში უკვე მოიცავს მის საწინააღმდეგოს – „სისულელესაც".

ცხადია, ურთიერთდაპირისპირებულობა თავის თავში ასევე მოიცავს **უარყოფას**.

შევეცადოთ, შეძლებისდაგვარად გავერკვეთ ჰეგელის **უარყოფის** არსში.

ჰეგელის ცნება, იდეა, ლოგოსი – ესაა ნებისმიერი საგნის არსი.

ჰეგელის აზრით, მთელი სამყაროს საფუძველია აბსოლუტი – აბსოლუტური გონი, აბსოლუტური სული, აბსოლუტური იდეა. აბსოლუტმა შექმნა და განჭოლა სამყარო გონით (იდეით). თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, რომ აბსოლუტური გონის წვდომა მხოლოდ გონითაა შესაძლებელი.

როგორც აღვნიშნეთ, ჰეგელის ცნებები, იდეები ცვალებადია, "თვითმოძრავი". ცალკეული საგნის იდეა გადადის თავისსავე სხვა იდეაში.

კიდევ ერთხელ, ნებისმიერი ცნება, იდეა თავის თავში მოიცავს დაპირისპირებულობას, უარყოფას. სხვა სიტყვებით, იდეიდან იბადება ახალი იდეა. გამოდის, რომ იდეა თავის თავში თავის საწინააღმდეგო იდეას მოიცავს, ამიტომ ის შინაგანად წინააღმდეგობრივია, ურთიერთდაპირისპირებულია, ურთიერთუარმყოფელია. ცნება „ნათელი" ცნება „ბნელის" უარყოფაა. სწორედ ესაა ჰეგელის **დიალექტიკური უარყოფა**.

ერთი აზრი (თეზისი — აზრი, რომელიც არგუმენტირებულ მტკიცებას ითხოვს) მეორე, საწინააღმდეგო აზრს (ანტითეზისი) უპირისპირდება. ორი ურთიერთდაპირისპირებული აზრის შეჯერებას მივყავართ ამ ორი აზრის, იდეის სინთეზთან, შედარებით ამაღლებულ ახალ აზრთან, იდეასთან, თეზისთან. ამ ახალ თეზისს თავისი ანტითეზისი უჩნდება. შესაბამისად, შემდგომი სინთეზი და ა.შ.

ჰეგელი ამ აზრთა, იდეათა დაპირისპირებას უწოდებს დიალექტიკას.

თეზისი უპირისპირდება ანტითეზისს და შემდეგ ისინი შეერწყმიან ერთმანეთს ახალ ერთობაში.

აქედან მომდინარეობს **ჰეგელის ტრიადა.**

თეზისი — ანტითეზისი — სინთეზი.

იგივე პროცესი მიმდინარეობს ორ დაპირისპირებულ ადამიანს შორის საუბრისას, დისკუსიისას. ერთის მიერ გამოთქმულ აზრს (თეზისს) უპირისპირდება მეორეს განსხვავებული მოსაზრება (ანტითეზისი). თუ საუბარი ატარებს ჯანმრთელ ხასიათს, მაშინ ორივე ისწრაფვის, დაინახოს ყველა ის ფასეულობა, რაც მოიძებნება მოწინააღმდეგის აზრში, შეხედულებაში. ამ შემთხვევაში შესაძლებელია საერთო აზრთან, საერთო დასკვნასთან მისვლა (სინთეზი). ეს უკვე ამაღლებაა, რომელიც მოიცავს ამ ამაღლებული დონის შესაბამის ყველა შესაძლო მართებულობას და ფასეულობას. ლოგიკური პროცესის შემდგომი განვითარების მამოძრავებელი ძალა სწორედ ეს, აზრთა დაპირისპირებაა.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი აზროვნების, შემეცნების იდეალიზებული სქემა ჰეგელმა ასე ჩამოაყალიბა: **თეზისი — ანტითეზისი — სინთეზი**.

სინთეზი წარმოადგენს ცოდნის ახალ დონეს — განვითარებას.

განვითარების, **უარყოფის უარყოფის** ნათელი მაგალითია დათესილი ხორბლიდან ჯეჯილის წარმოქმნა. მარცვლიდან იზრდება ღერო. ღერო განსხვავებულია ხორბლის მარცვლისგან. თითქოს ღეროს აღარ უნდა, რომ იყოს ხორბლის მარცვალი. სხვა სიტყვებით, ღერომ **უარყო** მარცვალი (ესაა პირველი უარყოფა). შემდეგ ღერო იკეთებს თავთავს. თავთავი განსხვავებულია ღეროსგან. თავთავმა უარყო ღერო (მეორე — უარყოფის უარყოფა) და ამ მეორე უარყოფით შეიქმნა ახალი ხორბალი. აქ განვითარება სახეზეა — შეიქმნა ათეულობით მეტი ხორბალი.

გამოდის, რომ ორმაგი უარყოფა განვითარების აუცილებელი საფუძველია.

დიახ, სანამ არ უარყოფ არსებულ გარემოს და საკუთარ თავს (არ შეიცვლები), განვითარების პროცესი არ დაიწყება. თუ გვინდა, უკეთესობისკენ შევცვალოთ სამყარო, ეს ცვლილება საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ, რადგან ჩვენ იმ სამყაროს ნაწილი ვართ, რომლის შეცვლაც გვწადია.

არ შევიცვლებით ჩვენ — არ უარვყოფთ საკუთარ თავს, — არ შეიცვლება არაფერი.

ძნელია, ძალიან ძნელია არაფრის შეცვლით რაღაცის შეცვლა.

ჩანართი

როგორ გავიგოთ პიროვნებასთან მიმართებაში ორმაგი უარყოფა?

ჰეგელის სინთეზი, განვითარება განიხილება როგორც არსებულზე ხარისხობრივად ამაღლებული მდგომარეობა.

უკანასკნელი ოცი წელია, რაც ჩემ თვალწინ მიმდინარეობს სოციუმის და, შესაბამისად, ქვეყნის დეგრადაცია. თქვენ როგორ გაკადრებთ, მაგრამ ამ მოვლენებს მე აქტიურ წინააღმდეგობას ვერ ვუწევდი და ვერ ვუწევ.

ამ პროცესების მიმართ ჩემი უსუსურობის, პასიურობის საფუძვლად მივიჩნიოთ სიმხდალე. ჰეგელის ლოგიკით, ამაღლებისთვის საჭიროა საკუთარი არსის ორმაგი უარყოფა. ამ შემთხვევაში თეზისი არის ჩემი სიმხდალე. შესაბამისად, ანტითეზისად შეგვიძლია მივიჩნიოთ ვაჟკაცობა, გულადობა, სიმამაცე.

თეზისი (სიმხდალე) + ანტითეზისი (სიმამაცე) = სინთეზი (ამაღლება).

შესაბამისად, სანამ არ შევიცვლები მე, სანამ არ მოხდება სინთეზი, არ შეიცვლება გარემო.

როგორც აღვნიშნეთ, ჰეგელის სინთეზი ეს არის არა დაპირისპირებულთა ურთიერთგანადგურება, არამედ მათი დადებითი თვისებების გაერთიანება.

იბადება კითხვა: – რა დადებითი შეიძლება ჰქონდეს ცნება სიმხდალეს?

– ვიცი, რომ არ არსებობს აბსოლუტურად დადებითი ან აბსოლუტურად უარყოფითი ფენომენი. როგორც სიმამაცეში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ უარყოფითი (სამწუხაროდ, თავზეხელაღებული მამაცებით სავსეა სასაფლაოები), ასევე სიმხდალესაც რაღაც დადებითი ელემენტი უნდა გააჩნდეს.

მეტი სიცხადისთვის შეგახსენებთ სამხედრო მფრინავთა ისტორიულ ეპიზოდებს. სამხედრო პილოტი თითოეული საბრძოლო გაფრენის წინ საბუთებს და საყვარელი ადამიანების სურათებს უახლოეს მეგობარს უტოვებდა, რათა მისი სიკვდილთან თამაშის წაგების შემთხვევაში საბუთები და სურათები ახლობლებისთვის გადაეგზავნა.

ჩემს ბავშვობაში თუ რომელიმე ჩვენგანი „გაუგონარ სიმამაცეს" გამოიჩენდა, მასზე ვიტყოდით, პაკრიშკინის გული აქვსო.

პაკრიშკინი ალექსანდრე ივანეს ძე მეორე მსოფლიო ომის მფრინავი, ასი. მან შეასრულა 650 საბრძოლო გაფრენა, ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 59 თვითმფრინავი, რაც საბჭოთა პროპაგანდით, და ისედაც, გაუგონარ სიმამაცედ ითვლებოდა. მან დაიმსახურა საბჭოთა კავშირის სამგზის გმირობა, უმაღლესი ჯილდო – **ოქროს ვარსკვლავი**.

გერმანელებს ფიქსირებული საბრძოლო ორდენი არ გააჩნდათ. თუ ვინმე ჩაიდენდა საბრძოლო გმირობას, ენიჭებოდა **რაინდის რკინის ჯვარი;** უფრო ამაღლებული საბრძოლო გმირობისთვის ენიჭებოდა **რაინდის რკინის ჯვარი მუხის ფოთლებით;** შემდეგ – **რაინდის რკინის ჯვარი მუხის ფოთლებით და მახვილებით;** შემდეგ – **რაინდის რკინის ჯვარი მუხის ფოთლებით, მახვილებით და ბრილიანტებით;** შემდეგ – **რაინდის რკინის ჯვარი ოქროს მუხის ფოთლებით, მახვილებით და ბრილიანტებით.**

ბავშვობაში ჩვენ რა ვიცოდით, რომ მეორე მსოფლიო ომში გერმანელებსაც ჰყავდათ ასები, ერთ-ერთი მათგანი იყო **ერიხ ალფრედ ჰარტმანი.** მან შეასრულა 1525 საბრძოლო გაფრენა. ჩამოაგდო მტრის 352 (!) აქედან 345 საბჭოთა თვითმფრინავი. ის გახლავთ ორდენის – **რაინდის რკინის ჯვარი, მუხის ფოთლებით, მახვილებით და ბრილიანტებით** – კავალერი.

როდესაც ჰარტმანს ჰკითხეს, როგორ მიაღწია ასეთ საოცარ შედეგს, მან გაიხსენა თანამემამულე, პირველი მსოფლიო ომის ასთა შორის ასი **მანფრედ**

ფონ რიხტნგოფენი – ცნობილი მეტსახელით – **წითელი ბარონი** – ჩამოგდებული ჰყავს მოწინააღმეგის 80 თვითმფრინავი.

ერთხელ ახალგაზრდა ლეიტენანტი რიხტნგოფენი, როგორც გმირი, დაასწრეს სამხედრო თათბირს, რომელსაც გენერალი ხელმძღვანელობდა. სამხედრო პოზიციის ანალიზისას რიხტნგოფენმა გენერალს ბრძოლის ველიდან უკან დახევა ურჩია. განრისხებულმა გენერალმა ირონიულად ჰკითხა: – ეს თქვენ, გერმანიის გმირი, მტრის ათეულობით თვითმფრინავის გამანადგურებელი მირჩევთ სიმხდალეს, ლაჩრობას, ბრძოლის ველიდან გასვლას?! რიხტნგოფენმა წყნარად უპასუხა: – მე იმიტომ შევძელი გამენადგურებინა მტრის ათეულობით თვითმფრინავი, რომ უკანდახევა, ,,სიმხდალე'' შემიძლია.

– მეც იმიტომ შევძელი მოწინააღმდეგის ასეულობით თვითმფრინავის ჩამოგდება, რომ ალბათ **რიხტნგოფენზე** ორჯერ უფრო მხდალი ვარ – ღიმილით თქვა **ჰარტმანმა**. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰარტმანს ჩამოგდებული ჰყავს რეკორდული რაოდენობის 352 თვითმფრინავი.

ალბათ იკითხავთ: იყო კი ვინმე, ვისაც მიღებული აქვს **ერიხ ალფრედ ჰარტმანზე** მაღალი ჯილდო, **რაინდის რკინის ჯვარი, ოქროს მუხის ფოთლებით, მახვილებით და ბრილიანტებით**?

– დიახ, გერმანიის საჰაერო სამხედრო ძალების, ლუფტვაფეს კიდევ ერთ ასს – **ჰანს-ულრიხ რუდელს** განხორციელებული აქვს 2530 საბრძოლო გაფრენა. გაანადგურა მოწინააღმდეგის 2000 ერთეული საბრძოლო ტექნიკა, მათ შორის 519 ტანკი, 150 თვითმავალი ქვემეხი, 4 ჯავშანმატარებელი, ორი კრეისერი და ლინკორნი – ,,მარატი''.

აი, ის იყო თუ იყო ,,მხდალი''. სწორედ ეს ,,მხდალი'' იყო უმაღლესი ორდენის ერთადერთი კავალერი – **რაინდის რკინის ჯვრის, ოქროს მუხის ფოთლებით, მახვილებით და ბრილიანტებით.**

სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანები ემსახურებოდნენ ბოლშევიზმსა და ნაციზმს.

ოდნავი დაფიქრებაა საჭირო, რათა მივხვდეთ, რომ უმაღლესი პროფესიონალიზმი, ამაღლებული ინტელექტი, რუტინული შრომაა და არა გმირობა.

ბედნიერია ის ერი, რომელსაც გმირი არ სჭირდება!

კონკრეტული და აბსტრაქტული

თუ სოკრატესა და პლატონისთვის დიალექტიკა ფილოსოფიური დისკუსიის ხელოვნებაა, ჰეგელისთვის დიალექტიკით იხვეწება და ვითარდება იდეა.

ვიმეორებთ, ჰეგელის დიალექტიკა იდეებიდან ახალი იდეის დაბადებაა.

თავის მხრივ, ახალი იდეების დაბადება-განვითარება ის აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია ადამიანის, საზოგადოების საკადრისი ცხოვრების დამკვიდრება.

ხშირად გვეუბნებიან, ნუ გაგვიჭირეთ საქმე თქვენი სოკრატეებით, ჰეგელებით, რაღაც ,,იდეებით სულში'', ,,სულის ფილოსოფიებით'', უთავბოლო, ზოგადი, აბსტრაქტული მსჯელობებით. ჩვენ თქვენზე ჭკვიანები

ვართ, ამიტომ გვითხარით, კონკრეტულად რაშია თქვენი თეორიის არსი და ჩვენც გავიგებთ!

ერთი მხრივ, მოთხოვნა გასაგებია, მაგრამ მეორე მხრივ, არც ისე მარტივია იმისი შესრულება, რასაც ჩვენზე „ჭკვიანები" გვთხოვენ.

ჩვენს განმარტებაზე, რომ რთული ამოცანის მარტივი ამოხსნა არ არსებობს, ისინი ირონიულად გვპასუხობენ: – ალბათ რაღაც სისულელეა ეს თქვენი თეორია, თორემ ყველაფერი გენიალური მარტივად გამოითქმის.

– **„ყველაფერი გენიალური მარტივად გამოითქმის"** – არ ვიცი, საიდან გაჩნდა ეს მართლაც გენიალურად იდიოტური ფრაზა, რომელიც ჩვენი დამთრგუნველი უმრავლესობის, „ჭკვიანთა" შემეცნების საფუძვლად იქცა.

სწორედ კონკრეტულის მოთხოვნა აბსტრაქტულის გააზრების გარეშე და პირიქით, არის ის ფუნდამენტი, რაზედაც აშენდა ყველა ჩვენი უბედურება.

იმეორებენ: – არ გვაინტერესებს ზოგადი, აბსტრაქტული ცნებები: მეგობრობა, სიყვარული, ერი, საზოგადოება, სახელმწიფო და მინდა მყავდეს კონკრეტული მეგობარი, მინდა მიყვარდეს, მინდა ისეთი სახელმწიფო, სადაც ყველა სურვილს ავისრულებ და ნუ შემაწუხეთ რაღაც აბსტრაქტული, გაუგებარი იდეებით და ცნებებით.

მათ არ იციან, ჩვენ კი გვავიწყდება, რომ **ინტელექტი აბსტრაქტულიდან კონკრეტულის და კონკრეტულიდან აბსტრაქტულის გააზრებით საგნის, მოვლენის, იდეის არსის წვდომის სურვილი და უნარია.**

და თუ არ გვაქვს სურვილი, უნარი ჩავწვდეთ საგნის, მოვლენის არსს, იწყება ჩვენი ტრაგედია, რადგან:

არ გაგვიაზრებია მეგობრობის იდეა, არსი და ვცდილობთ ვიმეგობროთ.

არ დავფიქრებულვართ სიყვარულის არსზე და ვცდილობთ შევიყვაროთ.

არ გვაინტერესებს საზოგადოების საფუძველი, იდეა, არსი და ვაშენებთ საზოგადოებას.

არ გვაინტერესებს სახელმწიფოს იდეა და ვცდილობთ შევქმნათ სახელმწიფო.

არ გვესმის ქართველობის იდეა, არსი და ვქართველობთ.

და გვავიწყდება, რომ სამშობლოს მხოლოდ ჩვენი განათლებული და ზნეობრივი ქმედება გადაარჩენს!

თუ ამას ვერ ვხვდებით, მაშინ არც განათლებულნი ვართ და არც – ქრისტიანები.

როგორ შევწვდე მე, სუბიექტი ობიექტს – საგნის, მოვლენის არსს, იდეას?

იდეის არსის წვდომა არც ისე მარტივია, როგორც მოუმწიფებელ გონებას, მხოლოდ კონკრეტულის, მარტივის მაძიებელ სოციუმს ჰგონია.

გგონიათ, რომ პიკასოს გენიალური შემოქმედების გააზრება მარტივია?

– ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით.

პირველივე წინააღმდეგობას თქვენ მის სახელში წააწყდებით.

გგონიათ მას მარტივად პიკასო ჰქვია?

– არა.

მისი სახელია – პაბლო დიეგო ხოსე ფრანსისკო დე პაულა ხუან ნეპომუსენო მარია დე ლოს რემედიოს კიპრიანო დე ლა სანტისიმა ტრინიდად მარტირ პატრისიო კლიტო რუიზ პიკასო.

ეს ისე, ხუმრობით

მართლაც, ყველაფერი გენიალური მარტივია, ეს შეიძლება მხოლოდ ამებამ თქვას.

თუ ძალიან გინდათ, გეტყვით, როგორ არ გეტყვით, სამყაროს შემეცნების, კვანტური ფიზიკის, ახალი აზროვნების, უახლესი ტექნოლოგიების, ეკონომიკის განვითარების უმძლავრესი საფუძველი გამოსახულია ისეთი კონკრეტულობით, რომლის მსგავსზე ვერც ერთი ჩვენი პოლიტიკოსი ვერ იოცნებებს. ეს უმარტივესი გამოსახულება, უსასრულო სამყაროს აგებულების საიდუმლოს გასაღები, ბედნიერი, თანამედროვე ცხოვრების უმძლავრესი საყრდენი – შრედინგერის განტოლება – ასე ჩაიწერება:

$$i\hbar\frac{\partial}{\partial t}\Psi = \hat{H}\Psi$$

გინახავთ ამაზე მარტივი, ამაზე კონკრეტული?

მაგრამ, ამ განტოლებაში რაღაც Ψ ფუნქციის გასაგებად 18 წელია საჭირო. ეს ერთი შეხედვით მარტივი, კონკრეტული გამოსახულება, რაღა დაგიმალოთ და, თურმე თავის არსში მთელი სამყაროს ზოგად საფუძველს მოიცავს.

კონკრეტულის მაძიებელთ და წამიერი მიღწევის მოტრფიალეებს კი შევახსენებთ, რომ

ვინც წუთიერი გამარჯვებისთვის იბრძვის, წუთიერ დუმილამდე მივა.

მართლაც, რაა კონკრეტული, რით განსხვავდება ის ზოგადისგან, აბსტრაქტულისგან?

მივყვეთ ჰეგელის მსჯელობას.

აბსტრაქტული, ესაა თეორიული, მეტაფიზიკური აზროვნება.

კონკრეტული კი რაღაც ნათლად გამოსახული მაგალითის მოყვანას ნიშნავს, რომელსაც შეიძლება ხელით შეეხო, თითებზე ჩამოთვალო ან თითი ატაკო და გვეჩვენება, რომ იმაზე კონკრეტული რა უნდა იყოს, თუ ვიტყვით – **„აქ", „ახლა", „ეს".**

ჩვენ კონკრეტულის მოთხოვნით ბავშვივით ვიქცევით. მართლაც, როცა ბავშვს მრავალი სათამაშოდან რომელიმე კონკრეტული აინტერესებს, ის თითს იშვერს და ამბობს – **„ეს"** მინდა. მისთვის საინტერესო საგნებიდან ნებისმიერი – ქაღალდის ნაგლეჯი, შოკოლადი, სათამაშო, ვაშლი – ასევე „ეს" არის.

გამოდის, რომ „კონკრეტული" სიტყვა **„ეს"** ყოველგვარ კონკრეტულობას მოკლებულია. ამრიგად, როცა ბავშვურად რაიმე კონკრეტულის ახსნას გვთხოვენ, ვერ ხვდებიან, რომ ამ მოთხოვნით აბსტრაქტულს ითხოვენ, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, **„ეს"** შეიძლება სათამაშოც იყოს, ქაღალდიც,

შოკოლადიც,... და აქ ადამიანი ხვდები, რომ საკმარისია დაფიქრდე კონკრეტულზე და აუცილებლად აბსტრაქტული ამოტივტივდება.

მართლაც, აღვწეროთ კონკრეტული **„ეს"** – ქაღალდი, მთელი მრავალფეროვნებით. ქაღალდის მისაღებად ბუნების დაცვის დეპარტამენტიდან ხის მოჭრის ნებართვის აღებაა საჭირო. შემდეგ, მიუხედავად ნებართვის ფლობისა, ხის მოჭრის შემთხვევაში, თუ არ დაგიჭირეს, მოჭრილი ხე ქარხანაში მიგაქვთ, სადაც მერქანს ასუფთავებენ ქერქისგან. შემდეგ მიმდინარეობს მერქნის გარკვეული ნაწილის რთული ტექნოლოგიური პროცესით დამუშავება-დაქუცმაცება და გარკვეული დოზით სახამებლით შეზავება... თვით სახამებელი კი, რა გასაკვირიც უნდა იყოს, კარტოფილისგან მზადდება. იტყვით, ქაღალდის სამშობლო ჩინეთია და ნეტავ რისგან იღებდნენ სახამებელს? იქ ხომ იმ დროს კარტოფილი არ იყო?! – მოგახსენებთ, ბრინჯისგან...

ნეტავ გუტენბერგი მასალებს რა ტექნოლოგიით ამზადებდა (თუ ყიდულობდა), როცა პირველ ბიბლიას ბეჭდავდა?...

როგორც ხედავთ, სანამ ქაღალდის წარმოშობისა და გამოყენების ისტორიას გაგაცნობთ, იმდენი დრო გავა, რომ ან „ეს ქაღალდი" დაიშლება, დალპება, ან თქვენ ამოგეწურებათ მოთმინება. გამოდის, რომ **„აქ", „ახლა", „ეს",** არც მეტი, არც ნაკლები, აბსტრაქტული განსაზღვრებებია. ის ყველაფერს და, შესაბამისად, არაფერს ასახავს.

დიახ, **„ეს"** ისეთი ცნებატევადი სიტყვაა, რომ უკვე არაფერია.

გამოდის, რომ ნებისმიერი საგნის აღმნიშვნელი სიტყვა, ცნება, აბსტრაქციაა.

დავიმახსოვროთ, სიტყვა **კონკრეტული** ნაწარმოებია ლათინური სიტყვიდან და ქართულად შერწყმას ნიშნავს. კონკრეტული გონებაში იმიტომ ჩნდება, რომ ხდება აბსტრაქტულ განსაზღვრებასთან მისი შერწყმა და ეს შერწყმა მრავალფეროვნების ერთობას ქმნის.

კიდევ ერთხელ, კონკრეტულის მოთხოვნით ჩვენ აბსტრაქტულს ვითხოვთ და პირიქით, აბსტრაქტულის მოთხოვნა კონკრეტულის გარკვევასაც ნიშნავს.

დავიმახსოვროთ ერთხელ და სამუდამოდ, მხოლოდ კონკრეტულის ან მხოლოდ აბსტრაქრულის მოთხოვნა შეზღუდული ცნებების მოთხოვნას ნიშნავს.

დასკვნის სახით: რათა გავერკვეთ, როგორ მიმდინარეობს აბსტრაქტულიდან კონკრეტულისკენ სვლა, ჰეგელის დიალექტიკაში კიდევ უფრო მეტი ჩაღრმავება მოგვიწევს.

ჰეგელი აყალიბებს დიალექტიკის სამ კანონს:

– დაპირისპირებულთა ერთიანობისა და „ბრძოლის" კანონი.

– რაოდენობის ცვლილებისას თვისობრივში გადასვლის (და პირიქით) კანონი.

– უარყოფის უარყოფის კანონი, რომელიც ჩვენ შეძლებისდაგვარად განვიხილეთ.

ასევე, შევეხეთ ურთიერდაპირისპირებულთა ერთობის კანონს: თეზისი – ანტითეზისი, ნათელი – ბნელი, აბსტრაქტული – კონკრეტული.

გზა, რომლითაც ჩვენი გონება გარემომცველ სამყაროს, საგანს მთელი თავისი მრავალფეროვნებით, სისრულით აღიქვამს, არის აბსტრაქტულიდან კონკრეტულამდე სვლა.

ჩვენმა გონებამ უნდა შეძლოს, დაინახოს, გამოამჟღავნოს ურთიერთსაწინააღმდეგო.

– რა, შემოსაზღვრულში განა უსაზღვრო არ არის?

– განა შემთხვევითობაში აუცილებლობას ვერ აღმოვაჩენთ?

– განა ცვლილება სიმშვიდის სიდიადეს არ მოიცავს? – თვით სიმშვიდე ხომ მოძრაობითაა დაორსულებული.

– რა, ბნელი არ გადადის ნათელში, სიცოცხლე – სიკვდილში, სიკვდილი – სიცოცხლეში? – სწორედ ეს ურთიერთგადასვლაა პროცესი, სიცოცხლე.

დიახ, ერთი გადადის მეორეში, მეორე – პირველში და ეს „შინაგანი კავშირი" პროცესს ქმნის. ურთიერთსაწინააღმდეგოთა ერთობა, მაგ., „+" და „–" ნათურაში ქმნის სინათლეს. ამ გზით გონება ბუნებაში შეიცნობს, შელინგის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გაქვავებულ ინტელექტს".

მართლაც, განვიხილოთ უჯრედის განაყოფიერება. განაყოფიერებული უჯრედი ორ უჯრედად იყოფა. განაყოფები კვლავ იყოფიან,... და იქმნება ორგანიზმი, სხეული. რა მოუვიდა საწყის უჯრედს? გაქრა? – არა, ის სხეულშია, მისი ნაწილია.

ასევე, შემეცნება იწყება საწყისი „უჯრედიდან" – აბსტრაქტულიდან, რომელიც თავის თავში პოტენციურად, როგორც შესაძლებლობას, კონკრეტულის სრულ მრავალფეროვნებას მოიცავს.

ჩანასახში ადამიანი არ არსებობს და იმავდროულად არსებობს.

ე.ი. ზოგადად, ჩანასახში გაერთიანებულია ყოფიერი და არაყოფიერი.

ესაა ურთიერთდაპირისპირებულთა – არაფრის და რაღაცის ერთობა.

არაფერი მოიცავს რაღაცის შესაძლებლობას.

დიახ, აბსტრაქტული მოიცავს კონკრეტულს, როგორც შესაძლებლობას.

თუ თქვენთვის ზემოაღნიშნული მსჯელობა მისაღებია, მაშინ დისკუსიას არ უნდა ექვემდებარებოდეს ისეთი ურთიერთდაპირისპირებული ცნებების ურთიერთგადასვლა, როგორიცაა რაოდენობა და თვისება.

აქ გასახსენებელია ბ-ნი ფრიდრიხ ენგელსის მიერ მოყვანილი მაგალითი, რომელიც მთელი სისრულით ვერ ასახავს ჰეგელის დიალექტიკის რაოდენობის თვისებაში გადასვლის კანონს, მაგრამ ამ საინტერესო საკითხის ზედაპირულ გააზრებაში დაგვეხმარება.

ენგელსი იხილავს ეგვიპტეში ნაპოლეონის სამხედრო ექსპანსიას, როდესაც ნაპოლეონის არმიას მამლუქთა არმია დაუპირისპირდა.

ნებისმიერი, ცალკე აღებული მამლუქი სიმამაცით, იარაღის ვირტუოზული ფლობით და მხედრული ნიჭით გამოირჩეოდა. ერთ მამლუქს ნაპოლეონის ათი ჯარისკაცის განადგურება შეეძლო. ასი მამლუქისა და ნაპოლეონის ასი

ჯარისკაცის დაპირისპირებისას გამარჯვებულის წინასწარ განსაზღვრა უკვე რთული იყო. ნაპოლეონის ათას დისციპლინირებულ ჯარისკაცს ათი ათასი მამლუქის განადგურება შეეძლო (და შეძლო კიდეც).

ამ ისტორიულ მაგალითში ნათლად ჩანს, რომ ორივე შემთხვევაში რაოდენობის ცვლილება იწვევს თვისების ცვლილებას. დიახ, რაოდენობა გადადის თვისებაში.

აქედან გასაგებია, რომ ჰეგელი წინააღმდეგია იმისა, რომ თვისება და რაოდენობა ორ დამოუკიდებელ განსაზღვრებად გამოვაცხადოთ. ჰეგელისთვის თვისება გადადის რაოდენობაში და პირიქით.

ასე იშლება ჰეგელის ფილოსოფიური სისტემა.

„არაფრისგან, არაფრის გავლით, არაფრისკენ".

ჩვენ კი ვიტყოდით: **შესაძლებლობიდან, შესაძლებლობის გავლით, შესაძლებლობისკენ.**

ჰეგელის ფილოსოფიაში მნიშვნელოვანია არა შედეგი, არამედ შედეგის მიღწევის პროცესი. ესაა აზროვნების მეთოდი, რომლის გარეშე ვერავითარ მწვერვალს ვერ დავიპყრობთ.

ჰეგელის აზრით, საზოგადოების, სახელმწიფოს სამართლებრივმა, ესთეტიკურმა, რელიგიურმა, ფილოსოფიურმა იდეებმა ისტორიული განვითარების გრძელი გზა გაიარა. ამ გზაზე სუბიექტსა და ობიექტს შორის დაპირისპირება არსებობს. ეს დაპირისპირება მხოლოდ თანმიმდევრული განვითარებით, დიალექტიკით მოიხსნება, რომლის დროსაც ინდივიდუალური ცნობიერება იმ გზის ყველა ეტაპს გაივლის, რომელიც კაცობრიობამ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე გაიარა. ამ პროცესით ადამიანის ცნობიერი უახლოვდება აბსოლუტს.

იბადება კითხვა: – შეუძლია თუ არა ადამიანის გონებას დაიტიოს კაცობრიობის ისტორიაში დაგროვილი ინფორმაცია?

ჩანართი

ჰეგელის რაოდენობის თვისებაში გადასვლა სისტემის ისეთ ურთიერთდამოკიდებულებას გამოსახავს, რომლის დროსაც რაოდენობრივ ცვლილებას, გარკვეულ ეტაპზე, მივყავართ თვისების ცვლილებასთან. ეს ახალი თვისება შემდგომ რაოდენობრივი ცვლილების ახალ შესაძლებლობას ბადებს.

თვით სახელწოდება „**რაოდენობის თვისებაში გადასვლა**" მოითხოვს ღრმა დაფიქრებას.

ჯერ კიდევ ანტიკურმა ფილოსოფიამ რაოდენობრივი ცვლილებისას თვისობრივი ცვალებადობის მრავალი ფაქტი წარმოადგინა.

ჰეგელის რაოდენობის თვისებაში გადასვლის დიალექტიკის კანონში მთავარი ისაა, რომ აქ უპირველესია ცნებათა გადასვლა.

ცნება – **თვისება** გადადის ცნება – **რაოდენობაში** და პირიქით.

თუ ვინმე მოინდომებს ეს კანონი მატერიალურ სამყაროში პრიმიტიული პირდაპირობით გადაიტანოს, მივა უბრალო სისულელესთან – 100 000 დოლარი გადადის იურისტის სადოქტორო ხარისხში, ან პოპულარული ვოკალისტის, მომღერლის თვისება გადადის დეპუტატის მაღალ ხელფასში.

კანონი – რაოდენობის თვისებაში გადასვლა – ატარებს ერთადერთ რაციონალურ აზრს – რაოდენობრივი ცვლილებისას ერთი ხარისხობრივი მდგომარეობა გადადის მეორეში.

ჩვენ მოგვიწევს შეთანხმება, თუ რა განსხვავებაა დიალექტიკას, დისპუტსა და დისკურსს შორის.

როგორც მოგეხსენებათ, ძენონისა და სოკრატეს დიალექტიკა ეს არის ფილოსოფიური დიალოგის აზრთა დაპირისპირებით ჭეშმარიტების დადგენის ხელოვნება.

შესაბამისად, დიალექტიკის არსი არის განსხვავებული აზრების იმ ერთ აზრამდე დაყვანა, რაზედაც მოხდება შეთანხმება და მოიხსნება წინააღმდეგობა.

თუ საუბარი, დიალოგი მიმდინარეობს საჯაროდ, მაშინ გვაქვს დისპუტი.

დისპუტისაგან განსხვავებით დიალექტიკა მოითხოვს ფილოსოფიურ დახვეწილ აზროვნებას და განსაზღვრულ მეთოდებს.

დღეს ცდილობენ სიტყვა დიალექტიკა შეცვალონ სიტვა „დისკურსით". ამ სიტყვაში არსობრივად ისეთივე შინაარსი დევს, რაც დიალექტიკაში. დისკურსში იგულისხმება ფილოსოფიურად და მეცნიერულად დასაბუთებული მსჯელობით ახალი ცოდნის მიღების პროცესი.

ცნობიერი და ქვეცნობიერი

ჩვენ წინაშეა უმთავრესი ამოცანა, როგორ შესწვდეს ჩემი ცნობიერი აბსოლუტურ **მე-ს,** აბსოლუტურ **გონს.**

როგორც აღვნიშნეთ, აბსოლუტური **მე,** აბსოლუტური **გონი,** აბსოლუტური **ცნობიერება,** სოლიფსიზმის განმარტებიდან გამომდინარე, ის მენტალური არეალია, რომელიც თავის თავში მოიცავს სრულ ინფორმაციას ამ სამყაროზე, მის კანონზომიერებაზე, როგორც საკუთარი აზროვნების პროდუქტზე. აბსოლუტური **მე** არის აბსოლუტური თავისუფლება და აბსოლუტური შემოქმედება.

ვიმეორებთ, ჰეგელის აზრით, ინდივიდუალური ცნობიერება გაივლის იმ გზის ყველა ეტაპს, რაც კაცობრიობამ გაიარა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე.

რა არის კაცობრიობის ისტორია? – ესაა ხელოვნების, მეცნიერების, ფილოსოფიის,... ისტორია.

მართლაც საკითხავია, რამდენად მიღწევადია ჩვენი ცნობიერებისთვის ეს უსაზღვრო ინფორმაცია, რათა აღვიქვათ ის გონივრულობა, კანონზომიერება, თავისუფლება, შემოქმედება, რაც კაცობრიობის ისტორიის შემადგენელი ნაწილია.

შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურული მიმოხილვის თანახმად, ტვინში არსებული ნეირონების რაოდენობა 10-14 მილიარდიდან 200 მილიარდამდე მერყეობს. სანამ ამ დარგში მოღვაწე მეცნიერები შეთანხმდებიან და დააზუსტებენ ტვინში არსებულ ნეირონთა რიცხვს, მანამდე ჩვენი არჩევანის

თავისუფლების ხარისხი დიდია. წავახალისოთ საკუთარი თავი და ავირჩიოთ მაქსიმალური.

– შესძენს კი ნეირონების ეს რაოდენობა ტვინს ისეთ ინფორმაციულ ტევადობას, რომელიც კაცობრიობის მიერ დაგროვებულ მთელ ინფორმაციას დაიტევს?

როგორც ამბობენ, საშუალოდ ადამიანი ამ 10 – 200 მილიარდიანი ნეირონების მასის მხოლოდ 3–5%-ს იყენებს, 95% ჯერ კიდევ გამოუყენებელია, რეზერვია. რის იმედს იძლევა ეს 95%?

სამეცნიერო კვლევების თანახმად დადგენილია, რომ თავდაპირველად ბიოლოგიური ორგანიზმების გენეტიკურ მასალაში არსებული ინფორმაცია ჭარბობდა ტვინში არსებულ ინფორმაციას. 100 მილიონი წლის წინ, ევოლუციური თვალსაზრისით, მოხდა უდიდესი ნახტომი და ტვინში არსებულმა ინფორმაციამ გენებში არსებულ ინფორმაციას გადააჭარბა.

ევოლუციის შემდეგი ორი ნახტომი იყო ძუძუმწოვრებისა და ადამიანის მსგავსი პრიმატების წარმოშობა. აქ უკვე სახეზეა ტვინში არსებული ინფორმაციის აშკარა უპირატესობა გენეტიკურ ინფორმაციასთან.

ადამიანს ახასიათებს ისეთი ფუნდამენტური პარამეტრები, როგორიცაა სიცოცხლისკენ სწრაფვა, მიზანი, ნებისყოფა, მახსოვრობა, ყურადღება, მეტყველება, აბსტრაქტული აზროვნება,... ეს ყველაფერი ეყრდნობა იმ ინფორმაციას, რაც განთავსებულია ტვინში და გენეტიკურ მასალაში. სხვა სიტყვებით, ადამიანი ის ფენომენია, რომელსაც შეუძლია აღიქვას, დაიმახსოვროს, გადაამუშაოს და საჭირო დროს ამოიღოს, გამოიყენოს ინფორმაცია.

ტვინი ის უნიკალური მექანიზმია – მთავარი ქვესისტემა, რომელიც მართავს იმ ურთულეს სისტემას, რასაც ადამიანი ეწოდება.

ამ მექანიზმს გააჩნია მართვის ორი ფორმა – **ცნობიერი** და **ქვეცნობიერი.**

როგორც აღვნიშნეთ, ცნობიერის გათიშვის (ძილის, გონების დაკარგვის) შემთხვევაში ტვინი მაინც მართავს გულის, ნივთიერებათა ცვლის,... პროცესებსა და ელემენტარულ ფსიქიკურ აქტებს. სხვა სიტყვებით, ამ შემთხვევაში მუშაობს არაცნობიერი. არაცნობიერი ფუნქციონირებს ძილისა და არაკონტროლირებადი პარაფსიქიკური პროცესების დროსაც. ასევეა ფობიების, პარანოიდული მანიის დროს.

როდესაც ცნობიერი დაქვეითებულია, ხდება კოლექტიურ ქვეცნობიერში არსებული უფორმო და უშინაარსო არქეტიპების ჯერ ემპირიული **მე**-ს ქვეცნობიერში, ხოლო შემდეგ ემპირიულ **მე**-ში შინარსიით და ფორმით წარმოდგენა. კოლექტიური ქვეცნობიერი ის არეალია, სადაც მიმდინარეობს ფსიქიკური კონტაქტები ადამიანთა შორის. ფაქტობრივად, ადამიანი ჩაძირულია ადამიანთა ფსიქიკის ოკეანეში.

აქედან უკვე კარგად ჩანს განსხვავება **მე**-სა და **ეგოს** შორის. თუ ჩავთვლით, რომ **მე** არის ცნობიერი, რომელსაც ხელეწიფება შეგრძნებების, სურვილების, წარმოსახვის და აზრების უწყვეტი ნაკადის ანალიზი და

შეფასება, მაშინ **ეგო** არის ის მდგომარეობა, როდესაც მასში ცნობიერი, **მე** მინიმუმადე დადის ან საერთოდ ტოვებს ადამიანს. ამ შემთხვევაში პირველ პლანზე გამოდის კოლექტიური ქვეცნობიერიდან პიროვნულ ქვეცნობიერში გადმოსული არქეტიპები.

მე-ს გარეშე ადამიანი არის გაშიშვლებული კომპლექსების, ფობიების ჭურჭელი.

დავუბრუნდეთ ამოცანას – რა გონივრული პოტენციალი აქვს, რა რაოდენობის ინფორმაცია შეიძლება დაიტიოს ადამიანის ტვინმა და საკმარისია თუ არა ეს ინფორმაცია, პოტენციალი, რათა ოდნავ მაინც მივუახლოვდეთ აბსოლუტურ **მე**-ს, აბსოლუტური გონის ინფორმაციულობას.

ადამიანის ტვინი სამყაროს უნიკუმია. კომპიუტერისგან განსხვავებით, ტვინში ინფორმაციის შეკუმშვა მიმდინარეობს და ის ინფორმაციებს პარალელურ რეჟიმში გადაამუშავებს, ხოლო კომპიუტერი კი – მიმდევრობით. მიუხედავად ამისა, ერთადერთი, რასაც შეიძლება შევადაროთ ტვინის ინფორმაციული ტევადობა, პროცესორის ტევადობაა. მოგეხსენებათ, ტვინის ფუნქციონირებას განსაზღვრავს ნერვული უჯრედი – **ნეირონი**. თვით ნეირონი დიდ ფასეულობას არ წარმოადგენს **სინაფსის** გარეშე.

სინაფსი ესაა ორ ნეირონს შორის კონტაქტის ადგილი, კვანძი. ის ემსახურება ნეირონებს შორის ნერვული იმპულსის, ინფორმაციის გადაცემას.

სინაფსი ბერძნული სიტყვაა და ჩახუტებას, ხელის ჩამორთმევას ნიშნავს. სინაფსით, კვანძებით იქმნება ნეირონების ჯაჭვი.

სწორედ სინაფსთა რიცხვი განსაზღვრავს ადამიანის ტვინის ინფორმაციულ ტევადობას. რაც მეტია კავშირები, მით ინფორმაციატევადია ტვინი. ტვინში ძალიან დიდია არამოქმედი ნეირონების რიცხვი. მახსოვრობის ტევადობას ქმნის მხოლოდ ჯაჭვში გაერთიანებული „მუშა" ნეირონები.

სტენფორდის უნივერსიტეტის ნეირობიოლოგებმა შეიმუშავეს ტვინის სკანირების ახალი მეთოდი, რამაც ნათლად დაგვანახა, რომ სინაფსები, ნეირონთა შორის კავშირები, გაცილებით რთული სისტემაა, ვიდრე აქამდე ეგონათ. დადგინდა, რომ ადამიანის ტვინი მოცავს 200 მილიარდამდე ნერვულ უჯრედს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია დაახლოებით 125 ტრილიონი (რიცხვი 12 ნულით) სინაფსით. ეს რიცხვი 1500-ჯერ მეტია, ვიდრე ჩვენს გალაქტიკაში არსებული ვარსკვლავების რაოდენობა. ასევე დადგინდა, რომ თითოეულ სინაფსს გააჩნია 1000-მდე მოლეკულური "გადამრთველი" – ტრანზისტორის ანალოგი. სხვა სიტყვებით, სინაფსი შეიძლება შევადაროთ მიკროპროცესორს. თუ ეს ასეა, მაშინ ადამიანის ტვინში არსებული "ტრანზისტორების" რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე დედამიწაზე არსებული ყველა კომპიუტერის ტრანზისტორების რიცხვი.

ფსიქოლოგების დიდი ნაწილი ღრმადაა დარწმუნებული, რომ ადამიანის მახსოვრობა აღიწერება 21 ნულით გამოსახული რიცხვით, რაც ნიშნავს ერთს – ადამიანის მახსოვრობის რეზერვი პრაქტიკულად უსაზღვროა.

დაუკვირდით, საშუალოდ წიგნი მოიცავს 400 000 ნიშანს. შეადარეთ ეს 5 ნულიანი რიცხვი 21 ნულიან რიცხვს და მაშინ მივალთ დასკვნამდე: – ადამიანის ტვინი იტევს იმდენ ინფორმაციას, რასაც 300 ტრილიონი წიგნი. ისე ცნობისთვის, აშშ-ს კონგრესის უმსხვილეს ბიბლიოთეკაში 100 მილიონი წიგნი ინახება.

ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერები უფრო შორს მიდიან, მათი აზრით, ადამიანის ტვინს შეუძლია დაიმახსოვროს ინფორმაცია, რომელიც გამოისახება არა 21 ნულიანი არამედ 8 432 ნულიანი რიცხვით, ეს მაშინ, როდესაც თანამედროვე კომპიუტერის მახსოვრობა გამოისახება 13 ნულიანი რიცხვით.

და თუ თქვენ შეგიძლიათ გაიაზროთ 8 432 ნულიანი რიცხვი, ეს ნიშნავს ერთს – თქვენ ჩემზე უკეთესი წარმოსახვის უნარი გაქვთ. შესაძლებელია, ეს გამოგნებელი ციფრი აღგზნებული მკვლევარის ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ ის, რომ ჩვენს ტვინს აქვს უნიკალური თვისება უსასრულო რაოდენობის ინფორმაციაში გამოარჩიოს სიცოცხლისთვის უმთავრესი და ჩაატაროს უნიკალური ანალიზი, დისკუსიას არ ექვემდებარება.

და ეს ყველაფერი ხდება ტვინის ქერქში, რომლის სისქე არ აღემატება 0,5 სანტიმეტრს.

დავფიქრდეთ – **თუ ერთი ადამიანის მახსოვრობის პოტენციალი ასეთი ასტრონომიული ციფრია, მაშინ რა პოტენციალს უნდა ფლობდეს კაცობრიობის გაერთიანებული გონი.**

გთხოვთ ეს წინადადება გაიხსენოთ 250-ე გვერდზე.

და ვიღაცეები დღესაც კი ამტკიცებენ, რომ ამ საოცრებას თურმე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ავტორი არ ჰყავს, უმაღლესი, აბსოლუტი არ არსებობს და ამ სამყაროში ადამიანი ამ უნიკალურობით უბრალოდ შემთხვევით შეიქმნა.

დაუკვირდით, უმაღლესი ჩემთვის ქმნის მატერიას, სამყაროს, ჩემს შესაქმნელად ქმნის ნივთიერებას, მაძლევს ენერგიას, უსაზღვრო ინფორმაციის ათვისებისა და გამოყენების საშუალებას.

აი, ამას ჰქვია საჩუქარი, ამას ჰქვია სიცოცხლის ჩუქება.

დიახ, სიცოცხლე არის გრძნობა, ენერგია, ინფორმაცია, რისგანაც იბადება გონივრულობა, ადეკვატურობა, მიზანშეწონილობა,...

დიახ, საჩუქარიც ამას ჰქვია.

– აქ უმთავრესია დავფიქრდეთ, ვხვდებით კი ამ უნიკალური საჩუქრის ფასეულობას?

– შეგვიძლია კი გამოვიყენოთ ეს თითქმის შეუზღუდავი პოტენციალი ბოროტების შესამცირებლად?

– თურმე ნუ იტყვი და ყველაფრის შესაძლებლობა გამაჩნია, იმავდროულად მონობასა და სიღატაკეში ვიხრჩობი.

რჩება ერთი – როგორ ავამუშაო ეს უდიდესი პოტენციალი, რათა შევწვდე აბსოლუტურ **მე**-ს, აბსოლუტურ **გონს**.

ერთი რამ ცხადია, აბსოლუტური **მე** დღეს და აქ ჩემი ცნობიერებისთვის ჯერჯერობით თითქმის მიუღწეველია. ის ჩემი ცნობიერების მიღმაა.

ამ გაგებით სამყარო ასე წარმოგვიდგება: ზემოთ – აბსოლუტური **მე,** აბსოლუტური **გონი,** რომელიც ფლობს აბსოლუტურ ინფორმაციას და ქვემოთ – **ემპირიული მე** თავისი დასუსტებული ცნობიერით, დამაფიქრებელი ქვეცნობიერით თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, უნიკალური პოტენციალით, შესაძლებლობებით.

აქ ვალდებულნი ვართ, განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ ისეთ ცნებებზე, როგორიცაა ცნობიერი, ქვეცნობიერი და არაცნობიერი.

ამ ცნებათა განმარტება მკვეთრად არაა გამოსახული. მაგ., არსებობს ფროიდისა და იუნგის ქვეცნობიერი და სტანისლავსკის – ზეცნობიერი. ცხადია, სტანისლავკის, როგორც საინტერესო რეჟისორის ზეცნობიერში, კომპლექსებით გაჟღენთილი ქვეცნობიერისგან განსხვავებით, ამაღლებული, შემოქმედებითი ფენომენი იგულისხმება.

სანამ ფსიქოლოგები შეთანხმდებიან და დაადგენენ ამ ცნებათა ზუსტ განმარტებას, ვისარგებლოთ შემთხვევით და ცნებებიდან: ცნობიერი, ქვეცნობიერი, ზეცნობიერი და არაცნობიერი ჩვენეული დატვირთვა მივცეთ ყველაზე ზოგადს – არაცნობიერს. აბა, სხვა რა გზა გვაქვს, ქვეცნობიერი და ზეცნობიერი უკვე მეტ-ნაკლებად განმარტებულია.

მართლაც, სად წავიღოთ, სად განვათავსოთ კანტისეული ღვთისგან ნაბოძები თანდაყოლილი, აპრიორული გონი?

ან დეკარტეს – აზროვნება, რომლის პროდუქტია მთელი სამყარო?

– ალბათ არაცნობიერში, რადგან ჩვენი ცნობიერი დიდად ვერ მაოცებს.

ჩავთვალოთ, რომ არაცნობიერი მთელი სამყაროს გონს მოიცავს.

გავბედოთ, და განვაცხადოთ – **სწორედ არაცნობიერია ის, რაც მოიცავს ცნობიერს, ქვეცნობიერს, ზეცნობიერს,...**

ჩვენი ცნობიერი არაცნობიერის მხოლოდ მცირედი ანარეკლია.

სწორედ არაცნობიერია ის, რითაც შეიცნობ საკუთარ თავს, მთელ სამყაროს, ღმერთს.

ჩანართი

აღმოსავლური ფილოსოფია შემოქმედებისა და ურთიერთობისას მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს პიროვნებაში არსებულ **მე**-ს არსს.

აღმოსავლური ფილოსოფიის თვალთახედვით **მე**-ს არსი მიმართული უნდა იყოს ადამიანის სულიერი სიღრმისკენ. და ის, თუ ვინ ვარ მე, არა ანალიტიკურად, არამედ მყისიერი „განათების" აქტისას გაიაზრება.

აქ თითქოს პარადოქსს აქვს ადგილი: ინდურ ფილოსოფიაში, ერთი მხრივ, ცენტრალური ადგილი უკავია ცნება **მე**-ს და იმავდროულად უმაღლესი მიზანია „გათავისუფლება **მე**-სგან".

ბუდიზმი თავს არიდებს კითხვას – რა არის **მე**. სამაგიეროდ, დეტალურად აღწერს რა არ არის **მე**. შესაბამისად, კითხვაზე – რა ვარ მე? – პასუხს ვერ აღმოაჩენთ.

ერთხელ ბუდას ჰკითხეს – არსებობს ჩემში, ჩემი განმსაზღვრელი, მარადიული **მე**?

ბუდამ არ უპასუხა.

– მაშ, გამოდის, რომ **მე** არ არსებობს?

ბუდა ისევ დუმდა.

მკითხველი წავიდა.

რატომ არ უპასუხეთ? – ჰკითხა ბუდას საყვარელმა მოწაფე ანანდამ.

ბუდამ მიუგო – პირველ კითხვაზე დადებითი პასუხი **მე**-ს მუდმივობაზე აზრს დაადასტურებდა. მეორეზე დადებითი პასუხი დაადასტურებდა **მე**-ს განადგურებას.

ორივე პასუხი იქნებოდა შეცდომა, რადგან არამართებულია თვით კითხვები. კითხვები რა არის **მე?** ან სად არის **მე?** ორიენტირებულია მხოლოდ იმაზე, რომ მივიღოთ მზა, ობიექტური ცოდნა.

კითხვა – ვინ ვარ **მე**? – ნიშნავს, ვიპოვოთ ცხოვრების გზა, რომელიც შეუძლებელია, დასრულებული ფორმულირებით გამოისახოს, თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ გზა არ გაგვივლია.''

ბუდიზმიდან გამომდინარე, ,,**მე**-სგან გათავისუფლებული'' მდგომარეობა – ,,არაყოფიერება'' მიიღწევა, როცა ადამიანი გათავისუფლდება თავისი ემპირიული **მე**-ს ინტერესებისგან. ამით მიიღწევა აბსოლუტთან შერწყმა.

თანდათან, ბუდიზმი, ასევე კონფუციანიზმი და დაოსიზმი იძენდა პოლიტიკურ ელფერს, ემსახურებოდა მმართველ სისტემას. შესაბამისად, ,,საკუთარი **მე**-სგან'' გათავისუფლება გადადის აზრში – გათავისუფლდი **მე**-სგან, რათა აღასრულო ვალი და დაემორჩილო სოციალურ და ეთიკურ სტანდარტებს. ქართულად – ,,დაეტიე შენს ადგილას''.

უმთავრესი ხდება სოციალური როლი დაოსიზმსა და ბუდიზმში, რომლის საერთო პრინციპია ,,არაფრის ქმნადობა''. არა, ეს არაა პასიური არაფრის კეთება. ეს არის სწრაფვა, რათა შენარჩუნდეს იერარქია, საგნების ბუნებრივი კანონზომიერება (**დაო**). ცხადია, დესპოტიზმის პირობებში თავისუფლებას მხოლოდ ერთი გზა აქვს – **მე**-სგან გათავისუფლება.

იაპონელისთვის მთავარია ჯგუფთან იდენტურობა და არა **მე**. შესაბამისად, ჩვენგან განსხვავებული ფასეულობათა სისტემა ყალიბდება. აქ ბედნიერებად განიხილება გარემომცველ სისტემასთან თანხვედრა.

ჩვენთან სიტყვა ,,ბედნიერების'' ფუძე არის ბედი. იაპონურ ენაში კი სიტყვა ბედნიერება იწარმოება ზმნისგან კეთება, შეერთება, გათანაბრება, შემგუებლობა. რაც უფრო მეტ შემგუებლობას გამოიჩენთ მოსაუბრესთან, ჯგუფთან, მით უახლოვდებით იდეას – ,,საკუთარი **მე**-სგან გათავისუფლებას''. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იაპონელისთვის სიტყვები ჭეშმარიტი ურთიერთგაგების ხელის შემშლელია.

ჭეშმარიტება იმაში კი არაა, რასაც ვლაპარაკობთ, არამედ იმაში, რასაც ვგულისხმობთ.

შეიცნობ თავს – შეიცნობ ღმერთს

მინდა შევიცნო საკუთარი თავი და, შესაბამისად, შევიმეცნო ღმერთი. ერთადერთი, ვინც ამ პრობლემის გადაჭრის გზას, მსოფლიო ისტორიის განვითარების გზას გვიჩვენებს, არის ჰეგელი. დიახ, ჰეგელის დიალექტიკით შესაძლებელია მსოფლიო ისტორიის, საკუთარი **მე**-ს, აბსოლუტის შემეცნება.

აქ საჭიროა, ერთი წუთით შევჩერდეთ, რათა ზემოთქმული გადავიაზროთ.

როგორც ვნახეთ, ჰეგელისთვის რაც არაა გაჟღენთილი აზრით, გონით, იდეებით, ის არ არსებობს.

ჰეგელისთვის ნებაც კი ინტელექტია, ღმერთი – ლოგიკა.

დიახ, სამყაროს შექმნის შემდეგ ღმერთს ლეთარგიული ძილით არ დაუძინია. ის მარადიული განვითარების არსია.

დიახ, მთავარია პროცესი – გონის, შემეცნების მუდმივი ამაღლება. ამიტომაა, რომ ჰეგელი ყურადღებას არა საგნებზე, არამედ საგანთა შორის ურთიერთობაზე ამახვილებს.

სიკვდილში ის ხედავს დაბადებას, დაბადებაში – სიკვდილს. სიკვდილში, აბსოლუტურ არაყოფიერში გადასვლა როდი იგულისხმება, არამედ – ყოფის ახალ ფორმაში გადასვლა.

ეს ის სულია, ის იდეა, **„რომელიც მარად უარყოფს"**. სხვაგვარად შეუძლებელია უწყვეტი აღდგომა. მართლაც, თუ არა მუდმივი განახლება, მიღწეულის უარყოფა, მარადიული ამაღლება შეუძლებელი გახდებოდა.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს უარყოფა მარტივი განადგურება არ გახლავთ. ეს ისეთი უარყოფაა, როდესაც განვითარებით მიღწეული ყველა ფასეულობა ინახება, ახალ დონეზე გადადის და ამით უფრო ამაღლებულ, ღირსეულ, ახალ ფორმას ქმნის.

უარყოფის პროცესში, ფორმის ცვლილებისას, ურთიერთუარმყოფელნი არა მარტო ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ კიდეც ერთმანეთს.

დიახ! კაცობრიობის მიერ მოპოვებული სულიერი სიმდიდრიდან გადასაგდები ან უსარგებლო არაფერია, თვით უსარგებლოც კი. არც გვერდზე გადაიდება რამე და არც ყურადღების მიღმა რჩება. ყველაფერი ერთად მთელს, კულტურის ცოცხალ, მზარდ ხეს ქმნის და ამ ხის ზრდას ადამიანის აზროვნების უმნიშვნელო წინსვლაც კი განაპირობებს, რაც უფრო იზრდება ის, მით უფრო ძლიერდება ამ ხის გვირგვინი.

ჰეგელის ფილოსოფიაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე – **როდესაც აბსოლუტური სული შემეცნების მწვერვალისკენ იწყებს სვლას, მაშინ ამ გზაზე ინდივიდს, ცალკეულ ადამიანს აღარაფერი ესაქმება.**

აქ თითოეული ინდივიდუალური შემეცნების ნაპერწკალი სხვათა ნაპერწკლებს ერწყმის, ერთიანდება და ფეიერვერკი, ცეცხლი წარმოიშვება. სწორედ ეს ერთობა, ცეცხლი ქმნის ლოგოს-ცეცხლს, რომელშიც ჰეგელის სიტყვებით, „სუბიექტურობის კოღოები" იწვება.

დიახ, შეუძლებელია ნებაყოფლობით სულიერად და ფიზიკურად განდეგილი, გარიყული ადამიანი, რომლის ლოზუნგია: „არ მაინტერესებს ძველი ცოდნა, მე ისედაც ამაღლებული ვარ" – გაერკვეს უმაღლეს ფასეულობათა სისტემაში.

ურთულესია უმაღლეს ფასეულობათა: ღმერთი, სიკეთე, ზნეობა, ადამიანი,... – შემეცნებისკენ მიმავალი გზა.

ღმერთი, სიკეთე, ზნეობა, ადამიანი,... ეს ცნებები, კანტის აზრით, ის ნოუმენებია – "საგნები თავის თავში", რომელთა სრული განსაზღვრება შეუძლებელია. ამიტომ გვირჩევდა კანტი შემოგვესაზღვრა ცოდნა, რათა ადგილი დაგვეთმო რწმენისთვის, რადგან მისთვის ეს ის ობიექტებია, რასაც სუბიექტი ვერ გაიაზრებს.

იოჰან ფიხტეს ფილოსოფია იძლევა იმედს, რომ ობიექტის შემეცნებას შევძლებთ უსასრულობაში გახსნით, მაგრამ ეს პერსპექტივა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენთვის მაინცდამაინც მომხიბვლელი არ არის.

ჰეგელის ფილოსოფიური სისტემა არის აზროვნების მეთოდი, რომლის გარეშე ვერავითარ მწვერვალს ვერ დაიპყრობ.

რათა მკვეთრად გამოიკვეთოს ჰეგელის აზროვნების ორიგინალობა, კიდევ ერთხელ გადავხედოთ ამ საკითხზე მანამდე არსებულ შეხედულებებს.

კიდევ ერთხელ, კანტის აზრით, სუბიექტი ვერ შესწვდება ობიექტს – ნოუმენს, საგანს თავის თავში. სხვა სიტყვებით, მე ვერასდროს შევწვდები სიკეთისა და ბოროტების, განათლების, ზნეობის,... ღმერთის არსს, ვერ გავიაზრებ სამშობლოს არსს და, შესაბამისად, ვერასდროს დავადგენ იმ ბარიერს, რაც განვითარებაში გვიშლის ხელს.

ფიხტეს აზრით, სუბიექტის გახსნა, შესვლა ობიექტში შესაძლებელია, მაგრამ დიდი ხნის, უსასრულოდ დიდი ხნის შემდეგ.

ამ საკითხში კანტისა და ფიხტეს სევდის მომგვრელი თვალსაზრისის ფონზე აბსოლუტური, შემანგრეველი სინათლით გვევლინება ჰეგელის აზრი:

– სუბიექტის ობიექტში გახსნა არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელია დღეს, აქ და ახლა.

დიახ, ჰეგელის დიალექტიკა აზროვნების ის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებით მე, სუბიექტს შემიძლია, სრულად გავიაზრო ობიექტი.

მე შემიძლია, გავიაზრო რაა სამყარო, ვინ ვარ და რა შემიძლია მე.

და ეს მოსაზრება ჩვენი მომავლის გადასარჩენად უდიდეს მნიშვნელობას იძენს დღევანდელ დღეს, აქ და ახლა.

დიახ, ეს ფილოსოფია მიმტკიცებს, რომ მე მომავლის გადარჩენა შემიძლია და ეს მტკიცებულება უკვე მავალდებულებს აღვასრულო შესაძლებელი.

ჰეგელის ფილოსოფია ანათებს არა მარტო აზრით, არამედ სითამამით.

ჩვენც გავბედოთ და ჰეგელის დიალექტიკით გავიაზროთ უმაღლესი, ღმერთი, რომელიც კანტმა შეუცნობელ ობიექტად, „საგნად თავის თავში" გამოაცხადა. მისი აზრით, ღმერთი არასდროს გაგვეხსნება.

რა თქმა უნდა, კანტის შემოქმედებაშიც უნდა მოვიძიოთ ყველაფერი ის, რაც ჩვენი მიზნის მისაღწევად გამოგვადგება და რაციონალურად გამოვიყენოთ. ცხადია, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი მთავარი მიზანი, მიდგომა, ძირითადი პრინციპი – განვითარებადი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად მთავარია არა ობიექტები (კანტი, ჰეგელი, ვაჟა, სოკრატე,...), არამედ მათ შემოქმედებასთან, ნააზრევთან დიალექტიკა და სინთეზი – მათთან ურთიერთობა.

ჰეგელი საზეიმოდ, მთელი ხმით აცხადებს – **„გონება ყველა სიმაღლეზე და ყველა სიღრმეზე საკუთარი სუვერენიტეტის ნიშანს აღმართავს!"**

ჰეგელის ეს სიტყვები კანტის აზრის საპირწონეა, რადგან კანტისთვის **რეალობა არაა გონის რეალობა**. ხოლო ჰეგელისთვის გონი **„უნდა იყოს მთლიანად რეალური**."

დიახ, ჰეგელისთვის რაც არაა გაჟღენთილი აზრით, გონით, იდეებით ის არ არსებობს.

ჰეგელმა გააქარწყლა რა ყველა წინააღმდეგობა შემმეცნებელ სუბიექტსა და შესამეცნებელ საგანს, ობიექტს შორის, გახსნა ისინი სულში და ამით გააერთიანა.

შესაბამისად, ეს სული საკუთარ თავს თავადვე შეიმეცნებს, თავად ხდება ობიექტიც და სუბიექტიც. სული უკვე საკუთარ თავზე თვითონვე ატარებს ექსპერიმენტებს, აკეთებს აღმოჩენებს და თავად ახდენს მათ რეალიზებას. ამრიგად, სული, რომელიც ცდილობს შეიმეცნოს, ისწავლოს და სული, რაზედაც ტარდება ექსპერიმენტი, ერთიანდება. სწორედ ეს ერთობა მოიცავს მშენებლის სულსა და ასაშენებლის სულს, მხატვრის სულსა და ტილოს სულს, მევენახის სულსა და ვაზის სულს.

– თუ ეს ასეა, მაშ, რაა შემეცნების პროცესი?

– შემეცნება ზუსტად იმის აღმოჩენაა, რომ სუბიექტი და ობიექტი, მაგ., **თქვენ და ეს წიგნი ერთ მთლიანობას წარმოადგენთ**.

შემმეცნებელი იძირება ობიექტში, ის მასში აღმოაჩენს საკუთარ თავს, ცხოვრობს მისი ცხოვრებით. იმავდროულად, ობიექტი ამ შემეცნების პროცესში იხსნის საბურველს და ამჟღავნებს საკუთარ არსს, საკუთარ „გონივრულობას", და რაც ყველაზე საოცარია, თვით ალაპარაკდება ჭეშმარიტების ენით.

აი, აქ იწყება ის, რასაც კაცობრიობამ შემოქმედება უწოდა.

შემმეცნებელი და შესამეცნებელი სულები ერთობას ზეიმობენ და ხვდებიან, რომ ორივე შეიცვალა, გაიზარდა. ობიექტის შეცნობილი თვისება და შეცნობილი კანონზომიერება თვით ობიექტს უფრო სხვად აქცევს, ვიდრე ის „საკუთარ თავში" ჩაკეტილ მდგომარეობაში იყო. სწორედ ამ დროს მდიდრდება და მაღლდება მთლიანი სული.

– მართლაც ფანტასტიკურია არა?

– დიახ, და არა.

– რა, ვერ იცანით, ვერ დაინახეთ მასში ჩვენ მიერ განხილული დიალექტიკური შემეცნების რეალური ხაზები, სურათი?

რა, არა აქვს ერთნაირი ბუნება შემეცნებად აზროვნებას და შესამეცნებელ სამყაროს?

რა, არ ვითარდებიან ერთნაირი დიალექტიკური კანონზომიერებით?

რა, დიალექტიკა – საუბრის წარმართვის ხელოვნება მხოლოდ სუბიექტებს შორის მიმდინარეობს?

ვინ აკრძალა სუბიექტსა და ობიექტს შორის საუბარი?

რა, თქვენ ამ წიგნს არ ესაუბრებით, განა თქვენ შორის დიალექტიკა არ მიმდინარეობს?

რა, მხატვრული ნაწარმოები თქვენ თვალწინ არ იცვლება, მას შემდეგ, რაც თქვენ ის შეისწავლეთ, გაიგეთ, როცა შეიგრძენით მისი მშვენიერება და განუმეორებლობა?

რა, საგანი, რასთანაც მეცნიერსა თუ მხატვარს აქვს შეხება, მათ საკუთარ „ნებას" არ კარნახობს?

არ გაიძულებთ, გაითვალისწინოთ მისი წყობა, ორგანიზება, თვისობრივი განსაკუთრებულობა, ფაქტურა, ფერები?

რა, მე ამ წიგნმა არ შემცვალა?

რა, არ შევიცნობთ სამყაროს იმ დონითა და ხარისხით, რაც სულთა შერწყმის ხარისხს ეთანადება?

განა ამაში არ გამოტყდა პიჯაკის საყელოში მიხაკგაყრილი ბიჭი:

– „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს... "

– სწორედ, სამყაროს ერთობის პოზიციამ, თანმიმდევრულად გატარებულმა ამ პრინციპმა არ შეაძლებინა ჰეგელს თავს დასხმოდა სკეპტიციზმს, გულგრილობას, ურწმუნოებას,

– მეცნიერული შრომების სიმძლავრეში დაურწმუნებლობას,

– მიღწეული მეცნიერული შედეგების აღსრულების შეუძლებლობას?

და ყოველივე ამის შემდგომ, ვიღაც უგუნურნი, გულგრილნი და სულით მახინჯნი მიხსნიან, რომ შეუძლებელია **ჩემი ბედნიერება, შენი ბედნიერება, აბსოლუტის, ჭეშმარიტების წვდომა, რაც ჩვენი ქვეყნის ბედნიერების ტოლფასია.**

ვაი, თქვენ, გაუნათლებელნო, სუბიექტადაც ვერ შეგირაცხავთ საკუთარი თავი.

და თუ ოდესმე სუბიექტად ამაღლებას შეძლებთ, მიხვდებით, რომ საშშობლო და ჭეშმარიტება იგივური ცნებებია.

და თუ ამას მიხვდებით, უკან მოხედვისას ისტორიულ სანაგვეზე დაგდებულ თქვენს გამონათქვამს აღმოაჩენთ: „ამ ქვეყანას არაფერი ეშველება"...

და თუ შემეცნების სურვილიც კი აღარ გიჩნდებათ, მაშინ ეს თქვენ აღარ გეშველებათ არაფერი და არა საქართველოს!

საქართველოს ნუ შეეხებით, ის ჩვენია!

და თუ მე როგორმე შევძელი, აზრობრივად მივუახლოვდე საკუთარ **მე**-ს, საკუთარ არსს, აბსოლუტს, უმაღლესს, სამყაროს საწყისს, ეს უკვე ნიშნავს, რომ მით უმეტეს, აუცილებლად შევძლებ იმ პრობლემების არსში გარკვევას, რაც ხელს გვიშლის ბედნიერების მიღწევაში.

— რა არის აბსოლუტი და როგორ მივუახლოვდეთ მას?

მართლაც საინტერესოა, როგორ იქმნება ყველაფრის საწყისისგან, აბსოლუტისგან ის ყოფიერება, რომლის შემეცნებითაც მე აბსოლუტს მივუახლოვდები?

ჩანართი

ჰეგელის ფილოსოფია ესაა კაცობრიობის სულიერი განვითარების სისტემა.

ასეთი შეფასების მიუხედავად, მისი შემოქმედების გარკვეული ნაწილი ნაკლებადაა შესწავლილი. ამის მთავარი მიზეზი ჰეგელის აზრთა გადმოცემის სირთულეა. მისი ნაშრომების გაგების ერთ-ერთ მთავარ ბარიერად გვევლინება ჰეგელისეული წერის თავისებური, რთული სტილი. ეს სირთულე ძირითადად სამი მიზეზითაა გამოწვეული:

ერთია ის, რომ თვით ნაშრომი უნიკალურად ნოვატორულია. ურთულესია ახალი აზრების ძველი სიტყვებით გამოთქმა. დიახ, ძნელია ახალ აზრებს ოპტიმალური ფორმა მოუძებნო.

მეორე — წარმოიდგინეთ ჰეგელის ის ნაშრომი, რომელიც ათასწლეულებს გაუძლებს, იწერებოდა, კალმით სანთლის შუქზე, ყოველ გვერდზე მრავალჯერადი გადაკეთებით, გადახაზვით, მინაწერებით. ის ცდილობდა საკუთარი აზრები გააზრებული ადამიანისთვის გასაგები ფორმულირებით წარმოედგინა. ეს კი, დიდი ენერგიისა და დროის ხარჯვას ითხოვდა, რაც უფრო და უფრო ართულებდა მის თავდაპირველ ჩანაფიქრს.

მესამე — იმ დროს, მკაცრი ცენზურის პირობებში, ღია ტექსტით წერა საკმაოდ დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. თუ მისი შეხედულებები აღვილად გასაგები, აღქმადი იქნებოდა, მას დაუპირისპირდებოდა და უბრალოდ გაანადგურებდა, ერთი მხრივ, ეკლესია, მეორე მხრივ — სახელმწიფო.

არა მარტო ჰეგელი, თითქმის ყველა, საკუთარი აზრის პატივისმცემელი, იმდროინდელი ფილოსოფოსი აზრის გამოთქმისას განსაკუთრებულ ყურადღებას და სიფრთხილეს იჩენდა. ისინი სათქმელს შეძლებისდაგვარად ართულებდნენ, ნიღბავდნენ, რათა ცენზორი მათი ნაშრომის არსში ვერ გარკვეულიყო.

ამისთვის საკმარისია, გავიხსენოთ ლუდვიგ ფოიერბახი, რომელმაც 1830 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი — „**აზრები სიკვდილსა და უკვდავებაზე**", სადაც მან საკუთარ თავს უფლება მისცა ზომაზე მეტად, ნათლად გამოესახა საკუთარი აზრი. მას სიცოცხლის ბოლომდე აუკრძალეს პედაგოგობა. წიგნი გაანადგურეს.

შევეცადოთ, გავიაზროთ სამყაროს საწყისის არსი, რათა ვიგრძნოთ ჩვენი პოტენციალის სიმძლავრე და გავიჩნდეს რწმენა, რომ შევძლებთ იმ ბარიერის დაძლევას, რაც ხელს გვიშლის ადამიანის ღირსების საკადრისი ცხოვრების დამკვიდრებაში.

საწყისი

გავბედოთ, შეძლებისდაგვარად, აბსოლუტის, ღმერთის შემეცნება.

დიდი აფეთქების თეორიის თანახმად, როგორც აღვნიშნეთ, წმინდა ენერგია კონცენტრირებული იყო უსასრულოდ მცირე, ნულოვანი რადიუსის მქონე წერტილში.

აქ ნულოვანი რადიუსი ნიშნავს ერთს – არ იყო სივრცე, არ იყო დრო, არ იყო მატერია.

მაშ, რა შეიძლება ყოფილიყო ამ ნულოვანი რადიუსის მქონე წერტილში?

– ვიმეორებთ, ალბათ იდეა, პოტენციალი, ენერგია მატერიის გარეშე.

სწორედ ამ ენერგიას მატერიის გარეშე ვუწოდოთ წმინდა ენერგია.

შესაბამისად, წმინდა ენერგია განიხილება, როგორც აბსოლუტური იდეა, რომელიც თავის თავში მოიცავს უსასრულობას, აბსოლუტურ გონს, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, აბსოლუტურ შესაძლებლობას, აბსოლუტურ კანონზომიერებას,...

ჩვენი აზრით, დიდი აფეთქება სხვა არაფერია, თუ არა იდეის გადასვლა მატერიაში. აბსოლუტური იდეა არის ყოფიერების, ყველაფრის საწყისი.

დიახ, სწორედ ამ აბსოლუტის გაშლა, აფეთქება ქმნის მატერიას, ყოფიერებას, სამყაროს, საგნებს,...

თუ აბსოლუტი, საწყისი სამყაროს შექმნისას იშლება და ქმნის საგნებს, სუბიექტებს, მაშინ გამოდის, რომ ყველა საგანი თავის არსში უნდა მოიცავდეს უსასრულობას (აბსოლუტს), გამოხატულს სასრულში (სუბიექტში).

აბსოლუტი განიხილება არა მარტო როგორც სუბსტანცია, როგორც ამას განიხილავდა სპინოზა, არამედ – როგორც სუბიექტიც, რადგან ნებისმიერი სუბიექტი გაჟღენთილია მისი შემქმნელი აბსოლუტით და აბსოლუტი გახსნილია მასში.

ეს ყველაზე ნათლად ქრისტიანისთვის უნდა იყოს გასაგები, რადგან ჩემთვის **ქრისტე** სუბსტანციაცაა და სუბიექტიც.

როგორ შევიმეცნო ის სამყარო, რომელიც ქილონის აზრით, საკუთარი თავისა და ღმერთის შეცნობაში დამეხმარება?

სამყარო – გალაქტიკები, ვარსკვლავები, ღრუბელი, ენძელა, ცისარტყელა, ადამიანი,...

გავიხსენოთ ფიხტეს ილუზორულობა. მართლაც, დავფიქრდეთ, იმ აღფრთოვანების მიღმა, რასაც ჩვენში სილამაზე (ცისარტყელას, ქალის,...) იწვევს, როგორ დავინახოთ აზრობრივი წესრიგი, რაც საგნის, მოვლენის რეალურ, არაილუზორულ არსს, იდეას შეადგენს?

როგორ მივმართო ჩემი გონება ამ ილუზორულობის მოსახსნელად, რათა რეალურის, ბუნებრივის დანახვა და გააზრება შევძლო?

უფრო ნათლად, ზუსტ მეცნიერებაში არსებობს ე.წ. შეშფოთების თეორია, რომლის არსი შემდეგშია: თუ მე მაინტერესებს რაიმე საგნის, სხეულის

ტემპერატურა, მაშინ აუცილებელია, რომ იმ თერმომეტრის მასა, რომლითაც უნდა გავზომო სხეულის ტემპერატურა, გაცილებით ნაკლები იყოს გასაზომი სხეულის მასაზე. და ეს გასაგებია, რადგან თუ თერმომეტრი იმდენად დიდია, რომ გააცია გასაზომი სხეული, მაშინ ზუსტი ტემპერატურის დადგენა შეუძლებელი იქნება.

დამეთანხმებით (განსაკუთრებით ქალბატონები), მსგავს ფენომენს ადგილი აქვს ადამიანთა ურთიერთობებშიც. ქალი პერიფერიული მხედველობით გრძნობს მამაკაცის მხრიდან ყურადღებას, ქვეცნობიერად იწყებს კეკლუცობას და რაც მეტია მისდამი ყურადღება, შეშფოთება, მით უფრო ინიღბება მისი შინაგანი არსი.

ცხადია, მისი არსის, იდეის მეტ-ნაკლებად ჭეშმარიტ შემეცნებას აუცილებლად სჭირდება გარეშე ფაქტორების, შეშფოთების მოხსნა, მათგან გათავისულება და რაც უფრო ეფექტურად ვახერხებთ ამას, მით უფრო ვუახლოვდებით მის რეალურ, არაილუზორულ არსს.

მართლაც, რაც უფრო მცირე ზომისაა თერმომეტრი, პატარაა შეშფოთება, მით ზუსტად იზომება სხეულის ტემპერატურა. გამოდის, რომ სხეულის ჭეშმარიტი ტემპერატურის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ თერმომეტრით, რომელსაც მასა, ,,სხეული'' არ გააჩნია. თუ ერთ პატარა საზომ ხელსაწყოს შეუძლია შეშფოთება შეიტანოს ჩვენთვის საინტერესო ობიექტში, მაშინ გასაგებია, თუ რა დიდი შეშფოთება შეაქვს გარემომცველ სამყაროს მასში. და თუ თქვენთვის ეს მსჯელობა მისაღებია, დაგვეთანხებით, რომ საგნის, მოვლენის, იდეის ჭეშმარიტი არსის გააზრებას გარემოს მხრიდან შეშფოთების მოხსნა სჭირდება, რაც ფაქტობრივად, გარემოს ,,გაქრობას'' ნიშნავს.

ცხადია, გარემოს ,,მოხსნა'' მხოლოდ აზრობრივადაა შესაძლებელი, მე უნდა გავიაზრო საგანი, მოვლენა, იდეა თავის თავში, თავისთვის ყოველგვარი გარემოსა და შეშფოთების გარეშე.

რეალურ პირობებში გარეშე ფაქტორების მოხსნა მეტ-ნაკლებად გასაგებია. მაგ., თუ მინდა, შევიმეცნო პიროვნების, როგორც ღვინის დეგუსტატორის შესაძლებლობა, მაშინ ყურადღება არ უნდა მივაქციო იმას, თუ რამდენადაა ის ელეგანტური, სიმპათაიური, აქვს თუ არა მუსიკალური სმენა, აღიარებს თუ არა ქალიშვილობის ინსტიტუტს და ა.შ. სხვა სიტყვებით, მე უნდა ,,მოვხსნა'' ის გარეშე ემოციები და ,,შეშფოთებები'', რაც ხელს შემიშლის, ჭეშმარიტად დავადგინო პიროვნების, როგორც დეგუსტატორის პროფესიონალიზმი.

მე ვერასდროს გავხდები პარაზიტოლოგი, თუ ჩემში არ მოიხსნა ზიზღი პარაზიტების მიმართ.

ეს გასაგებია, მაგრამ საგნის, მოვლენის არსის მაქსიმალურად შესამეცნებლად შესამეცნებელ საგანზე უნდა მოიხსნას არა მარტო გარემოს გავლენა, არამედ მასზე ჩემი ემოციური და სხეულებრივი გავლენაც კი.

დიახ, საგნის ობიექტურ შემეცნებაში არა მარტო გარემო, არამედ სხეულის ფიზიკურ-ფსიქიკური მდგომარეობაც (თავის ტკივილი, გადაღლილობა,...) მიშლის ხელს, რაზედაცაა დამოკიდებული ჩემი არასრულყოფილი აზროვნება.

სხეულის მდგომარეობაზე დამოკიდებულ აზროვნებას ვუწოდოთ **,,სხეულებრივი აზროვნება**''.

გამოდის, რომ საგნის, მოვლენის ობიექტური შემეცნებისთვის აუცილებელია, მოვიხსნათ ,,სხეულებრივი აზროვნება'' – ,,მოვიხსნათ'' სხეული.

რას ნიშნავს მოვიხსნათ ,,სხეულებრივი აზროვნება'', სხეული?

რამდენადაა შესაძლებელი სხეულის (შეშფოთების) გარეშე აზროვნება?

თუ თქვენ თვლით, რომ ხართ სხეული, რომელსაც გააჩნია აზროვნების უნარი, მაშინ სხეულის გარეშე აზროვნება თქვენთვის აბსურდია, მაგრამ თუ თქვენ თვლით, რომ ხართ აზრი, რომელსაც გააჩნია სხეული, მაშინ სხეულის გარეშე აზროვნება სულაც არ გახლავთ აბსურდი.

შესაბამისად, დასადგენია:

– მე ვარ სხეული, რომელსაც გააჩნია აზრი, თუ მე ვარ აზრი, რომელსაც გააჩნია სხეული?

გავიხსენოთ დეკარტეს სიტყვები: მე სიზმარს მაშინაც ვნახავდი, სხეული რომ არ მქონოდა.

გავბედოთ ამ აზრის პერიფრაზირება:

– მე ვიაზროვნებდი იმ შემთხვევაშიც, სხეული რომ არ მქონოდა.

გამოდის, რომ არსებობს ორი აზროვნება: სხეულებრივი აზროვნება და გარემოს, საკუთარი სხეულის შეშფოთებისგან გათავისუფლებული, ,,გასუფთავებული'' წმინდა აზროვნება.

ალბათ ამ არასხეულებრივ აზროვნებას უნდა ვუწოდოთ **აზროვნების აზროვნება**, ზემოთ ნახსენები **კოგიტო**.

ხომ არ დავიწყოთ საკუთარი თავის, სამყაროს, ღმერთის შემეცნება ამ წმინდა აზროვნებით, რასაც ჰეგელი ლოგიკურ აზროვნებას უწოდებს?

შევეცადოთ, ამ **ლოგიკით** შევიმეცნოთ ღმერთი, ღმერთი თავის თავში, ყველაფრისგან დამოუკიდებლად, სამყაროსგან განცალკევებით, იმ სამყაროსგან, რაც ხელს შემიშლის მის შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გააზრებაში.

სხვა სიტყვებით, წმინდა აზროვნებით შევიმეცნოთ ღმერთი დიდ აფეთქებამდე მანამ, სანამ ის შექმნიდა გარემოს, სამყაროს, რადგან სწორედ წმინდა აზროვნებაში გვევლინება ღმერთი თავისი ადეკვატური ფორმით.

დაქვეითებული აზროვნებით ჭეშმარიტი იდეის, ღმერთის – ყველაფრის საწყისის დანახვა შეუძლებელია.

შეუძლებელია იმის გააზრება, თუ რა იყო მანამ, სანამ არაფერი იყო. ამ შემთხვევაში ცნება ღმერთიც ქრება, ვინაიდან ცნება ,,ღმერთი'' ჩნდება მხოლოდ სამყაროს, ადამიანის შექმნის შემდეგ.

ამიტომ ცნება ღმერთის ნაცვლად ფორმალურად განვიხილოთ ზემოთ ნახსენები ცნება **აბსოლუტი** და ამით დავიმშვიდოთ თავი.

აბსოლუტი, ესაა უმაღლესი იდეა, ის გონივრული კანონზომიერება, იდეალური გეგმა, რაც წინ უსწრებდა სამყაროს შექმნას და რასაც უნდა დამორჩილებოდა მის მიერ შექმნილი სამყაროც.

დიახ, იდეა არაა რაღაც ინერტული, ის ქმედითი და ყველა ქმედების საფუძველია.

თუ ეს მსჯელობა თქვენთვის მისაღებია, მაშინ **შემიძლია სუბტანციას, აბსოლუტს, ვუწოდო სამყაროს საწყისი – იმ ყველაფრის საწყისი, რასაც ვხედავ, ვგრძნობ და იმისაც, რასაც ვერ ვხედავ და ვერ ვგრძნობ.**

საწყისის არსი არის ის, რომ მანამდე არაა ის, რისი საწყისიც არის საწყისი.

(ეს არც ხუმრობაა, არც კალამბური. გთხოვთ, ერთხელ კიდევ გადაიკითხეთ ეს წინადადება).

რაიმე რომ ყოფილიყო, მაშინ ის – საწყისი არ იქნებოდა საწყისი. ცხადია, საწყისმა იცოდა, რომ ის საწყისია. მან ისიც იცოდა, რომ თუ მხოლოდ ის იქნებოდა და სხვა არაფერი, მაშინ ის საწყისიც ვერ იქნებოდა, რადგან საწყისი მაშინაა საწყისი, თუ ის რაღაცას ქმნის, თუ მის შემდეგ რაღაცაა. თუ მის შემდეგ არაფერია, მაშინ ის საწყისი არაა.

ეს იცოდა საწყისმა.

მან იცოდა, რომ უნდა ყოფილიყო საწყისი, საწყისი წერტილი, ათვლის წერტილი. ისიც იცოდა, რომ თუ რამ იქმნებოდა მის შემდეგ, იქმნებოდა მისგან, რადგან მანამდე არაფერი იყო.

დიახ, მას უნდა შეექმნა ყველაფერი და ისიც, რომელიც დაინახავდა, შეიმეცნებდა მას და იმას, თუ რა შეუძლია საწყისს და ამით გაიგებდა საწყისი, თუ რაა ის, რომელსაც ყველაფერი შეუძლია.

ამიტომ დასჭირდა აბსოლუტს თვითშემეცნება.

– რას ნიშნავს აბსოლუტის თვითშემეცნება?

თავდაპირველად დავფიქრდეთ:

– რაში დასჭირდა მას სამყაროს შექმნა, როგორც იტყვიან, რატომ აიტკივა აუტკივარი თავი?

– მართლაც, რაში დასჭირდა თვითშემეცნება იმას, ვინც იყო, ვინც არის, ვინც იქნება?

– რაში სჭირდება თვითშემეცნება იმას, რაც თავის თავში მოიცავს უდიადეს გონს, კანონზომიერებას, განვითარებას, აზრს, სიკეთეს, პოტენციალს,...?

ამ საკითხში გარკვევისთვის გავიხსენოთ ცნება ფარდობითობა. ამ სამყაროში ყველაფერი ფარდობითია. მაგ., ფარდობითია მოძრაობა ან უძრაობა. დაუკვირდით, თუ მე ახლა საწერ მაგიდასთან ვმუშაობ, შეიძლება ითქვას, რომ უძრავი ვარ მაგიდის მიმართ, მაგრამ დედამიწასთან ერთად მზის გარშემო საკმაოდ რთულ მოძრაობას ვასრულებ. შესაბამისად, ჩემი

უძრაობა ან მოძრაობა ფარდობითია. ჩემს უძრაობას ან მოძრაობას მხოლოდ რაღაცასთან მიმართებაში აქვს აზრი. გააჩნია, რასთან მიმართებაში ვარ მოძრავი და რასთან მიმართებაში – უძრავი.

თუ ეს ასეა, მაშინ წარმოიდგინეთ, რომ სამყარო ჯერ არაა შექმნილი.

შესაბამისად, ჩემ გარშემო არაფერია, ე.ი. არ არსებობს ორიენტირი.

მაშინ ცნებები მოძრაობა და უძრაობა აზრს კარგავს.

სხვა სიტყვებით, „ქრება" ცნება მოძრაობა და უძრაობა. ასევე, „ქრება" ცნება სიმაღლე.

მართლაც, მე მაღალი ვარ თუ დაბალი? – გააჩნია რის მიმართ. ალვის ხესთან შედარებით დაბალი ვარ, ბალახთან შედარებით – მაღალი.

ცხადია, თუ შესადარებელი არაფერია, მაშინ ცნება „სიმაღლე" აზრს კარგავს, თითქოს ქრება ცნება მაღალი, დაბალი. ასევეა წონა. მე მძიმე ვარ თუ მსუბუქი? – თუ არაფერია ჩემ გარშემო, არაა დედამიწა, რომელიც მიმიზიდავდა და ეს მიზიდვა შექმნიდა ცნება მძიმეს და მსუბუქს, ცხადია, ეს ცნებებიც აზრს კარგავს. თუ მე მარტო ვარ, ჩემ გარშემო არავინაა, ცხადია, ცნება სიყვარული უაზრობაა.

ამრიგად, თუ მე მარტო ვარ, მაშინ აზრს კარგავს ჩემი მახასიათებლები: სიმაღლე, წონა, ფორმა, სიყვარული,... აქედან გამომდინარე, მეც ვკარგავ აზრს, არაფერი ვარ, აღარ ვარ. ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, თუ მე მარტო ვარ, ჩემ გარდა არავინაა, მაშინ მე შემიძლია ჩავთვალო, რომ ყველაზე მაღალი, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე საყვარელი,... ე.ი. ყველაფერი ვარ.

მართლაც, თუ ჩემს სააბაზანოში მარტო ვარ, მაშინ იქ ყველაზე მაგარი ბიჭი ვარ, ყველაფერი მე ვარ. გამოდის, ერთი მხრივ, არაფერი ყველაფერია და მეორე მხრივ, ყველაფერი არაფერია.

დასკვნა ერთია: თუ კონკრეტული შესადარი არ არსებობს, მაშინ ჩემი ყველა მახასიათებელი – სიმაღლე, თვალის ფერი, წონა,... აბსტრაქტული, არაფრისმთქმელი ცნებებია.

დიახ, აბსოლუტი იყო ყველაფერიც და არაფერიც.

მან აირჩია ყველაფერი – თვითშემეცნება. ამიტომ შექმნა სამყარო, მე, შენ, ის,...

ჩანართი

კოგიტოს – აზროვნების აზროვნებას, წმინდა აზროვნებას რეალობაში აქვს ფუნქცია, დატვირთვა, თუ ის აბსტრაქტული აზროვნების შემეცნებითი მოდელია?

აქვს თუ არა რაიმე რეალური საფუძველი ჩვენს გამოთქმას: – მე მაშინაც კი ვიაზროვნებდი, სხეული რომ არ მქონოდა?

წარმოგიდგენთ მეცნიერულ ექსპერიმენტს.

ამ ექსპერიმენტამდე ითვლებოდა, რომ პატარები ერთ წლამდე ემოციას უაზროდ ავლენენ. მათ ხომ არ იციან რა არის ლოგიკა, რაა მნიშვნელოვანი რა – უმნიშვნელო. მართლაც, საიდან უნდა იცოდნენ, ისინი ხომ გამოუცდელნი არიან. ხოლო ლოგიკურ აზროვნებაზე საუბარი ზედმეტია.

ექსპერიმენტის აზრი შემდეგშია: ბავშვს აჩვენებენ ფერად ანიმაციას. ფიგურები შედიან დეკორაციულ სახლში. თუ სახლიდან იმდენი ფიგურა გამოდის, რამდენიც შევიდა, მაშინ ბავშვი მშვიდადაა. თუ შესული ფიგურების რიცხვი მეტია, ვიდრე სახლიდან გამოსული ფიგურების რაოდენობა 5-6 თვის ბავშვი უკიდურეს გაოცებას ავლენს. აქ ნათლად ჩანს ბალანსის დარღვევით გამოწვეული შეშფოთება.

დაუკვირდით, ექსპერიმენტში წარმოდგენილმა ალოგიზმმა ბავშვში გულწრფელი გაკვირვება გამოიწვია. ცხადია, იმისი გარჩევა, თუ რა არის ლოგიკური მოვლენა და რა – ალოგიკური, უკვე ანალიტიკურ აზროვნებას მოითხოვს, რაც ექსპერიმენტამდე არსებული მეცნიერული აზრით ბავშვს ჯერ არ უნდა ჰქონოდა.

მრავალ ცოცხალ ორგანიზმს აქვს უნარი, ადეკვატურად მოახდინოს რეაგირება რაღაც მოვლენათა ჯაჭვზე, თუ ამ მოვლენაზე მას დაგროვილი აქვს გამოცდილება.

აღნიშნულმა ექსპერიმენტმა კი აჩვენა, რომ ბავშვებს ანალიტიკური აზროვნება გააჩნიათ და შეუძლიათ დააფიქსირონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, მიუხედავად იმისა, რომ მათ არც გამოცდილებით მიუღიათ ეს ცოდნა და არც ვინმეს უსწავლებია.

გამოდის, რომ ბავშვში არსებობს რაღაც გამოცდილების, ემპირიის, სწავლების გარეშე თანდაყოლილი, აპრიორული აზროვნების უნარი. აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: – როდის ჩნდება ბავშვში აზროვნების უნარი დაბადებამდე, დაბადებისას, თუ დაბადების შემდეგ? ცხადია, დღეს ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი უბრალოდ არ არსებობს.

მოდით ღრმად დავფიქრდეთ, თუ რაიმე ლოგიკის ნატამალი გაგვაჩნია, უნდა მივხვდეთ, რომ 2-3 თვეში, თუნდაც 9 თვეში, ბავშვი ამ უნარს გამოცდილებით ვერ შეიძენდა. ამ ფენომენის ასახსნელად რჩება, ვაღიაროთ აპრიორული გონის არსებობა.

დავფიქრდეთ, **რეალობა, ესაა ოდესღაც არსებული შესაძლებლობა.**

რეალობაა ის, რომ ბავშვს აქვს აზროვნების უნარი. მაშინ უნდა არსებულიყო ამ აზროვნების შესაძლებლობა აპრიორული სახით. რეალობაში განხორციელებამდე არსებულ აზროვნებას შეიძლება ვუწოდოთ აზროვნება სხეულის გარეშე, წმინდა აზროვნება.

თვითშემეცნება

ვიმეორებთ, საწყისის არსი ის არის, რომ მანამდე არაფერი იყო. საწყისმა იცოდა, რომ რაც იქნებოდა მის შემდეგ, ის იქნებოდა მისგან. დიახ, მას უნდა შეექმნა ყველაფერი და ისიც, რომელიც დაინახავდა, შეიმეცნებდა საწყისს და იმას, თუ რა შეუძლია მას და ამით გაიგებდა საწყისი, თუ რაა ის, რომელსაც ყველაფერი შეუძლია.

საწყისის არსი, როგორც აღვნიშნეთ, რაღაცის შექმნა, ქმნადობაა. ჩვენთვის დღეს მისაწვდომ სამყაროში ეს ცნება თავის არსში მოიცავს შემოქმედებას, შემოქმედს, დამბადებელს, რაღაცის მშობელს. მისი სინონიმია „მამა", რაც ადამიანთა უმრავლესობაში იწვევს მამრის, სქესის ასოციაციას. ეს არსობრივი შეცდომა ადამიანს ხელს უშლის ჩაულრმავდეს საკუთარი

არსის სულიერ საფუძვლებს. მამაში, როგორც აღვნიშნეთ, იგულისხმება შემოქმედი, შემქმნელი, დამბადებელი, სამყაროს მშობელი და არა რაღაც ბიოლოგიური მამა – დედისგან განსხვავებული რამ.

ქმნადობა, შექმნა, დაბადება ერთადერთი გზაა ამ სამყაროში, რათა შემოქმედმა ემპირიულად შეიმეცნოს, რომ ის შემოქმედია.

სწორედ, ეს უდიადესი შემოქმედების სურვილი გადმოგვცა მან ყველას. ამაშია ჩვენი მსგავსება.

აი, ეს ნიშნავს – **მან ჩვენ შეგვქმნა ხატად თავისად (დაბადება 1.26.).**

დიახ, თუ შენ არა გაქვს ახლის შექმნის დაუოკებელი სურვილი, თუ არა გაქვს შინაგანი აუცილებელი მოთხოვნილება, შეიმეცნო საკუთარი თავი როგორც შემოქმედმა, მსგავსად ღმერთისა, ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს:

– ღმერთმა კი არ მიგატოვა შენ, არამედ შენ მიატოვე ღმერთი.

შემოქმედება, ახლის დაბადება ნიშნავს რეალობის აღქმას, დამკვიდრებას, განვითარებას.

პროდუქტის, შედეგის გარეშე არაა შემოქმედება. ეს განსაკუთრებით ეხება მათ, ვინც ვერ ქმნის პროდუქტს და რატომღაც თავის თავს შემოქმედს უწოდებს.

შემოქმედება და ცოდნა იმისა, თუ რაა შემოქმედება, ფრიად განსხვავებული რამაა.

ასევე, იცოდე ,,ეს რაღაც'' და შეიგრძნო ,,ეს რაღაც'', მისი დამკვიდრების ცდაში, განივთებული რეალობაში, დიდად განსხვავებული რამაა.

აი, ამისთვის ვართ მოვლენილნი ამ სამყაროში და თუ ეს ვერ შევძელით, ვერ შევქმენით საყრდენი, საფეხური, ჩვენი ყოფიერებისგან განსხვავებული, ამაღლებული ყოფიერებისკენ სწრაფვა შეუძლებელი და აზრს მოკლებულია.

ამიტომ, თამამად შევიდეთ მის მიერ შექმნილ ფიზიკურ სამყაროში – მის არსში, რადგან ის – ფიზიკური, მატერიალური სამყარო არა მარტო რეალური ქმედების, არამედ ჩვენი უმაღლესი მიზნის – აბსოლუტის შემეცნების საშუალებაა.

მთავარია, არ დავივიწყოთ, რომ ეს სამყარო მან თვითშემეცნებისთვის შექმნა.

შეგახსენებთ, ფიხტეს ფილოსოფიიდან თვითშემეცნება, ზოგადად შემეცნება ნიშნავს წინააღმდეგობის გადალახვას.

ამიტომ, მას უნდა შეექმნა მისგან განსხვავებული, შემეცნებისთვის აუცილებელი, გაუცხოებული გარემო, განსხვავებული ყოფიერება, რასაც ფიხტე **არა მე**-ს უწოდებს.

არა მე – ჩემგან განსხვავებული, ჩემდამი გაუცხოებული, დაპირისპირებული, აგრესიულად განწყობილი გარემო, სამყარო.

სწორედ ეს გარემო, სამყარო თავის არსში მოიცავს უდიადეს სიკეთეს, რომელიც როგორც პირველაღმძრავი, იმპულსის მომცემი მაიძულებს, ქმედებით დავუპირისპირდე განსხვავებულს, განვიცადო ქმედება როგორც პროცესი და შევიგრძნო ჩემი ქმედების შედეგით გამოწვეული განცდა.

სწორედ ჩემდამი დაპირისპირებული, სისასტიკით აღსავსე სამყარო შემამეცნებინებს ჩემს არსს, მის (უმაღლესის) არსს, სიცოცხლეს, თავისუფლებას, სიყვარულს, ჭეშმარიტებას — ღმერთს.

დიახ, შენ არ შეიძლება იყო ის, რაც არ განიცადე ცდაში, პროცესში, თუ არ შეიგრძენი შენივე ქმნადობის შედეგი

დიახ, შენ არ შეიძლება გიყვარდეს, თუ არ განიცადე სიყვარული

შენ არ შეიძლება იყო თავისუფალი, თუ არ განიცადე თავისუფლება

შენ არ შეიძლება შესწვდე ჭეშმარიტებას, თუ საკუთარ არსში არ იგრძენი ჭეშმარიტება

შენ არ შეიძლება შეიმეცნო ღმერთი, სანამ საკუთარ არსში არ დაინახავ ღმერთს

ამიტომ, საწყისს, შემოქმედს სიყვარულისა უნდა შეეგრძნო სიყვარული.

ამიტომ, საწყისს, შემოქმედს თავისუფლებისა უნდა შეეგრძნო თავისუფლება.

ამიტომ, საწყისს, შემოქმედს ჭეშმარიტებისა უნდა შეეგრძნო ჭეშმარიტება.

ამიტომ, საწყისს, შემოქმედს ყველაფრისა უნდა შეეგრძნო ყველაფერი.

ვიმეორებთ, საწყისს უნდა შეექმნა ის რაღაც, მისი ყოფიერებისგან განსხვავებული, გაუცხოებული, მისდამი დაპირისპირებული სამყარო, რათა ამ დაპირისპირებით შეემეცნებინა საკუთარი თავი.

გავიხსენოთ, დაპირისპირება, წინააღმდეგობა და შემეცნება ერთი არსის მქონე ცნებებია.

ჩნდება კითხვა: **საწყისი, მისი ყოფიერებისგან განსხვავებული ყოფის შექმნისას, სრულად გადადის შექმნილში, თუ მხოლოდ მისი ნაწილი ქმნის ამ ყოფიერებას?**

ცხადია, საწყისი არ იქნებოდა საწყისი, თუ ის, მის მიერ შექმნილ სამყაროში არ გადავიდოდა სრულად. მისთვის გაუცხოებულ სამყაროში მისი მხოლოდ ნაწილი რომ გადასულიყო, მაშინ მისი დარჩენილი ნაწილი ვეღარ შეიმეცნებდა თავს და საწყისიც ვეღარ იქნებოდა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, საწყისი იმ შემთხვევაშია საწყისი, თუ ის რაღაცაში გადადის.

მაგალითისთვის გავიხსენოთ სიცოცხლის დაბადების პროცესი.

საწყისი უჯრედი იყოფა და მისგან წარმოიქმნება ორი უჯრედი. თითოეული უჯრედი კვლავ იყოფა და ა.შ. იქმნება ორგანიზმი, სიცოცხლე.

— რა მოუვიდა საწყის უჯრედს? გაქრა?

— არა, ის ყველა უჯრედშია, მთელ ორგანიზმშია. დიახ, ის თითქოს ყველგანაა და არსად.

ეს, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, არასრული საწყისიდან შექმნილი სამყარო არასრული იქნებოდა. არასრულიდან სრული შემეცნება შეუძლებელია.

დასკვნა ერთია:

— საწყისმა სამყარო შექმნა სრული თვითშემეცნებისთვის.

— საწყისი სრულად გადადის მის მიერ შექმნილ სამყაროში და ამ სრული გადასვლის შემდეგ აღარაა საწყისი, რადგან მან როგორც საწყისმა, ამ ქმნადობით აღასრულა საწყისის ფუნქცია. ის უკვე ყოფილი საწყისია.

— ის, საწყისი გახსნილია ყველაფერში.

— ყველაფერი, რასაც გარშემო ვხედავთ და რასაც ვერ ვხედავთ, საწყისიდანაა.

დიახ, საწყისი გადმოდის მის მიერ შექმნილ, მისდამი დაპირისპირებულ რეალობაში, სამყაროში, ბუნებაში.

საწყისის გახსნა სამყაროში, რეალობაში, ბუნებაში უდიადესი აქტია, რომლის გააზრება შესაძლებელია ჰეგელის **ფილოსოფიით.**

ის ფენომენი, თუ რატომაა რეალობა დაპირისპირებული მის შემქმნელთან, უფრო ნათლად განვიხილოთ.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ფიხტეს მსჯელობა.

ერთადერთი რეალობა ვარ **მე.**

როგორც აღვნიშნეთ, თვითშემეცნება წინააღმდეგობის, დაპირისპირების გარეშე არ არსებობს, ამიტომ, თვითშემეცნებისთვის აუცილებელია ამ ერთადერთი რეალობის, **მე**-ს წარმოდგენა ურთიერთდაპირისპირებულ **მე**-დ და **არამე**-დ.

ვიღებთ:

მე $\rightleftarrows$ **მე** + **არამე**.

მე — თეზისი, **არამე** — ანტითეზისი, **მე** — სინთეზი (შემეცნება).

შემეცნების ეს ფორმულირება გამოვიყენოთ **საწყისის** თვითშემეცნების დინამიკაში გასარკვევად.

სქემატურად თვითშემეცნების ეს უდიადესი პროცესი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: როგორც კი **საწყისი** თვითშემეცნების გადაწყვეტილებას იღებს, ის უკვე აღარაა საწყისი, რადგან მან უკვე შექმნა რაღაც, თუნდაც თვითშემეცნების სურვილი.

საწყისი მანამდეა საწყისი, სანამ მისგან რაიმე არ წარმოიშვება. როგორც კი რაიმე წარმოიქმნება, უკვე საწყისი გადადის იმაში, რაც მისგან შეიქმნა.

საწყისი, აბსოლუტი სრულად გადადის, იხსნება თავისსავე შექმნილ რეალობაში. ეს რეალობა თვითშემეცნებისთვის წარმოდგენილია ორ ურთიერთდაპირისპირებულად.

ეს ურთიერთდაპირისპირება გამოსახულია აბსოლუტით, თავისი ყოფიერით რეალობაში და მეორე — აბსოლუტის ყოფიერისგან განსხვავებული, დაპირისპირებული მისსივე შექმნილი ახალი ყოფიერით.

ყოფიერი წარმოგვიდგა ორი რეალობის სახით: აბსოლუტი, როგორც რეალობა და მის მიერ შექმნილი, მისდამი დაპირისპირებული — ნეორეალობა.

სხვა სიტყვებით: საწყისი სრულად გადადის რეალობასა და ნეორეალობაში. საწყისი უჯრედივით, ის თითქოს ყველგანაა და — არსად.

საწყისის მიერ რეალობისა და ნეორეალობის, ზოგადად, ყოფიერის შექმნას, დაბადებას მივყავართ **შემქმნელის, დამბადებლის, მშობლის** ცნებასთან, იდეასთან.

საწყისის — იდეათა იდეის, ლოგოსის მიერ რეალობის — რეალობისა და ნეორეალობის — სამყაროს შექმნა-დაბადების ფენომენი, ვიმეორებთ, ჩვენს მიწიერ ცნობიერებაში რატომღაც ასოცირდება ცნება მამასთან.

შესაბამისად, **სამყაროს შემქმნელი, საწყისი გვევლინება მამის სახით.**

აღნიშნული მსჯელობით მივდივართ ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს დასკვნამდე:

— თვითშემეცნების გადაწყვეტილების მიმღები საწყისი, ჩვენს ცნობიერებაში გამოვლენილი მამის სახით, ქმნის თვითშემეცნებისთვის აუცილებელ დაპირისპირებას თავისი რეალობისა და ნეორეალობის სახით. ამ თვითშემეცნებისთვის აუცილებელი სამყაროს შესაქმნელად ის სრულად "იხარჯება", სრულად გადადის ამ სამყაროში. შესაბამისად, ის ყველგანაა და — არსად.

შევეცადოთ, შეძლებისდაგვარად ნათელი მოვფინოთ ამ კუთხით გაგებულ აბსოლუტის რეალობასა და ნეორეალობას. ამისთვის გამოვიყენოთ ყველა ჩვენ ხელთ არსებული გონებრივი რესურსი.

იკითხავთ:

— რაში გვჭირდება ამ საკითხებზე ამდენი ფიქრი?

— რაში მჭირდება, გავერკვე ზემოთ მოყვანილ ფრაზაში: — „დიახ, მას უნდა შეექმნა ყველაფერი და ისიც, რომელიც დაინახავდა, შეიმეცნებდა საწყისს და იმას, თუ რა შეუძლია მას და ამით გაიგებდა საწყისი, თუ რაა ის, რომელსაც ყველაფერი შეუძლია".

ნუთუ ამ ფრაზაში გარკვევა აუცილებელია, რათა გავიგო ვინ ვარ მე?

ჩანართი

დიდი იდეები სულიერი სივრციდან, სიმაღლეებიდან თავისთავად არ ჩამოდიან, თოვლივით არ ეფინებიან ჩვენთვის ნაცნობ სამყაროს. მათ გამოვლინებას შემოქმედი ადამიანი სჭირდება. ასეთი ადამიანების მეშვეობით წარმოგვიდგება, გადაგვეშლება იდეები მთელი გრანდიოზულობით. აქ იდეა განივთდება ადამიანთან და იდეას უჩნდება მიწიერი ბიოგრაფია, წარსული, მომავალი, ახლობლები.

იდეა სულით ანათესავებს ადამიანებს. იბადება იდეის გენეალოგიური ხე, რომლის ტოტები იშლებიან სივრცეში, დროში, ისწრაფვიან ჩვენსკენ, მომავლისკენ. ეს ხე ქმნის ისტორიას, მოაქვს ჩვენამდე შექმნილი კულტურის ნათება, ათასობით აზრთა ბრძოლის ნაჭდევები, იარები, დაპირისპირებულ ვნებათა ღელვა. ეს ვნებათაღელვა, ვიბრაცია, რხევა გადაეცემა სხვა ტოტებს. ხან წყნარდება, ხან ინტენსიურ სიცოცხლეს იწყებს გამაოგნებელი ბედით, თავგადასავლებით, მეტამორფოზებით. იდეათა ეს მძლავრი რხევა წარმოშობს ახალ ყლორტებს, რომლებიც იპყრობენ ახალ სივრცეებს. ეს გრანდიოზული ხე თანდათან ემსგავსება კავკასიონის ცამდე აზიდული კლდის თეთრად მბრწყინავ მწვერვალს.

დიდი იდეები შეიძლება შევადაროთ ცამდე ატყორცნილ უშბას. ვისაც ეს უგრძვნია, დამეთანხმება, რომ მისი მწვერვალი არ გამოსახავს გაქვავებულ სტატიკას. ის დინამიკურია, მუდამ ცვალებადი. თითოეული რაკურსი დღის, თვისა და წლის სხვადასხვა დროს ისე იცვლის ხასიათს და სახეს, რომ შესაძლოა ხანდახან ვერც კი იცნო.

თითოეული ეპოქა, თავისი ხედვით, აღიქვამს იდეის გრანდიოზულობას და მისი აღქმის კულტურის ცვალებადობა სპირალურად მიმდინარეობს.

ყოველი ახალი თაობა მასში რაღაც ახალს აღმოაჩენს, რაც მანამდე შეუმჩნეველი რჩებოდა. ახალი თაობა აღმოაჩენს, ავლენს ამ გვირგვინის ახალ პიკებს, რაც მანამდე დაფარული იყო თვალისგან ტრადიციული ხედვის ნისლით, ცრურწმენების ღრუბლით, ისტორიული შეზღუდულობით. ხვალ ან ზეგ მასში ისეთ სიმაღლეებს აღმოაჩენენ, რომლებზეც დღეს არც კი გვაქვს წარმოდგენა. ამრიგად, იდეა დროს არ ემორჩილება, ის ქმნის და ცვლის დროებას და ეს ცვალებადობა მარადიულია.

იდეამ მთელი ისტორია გამოიარა და მოვიდა ჩვენთან კანტის, ფიხტეს, ჰეგელის გავლით და ჩვენ ვალდებულნი ვართ მათ ნააზრევში უფრო მეტი დავინახოთ, ვიდრე ჩვენამდე ხედავდნენ, ვინაიდან ისტორიული დრო ჩვენ არა მარტო გვზრდის და გვმატებს გამოცდილებას, არამედ უფრო მეტის დანახვასაც გვიბრძანებს. ამას ჩვენივე ადამიანური, მუდამ განვითარებადი არსი გვავალდებულებს, რადგან **აზროვნებს არა ტვინი, არამედ ადამიანი ტვინის მეშვეობით.**

და თუ ამას მართლაც ღრმად გავიაზრებთ, მივხვდებით, რამდენად მნიშვნელოვანია, თუ როგორი ადამიანი აზროვნებს, როგორია მისი ინდივიდუალურობა, თავისებურება, შინაგანი არსი, ვინც ამ იდეას შესწვდა, როგორ და რა წინსწრებით მოაქვს მას ეს იდეა თავის დროსთან, საზოგადოებასთან.

კაცობრიობის ისტორიას არ ქმნიან დიდი ადამიანები, განვითარების ისტორიას ქმნიან დიდი იდეები.

აბსოლუტის რეალობა და ნეორეალობა

უფრო მეტი გარკვეულობისთვის გავიხსენოთ ზოგადად თვითშემეცნება ფიხტეს მიხედვით.

როგორც აღვნიშნეთ, ფიხტეს ფილოსოფიაში ერთადერთი რეალობაა **მე.**

შესაბამისად, საკუთარი **მე**-ს შესამეცნებლად **მე** წარმოგვიდგება **მე**-დ და მისდამი დაპირისპირებულ **არამე**-დ. სწორედ მათი სინთეზი არის **მე**-ს რეალური შემეცნება, რაც სიმბოლურად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასე წარმოგვიდგება:



რაც შეეხება საწყისს, ის თვითშემეცნებისთვის სრულად გადადის რეალობასა და ნეორეალობაში, რაც შესაძლოა, ასე წარმოვადგინოთ:



აქ რეალობაში იგულისხმება აბსოლუტური **მე**-ს რეალობა. რეალობასთან დაპირისპირებულობა კი წარმოდგენილია ამ რეალობისგან განსხვავებული,

მასთან დაპირისპირებული ნეორეალობით (სამყარო, რომელშიც ვიმყოფებით), რომელიც ასევე საწყისის – **მე**-ს მიერაა შექმნილი.

იმისათვის, რომ ეს აზრი სიმბოლურად ფიხტეს ფორმულირებით წარმოვადგინოთ, საჭიროა:

საწყისი (მამა) გამოვსახოთ როგორც **მე**$_{\text{მამა}}$**, რეალობა – მე**$_{\text{რეალობა}}$**, ნეორეალობა – მე**$_{\text{ნეორეალობა}}$.

შესაბამისად, მივიღეთ:

$$\text{მე}_{\text{მამა}} \rightleftarrows \text{მე}_{\text{რეალობა}} + \text{მე}_{\text{ნეორეალობა}}$$

ამ სიმბოლურ ჩანაწერს სხვა კუთხით, არაფორმალური ლოგიკით შევხედოთ.

გამოსახულებაში ფიგურირებს სამი სიმბოლო და ასეთი ფორმით წარმოდგენა მხოლოდ არსებულის შემეცნებას ემსახურება, თორემ სამივე ერთსა და იმავეს, **მე**-ს არსს გამოსახავს.

მართლაც, ფიხტეს ფორმულირების თანახმად, საკუთარი **მე**-ს შემეცნებისას **არამე** და **მე** იგივე მე ვარ. **მე** ხომ თავისთავად მე ვარ.

შესაბამისად, მათ შორის რაიმე უპირატესობა, იერარქია არ არსებობს, ისინი მხოლოდ შემეცნებისთვის საჭირო ფუნქციონალური დატვირთვით განსხვავდებიან.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ჭადრაკის საკუთარ თავთან თამაშის მაგალითი. მართლაც, მე თვითშემეცნებისთვის ვთამაშობ ჭადრაკს საკუთარ თავთან, თეთრებითაც ვთამაშობ და შავებითაც (**მე** $\rightleftarrows$ **მე**$_{\text{თეთრ.}}$ + **მე**$_{\text{შავებ.}}$).

ცხადია, რომ თეთრებით მოთამაშეც მე ვარ, შავებით მოთამაშეც მე ვარ და შემმეცნებელიც მე ვარ. ამ შემთხვევაში იერარქია აზრს მოკლებულია.

ანალოგიური მსჯელობით, ცხადია, **მე**$_{\text{მამა}}$-ს**, მე**$_{\text{რეალობა}}$-ს **და მე**$_{\text{ნეორეალობა}}$-ს შორის არავითარი იერარქია არ არსებობს.

უფრო ნათლად: – ფენომენი **სინათლე,** როგორც ტალღა, წარმოგვიდგება, „იშლება" შემდეგი მახასიათებლებით – **ამპლიტუდა, სიხშირე, სიჩქარე.** ცხადია, მათ შორის იერარქია არ არსებობს, უაზრობაა. ერთ-ერთი მახასიათებლის მნიშვნელოვნების დაკნინება ან გამორიცხვა უბრალოდ სინათლის არარსებობას ნიშნავს.

შევეცადოთ, ზემოთ აღწერილი მსჯელობით, მიწიერი აზროვნებით გავერკვეთ საწყისის არსში.

როგორც აღვნიშნეთ, **საწყისი** საკუთარი არსის შემეცნებისთვის სრულად „იხარჯება" და წარმოგვიდგება ერთადერთი ზერეალური სუბსტანციის, საკუთარი არსის შემმეცნებელი **მამის** სახით.

ვიმეორებთ, **მე**$_{\text{მამა}}$**, მე**$_{\text{რეალობა}}$**, მე**$_{\text{ნეორეალობა}}$ ერთმანეთისგან მხოლოდ შემეცნებისთვის საჭირო ფუნქციონალური დატვირთვით განსხვავდებიან და მათ შორის რაიმე უპირატესობა, იერარქია არ არსებობს.

ქრისტიანულ თეოლოგიაში მეტ-ნაკლებად გარკვეული ადამიანისთვის ნათელია, რომ სამყაროში გადმოსული უმაღლესი, შემოქმედი თავისი რეალობით (**მე**$_{\text{რეალობა}}$) გვევლინება **ქრისტეს – ძე**-ს სახით.

აქ უცილობლად იკვეთება კითხვა: **— რა არის მისდამი დაპირისპირებული, მისი რეალობისგან განსხვავებული — მენეორეალობა?**

ცხადია, **მენეორეალობა** უნდა იყოს შემოქმედის, როგორც ერთადერთი ზერეალობის თვითშემეცნებისთვის აუცილებელი ფუნქციის მატარებელი ფენომენი. სხვა სიტყვებით, საწყისის ისეთივე გამოვლინება, როგორიცაა **მამა** და **ძე**. შესაბამისად, ის არ უნდა იყოს საწყისის, აბსოლუტის რაღაც ბუნდოვანი აჩრდილი, უსახური ძალა. ის უნდა იყოს ისეთივე მკვეთრად გამოსახული, როგორც ქრისტე. ეს ის ძალა უნდა იყოს, რომელიც მოდის შემოქმედისგან, მამისგან და უნდა ატარებდეს ისეთ სიმძლავრეს, რომ **მერეალობა**-მ — **ძე**-მ მასთან დიალექტიკით, შემოქმედს ყველაფრისას, საკუთარი არსი შეამეცნებინოს.

შევეცადოთ, გავიაზროთ **მენეორეალობა.**

საწყისის მიერ შექმნილი მთელი სამყარო გაჟღენთილია აბსოლუტური კანონზომიერებით, აბსოლუტური აზრით, აბსოლუტური გონით, სულით. ამ სულით, გონით გაჟღენთილია მთელი სამყარო, მაგრამ ის ყველაზე მკვეთრად, ყველაზე ნათლად გამოსახულია ადამიანის არსში.

დიახ, აბსოლუტური გონი, აბსოლუტური სული გახსნილია ყველაში, ვინც იყო, ვინც არის და ვინც იქნება.

ფიხტეს აზრით, ეს სამყარო კაცობრიობის გონის პროდუქტია.

ფიხტეს ამ მოსაზრების განვითარება ჰეგელის ფილოსოფიით უცილობლად მიგვიყვანს დასკვნამდე:

აბსოლუტური გონი, სული გადასული მთელ კაცობრიობაში არის სულიწმიდა.

აბსოლუტს თვითშემეცნებისთვის სჭირდება წინააღმდეგობა.

მსჯელობიდან გამომდინარე, თავისი აბსოლუტური, წმინდა გონით გამოვლენილი მამა ჩვენს სამყაროში, რა თქმა უნდა, არის **მერეალობა — ძე**.

თვითშემეცნებისთვის მასთან დაპირისპირებული **მენეორეალობა** (ადამიანთა მოდგმაში გადმოსული წმინდა გონი) კი არის **სულიწმიდა**.

საბოლოოდ სიმბოლიკა: **მემამა** $\rightleftarrows$ **მერეალობა** + **მენეორეალობა** წარმოგვიდგება ასეთი სახით:

მემამა $\rightleftarrows$ **მეძე** + **მესულიწმიდა.**

ეს გამოსახულება, წარმოდგენილი სამებით, ერთი საწყისის, ღმერთის არსის — **მამა, ძე, სულიწმიდის** — სამების ფუნქციონალური გამოსახვაა.

ზემოთ აღწერილი მოდელიდან ნათლად ჩანს, რომ აბსოლუტის გონი, იგივე სული, იგივე სულიწმიდა **მამისგან** გადმოდის **ძე**-ზე და **პოტენციურად** ყველა **ჩვენგანზე** ინდივიდუალური გონის, სულის სახით.

სწორედ ყველაში გაშლილი, გახსნილი, ღვთისგან ბოძებულ ინდივიდუალურ გონთა, სულთა ერთობა, ზედდება ქმნის სულიწმიდას.

აქ გასააზრებელია გონის, სულიწმიდის გადანაწილება ყველაზე ვინც იყო, ვინც არის და ვინც იქნება მთელ სამყაროში. ეს არ ნიშნავს ერთიანი სულის, გონის დაშლას, დანაწევრებას, დანაწილებას.

ამ მსჯელობის უკეთ გასააზრებლად გავიხსენოთ ჰოლოგრამის პრინციპი. თუ ჰოლოგრამაზე ჩაწერილია რაიმე ინფორმაცია, მაგალითად, დავითის ქანდაკება და ამ ჰოლოგრამას გავტეხთ ორად, გამოსახულება კი არ გაიყოფა ორ ნაწილად, როგორც ეს სურათის გახევისას ხდება, არამედ ჰოლოგრამის ორივე ნატეხზე იქნება დავითის ქანდაკება სრულად, ოღონდ ნაკლები ინტენსივობით, ოდნავ ჩაბნელებული. თუ ამ ჰოლოგრამას ათას ნაწილად დავამსხვრევთ, სულ მცირე ნაწილშიც კი სრულად გამოისახება დავითის ქანდაკება, ოღონდ ძალიან დაბალი ინტესივობით.

ასევე, თითოეულ ჩვენგანში გადმოსულია აბსოლუტური გონი, სულიწმიდა მთელი თავისი არსით, ოღონდ დაბალი ინტენსივობით. **მხოლოდ მოყვასის სიყვარული, დიალექტიკა, ჰარმონიული ურთიერთობა ზრდის ინტენსივობას და სინათლის სხივს მატებს ჩვენში არსებულ სულიწმიდას.**

იმდენად დაბალია ჩვენში არსებული სულიწმიდის ინტენსივობა, რომ მხოლოდ ზეამაღლებული, ფაქიზი მგრძნობელობის მქონე ადამიანი გრძნობს საკუთარ არსში აბსოლუტურ გონს, სულიწმიდას.

შესაბამისად, უმრავლესობას ძალიან გვიჭირს საკუთარ არსში ღმერთის დანახვა, გააზრება. აბსოლუტის გააზრებას ერთი ადამიანი ვერ შეძლებს, ამის მიღწევას ადამიანთა გონებრივი პოტენციალის ერთობა სჭირდება.

ვიმეორებთ, მხოლოდ ჩვენს გონთა, სულთა დიალექტიკა, სინთეზი შეგვამეცნებინებს ღმერთს — სამებას.

ღმერთის, აბსოლუტის გადმოსვლა მისი რეალობიდან სხვა რეალობაში — ჩვენში, სხვა არაფერია, თუ არა ყველაფერში — სუბიექტსა და ობიექტში აბსოლუტის გონის, აზრის, სულის შესვლა, მისით გაჟღენთვა.

რეალობისა და ნეორეალობის სინთეზით საწყისი, აბსოლუტური იდეა, გონი სრულად აანალიზებს ყველაფერს და ბრუნდება მისი ნეორეალობიდან თავისსავე არსში.

ეს სხვა არაფერია, თუ არა თვითშემეცნება, ღმერთის დაბრუნება მატერიალური სამყაროდან, თავისი შემოქმედებიდან თავის თავში — თავისსავე გონივრულობაში, აზროვნებაში. მაგრამ აბსოლუტი უკვე სრულადაა გახსნილი, გაშლილი მთელ სამყაროში და ამით შეიქმნა ადამიანთა გონივრულობა. სწორედ ესაა ამ სამყაროში ერთადერთი მკვეთრად გამოსახული მისგანვე შექმნილი გონივრული არეალი, სადაც შესაძლებელია აბსოლუტის თვითშემეცნებისთვის დაბრუნება.

დიახ, აბსოლუტი საკუთარ თავს იმეცნებს ადამიანით, ადამიანთა მოდგმით — ვინც იყო, ვინც არის და ვინც იქნება, ადამიანების თაობათა ქმედებით, მსოფლიო ისტორიით, იდეათა თანმიმდევრული სტადიებად დანერგვით, ამაღლებით.

ამ მსჯელობით მივედით ყველაზე მნიშვნელოვან დასკვნასთან:

— **აბსოლუტის დაბრუნება ნეორეალობიდან თავის რეალობაში ნიშნავს მის დაბრუნებას ჩვენს გონში, სულში.**

„დაბრუნებული" აბსოლუტის „არმიღება" ჩვენი ყველა უბედურების საფუძველია.

ადამიანებში ეს უდიადესი გადმოსვლა, უპირველესად, შემოქმედებაში – ხელოვნებაში, რელიგიაში, მეცნიერებაში, ფილოსოფიაში,... მჟღავნდება.

თუ არ გაქვს შემოქმედებისადმი, რელიგიისადმი, მეცნიერებისადმი, ფილოსოფიისადმი,... სწრაფვის შინაგანი მოთხოვნილება, ეს ნიშნავს ერთს: – **ღმერთმა კი არ მიგატოვა, შენ მიატოვე ღმერთი, შენ არ გინდა, დაინახო ღმერთი საკუთარ თავში.**

ღმერთის არმიმტოვებელთათვის **ხელოვნება** არის ჭეშმარიტების შეცნობა, წვდომა გრძნობით, ასტრალურობით.

რელიგია არის საწყისის გამოსახვა წარმოდგენით, აზრობრივი ფორმით.

მეცნიერებით – აბსოლუტი თავს შეიმეცნებს ემპირიით, ლოგიკით.

ფილოსოფიით კი – აბსოლუტური იდეა შეიმეცნებს საკუთარ თავს ცნებების ფორმით.

აი, ესაა ჰეგელის ფილოსოფიის სიმძლავრე.

ჩანართი

თუ კითხვაზე ვინ ვარ მე? – შენ გაქვს მხოლოდ ერთი პასუხი – ჯანსუღ მთაგლეჯიაშვილი და არც კი დაფიქრებულხარ, თუ რა პოტენციალს ფლობ, რა შეგიძლია, მაშინ შენ მუდმივი უსუსურობისთვის ხარ განწირული, რისი მგლეჯველიც არ უნდა უწოდო საკუთარ თავს.

საკუთარი არსის, გარე სამყაროს გააზრება ფორმალური ლოგიკით ზედაპირულია, არასრულყოფილია.

ამ ლოგიკით ვერ ხვდები ვინ ხარ, რა შეგიძლია. და თუ არ იცი, რა შეგიძლია, ცხადია, მუდმივად უსუსური დარჩები იმ პრობლემათა წინაშე, რაც შენ წინაშე დგას.

პრობლემის განხილვა ერთი კუთხით, ცალმხრივად, არაწინააღმდეგობრივად, აი, ესაა ფორმალური ლოგიკით აზროვნება.

ასეთი **ფორმალური აზროვნება** სუსტია, შემოსაზღვრულია, რადგან ის გაუცხოებულია დიალექტიკასთან.

ჩვენი **ფორმალური აზროვნების შედეგია დასკვნები**:

– "ამაზე უარესი ვინღა მოვა?"...

– "ამაზე უარესი რა უნდა დაგვემართოს?"...

ჩვენი უახლესი ისტორია ამ ფორმალური აზროვნების დონეზე მხოლოდ გაუაზრებელი ქმედებების კასკადია და ჩვენი ქმედებების შედეგების წინასწარი გააზრება არ შეგვიძლია. ჩვენი აზროვნება ძალიან შორსაა რაციონალიზმისგან.

რაციონალიზმი

ჰეგელის ფილოსოფია, დიალექტიკური სისტემა საშუალებას გვაძლევს შევწვდეთ საკუთარ არსს, უმაღლესს, ობიექტურ სამყაროს, არაფორმალური ლოგიკის კანონებს, იმ კანონებს, რომლებიც არსებობს სუბიექტისგან, ჩვენგან დამოუკიდებლად. ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის გარეშე არასრულყოფილია, უფრო მკაცრად კი საერთოდ შეუძლებელია მრავალმხრივი, მრავალფეროვანი, არაწრფივი სამყაროს ლოგიკური აღქმა.

ცხადია, ასეთი ამბიცია არ გააჩნია ემპირიზმს.

ეს მისია შეუძლია თავის თავზე აიღოს მეტაფიზიკურმა აზროვნებამ, რაციონალიზმმა.

გამოდის, რომ არაფორმალური, სიცოცხლის ლოგიკა ემთხვევა მეტაფიზიკურ რაციონალიზმს.

აი, ეს მიდგომა გვაკლია ჩვენ, აკლია იმ თანამედროვე ფილოსოფიასა და მეცნიერებას, სადაც გაბატონებულია ზედაპირული, ემპირიული აზროვნება, რომლის მიხედვით შემეცნება პრიმიტიულ ექსპერიმენტიზმსა და სოციოლოგიზმამდე დაიყვანება.

დაუკვირდით, ჩვენი უკანასკნელი ოცდაათწლიანი ისტორია სოციუმზე, ადამიანზე ზედაპირული ექსპერიმენტების კასკადის აღწერაა – არავითარი ღრმა ანალიზი, არავითარი ლოგიკა, მხოლოდ ზედაპირული იურიდიული, ეკონომიკური, სოციალური კანონმდებლობის დანერგვა, პოპულიზმი.

ჩვენთან ცვლილებები იწყება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ არსებული არ მოგვწონს და თუ რითი უნდა შეიცვალოს არსებული, ამაზე არავინ ფიქრობს.

აი, ეს ზედაპირული, პოპულისტური ხედვა უარყოფს მეტაფიზიკურ რაციონალიზმს, უგულებელყოფს ადამიანის შესაძლებლობას, შეაღწიოს საგნის არსის სიღრმეში.

ცხადია, მეცნიერება უნდა დაეყრდნოს ემპირიას, ცდას. პრობლემის ხედვა, შეგრძნება არ არის საკმარისი. მკვლევარი უნდა მივიდეს მთავარ მიზანთან – ცნებასთან. მან არა მარტო უნდა აღმოაჩინოს ელემენტარული ნაწილაკები, პოზიტრონები, ელექტრონები, არამედ შეეცადოს ახსნას, რა არის ელექტრონი, არა მარტო დაინახოს ადამიანი, არამედ მიხვდეს რაა ადამიანი.

ცნებასთან მისვლა იდეის გარეშე აბსურდია.

მეცნიერება მხოლოდ იქ იბადება, სადაც არის პრობლემათა გამაერთიანებელი იდეა.

ესაა სისტემური ანალიზი.

ამის გარეშე უმაღლესსა და ადამიანთა შორის ურთიერთობებში გარკვევა შეუძლებელია.

მხოლოდ სისტემური ანალიზითაა შესაძლებელი იმისი დანახვა, რომ სამყარო ემორჩილება აზრობრივ საფუძვლებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში წარმოგვიდგება სამყარო განვითარების მოწესრიგებული სქემით. ჩვენი ყველა

პრობლემის სათავე ისაა, რომ ჩვენთვის სამყაროს აზრობრივი საფუძვლები მიუწვდომელია და ამიტომ ის უწესრიგოდ, უსამართლოდ გვეჩვენება. მხოლოდ ასე, ამაღლებული გააზრებით მივხვდებით, რომ განვითარება შეუძლებელია თავისთავად, თვითნებურად, უმაღლესი გონის გარეშე. სამყაროს აზრობრივი საფუძვლების გარკვევის იგნორირებით რელიგიაზე, ზნეობაზე საუბარი უბრალოდ ინფანტილიზმია.

აუცილებელია, ერთხელ და სამუდამოდ დავიმახსოვროთ, რომ ყველაფერი მენტალურის სუბსტანციაა სულიწმიდა — აზროვნება, გონი.

მხოლოდ აზროვნებას შეუძლია, დაძლიოს სუბიექტურისა და ობიექტურის ცალმხრივობა, რადგან ორივეს საფუძველია აზრი, გონი, სულიწმიდა.

დიახ, აზროვნება არის სუბიექტურიც და ობიექტურიც.

სუბიექტური — ადამიანის აზროვნება.

ობიექტური — აზრი სამყაროში.

ობიექტური აზრი არის სამყაროს შინაგანი არსი, შინაგანი ბუნება.

დასრულებული, საყოველთაო ობიექტური აზრი არის აბსოლუტი, აბსოლუტური იდეა. ესაა აბსოლუტური იდეალიზმის საფუძველი.

ყოველივე ამის ეტაპობრივად გააზრებას გვთავაზობს ჰეგელი თავისი სისტემით.

ჰეგელისთვის ფილოსოფია სხვა არაფერია, ვიდრე **ადამიანში „ღმერთის თვითშემეცნება".**

დიახ, **სული არის გონი, აზროვნება.**

კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაზე.

მატერიალური სამყარო არის გონის მიერ შემეცნებისთვის შექმნილი არეალი, მაგრამ აზრისთვის არასრულყოფილი, გაუცხოებული **არამე** — ეს, ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, როგორც ბუნება, ასევე მეც გაჟღენთილი ვარ აზრით, გონით. ამიტომ ცდილობს ბუნება, ასევე მეც, როგორც „გარეგანი" (თვითშემეცნებით) ჩაღრმავდეს, „დაყვინთოს" თავის არსში, თავისსავე თავში ეტაპობრივად, სისტემურად.

დიახ, ბუნებას ახასიათებს თავისივე გარეგანის თანდათანობითი „დაყვინთვა" თავისსავე არსში.

იტყვით, — კარგი, მე, ადამიანს, მაინტერესებს ჩემი, საგნების, მოვლენების, სამყაროს არსი, მაგრამ ბუნებას, ცხოველს, ხეს?

აქ გულდასაწყვეტი ისაა, რომ ვერ გავიგეთ ჰეგელის ლოგიკა. უკანასკნელი წინადადებით ჩვენ საკუთარი თავი ბუნებისგან განცალკევებით წარმოვადგინეთ.

— ვინც ვთვლით, რომ ბუნების ნაწილი ვართ, გავაგრძელოთ საუბარი.

განვიხილოთ ბუნების თუნდაც ერთი, თითქოს არაფრით გამორჩეული არსება — ავაზა. აი, ის აწყდება ყოველ წამს გაცილებით მეტ წინააღმდეგობას ამ სამყაროში, ვიდრე ჩვენ, ადამიანები. ავაზა ყოველი ამ წინააღმდეგობის გადალახვით იმეცნებს. თუ ის ვერ დაეწია ანტილოპას იმ

მიზეზით, რომ თავდასხმისთვის ვერ შეარჩია სტრატეგიულად გამოსადეგი ადგილი, გარწმუნებთ, რომ მეორედ ის ამ შეცდომას აღარ დაუშვებს.

ეს რა, არაა „დაყვინთვა", ეს რა, არაა არსებული წინააღმდეგობის გადალახვა, არაა შემეცნება? და თუ ეს „შემეცნება" ვერ მოახერხა ავაზამ, გარწმუნებთ, რომ ის განწირულია.

ასევე, თუ ანტილოპამ ვერ „შეიმეცნა", როგორ შეძლოს გაქცევა და ამ ტაქტიკას არ დაამკვიდრებს „გადარჩენის არსენალში", მაშინ მან ჩვენზე კარგად იცის, რაც ელის. ამას ჰქვია, საკუთარი მახასიათებლების ცვლილება, ადაპტირება გარემოსთან. თუ ალვის ხე „ვერ მიხვდა", რომ უნდა გაიზარდოს ისე, რომ გვერდით მდგომმა ხეებმა მზის სხივები არ დაუჩრდილოს, კანონზომიერებიდან გადის და განწირულია. ალვის ხემაც ჩვენზე უკეთ იცის რა უნდა აკეთოს – **ის იზრდება.**

სანერვიულო ყველაზე მეტად ჩვენ გვაქვს, რადგან ვერ ვხვდებით, რომ უნდა გავიზარდოთ.

როდის მივხვდებით, რომ გარეგანის „შესვლას", „დაბრუნებას", „გახსნას" საკუთარ არსში ჰქვია **ევოლუცია,** რომელიც ურთიერთობის, ერთობის გარეშე უბრალოდ შეუძლებელია.

ცხადია, ჭეშმარიტი სრული სულის „სხვა რეალობიდან", ბუნებიდან დაბრუნება, „დაყვინთვა" საკუთარ თავში მხოლოდ ადამიანს შეუძლია.

როგორც აღვნიშნეთ, საკუთარ არსში დაბრუნებაში იგულისხმება მისდამი დაპირისპირებული წინააღმდეგობის გადალახვა, შემეცნება.

ეს პროცესი მიმდინარეობს მანამ, სანამ ადამიანი, როგორც სულიერი არსი (სუბიექტური სული), არ შეიმეცნებს საკუთარ სულიერ სუბსტანციას და არ მიხვდება, რომ სულიერი სუბსტანცია ჩვენივე შემეცნებული, საკუთარი აზროვნებისა და ნების იდენტურია.

დიახ, **როგორიცაა თქვენი აზროვნება და ნება, ისეთივეა თქვენ მიერ შემეცნებული თქვენივე სული.**

მხოლოდ აზროვნებით ხდება სულიერი ამაღლება.

ასევე, ევოლუცია უნდა განიცადოს ერის, საზოგადოების სულმა – ობიექტურმა სულმა. საზოგადოების მიერ შექმნილმა ფორმებმა – სამართალმა, ზნეობამ,...

სხვა გზა არ არსებობს და ამას მხოლოდ სულიწმიდა შეგვაძლებინებს, რადგან ის ერთადერთი წმინდა გონი, წმინდა ენერგია, აბსოლუტის წმინდა სულია, რომელიც გადმოდის ქრისტეს ყოფიერებისგან, რეალობისგან განსხვავებულ ჩვენს ყოფიერებაში, ნეორეალობაში.

როგორც აღვნიშნეთ, სულიწმიდა გახსნილია თითოეულ ჩვენგანში, როგორც უდიადესი პოტენციალი, იმისი შემეცნების საფუძველი, თუ რა ვარ მე, რაა ეს სამყარო, რაა ის უმაღლესი, რომელთანაც სინთეზისთვის სწრაფვის გარეშე ფასეულობას არ წარმოვადგენ.

დიახ, ესაა უდიადესი სამების შემადგენილი სულიწმიდა, გონივრულობა, რაც გადმომეცა მამისაგან, რათა წინააღმდეგობით შევიმეცნო ქრისტე, სიყვარული, თავისუფლება, სამყარო.

დიახ, სულიწმიდა ჩვენი გონივრულობის ის პოტენციალია, რასაც გავურბივართ, რასაც ვემალებით, რასაც ჯიუტად არ ვიყენებთ. ეს ის გონივრულობაა, რომლის არმიღებით ჩვენი ცხოვრება სატანჯველად, ჯოჯოხეთად ვაქციეთ.

სწორედ ამიტომ ვართ ქედმოდრეკილნი, დაჩოქილნი, სულიერი და მატერიალური შიმშილისთვის განწირულნი. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი ყოფიერება გამსჭვალულია **უმაღლესით – აბსოლუტური გონით, აბსოლუტური იდეით, აბსოლუტური გრძნობით, აბსოლუტური აზროვნებით, აბსოლუტური კანონზომიერებით, აბსოლუტური სიყვარულით, აბსოლუტური ცოდნით,...** ეს მართლაც პარადოქსია.

აქ უნდა გავბედოთ და მკვეთრად, ნათლად, გასაგებად განვაცხადოთ, რომ გრძნობა, აზროვნება, გონი, ცნობიერება, ცოდნა, ენერგია,... და ყოფიერება განცალკევებული ცნებებია ჩვენს დაქვეითებულ ცნობიერებაში, ხოლო ჩვენი ცნობიერების მიღმა განუცალკევებელი, „იგივური" ცნებებია. ეს ცნებები არსებობენ ჩვენგან დამოუკიდებლად. ისინი განგვჭოლავენ ჩვენ და არა ჩვენ – მათ. ეს ჩვენ ვართ გრძნობის, აზროვნების, გონის, ცნობიერების, ცოდნის, ენერგიის, შემოქმედების, პროდუქტი და არა ისინი – ჩვენი.

დიახ, გრძნობა, აზროვნება, გონი, ცნობიერება, ცოდნა, ენერგია,... და ყოფიერება ერთი არსის შემადგენელი ისეთი ნაწილებია, რომელიც ამ ერთობის, მთლიანობის, „იგივურობის" გარეშე არ არსებობს. განდევნეთ ერთი მათგანი თქვენი არსიდან და გაქრება ყველა.

ჩვენ იძულებულნი ვიყავით, გაგვეცალკევებინა ისინი, რათა როგორმე, შეძლებისდაგვარად გავრკვეულიყავით საკუთარ არსში, საკუთარ ყოფიერებაში.

დიახ, შემეცნების დროს იძულებულნი ვართ, მოვახდინოთ მათი განმხოლოება, რათა ჩავწვდეთ კანონზომიერებას და შევქმნათ ცოდნა. თუმცა, როცა გვგონია, რომ „ცოდნით ავმაღლდით", გვავიწყდება, რომ ისინი ჩვენვე გავაცალკევეთ და ჩვენივე სრულყოფისთვის აუცილებელია მათი კვლავ გაერთიანება. და ამით, ჩვენს ისედაც უსუსურ, უაზრო არსებობას უფრო ვამძიმებთ.

საკმარისია, მცირედი დაფიქრება, რათა მივხვდეთ:

– არავითარი ყოფიერება, განვითარება არ არსებობს გრძნობის გარეშე
– არავითარი განვითარება არ არსებობს გონის გარეშე
– არავითარი განვითარება არ არსებობს აზროვნების გარეშე
– არავითარი განვითარება არ არსებობს ცნობიერების გარეშე
– არავითარი განვითარება არ არსებობს ცოდნის გარეშე
– არავითარი განვითარება არ არსებობს ენერგიის გარეშე
– არავითარი განვითარება არ არსებობს ყოფიერების გარეშე.

ჩანართი

მართლაც, თუ გადავხედავთ სამყაროს ისტორიას მისი შექმნიდან, დიდი აფეთქებიდან დღემდე, შევამჩნევთ, რომ მისი ევოლუცია ისეა ჩაფიქრებული, რომ მასში აუცილებლად უნდა დაბადებულიყო ადამიანი.

მერწმუნეთ, საკმარისია, რომ სამყაროს კანონზომიერების ფუნდამენტური მუდმივები, როგორიცაა მაგ., პლანკის მუდმივა, სინათლის სიჩქარე, ელექტრონისა და პროტონის მასა, თუნდაც უსასრულოდ მცირედ განსხვავებული ყოფილიყო, არ იქნებოდა სიცოცხლე, არ იქნებოდა ადამიანი. საკმარისია, წყლის სიმკვრივე, მისი თხევადი აგრეგატული მდგომარეობის ტემპერატურული სკალა არ ყოფილიყო ისეთი, როგორიც არის, შეუძლებელი იქნებოდა სიცოცხლე.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამყარო ეს ის საცხოვრებელი არეალია, რომელიც წინასწარ გაამზადეს ადამიანისთვის.

სამყარო გამოიყურება, როგორც გრანდიოზული, დაცული, საოცრად ლამაზი სივრცე, განათებული ვარსკვლავებით, სადაც აღმართულია ადამიანისთვის სპეციალურად შექმნილი საცხოვრებელი სასახლე. და ყოველივე ეს ისეთი გენიალური კანონზომიერებით, უნიკალური არქიტექტურითაა წარმოდგენილი, რომ ხვდები ერთ ჭეშმარიტებას – მანამ, სანამ ეს შეიქმნებოდა, არსებობდა რაღაც აბსოლუტურად გენიალური იდეა, პროექტი, რომლის მიხედვით ჯერ არშექმნილ სამყაროში იქმნებოდა ეს სასახლე, ის კომფორტული საცხოვრებელი, რათა 13,7 მილიარდი წლის შემდეგ ყველაფერი გამზადებული დახვედროდა სამყაროს ყველაზე უნიკალურ მოვლენას – ადამიანს.

სწორედ მას, ადამიანს უნდა შეემეცნებინა საკუთარი თავი და მისთვის შექმნილი გრანდიოზული სილამაზე – სამყარო და ის უდიადესი არქიტექტორი, რომელმაც ეს ყველაფერი შექმნა.

დიახ, სამყაროს კანონზომიერებაშია ჩადებული იმისი დაბადება, ვისაც შეუძლია დაფიქრება, კითხვის დასმა და კითხვაზე პასუხის გაცემა.

სუბიექტურ სულთა ერთობა

არაფერი არსებობს გრძნობის, გონის, აზროვნების, ცნობიერების, ცოდნის, ენერგიის, ყოფიერების გარეშე და ყველაფერ ამას სულიწმიდა ეწოდება, რომლისკენ სწრაფვა მხოლოდ სიყვარულის ენერგიას შეუძლია.

დავფიქრდეთ, რა არის ცნება **ენერგია?** – ესაა რაღაცის შექმნის შესაძლებლობა, პოტენციალი, უნარი, ყოველი ქმედების საფუძველი.

დიახ, ენერგიის გარეშე არაა ქმედება, ქმედების გარეშე კი არაა რეალობა.

ყოველი ქმედება რეალობაა და ყოველი რეალობა – ქმედება.

ენერგია რეალობაა და რეალობა ენერგიაა.

ერთი მხრივ, ენერგიის გარეშე ყოფიერება უბრალოდ ვერც წარმოიქმნებოდა და ვერც იარსებებდა. მეორე მხრივ, მთელი სამყარო გაჟღენთილია გონით, აზრით. თქვენ მაგიდიდან უბრალოდ კალამსაც კი ვერ აიღებთ, თუ ამ ქმედების საფუძველი არაა აზრი – „მე უნდა ავიღო კალამი".

თუ ვინმე დატოვა გონმა, აზრმა ეს იმას ნიშნავს, რომ მას აღარ აქვს ცნობიერება, ცოდნა, ქმედების ენერგია. ეს, თავის მხრივ, სხვა არაფერია, ვიდრე მისი არსიდან სიცოცხლის გადინება. და პირიქით, თუ ვინმეში შედის გრძნობა, გონი, აზრი, ცნობიერება, ცოდნა,... ეს იმას ნიშნავს, რომ მასში შედის ენერგია, სიცოცხლე.

დიახ, გონი, აზრი, მგრძნობელობა თქვენი ტვინის მეშვეობით მართავს გულისცემას, სისხლძარღვთა სისტემას, ნივთიერებათა ცვლას, მთელ კუნთოვან სისტემას,... და ამით ქმნის იმას, რასაც თქვენი სიცოცხლე ჰქვია.

ვიმეორებთ, დაარღვიეთ გრძნობის, გონის, აზრის, ცნობიერების, ცოდნის, ენერგიის „იგივურობა" და ვერც კი მიხვდებით, თუ როგორ დაეშვით.

დიახ, ვერც ჩვენ და ვერც ჩვენი შემდგომი თაობები შეამჩნევენ, თუ როგორ და რატომ დავეცით, როგორც ჩვენ ვერ ვიაზრებთ ჩვენი წინაპრების საყრდენის გამოცლის, დაცემისა და დეგრადირების მიზეზებს.

მოდით, ამ გაერთიანების გზაზე ახლა მაინც გადავდგათ თამამი ნაბიჯი.

ისე, ჩვენში დარჩეს და, ამ ერთობაში – გრძნობა, აზროვნება, გონი, ცნობიერება, ცოდნა, ენერგია,... და ყოფიერება – ხომ არ გეცნოთ რამე?

დიახ, ეს ყველაფერი ისაა, რასაც ჩვენ **სულს** ვუწოდებთ.

დიახ, **სული** არის გრძნობა, გონი, აზრი, შემეცნება, ცოდნა, ენერგია,...

ესაა ჩვენი არსის საფუძველი.

ამიტომ არ არსებობს ისეთი რამ, რასაც მასზე ზემოქმედება შეუძლია. ყველაფერზე ზემოქმედება შეუძლია მხოლოდ მას, სულს.

სულის გარეშე არაა შემეცნება, თვითშემეცნება, შემოქმედება.

დიახ, მთელი ჩვენი ყოფიერება გაჟღენთილია იმ წმინდა გონით, იმ წმინდა ენერგიით, სულით, რასაც ჩვენ სულიწმიდას ვუწოდებთ.

კონკრეტულ სულთა ერთობა სულიწმიდის გაბრწყინებაა.

დიახ, სულიწმიდა ანიჭებს ჩვენს ყოფიერებას სიცოცხლეს.

ის განფენილია ყველაფერში. სულიწმიდა, წმინდა გონი თითოეულ ჩვენგანშია გადმოსული.

შესაბამისად, თუ გვინდა, შევწვდეთ სულიწმიდას, უცილობლად მოგვიწევს ჩვენი, ყველას სულის, გონის, ენერგიის გაერთიანება და ეს უნდა შევძლოთ (ნაწილობრივ მაინც), რადგან ეს შესაძლებელია.

გთხოვთ, გადაიკითხოთ 222-ე გვერდი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ აშმორებული ჭაობიდან ამოსვლა, რასაც ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ჰქვია, უბრალოდ შეუძლებელია.

ამიტომ, იქნებ გავბედოთ გონივრული და არა ბრმა ნაბიჯის გადადგმა მისკენ, რასაც **სამება – მამა, ძე და სულიწმიდა ეწოდება,** რათა აღსრულდეს სოციუმის ჭეშმარიტი სულის გადასვლა ამაღლებულ, მისდამი „გაუცხოებულ" დონეზე, რაც ნიშნავს **სვლას ჯუნგლის კანონიდან ათი მცნებისკენ.**

მხოლოდ ქვედა დონეზე დარჩენილნი, მონური, ბრმა რწმენით შეპყრობილნი, ცხოველური შიშით დაფეთებულნი გაურბიან ღმერთის, სამების, სამყაროს, საგნებისა და მოვლენების გააზრებს.

დაქვეითებულნი ვერ ხვდებიან, რომ სულის თავისუფლება მიიღწევა არა უმაღლესისგან, საგნებისა და მოვლენებისგან გაქცევით, არამედ მათში გახსნილი ჭეშმარიტი არსის ძიებით, შემეცნებით.

ჭეშმარიტი შემეცნება არის შემმეცნებლისა და შესამეცნებლის, სუბიექტისა და ობიექტის იგივურობა.

ასეთი ჭეშმარიტებაა ჭეშმარიტება ერთისთვისაც და მეორესთვისაც – **„შეიმეცნეთ ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ".**

შენ, სხვა, ნებისმიერი საგანი, სამყარო ჭეშმარიტად არსებობს მხოლოდ ჩემთან, შენთან ერთად, ყველასთან ერთად და ეს ერთობა შინაგანი ლოგიკური კავშირებით იქმნება.

ცნებებში – **შენ, მე –** არ არსებობს არაფერი ისეთი, რომელიც არაა სინამდვილე და სამყაროში, არსებულ სინამდვილეში არაფერია ისეთი, რაც არაა მოცემული ცნებებში – **შენ, მე**.

აქ უმთავრესია, გავერკვე, თუ როგორ დავინახო, როგორ შევწვდე **მე,** როგორც სუბიექტი ამ სინამდვილეს.

ცხადია, სუბიექტური სული, აზროვნება დამოკიდებულია სუბიექტის მდგომარეობაზე, გარემოზე, ტემპერამენტზე, სქესზე, ასაკზე და ა.შ.

რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს სუბიექტი, თუ მას გააჩნია მიზანი, სიცოცხლის წყურვილი, მაშინ მისი სული გრძნობითი რწმენიდან აღქმით, განსჯის გავლით გონივრულობამდე მაღლდება.

მხოლოდ ამის შემდეგ გადადის სუბიექტური სული ობიექტურ სულში. **ობიექტური სულის გამოვლენის პირველი ნიშანი სიმართლეზე დაფუძნებული, სამართლის გააზრების მოთხოვნილებაა.**

სიმართლის დადგენა კი, თავის მხრივ, ითხოვს სიკეთისა და ბოროტების, შესაბამისად ეთიკის არსის გააზრებას.

აქედან გამომდინარე, ობიექტურ სულში იბადება ის ზნეობრივი სუბსტანცია, რაც აუცილებლად უნდა გამოვლინდეს საზოგადოებაში, სახელმწიფოში. თუ ეს ზნეობრივი სუბსტანცია ნათლად არ იკვეთება, მაშინ განვითარებად საზოგადოებაზე საუბარი აზრს მოკლებულია. და თუ ეს ზნეობრივი სუბსტანცია ნათლად არის გამოსახული, მაშინ საქმე გვაქვს იმ ობიექტური სულის გამოვლენასთან, რასაც სახელმწიფო ჰქვია.

სწორედ ამ ობიექტური სულის გამოვლენას ეხება ეს წიგნი, რასაც ახლა კითხულობთ.

შესაბამისად, ჩვენთვის **სახელმწიფო ესაა ობიექტური სულის, უმაღლესი გონის გამოვლენა, სრული გამოსახვა.**

განზოგადებული, სრულყოფამდე ამაღლებული ობიექტური სული უკვე არის **სუბიექტურ სულთა ერთობა.** რაც, თავის მხრივ, სხვა არაფერია, **ვიდრე სულიწმიდა**.

მეორე მხრივ, უმაღლესი ეთიკის, ქრისტეს არსის სინთეზი სულიწმიდასთან არის ღმერთი. სწორედ ამიტომ ხედავს ჰეგელი სახელმწიფოში ღმერთს.

დიახ, ჰეგელისთვისაც და ჩვენთვისაც **სახელმწიფო არის ღმერთის სვლა ამ ცოდვილ მიწაზე.** მხოლოდ ასეთ სახელმწიფოში, ყველას ერთობაშია შესაძლებელი თითოეული ადამიანის თავისუფლება.

ჰეგელის აზრით, სადაც არ არის უმაღლესისკენ სვლა, მიზანი, სადაც არაა სულთა ერთობის განცდა, იქ:

მხოლოდ ერთია „თავისუფალი" და ის დიქტატორია.

ჩვენი მიზანი კი სულთა ერთობის მიღწევაა, ისეთი სახელმწიფოს შექმნა, სადაც ყველა თავისუფალია.

დიახ, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ასეთ ამაღლებულ საზოგადოებაში, სახელმწიფოში, მჟღავნდება სულიწმიდა და ვლინდება როგორც რეალობა – **ხელოვნებაში, რელიგიაში, ფილოსოფიაში.**

სულთა ერთობის გამოვლინება – ხელოვნება, სილამაზე – სხვა არაფერია, ვიდრე ჩემი გრძნობითი ორგანოებით შენში (სასრულში, კონკრეტულში) აბსოლუტური იდეის გამოვლენა, დანახვა, შემეცნება. მხოლოდ ამ შემეცნების შემდეგ ხვდები, თუ რას ნიშნავს სამი სიტყვა:

– გიყვარდეს მოყვასი შენი.

ბუნებაში არსებულ სილამაზეს გამოვლენა არ სჭირდება, ის პირდაპირ შენ წინ დევს. მიუხედავად იმისა, რომ ბუნების ეს სილამაზე არის აბსოლუტური იდეის არაცნობიერი მკრთალი ანარეკლი, თავისი გრანდიოზულობით ის მაინც აოცებს მგრძნობიარე ადამიანს.

და თუ ეს მკრთალი ანარეკლი გვაოცებს, მაშინ წარმოიდგინე რა ბრწყინვალე სილამაზე დევს შენში, როგორც ბუნების გვირგვინში, რომელიც მე შეიძლება ჩემი დაქვეითებული მგრძნობელობით ვერც კი დავინახო.

აი, რატომ ვოცნებობ, ვიყო მგრძნობიარე, ხელოვანი.

აი, რატომ მინდა, რომ ჩემი მგრძნობიარე სამყაროს ცნობიერ სამყაროსთან ურთიერთობით, ჰარმონიით შევძლო შენი და შენში მთელი სამყაროს დანახვა.

მხოლოდ ამ ჰარმონიაში ხდება შენი, მთელი სამყაროს უმაღლესი ხარისხით გასხივოსნება და დასანანია, ძალიან დასანანი, რომ ამ სილამაზეს მხოლოდ მგრძნობიარე ადამიანები ხედავენ.

რელიგიაში აბსოლუტური იდეა მჟღავნდება უფრო ობიექტურად და იმავდროულად ღრმა სუბიექტური ხასიათით, ვიდრე ხელოვნებაში.

ამიტომ გვეხსნება აბსოლუტი როგორც ზეადამიანი.

ეს ზეადამიანურობა მოგვიწოდებს, ვისწრაფოთ მისკენ, ვეცადოთ მივუახლოვდეთ მას.

ეს სწრაფვა, მუდმივი ამაღლება რეალურია მხოლოდ ისეთ სისტემაში, სადაც უმაღლესი, აბსოლუტური სული განიხილება როგორც სასრულთა უსასრულო ერთობა.

მხოლოდ ასეთ საზოგადოებაშია შესაძლებელი, რომ **ადამიანური ცოდნა ღმერთზე, ადამიანში ღმერთის არსებობის ცოდნაში გადავიდეს.**

ეს იგივეა,

— ადამიანური ცოდნა განვითარებაზე, ადამიანში განვითარების არსებობის ცოდნაში გადავიდეს.

ღმერთის მიერ საკუთარი თავის შემეცნება არის ადამიანის თვითშემეცნება.

ადამიანის თვითშემეცნება სამყაროს შემეცნებაა.

ესაა თავისუფლება.

სწორედ ეს, თვითშემეცნებისკენ სწრაფვა გვავალდებულებს, უფრო ღრმად განვიხილოთ ყველაფრის საწყისი, აბსოლუტი — სამება.

ჩანართი

სიკეთე და ბოროტება 1.

გაუნათლებლობა თავისთავად ნიშნავს სიბრძნის არარსებობას. სიბრძნის არარსებობა ჩვენს სამყაროში ქმნის იმ სიცარიელეს, ვაკანსიას, რასაც ცოდვას ვუწოდებთ.

ჩემი სრულყოფის გზაზე ხელს მიშლის უმეცრება, სიცარიელე. ამბობენ, რომ ჩემსა და უმაღლესს შორის დგას სატანა.

ჩვენი ღრმა რწმენით, სიკეთეს აქვს საფუძველი და ეს ღმერთია.

ბოროტებას საწყისი, საფუძველი არა აქვს და ის სიკეთის, გონის, სიბრძნის უარყოფაა.

ისმის კითხვა: ის, რასაც საწყისი, საფუძველი არა აქვს, რაც საწყისში არ არსებობს, როგორ მიქმნის პრობლემას განღმრთობის, თეოზისის გზაზე?

თითქოს კოლიზიას ვაწყდებით: ერთი მხრივ, ის არ არსებობს და, მეორე მხრივ, ის მკვეთრად გამოსახული რეალობაა.

ეს კოლიზია ახსნას საჭიროებს.

სამება

საწყისი, აბსოლუტი, **ღმერთი** მეცხადება სამებით — **მამა, ძე, სულიწმიდა**. ხომ არაა ეს მინიშნება, რომ სამყაროს შემეცნება უნდა ეფუძნებოდეს მიწიერ სამებას.

რას ვგულისხმობთ მიწიერ სამებაში?

მართლაც, აბსოლუტის შეძლებისდაგვარად შემეცნება უდიადესი სამების — **მამა, ძე, სულიწმიდა** — გააზრებით მიიღწევა. თვით ამ სამების გააზრება კი იმ სამებით ვცადოთ, რასაც მეცნიერებას, ფილოსოფიას, თეოლოგიას ვუწოდებთ.

ჩვენ უკვე განვიხილეთ, თუ რა სირთულეების მომცველია სუბიექტის, ობიექტის, სამყაროს შემეცნება სამების — თეოლოგიის, ფილოსოფიისა და მეცნიერების — ერთიანი, ჰარმონიული ხედვის კუთხიდან.

ერთი მხრივ, სამყაროს მთლიანი სურათის დანახვა ამ სამების გარეშე შეუძლებელია. მეორე მხრივ, იმ ურთულეს პრობლემას ვაწყდებით, რაც შეიძლება ზუსტ მეცნიერებაში სამი წერტილის ამოცანას შევადაროთ. საქმე იმაშია, რომ თითოეულ დისციპლინას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შემეცნების ფორმა და პრინციპები, რომელთა შეთანხმება და საერთო აზრამდე, დასკვნამდე მიყვანა პრაქტიკულად ურთულეს ამოცანას წარმოადგენს.

სამი წერტილის ამოცანის ამოხსნის პრობლემის არსი შემდეგშია: – თუ ჩემთვის ცნობილია ერთი მატერიალური წერტილის კოორდინატები და მისი სიჩქარე, მაშინ მე დიდი სიზუსტით შემიძლია გავთვალო ამ მატერიალური წერტილის მოძრაობის ყველა ნიუანსი. თუ ჩვენ გვაინტერესებს არა ერთი, არამედ ორი სხეულის, მაგ., მზისა და დედამიწის ურთიერთქმედება, ეს ამოცანა, მიუხედავად სირთულისა, მაინც ამოხსნადია დამაკმაყოფილებელი სიზუსტით. თუმცა, თუ ვიხილავთ არა ორი (მზე, დედამიწა), არამედ სამი სხეულის – მზე, დედამიწა, მთვარის ურთიერთქმედებას, მაშინ აღნიშნული პრობლემა ისე რთულდება, რომ ამ ამოცანის ზოგადი ამოხსნა, სამწუხაროდ, საერთოდ არ არსებობს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი დამოუკიდებელი ობიექტის ქმედების შემეცნება, დახასიათება არ წარმოადგენს სირთულეს. ორი ობიექტის ურთიერთობის დიდი სიზუტით განსაზღვრა საკმაოდ რთული, მაგრამ ამოხნადი ამოცანაა. სამი ობიექტის ურთიერთგავლენის შედეგის მაღალი სიზუსტით დადგენა კი პრაქტიკულად ამოუხსნელ ამოცანად რჩება.

ხომ არ ჰგავს რელიგიას, ფილოსოფიას და მეცნიერებას შორის ჰარმონიული ურთიერთობის დამყარების მცდელობა სამი წერტილის ამოცანასთან დაკავშირებულ პრობლემას?

პრობლემის არსი, ჩვენი მიწიერი სამების შემთხვევაში, მარტივად რომ ვთქვათ, შემდეგშია: რაიმე საკითხის მეცნიერულ და ფილოსოფიურ ჭრილში განხილვისას ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები იკვეთება. რაც შეეხება სამყაროზე რელიგიურ შეხედულებებს, ხშირ შემთხვევაში ის მკვეთრ წინააღმდეგობაში მოდის მეცნიერებასა და ფილოსოფიასთან.

გამოდის, რომ სახეზეა სამყაროს შემეცნების სამი ფორმა ხშირად ურთიერთგამომრიცხავი დასკვნებით.

ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ მეცნიერებას, ფილოსოფიასა და რელიგიას შორის არსებობს წინააღმდეგობრივი შეხედულებანი, არამედ თავად მეცნიერებაშიც (ასევე ფილოსოფიასა და რელიგიაშიც). ერთსა და იმავე საკითხზე მრავალი ურთიერთგამომრიცხავი მიდგომა და მოსაზრება ყალიბდება. აქედან ცხადია, თუ როგორ რთულდება ამოცანა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვისას, პრობლემის შესამსუბუქებლად, ფილოსოფიასა და მეცნიერებაში ორიგინალური დაშვებით შეიძლება საერთო დასკვნა გამოვიტანოთ: – გარკვეულ საკითხებში

მეცნიერული და ფილოსოფიური ხედვის მიყვანა ერთ აზრამდე მეტ-ნაკლებად შესაძლებელია. თუმცა, იმავე საკითხის იმავდროულად თეოლოგიური ხედვის კუთხიდან განხილვა და საერთო მეცნიერულ, ფილოსოფიურ, თეოლოგიურ დასკვნამდე მისვლა კი, სამწუხაროდ, პრაქტიკულად შეუძლებელია.

რჩება ერთადერთი გზა – სამყაროს შემეცნების ამ სამ ფორმაში ერთ-ერთი აქსიომატურად, კონსტანტად, პოსტულატად გამოვაცხადოთ. სამიდან ერთ-ერთი ფორმის კონსტანტად გამოცხადება მუდმივი არ არის, ის ცვალებადია იმის მიხედვით, თუ რა სახის პრობლემა დგას ჩვენ წინაშე. მაგ., თუ გაგვიჩნდა კითხვა: – არსებობს თუ არა სიცოცხლე მარსზე? – მაშინ მეცნიერული თვალთახედვა ამ შემთხვევაში არასადისკუსიო და აქსიომატურია, ხოლო ფილოსოფიური და რელიგიური ხედვა ჰარმონიაში უნდა მოვიდეს მეცნიერულ ხედვასთან.

თავისთავად ცხადია, თუ საქმე ეხება სოციალურ პრობლემას, მაშინ ჩვენი აზრით, აქსიომატურად უნდა გამოცხადდეს თეოლოგია, როგორც ეთიკის საფუძველი, რადგან ეთიკა განიხილება როგორც საზოგადოების ჩამოყალიბების ფუნდამენტი.

მართლაც, ძნელია ეთიკის საფუძველი – გიყვარდეს მოყვასი შენი – სადისკუსიო გახადო.

ზემოაღნიშნული მსჯელობით სამი წერტილის ამოცანა მარტივდება. ეთიკა, როგორც უმაღლეს ფასეულობათა იერარქია, როგორც უცვლელი, მუდმივი სიდიდე ცხადდება პოსტულატად, აქსიომატურად, ხოლო ფილოსოფიური და მეცნიერული ხედვა ჰარმონიაში მოდის ერთმანეთთან და, რაც მთავარია, ამ უმაღლეს ფასეულობასთან.

ამრიგად, სოციუმის პრობლემის გადასაჭრელად მეცნიერული, ფილოსოფიური და თეოლოგიური ხედვა ჰარმონიაში მოდის ერთმანეთთან. შემეცნების ამ სამი ფორმის ერთმანეთთან ჰარმონიაში მოყვანა ჭეშმარიტებასთან, აბსოლუტთან მიახლოებას ნიშნავს.

თუ ამგვარი მსჯელობა თქვენთვის მისაღებია, მაშინ უდიადეს სამებაში – **მამა, ძე, სულიწმიდა – მამა**, შემოქმედი ცხადდება ყველაფრის საფუძვლად, კონსტანტად, პოსტულატად. ხოლო ჰარმონია, სინთეზი **ძესა** და **სულიწმიდის** ურთიერთობაში ვეძებოთ.

რადგან სამყაროს, ღმერთის შემეცნება ქრისტესა და ჩვენში გახსნილ სულიწმიდას შორის დიალექტიკით მიმდინარეობს, მაშინ ფილოსოფიური თვალთახედვიდან გამომდინარე:

მერეალობა – იგივე **ქრისტე** განვიხილოთ როგორც **თეზისი.**

არამერეალობა – სულიწმიდა – ანტითეზისი.

შესაბამისად, თეზისისა და ანტითეზისის სინთეზი არის უმაღლესამდე ამაღლების ერთადერთი გზა.

დიახ, სულიწმიდის გახსნა ქრისტეში, მათი სინთეზი – ყველა ჩვენგანის გახსნა ქრისტეში არის ერთადეთი გზა უმაღლესისკენ, ჭეშმარიტებისკენ, აბსოლუტური კანონზომიერებისკენ.

და ოდესმე უნდა მივხვდეთ, რომ აუცილებელია ერთმანეთთან სულთა (გონთა) ჰარმონია, რათა ქრისტესკენ, უმაღლესი ჭეშმარიტებისკენ გადავდგათ ნაბიჯი, გავიხსნათ ქრისტეში.

უმთავრესია ინდივიდუალიზმიდან სულიწმიდის უმაღლეს გონივრულობამდე ამაღლება, რაც ჩვენ შორის კონგენიალობას დაამკვიდრებს და ეს იქნება უმაღლესი კანონზომიერებისკენ გადადგმული პირველი მძლავრი ნაბიჯი.

მარტო ვერსად მიხვალ!

კონგენიალობის საფუძველს სწორედ უმაღლეს ფასეულობებზე, ურთიერთობის ნორმებზე, ეთიკაზე გონივრული შეთანხმება წარმოადგენს.

როგორც შევთანხმდით, სამებაში – **თეოლოგია, ფილოსოფია, მეცნიერება** – აქსიომატურად ცხადდება **თეოლოგია**, როგორც ურთიერთობის ნორმების, ეთიკის საფუძველი. თუნდაც იმ ცხადი ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, რომ ეთიკის, ზნეობის გარეშე მეცნიერება და ფილოსოფია შესაძლოა ადამიანთა მოდგმისთვის დამღუპველიც კი აღმოჩნდეს (მაგ., მაკიაველის, ჰობსის თეორიები, ხიროსიმა, ნაგასაკის ტრაგედია).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ფილოსოფიას განვიხილავთ როგორც **თეზისს**, მეცნიერებას – როგორც **ანტითეზისს** (სინთეზის პროცესში კი განმსაზღვრელია თეოლოგია როგორც აქსიომატური), მაშინ:

ფილოსოფიას (თეზისი) + **მეცნიერება** (ანტითეზისი) = უმაღლეს ფასეულობათა **შემეცნებას,** იგივე **ეთიკას** (სინთეზს).

ამრიგად, ეთიკამ უნდა განსაზღვროს, თუ რა ავიღოთ მეცნიერებიდან და რა – ფილოსოფიიდან.

მსგავსი მსჯელობით ყოფიერება ასევე შეგვიძლია წარმოვადგინოთ სამებით: **გრძნობა, გონივრულობა, ქმედება.**

მართლაც, ამ ყოფიერებაში ადამიანის არსებობისთვის აუცილებელია **გრძნობა,** მგრძნობელობა, **გონივრულობა,** განსჯა და **ქმედება.**

ვიღებთ სამებას – **გრძნობა, გონივრულობა, ქმედება** (ამავე დროს ვითვალისწინებთ, რომ ზოგადად ცნება სამებაში იერარქია არ არსებობს).

თუ გრძნობას გამოვაცხადებთ აქსიომატურად, მაშინ გონების – **თეზისის,** ქმედების – **ანტითეზისის** სინთეზით მივიღებთ **ცხოვრებას** (აქ გონივრული ცხოვრება იგულისხმება).

დასკვნა:

I – შემეცნებისთვის აუცილებელი სამებაა თეოლოგია, ფილოსოფია, მეცნიერება.

II – ცხოვრების აზრისთვის აუცილებელი სამებაა გრძნობა, გონივრულობა, ქმედება.

ფუნდამენტური კითხვა – საერთოდ **რისთვის** გვჭირდება ეს მსჯელობა?

მართლაც, **რისთვის** დასჭირდა უმაღლესს თვითშემეცნება და ამისთვის ჩემი, შენი, ყველას, სამყაროს შექმნა?

იმ უბადრუკი, დაქვეთებული არსებობისთვის, რასაც გარშემო ვხედავთ?

ტანჯვისთვის, ტკივილისა და სიკვდილისთვის?

— არა!

ნუ წახვალთ მორჩილებისკენ, ტანჯვისკენ, ტკივილისკენ, სიკვდილისკენ. იქ ის გაუშვით, ვინც გეუბნებათ, რომ მორჩილებისთვის, ტანჯვის, ტკივილისა და სიკვდილისთვის ვართ გაჩენილნი.

რადგან ყველაფერი, რასაც ვხედავთ და რასაც ვერ ვხედავთ, უმაღლესმა შექმნა ამ სამებისთვის — **მშვენიერება, ჭეშმარიტება, სიყვარული.**

ვინც ამას ვერ ხვდება, რომ უმაღლესმა, აბსოლუტმა ეს სამყარო ბედნიერებისთვის შექმნა, ასეთი თავის თავში ანადგურებს ღმერთს და უბედურება იმაშია, რომ სხვასაც მორჩილებისკენ, ტანჯვისკენ, ტკივილისკენ, სიკვდილისკენ მოუწოდებს.

ასეთებს მივმართავთ: — **ნუ ეძებთ სატანას ნურც ქვესკნელში, ნურც ზესკნელში, ეძიეთ ის საკუთარ არსში.**

ჩვენთვის კი სამყარო **მშვენიერების, ჭეშმარიტების, სიყვარულის — ბედნიერების გამოვლენის არეალია.**

სვლა ამ უდიადესი სამებისკენ ყოფიერების იმ არეალში იწყება, რასაც ცხოვრებას ვუწოდებეთ.

სამება — **მშვენიერება, ჭეშმარიტება, სიყვარული** — ქმნის ყოფიერების უმაღლეს ფორმას — **სიცოცხლეს.** ის რადიკალურად განსხვავდება იმ არსებობისგან, ცხოვრებისგან, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით.

შესაბამისად, ვიღებთ:

სიცოცხლე — მშვენიერება, ჭეშმარიტება, სიყვარული.

დიახ, სიცოცხლის — სიყვარულის, მშვენიერების, ჭეშმარიტების შემოსვლა ჩვენს არსში სხვა არაფერია, თუ არა ბედნიერება.

მან ყველაფერი სიცოცხლისთვის შექმნა.

მაშ ასე, მივიღეთ ჩვენი ყოფიერების სამებათა სამება:

I შემეცნება — თეოლოგია, ფილოსოფია, მეცნიერება.

II ცხოვრება — გრძნობა, გონივრულობა, ქმედება.

III სიცოცხლე — სიყვარული, მშვენიერება, ჭეშმარიტება.

როგორც უმაღლეს სამებაში — **მამა, ძე, სულიწმიდა** — იერარქია არ არსებობს, ასევე სიცოცხლის სამებაში — **სიყვარული, მშვენიერება, ჭეშმარიტება** — შეუძლებელია, რომელიმეს უპირატესობა მიანიჭო.

იმ უნიკალურ ფენომენს, რასაც **სიცოცხლეს** ვუწოდებთ — **სიყვარული, მშვენიერება, ჭეშმარიტება,** გამოაცალეთ ამათგან რომელიმე და სიცოცხლეც გაქრება.

ჩვენ შევეცადეთ, გავრკვეულიყავით იმ უნიკალურ ფენომენში, რასაც სულიწმიდა ეწოდება. ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ხშირად სულიწმიდაში სიცოცხლის ძალა იგულისხმება.

სიცოცხლის ძალაა გრძნობა, სიყვარული, მშვენიერება გახსნილი ჭეშმარიტებაში, რეალობაში.

ჩანართი

სიკეთე და ბოროტება 2.

დავუბრუნდეთ ზემოთ განხილულ კოლიზიას: ერთი მხრივ, თითქოს ბოროტება არ არსებობს და მეორე მხრივ, ის მკვეთრად გამოსახული რეალობაა.

სიკეთე აბსოლუტური გონის გონივრულობის გამომსახველობაა.

შესაბამისად, მისითაა გაჟღენთილი ეს სამყარო.

სამყაროს არ ახასიათებს ერთგვაროვნება, ის ნაწილაკობრივია: გალაქტიკები, პლანეტები, ხეები, ქვები,... მაგრამ, ამითაც არ თავდება, ყველა ის საგანი, რომელიც ჩვენ მთლიანობად გვეჩვენება, ნაწილაკებისგან, ატომებისგან შედგება. ნაწილაკი, რომელსაც ჩვენ ატომს ვუწოდებთ, ესაა ურთულესი სისტემა, რომელიც სამყაროს კანონზომიერებას ექვემდებარება. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ყოველი ნაწილაკი ენერგიის შემკვრივებაა, რომელიც გაჟღენთილია აბსოლუტური გონით, კანონზომიერებით, სიბრძნით.

შესაბამისად, შემოგთავაზებთ კრისტალს, როგორც სამყაროს ნაწილაკობრივი სისტემის მოდელს.

სამყარო უნიკალური კანონზომიერებითაა შექმნილი. ამ კანონზომიერების გააზრება ფორმალური ლოგიკით შეუძლებელია. ის მხოლოდ სიბრძნით, კვანტური ლოგიკით შეიძლება გავიაზროთ.

ჩვენი ყოფიერება, სამყარო უდიდესი პოტენციალით, სიბრძნითაა გაჟღენთილი. სამყარო უდიადესი სისტემაა, რომელიც მრავალი ელემენტისგან შედგება. როგორც აღვნიშნეთ, თითოეულ ელემენტში კონცენტრირებულია სიბრძნე, ამ ელემენტთა სიბრძნის ერთობა კი ქმნის გონს, აბსოლუტურ გონს.

მაგალითისთვის განვიხილოთ მოწესრიგებული სისტემა, კრისტალი დეფექტით – იქ, სადაც ატომი უნდა მჯდარიყო, არ ზის და გვაქვს სიცარიელე. ასეთ დეფექტს ფიზიკაში ვაკანსიას ვუწოდებთ.

ცხადია, კრისტალის ყოველი ატომი, კვანძი გაჟღენთილია „სიბრძნით" და გვაქვს ელემენტარულ სიბრძნეთა ერთობლიობა. გამოდის, რომ კრისტალში არსებული ვაკანსია არის სიცარიელე, სადაც არ არსებობს სიბრძნე, გონივრულობა, სიკეთე.

ჩვენი ღრმა რწმენით, სიბრძნის, გონივრულობის, სიკეთის არარსებობა სხვა არაფერია, ვიდრე ბოროტება.

რა საცარიც უნდა იყოს, ბუნებას ახასიათებს სიცარიელის გადაადგილება, მოძრაობა. კრისტალში ვაკანსიის არსებობისას, ალბათობა იმისა, რომ ვაკანსიის მიმდებარედ მყოფი ატომი გადახტება ვაკანსიაში და დაიკავებს ცარიელ ადგილს, საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, გადამხტარი ატომის ადგილზე გაჩნდება სიცარიელე. ასევე, ამ სიცარიელეს დაიკავებს სხვა მიმდებარე ატომი და ეს პროცესი გრძელდება. სწორედ ამ პროცესს უწოდებენ ფიზიკოსები კრისტალში ვაკანსიის, სიცარიელის მოძრაობას.

ბუნების, ფიზიკის კანონზომიერების თანახმად, იმას რაც მოძრაობს, გადაადგილდება, გააჩნია სიჩქარე, აჩქარება, ინერცია. თუ არის აჩქარება, უნდა იყოს მასაც. ამრიგად, ხდება საოცრება, სიცარიელე - არაფერი წარმოგვიდგა როგორც რეალური კვანტური ობიექტი.

გონის, სიბრძნის, სიკეთის არარსებობა, სიცარიელე, აპრიორულად არაფერი ამ ანალოგიით წარმოგვიდგება, როგორც მკვეთრად გამოსახული რეალობა, რომელიც მოძრაობს.

გამოდის, რომ სიბრძნის, სიკეთის, გონის არარსებობა – სიცარიელე მოძრავი ბოროტებაა. ხალხში გავრცელებული სახელწოდებით – ეშმაკი.

ყველაზე მძიმე, სწორედ ამ სიცარიელის სიმძიმეა – უაზრობის, უგუნურების სიმძიმე.

ქრისტემ სწორედ ჩვენში არსებული სიცარიელის, ბოროტების სიმძიმე იტვირთა. მან ჯვარცმით გადალახა ამ სიცარიელის სიმძიმე და ამით ამაღლდა.

ჭეშმარიტება, ინტელექტი და გრძნობა

სიცოცხლის ძალა – სიყვარული, მშვენიერება, ჭეშმარიტება.

სიყვარული, მშვენიერება – გრძნობათა მწვერვალი.

ჭეშმარიტება – ინტელექტის მიზანი.

ნუთუ ამ ნათელ სამებაში გასარკვევად აუცილებელი იყო, განგვეხილა ლინგვისტიკური ფილოსოფია, ეგზისტენციალიზმი, ცხოვრების ფილოსოფია, სოლიფსიზმი, აბსოლუტური იდეალიზმი და ათასგვარი სისულელე?

ხეირის მაძიებელთა კითხვა: – რაში მჭირდებოდა ეს ყველაფერი იმ მარტივი ამოცანის გადასაწყვეტად, რასაც ჩემი საოცნებო ცხოვრება ჰქვია?!

– ამ ყველაფრის იგნორირებით, უგულებელყოფით თუ რა საზოგადოება, სახელმწიფო და რა ცხოვრებაც მივიღეთ, კიდევ ერთხელ გაიხედეთ გარეთ და თვანთლივ დაინახავთ.

როგორც აღვნიშნეთ, **საზოგადოება ქმნის სახელმწიფოს, ხოლო თვით საზოგადოების შესაქმნელად კი აუცილებელია, შეიქმნას კონგენიალთა – უმაღლეს ფასეულობებზე შეთანხმებულთა სისტემა.**

როგორ უნდა დაიბადოს ეს კონგენიალობა, თუ ჯერ არ გავარკვიეთ და მერე არ შევთანხმდით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა **თეოლოგია, ფილოსოფია, მეცნიერება, გრძნობა, გონივრულობა, ქმედება, სიყვარული, მშვენიერება, ჭეშმარიტება,...?**

მართლაც, ჯერ არავის მოუგონია ის ალქიმია, რომელიც ამ უმაღლეს ფასეულობათა გააზრება-შეთანხმების გარეშე საზოგადოებას, სახელმწიფოს ჩამოაყალიბებს.

შესაძლებელია კი ჭეშმარიტების წვდომის გარეშე ადამიანური, ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრება?

ან საერთოდ შესაძლებელია ჭეშმარიტების წვდომა?

და თუ თქვენ ერთი წამითაც კი დაუშვებთ, რომ ჭეშმარიტება მიუღწევადია, თქვენ ემსგავსებით იმ ცინიკოსს, რომლმაც ჭეშმარიტების წინაშე მდგომმა ირონიულად ჰკითხა ჭეშმარიტებას:

– რა არის ჭეშმარიტება?

ეს თქვენ შეგიძლიათ, ხელები დაიბანოთ და დაივიწყოთ, რომ ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა ადამიანის არსში აპრიორულადაა ჩადებული.

ყველა დროსა და სივრცეში ადამიანი ჭეშმარიტების შემეცნებისკენ ისწრაფოდა და რაც უფრო ,,უახლოვდებოდა'' მას, მით უფრო მძაფრი და მტკივნეული იყო კრახი.

და თუ ჭეშმარიტების შეცნობა მიუღწეველია, მაშ რატომ ჩადო მან ჩემში ჭეშმარიტებისკენ სწრაფვის სურვილი?

და თუ ჭეშმარიტება შეუცნობადია, მაშინ საერთოდ რა აზრი აქვს ასეთ არსებობას, ასეთ სიცოცხლეს?

მრავალი ათასი წელი დასჭირდა ადამიანს, რათა მიმხვდარიყო, რომ ადამიანი, როგორც ინდივიდი, ვერასდროს შესწვდება ჭეშმარიტებას.

ჭეშმარიტებისკენ სვლა უნდა დაიწყოს არა ინდივიდმა, არამედ როგორც აბსოლუტის ხატად შექმნილმა, სამყაროს ანარეკლმა და, რაც მთავარია, შემოქმედმა, შემმეცნებელმა.

შემეცნება კი საკუთარ თავთან დიალექტიკით იწყება. დიალექტიკა აუცილებლად მიგიყვანთ იმ ადამიანებთან, ვინც ასევე ხვდებიან, რომ შემოქმედის ხატად არიან მოვლენილნი.

და თუ არაშემმეცნებელნი ქმნიან ილუზიას, მაშინ ჩვენ რატომ ვერ შევძლებთ რეალობის შექმნას?! განა ჩვენში არაა აბსოლუტი?

სწორედ შემმეცნებელნი ქმნიან რეალობას.

რეალობაში გახსნა კი ჭეშმარიტების შემეცნებაა.

რეალობის შემეცნება ადამიანთა სულიერი გამოცდილების გააზრებით იწყება.

აი, შემეცნების კარი კი იმ გასაღებით იღება, რასაც შემოქმედება ჰქვია,

შემოქმედების კარი კი - შემეცნებით.

თუ ამ წრეს გაარღვევ, მიხდები, რომ ჭეშმარიტების ძიება უაზრობაა.

შემოქმედნი თავად ქმნიან ჭეშმარიტებას.

როგორ ფიქრობთ, შემოქმედმა იპოვა, თუ შექმნა ჭეშმარიტება – $\mathbf{E = mc^2}$

გარწმუნებთ, რომ ეს ჭეშმარიტება იმ ამაღლებულთა აზროვნებით შეიქმნა, ვინც შემეცნებას უდიადესის შემოქმედებით მიუდგა.

ფარდობითობის თეორიის ბირთვი, მისი ბაზური მათემატიკური და ფიზიკური პრინციპები ჩამოაყალიბა ჰენდრიკ ანტონ ლორენცმა. ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვით ანრი პუანკარეს და მაქს პლანკს, რომელმაც ტერმინი „ფარდობითობის თეორია" შემოიტანა.

აინშტაინი იმიტომაა აინშტაინი, რომ მან ყველაფერ ამას დასრულებული სისტემური სახე მისცა.

ამიტომ ჰქვია მას აინშტაინის ფარდობითობის თეორია.

თუ შესწვდები ჭეშმარიტების შექმნის ჭეშმარიტებას, მხოლოდ მაშინ გეხსნება სიცოცხლის აზრი.

სიცოცხლის აზრი ერთისთვის მსხვერპლად თავის შეწირვაა, ზოგისთვის – კმაყოფილების მიღება, სხვისთვის – სიკვდილის მოლოდინი, ზოგი უარყოფს და ამტკიცებს, რომ როგორც **ჭეშმარიტების**, ასევე **სიცოცხლის აზრის ძიებას** არავითარი აზრი არა აქვს, იმ მარტივი მიზეზით, რომ ის საერთოდ არ არსებობს.

ჭეშმარიტებასავით ცხოვრების აზრსაც ყველგან და ყველაფერში ვეძებთ და ვერ ვპოულობთ.

ვერც ვიპოვით, რადგან ვეძებთ ყველგან და არა საკუთარ თავში, საკუთარ ცხოვრებაში.

საკმარისია, საკუთარ თავში ჩაიხედო და მიხვდები, რომ სიცოცხლის არსი არც თუ ისე ბნელითაა მოცული.

მას ძიება არ სჭირდება, ის შემეცნებაშია.

ესაა შეუცნობელში გახსნა.

სიყვარულში, რწმენაში გახსნა ესაა მთელ სამყაროში გახსნა.

ყველაფერ ამას შემეცნება ჰქვია.

ცხოვრების აზრს ჭეშმარიტებასავით შენ ჰქმნი.

შემეცნების იარაღი კი შეგრძნებები, წარმოსახვა, ცნებები, იდეები, განსჯა, დასკვნები ემოციებია.

იმავდროულად ცხადია, ეს ყველაფერი ისაა, რის გარეშეც არაა შემოქმედება.

დიახ, შემოქმედება ეს არის შემეცნების გასაღები, ის იარაღი, რომელიც გააჩნია **მე**-ს.

გვიმტკიცებენ, რომ მოაზროვნე ადამიანი არსებობისთვის ბრძოლამ შექმნა.

გეთანხმებით, თუ თქვენც დაგვეთანხმებით, რომ არსებობისთვის ბრძოლა სხვა არფერია, ვიდრე შემეცნება.

შემეცნებამ შექმნა მოაზროვნე ადამიანი.

ოდნავი ამაღლებაა საჭირო, რათა დაინახოთ, რომ ცხოვრება ესაა, შეიმეცნო საკუთარი **მე**, როგორც მთელი და არა რაღაც ფრაგმენტი.

შემეცნება აღსრულდება არა მხოლოდ გონით, არამედ მთელი სხეულით, მთელი ცხოვრებით, მთელი კაცობრიობით, მთელი კულტურით, მთელი ცივილიზაციით.

სწორედ ამის გაუაზრებლობამ მიგვიყვანა სავალალო შედეგთან — გრძნობა დაუპირისპირდა ინტელექტს, გული — ჭკუას.

ამბობენ: — ჭკუამ აჯობა გრძნობას, ნებისყოფამ — სურვილს, მოვალეობამ — ვნებას, სულიერებამ — ინტელექტს, რწმენამ — გონებასო.

და ვერ ხვდებიან, რომ **სურვილი, ესაა ნებისყოფის უმაღლესი ფორმა.**

ასეთი დაპირისპირება ჩვენი ფსიქოლოგიური აღქმის არასწორი მოდულის შედეგია, ისევე, როგორც მზის აისი და დაისი. ჩვენ გვეჩვენება, რომ მზე ამოდის და ჩადის, სინამდვილეში ეს ჩვენ ვბრუნავთ მზის გარშემო.

ინტელექტსა და გრძნობას შორის დაპირისპირებას აზრი არა აქვს. მათ შორის მხოლოდ ჰარმონიაა შესაძლებელი.

დიახ, უაზრობაა, გრძნობა ინტელექტით მართო და — პირიქით.

გონებას არ შეუძლია, დაამარცხოს გრძნობა. გრძნობას მხოლოდ სხვა გრძნობით დაამარცხებ.

ინტელექტი, გრძნობა.

საკმარისია ოდნავი დაფიქრება, რათა მივხვდეთ, რომ მათ შორის არ არსებობს დაპირისპირება. ისინი ისე ორგანულად არიან ერთმანეთთან შერწყმულნი, რომ ვერც კი განაცალკევებთ.

— რა, ინტელექტი უპირისპირდება გრძნობას?

— რა, არ არსებობს ცნება ინტელექტუალური გრძნობა?

— დიახ, არსებობს და ის ადამიანის ამაღლებული გრძნობის მთავარი შემადგენელია.

ინტელექტუალური გრძნობა დომინირებს შემეცნების პროცესში, განსაკუთრებით ახალი და რთული ამოცანის ამოხსნისას.

ყველაზე რთული ამოცანაა ადამიანის შემეცნება — ქალის შემეცნება, მამაკაცის შემეცნება.

ინტელექტუალურ გრძნობებს განეკუთვნება: ახლის შეგრძნება, ცნობისმოყვარეობა, აღმოჩენით მიღებული სიამოვნება.

ამ ჩამონათვალის გარეშე შეიძლება არსებობდეს ინტელექტი?

ინტელექტუალური გრძნობის აშკარა გამოვლენაა ჭეშმარიტებით აღფრთოვანება. მის გარეშე არაა ობიექტის, შესამეცნებლის სიღრმისეული წვდომა.

გრძნობა, ესაა იმ ინტელექტუალური ენერგიის გამოვლენა, მიღება, რითაც გაჟღენთილია მთელი სამყარო. გრძნობები გვიყვებიან გარე და შიგა სამყაროზე.

გრძნობა ის ენაა, რაზედაც ჩვენი სული ლაპარაკობს.

გრძნობა, ესაა ჩვენი ყურადღების ორიენტირი და პირველადი ინფორმაცია.

გრძნობაში უფრო მეტი ინფორმაციაა, ვიდრე ჩვენს ცოდნაში. ცოდნა ხომ ჩვენს გრძნობაში არსებული ინფორმაციის გადამუშავებული, აღქმული, შემეცნებული ნაწილია.

გამოდის, რომ დაწურული გრძნობა არის ცოდნა.

ეს ნათლად ჩანს ადამიანის არსის გამომსახველ ფრაზაში:

— მე შენთან ბედნიერი ვარ.

ეს ამაღლებული მდგომარეობის გამომსახველი ფრაზა შეიძლება ასახავდეს გრძნობას. შეიძლება იყოს ცოდნა. შეიძლება — ორივე ერთდროულად.

გრძნობა, ესაა რეაქცია სამყაროდან შემოსულ ინფორმაციაზე. ის მართებულია და ღრმა.

ის შეიძლება ხანდახან გაუგებარი იყოს და ეს გასაგებია, რადგან გრძნობა ძირითადად მიმართულია უფრო არაცნობიერისკენ, ვიდრე ცნობიერისკენ.

ცნობიერით აღქმული გრძნობა არის ემოცია.

და შესაძლოა, ის დამანგრეველიც კი აღმოჩნდეს, თუ ის არაა ჩვენი არსის ბუნებრივი რეაქცია სამყაროდან მიღებულ ინფორმაციაზე.

დეპრესია არის ემოციის და არა გრძნობის პროდუქტი, მიუხედავად იმისა, რომ ემოციაში არის გრძნობის შესამჩნევი ანარეკლი.

ემოცია მეტწილად ცნობიერის, ხოლო გრძნობა, როგორც აღვნიშნეთ, არაცნობიერის არეალშია.

ამიტომ გრძნობა სიტყვით, გონით ძნელი ასახსნელია.

ამიტომ გვიჭირს ავხსანათ, რაა სიყვარული, სიხარული, ბედნიერება, ეთიკა, კატეგორიული იმპერატივი.

ამიტომ იწვევდა ის კანტში გაოცებას.

ასევე, გვიჭირს, ავხსნათ გრძნობის გამომწვევი მიზეზები.

ემოცია ასე თუ ისე ახსნადია. მე შემიძლია, ავხსნა, რატომ ვარ ნაწყენი.

გრძნობაში მჟღავნდება ადამიანის არსი, ემოციაში ადამიანის მენტალური, გონივრული მდგომარეობა.

დიახ, ემოციაში მჟღავნდება ადამიანის მენტალობა, კულტურა,...

გრძნობა გარე სამყაროს სინათლეა,

ემოცია – შიდა სამყაროსი.

ცნობიერის კონტროლიდან გამოსული ემოცია აფექტში გადადის.

აზრი არა აქვს კითხვას – გრძნობა, ემოცია კარგია თუ ცუდი,

მთავარია, რამდენად საჭიროა ჭეშმარიტების დასადგენად.

გონება ბადებს აზრს. აზრი აფაქიზებს აღქმას, აღქმა ბადებს გრძნობას, რომელსაც უკვე შეუძლია, დაამარცხოს სხვა გრძნობა.

სულიერება არაა ინტელექტუალობის და ემოციურობის საწინააღმდეგო, არამედ სულიერება არის მათი უმაღლესი გამოვლინება.

დიახ, ინტელექტს არა აქვს საზღვარი. ის შეიძლება მხოლოდ შემეცნებამოკლებული, უბადრუკი გონებით შეიზღუდოთ.

მეტყვით, ყველას საკუთარი ჭეშმარიტება აქვს, მე – ჩემი, შენ – შენი.

რა თქმა უნდა, გეთანხმებით.

როდესაც შენ შენი ჭეშმარიტებით მოდიხარ, შენი ჭეშმარიტება დიალექტიკით ჩემი ჭეშმარიტების საფუძველი ხდება. როგორც ყველაფერი, ჭეშმარიტებაც დიალექტიკას ემორჩილება. ორივეს ჭეშმარიტება შენი და ჩემი ჭეშმარიტების, როგორც თეზისისა და ანტითეზისის, სინთეზით მიიღწევა.

ამიტომ გირჩევ, ჩემი ჭეშმარიტება გახდეს შენი ჭეშმარიტების საფუძველი.

გრძნობის გარეშე ვერავითარ ჭეშმარიტებას ვერ შესწვდები.

ჭეშმარიტებაა სიცოცხლის ძალა.

ჩანართი

რამდენად შეესაბამება მეცნიერულ ხედვას რეალობის, ჭეშმარიტების შექმნა?

ყველა, ვისაც პროფესიული სიახლოვით გაუთავისებია კვანტური ფიზიკა, უცილობლად დამეთანხმება, რომ აქ ადგილი აქვს „უცნაურ" მოვლენას. ექსპერიმენტისას ელემენტარული ნაწილაკები ისე იქცევიან, რომ მათი ქცევა შესაბამისობაში მოდის მკვლევარის მიერ წინასწარ გააზრებულ, მოსალოდნელ შედეგთან. იმგვარად, რომ ის თითქოს გრძნობს მკვლევარის, ექსპერიმენტატორის აზრს. როდესაც მკვლევარის გონებაში იბადება მანამდე არარსებული, ელემენტარული ნაწილაკის არსებობის გონივრულად გამართლებული აუცილებლობა (შესაბამისი მახასიათებლებით), ხდება საოცრება, ჩნდება ეს მანამდე არარსებული ნაწილაკი და ექსპერიმენტში, რეალობაში მთელი სისრულით ამჟღავნებს თავს.

აქ ოდნავ მგრძნობიარე ადამიანი უნდა მიხვდეს, რომ ადამიანი ამ სამყაროში მხოლოდ მაძიებელი ან მოწმე კი არა, არამედ სამყაროს შექმნის, შემოქმედებითი პროცესის მონაწილეა.

აზრი, რომ სამყარო, ბუნება მართავს ადამიანს, ისეთივე უაზრობაა, როგორც მტკიცება, რომ ადამიანი მართავს სამყაროს, რადგან თვით ადამიანია სამყარო. სამყარო მასშია.

სამყაროს, გარემოს ცნობიერება მჟღავნდება ადამიანით, ადამიანის მეშვეობით.

სიცოცხლის ძალა

სიცოცხლე ის უმთავრესი ფენომენია, რომლის გარეშე ადამიანის ყოფიერება, თვითშემეცნება უბრალოდ აზრს კარგავს. შესაბამისად, აბსოლუტური გონი, აბსოლუტური ენერგია უპირველესად სიცოცხლისკენაა მიმართული.

მეტ-ნაკლებად განათლებული ადამიანი შეძლებისდაგვარად უნდა ცდილობდეს, შესწვდეს აბსოლუტური იდეის, გონის, ენერგიის გარდამოსვლას საკუთარ არსში, კონკრეტულში. ადამიანს უნდა გააჩნდეს შინაგანი მოთხოვნილება, შესწვდეს იმ არანივთიერ ნათებას, რაც მასში სასიცოცხლო ძალას, სამყაროს შემეცნების სურვილს ბადებს.

ჩვენი ღრმა რწმენით, **ადამიანთა განვითარების ისტორია ამ სასიცოცხლო ძალის ძიებისა და გააზრების ისტორიაა.**

ჩვენც სიცოცხლის ძალის ძიების ორიენტირად ავირჩიოთ არისტოტელეს მიერ დამკვიდრებული ტერმინი **ენტელექია,** რაც ქართულად რაიმეს სრულად განხორციელებას ნიშნავს და ეს დაგვეხმარება ცხოვრების და, რაც მთავარია, სიცოცხლის ძალის არსის გააზრებაში.

დავიმახსოვროთ, რომ **ცხოვრება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა სიცოცხლისთვის.**

ენტელექიის ფენომენის გააზრება, ერთი მხრივ, გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, თუნდაც იმიტომ, რომ არისტოტელე ამ ცნებას არაცალსახად, სხვადასხვაგვარად განმარტავს. ყოველი განმარტება რაღაც ნიუანსით განსხვავებულია, ბუნდოვანია და ხშირად ეს განმარტებები არ ემთხვევა ერთმანეთს. მეორე მხრივ, სწორედ არისტოტელეს გენიალურობიდან გამომდინარე, ამ განმარტებათა მრავალფეროვნება, თუნდაც „ბუნდოვანება", მუდმივგანვითარებადი, ახალი, ორიგინალური გააზრებების წყაროა.

ცნება ენტელექიის არსის გასააზრებლად, თავდაპირველად აუცილებელია არისტოტელეს შემოქმედების, აზროვნების სტილში გარკვევა. არისტოტელესთვის ენტელექია არის მიზანდასახულობა, თვითმიზანი, აქტიური საწყისი, მამოძრავებელი ძალა, პოტენციალი, ენერგია.

ენტელექიის ეს მახასიათებლები სხვა არაფერია, ვიდრე სიცოცხლის ძალის წინაპირობა. ეს სწორედ ის ძალაა, რაც ჩვენი სოციუმის დამთრგუნველ უმრავლესობას არ გააჩნია.

დიახ, გვაკლია სიცოცხლის ძალა: მიზანდასახულობა, თვითმიზანი, აქტიური საწყისი, მამოძრავებელი ძალა, პოტენციალი, ენერგია.

ჩვენი სოციუმი მხოლოდ არსებობს და ამ არსებობას არავითარი კავშირი არა აქვს რეალურ სიცოცხლესთან და თუ ოდესმე შევძლებთ ამ სასიცოცხლო ძალის გააზრება-მიღებას, მაშინ მივხვდებით, თუ რას ნიშნავს სიცოცხლეში დაბრუნება.

ამ სამყაროში ყველაფერი, რაც იქმნება, რაღაცისგან იქმნება. შესაბამისად, სიცოცხლის ძალის დაბადებასაც უნდა სჭირდებოდეს რაღაც. სწორედ ამ ლოგიკით ცდილობს არისტოტელე ენტელექიის გააზრებას.

არისტოტელეს აზრით, რამის შესაქმნელად რაღაც მასალა, მატერიაა საჭირო. მაგ., მინდა, გავაკეთო სფერო. ამისთვის გამოდგება მარმარილო, ხე, პლასტელინი, სპილენძი და მრავალი სხვა საშუალება.

კონკრეტულ შემთხვევაში თუ სპილენძისგან ვაკეთებ სფეროს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სპილენძი როგორც მატერია სფეროს შექმნის საშუალებაა.

ზოგადად გამოდის, **რომ მატერია რაღაცის შექმნის საშუალებაა**.

თუ მატერია საშუალებაა, მაშინ არისტოტელეს აზრით, ფორმა (ჩვენს შემთხვევაში სფერო) საგნის არსია.

მართლაც, ერთი და იმავე მატერიისგან, მაგ., ვერცხლისგან შეიძლება დამზადდეს სფეროც და ჩანგალიც. შესაბამისად, საგნის არსს განსაზღვრავს არა მატერია – ვერცხლი, არამედ – ფორმა. ფორმით ვხვდებით, საგანი სფეროა, თუ ჩანგალი.

არისტოტელესთვის **ცალკეული საგნის არსია ფორმა, მატერია კი მისი შექმნის ნივთიერი საფუძველი.**

გამოდის, რომ ფორმა, გარკვეული აზრით, უახლოვდება იდეას. მართლაც, ცნება საგნის ”ფორმა” მაგ., სფერო, საგნის იდეის მსგავსად, მაშინაც კი არსებობს, როცა ის ვერცხლისგან ჯერ არ ჩამოუსხამთ.

დასკვნა: **– როცა მატერია განივთდება, საგნად გადაიქცევა, მაშინ მატერია ფორმის გარეშე არ არსებობს, ისევე როგორც ფორმა – მატერიის გარეშე.**

ჩვენი მსჯელობა ეს არ არის ფილოსოფია ფილოსოფიისთვის.

შეიძლება ისევ გაჩნდეს კითხვა – ამ ისედაც გაჭირვებულ ცხოვრებაში რაში მჭირდება მატერიასა და ფორმაზე ეს გართულებული მსჯელობა ან რა კავშირი აქვს ამ მსჯელობას ჩემსა და საქართველოს კეთილდღეობასთან?

პასუხი: – პირდაპირი.

რადგან ამაზეა დამოკიდებული არა მარტო შენი, ჩემი და ყველას კეთილდღეობა, არამედ ყოფნა-არყოფნაც.

დაუკვირდით, არსებობს ცნება ”ინტელექტი”, რომელიც რაღაცის შექმნის საშუალებად – მატერიად შეიძლება ჩაითვალოს.

უფრო ნათლად, ბეთჰოვენის შემოქმედების „მატერია” – ინტელექტი ვლინდება მის მეხუთე სიმფონიაში. მიქელანჯელოს ინტელექტი – დავითის ქანდაკების ფორმაში. ნიკალას ინტელექტი – სააღდგომო კრავში.

როგორც აღვნიშნეთ, მატერია არ არსებობს ფორმის გარეშე, ისევე როგორც ფორმა – მატერიის გარეშე.

როცა ინტელექტი განივთდება, მაშინ არ არსებობს ინტელექტი ფორმის გარეშე და პირიქით.

ეს განსაზღვრება საქართველოს განვითარებისთვის შეიძლება სასიცოცხლო მნიშვნელობის აღმოჩნდეს, რადგან ჩვენს ილუზორულ სამყაროში ცნება ფორმა ილუზორულად აღიქმება. სოციუმის ფსევდოელიტარული ნაწილი და მისი ჰარიზმატულობა არასდროს განხილულა მატერია-ფორმის ხედვის კუთხიდან.

ხშირად უმრავლესობას ინტელექტის ფლობას აბრალებენ, როდესაც ეს ინტელექტი არასდროს, არაფერში განივთებულა და ფორმაში არ გადასულა და ის, რაც განივთდა, აშკარად ინტელექტის დეფიციტის მაჩვენებელია. მაგალითის მოყვანა საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგან მთელი ჩვენი ცხოვრება ამისი ნათელი მაგალითია.

ვიმეორებთ, სამწუხაროდ, ჩვენს ბედს და საქართველოს ვაბარებთ იმ ადამიანებს, რომელთა ინტელექტი, შედეგიდან გამომდინარე, რაიმე ფორმაში, ფასეულში ჯერ არ განივთებულა და ის რაც განივთდა, თვალი მოავლეთ ირგვლივ და იმის შედეგს აშკარად დაინახავთ.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ნებისმიერ რეალურ საგანს გააჩნია **ფორმა** და ის **მატერია,** რისგანაც ის არის შექმნილი.

ერთი შეხედვით, ეს იმდენად ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ თითქოს ამაზე ყურადღების შეჩერება არც კი ღირს.

ნუ ავჩქარდებით, ჩავუღრმავდეთ არისტოტელეს მსჯელობას.

როგორც აღვნიშნეთ, ფორმაში მჟღავნდება საგნის არსი. აქ თითქოს არისტოტელე ცდება.

მართლაც, ადამიანი და მისი სკულპტურა ფორმით იდენტურია. მაშ რა გამოდის, არსით ერთნი არიან?

მხოლოდ გონივრული აღქმა განასხვავებს ბუნებრივი ყვავილების თაიგულს ხელოვნური, თუნდაც სრულყოფილად წარმოდგენილი ასლისგან.

არისტოტელეს აზრით, აქ საქმე გვაქვს გონივრულ, გონით აღქმულ ფორმასთან და არა საგნის კონკრეტულ სივრცულ ფორმასთან.

მაგ., ფორმაშეცვლილი – ცალფეხა ადამიანი ისევ ადამიანია.

სწორედ გონით აღქმული ფორმა განასხვავებს სკულპტურასა და ადამიანს.

გონით აღქმულ ფორმას არისტოტელემ **ეიდოსი** უწოდა, რადგან გონივრული ფორმა აღნიშნავს საგნის არსს, ე.ი. ეს იგივე იდეაა კონკრეტულში გამოსახული.

სწორედ ეს – ფორმის გონივრული აღქმა გვაკლია ჩვენ.

ვუყურებთ ადამიანს და ვერ აღვიქვამთ მის გონივრულ ფორმას, მის რეალურ არსს. სამწუხაროდ, ჩვენი აღქმა მხოლოდ სივრცული ფორმით შემოისაზღვრება, რაც ხშირად ჩვენი პირადი და სოციალური ტრაგედიის მიზეზი ხდება.

გამოდის, რომ არისტოტელეს **ფორმა, ეიდოსი** ჰგავს პლატონის **იდეას.**

მიუხედავად ამ მსგავსებისა, მათ შორის არის განსხვავებაც.

არისტოტელეს **ფორმა, ეიდოსი** არ არსებობს საგნისგან დამოუკიდებლად.

პლატონის იდეა კი საგნისგან დამოუკიდებლად, თავისთავად, ობიექტურად არსებობს. პლატონის იდეა პასუხობს კითხვაზე – **როგორია საგნის არსი? როგორი უნდა იყოს საგანი?**

არისტოტელეს ეიდოსი კი პასუხობს კითხვას – **რა არის საგანი?**

გავბედოთ და ამ ზედაპირული მიმოხილვიდან გამოვიტანოთ დასკვნა:

– ეიდოსი არის კონკრეტულად, ნათლად, ყოფიერში გადმოსული, გამოსახული ზოგადი, იდეა.

თავისთავად ცხადია, რომ ზოგადი და კონკრეტული ქმნის ერთობას და ამაზე დისკუსია უადგილოა.

ისიც ნათელია, რომ ემპირიული, გრძნობადი და რაციონალური, გონივრული აღიქმება ერთობაში და ეს ერთობა ქმნის საგნის, მოვლენის ჯამურ, ინტეგრალურ ხარისხს.

თუ ეს ასეა, მაშინ ტერმინი **ეიდოსი** ზუსტად გამოსახავს **ემპირიულისა და რაციონალურის** ერთობას, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, **ედიოსი** არის გონივრულის, რაციონალურის ხილულში გადასვლა.

ეიდოსი არის რაციონალური, გონივრული აღქმული ხილულად.

აქედან დასკვნა: – **შემეცნებას აქვს არა მარტო ემპირიული ან რაციონალური, არამედ ეიდოსური ხასიათი.**

ფორმა, ეიდოსი არის ყოფითი საგნის პირველი აუცილებელი პრინციპი.

თან არ დაგვავიწყდეს, რომ მთელი ეს მსჯელობა იმის გარკვევას ემსახურება, თუ რატომ ვართ სიცოცხლეს მოკლებული მკვდრები.

მეორე აუცილებელი პრინციპი კი, როგორც აღვნიშნეთ, არის **მატერია.**

ასევე, საინტერესოა არისტოტელეს მატერია.

მატერია არის ის, რისგანაც წარმოიშვება ან რისგანაც შედგება საგანი. საგანი წარმოიშვება, როცა ფორმა იქმნება მატერიით ან მატერია იღებს ფორმას.

მაგ., სახლის ფორმას ქმნის ქვა ან ქვები იღებენ სახლის ფორმას. ასევე, ჩანგლის ფორმა შეიძლება შექმნას ვერცხლმა. ცხადია, ვერცხლი არაა ქვა.

გამოდის, რომ **მატერია ასევე არის შინაგანი განსხვავების მიზეზი.**

დაუკვირდით, ჩვენი პარლამენტი ფორმით არ განსხვავდება ნორვეგიის პარლამენტისგან. როგორც აქ, ასევე იქ, არის სპიკერი, სავარძლები, მიკროფონები, ფრაქციები, საპარლამენტო კომისიები, ღილაკები, პარლამენტარები, მაგრამ არის უმნიშვნელოვანესი შინაგანი განსხვავება – ვისგან შედგება პარლამენტი... ეს ისე, სხვათაშორის...

დავუბრუნდეთ განსახილველ საკითხს.

საგნის წარმოქმნა არის ფორმისა და მატერიის „შეერთება", ოღონდ არა პირდაპირი, პრიმიტიული გაგებით. არისტოტელე განასხვავებს „უკანასკნელ" და „პირველ" მატერიას.

უფრო ნათლად, სახლის უკანასკნელი, საკუთარი მატერიაა ქვა, რითაც აშენდა სახლი. თვით ქვის უკანასკნელი, საკუთარი მატერია არის კლდე,

რისგანაც დამზადებულია ქვა. მაგრამ კლდეც ხომ რაღაცისგანაა შექმნილი და ა.შ.

საბოლოოდ უნდა არსებობდეს რაღაც უკანასკნელი მატერია, რომელსაც აღარ გააჩნია საკუთარი მატერია.

არისტოტელემ ამ მატერიას უწოდა პირველმატერია.

პირველმატერია არის მატერიის სუბსტანცია. პირველმატერია ერთი და იგივეა ყველა საგნისთვის.

23 საუკუნე დასჭირდა მეცნიერებას, რათა პირველმატერიის შესახებ არისტოტელეს ამ ბრწყინვალე ფილოსოფიური გააზრების აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში დარწმუნებულიყო. ჩვენ დღეს უკვე ვიცით, რომ ყველა საგანი შედგება მოლეკულებისგან, ატომებისგან, ატომები – ელემენტარული ნაწილაკებისგან. აი, ელემენტარული ნაწილაკები კი ყველა საგნისთვის ერთნაირია. ის ელექტრონები და პოზიტრონები,... რომლისგანაც შევდგებით მე, შენ, ვარსკვლავები, გალაქტიკები იდენტური და განურჩეველია.

თუ გავიხსენებთ, რომ ელემენტარული ნაწილაკები უფრო იდეებია, ვიდრე მატერიალური ნაწილაკები, მაშინ პირველმატერიის არსი უკვე ადვილად გასაგებია.

ამრიგად, ვიღებთ, რომ არსებობს **პირველმატერია,** რომელიც ერთი და იგივეა ყველა საგნისთვის და **უკანასკნელი მატერია,** რომელიც ქმნის კონკრეტულ საგანს.

მეტ-ნაკლებად გონივრული ადამიანი მიხვდება, რომ მატერია წარმოგვიდგება ორგვარად:

– **პირველმატერია,** რომელიც იდეაა და ყველაფრის შექმნის წინაპირობა, პოტენციალი.

– **მატერია,** როგორც რეალური ნივთიერება (ვერცხლი, ქვა,...), რომლისგანაც შექმნილია საგანი და ამ მატერიას გააჩნია ფიზიკური მახასიათებლები.

თავისთავად ცხადია, რომ ყველა საგანს გააჩნია რაღაც დანიშნულება, იმისგან დამოუკიდებლად, ვიაზრებთ, თუ ვერ ვიაზრებთ ამ დანიშნულებას. სხვა სიტყვებით, ყველა საგანს გააჩნია მიზანი, ის, რისთვისაც ის შეიქმნა.

გამოდის, რომ სიცოცხლის ძალასაც უნდა ჰქონდეს ის, რითაც ის შეიქმნა და მიზანიც, რისთვისაც ის შეიქმნა.

ჩვენი აზრით, მიზანი არის ის, რისთვისაც წარმოიშვა და იცვლება საგანი. ყველა წარმოქმნა ხდება არა უაზროდ, არამედ განსაზღვრული მიზნით.

ჩანართი

აზროვნება, სიბრძნე, გონი 1.

ლოგიკური აზროვნება – სუბიექტურ სულთა დიალექტიკა

სიბრძნე – ობიექტური დიალექტიკა

გონი – აბსოლუტურ სულთა დიალექტიკა.

დიალექტიკა სიბრძნის პროგრამაა.

სიბრძნე, ესაა ყველაფრის შესაძლებლობა.

გონი, როგორც სიბრძნის ნაღები, სინათლე, როგორც სინამდვილის შესაძლებლობა, გადადის შესაძლებლობის სინამდვილეში. ეს გარდამოსვლა ბადებს ინდივიდუალურ სულს, რომელიც თავისი დასრულებულობით ადამიანი, პიროვნებაა.

უფრო ნათლად, ადამიანის ამაღლება მიმდინარეობს ლოგიკური აზროვნების დონიდან სიბრძნეში გადასვლით და შემდგომ აბსოლუტურ გონამდე ამაღლებით. სწორედ ასეთი ადამიანია სრულფასოვანი პიროვნება და პიროვნებისთვის სინამდვილე შესაძლებლის აღსრულების არეალია.

სიბრძნის არსი სამყაროს თავისუფლებაა, რომელიც მყღავნდება თვით ამ სამყაროში.

სიბრძნე თავისუფალია არა სამყაროსგან, არამედ ის თავისუფალია სამყაროში.

შესაბამისად, **სულის გადმოსვლა ნიშნავს, რომ ადამიანის არსში სიბრძნე ჩასახლდა.**

მხოლოდ ჩვენ ვართ სიბრძნის სახლი.

გამოდის, რომ ჩემშია მთელი კაცობრიობის სული და ამით ვარ **მე აზრის, სიბრძნის, გონის** მატარებელი.

ასეთი ადამიანია სამყაროს ხილული ღერძი — მარადიული, უკვდავი, ვექტორი ღმერთისკენ.

შექმნილი — შემქმნელისკენ.

ჩვენ აზრობრივად ვერ წარმოგვიდგენია ადამიანის განმღრთობა. ადამიანი გარედან არის საგანი, ობიექტი. **შინაგანად ის ღმერთია, თუ საკუთარ სიღრმეს სიბრძნით შესწვდება.**

ჰეგელის ფილოსოფიით ღმერთი არის შინაგანის შინაგანი.

ჩვენ ვართ სამყაროს შინაგანი, ხოლო ჩვენი შინაგანია ღმერთი.

ღმერთი ესაა ადამიანთა არსებობის ღერძი, ადამიანი კი — ამ ღერძის ფორმა.

ესაა თეოცენტრიზმი.

გამოდის, რომ ჩვენ ვართ ღერძსა და სამყაროს შორის.

ძველი ბერძნების გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, ადამიანი არის ყველა საგნის საზომი იმ აზრით, რომ ის სრულყოფილია.

ღმერთი არის ყველა აზრის, ყველა არსის საზომი.

სწორედ ამიტომაა ის აბსოლუტური გონი.

მიზანი

სამყაროში მიზნის, მიზნობრიობის როგორც ყველაფრის საფუძვლის, სუბსტანციის ფენომენს სწავლობს დარგი **ტელეოლოგია** (ბერძ. **teleios** — მიზანს მიღწეული, დასრულებული, სრულყოფილი. **logos** — მოძღვრება).

ტელეოლოგია — ონტოლოგიური (უნივერსალური) სწავლება აბსოლუტური კანონზომიერების მიზნობრიობის შესახებ, თუ რისთვის შეიქმნა აბსოლუტური გონი, აბსოლუტური კანონზომიერება,...

ტელეოლოგიის მთავარი ამოცანაა, უპასუხოს კითხვას: — რისთვის? რა მიზნით? ტელეოლოგიური გაგებით სამყარო მოწყობილია მიზნობრივად, ყოველი განვითარება მიმდინარეობს აბსოლუტის წინასწარ დადგენილი საბოლოო მიზნის — თვითშემეცნების მიხედვით.

ტელეოლოგია არის მეცნიერების საპირისპირო მიმართულება.

როგორც აღვნიშნეთ, ტელეოლოგია პასუხობს კითხვაზე — **რისთვის, რატომ?**

მეცნიერება კი — **როგორ?**

ჩვენი აზრით, მეცნიერებისა და ტელეოლოგიის სინთეზი უმაღლეს ჭეშმარიტებასთან მიახლოების შანსს გვაძლევს.

მართლაც, მეცნიერისთვის ვარდნილი სხეულის მოძრაობის შესწავლა იწყება კითხვით — **როგორ** იზიდავს დედამიწა ქვას?

ტელეოლოგი კი ცდილობს გაიაზროს — **რისთვის, რა მიზნით** იზიდავს დედამიწა ქვას?

საკმარისია, ამაზე დავფიქრდეთ და ცნება **მიზანი** გაცილებით საინტერესოდ მოგვეჩვენება, ვიდრე აქამდე გვეგონა.

როგორც აღვნიშნეთ, მიზანი ეს არის ის, რისთვისაც წარმოიშვა და იცვლება საგანი.

უფრო ნათლად, სახლის მშენებლობის მიზანია ადამიანთა თავშესაფარი. ნავჯახის დამზადების მიზანი — შეშის ჩეხვა.

შეიძლება მივიდეთ არაჰუმანურ აზრთან, რომ ნავჯახის დამზადების მიზანი ასევე შეიძლება იყოს თავის მოკვეთაც.

გავბედოთ და ზოგადად მიზნად მივიჩნიოთ ამაღლებისკენ, განვითარებისკენ სწრაფვა და არა რაღაც პროგრამა, გეგმა.

თუ სუბიექტს ჩაფიქრებული აქვს ბოროტება, ვინმეს გაძარცვა ნარკოტიკის შეძენისთვის, რაც უნდა სრულყოფილი გეგმა ჰქონდეს, შეთანხმების თანახმად, ამას მიზნად არ ვთვლით, რადგან ეს ქმედება არის სვლა უაზრობისკენ, თვითგანადგურებისკენ.

უაზრო ქმედება კი უმაღლესის კანონზომიერებაში არ ეწერება.

ბოროტება უაზრობაა და უაზრობას მიზნად ვერ მივიჩნევთ.

აქ ჩვენ მივდივართ მნიშვნელოვან, ბევრისთვის გასაკვირ დასკვნასთან: — **ბოროტებას არა აქვს მიზანი.**

ამრიგად, ორიენტირი რომლისკენ სვლაც არ არის პროგრესის, განვითარების მომტანი, მიზნად არ ჩაითვლება.

სამწუხაროდ, ამის გაუაზრებლობა სოციუმის დაქვეითების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია.

მიზანი და უაზრობა შეუთავსებელი ცნებებია.

მხოლოდ ჩვენს უბედურ სოციუმში შეიძლება უაზრობა მიზნად გამოცხადდეს.

ადამიანის შესაძლებლობა თავისივე თავის რეალიზაციისკენ და არა მარტო საკუთარი თავის განვითარებისკენ, არამედ ზოგადად განვითარებისკენ უნდა მიისწრაფოდეს.

ჩვენ უკვე განვიხილეთ საგნის ორი პრინციპი — მატერია და ფორმა (ეიდოსი).

მიზანი არის საგნის **მესამე,** აუცილებელი პრინციპი.

თავისთავად ცხადია, მიზნამდე მისვლას მოძრაობა, ქმედება სჭირდება. ქმედებას კი – მიზეზი. შესაბამისად, ყოფიერების მეოთხე პრინციპად შემოდის მოძრაობის, **ქმედების მიზეზი.**

მაგ., ჩვენ გვაქვს მიზანი – ქვეყნის განვითარება. ამ მიზნის მიღწევას ქმედება სჭირდება. ქმედების მიზეზი კი ჩვენი უკმაყოფილებაა. ამ შემთხვევაში - ჩვენი განუვითარებლობა, სიღატაკე, გაუსაძლისი ყოფა.

ზოგადად, მოძრაობის მიზეზი არის ის, რასაც საგანი მოძრაობაში მოჰყავს.

სამყაროში საგნები, ფენომენები ცვალებადობას, მოძრაობას, განვითარებას, დეგრადირებას,... განიცდიან. ისინი ქრებიან და წარმოიშვებიან. მაგ., სხვადასხვა მუხტის მატარებელი ელემენტარული ნაწილაკები დაჯახებისას შეიძლება ანიჰილირდნენ, გაქრნენ. ასევე, შეიძლება სხვადასხვა ნაწილაკების ურთიერთქმედებისას სულ სხვა ნაწილაკები წარმოიქმნენ. ყოველივე ამ ცვალებადობას, მოძრაობას უნდა ჰქონდეს რაღაც მიზეზი.

სწორედ ეს ცნება **მიზეზი** არის საგანთა **მეოთხე პრინციპი.**

დედამიწაზე ნებისმიერ საგანზე მოქმედებს გრავიტაცია და, შესაბამისად, ამ საგნების მოძრაობის ერთ-ერთი მიზეზი გრავიტაციაა. ამ შემთხვევაში დედამიწა არის საგანთა ვარდნის მიზეზი. თვით დედამიწაც მოძრაობს და მისი მოძრაობის მიზეზია მზე. მზესაც აქვს თავისი მოძრაობის მიზეზი და ეს მიზეზი გალაქტიკის სტრუქტურაშია. თვით გალაქტიკაც მოძრაობს და მისი მოძრაობის მიზეზიც მის გარეთაა და ა.შ., სანამ არ მივალთ იმ მიზეზამდე, რომელიც უძრავია და ყველა მოძრაობის მიზეზი.

ყველა მოძრაობის მიზეზს არისტოტელემ **პირველაღმძრავი** უწოდა.

აქედან ნათლად ჩანს, რომ არისტოტელესთვის აბსოლუტი პირველაღმძრავია. ისიც ცხადია, რომ ყველა საგნის ფორმათა ფორმა (გონი) ასევე აბსოლუტია.

აბსოლუტი არის ყველა მოძრავის საბოლოო მიზეზი.

ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ არსებობს ქმედების გარე და შიდა მიზანი და მიზეზი.

მართლაც, განვიხილოთ ქმედების **გარე მიზანი და მიზეზი**. გასროლილი ქვის მოძრაობას ადამიანი და დედამიწის გრავიტაცია განაპირობებს. ამრიგად, ქვის მოძრაობის მიზეზიც და მიზანიც მის გარეთაა.

ცხადია, ის რომ მიღწეული მიზანი შედეგია, დისკუსიის საგანს არ წარმოადგენს. უფრო ნათლად, აღსრულებული მიზანი შედეგია. შესაბამისად, შედეგი თავის თავში მოიცავს მიზანს.

გარე მიზეზისა და შედეგის გარდა არსებობს ქმედების **შიდა მიზეზი და მიზან-შედეგი**.

უფრო ნათლად, რას ნიშნავს საკუთარ არსში მიზან-შედეგისა და მიზეზის არსებობა? მაგ., განვიხილოთ ხორბლის მარცვალი. მარცვალი უკვე თავის თავში თავიდანვე პოტენციურად მოიცავს მიზეზსაც და შედეგსაც. თუ როგორ გაღივდეს, როგორ გაიზარდოს, როგორ გამრავლდეს, როგორ

განვითარდეს, ზოგიერთი ადამიანისგან განსხვავებით, ხორბალმა მშვენივრად იცის, ყოველგვარი გარედან მითითებისა და წახალისების გარეშე. დიახ, ხორბალში უკვე თავიდანვე დევს მიზეზი – ზრდა, გამრავლება და მიზანი – ევოლუცია, განვითარება, სრულყოფისკენ სწრაფვა.

თუ ხორბალს სიცოცხლისკენ, განვითარებისკენ სწრაფვა ახასიათებს და ის თავის თავში მოიცავს მიზეზსაც და მიზანსაც, ცხადია, მით უმეტეს, ადამიანს სიცოცხლისა და განვითარებისკენ სწრაფვისთვის უნდა ჰქონდეს **შიდა მიზეზი და მიზანი**.

ამრიგად, გამოიკვეთა ოთხი პრინციპი – **ფორმა (ეიდოსი), მატერია, მიზანი**, და **მიზეზი,** რომელიც სამყაროში მიმდინარე მოძრაობასა და ცვლილებებს ხსნის.

ფორმა (ეიდოსი) პასუხობს კითხვაზე – **რა?** ეს არის გადასვლა შესაძლებლობიდან რეალობაში – საგნის არსი.

მატერია პასუხობს კითხვაზე – **რისგან?**

მიზანი – რისთვის?

მიზეზი – რატომ? ესაა წყარო, საიდანაც იწყება ცვლილება.

გამოდის, რომ ყოფიერება წარმოგვიდგება ოთხი ძირითადი პრინციპით – **ფორმა, მატერია, მიზანი, მიზეზი.** ასევე, ყოფიერების მთავრი ფენომენი – ადამიანიც ამ ოთხი პრინციპით წარმოგვიდგება და ეს დიალექტიკური ერთობა ქმნის ყველა ცოცხლის და, მათ შორის, ჩემს სასიცოცხლო ძალას, ენტელექიას.

ახლა გასაგებია, რომ ეს ჩემი შინაგანი სასიცოცხლო ძალა ჩემში მოიცავს **ფორმას (ეიდოსს), მატერიას, მიზანსაც, მიზეზსაც.**

ამრიგად, სიცოცხლისუნარიან ორგანიზმს არსშივე უნდა გააჩნდეს რეალური ცხოვრების პოტენციალი, სიცოცხლის ძალა, **ენტელექია.**

მეტ-ნაკლებად შემეცნებადაინტერესებული ადამიანისთვის ადვილი მისახვედრია, რომ სიცოცხლის შინაგანი ძალა, ენტელექია სულის მნიშვნელოვანი ნაწილია.

თუ ცნება ენტელექიას ამ კუთხით გავაანალიზებთ, მაშინ შეგვიძლია, შევთანხმდეთ, რომ ენტელექია ესაა გადასვლა პოტენციალიდან (შესაძლებლობიდან) ენერგიის ორგანიზებულ გამოვლენაში, რის გარეშეც გამორიცხულია განვითარება.

თვით ეს პოტენციალი კი თავისსავე თავში მოიცავს მატერიალურ სუბსტანციას, ფორმას, მიზეზს და თავისივე ქმედების მიზანს.

არისტოტელე ხანდახან ენტელექიას განიხილავს როგორც მხოლოდ ენერგიას (სიტყვა ენერგიაც მან მოიგონა და ხშირად იმავე მნიშვნელობით იყენებს როგორც ჩვენ – მუშაობის შესრულების უნარს). ზემოაღნიშნული მსჯელობიდან ნათლად ჩანს, რომ ენტელექია არა უბრალოდ ენერგიაა, არამედ გაცილებით ღრმა შინაარსის მქონე ცნება.

როგორც აღვნიშნეთ, ყველა მოძრავ სხეულს გააჩნია ენერგია და ეს ბრწყინვალე აზრი თვით არისტოტელეს ეკუთვნის. ასეთი ენერგიის მქონე

სხეულს (ისარი, ტყვია, პლანეტა,...) აქვს მიმართულება, მიზნისკენ სწრაფვა, მაგრამ ეს მიზანი არის მის გარეთ.

მივიღეთ ყოფიერების ორი მნიშვნელოვანი მახასიათებელი:

ცოცხალ სისტემას აქვს ენტელექიაც და ენერგიაც. ასეთ სისტემას მიზანი და მიზეზი საკუთარ არსში აქვს.

არაცოცხალს კი გააჩნია — მხოლოდ ენერგია. ასეთისთვის მიზანი და მიზეზი გარეთაა.

ენტელექია, როგორც სიცოცხლის საფუძველი წარმოდგენილია მატერიით, ფორმით (ეიდოსით), მიზეზითა და მიზნით.

თავისთავად ცხადია, რომ ორივე ფენომენი გაჟღენთილია იმ სუბსტანციათა სუბსტანციით, უდიადესი ჰარმონიით, აბსოლუტით, რის გარეშეც სამყარო, დრო და სივრცე საერთოდ არ იარსებებდა.

ენტელექია, როგორც აღვნიშნეთ, მოიცავს მიზეზს — არასრულყოფილების შეგრძნებას და მიზანს — განვითარებას.

სოციუმი ძირითადად შედგება ისეთი ადამიანებისგან, რომლებიც ან შიდა მიზეზსა და მიზანს ვერ აღიქვამენ და გარედან იღებენ ქმედების ენერგიას ან შიდა მიზანსა და მიზეზს გრძნობენ, მაგრამ გარე ენერგიას ვერ აღიქვამენ, რის გამოც ქმედების ენერგიას ვერ იღებენ.

სამწუხაროდ, ჩვენი უახლესი ისტორია ეს არის მხოლოდ გარედან მიღებული ენერგიის გამომჟღავნება (მიტინგები, რევოლუციები, სამოქალაქო ომები, ეთნიკური დაპირისპირებანი,...) დაქვეითებული ენტელექიის ფონზე.

ადამიანის არსში თავიდანვე ჩადებულია, რომ ის არის როგორც ბიოლოგიურად, ასევე მენტალურად სოციალური არსება. როგორც ბიოლოგიურ არსებას, მას ახასიათებს ენერგია, როგორც ცოცხალ, მენტალურ არსებას უნდა ახასიათებდეს ენტელექია.

ჩანართი

აზროვნება, სიბრძნე, გონი. 2.

ადამიანის შიგნით არის იდეალური — ღმერთი. იდეალურში იგულისხმება მოხსნილი საზღვარი — რეალური უსასრულობა.

გარედან კი ადამიანი შემოსაზღვრულია სამყაროთი, ბუნებით.

ღმერთი არის ადამიანის შესაძლებლობა, უსასრულოდ ჩაუღრმავდეს საკუთარ თავს, გაიხსნას საკუთარ თავში.

ღმერთი აბსოლუტური გახსნილობაა.

ნებისმიერ კონკრეტულ აზრს აქვს თავისი აბსოლუტური ღერძი, რომლის გარშემოც ის ბრუნავს.

თითქოს გამოდის, რომ თუ ღმერთი ღერძია, მაშინ ყველაფერი ამ ღერძის გარეთაა.

სფერო ცენტრით იქმნება. ამიტომ ის არის მთელის ნაწილიც და მთელიც.

აბსოლუტის არსი ისაა, რომ ის საკუთარ არსში ყველაფერს იტევს და იმავდროულად თვით არის ყველაფერში.

დავფიქრდეთ, რას ნიშნავს **მთელის ნაწილიც და მთელიც?**

აქ ზედაპირული ლოგიკა უძლურია.

მართლაც, სფერო ცენტრით იქმნება.

ერთი მხრივ, სფეროს არსი ცენტრია.

იმავდროულად სფეროს არსი სფეროა.

ამიტომ სფერო ცენტრშია და ცენტრი – სფეროში.

ამგვარად, კვანტური ლოგიკით შესაძლებელია, რომ გარეგანი იყოს შინაგანში და იმავდროულად შინაგანი მოიცავდეს გარეგანს.

ჰეგელის ფილოსოფიით ღმერთი იდეალში არის ყველაფრის ერთობა, აბსოლუტური იდეა. რეალობაში კი – ინდივიდუალური, სულიერი საწყისი, სუბიექტი, ცნობიერება, პიროვნება.

ჰარმონია როგორც რეზონანსი

ენერგიისა და ენტელექიის სინთეზი შესაძლებელია და აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ორივე არის აბსოლუტური გონის, აბსოლუტური კანონზომიერების ორგანული ნაწილი.

თუ უმრავლესობისთვის ენერგიის ცნება ნაცნობი და გასაგებია, ენტელექია ღრმად გააზრებას მოითხოვს.

შეგახსენებთ, ენტელექია არის შიდა მიზეზი და მიზანი. აქ ჩნდება კითხვა: – რა შეიძლება იყოს ადამიანისთვის შიდა მიზანი და მიზეზი?

ცხადია, რომ ადამიანს უმაღლესისგან ჩადებული აქვს განვითარებისთვის, სრულყოფისთვის აუცილებელი **მიზანი,** რომელიც მკვეთრადაა გამოხატული ფრაზით – **„მაშ, იყავით სრულყოფილნი ისევე, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი"** (მათე 5,48).

მართლაც, მე შექმნილი ვარ ხატად მისა (დაბადება 1,26.). როგორც აღვნიშნეთ, ჩემში მისი ხატება წარმოდგენილია ქმნადობის, შემოქმედების უნარით. ცხადია, შემოქმედებისა და განვითარებისთვის უნდა იყოს ის, ვისთვისაც ვქმნი.

დიახ, რად მინდა მთელი ეს სამყარო, თუ არ არის ის, ვისაც ამ სამყაროს მივუძღვნი.

ეს სხვა არაფერია, თუ არა მოყვასის სიყვარული.

ჩემში ჩადებული ქმედების მიზეზი სწორედ ისაა, რომ ჯერ ძალიან შორს ვარ იმ სრულყოფისგან, რისთვისაც დავიბადე. ჩემი არასრულყოფილება კი ვერ იტევს იმ პოტენციალს, რაც შენს სიყვარულს სჭირდება. მე ვხედავ, რომ ჩემი მიზნის – **შენ** გარშემო არსებული ბოროტების იოტისოდენად შემცირებაც კი არ შემიძლია.

სწორედ ეს არასრულყოფილების შეგრძნებაა ჩემი ქმედების **მიზეზი**.

ამიტომ ვცდილობ, გავიაზრო, თუ რატომ ვერ ვახერხებ გაზრდას, განვითარებას, ისეთი გონებრივი პოტენციალის აკუმულირებას, რაც სრულყოფისკენ სვლას შემაძლებინებს. ამ მიზნის აღსრულების პირველი ნაბიჯი იმისი მიხვედრით იწყება, რომ მარტო, განმხოლოებული მე ამას ვერ შევძლებ.

მკრთალია სულიწმიდის ჩემში გადმოსული ანარეკლი, სუსტია აღქმის უნარი.

როგორც აღვნიშნეთ, სულიწმიდის – ჩემში აპრიორულად ჩადებული გონის აღქმა, იმ რწმენის გაჩენა, რომ ყველაფერი შემიძლია, ითხოვს არა მხოლოდ პირველაღმძრავს, არამედ ღრმა თვიშემეცნებას, რაც დიალექტიკის გარეშე მიუღწეველია.

რათა აღსრულდეს დიალექტიკის კანონი – ჩემი გაზრდა, თვისობრივი განვითარება, გვესაჭიროება კონგენიალთა ის კრიტიკული რაოდენობა, რომლის შემდეგაც ხდება რაოდენობრიობის თვისობრიობაში გადასვლა. მხოლოდ ასეთი თვისობრივი ამაღლება დამანახებს ჩემში არსებულ უდიდეს პოტენციალს.

უფრო ნათლად, ყველა არსებული ბარიერის გადალახვით უნდა შევძლო კრიტიკული რაოდენობის კონგენიალურ თანამოაზრეთა შემოკრება. ეს კრიტიკული რაოდენობა ის მინიმალური რიცხვია, რაც სულიწმიდის ანარეკლთა ზედდებით, ინტენსივობის იმდენად გაზრდას შეგვაძლებინებს, რომ სულიწმიდის, გონივრულობის სინათლის მცირე ანარეკლი მაინც აღვიქვათ.

მაშინ აუცილებლად დავინახავთ ჩემს, შენს, ჩვენს გარე მიზანს, იმას, რასაც ჰეგელი ღმერთის სვლას უწოდებს ამ ცოდვილ მიწაზე.

დიახ, დავინახავთ გარე მიზანს – **ქვეყანას, როგორც სახელმწიფოს და არა რაღაც სუროგატს, პაროდიას.**

ამ მიზნის გარეშე სიცოცხლე, ყოველგვარი ჭეშმარიტება აზრს კარგავს, რადგან სწორედ ეს მიზანი გვაძლევს იმ ენერგიას, რომელიც ენტელექიასთან ერთად სიცოცხლის ძალას ქმნის და ეს ჩვენი სრულყოფისკენ, აბსოლუტისკენ სვლის უმთავრესი საყრდენია.

დიდია ამ მიზნისგან წამოსული ენერგიის ძალა. ის შეიძლება იმ ენერგიას შეედაროს, რასაც უდაბნოში დაკარგული ადამიანი იღებს ოაზისის, წყაროს დანახვისას. სწორედ ეს წყარო აძლევს მას იმ უდიდეს ენერგიას, რაც დაღლას ავიწყებს და არ არსებობს ძალა, რომელიც მის სიცოცხლისკენ, მიზნისკენ, წყაროსკენ სწრაფვას შეაჩერებს.

სახელმწიფო, როგორც გარე მიზანი, იმ ენერგიის წყაროა, რაც ჩვენი უდიადესი დანიშნულების – გიყვარდეს მოყვასი შენი – აღსრულებას შეგვაძლებინებს.

აქ მყარდება უდიადესი უკუკავშირი. შენმა სიყვარულმა დამანახა ამაღლებული მიზანი – საქართველო და ამ მიზანმა, თავის მხრივ, ჩემი ამაღლებისთვის, განვითარებისთვის, ქმედებისთვის უდიდესი ენერგია მომანიჭა. მხოლოდ ამის შემდეგ ვხვდები, რომ საქართველო ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც საკუთარი მიზეზი და მიზანი აქვს და მასში აბსოლუტისგან განვითარებისკენ სწრაფვა ასევეა ჩადებული.

ცხოვრება სიცოცხლეში მაშინ გადავა სრულად, როცა ადამიანთა კრიტიკული რაოდენობის ენტელექია (შიდა მიზანი და მიზეზი) დაემთხვევა ქვეყნის, როგორც სისტემის, შიდა მიზანს და მიზეზს.

სახელმწიფო, როგორც სისტემა, თავის თავში უნდა მოიცავდეს მრავალ ქვესისტემას. ამ ქვესისტემებში უნდა იყოს ერთი უმთავრესი ქვესისტემა, რომელიც მთელი სისტემის, სახელმწიფოს იდეა-არსს გაიმეორებს.

თავისთავად ცხადია, რომ ეს იმ კონგენიალთა კრიტიკული რიცხვია, რომელიც რაოდენობის თვისებაში ნახტომისებურ – კვანტურ გადაყვანას შეძლებს.

მთავარ ქვესისტემას უნდა შეეძლოს საკუთარი სტრუქტურის და საერთო მიზნის შესაბამისი ინფორმაციული, შემოქმედებითი მატრიცის შექმნა.

სწორედ ამ შემთხვევაში იწყება ერის თვისობრივად ახალი გენეზისი, შემდგომი ამაღლება.

თავისთავად ცხადია, რომ სახელწიფოს, როგორც ცოცხალ სისტემას უნდა გააჩნდეს შიდა მიზანი და ეს მიზანია დაბადოს კონგენიალთა ისეთი ერთობა, ისეთი მთლიანი, რომელიც მისი შემადგენელი ნაწილების ჯამზე მეტი იქნება.

მხოლოდ ამგვარადაა შესაძლებელი სიცოცხლისუნარიანი, ბუნებრივი სისტემის ჩამოყალიბება.

ცხადია, მთავარი ქვესისტემის არსია, არსებულ ცალკეულ ქვესისტემებს შორის ჰარმონია დაამყაროს, რათა არ მოხდეს ქვესისტემების ატროფია ან ჰიპერტროფია, რაც უკვე ავადმყოფობაა და სისტემის სიცოცხლისუნარიანობა, ადამიანის შემოქმედ არსებად შენარჩუნება-განვითარება საფრთხის ქვეშ არ დადგეს.

მხოლოდ ცოცხალ სისტემას ახასიათებს **თვითგანვითარების, თვითორგანიზაციის, თვითრეგენერაციის** უნარი.

შესაბამისად, ქვეყნის შიდა მიზანია თვითგანვითარებად სისტემად – სახელმწიფოდ – ჩამოყალიბება.

უმაღლესი კანონზომიერებისკენ, გარე მიზნისკენ კვანტურ ნახტომს სისტემა მხოლოდ ამ შემთხვევაში ახერხებს, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი აბსოლუტურ გონთან, კანონზომიერებასთან შეძლებისდაგვარად მიახლოება. ამის გარეშე ბუნებრივი სახელმწიფო არ შეიქმნება.

თავისთავად ცხადია, მე, შენ, ყველას, საქართველოს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, სრულყოფისთვის სჭირდება გარე მიზანი. გარე მიზანი კი ამ შემთხვევაში არის, ჰეგელის სიტყვებით რომ ვთქვათ, **სახელმწიფო, როგორც ღმერთის სვლა ამ ცოდვილ მიწაზე.**

რასაკვირველია, ასეთი სახელმწიფო უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს ობიექტური იდეის გარდამოსვლას რეალობაში – ეიდოსს, რომელიც შეძლებისდაგვარად გასაგებადაა წარმოდგენილი ჩვენს ნაშრომში – **„შესაძლებლის აღსრულება“.**

ნაშრომის ძირითადი არსია მსოფლიო ისტორიის ანალიზით იმ რაციონალური განვითარების მექანიზმის შემუშავება, რომლის გარეშე კონკრეტული ადამიანის, კონგენიალური საზოგადოების, სახელმწიფოს ენტელექიურობასა და ენერგიას შორის ჰარმონიული რეზონანსის დამყარება

უბრალოდ შეუძლებელია. შეუძლებელია ეგოიზმის, შურის, ბოროტების, უსამართლობის, ქაოსის შეზღუდვა.

როდის მივხვდებით, რომ ნებისმიერი სისტემა, ერი, საზოგადოება,... შეფასებული უნდა იქნას ზემოხსენებული ოთხი პრინციპის დიალექტიკური ერთობით და მაშინ გამოჩნდება, ეს სისტემა ბუნებრივი, რაციონალური და სიცოცხლისუნარიანია, თუ უბრალოდ ხელოვნურად შექმნილი პარაზიტული, უმიზნო წარმონაქმნი, რასაც უკვე დიდი ხანია საკუთარი სხეულით ვგრძნობთ.

დიახ, ნებისმიერი საზოგადოება, ცოცხალი სისტემა უნდა ასახავდეს:

I. იდეას და მისგან გამომდინარე მკვეთრად გამოსახულ აზრობრივ **ფორმას** – იდეას ყოფიერებაში – **ეიდოსს.** ამ კონკრეტულ შემთხვევაში იდეოლოგიას.

იდეოლოგია ნათლად უნდა იძლეოდეს პასუხს კითხვაზე – **რა?** (რა გვინდა?)

II. საზოგადოება, სისტემა უნდა ასახავდეს იმ **მატერიას,** რაც ქმნის ფორმას. სხვა სიტყვებით, **ვისგან, როგორი** ადამიანებისგან იქმნება, შედგება ის სუბსტრატი, რაც ქმნის სისტემას. სწორედ ეს სუბსტრატი ნათლად უნდა პასუხობდეს კითხვას – **ვინ?**

III. საზოგადოება, სისტემა უნდა ასახავდეს მის საკუთარ შინაგან ყოფიერებას, მის არსში ჩადებულ მიზანს და შედეგს, რაც თავის მხრივ უნდა იძლეოდეს მკვეთრ პასუხს კითხვაზე – **რისთვის?**

IV. საზოგადოება, სისტემა უნდა ასახავდეს საკუთარი აქტიურობის, ქმედების, მოძრაობის წყაროს, მიზეზს, რომელიც თავის მხრივ უნდა იძლეოდეს არაორაზროვან პასუხს კითხვაზე – **რატომ?**

სხვა სიტყვებით, ამ ოთხი პრინციპის გარეშე შეუძლებელია, ჩამოყალიბდეს უმაღლეს ფასეულობათა სკალა, რომლის ძირითადი საფუძველი, სასიცოცხლო ძალის მთავარი იმპულსი უნდა იყოს **მოყვასის სიყვარული.**

– არ დაიჯეროთ, რომ მას სამშობლო უყვარს, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია,

– არ დაიჯეროთ, რომ ძლიერი პიროვნებაა, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია,

– არ დაიჯეროთ, რომ ქრისტიანია, თუნდაც ეკლესიები აშენოს, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია,

– არ დაიჯეროთ, რომ ჰუმანისტია, თუნდაც უპატრონო ბავშვთა სახლს ორი ყუთი ვერმიშელი გადასცეს, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია,

– არ დაიჯეროთ მისი დანაპირები, რომ ხალხს სიკეთეს მოუტანს, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია,

– მას ერთი სიტყვაც არ დაუჯეროთ, თუ ეთვისებოდა და კომფორტულად გრძნობდა თავს იმ ადამიანთა ჯგუფში, რომელსაც არა მარტო არ უყვარს მოყვასი, არამედ ძარცვავს და ავიწროებს მას.

პრემიერ-მინისტრად, პრეზიდენტად, პარლამენტარად, გუბერნატორად კი არა, ფილატელისტთა კლუბის თავმჯდომარედაც კი არ აირჩიოთ, თუ მოყვასის სიყვარული არ შეუძლია.

მას შეუძლია, ნებისმიერი როლი შეასრულოს, მაგრამ ამ სიყვარულის გარეშე ხალხის ბედის მართვის უფლება არა აქვს, რადგან მან და მისთანებმა დაამკვიდრეს ის წყვდიადი, რასაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია.

მხოლოდ ამ ოთხი პრინციპის გააზრება დაგვიცავს პოლიტიკური და სოციალური ფანატიზმის ნებისმიერი ფორმით გამოვლენისგან.

არ არის ეს პრინციპი – არ არის სახელმწიფო.

ირღვევა ეს პრინციპი – ირღვევა სახელმწიფო.

უდიდეს მნიშვნელობას იძენს აზრობრივი სიფხიზლე, რომლის ფესვები ადამიანის სულის იმ სიღრმეში ძევს, სადაც ადამიანის არსი მოყვასის სიყვარულითაა გაჟღენთილი.

მხოლოდ ამ შემთხვევაშია სხეული (მატერია, ფორმა) სულის იარაღი.

დისკუსიას არ ექვემდებარება აზრი – **შენი, მოყვასის, ახლობლის სიყვარული ამაღლებული გრძნობის ფლობას მოითხოვს.**

ჩანართი

აზროვნება, სიბრძნე, გონი. 3.

ღმერთი ბუნებაში, რეალობაში არის სულიერი ადამიანი, თვითშემმეცნებელი არსება.

ადამიანში ღმერთი პოულობს საზომს, ზომას თავის რეალობასა (ცნობიერებასა) და იდეალურს (ცნებას, იდეას) შორის, რამდენადაც ადამიანით ევლინება ღმერთი სამყაროს.

დიახ, ადამიანი ესაა ღვთიური ფენომენი, მოვლენა.

ღმერთის გამოვლინება ესაა საკუთარი თავის სასრულად წარმოდგენა.

ქრისტე იმიტომ დავინახეთ, რომ სასრულად გამოგვეცხადა. უსასრულოს ვერ აღვიქვამდით, ვერ გავიაზრებდით.

სასრული ღმერთი არის ადამიანი.

ადამიანი არის ღმერთის სარკე, სადაც ის საკუთარი თავის შემეცნებას ცდილობს.

ჰეგელს აქვს ფრაზა – **ღმერთი საკუთარ თავს იმდენად შეიმეცნებს, რამდენადაც ადამიანი შეიმეცნებს ღმერთს.**

ჰეგელის ეს სიტყვები აღიზიანებთ დაქვეითებული აზროვნების სუბიექტებს. მათ ჰგონიათ, რომ ეს ღმერთის დაკნინებაა, რომ ადამიანთა შემეცნება ღმერთის საკუთარი თავის შემეცნებისგან გამოყოფილია გაუვალი ბეტონის კედლით.

მათი უბედურება ისაა, რომ ადამიანთა ცოდნა გაიგივებულია ადამიანის არცოდნასთან, ე.ი. ცოდნის ზღვართან და ამით მკრეხელობენ, რადგან ავიწყდებათ დაბადება 1,26.

მათ ჰგონიათ, რომ მე ღმერთს შევიმეცნებ ჩემი არცოდნით, შემოსაზღვრული ცოდნით და ღმერთი ჩემით, არცოდნით იმეცნებს საკუთარ თავს.

ისინი ვერ ხვდებიან, რომ აქ ჩემს დღევანდელ არცოდნაზე არაა საუბარი. აქ საუბარია ჩემში აპრიორულად მისგან ჩადებული ცოდნის უსაზღვრო პოტენციალზე.

ღმერთის მიერ იხსნება ჩემი არცოდნა, თავისუფლდება ჩემში ჩადებული პოტენციალი, იხსნება ცოდნის საზღვრები და ამით ღმერთი საკუთარ საზღვრებსაც აფართოებს.

დულაბის სიმფონია

მოგეხსენებათ, რომ სოციუმის ელემენტარულ, საწყის უჯრედს, დიმერს ქმნის ორი სუბიექტის – ქალისა და მამაკაცის ერთობა.

ვინაიდან, სოციუმიც ზოგად, მრავალნაწილაკოვანი სამყაროს კანონზომიერებას ემორჩილება, ამიტომ განვიხილოთ დიმერის წარმოქმნის პროცესი მრავალნაწილაკობრივი სისტემის კანონზომიერების გათვალისწინებით.

დიმერი – ორის ერთობა, არის სამყაროს მდგრადობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი. თვით დიმერი წარმოიქმნება ენერგიის მინიმალური დისიპაციისკენ, გაბნევისკენ სწრაფვით. მარტივად რომ ვთქვათ, ორი ნაწილაკი მდგრადად იმ შემთხვევაში გაერთიანდება თუ მათი გაერთიანებისას ენერგიის დანაკარგი მინიმალურია.

> ბუნებაში არსებობს ქიმიური ელემენტები, რომელთაც დონორებს და აქცეპტორებს უწოდებენ. დონორი არის ის ქიმიური ელემენტი, ატომი, რომელსაც გარე შრეზე მყოფი ელექტრონების ბმის ენერგია მცირე აქვს და მისთვის კომფორტულია გარე შრის ელექტრონები გასცეს. ხოლო აქცეპტორისთვის კი კომფორტულია მიიღოს დამატებითი ელექტრონები და შეივსოს გარე შრე. ასეთი ორი ელემენტისგან იქმნება მტკიცე კავშირი, რადგან ეს ორივეს აწყობს და შესაბამისად, ენერგიის დისიპაცია მინიმალურია.

ასევე, მტკიცე შენობის ასაშენებლად საჭიროა აგურების დამაკავშირებელი საშუალების, დულაბის შექმნა.

ცხადია, დულაბმა ენერგეტიკული "შეშფოთება" არ უნდა შეიტანოს აგურებისგან შემდგარ სისტემაში, რათა მივიღოთ ის, რასაც მონოლითურ ნაგებობას უწოდებენ. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღწევა ენერგიის გაბნევის მინიმუმი.

ცხადია დულაბს, ასევე აგურს აქვს საკუთარი სიმტკიცის ზღვარი, რომელზე მეტი დატვირთვის შემთხვევაში აგურიც და დულაბიც იშლება. ამიტომ სასურველია, რომ აგურისა და დულაბის სიმტკიცე დაახლოებით ერთი და იგივე იყოს.

ასევე, მიზანშეწონილია, რომ აგურსა და დულაბს შეძლებისდაგვარად ერთი და იგივე სითბური გაფართოების კოეფიციენტი ჰქონდეს, რათა შენობა არ დაიშალოს სითბოს და სიცივის მონაცვლეობით.

საკმაოდ რთულია სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ნაწილებისგან მტკიცე შენობის, ნაგებობის შექმნა.

ჩვენ ვნახეთ, თუ რა სირთულეებთანაა დაკავშირებული მტკიცე შენობის შექმნა და ცხადია, ურთულეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს იმ დულაბის გააზრება, რაც ორ ადამიანს შეაკავშირებს.

გაცილებით რთულდება იმ დულაბის არსის წვდომა, რაც ქმნის მონოლითურ საზოგადოებას, სახელმწიფოს.

საზოგადოების ჩამოყალიბების, შექმნის მექანიზმში გასარკვევად განვიხილოთ მტკიცე, მდგრადი სოციალური წარმონაქმნის მაგ., ნორვეგიის ანტონიმი – ამორფული სოციალური სისტემა – ჩვენი დღევანდელი ყოფა.

რომ გაიაზრო რაა სილამაზე, უნდა იცოდე მისი ანტონიმი – სიმახინჯე.

თუ მდგრადი სოციუმის დიმერად ჩავთვლით ქალსა და კაცს შორის ამაღლებულ ჰარმონიას, მაშინ დაქვეითებული სოციუმის დიმერი ესაა ქალსა და კაცს შორის გაუცხოება, სიძულვილი.

ურთულესია სიძულვილის ანატომირება, გაშიფვრა.

წარმოიდგინეთ სუბიექტი, რომელსაც, ერთი მხრივ, აბსოლუტური კანონზომიერების აღქმის სურვილი არ გააჩნია.

და მეორე მხრივ, აბსოლუტისკენ, ღმერთისკენ სწრაფვის თანდაყოლილი, მაგრამ შეუცნობადი, არაცნობიერი მისწრაფება აქვს.

და ეს უმაღლესისკენ არაცნობიერი მისწრაფება, დაქვეითებული ცნობიერისას, იცვლება მისთვის გასაგები ილოზორული ფასეულობების, ყალბი კერპების გამოგონებით. იკვეთება უდარდელობის, უსაქმურობის, უმეცრების, ეგოიზმის, მომხვეჭელობის, ალკოჰოლის, ნარკოტიკის, ზიზღის, სიძულვილის, შურის,... გაფეტიშება, გაღმერთება.

და როდესაც ერთმანეთს ხვდება ორი ამ ყალბი ფასეულობების მატარებელი სუბიექტი, მათ შორის, კომპლიმენტარული პრინციპის შესაბამისად, იბადება ურთიერთსიმპათია. ისინი ხომ ერთი ფასეულობის მქონენი არიან.

ალბათ გსმენიათ: – ნარკომანია, მაგრამ ვუყვარვარ. უსაქმურია, მაგრამ ვგიჟდები მასზე. იმიტომ მცემს, რომ ვუყვარვარ. ნუ გგონიათ, რომ მათთვის ეს ალოგიზმია. არა, ეს ყალბი კანონზომიერების ლოგიკაა. ეს გამოთაყვანებულები ვერ ხვდებიან, რომ სიყვარული ისაა, რომ შენ კი არა, ნარკომანიას, უსაქმურობას,... მოერიოს.

თუ ამბობთ, რომ ნარკომანს, ალკოჰოლისტს უყვარხართ, დაფიქრდით, მისთვის ნარკოტიკი, ალკოჰოლი უფრო მეტია, ვიდრე თქვენ.

ეს შენ მიერ გამოგონილი, ილუზორული სიყვარულია და არა რეალური სიყვარული. ეს ის დიმერია, სადაც დულაბად გამოყენებულია სიყალბე.

სწორედ ამგვარი დიმერებისგან იქმნება უსტრუქტურო, ამორფული გროვა.

ასეთი აგურების გროვას არავითარი კავშირი აქვს საზოგადოებასთან. ასეთ სოციუმში გამორიცხულია შემოქმედება, განვითარება, სიცოცხლე. ამგვარი დიმერებით იქმნება ის, რასაც მასას ვუწოდებთ.

შეუძლებელია, მასის შემადგენელ სუბიექტს გონივრულობა მოვთხოვოთ. ის არსით მონაა. მათი უგუნურობით კანონზომიერებაც კი „იბნევა". მათთან მიმართებაში არქიმედის კანონიც კი პროტესტს აცხადებს მუშაობაზე.
კლასიკოსისა არ იყოს, წუმპეში ჩაძირულ ასეთ „აბსოლუტზე" არავითარი ამომგდები ძალა აღარ მოქმედებს. ასეთ სუბიექტს წინააღმდეგობის გაწევის არავითარი სურვილი არა აქვს, ის მორჩილად წევს ფსკერზე, ამ

უსუსურობით ისეთ ნეტარებას განიცდის, რომ არც ბუყბუყებს და არც ბუშტებს უშვებს.

ამიტომ გასაკვირია ფსევდოთეოლოგთა, ფსევდომეცნიერთა, ფსევდოპოლიტიკოსთა, ფსევდოფილოსოფოსთა გულმოდგინება, როდესაც ამ ამორფული მასისგან, „აბსოლუტისგან" ბროლის სასახლის აშენებას ცდილობენ.

ყველა მასალისთვის არსებობს მაქსიმალური სიმაღლე (სიმტკიცის ზღვრის გათვალისწინებით), რომელზე მაღალი შენობის აშენებაც ამ მასალისგან შეუძლებელია. ვინაიდან, ამ მასალის სიმტკიცე მხოლოდ გარკვეულ ზეწოლას უძლებს. შესაბამისად, მეტი დატვირთვის შემთხვევაში კედლის სიმძიმით იშლება ის აგური, რომლითაც ეს შენობაა აშენებული.

ბროლის სასახლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ ამორფული მასისგან, „ჩვრისგან" მდგრად საქათმესაც კი ვერ ააშენებთ, რადგან ის საკუთარ სიმძიმესაც კი ვერ გაუძლებს და გაისრისება.

დავსვათ კითხვა: შესაძლებელია თუ არა დედამიწაზე არსებობდეს ევერესტზე (8848მ.) მაღალი მთა? – შეუძლებელია, ვინაიდან ევერესტზე მაღალი მთის წონას თვით გრანიტიც კი ვერ გაუძლებს.

როდესაც ცივილიზაციამ და კულტურამ შენობების მდგრადობის გაზრდა მოითხოვა, ნეხვის აგური გამომწვარმა თიხის აგურმა შეცვალა. და როცა მისი სიმტკიცეც არ აღმოჩნდა საკმარისი, კაცობრიობამ რკინა-ბეტონი შექმნა.

თუმცა უნდა გავიხსენოთ, რომ ამ აგურების შემაკავშირებლად დუღაბია საჭირო და მის სიმტკიცესაც აქვს ზღვარი.

ამას ჩვენი პოლიტიკოსები ვერ ხვდებიან, თორემ ძველმა ეგვიპტელებმა ეს მშვენივრად იცოდნენ. ამიტომ შეძლეს მათ შეექმნათ საოცრება – პირამიდები, რამაც საუკუნეთა ქარტეხილებს გაუძლო.

როგორ იქმნებოდა პირამიდები?

რა ძალა აკავშირებს, ადუღაბებს იმ უზარმაზარ 20-30 ტონიან ლოდებს, რითაც პირამიდაა აშენებული? პარადოქსია – ესაა ის გრავიტაცია, რომელიც სხვა შენობებს ანგრევს.

ეგვიპტელებმა იცოდნენ, რომ არ არსებობს გრანიტის მასალის სიმტკიცის შესაბამისი მასალა, რომელიც დუღაბად გამოდგებოდა. დიახ, ისინი მიხვდნენ, რომ შეეძლოთ ორ ლოდს შორის დუღაბად ლოდების იდეალურად დამუშავებული ზედაპირების ჰარმონიული ურთიერთშეთავსება გამოეყენებინათ. ლოდების ზედაპირები იმდენად იდეალურად მუშავდებოდა, რომ მათ შორის დანის პირსაც კი ვერ შეაცურებდით. ამ ლოდების შედუღაბებისთვის ეს აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა იყო. ეგვიპტელებმა ისე დაამუშავეს ლოდები, რომ მათი ერთმანეთზე დაწყობისას სიმძიმის ძალა პირამიდის ცენტრისკენ იყო მიმართული. აქ იოლი მისახვედრია, რომ დუღაბის როლს გრავიტაცია ასრულებდა. ყოველი მიკრო თუ მაკროვიბრაცია უფრო ხვეწდა ბლოკების შემხებ ზედაპირებს და ზრდიდა სიმტკიცეს.

შესაბამისად, მიწისძვრაც კი, რაც სხვა შენობებს ანგრევდა, პირამიდის ლოდებს უფრო აკავშირებდა, აძლიერებდა სისტემას.

ეგვიპტელებმა სამყაროს კანონზომიერება, კერძოდ გრავიტაცია პირამიდების სიმტკიცისთვის გამოიყენეს.

დრო ანადგურებს, ანგრევს ყველაფერს, **ყველაფერს ეშინია დროის, დროს კი ეშინია პირამიდების.**

ცხადია, ნეხვისგან ხეოფსის პირამიდას ვერ შევქმნით. სიმტკიცეს, პირამიდას გრანიტი სჭირდება. სწორედ ესაა ჩვენი ამოცანა, ჯერ "გრანიტი" შევქმნათ და მერე ამ "გრანიტით" ავაშენოთ სახელმწიფო.

მეტ-ნაკლებად განათლებული ადამიანი ხვდება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შენობის, პირამიდის სიმტკიცისთვის დუღაბის არსს.

დაგვეთანხმებით, რომ სოციუმი გაცილებით რთული ფენომენია. შესაბამისად, სოციუმის უდიადესი შენობის, პირამიდის, საზოგადოების, სახელმწიფოს ასაშენებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც სოციუმის დიმმერს - „აგურს", ასევე მათ შემადუღაბებელ მასალას.

სოციუმის, საზოგადოების შემთხვევაში აგურის როლში ადამიანი გვევლინება, ხოლო დიმერში, პირველად უჯრედში — ქალი და მამაკაცი — ოჯახი. სოციუმისთვის პირველად უჯრედს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე აგურს შენობისთვის.

ჩვენ ფილოსოფია იმიტომ გვჭირდება, რათა ყველა ჩვენგანმა შეიგნოს, რომ გრანიტად ქცევა შეუძლია, გრანიტი კი მიხვდეს, რომ გრანიტია.

მეცნიერება გვჭირდება შენობის კონსტრუქციის შესაქმნელად.

ეთიკა, გრძნობა გვჭირდება ბლოკებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის დასამყარებლად.

წარმოგიდგენიათ სუბიექტი, ვინც სახელმწიფოს აშენებას აპირებს და ზემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთს გამორიცხავს. შედეგი ნათელია — ჩვენი უაზრო, დეგრადირებული არსებობა.

ჩვენს სოციალურ სისტემაში ისეთი დუღაბი უნდა შევქმნათ, რომ გარედან ყოველგვარმა ზეწოლამ, სიდუხჭირემ კი არ დაქსაქსოს და დააბნიოს საზოგადოება, არამედ უფრო გაზარდოს მისი სიმტკიცე, რათა დროს ეშინოდეს ჩვენ მიერ შექმნილი სოციალური მონოლითის.

შესაძლებელია კი ეს?

დიახ.

იკითხავთ — როგორ?

ამისთვის უპირველესად უნდა გავერკვეთ ამაღლებული ენერგიის მქონე, ფაქიზი, შემოქმედი ადამიანისა და გაციებული, უხეში, უგრძნობი სოციუმის ურთიერთობაში.

დიახ, ამაღლებულ, შემოქმედ ადამიანთა გაციებულ სამყაროსთან ურთიერთობის ტრაგედიით კვნესის ადამიანთა ისტორია.

წარმოიდგინეთ ვაჟას, ნიკალს, გალაკტიონის,... არსებულ სოციუმთან ურთიერთობა.

სოკრატეს ციკუტის შხამი არგუნეს, ბრუნოს – კოცონი, ლავუაზიეს – გილიოტინა, ლინკოლნს – ტყვია, ილიას – წიწამური, ვან გოგს – სისხლიანი სახვევი, ვაჟას – ნაბადი, ნიკალას – დაკარგული საფლავი, გალაკტიონს – რუხი ასფალტი,...

ძნელია, ძალიან ძნელი მათი ფაქიზი სულის ხედვის კუთხიდან ამ გაციებული, დამყაყებული სამყაროს ცქერა.

მაინც ვცადოთ.

ჩანართი

აზროვნება, სიბრძნე, გონი. 4.

ეს ღმერთი გვაიძულებს საკუთარი საზღვრებიდან გასვლას.

ადამიანია ის, ვინც თავს იმკვიდრებს ამაღლებით, უსასრულობით, რადგან მასშია ღმერთი.

ამ სამყაროს „არასრულყოფილება" იმაშია, რომ დროებითსა და მარადიულს – უკვდავს, სასრულსა და უსასრულოს, ადამიანურსა და ღვთაებრივს, სულიერსა და მატერიალურს შორის ჰარმონიის დამყარება ჯერ კიდევ მიუღწეველია.

იყო ადამიანი, ესაა უკვდავება.

მაგრამ რას ნიშნავს – იყო ადამიანი? – ეს არის ადამიანური ყოფიერების სრულად შევსება მოძრაობით, დინამიზმით. ესაა გონი, აბსოლუტური მოძრაობა, ეს მაშინ, როცა მატერიის მახასიათებელია ინერცია, მდგრადობა, ცვლილების არსურვილი.

სულს ინერცია არა აქვს, რადგან წონა, მასა არ გააჩნია.

საიდუმლო, იდუმალება არაა ღმერთი. ღმერთი აბსოლუტურად გახსნილია.

რატომ გვაღიზიანებს გახსნილობა? – იმიტომ, რომ ჩაკეტილობაა ჩვენი ნეტარების საფუძველი.

ჩვენ ამ უსუსურობას საიდუმლოების ნიღბით ვფარავთ.

რაც მეტია საიდუმლო, მით ნაკლებია ღმერთი.

წარმართებშია ღმერთი საიდუმლოებრივი, ფარდაჩამოფარებული, რადგან ფარდის უკან სიცარიელეა.

საიდუმლო, რომლის უკან სიცარიელეა, ეს კერპია.

ნუ შექმნით კერპებს, ნურც თაყვანს სცემთ, კერპის უკან სიცარიელეა!

აბსოლუტს, საიდუმლოსგან განსხვავებით, ახასიათებს გამჭვირვალობა და ესაა მისი უდიდესი შარმი, ხიბლი – ის იხსნება და მჟღავნდება აბსოლუტური გონის, სულის, კანონზომიერების უსასრულობით.

აბსოლუტის უკან ყველაფერია!

იცით რატომაა კანონზომიერებისკენ, ღმერთისკენ სვლა ასეთი საინტერესო და მიმზიდველი? იმიტომ, რომ ის უსასრულო მანძილიდანაც ნათლად ჩანს.

მაგრამ გახსნა იშვიათად ხდება, რადგან ჩვენ ლიბრი გვაქვს თვალებზე გადაკრული.

ჩვენში არსებული სიცარიელის ნისლის ფონზე კი გამჭვირვალობა ძნელი შესამჩნევია.

ამიტომაა, რომ მთელი სრულყოფით ვერ აღვიქვამთ ბახს, მიქელანჯელოს, გალაკტიონს, . . .

და ჩვენი სიბრმავით საიდუმლოებით მოცულად სწორედ ის გვეჩვენება, ვინც სრულად გაგვეხსნა, ვინც გახსნილი გახდა ჭეშმარიტებისთვის?

გრძნობის ნიღაბი

დასრულდა ტილო, დასრულდა აზრი – სამი ჩიტი და ორი მოჭრილი ხე, მარცხენა ხელში თაიგული, ხელებზე გაწყვეტილი ბორკილებივით მარჯნის სამაჯურები – სიყალბის ჭეშმარიტად ამსახველი დიდი ტილო ყალბ სამყაროში. ამ სამყაროში მე მეშინია ილუზიის ისევე, როგორც რეალობის, რადგან ისინი ისე გაითქვიფნენ ერთმანეთში, რომ უკვე განურჩეველნი არიან.

მაინც მივდივარ სარეველა გრძნობების, სიტყვებისა და აზრების ტყეში... ათასობით კილომეტრი მაქვს გავლილი. მივდივარ სიცილითა და ოხვრით, მისალმებითა და დამშვიდობებით, შეხვედრებითა და დაშორებით. ბუნდოვანია სურვილი – მივიდე იქ, სადაც სიწყნარეა, სადაც არაა სიყალბე, ტყუილი, სადაც წყნარად მეტყვიან სიმართლეს – აქ დარჩი.

ჩემ მიერ რეალურად ტილოზე ასახული სიყალბე მიყურებს თვალებში და გასაოცარი წყნარი ხმით მიხსნის: თურმე მისი ილუზია ჩემზე უკეთესია, ვიდრე მე, როგორც რეალობა. მე რაღაცნაირი, გაუგებარი ვარ.

მან მხოლოდ ის იცის, რომ, რატომღაც, თავიდანვე გული ერევა ჩემზე,... მაგრამ თუ მინდა შემიძლია დავრჩე, თუ არ მინდა – ნუ დავრჩები. მე არ დავრჩები იქ, სადაც მსუბუქად ერევეთ გული ჩემზე.

მე დიდი ხანია ვიცი, რომ სიმართლის თქმა სჯობს სიყალბეს. და ეს რა პარადოქსიც უნდა იყოს, გაუცხოება, იგნორირება აღარ მწყინს, რადგან მხოლოდ სიმართლე მიმიყვანს იქ, იმ ოაზისში, სადაც ჰარმონიაა, სადაც არაა ჭუჭყი, რადგან არავის შემოაქვს არსაიდან ის.

იმედითა და სიხარულის წყურვილით ვუახლოვდები ახალ პეიზაჟს, გაქვავებულ ნატურმორტს და იქ მოხვედრილი ვხვდები, რომ ისევ ილუზორულ სამყაროში აღმოვჩნდი, სადაც რეალური არაფერია...

მართლაც, აქ ყველაფერი ბრწყინავს, აქ ყველაფერი გაპრიალებულია, არავის არსაიდან არ მოაქვს ჭუჭყი, რადგან ჭუჭყის მოსატანად არსად წასვლა არაა საჭირო, ის აქაა, სულებში. ეს ის სულია, სადაც შავთან თეთრს ვერ იპოვი, სიკვდილთან – სიცოცხლეს, ცრემლთან – სიხარულს, სიძულვილთან – სიყვარულს... არავითარი ურთიერთდაპირისპირება, მხოლოდ დაუნური, ,,კდემამოსილი'' სიწყნარეა, მხოლოდ აქაც ოდნავ, ოდნავ, საკმაოდ ასატანად ერთმანეთზე ერევათ გული...

და მე ვუყურებ, თუ როგორ ინგრევა ეს სამყარო, რომელიც არასდროს ყოფილა აშენებული, რადგან ამ სამყაროში შენ იმ ილუზიის მატარებელი ხარ, რომელსაც მე არ უარვყოფ... ვიცი, რომ ეს ბავშვური არუარყოფა ძალიან ძვირი დამიჯდება. და მაინც, როცა რეალობა მაბრკოლებს შენს აღქმაში, ბავშვივით ვაგროვებ გაფანტული ილუზიის ნამსხვრევებს, რათა ერთი მთლიანი, დიდი სიყალბე, დიდი ილუზია შევქმნა. გამომდის რთული კონსტრუქციის, საოცრად მიმზიდველი, ორიგინალური სიყალბე. და რაც უფრო ვცდილობ გაგიგო, მით უფრო სრულყოფილი ხდება ჩემ მიერ შექმნილი ილუზორული კონსტრუქცია. და რაც უფრო ლამაზია ილუზიის

ფორმები, მრავლისმეტყველია გამოხედვა, საინტერესოა მისი სამყაროსთან მიმართება, ელეგანტური და გემოვნებიანია, მით მტანჯველი ხდება ჩემი ტკივილი.

ვხვდები, რომ იმაზე დამანგრეველი არაფერია, ვიდრე თვითმოტყუება.

მთელი არსით ვგრძნობ დაგვიანებული, მაგრამ აუცილებელი სიმართლის მოთხოვნილებას.

სიყალბემ გამაგებინა, რომ სიმართლე მხოლოდ რამდენიმე წამია მტკივნეული.

მერე თითქოს ძლიერდები, მაგრამ მაინც ილუზიისკენ იყურები. რა ლამაზიაა,... როგორ შევეჩვიე ილუზორულ სამყაროს,...

წინასწარ ვიცი, როგორ დავიბნევი, უსუსური გავხდები, როცა სცენაზე სიმართლე გამოვა. და შენ წყნარად, ეროტიკული ჩურჩულით მეტყვი – რა ვქნა, გული მერევა შენზე.

სიმართლის გამოსვლა კი აუცილებლად მოხდება... ეს სცენარშია თავიდანვე ჩადებული. და თუ დრამატურგს გონება არ ეყო და გამორჩა, ის დიდი რეჟისორი, რომელიც ზემოდან უყურებს ამ საცოდავ ფარსს, უცილობლად ჩაამატებს სპექტაკლის ფინალში იმ აუცილებლობას, რასაც ჩვენ ჭეშმარიტებას ვუწოდებთ...

და შენც სიმართლის წინაშე დგები.

ამჟღავნებ ილუზორულ, ყალბ სიამაყეს და გგონია, ამით ვიღაცისადმი მსხვერპლშეწირვის რიტუალი აღასრულე და ის ოდესმე წყალობის თვალით გადმოგხედავს. და შემორჩენილი რეალობის ნამსხვრევებიც იფანტება. დრო იყინება.

მერე კი, როცა დუმილი აუტანელი ხდება და სიმართლე არც ისე მტკივნეული გეჩვენება, უკვე გვიანაა, რადგან ჩვენ აღარ გვახსოვს რეალობის ის ენა, რითაც ოდესღაც ერთმანეთს ვუგებდით...

და გახსენდება საშინელი სიმართლე – მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ. ჩვენ არათუ ერთმანეთი, მდინარეც კი დავკარგეთ.

არ დაბრუნდება არაფერი.

არდაბრუნება...

ამ სიტყვაში ჩადებული ტრაგედიის სიღრმეს თავიდან ვერ ვხვდებით. გვიან, ძალიან გვიან ხვდები, რომ ეს უფრო საშინელი სიტყვაა, ვიდრე სიტყვა „არასდროს"... ხვდები იმასაც, რომ მანამდე უნდა გეთქვა, მანამდე უნდა დაგენახა, სანამ ურთიერთობის ენას დავივიწყებდით. გახსოვს ის მომენტი, როცა საჭირო იყო თქმა და არ თქვი. აი, ამას ვეღარ დააბრუნებ.

შენ წინაშე მთელი სიმკვეთრით ამოტივტივდება აზრი – არ არსებობს სხვა დრო, ვიდრე ახლა. დიახ, არაფერი განმეორდება, ან ეძიე სხვა, ან უბრალოდ ყველაფერი ახლიდან უნდა დაიწყო.

ახლიდან დაწყება ეს არაა პროცესის კოპირება. ეს არის იმ ილუზორული სამყაროს თავიდან გააზრების მცდელობა, სადაც მე ზედმეტი ვარ.

არა, ეს არაა ჩემი კომპლექსების საქვეყნოდ აღიარება.

არა, ეს ამ ილუზორულ სამყაროში სავსებით ნორმალური მდგომარეობაა, რადგან აქ ყველა ყველასთვის, როგორც რეალობა, უბრალოდ ზედმეტია.

აქ ერთმანეთს არა მარტო სიყვარულს უხსნიან ვირტუალურ სივრცეში, არამედ სექსიც კი მონიტორის ეკრანზე ხდება. ვირტუალური და ილუზორული სამყარო ცვლის რეალობას. და ყველა ისიც კი, ვინც ახერხებს არა მონიტორზე, არამედ ზეწარზე ურთიერთობას, არაფრით განსხვავდება ვირტუალურობის მოტრფიალეებისგან.

აქ ილუზორულობა მაქსიმუმს აღწევს. ერთი გამოგონილი, ილუზორული უმაღლეს ნეტარებას განიცდის მეორე გამოგონილ, ილუზორულთან შეხვედრისას. ილუზორულობა არ ითხოვს ურთიერთგახსნას არც მეგობრობისას, არც სიყვარულისას.

ილუზორული სამყაროს საშინელება ისაა, რომ მათემატიკისგან განსხვავებით აქ ორი მინუსი შეხვედრისას პლიუსს არ იძლევა. ორი სიყალბე შეხვედრისას სიმართლეს კი არა, ერთ დიდ სიმახინჯეს, სიყალბეს ქმნის.

მე არ მინდა, ვიყო სიყალბის ნაწილი, ამიტომ ზედმეტი ვარ იმისთვისაც კი, ვისაც ჩემ გარეშე მხოლოდ არსებობა შეუძლია.

მას უბრალოდ არ ესმის ეს, რადგან მას მხოლოდ ფორმის, ზომის, წონის, ცოცხალი ლეშის, დაუბანელი სხეულის სუნის, ფხანის აღქმა და იმ „საოცრებით" აღფრთოვანება შეუძლია, რომელიც სიცოცხლეს ვერასდროს შექმნის, იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ ის არსით უბრალოდ სიყალბეა.

დიახ, ყალბ სამყაროში მხოლოდ ფორმა, პარამეტრები გამოსახული სანტიმეტრებში ჰგავს რეალობას. აქ უაზრობაა ერთმანეთის არსში შესვლა, ერთმანეთში გახსნა, რადგან საკუთარი არსი შეუძლებელია სანტიმეტრებში გამოსახო. აქ სანტიმეტრების დღესასწაულია. საზომი ერთეული პარსეკი არავის სჭირდება, რადგან ვარსკვლავიან ცაში არავინ იყურება. სამყაროს მასშტაბებს სანტიმეტრებში ვერ აღიქვამ.

(პატიოსნებს შევახსენებთ, პარსეკი ის მანძილია, საიდანაც დედამიწის რადიუსი ჩანს 1 სეკუნდის კუთხით 3×10^{13}კმ = 3 სინათლის წელიწადი).

ამ სამყაროში ურთიერთგახსნას რეალური არსი არ გააჩნია, რადგან თავის სათაყვანებელ, სანტიმეტრებში გამოსახულ რიცხვს, რაოდენობას ყველა უდიდეს საიდუმლოდ ინახავს. ერთხელ, ორჯერ,... დღეში სამჯერ... და ეს საიდუმლოს შენახვის რიტუალი ილუზორულ სივრცეს განუმეორებელ შარმს, დღესასწაულის ელფერს ანიჭებს.

ილუზიის ამ დღესასწაულზე ჩემი ადგილი არაა, რადგან სანტიმეტრებით, ციფრებით აღფრთოვანება ეგზიუპერივით, მეც ვერ ვისწავლე.

მართლაც, თუ ვინმეს ეტყვი – „მე ვნახე ლამაზი, ვარდისფერი აგურებით აშენებული სახლი, ფანჯრებში ყვავილებით, სახურავზე მტრედებით" – უმრავლესობა ამ სახლის სილამაზეს ვერ წარმოიდგენს. ამიტომ, მათ უნდა უთხრათ: „მე ვნახე სახლი, რომელიც ღირს 100 ათასი . . ." – აი, მაშინ კი აღტაცებით წამოიძახებენ – „რა ლამაზი სახლი გინახავს?!"

თუ ვინმეს ეტყვი, რომ ლამაზი გოგონა გაიცანი, ისინი არ იკითხავენ, უყვარს თუ არა მას პეპლები, პოეზია, რა მუსიკას უსმენს,... არა, ისინი იკითხავენ – რა, მისი პარამეტრები 90/60/90-ზეა?

ამიტომ ვარ მიულებელი, ჩემზე სწორედ მაშინ ერევათ გული მსუბუქად, როცა მათ სამყაროში შესვლას ვცდილობ. პროტესტი უმაღლეს ფორმას აღწევს, როცა ვცდილობ, მას გავეხსნა და მას კი არა მარტო თვით გახსნის, გადარჩენის არსი არ ესმის, არამედ სურვილიც კი არა აქვს, გაიგოს.

არა, ჩემი მხრიდან აქ სიბრაზე ან გულისტკივილი გამორიცხულია. უბრალოდ ამისთვის დრო არ მაქვს. რეალურ ჭაობში ჩაფლული ადამიანის გადასარჩენად ყოველი წამი ძვირფასია. იმისი დრო არაა, იფიქრო, რატომაა ასე მყრალი და ბლანტი ჭაობი ან რატომ აქვს ასე ნეტარებით გაცისკროვნებული სახე უკვე კისრამდე ჩაძირულ სუბიექტს. ნეტავ, სანტიმეტრებში გამოსახული რა საოცრება გაახსენდა?

როგორ ამოვათრიო ჭაობიდან?

როგორ გავაგებინო, რომ სანტიმეტრების გარდა მას უსასრულო სამყაროს, რეალობის, ჭეშმარიტების შემეცნების უდიდესი, თანდაყოლილი უნარი გააჩნია. ამ უნარის გამომჟღავნებას მხოლოდ ურთიერთგახსნა, საუბარი, დიალექტიკა სჭირდება. როგორ გადავლახო ეს ბარიერი?

არსებობს ადამიანის ტვინში ე.წ. სარკული ნეირონები, რომლებიც ბევრ საინტერესო თვისებასთან ერთად ჩვენს გონებაში წამხედურობის, გადამეორების არაცნობიერ უნარს ასაზრდოებენ.

როცა ოსკარ პიტერსონს ვუსმენ, მეც თითებს ვამოძრავებ მისი მიბაძვით, ვითომ ვუკრავ, ესაა მიბაძვა.

ამიტომ ვცდილობ, პირველმა გავიშიშვლო საკუთარი არსი, რომ იქნებ მანაც მომბაძოს.

ოდესმე თუ გიფიქრიათ, რას ნიშნავს სულისთვის კანის გაძრობა?

ეს არაა ერთი სულიერი ნერვის გაშიშვლება. ეს არის მილიონობით მგრძნობიარე ნერვის გახსნა.

ეს წარმოუდგენლად მტკივნეული პროცესია.

რისთვის? რა საჭიროა ეს? ვის სჭირდება ეს ჩემი აუტანელი ტკივილი? – შენ.

ჩაიხედე სარკეში და დაუკვირდი იმას, ვინც დაკვირვებით გიყურებს.

ეს შენ ხარ.

სამწუხაროდ, სარკის მინის იქით არაა ლამაზი, ძალიან ლამაზი ალისას საოცრებათა ქვეყანა. იმის იქით იმ სიმყრალის ანარეკლია, რაც შენ უკანაა, რაც შენს ფონს ქმნის.

ამ სარკეში საკუთარ არსს ვერ დაინახავ. დაინახავ მხოლოდ იმ ილუზორული სამყაროს ილუზიას, რისი ნაწილიც ხარ.

ამიტომ არ არსებობს ამ სამყაროში ჩემი საფლავი

ეს არაა ჩემი პროტესტი ამ სიყალბის მიმართ

ესაა სიყალბის პროტესტი რეალობის მიმართ.

ჩანართი

აზროვნება, სიბრძნე, გონი. 5.

ღმერთისთვის, აბსოლუტურად გახსნილისთვის სამყარო კი არაა აუცილებელი, არამედ სამყაროს შექმნა, ქმნადობა.

შემოქმედი მხატვრისთვის ტილო სულაც არაა აუცილებელი.

ნიკალას რომელიმე ტილო შეიძლება არც კი ახსოვდეს, მაგრამ **მას შემოქმედების გარეშე არ შეუძლია.** ნიკალა დუქნის კედლებზე ჩანახატებს უმისამართოდ ტოვებდა.

მან იცოდა

ღმერთი არის შემოქმედება, განვითარება, აქტიურობა, შემოქმედებითი საწყისი.

შემოქმედების გარეშე ღმერთი არაა ღმერთი.

ჩვენ არ გვინდა, ვიყოთ შემოქმედნი...

შემოქმედი ტილოთი არ განისაზღვრება. ეს, ტილო განისაზღვრება მისი შემქმნელით.

შემოქმედში თავისუფლება და აუცილებლობა იგივური ცნებებია.

ის ქმნის იმას, რაც აუცილებელია.

არაშემომქმედის სუბიექტურობა, ფუსფუსი, ფართხალი ესაა აუცილებლისგან თავის არიდება, მისგან განდგომა.

ჩვენი ისტორია აუცილებლისგან თავის არიდებაა.

თავის უფლება ნიშნავს, რომ მხოლოდ საკუთარი თავის ამაღლება-განვითარების უფლება გაქვს.

სწორედ ჩემში არსებული ღვთიური პოტენციალის გამოყენებისთვის ვარ შექმნილი და ღმერთთან მისასვლელად ეს აუცილებლობაა.

გამოდის, რომ აუცილებლობა და თავისუფლება იგივური ცნებებია.

სწორედ ჩვენმა ილუზორულმა ცხოვრებამ მიგვიყანა იგივურობის დარღვევამდე — თავისუფლება აუცილებლობის გარეშე და აუცილებლობა თავისუფლების გარეშე.

შედეგი სახეზეა — არც ერთი გვაქვს და არც მეორე.

აზრით ცნობილი სულაც არაა შეცნობილი.

შეცნობას სიბრძნე სჭირდება.

შეცნობილი ნიშნავს, რომ ცოდნის გამოყენება შეგიძლია.

სარკე

სარკე არაფერს ხედავს, ის მხოლოდ არეკლავს.

დაუკვირდი, სარკეში შენ ილუზიის ანარეკლს, ილუზიის ილუზიას ხედავ.

რა ქნას სარკემ. მას სხვა არაფერი შეუძლია. ის უბედურია, რადგან სარკეა და მხოლოდ არეკვლა შეუძლია.

მობრუნდი ჩემკენ.

შემომხედე.

სარკისგან განსხვავებით, მე არ აგრეკლავ, მაგრამ გხედავ.

სარკე შენ ვერ გხედავს.

მე გხედავ შენ.

მე ვხედავ შენს სურვილებს, გრძნობებს, შენს აზრებს, მხოლოდ იმიტომ გხედავ, რომ ნერვებგაშიშვლებული ზემგძნობიარე სარკე ვარ.

მხოლოდ ზემგრძნობიარე სარკეს შეუძლია, დაგინახოს.

მხოლოდ ასეთ სარკეში შეგიძლია საკუთარი არსის დანახვა.

ამიტომ გავიშიშვლე გონება, გრძნობები, ნერვები, ნეირონები.

ამიტომ შემიძლია შენი გრძნობების, აზრების დანახვა.

არა, ეს არაა ტელეპათია.

ესაა ჩემი გაშიშვლებული ნერვებით, უკიდურესად ამაღლებული მგრძნობელობით, შენი უმნიშვნელო ჟესტის, მიმიკის დანახვა, შემთხვევით წარმოთქმული თუნდაც ერთი სიტყვის გაგება. ესაა შენი ილუზორული ღიმილის მიღმა შიშის ამოკითხვა და ის კითხვა – რა მოხდა? – რომელზედაც შენ არ მიპასუხებ.

შენი პასუხი მე არ მჭირდება.

შენი პასუხი გჭირდება – შენ.

მე ვხედავ შენს ილუზორულ აზრებს.

რჩება უკანასკნელი – შენც უნდა დაინახო შენი ილუზორული აზრები.

მე ვგრძნობ შენს იმ გრძნობებს, რომელსაც შენ ვერც ამჩნევ.

გრძნობათა ხედვა აზრთა ხედვაზე ძლიერია.

ამიტომ ჩემი ხედვა უფრო ძლიერია, ვიდრე ტელეპათია, რადგან შენს აზრებში შენ იტყუები. ამას ჰქვია ილუზორული სამყარო.

ამიტომაა ტელეპათია უაზრობა.

ტელეპათია ესაა ერთი სიყალბის მიერ მეორე სიყალბის გამომჟღავნება.

მხოლოდ აზრს შეუძლია ილუზიით კმაყოფილების შეგრძნება და არა გრძნობას.

შენი სხეული, გრძნობები არ იტყუება ერთი მიზეზის გამო – მან არ იცის, რაა ტყუილი.

შენ ვერასდროს აიძულებ სხეულს მოიტყუოს.

სცადე, უბრძანე გულს ატკივება.

ვერ შეძლებ.

შენ მხოლოდ შეგიძლია, მოიტყუო და თეატრალური აღმაფრენით წარმოთქვა, თავი გამანებე, გული მეტკინა.

დიახ, შენ ჯერ ვერ ფლობ საკუთარი სხეულის მართვას.

შენ ამისთვის არავითარი მექანიზმი არ გაგაჩნია. შენ არა გაქვს უნარი, საშუალება შენს გრძნობებს საკუთარი თავის მოტყუება ასწავლო.

საკუთარი თავის მოტყუება მხოლოდ შენს ილუზორულ აზრს, ილუზორულ გონს, ილუზორულ **მე**-ს შეუძლია.

დიახ, სარკისგან განსხვავებით, მე შემიძლია ჩემი გაშიშვლებული ნერვებით შენი მოუტყუებადი გრძნობების, სხეულის დანახვა ისე, რომ მე დავრჩე იმად, რაც ვარ.

ძალიან ძნელია, შევინარჩუნო საკუთარი არსი, როცა შენ აირეკლები ჩემში, რადგან სარკისგან განსხვავებით შენს ილუზიას ვირეკლავ, ხოლო გრძნობების ჭეშმარიტი არსი კი ჩემში რჩება, რადგან შენივე შენთვის ფასეული არაა.

მტკივნეულია საკუთარი გრძნობების დამორჩილება, როცა შენი ჭეშმარიტი გრძნობები ავსებენ ჩემს სასიცოცხლო არხებს, ჩემში გეძებენ შენ და როცა ვერ გპოულობენ, გამწარებულები აგრესიულად უტევენ ჩემს სულს, აზრებს, სხეულს.

მხოლოდ ტკივილით, გაშიშვლებული ნერვებითაა შესაძლებელი შენ მიერ მიტოვებული აზრობრივი და გრძნობადი არსის აღქმა.

აუტანელი ტკივილის ფონზე ვცდილობდი, არაფერი გამომრჩენოდა, არაფერი დამეკარგა. ასე გროვდებოდა დიდი ხანი, სანამ არ მოხდა გარღვევა და შენი გრძნობები, შენი აზრები არ გადავიდა ჩემს წიგნებში, პოეზიაში, ტილოში და მხოლოდ მაშინ მომეცა მცირე ხნით ამოსუნთქვის საშუალება.

კითხულობ ჩემს წიგნებს, პოეზიას, უყურებ ჩემს ტილოებს და გიკვირს – როგორ ვახერხებ იმის წერას, რასაც შენ ფიქრობ, რასაც გრძნობ, მაგრამ ვერ წერდი, ვერ ყვებოდი, ვერ გადაგქონდა ტილოზე, რადგან შენი ილუზია ვერ იტანს რეალობას.

და ჩემი რეალობა უფრო გაშფოთებდა, უფრო ვერ მიტანდი, უფრო გერეოდა გული, უფრო იკეტებოდი საკუთარ არსში.

რათა არ დამეკარგე, თავის მხრივ, ეს ჩემგან უფრო მეტ მგრძნობელობას ითხოვდა, ისეთ გაშიშვლებას, რომ უმნიშვნელო ნიავიც კი უდიდეს ტკივილს მაყენებდა და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

ყველაფერს აქვს ზღვარი.

უბრალოდ დავიღალე და ვხვდები, რომ აღარ მინდა გავშიშვლდე, ჯიბესავით ამოვატრიალო საკუთარი არსი იმის წინაშე, ვისაც ილუზიის გარდა არაფერი აინტერესებს.

პროტესტი სიგარეტის კვამლივით შემოდის ჩემს სულში.

მე აღარ მინდა ფუჭად დავიცალო სიტყვებისგან, ემოციებისგან, სიმართლისგან, აღარ მინდა ვხატო რეალობა უფაქიზესი ფუნჯით ილუზორულ სამყაროში, ილუზორულ ტილოზე, აღარ მინდა გავეხსნა ვინმეს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

დავიღალე.

იძულებული ვარ გაძრობილი კანის ნაცვლად შევქმნა და მოვირგო ნიღაბი.

საკუთარი არსის მარაგში უშედეგოდ ვეძებ განდგომისთვის აუცილებელ ენერგიას და რადგან ის ჩემს არსში ვერ აღმოვაჩინე, ვცდილობ სხვისგან მაინც ვისესხო მცირე რაოდენობის გულგრილობა, მაგრამ ამ საგანძურს არავინ იძლევა.

არ გამომდის მაღალი ხარისხის უგძნობლობის ნიღბის შექმნაც.

ვცდილობ, მოვირგო სქელი, უგრძნობი კანის ის ნიღაბი, რისი შექმნაც შევძელი და არაფერი გამომდის.

უკვე გვიანია, უკან გზა აღარაა. ისე მაქვს გრძნობები გაშიშვლებული, რომ ნებისმიერ, ვიმეორებ, ნებისმიერ ჰარმონიაზე და არა აქვს მნიშვნელობა, ეს უბრალო ღიმილია, თუ ბახის ფუგები, არარსებულ კანზე ბურძგლებს მაინც მაყრის.

აღმოჩნდა, რომ სქელკანიანი ნიღაბი გაცილებით მტკივნეულია, ვიდრე სხეული ნიღბის გარეშე, თუნდაც იმიტომ, რომ ნიღბით არ შეგიძლია იგრძნო ის სულიერი სითბოც კი, რომელიც შენთვის ოდესღაც ასე ახლობელი იყო.

ასეთ უგრძნობლობას ტკივილი, გაუსაძლისი ტკივილი მირჩევნია.

არა, ეს არაა მაზოხიზმი.

ეს ის ჭეშმარიტებაა, რომელიც ერთ წინადადებაში ეტევა – ტანჯვის გარეშე სიამოვნების აღქმა მხოლოდ ილუზორულ ცხოვრებაშია შესაძლებელი, რადგან ილუზორულ ცხოვრებაში ტანჯვაც და სიამოვნებაც ილუზიაა.

მხოლოდ ილუზორულები ვერ ხვდებიან, რომ ცნება სიამოვნება არ არსებობს ცნება ტანჯვის გარეშე.

დედაშენს რომ არ განეცადა ტკივილი, ვერ მიიღებდა იმ უდიდეს ნეტარებას, რასაც შენი დაბადება ჰქვია.

მხოლოდ ილუზორულ სამყაროშია შესაძლებელი, ტანჯვის, ტკივილის გარეშე ”მე და ღამის”, მეხუთე სიმფონიის,... შექმნა.

როდის მიხვდებით, რომ მხოლოდ უკიდურესი დაძაბვა, სხვაში, უკიდურეს ზღვარში მტკივნეული გახსნა გაგაგებინებს, შეგაცნობინებს იმას, თუ ვინ ხარ.

არ არსებობს იმაზე მეტი ბედნიერება, სიამოვნება, ვიდრე სხვას საკუთარი თავი, საკუთარი სამყარო თავად შეამეცნებინო.

არ არსებობს იმაზე მეტი ბედნიერება, რომ სულს უაზრობა, სიყალბე, გულისრევა წაართვა.

შენ უნდა შეძლო იმ ადამიანის როლის შესრულება, როგორზედაც ოცნებობდი და ვერასდროს ბედავდი. მხოლოდ ილუზორული სამყაროდან გამოსული მიხვდები, რომ შენივე ოცნების ადამიანი, რომლის როლის შესრულებაზეც ოცნებობდი, თვითონ შენ ხარ და არაფრის დამატება არ გჭირდება.

შენ ამისთვის ყველაფერი თანდაყოლილი გაქვს.

სწორედ სანამ ამას არ მიხვდები, მანამ გჭირდება შენი სისუსტის დასაფარად ილუზია, სიყალბე, გულისრევა, ზიზღი. ამას კი ტკივილის, ტანჯვის გარეშე ვერ დაძლევ.

ტანჯვა

სამწუხაროდ, მე ვერ გავბედავ ქართულ ენაში ახალი სიტყვის შემოტანას, არა და ურთულესია ახალი სათქმელის ძველი სიტყვებით გამოთქმა. ზემოთ ნახსენებ სიტყვა ტანჯვაში სხვა რამეს ვგულისხმობთ და არა იმას, როგორც უმრავლესობას ესმის.

ეს არ გახლავთ ტკივილით გამოწვეული ტანჯვა. თუ თქვენ ფეხსაცმელში ჩავარდნილი ქვის ნამცეცი გტანჯავთ, მაშინ დაბერტყეთ ფეხსაცმელი და თქვენი ტანჯვაც გაქრება.

ჩვენ იმ ტკივილით გამოწვეულ ტანჯვას არ ვგულისხმობთ, რომელიც გადის დაბერტყვით ან სასმელის, ანალგინის, ლიდოკაინის,... გამოყენებით. ეს არც ის სულიერი ტანჯვაა, რომელსაც ანტიდეპრესანტები ან, როგორც ჰგონიათ, ნარკოტიკი შველის. ეს არც შენთვის ძვირფასი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული საშინელებაა, ის ტანჯვა არ არის, ის მწუხარებაა.

ჩვენ იმ ტკივილსა და ტანჯვაზე ვსაუბრობთ, რომლის ზღვარი სიამოვნებასთან, ბედნიერებასთანაა გადღაბნილი და ნებისმიერ ტანჯვაზე გაცილებით ძლიერია. არ იფიქროთ, რომ ეს მაზოხიზმია.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ მიქელანჯელო დავითის ქანდაკების შექმნის პროცესში, სუსხიან ზამთარსა თუ პაპანაქება სიცხეში, სკულპტურის ხეხვით გადატყავებული, დასისხლიანებული ხელებით, უძილობით ყოველდღიურ ტანჯვას განიცდიდა, ცდება, ილუზიაში იმყოფება. რეალობა ისაა, რომ ამით ის უდიადეს ბედნიერებას განიცდიდა.

ეს ის ტანჯვაა, რომელსაც ყურის მოკვეთით ვერ გადაფარავ. ,,მე და ღამის'' შექმნის ტანჯვას სასმელში ვერ ჩაახშობ. ეს ტანჯვა ყოველი ფუნჯის მოსმისას, ყოველი სტრიქონის, პწკარის წერისას უდიადეს სიამოვნებასა და ბედნიერებას განგაცდევინებს.

არ გწყევლით, გისურვებთ ამგვარ ტანჯვას.

გაბედე, გაიხსენი და აუცილებლად მიხვდები, რომ ის, რაც წაიკითხე, არაა ტანჯვისადმი მიძღვნილი ჰიმნი. არა, ესაა ბედნიერების აპოლოგია, აპოლოგია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ჩანართი

ადამიანის არსი ანტიკურ კულტურაში 1.

კაცობრიობის ისტორიაში ნათლად ჩანს, რომ ადამიანის არსში გარკვევის ფილოსოფიური ხედვა თითქოს აპრიორულად ჩადებული კანონზომიერებით განვითარდა.

შესაბამისად, ადამიანები მეტ-ნაკლები მზაობით შეხვდნენ ადამიანის არსის გააზრების ქრისტიანულ ფილოსოფიას, რადგან ქრისტიანობა ქრისტიანობამდე არსებობდა.

მართლაც, გავიხსენოთ ძველი ბერძნები.

როგორც აღვნიშნეთ, კომპლექსური მიდგომის გარეშე ურთულესია ანტიკური ინფორმაციის ანალიზი.

თვით ადამიანის არსის, **მე**-ს გახსნის საკითხი მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი მითებში, ტრაგედიებში, ლირიკაში, ყოფით დოკუმენტებში, ფილოსოფიურ ტრაქტატებში.

ანდა, რა იგულისხმება ადამიანის არსში, **მე**-ში?

– თანამოქალაქეებისგან სოციალური ავტონომიზაცია?

– ინდივიდუალური ემოციური განცდები და მოტივები?

– საკუთარი **მე**-ს მიმართ ამაღლებული ინტერესები?

მიუხედავად იმისა, რომ მათი ღმერთები ადამიანური თვისებებით არიან წარმოდგენილნი, მათში შინაგანი არსის აღმოჩენა მაინც ურთულესია. ღმერთების აღწერისას მხოლოდ ადამიანური თვისებებია მხატვრულად გადმოცემული (პათოლოგიების ჩათვლით). პრობლემა იმითაც რთულდება, რომ ამ პათოლოგიის მატარებელნი უკვდავნი არიან.

ღმერთების ღვთიური თვისებები აღწერილი არ არის. ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთების აღწერისას შემოიფარგლებოდნენ ეპითეტებით. მაგ., ზევსი – ღრუბელთმპყრობელი, მეხთამტეხი, წარღვნის მომწყობი, მბრძანებელი,... ასე იყვნენ ასახულნი ღმერთები ბერძნულ კულტურაშიც. ისინი არც ეძებდნენ ოლიმპის ღმერთებში ღმერთს. ისინი არაცნობიერად გრძნობდნენ სამყაროს, აბსოლიტურ კანონზომიერებას, ღმერთს საკუთარ თავში

სახვით ხელოვნებაში მაქსიმალური ყურადღება ექცეოდა ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა გონივრულობა, ძალა, დინამიკა, ესთეტიკა,...

გრძნობა

გრძნობა, ასტრალურობა ის უპირველესი მექანიზმია, რითაც მე შევიგრძნობ არსებობას, ცხოვრებას, საკუთარ თავს, სამყაროს და, რაც მთავარია შეგიგრძნობ შენ. ის უცილობელი ნაბიჯია სიცოცხლისკენ მიმავალ გზაზე. დიახ, გრძნობა იზიდავს მას, ვინც ქმნის შენი ცხოვრების აზრს – სიცოცხლეს.

არათუ ადამიანი, მცენარეც კი, ვაზის ლერწამი ბევრ, ძალიან ბევრ ადამიანზე უკეთესად გრძნობს, რეაგირებს და არჩევს იმ ადამიანს, ვისაც ის უყვარს და ვინც არ აფასებს მას.

გრძნობა, ეს დიდი, ძალიან დიდი ენერგიაა.

ნებისმიერი გრძნობა, რაც გქონდა, თუ გქონდა, რაც გაქვს, თუ გაქვს, რაც გექნება, თუ გექნება, – ესაა სიცოცხლისკენ სწრაფვის პირველი ნიშანი.

გრძნობა იმიტომაა გრძნობა, რომ მიისწრაფვის იმისკენ, ვის გარეშეც არაფერს აზრი არა აქვს.

ამ ორიენტირის გარეშე – შენ გარეშე სიცოცხლე არაა სიცოცხლე.

სიყვარულის უდიდესი ენერგია აბსოლუტიდან მოდის, ის ჩემ გარეთ გენერირდება. მე სიყვარულის ენერგიას შენგან, კონკრეტული ადამიანისგან ვიღებ და გავცემ, სხვა გზა არ არსებობს.

აქ მთავარია ის, რომ გრძნობის უმაღლესი ენერგია – სიყვარული შენკენაა მომართული. მისი უძლიერესი სინათლე განგჭოლავს და ვრცელდება მთელ სამყაროში. სწორედ ამგვარად, შენი მეშვეობით მიმდინარეობს კოსმოსსა და ჩემ შორის სიყვარულის ენერგიის ურთიერთგაცვლა. სიყვარულის ენერგია არ იხარჯება, არ სუსტდება, არ კვდება. ის მხოლოდ შენში გავლით ავსებს და ქმნის მთელ სამყაროს.

გრძნობა – ესაა შენი არსის ენა.

თუ გინდა იცოდე, რაა შენთვის ჭეშმარიტი, ამისთვის, უპირველესად, ყურადღება მიაქციე იმას, თუ რას გრძნობ, როცა მას უყურებ და არა იმას, თუ რას ფიქრობ.

დაუკვირდით, ყველა ჩვენ მიერ ჩადენილი სისულელე ხომ ჩვენი „გონივრული“ გადაწყვეტილებების შედეგია.

დიახ, **მხოლოდ შენს ყველაზე ღრმა გრძნობაშია მოცემული შენი უმაღლესი ჭეშმარიტება. გრძნობა თვითონ გამოარჩევს, ამოატივტივებს არაცნობიერიდან იმას, რაც შენთვის მნიშვნელოვანია.**

სწორედ ესაა ჭეშმარიტების წვდომის საფუძველი, ასე შევიმეცნებ საკუთარ თავს, შეგიმეცნებ შენ და მთელ სამყაროს.

და თუ გრძნობის გამოხატვა არ შეგიძლია, ეს ნიშნავს, ან იტყუები ან გრძნობა არ გაგაჩნია, ე.ი. შენში არ არსებობს მოაზროვნე, შემოქმედი.

შემოქმედების გარეშე არ არსებობს სიცოცხლე, ხოლო შემოქმედება კი – სიცოცხლის გარეშე.

სიცოცხლე არის შემეცნების, შექმნის, შემოქმედების პროცესი.

ცოცხალი ყოველწამიერად კი არ აღმოაჩენს, არამედ ყოველწამიერად ქმნის საკუთარ თავს. ამიტომაა ცოცხალი მუდამ ორიგინალური, მუდამ ლამაზი.

ცოცხალია ლამაზი და არა ლამაზი – ცოცხალი.

მხოლოდ ცოცხალი მიხვდება, რომ

– ყველაზე ძლიერია ის აზრი, რომელიც განიჭებს სიცოცხლის სიხარულს.

– ყველაზე ძვირფასია ის სიტყვები, რომელიც გამოხატავს ჭეშმარიტებას.

– ყველაზე დიდი გრძნობა სიყვარულია.

დიახ, სიყვარული, მშვენიერება, ჭეშმარიტება ის სამებაა, რომლის გარეშეც ცხოვრება სიცოცხლეში არ გადადის.

დიახ, სამებას – **სიყვარულს, მშვენიერებას, ჭეშმარიტებას –** ერთიც რომ დააკლდეს, სიცოცხლე უბრალო არსებობაში გადავა.

სიყვარული მშვენიერებისა და ჭეშმარიტების გარეშე არაა სიყვარული

მშვენიერება სიყვარულისა და ჭეშმარიტების გარეშე არაა მშვენიერება

ჭეშმარიტება სიყვარულისა და მშვენიერების გარეშე არაა ჭეშმარიტება

ამრიგად, სიყვარული, მშვენიერება, ჭეშმარიტება არაიგივურობის იგივურობაა

რადგან ვიმეორებთ, **სიყვარული, მშვენიერება, ჭეშმარიტება** ეს ის სამებაა, რაც ქმნის სიცოცხლეს.

ეძიე სიცოცხლე და თუ სიცოცხლემ ვიღაცასთან მიგიყვანა, ვიღაც სიცოცხლით მოვიდა შენთან, ეს ნიშნავს თქვენთან სინათლის დაბადებას. და თუ ორმა, სამმა და, მით უმეტეს მეტმა ეს შეძელით, მაშინ დაინახავთ სინათლეს, ქრისტეს, აღმოაჩენთ საკუთარ თავს, ჭეშმარიტ **მე**-ს (მათე 18,20.).

მართლაც, დისკუსიის გარეშეა ფრაზა – **მე მიყვარხარ არა მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ხარ შენ, არა – მე მიყვარხარ იმიტომ, რომ მე ვარ მე, როცა შენ მიყვარხარ.**

თუ ჭეშმარიტმა გრძნობამ ვინმესთან მიგიყვანა და თუ სხვა ვინმე, თავისი გრძნობით, თქვენ ორთან მოვიდა, მაშინ თქვენ იგრძნობთ, რას ნიშნავს სინათლის მოსვლა, რას ნიშნავს მათე 18,20. და თუ ერთმა, მით უმეტეს ორმა და მეტმა ვერ დაინახეთ ღმერთი თქვენ შორის, საკუთარ თავში, ეს ნიშნავს, რომ თქვენ ვერაფერს ხედავთ ვერც დღე, ვერც ღამე.

ვერ დაინახავ საქართველოს, მის მთებს, კავკასიონს – დილით ცისფერს, გამჭვირვალე აკვარელს, მერე მუქ მწვანეს, შემდეგ გალაკტიონის ლურჯს, ფერთაცვალების თეთრ მწვერვალს, მერე ჩამუქებულს და საღამოს, თითქოს ყველა კანონზომიერების დარღვევით, წმინდასა და მსუბუქს, შინდისფერ-ვარდისფერსა და ოქროსფერს.

სწორედ ესაა ქრისტე გახსნილი საქართველოში, ესაა ქრისტეს დანახვა.

დიახ, თუ ამ საოცრებაში ქრისტეს ვერ ხედავ, არ გაგაოცებს ეს გამაოგნებელი უდიადესი სიმძლავრე. და თუ ამგვარად გამოსახულშიც ვერ დაინახე ქრისტე, შენ მას ვერსად აღმოაჩენ.

გაუგებარია, უაზრობაა, რატომ მიდიხართ იქ, შორს, გადაღლილი, ეგზალტირებული, ოფლიანი ადამიანების ხელში ფოკუსის – „თავისთავად" ანთებული სანთლის სანახავად. იქ ათასნი ხართ და ერთმანეთს ვერ ხედავთ, ვერ გრძნობთ და მხოლოდ ცეცხლთაყვანისმცემლობის რიტუალს აღასრულებთ...

სწორედ ამ ურწმუნოებისა და უგუნურობის დღესასწაულმა გამოგვათაყვანა და დაგვავიწყდა, რომ ყოველი ჩვენგანი ფლობს არა მარტო თანდაყოლილ გონს, არამედ თანდაყოლილ გრძნობას, მგრძნობელობას, სამყაროსა და ადამიანის შეგრძნების უნარს.

მთელი სამყარო გაჟღენთილია აბსოლუტური გრძნობით, ურთიერთობისთვის აუცილებელი თანდაყოლილი უნარით. მის გარეშე შეუძლებელია ადამიანის საკადრისი ცხოვრება. სწორედ ამ ფენომენის ჯიუტად მიუღებლობით ვართ ერთმანეთისგან ასე გაუცხოებულნი.

ეს გაუცხოება ჩვენს ლექსიკაშიც აირეკლა.

არსებობს უცხო სიტყვები, რომლებიც იმდენად უტილიტარულია, რომ მშობლიურისგან ვეღარ ვარჩევთ და ახსნაც აღარ სჭირდება. ასეთი სიტყვებია მაგ., **სიმპათია – ანტიპათია.**

ყველამ ვიცით, რომ სიტყვა **სიმპათია** ბერძნულია და სხვის მიმართ კეთილგანწყობას ნიშნავს, ხოლო **ანტიპათია** – რადიკალურად საწინააღმდეგოს.

სიმპათიის ქართული შესატყვისის მოსაძებნად დაფიქრება გვჭირდება.

არსებობს ასევე სიტყვა, რომელიც სიმპათია, ანტიპათიის ცნებათა „კლასში" ეწერება, მაგრამ იმდენად არ გვჭირდება, რომ მისი მნიშვნელობა უმრავლესობისთვის უცხოა.

ეს სიტყვაა **ემპათია.**

ემპათია – (ბერძ. **empatheia** თანამგრძნობელობა) ადამიანის სუბიექტურ სამყაროში შეღწევა და მისი ემოციური მდგომარეობის თანაგრძნობით აღქმა.

ემპათია ის სულიერი მდგომარეობაა, როცა ადამიანი იმდენად იმსჭვალება მეორე ადამიანის გრძნობებით, რომ ხდება მისი გრძნობისმიერი ორეული. ის თითქოს იხსნება მასში. მხოლოდ ამ საოცარი, საკრალური მდგომარეობისას ხდება ამაღლებული, სრული ურთიერთგაგება.

ემპათია თანაგრძნობის ხელოვნებაა. ესაა უნარი, იგრძნო მოყვასი. შეუმცდარად მიხვდე, რას გრძნობს, რა სჭირდება.

დაუკვირდით სიტყვას – **თანაგრძნობა. თანა გრძნობა** – ერთად, ერთობლივად გრძნობა.

რას ვგულისხმობთ ამ თითქოს ჩვეულებრივ სიტყვაში **თანაგრძნობა**?

არის მდგომარეობა, როცა შენი წუხილი არ გინდა თავს მოახვიო სხვებს. ახერხებ, ნიღბად აიფარო უდარდელი ღიმილი. ვერავინ ვერაფერს ამჩნევს, მხოლოდ ერთი მოდის შენთან და შეშფოთებული გეკითხება – რა მოხდა? არაფერი ისეთი, უბრალოდ შენ წინ ის იშვიათობა დგას, რასაც ემპათიური, შენთვის უძვირფასესი ადამიანი ჰქვია. დიახ, ამის გარეშე არაა ურთიერთგაგება. ამ ურთიერთგაგებას, უპირველესად, შენი მხრიდან ვიღაცისადმი სიმპათია სჭირდება. ასეთი ამაღლებული მდგომარეობის მარტივი საიდუმლო ერთ წინადადებაში ეტევა – **გვახსოვდეს, რომ ჩვენ, უპირველესად, გრძნობა გვაერთიანებს.**

როგორ ფიქრობთ, ემპათიის გარეშე შესაძლებელია სრულყოფილი საზოგადოების შექმნა-ჩამოყალიბება?

ურთიერთგაგების ჭეშმარიტება იმაშია, რომ ჯერ გრძნობ, მერე გესმის.

ჯერ გესმის და მერე გრძნობ, ეს არაა ურთიერთგაგება. ეს უბრალოდ თანამშრომლობაა.

ემპათია განსჯის, შეფასების გარეშეა. ის არ ითხოვს ანალიზს. შენთვის ემპათიურ ადამიანს პრეტენზიების გარეშე იღებ. შენთვის ის ადამიანია ძვირფასი, რომელსაც იცნობ და მაინც გიყვარს.

ნუ მიძვრები სულში, მინდა, რომ მარტომ ვიტანჯო. ეს ნიშნავს ერთს – ჩვენ გვეშინია ერთმანეთის. შიში არაა გრძნობა, ეს გონების გადაწყვეტილებაა. ჩვენში ღვთისგან ჩადებული გრძნობა უსაზღვროა, მაგრამ ვერ ვიყენებთ, ეულად დარჩენილი გონება გვიშლის ხელს. ამიტომ ვართ განწირულნი.

ჩვენში თანაგრძნობაც გაყალბებულია და გარშემო მყოფნი იმეორებენ – არაფერი გამოგივა, დანებდი, თუ დამიჯერებ და დანებდები, დაიჩოქებ, მაშინ მე მოვალ შენთან, დავდგები რიგში და როცა ჩემი ჯერი მოვა, მოგისამძიმრებ პანაშვიდური თანაგრძნობით და სადღესასწაულო მკვეთრი გამოთქმით გეტყვი – მოზიარე ვარ შენი დაცემის.

დიახ, როცა ყველა ჭკუას მარიგებს – გეყოფა, არაფერი გამოვა, დანებდი, მათ ავიწყდებათ, რომ **დამარცხებისა და დაჩოქვისთვის ჭკუის დარიგება არ მჭირდება.**

არავითარი გონება, ლოგიკა და ნებისყოფა არაა საჭირო, რათა დავნებდე, წავაგო, დავეცე და დაცემულმა ვუყურო წართმეულ, დაკარგულ მომავალს.

არავითარი ძალისხმევა არ სჭირდება იმას, რომ წავაგო საკუთარ თავთან, შენთან, მომავალთან.

გონების მართვა აბსურდია. ირონია იმაშია, რომ მხოლოდ ურთიერთობის და გრძნობის კონტროლი შეგვიძლია. ნუ გიკვირთ, ეს ასეა. პარადოქსი იმაშია, რომ ვიბადებით, ვარსებობთ, მივდივართ ამ ქვეყნიდან და არასდროს გვიცდია გრძნობისა და ურთიერთობის მართვა.

ჩანართი

ადამიანის არსი ანტიკურ კულტურაში 2.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკურ საბერძნეთს ახასიათებდა მკვეთრად გამოსახული რეგიონალობა, ანტიკური კულტურა ხასიათდებოდა გარკვეული მთლიანობით. მთლიანობის საფუძველი იყო არა მარტო საერთო ინტერესები, გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ, არამედ სამყაროს ერთნაირი აღქმა და ეს ერთნაირობა ახასიათებს მთელ ანტიკურ კულტურას.

ეს კულტურა კოსმოლოგიურია. კოსმოსი თავისი სრულყოფით, წესრიგით, მშვენიერებით უპირისპირდება ქაოსს. სრულყოფისა და წესრიგის ძიებამ კოსმოსისკენ სწრაფვამ წინა პლანზე წამოწია სილამაზე, ჰარმონია, ზომა, ზომიერება.

სილამაზე ბერძნული გაგებით არის თანაფარდობა, ორგანულობა, ჰარმონია. ბერძნები ზომიერებისკენ ისწრაფოდნენ არა მარტო ხელოვნებაში, არამედ ფილოსოფიაში, ურთიერთობებში, პოლიტიკაში,... ბერძნული კულტურა გაჟღენთილია ანთროპოცენტრიზმით. ანთროპოცენტრიზმის საუკეთესო განმარტება ეტევა პროთაგორას ერთ წინადადებაში – **"ყოველ საგანთა საზომია ადამიანი, არსებულთა, რომ ისინი არსებობენ, არარსებულთა, რომ ისინი არ არსებობენ"**.

უმაღლეს დონეზე ადის მათემატიკური კანონებით სილამაზისა და ჰარმონიის აღწერა, ადამიანის სულისა და სხეულის იდეალის ძიება. პოლიკლეტი ქმნის ადამიანის სრულყოფილ პროპორციებს. თავისთავად, ლამაზი სხეული იყო ნაწილი პიროვნების ჰარმონიულობისა. მათ ჰქონდათ იდეალი, რისკენაც უნდა ესწრაფა თითოეულ ადამიანს და ეს იდეალი გამოისახებოდა ცნებით **კალოკაგატია**, რაც ნიშნავს ლამაზს და კეთილს, სხეულს და სულს. ის იყო სოციალური, პოლიტიკური, პედაგოგიური, ეთიკური, ესთეტიკური იდეალი.

საოცარ სახეს იღებს ჰერაკლიტეს შემოქმედებაში ცნება ჰარმონია. მისთვის ჰარმონია არაა სტატიკა,... ესაა მოძრაობა, დინამიკა. მისთვის ჰარმონიის სიმბოლოა ცეცხლი – ფერფლად ქცევა შემდგომი აღმშენებლობისთვის.

სამყარო იბადება ცეცხლისგან და უბრუნდება ცეცხლს და ამ ცვალებადობას ახასიათებს მუდმივი პერიოდულობა. სამყარო იყო, არის და იქნება ცოცხალი ცეცხლი.

დიახ, სილამაზე ესაა ბრძოლა, მუდმივი დაცემა და მუდმივი აღდგომა ახალი ფორმით. სილამაზე, წინააღმდეგობისგან მოქსოვილი ცეცხლის ბუნებაა. წინააღმდეგობა ქმნის ჰარმონიას და მშვენიერის წინაპირობას.

ჰომეროსისთვის სილამაზე ეს არის უფაქიზესი, უთხელესი, გამჭვირვალე, სინათლის მატარებელი ფლუიდი, მოლივლივე ცოცხალი ნაკადი. ისაა უმსუბუქესი ჰაეროვანი ნათება, რომელშიც შეიძლება გაეხვეს სხეული გარედან და შიგნიდან.

ბერძნებს ამაღლებული, ფაქიზი დამოკიდებულება ჰქონდათ სილამაზის მიმართ. ჰეტერა ფრინა მარავალი სკულპტორისთვის ვენერას მოდელი იყო. სასამართლოზე მსჯავრმდებელმა მამაკაცების გახრწნისთვის ფრინას სიკვდილით დასჯა მოითხოვა.

დამცველმა მოსამართლის წინაშე გააშიშვლა ფრინა.
ვერდიქტი — ამისთანა სილამაზეში არ შეიძლება იყოს ბოროტი სული.

ურთიერთობა

დავფიქრდეთ, ჩვენი ურთიერთობა განსაზღვრავს ჩვენს გადაწყვეტილებას, წავიკითხოთ ეს წიგნი, თუ არა. ვიფიქრო წაკითხულზე, თუ არა, ვიბრძოლო, თუ არა, გავიმარჯვო, თუ დავმარცხდე, მიყვარდეს, თუ მძულდეს, ვიცრუო, თუ ვთქვა სიმართლე, ვიმოქმედო, თუ არა.

ალქიმიკოსები არა მარტო ოქროს, არამედ სინათლის შექმნას, დაბადებას ცდილობდნენ.

სინათლის შექმნის აზრი უკვე ბედნიერებაა. ამ აზრის წარმოქმნისთვის გონება არასაკმარისია, მას გრძნობა სჭირდება. გონება ასანთის ანთებას, ნათურის ჩართვას, ცეცხლის დანთებას სჭირდება.

სინათლის შესაქმნელად ამ ბედნიერებისთვის მხოლოდ შენ მჭირდები. ამ ბედნიერების მიმღები, ვისთვისაც გრძნობა მჭირდება, შენ ხარ. რად მინდა ის, როგორ ვუთანაგრძნო მას, ვინც გრძნობის დაქვეითებით საკუთარი სამყარო დაკარგა.

ემპათია შენი ჩემში გახსნაა. არა ხარ შენ — არაა ემპათია.

არა დაცემისთვის, არამედ სიცოცხლისთვის მჭირდები შენ, მჭირდება შენი ემპათია.

„თუცა შენ დაგთმო,
ვინღა ვჰპოვო,
სად გავიზარდო?"

მაშინ ვინ თანამიგრძნობს, ვის თანავუგრძნო.

გიფიქრია, რაა გრაცია? — ესაა არაიძულებითი, თავისუფალი მოძრაობა.
თავისუფალი, არაიძულებითი გონება კი გრძნობაა.
გრძნობა გონების გრაციაა.

ნებისმიერი აზრი დაბადებული ეთიკური იდეიდან, არის გრძნობა და პირიქით.

თუ გრძნობა არაჭეშმარიტია, მაშინ მთელი ჩვენი გონივრულობაც ყალბი ყოფილა.

ჭეშმარიტი გრძნობა ცვლის, აკეთილშობილებს შენს შინაგან სამყაროს, ცვლის მის ფორმასა და ფერს. მხოლოდ ასე ხდება შენში რაღაც საოცარი, ხვდები, რომ გესმის მისი და აღიქვამ გრძნობის, გონისა და ქმედების ერთობას — სამებას.

დღეც კი ცნობისმოყვარე ხდება. მასაც აინტერესებს ეს საოცრება და შენ გაოცებულ გამოხედვას სინათლეს ამატებს, რათა უკეთ დაინახოს ეს

ამაღლება, დაინახოს, თუ გრძნობათა ნამსხვრევებისგან როგორ იქმნება ჩემში შენი სრული სურათი.

ეს ნათელი შენს სულს ავსებს და ხვდები, რომ ამაზე უკეთესი არაფერია. ეს ბედნიერებაა, რომელიც უცნაურ მოლოდინს ბადებს. ეს არაა მტანჯველი ლოდინი. ესაა მოლოდინი რაღაც ახლის, უჩვეულოს ან იქნებ – ჩვეულებრივის.

საოცრება ისაა, რომ სულერთია, ის ჩვეულებრივია თუ არაჩვეულებრივი, რადგან ის არაჩვეულებრივია.

ეს სხვა არაფერია, ვიდრე შენში ჭეშმარიტი სიცოცხლის შემოსვლა. უგრძნობი ვერასდროს მიხვდება, რომ ეს დღესასწაული იმპულსს გაძლევს, გაიღიმო რაღაც სხვანაირად, ისე, როგორც არასდროს გაგიღიმია და ეს ის საჩუქარია, რომლის მსგავსი არ მიმიღია არასდროს არავისგან.

ეს ისაა, რასაც ვერავითარი ლოგიკით, აზრით, გონით ვერ გაგაგებინებ. მას მხოლოდ გრძნობით, ემპათიით გაიგებ. თუ ვერ გამიგე, თავიდან წაიკითხე და ჩვენ აუცილებლად გავუგებთ ერთმანეთს და მივხვდებით ურთიერთგაგების, ურთიერთობის არსში წვდომის აუცილებლობას.

ურთიერთობა მხოლოდ მაშინ მოგანიჭებს ბედნიერებას, თუ შენთვის ურთიერთობის ობიექტი მიზანია და არა საშუალება.

მხოლოდ ასეთი ურთიერთობა, ასეთი „სხვა" გაგაგებინებს შენი შესაძლებლობის უასაზღვრობას, რადგან ფიხტეს ფილოსოფიით მხოლოდ მას შეუძლია შენთვის იმ უდიდესი პირველაღმძრავის როლის შესრულება, რომლის გარეშე შენი განვითარება, წინსვლა უბრალოდ შეუძლებელია.

ასეთი ურთიერთობის გარეშე არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენ.

და თუ ამ აზრამდე ოდესმე ამაღლდები, მხოლოდ მაშინ მიხვდები, თუ რა ფასეულობაა ურთიერთობა, გახსნილობა, თუ რა ფასეულობაა თითოეული ადამიანი, რომელიც ცხოვრების გზაზე შეგხვდება. ასეთი ურთიერთობა შენი სიცოცხლის აუცილებელი პირობაა.

მხოლოდ ასეთი ურთიერთობა გამოავლენს შენში იმას, რაც ხარ სინამდვილეში.

სამწუხაროდ, ჩვენი დამთრგუნველი უმრავლესობა ვერ ხვდება უმაღლეს ფასეულობათა შორის უმაღლესს – ასეთი ურთიერთობის ფასს.

დაქვეითებულთა შორის ურთიერთობა სხვა არაფერია, თუ არა ორივე მხრიდან მოპირდაპირე სუბიექტში არა მიზნის, არამედ საშუალების ძიება. ეს ყველაზე ნათლად ჩანს მაშინ, თუ ამ ურთიერთობის საფუძველია ის, რაც მათ სიყვარული ჰგონიათ.

მათთვის ურთიერთობის „სცენარი" დიდი ხანია დაწერილია. ურთიერთობა იწყება მათი ინტერესის ობიექტზე შეგროვილი ინფორმაციის ანალიზით.

ანალიზის საფუძველია – რაში გამომადგება ეს სუბიექტი.

შესაბამისად, შეხვედრა, გაცნობა იწყება ვიზუალური შეფასებით – შეგროვილი ინფორმაციის უტყუარობის გადამოწმებით და შემდეგ ყველაზე მთავარი – იდუმალი გამჭოლი მზერით, ზუსტად ისევე, როგორც ბაზარში –

რამდენის გამოწურვაა შესაძლებელი კლიენტისგან. ორივე მხრიდან ეს ისე ბუნებრივად, ჰაეროვნად ხდება, რომ მათ შორის არავითარი უხერხულობის ნისლი არ დაიმზირება.

იწყება ფარული ომი.

ამუშავებულია ყველა მათ ხელთ არსებული და არარსებული რეზერვი.

თავისთავად ცხადია, მოწინააღმდეგე მხარეს წარვუდგენ გაპრიალებულ **მე**-ს და, რა თქმა უნდა, რეალურ **მე**-ს ვნიღბავ. მისგან ყველაფრის გამოწურვის მიზნის მიუხედავად ჯიუტად ვცდილობ, ჩემი დაქვეითებული ილუზორულობიდანაც კი დავინახო მასში არსებული (სექსუალობა) თუ არარსებული (ბანკის ანგარიში) ის მხარე, რომელიც მომწონს და მინდა ვაქციო ჩემს საკუთრებად.

ზუსტად ასე იქცევა მეორე მხარეც, ცდილობენ იყვნენ ისეთები, როგორიც მათი აზრით, საპირისპირო მხარეს მოსწონს.

მაგრამ შეუძლებელია, ეს თამაში დიდხანს გაგრძელდეს. ჩემს თანდაყოლილ მის უდიდებულესობა სიზარმაცეს უკვე დიდი ხანია მოსწყინდა ეს ფარული ომი, ბრძოლის სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმების შემუშავება, დანერგვა.

ჩემი აზროვნების მთელ თვალსაწიერზე გამოიკვეთება ბოლომდე გაურკვეველი ლოზუნგი – რაც არის, ეგ არის...

ჩემი მხრიდან, რაღაც დროით, ადგილი აქვს უღიმღამო მცდელობას, დავემსგავსო იმას, რაც მას მოსწონს. მსგავსი რამ შეინიშნება მეორე მხრიდანაც. თუმცა, მოსალოდნელია, რომ ის უფრო ადრე დაიღლება ბრძოლით. ის ვეღარ თამაშობს იმ როლს, რაც მისგან მოვითხოვე. იწყება არგაგება, გაუცხოება. მას უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის და ნაკლებად აწუხებს ჩემი ფანტაზიები მასზე. მე კი მთქნარებამორეული განაწყენებით – როგორ შეიცვალა, როგორ მოვტყუვდი.

არ უნდა მომეყვანა ცოლად.

არ უნდა გავთხოვილიყავი.

ამასთან რა ბიზნესი გამოგივა?

ამასთან შეუძლებელია სახელმწიფო გადატრიალება ჩემი გადეპუტატების მიზნით.

სჯობს ლუდის დასალევად სანაპიროზე წავიდე.

აქ უნდა გვესმოდეს:

ურთიერთობის არსი ის კი არაა, ვიღაცამ სრულყოფილად გაქციოს. არა, ურთიერთობა ისაა, რომ ის უნდა იყოს ის სხვა, ვისთანაც შენ ამაღლებას, გაზრდას გაიზიარებ.

ჩვენი ცხოვრება იმითაა გაუგებარი, რომ უმრავლესობას არ სჭირდება ისეთი ახლობელი, რომელიც გაგრძნობინებს, თუ რა ხარ, რა შეგიძლია.

მეორე მხრივ, თუ შენს ცხოვრებაში არ მოიძებნა ასეთი სხვა, შენ არაფერი ხარ, შენში არაფერი შეიცვლება.

არ შეიცვლები შენ, არ შეიცვლება არაფერი.

სამწუხაროდ, ჩვენ დიდი ხანია გავაკეთეთ არჩევანი — ჩვენ არ შევიცვლებით, არარაობად დავრჩებით.

ეს არარაობა თითქოს სახეზე არ გვეტყობა (საერთოდ დავიმახსოვროთ, თუ ვინმეს სახეზე სისულელე არ ეტყობა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არსში სამჯერ მეტი არა აქვს). ჩაიხედე სარკეში, დაათვალიერე ვინ არიან შენ გარშემო და მიხვდები, რომ უკვე ოცდაათ წელს გადაცილებულმა, აღარ ვამბობ ორმოცდაათს და მეტს, დათმე ის ოცნებები, მიზნები, სურვილები, იმედები, რომელიც ასე მრავლად გქონდა მანამდე. ხოლო იმ მცირედით, რაც გაქვს, ჩამობებელ კმაყოფილებას განიცდი და, რა პარადოქსიც უნდა იყოს, იმითაც კი განიცდი კმაყოფილებას და თავს იწონებ, რომ არაფერი გაქვს.

საშინელებაა, როცა არ ესმით, რომ ყველა ჩვენი ოცნება, ნათელი ჩანაფიქრი, მიზანი დაკავშირებულია იმ ადამიანთან, ვინც გეხსნება, ვინც იძლევა იმპულსს და არა შენს ჩაკეტილ **მე**-სთან.

დამიჯერეთ, არ არსებობს ნათელი გამარჯვება, თუ ის ადამიანი, ვისთვისაც გსურს გამარჯვება, არ შემოდის შენში, შენს მრწამსში როგორც იდეალი და თუ შენ არ შეხვედი მის არსში, წარმოსახვაში, როგორც იდეალში. სწორედ ამ ორი ადამიანის ურთიერთგახსნაა მათი განვითარებისა და ამაღლების საფუძველი. მხოლოდ ასეთი ურთიერთობაა უწმინდესი, რადგან ის ქმნის გამარჯვებას, ამაღლებას შენს ცხოვრებაში. არა აქვს მნიშვნელობა, ის რას აკეთებს, რას ლაპარაკობს, მთავარია, რას წარმოადგენ შენ მასთან მიმართებაში, ერთად რა შეგიძლიათ.

აი, ეს არ ესმის მას. ის შეიძლება ახლოს იყოს თქვენთან, მაგრამ ის არასდროს მოვა შენთან.

ეს ნიშნავს ერთს — ბედნიერება არ მოვა.

და უკვირს, რომ მთელი შეიძლება იყოს როგორც მეტი, ვიდრე თითოეულ შესაკრებთა არითმეტიკული ჯამი, ასევე — საერთოდ არაფერი და არაფერზე ნაკლებიც კი.

დიახ, თქვენ გვერდით შეიძლება იდგეს ის. არითმეტიკული ჯამით თქვენ ხართ ორნი, რეალურად კი, როგორც აღვნიშნეთ — არაფერი ან არაფერზე ნაკლები, რადგან ის თქვენზე არ ოცნებობს. ის არ ოცნებობს მომავალზე. ის მხოლოდ წარსულით ცხოვრობს. მისი ოცნება დადის იმის შენარჩუნებაზე, რაც შემორჩა ან არ შემორჩა. მისთვის მთავარია, არ მოატყუონ, არ დაკარგოს, არ წაართვან,... სულ ესაა მისი ოცნებები.

შედეგი — ჩვენ როგორც საზოგადოება, ვდეგრადირდებით.

დეგრადირების გზაზე მდგარი ადამიანი გარემომცველ სამყაროსთან ჰარმონიას კარგავს. დაქვეითებული ადამიანი, თითქმის ცხოველი, ვერ ახერხებს ბუნებასთან შერწყმას, რადგან მას ინტელექტი არ გააჩნია და, ამავე დროს, ინსტინქტები ისეთ დონეზე არა აქვს განვითარებული, რომ მცენარესავით ან მგელივით ბუნებასთან ჰარმონიაში შევიდეს.

რაც უნდა დაქვეითებული იყოს არსება, მას პრობლემები ეწყება. საკმარისია, ცხოველური მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს, რომ მასში

მომენტალურად სულმდაბალი ადამიანისთვის დამახასიათებელი სურვილები იჩენს თავს – ვიღაცას ავჯობოს, თავს დაესხას, წაართვას, გაექცეს,...

ამრიგად, შესაძლოა, აბსოლუტური არარაობა როგორც პოტენციურ, ასევე რეალურ დამნაშავედ იქცეს. თანდაყოლილი, მაგრამ დაქვეითებული აზროვნების უნარი მას საშუალებას არ აძლევს მიხვდეს, თუ რომელი მოთხოვნილების კულტივირებაა საჭირო და რომელია გასანადგურებელი.

მათი სიმრავლე ქმნის ფსიქიკისთვის საშიშ ფონს.

დაქვეითებული კულტურის ატმოსფეროში მცხოვრები არსების ფსიქიკის პრობლემების განხილვისას გასაოცარი ის კი არ არის, თუ რატომ გიჟდება ზოგიერთი, არამედ ის, თუ როგორ შეინარჩუნა რაღაც ნაწილმა ნორმალური ფსიქიკა.

ჩანართი

ადამიანის არსი ანტიკურ კულტურაში. 3.

ჰომეროსის შემოქმედებაში ძნელია არ დაინახო ადამიანის ზოგად მახასიათებელთა უპირატესობა ინდივიდუალურ თვისებებთან შედარებით. გმირები საკუთარ ქმედებებს ხსნიან ღმერთების ნების აღსრულებით, მათი უშუალო ჩარევით.

თანამედროვე ლოგიკით მოქმედი ინდივიდის ქმედებისას მის პერსონალურ თვისებებს ვითვალისწინებთ. ანტიკურ აზროვნებაში კი, ხშირ შემთხვევაში, ქმედებისას მოქმედის ინდივიდუალიზაცია არ ხდებოდა.

ძველი ბერძნული ტრაგედია აპირისპირებს ობიექტურ აუცილებლობას სუბიექტურ თავისუფლებასთან და მაინც ორივე გზა მიდის ბედისწერასთან. ადამიანი აკეთებს იმას, რასაც ღმერთები წინასწარ განუსაზღვრავენ.

რამდენადაც ქრისტიანული ფილოსოფია მიისწრაფვის ადამიანის არსის გახსნისკენ, იმდენად ძველი ბერძნული მსოფლმხედველობით, ინტერესის მიღმა რჩება ადამიანის **მე**, არჩევანი.

ამ მსოფლმხედველობის მიხედვით ბედი ქმედებს არა მარტო გარედან, არამედ – შიგნიდან, ადამიანში ის არსებობს როგორც მისი ორეული, რომლის არსი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

– თითოეული ადამიანი დაბადებისთანავე იღებს რაღაც მისი ცხოვრების წარმმართველს, პირადი ბედის ვარსკვლავს, რომელიც ეხმარება ადამიანს იმ ამოცანის აღსრულებაში, რაც მას დაუსახეს ღმერთებმა.

ძველი ბერძნების აზრით, დაბადებიდან თან დაგვყვება ღმერთის წარმომადგენელი დესპანი, რომელიც ჩვენს სამართავად გამოუშვა ღმერთმა. ამ ორეულს აქვს სახელი. ბერძნებმა მას ,,დაიმონ"-ი დაარქვეს. აქ მკვეთრად ჩანს ძველი ბერძნული ინდივიდუალური პასუხიმგებლობის შეზღუდულობა.

ამ საკითხის ცალმხრივი განხილვა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვერ ვხვდებით იმ უღიადეს წვლილს, რაც ძველმა ბერძნულმა ესთეტიკამ, შემოქმედებამ, ცივილიზაციამ და ფილოსოფიამ შეიტანა კაცობრიობის განვითარებაში.

ვნება

მხოლოდ ჯანმრთელი ფსიქიკის ადამიანი ხვდება, რომ

საზოგადოების განვითარების საფუძველი მე-სა და შენ-ს შორის ურთიერთობის ჰარმონიაშია კონცენტრირებული (კიდევ ერთხელ შეხედე ამ წიგნის გარეკანს).

ჩვენი განვითარებისთვის აუცილებელი ეს ჰარმონია ჩვენი ბედნიერების ქვაკუთხედია.

ცხადია, მრავალი გააპროტესტებს ამ აზრს. თუ ჩვენი, როგორც საზოგადოების ბედნიერება დამოკიდებულია ჩემი და ჩემთვის ძვირფასი ადამიანის ჰარმონიაზე, სიყვარულზე, მაშინ ჩვენზე ბედნიერი ერი არ უნდა არსებობდეს, რადგან მე მიყვარს ის.

დავფიქრდეთ, თითქოს ყველაფრი გვაქვს, რათა ბედნიერად ვიცხოვროთ და იმავდროულად მუხლმოდრეკილი უბედურები ვართ.

ამ პარადოქსის ახსნა მარტივად შეიძლება:

ან სულელები ვართ ან ურთიერთობაში არც ისე სრულყოფილები, როგორც გვგონია.

პირველის აღიარება ძნელია.

გამოდის, რომ დაქვეითებული გვაქვს ძვირფასი ადამიანებისადმი სიყვარული.

აქ ურთულესი პრობლემის წინაშე ვდგებით, რადგან აღმოჩნდება, რომ სიყვარულის გრძნობის დაქვეითების აღიარება, ფსიქიკის მოშლის აღიარებაზე უფრო რთულია.

მართლაც, თუ ვინმემ გვითხრა, რომ ჩვენ ჩვენთვის ძვირფასი არსება, შვილი, ოჯახი, სამშობლო არ გვიყვარს, უმძიმეს პირად შეურაცხყოფად მივიღებთ და პასუხიც მზად გვაქვს:

— ეს უბედური მასწავლის, როგორ მიყვარდეს შვილი, ოჯახი, სამშობლო?

მართლაც საშინელებაა.

უმჯობესია, პრობლემა შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

— არის თუ არა სიყვარული ის, რასაც სიყვარულად აღვიქვამთ?

არსებობს სიცოცხლის მარადიული საფუძველი, რომლის გარეშე არც ნებისყოფა, არც სიმამაცე, არც აზროვნება, არც ურთიერთობა, არც სიყვარულისკენ სწრაფვა არსებობს.

ამ საფუძვლის სახელწოდებაა **ვნება.**

დავფიქრებულვართ, რაა ყოფიერება ან რას ნიშნავს ყოფიერების გაცოცხლება?

როცა გვეკითხებიან, რა არის ყოფიერება? ეს კითხვა ძალიან ჰგავს თევზის კითხვას — რა არის ზღვა? ხომ არ ვგავარ იმ პატარა თევზს, რომელმაც იკითხა: — მე მუდმივად მესმის საუბარი ზღვაზე, მაგრამ რა არის ზღვა? სად არის ზღვა? — არ ვიცი.

— შენ ცხოვრობ, მოძრაობ ზღვაში. ზღვა შენი ბინაა. ზღვა არის არსი და შენი გარემო. შენ ზღვამ დაგბადა და სიკვდილის შემდეგ გაიხსნები ზღვაში, გახდები ზღვა. ზღვა არის შენი ყოფიერება, ის, რაც შენს არსში ქმნის უდიდეს პოტენციალს, რომლის გარეშე არაა სიცოცხლე.

სწორედ ჩემში და ჩემ გარშემო ყოფიერებაში არსებული უდიდესი პოტენციალის ამოქმედების სურვილია ვნება.

იდეალური სამყაროდან რეალურ სამყაროში გზა ვნებაა.

ვნება — ესაა ყოფიერების ქმედებაში გადაყვანის სიყვარული.

ყოფიერება არის ჩემი არსებობის არეალი. სამწუხაროდ, არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიცოცხლეს.

თუ დღევანდელი ჩვენი არსებობა ვინმეს სიცოცხლედ ეჩვენება, ის უბრალოდ ცდება.

არ იფიქროთ, რომ არსებობაში ჩვენ ბიოლოგიურ სიცოცხლეს ვგულისხმობთ. ბიოლოგიური სიცოცხლე ეს უდიადესი ფენომენია ამ სამყაროში.

ბიოლოგიური სიცოცხლე მართლაც უბრწყინვალესი ფენომენია. საკმარისია, გავიხსენოთ ლეოპარდის შეუპოვრობა, გრაციოზული მოძრაობა და მეტი არაა საჭირო, რათა მივხვდეთ, რომ ეს ბიოლოგიური სიცოცხლე მკვეთრად განსხვავდება იმ დამყაყებული არსებობისგან, რასაც არაშემოქმედებითი ადამიანი ამკვიდრებს.

თუ ვერ ხედავ განსხვავებას თუნდაც როდენის მოაზროვნესა და ჩვენი სოციუმის დამთრგუნველი უმრავლესობის ჩამქრალ, უაზრო მზერას შორის, მაშინ შენ ვერასდროს მიხვდები განსხვავებას სიცოცხლესა და არსებობას შორის.

ყოფიერება არსებობის აუცილებელი, ორგანული საფუძველია. რათა არსებობა სიცოცხლეში გადავიდეს, აუცილებელია მიზნობრივი, შემოქმედებითი ქმედება. სწორედ ადამიანის მიზნობრივი, შემოქმედებითი ქმედების შინაგანი დაუოკებელი მოთხოვნილებაა ვნება. ასეთი ქმედების სიყვარულია ვნება.

დიახ, ვიმეორებთ: — **ვნება ესაა ყოფიერების ქმედებაში გადაყვანის სიყვარული.**

ვნება ესაა ოცნების რეალობაში გადაყვანის მცდელობის სიყვარული.

ვნება ყოფიერების გაცოცხლების ხელოვნებაა და არა მარტივი, სექსუალური ინსტინქტი.

ვნება მშვენიერის ძიების საფუძველია.

ვნება ხელოვნების ენერგიაა.

სწორედ ვნებას გადაჰყავს ცნება ცდაში.

არსებობს ზოგადი ცნება ბედნიერება. სწორედ ბედნიერების მიღწევისთვის აუცილებელი მცდელობის, რეალური ქმედების შინაგანი მოთხოვნილებაა ვნება. აი, ამ ქმედების სურვილია ვნება.

იმისათვის, რომ ცნება „ბედნიერება" ცდაში – ბედნიერების მცდელობაში, რეალიზებაში გადავიდეს, აუცილებელია შინაგანი მოთხოვნილება – ვნება.

მხოლოდ ვნებას შეუძლია, სიხარული რეალობად აქციოს

მხოლოდ ვნებას შეუძლია, სიყვარული რეალობად აქციოს

მხოლოდ ვნებას შეუძლია, ჭეშმარიტება რეალობად აქციოს

ვნება ქმედებაა.

არსებობა არ გეტყვის ვინ ხარ შენ. მხოლოდ ქმედება გეტყვის ვინ ხარ შენ. შენ მაშინ ხარ შენ, თუ შენ ვნება ხარ.

ვნება, ეს ის სინათლეა, ის ცეცხლი, ის ნაპერწკალი, რომელიც იძლევა საშუალებას, გამოვსახო ის, რაც ვარ სინამდვილეში.

მან შენში უსაზღვრო შესაძლებლობა ჩადო, ნუ გააბნევ, რაც მოგეცა.

შენ ბევრი ხარ, ბევრის ერთობა, მთლიანობა ხარ და თუ როდის რა იყო, რა აირჩიო, ესაა ხელოვნება.

ხელოვნება არჩევაა.

მეუბნებიან – ნუ ხარ ვნებიანი, უარყავი, განუდექი ვნებას. და ვერ ხვდებიან, რომ ვნებისგან განდგომა ესაა უარყოფა იმისა, რაც ხარ, რაც ჭეშმარიტად გინდა იყო.

განდგომა ეს არაა ქმედების უარყოფა. განდგომა აუცილებელია, მაგრამ არა ვნებისგან, არამედ არსებულით კმაყოფილებისგან, კონკრეტულ შედეგზე დაციკვლისგან, რადგან შედეგიც მუდამ ამაღლებადი და განვითარებადი უნდა იყოს.

ბედნიერება ქმნადობაშია და არა კონკრეტულ შედეგში, რადგან შედეგის მიღწევა ახალ მიზან-შედეგს ბადებს.

მართლაც, მე თუ ინჟინერი ვარ და ჩემ მიერ შექმნილი ძრავის სიმძლავრე არ მაკმაყოფილებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში ვაკეთებ ყველაფერს, რათა მისი სიმძლავრე გავზარდო. მე თუ უკმაყოფილო ვარ დღევანდელი ცხოვრებით, მხოლოდ ამ შემთხვევაში ვცდილობ, გავხადო ის უკეთესი.

ამ ხედვის კუთხიდან უკმაყოფილებას, უკმარისობას უდიდესი ზნეობრივი დატვირთვა აქვს, ხოლო კმაყოფილებას კი რეგრესთან მივყავართ.

დიახ, კმაყოფილება რეგრესის საფუძველია.

უკმაყოფილება კი – პროგრესის.

ერთია იყო სიყვარული და მეორე – ქმედებდე სიყვარულით.

სიყვარულით ქმედება შეგამეცნებინებს ვინ ხარ, გამოსახავს შენი არსის იდეას.

აი, ეს, დაუოკებელი სურვილი, გამოსახო შენი არსის იდეა, არის ვნება.

არაა ვნება, არა ხარ შენ.

არა ხარ შენ, არაა შენში ღმერთი.

ღმერთი ვნებაა.

ღმერთი გეუბნება შენ: – აქციე სიყვარული ქმედებად.

სადაც არაა ვნება, არაა სიცოცხლე.

სიცოცხლე სიცოცხლეს ეძებს.

ნუ შეწყვეტ ძიებას. ეძიე ყველგან, ყველაფერში. თუ ძიებამ მიგიყვანა არამშვენიერთან, არასიყვარულთან, არასიხარულთან, არაჭეშმარიტთან, მაშინ აირჩიე სხვა გზა. ნუ გეშინია გზის „არასწორი" არჩევის. ეს ის მოგზაურობაა, როდესაც შეუძლებელია, არ მიხვიდე იქ, სადაც მიდიხარ. რადგან ვნება – არჩევანი "ეძიე სხვა", მუდამ შენთანაა.

სიყვარული, ესაა ყველაფრის წყურვილი ერთად. ამიტომაა სიყვარული განვითარება.

სიყვარული აბსოლუტური სულის ხმაა.

აზრთა ხმაურში ურთულესია, აბსოლუტური სულის ხმა გაიგონო, რომელსაც ცხადად ესმის შენი განვითარების მიზანი. ის მიზანი, რომელიც შენი აზრისთვის, სამწუხაროდ, არაცხადია, ბუნდოვანია. შესაბამისად, ადგილი აქვს სულსა და აზრს შორის დისჰარმონიას.

სულს უჭირს ჩვენს პრიმიტიულ აზრთან ცხოვრება, რადგან აზრს, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ჩემში არსებული აბსოლუტური სულის მცირე ნაწილის შემეცნება შეუძლია და ამ მცირე ნაწილიდან სრულყოფილი სულის დანახვა შეუძლებელია.

ვერც შენ დაინახავ შენი სულის მცირე ნაწილით მთელს, მაგრამ თუ გამიხსნი შენი სულის ნაწილს, ამით მომანიჭებ შემეცნების უდიდეს ბედნიერებას, რადგან ორი ადამიანის სულთა ერთობა არაა ორი ადამიანის აზრთა ერთობა, რომელიც შეიძლება უფრო მეტი სისულელე აღმოჩნდეს, ვიდრე ცალ-ცალკე სისულელეთა ჯამი.

ამიტომაა მნიშვნელოვანი სულთა გახსნა, ერთობა.

ჩვენი სულები აბსოლუტური სულის ნაწილებია. ჩვენ მასში მხოლოდ ერთმანეთთან გახსნით, დიალექტიკით შევაღწევთ. ამიტომ ნუ იქნები ჩაკეტილი. გაეხსენი მას, ვინც შენთვის ძვირფასია, ვისთან ერთადაც აპირებ უმაღლეს ფასეულობათა შემეცნებას.

მხოლოდ ასეთი გახსნისას არის შესაძლებელი ამაღლება ტირილით – თუ გეტირება, სიცილით – თუ გეცინება, სიყვარულით – თუ გიყვარს.

მხოლოდ ილუზორული სამყაროა გაჟღენთილი გახსნის, მოყვასის შიშით. მხოლოდ ილუზორულ სამყაროში განიკითხავ, უკრძალავ საკუთარ თავს იცინო, როცა გინდა იცინო, განიცადო სიხარული და სიყვარული. ილუზიაში აკრძალულია გაეხსნა მას, ვისთვისაც გინდა ბედნიერება, სიყვარული. გაშინებს შენი სულის მოთხოვნა – გიხაროდეს, გიყვარდეს, იყო თავისუფალი.

სხვისი სული კი არა, სხვისი აზრი მბრძანებლობს შენზე. გიბრძანებენ და შენი აზრი და არა სული ემორჩილება. შენ ვალდებული ხარ, უარი თქვა შენს სურვილებზე, სიყვარულზე, თავისუფლებაზე. გეუბნებიან, რომ ღმერთს ასე უნდა. ამიტომ ამ სურვილებისთვის კიცხავ საკუთარ თავს. შენი აზრი და არა სული დარწმუნებულია, რომ:

არათავისუფლება – ეს ღვთაებრივია

არაგანვითარება – ეს ღვთაებრივია

არასიხარული — ეს ღვთაებრივია
არ გიხაროდეს სიცოცხლე — ეს ღვთაებრივია
არ გიხაროდეს სილამაზე — ეს ღვთაებრივია

და შენც რაღაც პათოლოგიურ, მაზოხისტურ კმაყოფილებას განიცდი, როცა უარყოფ თავისუფლებას, სიხარულს, სიცოცხლეს, სილამაზეს, რადგან შენი და სხვისი აზრი, სულისთვის გაუგებარი მიზეზის გამო, ემორჩილება დიქტატორული ტონით წარმოთქმულ ბრძანებას — შენი სულის გადარჩენისთვის არ შეიძლება იმიტომ, რომ — ასეა საჭირო და მიტომ.

შენ ემორჩილები ბრძანებას და ღუპავ საკუთარ სულს, საკუთარ მომავალს.

და ამის შემდეგ შენ ამოისუნთქავ და იტყვი: — კარგია. იმავდრულად გიკვირს — **ხომ უარყავი თავისუფლება, განვითარება, მშვენიერება,** მაშ, რატომ არა ხარ კარგად?! ხომ თქვი — კარგია.

მართლაც, რაა თავისუფლება, განვითარება, სილამაზე? რატომ ებრძვიან მშვენიერებას?

ჩანართი

ადამიანის არსი ანტიკურ კულტურაში. 4.

სოფოკლე — ოიდიპოს მეფე

დაუკვირდით, ოიდიპოსი ტრაგედიის ფინალში აღიარებს და აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას იმ ქმედებაზე, რომლის შედეგს ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაითვალისწინებდა. ბერძნული ტრაგედია ამ პრობლემას აანალიზებს და განიხილავს ჩვენთვის უჩვეულო კოსმოსური (მსოფლიო წესრიგის) ხედვის კუთხიდან. აქ გავითვალისწინოთ, რომ სოფოკელეს დროს შინაგანი ზნეობრივი პასუხისმგებლობა ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი ზეციდან ნაბრძანების აღსრულების პასუხისმგებლობისგან.

იმდროინდელი ტრაგედიის პერსონაჟებს არა აქვთ არჩევანი, რადგან მათ მხოლოდ ერთი გზა აქვთ — აღასრულონ ის, რაც ნაკარნახებია ზემოდან.

ეს ის ადამიანური ტრაგედიაა, რომლის გააზრებაც კი ზარავს ადამიანს. ურთულესია ამ პერსონაჟის ცნობიერებაში შეღწევა, მაინც ვცადოთ იმდროინდელი მსოფლმხედველობის ხედვის კუთხიდან.

ერთი მხრივ, ღმერთების მიერ ყველაფერი დაგეგმილია, მაგრამ იმავდროულად არსებობს რაღაც კოსმოსური კანონზომიერება, რომელიც, თავის მხრივ, კონფლიქტში შედის ღმერთების გეგმასთან და ამ ყველაფერში ადამიანის არსი — **მე** არ მონაწილეობს. ადამიანს არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა, მასზე არაფერია დამოკიდებული. ადამიანი გამოუვალ მდგომარეობაშია — გაჭედილია ღმერთებსა და კოსმოსურ კანონზომიერებას შორის. ადამიანად დარჩენისთვის მას მხოლოდ ერთი გზა რჩება — პროტესტი — თვალების დათხრა.

პროტესტი — თვალების დათხრა გამოწვეული იყო მისი მძაფრი სურვილით, არ დაენახა დისჰარმონია, დაპირისპირება კანონზომიერებასა და ღმერთებს შორის.

ის განწირულია, რადგან მას შეეძლო ყველაფრის მართვა, გარდა — საკუთარი ბედისა.

აქ რაღაც ორი სამყაროს თამაში, შეხლა-შემოხლა მიდის. ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, ღვთაებრივი კანონზომიერება — ადამიანის

ბუნებაში აპრიორულად არსებული მორალი და, მეორე მხრივ, ბედისწერა – ღმერთების მიერ წინასწარ დაგეგმილი ცხოვრება.

ერთი მხრივ, **მე**, პერსონა წარმოგვიდგება როგორც მორალური პასუხიმგებელი თავის ქმედებებზე, რადგან ეს მიზეზები გამოსახავს მის ადამიანურ ხასიათს და იმავდროულად, ის არის მარიონეტი ღმერთებისა და ბედის ხელში.

მშვენიერება – სიცოცხლის ვნება

მშვენიერება, სილამაზე – საკრალური თუ ჯადოსნური გაურკვევლობა, რაღაც ფენომენი, რომელიც უცილობლად არსებობს სამყაროში, ადამიანთა სულიერ და მატერიალურ ყოფიერებაში.

სილამაზის, მშვენიერების აღქმის უნარი – ადამიანში ადამიანის დაბადების აუცილებელი პირობა.

კლასიკურმა ესთეტიკამ გრანდიოზული იდეალისტური სისტემები შექმნა, რათა შესწვდომოდა მშვენიერების არსს, მის ბუნებას და როლს ადამიანის ჩამოყალიბება-განვითარებაში.

ამის მიუხედავად, როგორც კი შეეცდები, გაიაზრო ეს უბრწყინვალესი ფენომენი, მას მეცნიერებით, ფილოსოფიით შესწვდე, რაღაც სასწაულით გისხლტება ხელიდან და გაოგნებული, დაბნეული იყურები აქეთ-იქით.

სილამაზის, მშვენიერების არსი, ეს მართლაც ის საოცრებაა, რომელზეც ყველაზე მეტს მსჯელობენ და ყველაზე ნაკლები იციან. რაც დრო გადის, მით უფრო დამანგრეველია ჩემში მისი არსის გააზრების სურვილი.

რაც მეტს ვფიქრობ ამ ჩემთვის უმნიშვნელოვანეს ფენომენზე, მით გამირბის თვალი შენკენ, ბუნებისკენ. ვდგავარ ამ საოცრების წინაშე და ბუნდოვნად ვხვდები, რომ ჩემს აზრობრივ შეგრძნებას მშვენიერების აღქმასთან არაფერი აქვს საერთო. ყვავილის აზრობრივი ხედვა გონებაში ბადებს კითხვებს: – რა სახეობაა, რა სამკურნალო თვისებები აქვს, რომელი მწერები ამტვერიანებენ...? ე.ი. ყვავილი ხდება კვლევის ობიექტი.

ვარსკვლავიან ცაზე კეპლერმა კანონზომიერება აღმოაჩინა, ხოლო გალაკტიონმა კი – სილამაზე, მშვენიერება.

ორივე უყურებდა ცას...

აზრობრივი ხედვის კუთხიდან ის, რაც ქალის თვალებია, მშვენიერებიდან რატომღაც მხედველობის ორგანოდ გარდაიქმნება, რომელიც, თავის მხრივ, იშლება ქვესისტემებად – ბადურა, ნერვული დაბოლოებები, საცრემლე ჯირკვლები,...

აზრობრივად ეს სამყარო, ქალი არის ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ სისტემათა კანონზომიერი კომბინაცია. ამ კანონზომიერების სიმძიმე ანგრევს იმ ფაქიზ გზას, რომელსაც სილამაზის, მშვენიერების აღქმასთან მივყავართ.

მართლაც, მივუახლოვდეთ ყვავილს, თვალს სკალპელით, პინცეტით, ლუპით, რეალობის კვლევის რაიმე ანალიტიკური ხელსაწყოთი და თქვენ თვალწინ გაქრება ყველაფერი ის, რაც ქმნის სილამაზეს, მშვენიერებას.

რეალობის აღმქმელი უზუსტესი ხელსაწყოები თუ ვერ აფიქსირებენ მშვენიერებას, თავისთავად ჩნდება კითხვები: – ნუთუ ის არ არსებობს სინამდვილეში?

– ნუთუ მშვენიერება მხოლოდ ჩვენი ილუზიაა?

– ნუთუ სილამაზე, მშვენიერება არ არსებობს „თავისთავად, თავისთვის, თავის თავში"?

– ნუთუ სილამაზის, მშვენიერების შეგრძნება მხოლოდ ადამიანის აპრიორული თვისებაა, რომ იმ ცივ სამყაროს, რომელიც გაჟღენთილია არსებობისთვის სასტიკი ბრძოლის არსით, სილამაზე დააბრალოს?

– ნუთუ ჩემში აბსოლუტური სულის, გონის შემოსვლის შემდეგ გაჩნდა ამ სამყაროში ის გამაოგნებელი ფენომენი – მშვენიერება, სილამაზე, რომელიც ჩემში უდიდეს სიხარულს ბადებს?

– მშვენიერების არსი ის ორიენტირი ხომ არაა, რომელიც ჭეშმარიტებასთან მიგვიყვანს?

იქნებ ჭეშმარიტება და სილამაზე იგივური ცნებებია და ამიტომ გვიჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე – რაა ჭეშმარიტება, როგორც კითხვაზე – რაა მშვენიერება?

იმიტომ ხომ არ გვიზიდავს მშენიერება, რომ ის უბრალოდ ჭეშმარიტებაა და პირიქით?...

თუ მშვენიერება და ჭეშმარიტება იგივური ცნებებია, მაშინ სილამაზის გარეშე ვერ შევიმეცნებთ წარსულს, აწყმოს, ვერ განვსაზღვრავთ მომავალს, ვერ შევქმნით იდეალს.

თუ ჭეშმარიტება განვითარების გზაა, მაშინ მშვენიერებაც განვითარების, ამაღლების ორიენტირია.

აქედან ვიღებთ, რომ არამშვენიერი სიბრმავისა და უიმედობის ორიენტირი ყოფილა.

მშვენიერის არმიღება ჭეშმარიტის არმიღებას ნიშნავს. სწორედ ამ არმიღებას მივყავართ დეგრადაციასთან, გონებრივ დეფორმაციასთან, იმ შოკირებად შედეგთან, რასაც გარშემო ვხედავთ.

ამიტომ აუცილებელად უნდა დაიბადოს ჩემში ახალი, მშვენიერების მაძიებელი ადამიანი. ადამიანი, რომელიც გაარჩევს როდენის და ვაჟას მშვენიერებას სუროგატისგან...

მხოლოდ მშვენიერის მაძიებელს შეუძლია ბოროტების შემცირება
ამიტომ ებრძვიან მშვენიერის მაძიებელს
ამიტომ ებრძვიან და ანადგურებენ მშვენიერს
ამიტომ ცვლიან მშვენიერს სიყალბით
ამიტომ აღაზევებენ ეგოიზმს სხვადასხვა ფორმით

ამიტომ აღაზევებენ მახინჯს მისი არასულიერი, არაადამიანური არსით, რომელიც ბარიერად ევლინება ესთეტიკურ შემეცნებას.

სწორედ ეს ბადებს უსულო, ძალადობრივ, ხისტად ჩამოყალიბებულ, დახავსებულ, დაობებულ ფანტაზიებს. იქმნება გემოვნებაგამოქარულთა, საგანთა კულტზე გაფუებულთა ჯოგი. მხოლოდ ამ ჯოგის სიმახინჯეს შეუძლია, საგანთა კულტი მკაცრ, მკვდარ, გაქვავებულ დოგმაში გადაიტანოს, რომლის არსია აზრის, გრძნობის, ნების სიკვდილი. მისი ოცნებაა, თავისუფალი, შემოქმედი ადამიანი პირწმინდად გაანადგუროს.

ჩვენ წინაშე ნათლად იკვეთება ამ უსულო დოგმატურობის ორი ფორმა – **შემტევი უმეცრება და კერპთაყვანისმცემლობა**.

ეს ორი არასულიერების, სიმახინჯის ფორმა საკუთარი შხამის წვენში იხარშება, იკრებს ძალას, ინიღბება ნებისმიერი, ხელში შემთხვევით მოხვედრილი ფასეულობით, წყევლის მეორეს და იმავდროულად მძაფრად მიილტვიან ერთმანეთისკენ. სრული იდუმალი შემართებით ეძებენ შეხვედრის საბაბს, რათა აღასრულონ სისხლის აღმრევი ინცესტი და მათი ინცესტის საფუძველია ნათესაობა, გამოხატული ორი სიტყვით – გძულდეს მშვენიერი.

მხოლოდ ამ სისხლის აღმრევი აქტის აღსრულების, უბედურების ლაბირინთის დამკვიდრების შემდეგ იხსნიან ცინიკურად საბურველს.

ბედნიერებისკენ მიმავალ ლაბირინთში სილამაზე არიადნეს ძაფის გორგალია.

ამიტომ შევეცადოთ, მთელი ჩვენი შემორჩენილი პოტენციალის გამოყენებით შევწვდეთ შეუწვდომელს.

შევეცადოთ გავერკვეთ, მშვენიერების არსია ჭეშმარიტება, თუ ჭეშმარიტების არსია მშვენიერება?

სილამაზე ხელოვნებაშია, თუ ხელოვნებაა სილამაზეში?

ვერ ავმაღლდებით, ამ კითხვებს პასუხს ვერ გავცემთ, სანამ საკუთარი არსის გაგებას არ ვისწავლით.

თავის მხრივ, რათა შევიმეცნოთ საკუთარი თავი, უნდა აღმოვაჩინოთ ჩვენში აბსოლუტური სულისგან აპრიორულად ჩადებული გრძნობა, ის გრძნობა, რომელიც ჩვენი შემეცნების მიღმა განსჯაცაა და ქმედებაც.

აბსოლუტურ სულს სურს, შენით შეიმეცნოს საკუთარი თავი, სიცოცხლე, სიყვარული, თავისუფლება, მშვენიერება.

მას სურს, შენი არსის აბსოლუტურ არსთან შერწყმის, გაერთიანების აქტის უდიადესი მშვენიერება დაინახოს.

მას სურს, უდიადეს ჭეშმარიტებასთან შენი დაბრუნების სიხარული, აღფრთოვანება შეიგრძნოს.

მას სურს, შენს არსში აბსოლუტური ჭეშმარიტებისკენ სვლის, შემობრუნების დღესასწაული განიცადოს.

აი, ეს სრული შემობრუნებაა ქრისტეს ფერისცვალების სითეთრე, ესაა სრულყოფილი ჭეშმარიტების შეგრძნება, მშვენიერების დანახვა. დანახვა

იმისა, რომ თეთრი ფერი მხოლოდ თეთრს არ მოიცავს. თეთრში ამ სამყაროს ყველა ფერია, სრული პალიტრა.

ამის დანახვაა მოყვასში ქრისტეს დანახვა.

ამის დანახვაა ყველაფრის დანახვის წყურვილი.

ვიმეორებ:

სიყვარული, ესაა ყველაფრის წყურვილი ერთად.

აი, ამ წყურვილისთვის ქმედებაა ვნება.

მხოლოდ ეს წყურვილი ბადებს თანადგომას, თანაგრძნობას და არა – აზრთა შეჯერება.

მხოლოდ ეს წყურვილი ბადებს სულთა ერთობას.

მართლაც, როგორ შეგიძლია უთანაგრძნო მას, ვისაც ვერ აღიქვამ, ვინც არ გეხსნება, ვისაც ვერ გრძნობ.

თანაგრძნობამდე ამაღლებას მისი სულის გახსნა სჭირდება. ეს კი საკუთარი სულის შემეცნებას, ვნებას, საკუთარ სულთან ჰარმონიას საჭიროებს.

გაუგებარია, როგორ შეიძლება განსაჯო სხვისი ქმედება, როცა შენ იგივე არასდროს გიგრძვნია, არ განგიცდია. თუ ვერ შესწვდი მის სულს, როგორ გაიგებ რა უნდა მას, ვის გარეშეც სიცოცხლეს ფასი არა აქვს.

საკუთარი თავის შემეცნება შენ გარეშე, ჩემ გარეშე, სამყაროს გარეშე შენს სულს კი არა, აბსოლუტურ სულსაც არ შეუძლია და შენ როგორ შეძლებ ჩემ გარეშე საკუთარი თავის შემეცნებას?

სწორედ საკუთარი თავის შემეცნების ქმედებაში გადაყვანის სიყვარულია ვნება.

როგორ შეიმეცნებდა ყველაფერს **ის** ჩემში – მცირეში, რომ არ მოსულიყო, როგორ გაიგებდა, რაა უდიადესი, ამაღლებული, თუ არ იხილავდა მიწიერ სიმდაბლეს.

მშვენიერების შემქმნელი როგორ გაიგებს მშვენიერებას, თუ მას შენი თვალით არ შეხედა, თუ შენ ვერ აღიქვი მშვენიერება.

მას სურს, შენ დაგანახოს საკუთარი მშვენიერება, ამიტომ ცდილობს საკუთარ **მე**-ში **მე** დაგანახოს **არამე**-დან. ამიტომაა **არამე** ფასეული. სწორედ **არამე**-ს განკითხვა არ შეიძლება, ის იმიტომაა, რომ შეძლო, დაინახო **მე**.

ესაა, ნუ განიკითხავ.

თუ გაიგე ვინ ხარ, აღარ განიკითხები.

მართლაც, როგორ გახდები კეთილი, თუ არ განდევნე ბოროტი?

როგორ დაინახავ სინათლეს, თუ არ იცი რაა სიბრმავე?

ყოველივე ამას ვნების გარეშე ვერ შეძლებ.

ჩვენ მიჩვეულნი ვართ, განვიკითხოთ ის, რასთანაც იდენტურნი არ ვართ. უფრო მეტიც, ვებრძვით მას, ვცდილობთ გავანადგუროთ. განსხვავებულ აზრს დავცინით, სხვის იდეას უგულებელვყოფთ. ესაა ჩვენი შეცდომა. ჩვენი პატარა სამყაროს გარდა უარვყოფთ ყველაფერს, უდიადეს სამყაროს, ეს მაშინ, როცა საკუთარი სამყაროც კი ვერ შეგვიმეცნებია. მეორე მხრივ,

გამოდის, რომ მე უნდა მიყვარდეს არამართალი, რათა გავიგო მართალი, რადგან ცნება არამართალი ცნება მართლის საპირწონეა. რომ არ ყოფილიყო ცნება არამართალი, არასდროს იქნებოდა ცნება მართალი.

ჩვენ გვეშინია, საკუთარ თავში ღმერთი აღმოვაჩინოთ.

ჩვენ მკრეხელობად მივიჩნევთ სიყვარულის ძიებას.

ჩვენ მკრეხელობად მივიჩნევთ სიცოცხლით სიხარულს.

თუ სიხარულს, მშვენიერებას, სიყვარულს, სიცოცხლეს უარვყოფთ, გვრჩება სატანის გზა.

და ეს ასეა, რადგან თქვენ მოიგონეთ ის რელიგია, რომლის არსია თქვენი არარაობის მტკიცება – თქვენ ცოდვილნი ხართ დაბადებიდან...

და თუ მე გეტყვით, რომ თქვენ დაბადებულნი ხართ ღმერთად – უდიადესი სიხარულისთვის, მშვენიერის შემეცნებისთვის, სიყვარულისთვის, ბედნიერებისთვის, თქვენ ჩემს დასაწვავად ფიჩხს რუდუნებით შეაგროვებთ.

თქვენ აღიარებთ მათ, ვინც გეუბნებათ, რომ თქვენ გვამები ხართ, თქვენ უვარგისნი ხართ. თქვენ გეუბნებიან, რომ არა მარტო თქვენ ხართ უვარგისნი, თქვენი ოცნებებიც უვარგისია. სიხარული, მშვენიერება, ძალა, განვითარება, ცეკვა, მუსიკა უვარგისია, ოცნება, სექსი, ღიმილი, გიყვარდეს ვინმე – ცუდია. ის უდიდესი ნაწილი, რაც შენს ცხოვრებას შეადგენს, რაც მთავარია შენთვის, არასაჭირო და მიუღებელია.

საოცრება ისაა, რომ თქვენ ირჩევთ გზას – არასიხარულისას, არაგანვითარებისას, არამშვენიერებისას, არასიყვარულისას,... და ვიმეორებთ, ესაა სატანის გზა.

ეს მარტივი გზაა.

აირჩიო სიცოცხლის, სიყვარულის გზა – ესაა ძნელი. ამას ვნება სჭირდება.

მშვენიერებაა სიცოცხლის ვნება.

რატომ უარყოფ იმას, რაც ხარ?

– არა და გაჩენილი ხარ როგორც სიკეთე, თანაგრძნობა. შენ ხარ სამყარო, სიხარული, ძალა, სითამამე, მშველელი, მკურნალი, გონი, განვითარება, თავისუფლება, სიყვარული. შენ ხარ ყველაფერი. და ეს შენც იცი, ოდესღაც გიგრძვნია ერთი წამით მაინც.

ცოცხალია ის, ვინც საკუთარ სხეულთან და სამყაროსთან ჰარმონიაშია.

ამრიგად, ჩემი შემეცნების მიზანი ნათლად მყავს წარმოსახული. ღმერთი ჩემთვის რეალობაა. შესაბამისად, ჩემსა და **მას** შორის არ შეიძლება უფსკრული იყოს და მე **მასში** გახსნა, **მისი** შემეცნება შემიძლია. სხვა სიტყვებით, **მისი** შემეცნება ჩემი მხრიდან ნიშნავს არაორაზროვან განცხადებას:

– მე შემიძლია მშვენიერების, სიყვარულის, ჭეშმარიტების შემეცნება, რადგან ჩემშია ვნება.

ცხადია, დამთრგუნველ უმრავლესობაში ეს განცხადება, სულ მცირე, ირონიულ ღიმილს გამოიწვევს.

გთხოვთ, ნუ აჩქარდებით, ნუ ჩაიდენთ მკრეხელობას.

„... მე იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვედი წუთისოფელში, რომ ჭეშმარიტება დამემოწმებინა. ყველა, ვინც ჭეშმარიტებიდანაა, ისმენს ჩემს ხმას" (იოანე 18,37.).

ეს რომ მოისმინა პილატემ, ირონიულად ჰკითხა მას:

— „რა არის ჭეშმარიტება?" (იოანე 18,38.).

ვიმეორებთ, უბედურება ისაა, როდესაც დგახარ ჭეშმარიტების წინაშე და კითხულობ — რაა ჭეშმარიტება?

უარყოფ ვნებას და შენ პილატე ხარ.

ნუ იქნები პილატე.

ქრისტემ თავად გვითხრა:

„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე" (იოანე 14,6.).

დიახ, მხოლოდ მისი გზა, გონივრულობა მიგვიყვანს ჭეშმარიტებამდე.

გონივრულობისა და ჭეშმარიტების შემაერთებელი ხიდი ვნებაა.

ჩანართი

ადამიანის არსი ანტიკურ კულტურაში. 5.

ძველ ბერძნულ ტრაგედიებში სიუჟეტების განვითარება იმით განისაზღვრება, რომ ადამიანთა და ღმერთების ნება არ ემთხვევა, უპირისპირდება ერთმანეთს. ადამიანი ცდილობს ბედისწერისგან გათავისუფლდეს, მაგრამ ჯერ კიდევ არაა საკუთარი ქმედებების სრულუფლებიანი ავტორი, რადგან მისი ქმედება განისაზღვრება იმ ბედისწერით, რომელიც ღმერთებმა დაუდგინეს და პასიურად უნდა დაემორჩილოს.

არ იფიქროთ, რომ ასეთი თვალსაზრისი, ცხოვრების ამგვარი გაგება, მხოლოდ თეატრის სცენაზე ვითარდებოდა. ეს ახასიათებდა იმდროინდელ ყოფით ცხოვრებასაც.

გაიხსენეთ დემიურგი.

მაშინ მხატვარი, სკულპტორი სულაც არ იყო თავისი შემოქმედების შემქმნელი. ის ხელოსანი იყო და ითვლებოდა, რომ ხელოსანს, ოსტატს მხოლოდ მატერიაში გადააქვს ის ფორმა, რაც ზემოდან ეკარნახება.

ძველ ბერძნულ კულტურაში მიიჩნეოდა, რომ ქმნილებას ახასიათებს ის უნიკალურობა, სრულყოფა, რაც, რა საოცარიც უნდა იყოს, მის შემქმნელს არ ახასიათებს.

აქ ჩანს, რომ შემოქმედში **მე** არ არის გამოსახული.

გავრცელებულია აზრი, რომ ღმერთი შემოქმედის ხელით ქმნის. თითქოს ღვთიური მუსიკა ჩვენამდე ბეთჰოვენით მოვიდა. ეს წარმართული შეხედულებაა.

როდის მივხვდებით, რომ ღმერთი თავად ბეთჰოვენშია?

მთავარია, საკუთარ თავს გავეხსნათ და მივხვდებით, რომ თითოეულ ჩვენგანშია ღმერთი.

ჭეშმარიტება

შემქმნელმა ჭეშმარიტებისა უნდა შეიმეცნოს ჭეშმარიტება ადამიანით, ჩვენით.

ადამიანია ის, ვინც მუდმივად მაღლდება.

მუდმივი ამაღლება ნიშნავს ან ჭეშმარიტება არსებობს ჩემ გარეთ და მე მუდმივი ამაღლებით ვუახლოვდები მას, ან ჭეშმარიტება ჩემშია და ჩემთან ერთად ვითარდება, მაღლდება.

ჩვენი აზრით, არსებობს

სუბიექტური ჭეშმარიტება

ობიექტური ჭეშმარიტება

მიწიერი – კონკრეტულ დროსა და სივრცეში გამოვლენილი აბსოლუტური ჭეშმარიტების პროექცია და

აბსოლუტური ჭეშმარიტება.

რას ვგულისხმობთ მიწიერ და აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში?

ამ ურთულეს საკითხში ორიენტირებისთვის დავეყრდნოთ მეტ-ნაკლებად განათლებული ადამიანისთვის მისაღებ აზრს: **ნუ ეძებთ ღმერთს ნურც ცაში, ნურც მიწიერ სამოთხეში, ეძიეთ ის საკუთარ თავში.**

ეს ჩვენთვის ერთს ნიშნავს: **ნუ ვეძებთ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, კანონზომიერებას ნურსად, გარდა საკუთარი თავისა.**

დიახ, ჩემში **ჭეშმარიტი მე, აბსოლუტური მე, აბსოლუტური კანონზომიერება, აბსოლუტური ჭეშმარიტება – ღმერთია.**

გამოდის, რომ ჭეშმარიტებისკენ სვლა არის მე-ს სვლა აბსოლუტური მე-სკენ.

შევეცადოთ, ეს სვლა გრაფიკულად გამოვსახოთ.

მართლაც, თუ თქვენ აპირებთ გადაადგილებას **A**-დან **B** წერტილში, აქ უდიდეს მნიშვნელობას იძენს მიმართულება, გადაადგილების ვექტორი.



აღნიშნული **AB** ვექტორი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემადგენელი ვექტორების ჯამის სახით.

შევთანხმდეთ, რომ ყოველი შემადგენელი **ab** ვექტორი შეესაბამებოდეს გარკვეულ **ეპოქაში** განვითარების ორიენტირს.

თუ რომელიმე ეპოქალური **ab** ვექტორის მიმართულება განსხვავდება აბსოლუტური **მე**-სკენ მიმავალი **AB** ვექტორის მიმართულებისგან, მაშინ ან საერთოდ ვერ მივალთ მიზნამდე ან პროცესი დროში უსასრულოდ გაიწელება.

თავისთავად ცხადია, ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზაზე თუ რომელიმე ეპოქალური, მიწიერი გააზრება ასცდა ამ ძირითად მიმართულებას, გვაქვს კანონზომიერებიდან ამოვარდნა და შესაბამისად – რეგრესი.

პროგრესი სწრაფად მაშინ მიიღწევა, როდესაც ეპოქალური ვექტორი ძირითადი მიმართულების შესაძლო მაქსიმალურ პროექციას წარმოადგენს – **მე** ვხედავ ჩემში აბსოლუტურ **მე**-ს.

შესაბამისად, ეპოქალური ჭეშმარიტების წვდომა, სწორი ორიენტირის არჩევა ჩვენთვის უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

რჩება პრობლემა: არსებობს თუ არა რაიმე კრიტერიუმი, რითაც დავადგენთ, რამდენად მართებულადაა მიმართული ეპოქალური აზროვნება აბსოლუტური ჭეშმარიტებისკენ, კანონზომიერებისკენ, აბსოლუტური **მე**-სკენ?

სწორედ განვითარების ეპოქალური ორიენტირის დადგენას ემსახურება ჩვენი ყველა ნაშრომი.

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს სუბიექტური, ობიექტური, ეპოქალური (მიწიერი) და აბსოლუტური ჭეშმარიტება.

სუბიექტური ჭეშმარიტება – ეს არის ერთი კონკრეტული ადამიანის მიერ აღიარებული ჭეშმარიტება.

გარკვეული ჯგუფი დიალექტიკური ლოგიკით შესაძლებელია, შეთანხმდეს მათთვის მისაღებ ჭეშმარიტებაზე. ასეთ ჭეშმარიტებას ვუწოდოთ **ობიექტური**.

ადამიანთა ისტორია გვასწავლის, რომ ერთი სუბიექტის ჭეშმარიტება მაგ., სოკრატეს, ვაჟას ჭეშმარიტება შესაძლოა ქმნიდეს **ეპოქალურ ჭეშმარიტებას,** ხოლო ობიექტური ჭეშმარიტება კი ისეთივე იდიოტური აღმოჩნდეს, როგორც დეპუტატების ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ მიღებული "ჭეშმარიტება".

ზემოაღნიშნული ზედაპირული მსჯელობაც კი მიგვანიშნებს (სუბიექტური, ობიექტური, ეპოქალური და აბსოლუტური) ჭეშმარიტების დადგენის ასეთი კლასიფიკაციის არასრულყოფილებას.

რჩება ერთი გამოსავალი – ჭეშმარიტებად ჩაითვალოს ის, რაც მოცემულ დროსა და სივრცეში, აზროვნების გარკვეულ დონეზე რაციონალურია და მაქსიმალური განვითარების საფუძველს ქმნის.

ცხადია, ასეთ მსჯელობას არა მარტო დროსა და სივრცეში ცვალებად ჭეშმარიტებასთან, არამედ ერთდროულად ერთმანეთისგან განსხვავებულ ჭეშმარიტებათა არსებობასთანაც მივყავართ. რადგან ერთსა და იმავე დროში, სხვადასხვა სივრცეში განვითარების სხვადასხვა დონე განსხვავებულ ჭეშმარიტებებს ითხოვს.

შესაბამისად, ის რაც განავითარებს ამერიკის შეერთებულ შტატებს ან ჰოლანდიას, შესაძლოა ჩვენთვის დამღუპველიც აღმოჩნდეს და ის, რაც საქართველოს განავითარებს, გამოუსადეგარი აღმოჩნდეს ამერიკისა და ჰოლანდიისთვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჭეშმარიტების ამგვარად გააზრება არ იწვევს გაღიზიანებას იმ ადამიანებში, რომლთათვისაც ფორმალური ლოგიკა ყველგან და ყოველთვის მართებულ მტკიცებულებას არ წარმოადგენს.

ფორმალური ლოგიკა გულისხმობს: **შეუძლებელია, ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები ერთდროულად ჭეშმარიტება იყოს.**

არისტოტელეს ფორმალური ლოგიკა წინააღმდეგობაში შედის ჰეგელის დიალექტიკასთან.

დავფიქრდეთ, ჰეგელის აზრით, იდეა თავის თავში მოიცავს მის საწინააღმდეგოს, ანტიპოდს. იდეა, ცნება – ნათელი თავის თავში მოიცავს მის საწინააღმდეგოს – ბნელს. იდეა, ცნება – **ჭეშმარიტება თავის თავში უნდა მოიცავდეს თავისსავე საწინააღმდეგოს.**

ჩვენ უკვე შევეხეთ ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს და რა ძნელი დასაჯერებელიც უნდა იყოს, თურმე ერთსა და იმავე საკითხზე შესაძლებელია, ურთიერთგამომრიცხავი ჭეშმარიტებები არსებობდეს.

დასადგენია, როგორ შევძლოთ ორიენტირება იმ დროსა და სივრცეში, სადაც განსხვავებული ჭეშმარიტებები არსებობს.

ეს მოსაზრება კიდევ უფრო ხომ არ გაართულებს ჩვენს ისედაც გონებაარეულ ცხოვრებას? ეს აზრიც უკვე თავის თავში მოიცავს მის საწინააღმდეგოს.

მართლაც, თუ აქამდე მხოლოდ ერთი ჭეშმარიტების არსებობას ვაღიარებდით, იმიტომაც ხომ არ ვართ ასეთი „ბედნიერნი“ – შენ, მე, ის,... და „საქართველოც გავაბრწყინეთ“?

გამოდის, რომ ეს ღრმად დასაფიქრებელი საკითხია, რადგან ან ჭეშმარიტებასა და ბედნიერებას შორის არსებობს აუცილებელი ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულება ან ჭეშმარიტება არსებობს ბედნიერების გარეშე და ბედნიერება კი – ჭეშმარიტების გარეშე.

ჭეშმარიტება ალბათ თავის თავში მოიცავს განვითარებას, ისევე როგორც განვითარება – ჭეშმარიტებას.

ამ საკითხში გარკვევას მხოლოდ იმ უმაღლესი აზროვნებით შევძლებთ, რასაც კვანტური აზროვნება ჰქვია.

სწორედ კვანტურმა ფიზიკამ, კვანტურმა აზროვნებამ გასცა პასუხი კითხვას: – რისგან და როგორ შეიქმნა სამყარო?

მართლაც, როგორ ქმნიან ელემენტარული ნაწილაკები სამყაროს?

ელემენტარული ნაწილაკების კანონზომიერი სინთეზის, შემკვრივებისგან იქმნება ატომი. ატომებისგან – მოლეკულები. მატერიალურ საგნებს კი ატომები და მოლეკულები ქმნიან.

რადგან ელემენტარული ნაწილაკები უფრო იდეებია, ვიდრე მატერიალური ნაწილაკები, გამოდის, რომ ეს ნაწილაკები გარდამავალია იდეასა და მატერიას შორის.

ამ სვლას – ელემენტარული ნაწილაკებიდან მატერიამდე, საგნებამდე განკარგავს ის მნიშვნელოვანი ცნება, რასაც **ენერგია** ეწოდება. სწორედ იდეის

მატერიაში გადამყვანია ენერგია და თუ როგორ ხდება ელემენტარული ნაწილაკების მიერ ენერგიის მიღება-გაცემა, ეს მოსაზრება პოსტულატის სახით ჩამოაყალიბა ნილს ბორმა და შესაბამისი მოდელიც შემოგვთავაზა.

ამ მოდელის თანახმად, არსებობს გარკვეული ენერგეტიკული დონეები, რომელიც შესაძლოა, გააჩნდეს ელემენტარულ ნაწილაკს.

მაგალითად:

III დონე ———————— E_3

II დონე ———————— E_2

I დონე ———————— E_1

ამრიგად, ნაწილაკს შესაძლოა გააჩნდეს ფიქსირებული ენერგიები (**E_1, E_2, E_3**) და ამავე დროს აკრძალულია შუალედური ენერგეტიკული მდგომარეობის დაკავება. I დონიდან II დონეზე გადასასვლელად ელემენტარულ ნაწილაკს II დონის შესაბამისი ენერგია უნდა ჰქონდეს.

დიახ, ელემენტარული ნაწილაკის ენერგეტიკულ დონეებს შორის არის ე.წ. „აკრძალული ზონა“ (ბარიერი). ნაწილაკს I (დაბალენერგეტიკული) დონიდან II (მაღალენერგეტიკულ) დონეზე გადასასვლელად, ამ ბარიერის დასაძლევად გარკვეული ენერგიის მიღება სჭირდება. აკრძალულ ზონაში „საფეხურები არ არსებობს".

მარტივად რომ ვთქვათ, თქვენ ვერ იყიდით თქვენთვის სასურველ ნივთს, თუ მისი ღირებულების შესაბამისი თანხა არ გაგაჩნიათ. ერთი თეთრიც რომ გაკლდეთ, თქვენთვის სასურველ ნივთს ვერ შეიძენთ. ასევე, თუ ნაწილაკმა ბარიერის გადასალახად აუცილებელი ენერგია არ მიიღო, ის ზედა დონეზე ვერ გადავა, ვერ დამკვიდრდება. ამ მოსაზრებას ფიზიკოსები ასე გამოთქვამენ – გადასვლის ალბათობა უსასრულოდ მცირეა.

გამოდის, რომ ელემენტარულ ნაწილაკს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ კონკრეტული ენერგია (E_1, E_2, ან E_3). სწორედ ესაა ენერგიის დაკვანტვა. თუ რატომ არის ბუნება ასე უცნაურად მოწყობილი და არა – სხვაგვარად, ვერც მე და ვერც სხვა აგიხსნით. ამის ახსნა უბრალოდ შეუძლებელია. რადგან კითხვის დასმა – თუ რატომაა სამყარო ასე მოწყობილი და არა სხვაგვარად – აზრს მოკლებულია.

სამყარო უნდა მივიღოთ ისეთი, როგორიც არის და შევეცადოთ შევიმეცნოთ ის.

ნილს ბორი არ ხსნის, თუ რატომაა სამყარო ასე მოწყობილი, არამედ მოდელით აღწერს მას.

მოდელი, როგორც აღვნიშნეთ, ფენომენის, მოვლენის ფოტოგრაფიული ასლი არ გახლავთ.

ბორის მოდელმა დააკმაყოფილა ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა: ახსნა, რა ხდებოდა, რა ხდება და რა მოხდება.

ამ მოდელმა, პრინციპმა შეაქმნევინა კაცობრიობას ყველაფერი – მობილური ტელეფონიდან არდაწყებული და კოსმოსური ხომალდით არდამთავრებული.

შედეგიდან გამომდინარე, ნილს ბორის მოდელი შეიძლება ჩაითვალოს ეპოქალურ ჭეშმარიტებად, რადგან მან კაცობრიობას განვითარების იმპულსი მისცა.

ჩანართი

ადამიანის არსი ანტიკურ კულტურაში. 6.

ძველ ბერძნულ აზროვნებაში არ იყო გამოკვეთილი იდეა, არამატერიალური სული და არც ცნება ავტონომიური სხეული.

მოგვიანებით ნელ-ნელა იკვეთება ადამიანის ავტონომიური ბუნება.

სომა – ორგანიზმის სხეული. უძველეს ტექსტებში არის ორგანოების ნაკრები, რომელიც ასრულებს ფიზიკურ და ფსიქიკურ ფუნქციებს.

ჰომეროსთან „ფსიქეა" არის სუნთქვა.

არაა სუნთქვა, არაა სიცოცხლე.

ის არის სიცოცხლე, თვით ცხოვრება, რომელიც ტოვებს სხეულს. აქ არ ჩანს და არცაა რაღაც მნიშვნელოვანი ემოციები. მას არ ახასიათებს მარეგულირებელი ფუნქციები. ის მოგვიანებით იძენს აქტიური სასიცოცხლო ძალის მატარებელ და ემოციური განცდების ფუნქციას.

პითაგორასთან „**ფსიქეა**" უკვე იღებს ინდივიდუალობას.

ძვ.წ.V საუკუნეში „**ფსიქეა**" უკვე ეწინააღმდეგება სხეულს, ის გრძნობის მატარებელია, სითამამისა და გმირობის ორგანო და ადამიანის ყველაზე მთავარი ნაწილია. შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე არის ადამიანის მთლიანობის სინონიმი.

ჰიპონი თვლიდა, რომ „**ფსიქეა**"-ს ადგილი თავშია,

ფილოლაი – გულში,

პროთაგორა – მკერდში,

დემოკრიტე კი ღრმადაა დარწმუნებული, რომ „**ფსიქეა**" განაწილებულია მთელ სხეულში. ის აღიარებს სულის ავტონომიას, საკუთარ **მე**-ს.

უკვე ჰერაკლიტე გვირჩევს, „ვეძებოთ საკუთარი თავი".

ქილონი – „შეიცან საკუთარი თავი და შეიცნობ სამყაროს, ღმერთებს".

გორგიას მსჯელობაში ჩნდება გამონათქვამები „უღალატო საკუთარ თავს", „მიაყენო თავს ზიანი".

აქ უკვე მკვეთრადაა გამოხატული ადამიანის ავტონომიურობა – **მე**.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანტიკურ კულტურაში, პროთაგორას აზრში – **„ყოველ საგანთა საზომია ადამიანი, არსებულთა, რომ ისინი არსებობენ, არარსებულთა, რომ ისინი არ არსებობენ" –** ადამიანი, **მე** აღწევს უმაღლეს ნიშნულს.

სოკრატესთან საკუთარ არსში ჩაღრმავება უმაღლეს დონეს აღწევს. მის მსჯელობაში **მე**-სთვის ეთიკა და სიკეთე უმაღლეს ფასეულობებადაა წარმოდგენილი.

სოკრატეს მე რჩება მე-დ სიკვდილის წინაშეც.

ჭეშმარიტების დაკვანტვა

ჩვენ ვიბადებით იმ სამყაროში, სადაც უკვე გვხვდება ჩამოყალიბებული პრინციპები, ტრადიციები, ჩვევები, შეხედულებები, ცოდნა, ჩვენამდე დადგენილი ჭეშმარიტებანი.

დადგენილ, აღიარებულ ჭეშმარიტებაში ალბათ ის ეპოქალური ჭეშმარიტება იგულისხმება, რომლის წვდომაც ჩვენი შემეცნების დონიდან მეტ-ნაკლებად შესაძლებელია.

რას ნიშნავს შევწვდი, ვფლობ ჭეშმარიტებას?

მე როგორც შემმეცნებელ ადამიანს მაინტერესებს:

– რა შემიძლია მე?

– შემიძლია თუ არა, შევწვდე ჩემამდე დადგენილ ყველა ჭეშმარიტებას?

– რა დონის ჭეშმარიტებას შემიძლია შევწვდე მომავალში?

– და საერთოდ, სად გადის ჩემი შემეცნების შესაძლებლობის ზღვარი?

აიზეკ ნიუტონი: „მე შორს იმიტომ ვიყურები, რომ გიგანტების მხრებზე ვდგავარ".

ვინ იყვნენ ის გიგანტები, ვისაც ნიუტონი ეყრდნობოდა? – მისთვის მრავალთაგან განსაკუთრებით გამორჩეულნი იყვნენ კოპერნიკი და ფერმი.

იმანუილ კანტიც აღფრთოვანებული იყო კოპერნიკით. გავიხსენოთ, ის მთელ კაცობრიობას დაჰპირდა, რომ ფილოსოფიაში კოპერნიკისებურ გადატრიალებას მოახდენდა.

ნიუტონი კოპერნიკისა და ფერმის მრავალმხრივი შემოქმედებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მათ მიერ მათემატიკური ზღვრის ცნების გააზრებას.

და როდესაც ნიუტონი შესწვდა, გაითავისა კოპერნიკისა და ფერმის მათემატიკური ზღვრის ცნება, ის უკვე პოტენციურად მზად იყო ამ ცოდნაზე, ჭეშმარიტებაზე, როგორც საფუძველზე დაყრდნობით, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა შეექმნა. სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს უმაღლესი მათემატიკის შექმნას. დიახ, უმაღლესი მათემატიკა აშენებულია იმ ფენომენზე, რასაც ზღვარი, რაღაცისკენ სწრაფვა ეწოდება.

ადამიანის ცხოვრებაში საკუთარი შესაძლებლობის ზღვრის დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამით განისაზღვრება საკუთარი თავის რწმენა და, შესაბამისად, ის მიზანი, რის მიღწევასაც ცდილობ.

მაგ., ცურვის ცოდნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ შენ ბათუმიდან ფოთამდე მანძილს დაძლევ.

მთავარია, შენი ჩანაფიქრი, მიზანი მოცემულ მომენტში შენი შესაძლებლობის ზღვარს შეესაბამებოდეს.

ასევე, თუ შხარას დალაშქვრა გსურს, ჯერ დაადგინე საკუთარი შესაძლებლობის ზღვარი და შემდეგ მიიღე გადაწყვეტილება.

ადამიანურ შეცდომათა საფუძველი საკუთარი შესაძლებლობების ზღვრის არასწორად განსაზღვრაა. შედეგად ვიღებთ არასრულფასოვნების კომპლექსით

ან განდიდების მანიით შეპყრობილ ადამიანებს. ერთნიც მარცხისთვის არიან განწირულნი და მეორენიც.

არასრულფასოვნების კომპლექსის მქონე ადამიანები არავითარ აქტივობას არ ავლენენ, ხოლო განდიდების მანიით შეპყრობილნი კი შესაძლოა, შხარას დაპყრობის ნაცვლად კლდეს მიეყინონ.

ერთი მხრივ, ადამიანს ყველაფერი შეუძლია, – **ვინ გითხრა, რომ შენ ღმერთი არა ხარ** (იოანე 10,34.).

მეორე მხრივ, არსებობენ ისინი, ვინც განდიდების მანიით არიან შეპყრობილნი და ისინიც, ვინც არასრულფასოვნების კომპლექსით იტანჯებიან.

შეხედეთ განდიდების მანიით შეპყრობილ პოლიტიკურ ელიტას, მათ ღმერთზე აღმატებულად წარმოუდგენიათ თავი.

საქართველოს მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს კი საკუთარ თავზე წარმოდგენა ისე აქვს დაქვეითებული, ისე ღრმად აქვს გამჯდარი არასრულფასოვნების კომპლექსი, რომ ვერც კი გარკვეულა საკუთარ შესაძლებლობებში და, შესაბამისად, საკუთარი მომავლის შექმნაში არავითარ აქტივობას არ ამჟღავნებს.

ცხადია, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში ფსიქიატრის ჩარევა აუცილებლობას წარმოადგენს. ხოლო ჯანმრთელი ფსიქიკის ადამიანებს კი შევახსენებთ, რომ სახარებიდან ზემოთ მოყვანილი ფრაზა ნიშნავს მხოლოდ ერთს, თქვენში უმაღლესისგან უდიდესი პოტენციალია ჩადებული.

ეს ნაშრომი სწორედ ამ პოტენციალის შემეცნება-ამოქმედებას ემასახურება.

ამრიგად, გამოიკვეთა ამოცანა: რას ნიშნავს, დავადგინო ჩემი შესაძლებლობის ზღვარი?

მაგ., განვიხილოთ სიმაღლეზე ხტომა. მაინტერესებს, რა სიმაღლის დაძლევა შემიძლია.

ვთქვათ, ჩემ წინაშეა 1,2მ სიმაღლის ბარიერი და მე ვფიქრობ, რომ ეს ჩემი შესაძლებლობის ზღვარია. თუ 1,2მ ვერ დავძლიე, გამოდის, რომ ჩემი შესაძლებლობის ზღვარი უფრო დაბალია.

ცხადია, მე რომ ჩემი შესაძლებლობის ზღვარი დავადგინო, უნდა გავცდე ამ ზღვარს.

თუ მე 1,2მ დავძლიე, გამოდის, რომ მე ამ ბარიერზე სულ მცირედით მაინც ავმაღლდი, სხვა შემთხვევაში ვერ დავძლევდი ამ სიმაღლეს.

მართლაც, როცა კიბეზე ავდივართ, თუ არ ავმაღლდით, ფეხი არ ავაცილეთ საფეხურს, კიბეზე ასვლა შეუძლებელი იქნება.

აქ ჩვენი მსჯელობისთვის, საფეხურზე შედგომისას, მნიშვნელოვანია ის მცირედი (თუნდაც 1მმ), რომლითაც შევძელი ბარიერის დაძლევა.

ასევე, თუ რაღაცის შემეცნებას ვაპირებ, თუ მინდა რაღაცას შევწვდე, მაშინ მე მცირედით მაინც უნდა ავმაღლდე შესამეცნებლის დონეზე.

საიდან ვიძენთ ბარიერის დასაძლევად აუცილებელ ენერგიას?

ამ ენერგიის აკუმულირების საფუძველი, პირველაღმძრავი თავად მიზანი, ბარიერია.

ალპინისტში ევერესტის დაძლევისთვის საჭირო ენერგიის აკუმულირების პირველადმძრავი თავად ევერესტია, მისი განუმეორებელი სილამაზე, გრანდიოზულობა.

და თუ დაძლიე ევერესტის სიმაღლე 8848მ, ეს ნიშნავს, რომ შენ შენი სიმაღლით დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე მაღლა დგახარ.

დიახ, ამ გრანდიოზულობას შენი სიმაღლე დაემატა.

შესამეცნებელი საგნის, ფენომენის შემეცნებისთვის საჭირო ცოდნის დაგროვების პირველადმძრავი თვით ამ საგნის არსის საიდუმლოშია. სწორედ მისი შენიღბული ნაწილი ქმნის მისივე შემეცნების პირველადმძრავს – სურვილს, ინტერესს.

ამ პირველადმძრავის ეფექტურობა და მისგან გამომდინარე ინტერესის სიმძლავრე განსაზღვრავს ჩვენი კვლევის, შემეცნების სიმაღლეს, ხარისხს. ცხადია, თუ საძიებელი საგნის, ფენომენის არსის რაღაც დონეს შესწვდი, როგორც აღვნიშნეთ, ეს ნიშნავს, რომ შენ ამ დონეზე მაღლა დგახარ, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ მართლა შესწვდი.

ცხადია, ნებისმიერი საგანი, მოვლენა, ობიექტი ამ სამყაროში განცალკევებულად, იზოლირებულად არ არსებობს. შესაბამისად, მისი შემეცნება თავისთავად ითხოვს დამატებით იმ გარემოს შესწავლას, რასთანაც ეს საგანი, მოვლენა ურთიერთქმედებს და რაც მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს მის არსს.

მაგ., ევერესტზე ასვლისას მე უნდა გავერკვე ჩემს ბიოლოგიურ მონაცემებში, ასევე კარგად შევისწავლო მწვერვალზე ქარის, ტემპერატურის, წნევის ცვლილების დიაპაზონი და განვსაზღვრო, თუ როგორი უნდა იყოს ჩემი მომზადების დონე, რომ ამ დატვირთვას გავუძლო. ამავე დროს უნდა გავითვალისწინო, რომ ჩემი შესაძლებლობის ზღვარი უნდა აღემატებოდეს იმ დატვირთვას, იმ ძალას, რომელიც შესაძლოა, მწვერვალზე ასვლისას დამჭირდეს.

თუ შენ საქართველოს პოლიტიკური ისტორია შეისწავლე და არ შეგიძლია მისი მომავლის უკეთესობისკენ შეცვლა, ე.ი. შენ ამ ისტორიის შემეცნება ვერ შეძელი.

თუ შენ შეიმეცნე შენთვის ძვირფასი ადამიანი და მასში ვერ დაინახე უფრო მეტი, ვიდრე შეიმეცნე, ეს ნიშნავს ერთს – შენ ვერ შეიმეცნე ის.

დიახ, თუ შენ შესწვდი ჭეშმარიტებას, მაშინ შენ უფრო მეტი იცი, ვიდრე ეს ჭეშმარიტებაა და ეს მეტობა, ეს ამაღლება თვით იმ ჭეშმარიტების არსშია, რასაც შესწვდი.

თუ ეს მეტობა არ არსებობს, მაშინ ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს – **შენ არ იცი.**

თუ შენ შესწვდი ჭეშმარიტებას და ვერ აღმოაჩინე საკუთარ არსში უფრო მაღალი ჭეშმარიტების წვდომის პოტენციალი, ეს ნიშნავს ერთს – შენ ვერ შესწვდი ჭეშმარიტებას.

რას ნიშნავს ჩემამდე დადგენილი ჭეშმარიტების სრულფასოვანი შემეცნება? უფრო მკაცრად, დავფიქრდეთ, როგორ ხდება ჭეშმარიტების დონეების წვდომა?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ იმ სამყაროში ვიბადებით, სადაც გარკვეული ჭეშმარიტებები უკვე დადგენილია. ჩვენამდე დადგენილ ჭეშმარიტებას, რომლის შემეცნებასაც ვაპირებ, ჭეშმარიტების პირველი დონე ვუწოდოთ. თუ მე ამ პირველი დონის ჭეშმარიტებას შევწვდი, ეს ნიშნავს, რომ მე თუნდაც მცირედით, უფრო მაღლა ვდგავარ, ვიდრე ეს ჭეშმარიტებაა.

დავფიქრდეთ, მართლაც, რას ნიშნავს ჭეშმარიტებაზე მაღლა დგომა?

განა ჩვენ არ გვასწავლიდნენ, რომ ჭეშმარიტება იმის ჭეშმარიტებაა, რომ მის ზემოთ არაფერია, ის ყველაფერზე მაღლა დგას?

ჩვენი მსჯელობიდან კი გამოდის, რომ თუ შევწვდი ჭეშმარიტებას, მაშინ მე მის დონეზე მაღლა, მისგან განსხვავებულ, მცირედით მაინც ამაღლებულ დონეზე ვიმყოფები. ეს ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს ამ ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, მისგან განსხვავებული ჭეშმარიტებაც. მართლაც, თუ გავიხსენებთ, რომ ჰეგელისთვის იდეა, ცნება თავის თავში მოიცავს მისსავე საწინააღმდეგოს, ანტიპოდს, მაშინ არსებული ჭეშმარიტება, როგორც თეზა, უნდა მოიცავდეს განსხვავებულ ჭეშმარიტებას – ანტითეზას.

სხვა სიტყვებით, ჭეშმარიტების (I დონის) სრული შემეცნება ნიშნავს – მეყოს გონება, მოცემულ ჭეშმარიტებაში დავინახო, აღმოვაჩინო მისგან განსხვავებული – ანტითეზა. სწორედ ამას შეგვაძლებინებს არსებულ ჭეშმარიტებაზე, თუნდაც მცირედით, მაღლა დგომა.

შესაბამისად, ჩემი ცნობიერების რეალურ ამაღლებას, გადასვლას I დონეზე თან სდევს ფილოსოფიური ტრიადის აღსრულება. იწყება თეზას და ანტითეზას შორის წინააღმდეგობის გადალახვა. წინააღმდეგობა, თავის მხრივ, ცნობიერების შემდგომი განვითარების საფუძველია. მატულობს მენტალური ენერგია და როდესაც არსებული ენერგია ჭეშმარიტების II დონეზე გადასასვლელად საკმარისი აღმოჩნდება, ამ დროს ადგილი აქვს თეზისისა და ანტითეზისის სინთეზს, მოხდება კვანტური ნახტომი და თქვენ გადადიხართ ამ სინთეზის შესაბამისი ჭეშმარიტების ახალ, მეორე დონეზე.

ამ ახალი II დონის ჭეშმარიტების შემეცნება, წვდომა ასევე ითხოვს II დონეზე სულ მცირედით მაინც ამაღლებას, უკვე II დონის ჭეშმარიტებისგან განსხვავებული ანტითეზის დანახვას. მათ სინთეზს კვლავ მივყავართ შემდგომ, ამაღლებულ ჭეშმარიტებასთან – III დონესთან და ეს პროცესი უსასრულოდ გრძელდება.

ეს მსჯელობა სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

III დონე ———————— შემდგომი ჭეშმარიტება

II დონე ———————— ახალი ჭეშმარიტება

I დონე ———————— არსებული ჭეშმარიტება.

უფრო ნათლად. იყო დრო, როდესაც ადამიანები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დედამიწა ბრტყელია და ეს აზრი ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული. ამ დადგენილ ჭეშმარიტებას – I დონეს ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ როგორც შემდგომი განვითარების საფეხურს.

როგორც ვხედავთ, ჭეშმარიტება ვითარდება აღმავალი დონეების სახით (რა თქმა უნდა, გამოთაყვანებაც, რეგრესიც კვანტურად ზედა დონიდან ქვედა დონეზე გადმოხტომით ხდება).

ადამიანებს ჰგონიათ, რომ მიღწეული დონის შენარჩუნებას მუდმივი ქმედება, ძალისხმევა არ სჭირდება. მათ არ იციან, რომ ბუნებას სტაგნაცია არ „უყვარს". სტაგნაცია მეტასტაბილური მდგომარეობაა და პროცესი ვითარდება რეგრესისკენ ან პროგრესისკენ.

ამ დონეებს შორის არსებულ ენერგეტიკულ არეს აკრძალული ზონა ჰქვია. ვიმეორებთ, აკრძალულ ზონაში ენერგეტიკული დონეები არ არსებობს.

მართლაც, თქვენ შეიძლება გქონდეთ მაგ., I ან II დონის შესაბამისი ცოდნა, ცნობიერება, რადგან როგორც ნახევრად ორსულობაა ძნელი წარმოსადგენი, ასევე ძნელი წარმოსადგენია ნახევრად ცოდნა, ნახევრად შემეცნება.

თქვენ ან იცით, ან არ იცით.

ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ **არ არსებობს ახალი ცოდნა, რომელიც არ ეყრდნობა ძველ ცოდნას.**

ძველი და ახალი ჭეშმარიტების შესაბამისი ცოდნის დონეებიც ასევე ანალოგიური სქემით შეიძლება გამოისახოს:

———————— ახალი ცოდნა

———————— ძველი ცოდნა

აქაც ძველი ცოდნიდან ახალ ცოდნაზე გადასვლა მხოლოდ კვანტური ნახტომით მიმდინარეობს.

ამრიგად, თუ რაღაც შეიმეცნე, მაშინ შენი ცოდნა უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე ის, რაც შეიმეცნე და ეს მეტობა ახალი ცოდნის საფუძველია.

დიახ, თუ რაღაც ნამდვილად იცი, მაშინ შენი ცოდნა უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე ის, რაც იცი.

დაგვეთანხმებით, რომ ევერესტის დაპყრობაზე გაცილებით რთულია ადამიანის შემეცნება, ადამიანურ ურთიერთობებში გარკვევა. ვცადოთ და ადამიანის შემეცნებისას ასევე დაკვანტვის პრინციპი გამოვიყენოთ.

ადამიანი შექმნილია ხატად ღვთისა და ის საკუთარ არსში უდიდეს ფიზიკურ-მენტალურ-ესთეტიკურ პოტენციალს ფლობს. მთავარია, აღმოაჩინო ის. ამისთვის კი პირველადი იმპულსია აუცილებელი. ამ პირველადი იმპულსის წყარო თვით შესამეცნებელი ადამიანის არსშია ჩადებული და სწორედ ის

აღძრავს ჩემს ინტერესს. შესაძლოა, ეს იმპულსი იყოს ერთი ღიმილი, ერთი ჟესტი, ქცევის მანერა, ერთი შემოხედვა და ა.შ.

თუ შენ, მამაკაცმა ვერ შეძელი ქალის შემეცნება (და პირიქით), თუ ერთ ადამიანთან მიმართებაში არ გეყო მენტალურ-ეიდოსურ-ემოციური პოტენციალი, როგორ შეიმეცნებ იმ საზოგადოებას, რომლის საფუძველიც ადამიანია?!

როგორ შეიმეცნებ იმას, **რომ ჭეშმარიტება ეს არაა ერთხელ და სამუდამოდ კედელში ჩაჭედილი, ჩაჟანგული ლურსმანი, ის ცოცხალი, მუდმივად განვითარებადი უმძლავრესი ფენომენია.**

ჩანართი

ადამიანის არსი ანტიკურ კულტურაში. 7.

ჩვენი ღრმა რწმენით, სოკრატე ქრისტიანია ქრისტეს მოსვლამდე. ეს სულაც არ გახლავთ აბსურდი, რადგან ქრისტე იყო, არის და იქნება.

პლატონი ავითარებს სოკრატეს აზრებს და იბადება ცნებები – **„თვითშემეცნება", „თვითგამორკვევა", „თვითსრულყოფა",** რომ **„ადამიანი, თითოეული ჩვენგანი ერთი მთლიანია".**

თუმცა, სოციალური ფილოსოფიიდან გამომდინარე, პლატონს ეს გადაჭარბებული ინდივიდუალიზმი უკვე აღიზიანებს. მისი აზრით, საზოგადოება, სახელმწიფო უფრო მაღლა დგას, ვიდრე ადამიანი. ამ შეხედულებას იზიარებს არისტოტელეც.

არისტოტელე – **„თუ საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, და არა შემთხვევითი მდგომარეობით, ადამიანი ცხოვრობს სახელმწიფოს გარეშე, ის მორალური თვალსაზრისით ან განუვითარებელი არსებაა ან ზეადამიანი"**.

აქ შეგახსენებთ, რომ მისთვის ადამიანი ან მონაა ან თავისუფალი მოქალაქე.

მონაა ის, ვინც ვერ განკარგავს საკუთარ თავს, საკუთარ **მე**-ს.

არისტოტელე გვთავაზობს ადამიანს, რომლის მახასიათებელია ძალა, ძალაუფლება, სიმძლავრე, დამოუკიდებლობა. აი, ესაა მისთვის ადამიანი. კაცობრიობას უახლოვდება ადამიანის გახსნის, თვითშემეცნების, საკუთარ **მე**-ს არსში ჩაღრმავების ეპოქა.

ეს ის ეპოქაა, როდესაც ადამიანში უსასრულო პოტენციალის გამოვლენა იწყება, ისეთი პოტენციალისა, რომელიც ოლიმპოს ყოვლისშემძლე ღმერთებს ერთად აღებულთაც კი არ დასიზმრებიათ.

იწყება გონივრულობის ერა.

სამყარო ამჟღავნებს:

ჭეშმარიტ კანონზომიერებას,

აბსოლუტურ გონს,

აბსოლუტური ამაღლების პოტენციალს,

იმ აბსოლუტურ მორალს, იმ სიმართლეს, იმ საყრდენს, საფუძველს, რომელზეც უნდა აშენდეს ყველა სამართალი.

დიახ, იმ მორალს, რომელიც ჩემში მჟღავნდება როგორც არსებული აბსოლუტური **მე**.

უმაღლესი ჭეშმარიტებისკენ სვლა

თავისთავად იბადება კითხვა: – რა იცით, რომ ჭეშმარიტებისკენ სვლა, ცნობიერების ამაღლება, სწორედ ამ კვანტური მეთოდით, ნახტომისებურად მიმდინარეობს და არა მდორედ, უწყვეტად?

ვიმეორებთ, ჩვენ არ ვიცით, ადამიანის არსში რა მექანიზმით მიმდინარეობს ცნობიერების ამაღლება. ეს არც ჩვენმა მასწავლებლებმა იცოდნენ, არც – მათმა მასწავლებლებმა. სამწუხაროდ, ეს ჯერჯერობით არავინ იცის.

როგორც აღვნიშნეთ, ზოგი ფიქრობდა, რომ ეს მექანიზმი თანდაყოლილია, ზოგი შეძენილად მიიჩნევდა, ზოგი კი ორივეს ეთანხმებოდა. ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არავის გააჩნია.

სწორედ ამიტომ იგონებდნენ რაღაც მოდელებს, რათა როგორმე მათთვის საინტერესო საკითხებში, ბუნების ფენომენებში გარკვეულიყვნენ.

ვინაიდან ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

– შემოქმედებითი მკვლევარისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ნებისმიერი წარმოდგენილი მოსაზრება, თეორია და ამ მოსაზრების, თეორიის ამსახველი მოდელი მისაღებია თუ არა, ეტევა თუ არა საღი აზროვნების არეალში, გასაგებია თუ არა, მოსაწონია თუ არა, დახვეწილია, თუ დაუხვეწავი...

მკვლევარისთვის მთავარია, შეუძლია თუ არა მოსაზრებას, თეორიას და მასზე დაფუძნებულ მოდელს ახსნას, რა ხდებოდა, რა ხდება და დიდი ალბათობით იწინასწარმეტყველოს რა მოხდება.

დიახ, მოდელს მეტი არაფერი მოეთხოვება, იმ მარტივი მოსაზრების გამო, რომ თუ რაღაცას შეუძლია გააანალიზოს წარსული, მართოს აწმყო, იწინასწარმეტყველოს მომავალი, მაშინ თქვენ საქმე გაქვთ არა უცნაურობასთან, არამედ ჯანმრთელ, სისხლსავსე ჭეშმარიტებასთან.

დიახ, ნებისმიერი საგნის, მოვლენის, ობიექტის შემეცნების მცდელობა შესაბამისი მოდელის შექმნას ითხოვს.

ამ მოდელზე დაყრდნობით, ჩვენს გონებაში ყალიბდება ის მოდული, რომელთან მიმართებაშიც ჰარმონიაში უნდა მოვიდეს შესამეცნებლი საგანი, მოვლენა, ობიექტი.

ჩვენ მიერ ლოგიკით ჩამოყალიბებული მოდელის სრულყოფილების დონე განსაზღვრავს ჩვენი მოდულის და მასთან მოდულირებული ობიექტის ილუზორულობის ხარისხს. ამიტომაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი **ჰეგელის ფილოსოფია, რადგან ესაა აზროვნების მეთოდი, ის ლოგიკა, რომელიც ობიექტის მოდელირების საშულებას იძლევა.**

აი, ესაა ნებისმიერი პრობლემისადმი სისტემური მიდგომა.

ჰეგელის დიალექტიკით, ჭეშმარიტების დაკვანტვითა და მოდელირების გზით შევეცადოთ უმაღლესის, აბსოლუტის შემეცნებას და თუ ეს შევძელით, მაშინ ნებისმიერი სხვა ობიექტის შემეცნება პრობლემას აღარ წარმოადგენს.

დავიმახსოვროთ, **სამყაროს, უმაღლესის შემეცნება ხდება ლოგიკის, მოდელის და მოდულის საშუალებით.**

დიახ, ჩვენ შევიმეცნებთ მოდულირებულ სამყაროს. ცხადია, შემეცნების საფუძველი ლოგიკაა. სწორედ ლოგიკით მივდივართ მოდელამდე. მოდელიდან ყალიბდება ჩვენი სუბიექტური მოდული, რასთან ჰარმონიაშიც განიხილება საგანი, მოვლენა, სამყარო – ჩვენთვის საინტერესო ნებისმიერი ობიექტი.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, შემეცნების სხვა გზა არ არსებობს.

თუ თქვენთან მოვიდა სუბიექტი და გარწმუნებთ, რომ ის რაღაც ხილვებით, ჩვენებებით, ტელეპათიით, ყავის ფინჯნით, რაღაც საიდუმლოებრივი ექსტრასენსორული მექანიზმებით შეიმეცნებს სამყაროს, ქვეყნის და თქვენს მომავალს, გარწმუნებთ, თქვენ წინაშეა უბრალოდ აფერისტი, რომელიც პოპულარობისა და ფულის მოხვეჭისთვის ყველაფერზეა წამსვლელი.

არ გჯერათ? – მაშინ ჩაატარეთ ექსპერიმენტი. გამოაქვეყნეთ გაზეთში განცხადება:

„სასწრაფოდ გვესაჭიროება ექსტრასენსი.

კვირაში მხოლოდ ერთი, 15 წუთიანი სამუშაო დღე (12სთ – 12სთ 15 წთ).

თვიური ხელფასი – **67000 ევრო**

სასწრაფოდ დაგვიკავშირდით!

ქალაქის ტელ. – . . .

მობილური – . . .

იმედია, ტელეფონის ნომრების, მისამართის და საკონტაქტო პერსონის გარკვევა ხილვებითა და ზეციური ხმებით არ გაგიჭირდებათ.”

ნახავთ, რამდენი დარეკავს. და თუ ვინმემ დარეკა, ამასაც ნუ გაიკვირვებთ, რადგან ის ან თქვენი მეგობარია, ვისთან ერთადაც თქვენ ეს განცხადება დაწერეთ ან მისი ნაცნობი.

საოცრება ისაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული მრწამსი და მჩხიბაობა (ლათ. – ექსტრასენსი), რბილად რომ ვთქვათ, შეუთავსებელია, ჩვენი კდემამოსილი მრევლის დამთრგუნველი უმრავლესობა ამ პოლიტიკური და არაპოლიტიკური ექსტრასენსული ელფერის მქონე აფერისტების წინაშე არა მარტო ამაღელვებელ თრთოლვას განიცდის, არამედ მზად არის ფეხქვეშ გაეგოს მათ.

რას იზამთ, ყველა გათახსირებულია იმდენად, რამდენადაც ამას ახერხებს.

რაც უფრო დაბალია სუბიექტების განვითარების დონე, მით მაღალია მათი სამყაროს აღქმის ილუზორულობა, მით უფრო ემსგავსებიან რაღაც რელიგიურ-პოლიტიკურ სექტას საკუთარი შემეცნების დონის შესაბამისი ღმერთის გააზრებით. მათთან მსჯელობას აზრი არა აქვს, რადგან დოგმატური აზროვნების ადამიანს ლოგიკური დასკვნების აღქმა უბრალოდ არ შეუძლია. მის განუვითარებელ გონებაში არსებობს რაღაც პირველადი ემოციური ბარიერი, ბრმა, დოგმატური რწმენის კედელი, რომლის დაობებულ ნაპრალებშიც შთაინთქმება ყველა რაციონალური მტკიცებულება, აზრი ისე,

რომ მისი შემეცნების სფეროში შეღწევას ვერ ასწრებს. ეს იმ დროს, როდესაც ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული „პოლიტიკურ-სასულიერო" კარიერის მაძიებელი ექსტრასენსის ყოველი სიტყვა მისთვის სახარებაზე, ჭეშმარიტებაზე მაღლა დგას.

ცხადია, პოლიტიკური კარიერის მაძიებელ ექსტრასენსებში ვგულისხმობთ მათ, ვინც ღმერთთან პირდაპირი კავშირით, "ჰარიზმატული"-ს დოკუმენტურად დაფიქსირებული (ბეჭდითა და მთავარანგელოზის ხელმოწერით) და ნოტარიული წესით დამოწმებული ტიტული მოიპოვეს. სხვაგვარად გაუგებარია, თუ რატომ ეთაყვანება, რატომ ეკითხება საკუთარ მომავალს მათ ხალხი. ამ უბედურებმა ჯერ კიდევ არ იციან, რომ ჰარიზმატულობა დღეს უკვე განკურნებადია.

მათ, რა თქმა უნდა, "იციან", თუ როგორ მიაღწიოს ადამიანმა, საზოგადოებამ, ქვეყანამ შემოქმედებით განვითარებას, ეთიკის, ფილოსოფიური სისტემური აზროვნების გარეშე.

ჩვენ კი, ვისაც ადამიანთა ისტორიის ზედაპირული ცოდნა მაინც გვაქვს, ვიცით, რომ უმაღლესის შემეცნება, მთელ სამყაროსთან ჰარმონიაში შესვლა, ილუზორულობის შემცირება უმაღლეს ლოგიკას, აზროვნებას ითხოვს.

ადამიანთა ისტორია სავსეა შეცდომებით, ყალბი, ილუზორული ჭეშმარიტებებით, რაც კაცობრიობის ისტორიის განვითარების შემაფერხებელ დეფექტებად გვევლინება.

მოგეხსენებათ, ისეთმა ილუზორულმა, ყალბმა ჭეშმარიტებებმა, როგორიც იყო ფაშიზმი, კომუნიზმი, მრავალი თაობა შეიწირა.

ხოლო იმ სიყალბის დამკვიდრებამ, როგორიცაა მათ მიერ გააზრებული დემოკრატია, თუ რამდენი თაობა შეიწირა, იწირავს და მომავალშიც შეიწირავს, არც ფაშიზმისა და არც კომუნიზმის ეპოქას არ დასიზმრებია.

სწორედ იმიტომ შევქმენით ჩვენ ჭეშმარიტების დაკვანტვის მოდელი, რომ ჭეშმარიტების შემეცნებისას ილუზორულობის ხარისხი მინიმუმამდე შეგვემცირებინა.

შევეცადოთ, ჭეშმარიტების დაკვანტვის არსი ელემენტარული ნაწილაკის ენერგეტიკული დონეების მოდელით გავიაზროთ.

---------- **II დონე**

---------- **I დონე**

როგორც განვიხილეთ, ის ელემენტარული ნაწილაკი, რისგანაც ყველაფერი შედგება, თვით ჭეშმარიტებაც კი, დაკვანტვის პრინციპს ემორჩილება.

შეგახსენებთ, როდესაც ჩვენ ამ ელემენტარულ ნაწილაკს მცირე ენერგიას ვაწვდით, ის იმავე ენერგეტიკულ დონეზე რჩება, რომელზეც მანამდე

იმყოფებოდა. გამოდის, რომ ჩვენ ელექტრონს ენერგიას ვაწვდით და არაფერი იცვლება, თითქოს მიწოდებული ენერგია იკარგება.

ჩნდება ლოგიკური კითხვა: ხომ არ ირღვევა ამით ენერგიის მუდმივობის კანონი? – არა. რათა გასაგები გავხადოთ ეს ფენომენი, მოვლენა, ამგვარ ახსნას შემოგთავაზებთ.

I დონეზე არსებულ ელექტრონზე მიწოდებული ენერგია, უხეშად რომ ვთქვათ, გადადის მისი ბრუნვის გააქტიურებაზე და ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ ელექტრონი არ "დარწმუნდება", რომ ზედა დონეზე გადახტომა შეუძლია. ამრიგად, ელექტრონმაც კი იცის ის, რაც ადამიანთა უმრავლესობისთვის უცნობია, – ვცდილობთ, შევწვდეთ მიზანს, მაშინ, როცა შესაბამისი მენტალური ენერგია, პოტენციალი ჯერ არ დაგვიგროვებია.

გაიხსენეთ კატის ქმედება, როდესაც ის სიმაღლეზე ახტომას აპირებს, ახტომის წინ ერთ-ორ წამიან პაუზას აკეთებს. აქ ნათლად ჩანს, რომ ის მისაღწევ მიზანს და საკუთარ შესაძლებლობას იაზრებს.

გარკვეული აზროვნების დონეზე მყოფი ადამიანი აგროვებს იმ მენტალურ პოტენციალს, ენერგიას, რაც საჭიროა ახალი, შემდგომი ჭეშმარიტების შემეცნების დონეზე გადასასვლელად. ცხადია, არ უნდა იფიქროთ, რომ ამ დროს ადამიანის პოტენციალის ზრდა ელექტრონივით ბრუნვის ენერგიით აკუმულირდება.

არა. ამ დროს არსებულ დონეზე დაგროვილი ცოდნის, დადგენილი ჭეშმარიტების ილუზიისგან გაწმენდა, გააზრება ხდება დამატებითობის პრინციპის, დიალექტიკის გამოყენებით. იკვეთება ცნებაში, ჭეშმარიტებაში არსებული საპირისპირო ცნება – ანტიპოდი, ანტითეზისი. თუ ამ დონეზე დაგროვილი მენტალური პოტენციალი თეზისის და ანტითეზისის სინთეზისთვის საკმარისია, ახალი ჭეშმარიტებისკენ კვანტური ნახტომი ხორციელდება.

ჭეშმარიტების კვანტური დონეებით აღმასვლა, შემეცნება მარტივად ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ. უპირველესად, მე ვცდილობ, შევიმეცნო ის ჭეშმარიტება, რაც დამხვდა ამ სამყაროში. მე ვიხსნები ამ ჭეშმარიტებაში, ობიექტში, როგორც სუბიექტი და თუ ეს შემეცნება სრულია, მხოლოდ მაშინ ვმაღლდები ჩემი ჭეშმარიტების პირველი დონიდან მეორე დონემდე და ამით ვძლევ ბარიერს – პირველ აკრძალულ ზონას.

ჩანართი

აბსოლუტური **მე**-ს წინაშე უკან იხევენ პათოლოგიური, ილუზორული ღმერთები, მიწიერი კერპები.

აბსოლუტური **მე**-ს წინაშე უკან იხევს ყველაფერი ამაზრზენი.

მოდის სიმართლე – ქრისტიანული გონი, მორალი, ამაღლება.

ჩვენ კი ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ეს სიმართლე, გონივრულობა, ამაღლება თავიდან ავიცილოთ, რადგან მისი ძალიან გვეშინია.

ვაშენებთ ეკლესიებს როგორც ციხესიმაგრეებს, რომ ამ სიმართლისგან დავიცვათ თავი.

ვეთაყვანებით სასულიერო ელიტას, რათა სიმართლეს არ შევხედოთ თვალებში.

და იმდენად დავეცით, რომ თვალების დათხრაც არ შეგვიძლია, რადგან დასათხრელიც არაფერი გვაქვს.

თვითჩაღრმავება გვჭირდება, რომ ეს ობიექტური, მკაცრი რეალობა აღვიქვათ.

არათუ სრულყოფად, არამედ პრიმიტიულ არსებად აღვიქვამთ საკუთარ თავს, რომელსაც რაიმეს შეცვლა, რაიმეს შექმნა, პასუხისმგებლობის აღება და განვითარება არ შეუძლია.

და რა პარადოქსულიც უნდა იყოს, თავი მართლმადიდებელ ქრისტიანებად მოგვაქვს.

დაუკვირდით, რამდენჯერ გვსმენია:

– რაღა მაინცდამაინც საქართველოში დავიბადე...

– ბედი არ მწყალობს...

– რა დაგიშავე ღმერთო...

– მე რომ პატრონი მყოლოდა...

– რატომ გამწირა ღმერთმა...

ეკლესიებში დავდივართ და პირჯვარსაც გაცხარებით ვიწერთ.

და არ გვესმის, რომ ვმკრეხელობთ, ჩვენ ქრისტიანობასთან და მართლმადიდებლობასთან საერთო არაფერი გვაქვს, რადგან ჩვენ ყველგან ვეძებთ ღმერთს, გარდა საკუთარი თავისა.

სწორედ ამისთვის იწერება ეს წიგნი, რომ მივხვდეთ, თუ რას ნიშნავს ღმერთი ჩემში.

თუ სულიერი მამები გიმალავენ, შენ წაიკითხე,

თუ გიკრძალავენ, მით უმეტეს წაიკითხე,

ერთხელ მაინც წაიკითხეთ ქრისტიანნო დაბადება (1,26), (მათე 5,48). იოანე (10,34), ფსალ. (81,6) . . .

თუ ქრისტიანი ხარ, წაიკითხე და მიხვდები, რა არის ქრისტიანობა.

და თუ მიხვდი, რომ ღმერთი შენშია, მაშ რა ბედისწერა აგიტყდა?

და თუ ღმერთი შენშია, შენ ყველაფერი შეგიძლია.

და თუ ყველაფერი შეგიძლია, მაშ რა გიშლის ხელს, რატომ ვერ ახერხებ თუ სამყაროსი არა, საკუთარი ქვეყნის იოტისოდენად განვითარებას?

დიახ, თქვენ გჭირდებათ თქვენივე გამოგონილი ღმერთი თქვენი არსის გარეთ.

თქვენ გჭირდებათ ის კერპები, რომელსაც საკუთარ პასუხისმგებლობას გადააბარებთ.

თქვენ გჭირდებათ ის კერპები, რითაც საკუთარ უსუსურობას, უგუნურობას, უიღბლობას,... გაამართლებთ.

და უღმერთონი, საკუთარ არსში ღმერთის არმიმღებნი ქმნიან კერპებს და ეს კერპები იწყება პრეზიდენტით, პრემიერით, და მთავრდება უბნის კორდინატორით.

აკრძალული ზონა

კვანტურ ფიზიკაში ელემენტარული ნაწილაკების ენერგეტიკული დონეების აღწერა სერიებითაა წარმოდგენილი. განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი ე.წ. ბალმერის სერია, რომელიც ჭეშმარიტების დაკვანტვისთვის სქემატურად ასე გამოისახება:

---------- **შემდგომი ჭეშმარიტება**
ახალი ჭეშმარიტება

არსებული ჭეშმარიტება

შემეცნების დასაწყისი

ნახაზიდან ნათლად ჩანს, რომ ყველაზე მაღალია პირველი აკრძალული ზონა. ეს მიგვანიშნებს, რომ ამ ბარიერის დასაძლევად ყველაზე მეტი მენტალური პოტენციალის, ენერგიის დაგროვებაა საჭირო. შესაბამისად, აუცილებელია, პირველ დონეზე ყველაზე ეფექტურად მოხდეს შემეცნება.

მართლაც, არსებულ ჭეშმარიტებათა შესამეცნებელი ცნობიერება ჩვენ პირველი დღეებიდან გვიყალიბდება. სწორედ ერთიდან ხუთ წლამდე ბავშვის გონებაში ხდება უდიდესი ინფორმაციის მიღება-გადამუშავება. ამ დროს სწვდება ის ჭეშმარიტებებს: რაა დღე და რა – ღამე, ხე და ქვა,... ხვდება იმ ჭეშმარიტებას, რომ ურთიერთობისთვის, აზრის გამოსათქმელად საჭიროა მეტყველება და ხდება საოცრება 5-7 წლის ასაკში მას ყველაფრის გამოთქმა შეუძლია. 15 წლის ასაკში ის თითქმის სრულ ინფორმაციას ფლობს გარდა პროფესიულისა.

ეს პირველი ნაბიჯი, ნახტომი ყველაზე დიდ შემოქმედებას, ენერგიას საჭიროებს, მიუხედავად ამისა, დაუკვირდით, რა ბუნებრივად, ხალისითაც კი მიმდინარეობს ყველაზე დიდი ბარიერის დაძლევა. ეს იმიტომ, რომ აპრიორულად თანდაყოლილი სული, გონი ბავშვის არსში ჯერ კიდევ არ აწყდება საკუთარ თავთან, საკუთარ შესაძლებლობებთან გაუცხოებას, არასრულფასოვნების კომპლექსს და მისი გონება აქტიურად იაზრებს ჭეშმარიტებებს.

აქ იწყება მთავარი – საკუთარი **მე**-ს გააზრება. დიახ, ეს ის პირველი დაუვიწყარი დღესასწაულია, რაც ჩემში სამყაროს აღქმას, მასში პირველადი გახსნის აქტს მოჰყვება. ასე მიიღწევა ჭეშმარიტების პირველი დონის შემეცნება.

აი, ამას ჰქვია ზეამაღლება, ნახტომისებური განვითარება, ჩემი გადასვლა შემეცნების მეორე დონეზე.

მხოლოდ იქ, იმ სიმაღლეზე ვხვდები, რომ ის, რაც ჩემში იყო, რაშიც გავიხსენი, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ცხადი, უფრო მძლავრი გახდა, ვიდრე შემეცნების პროცესის დასაწყისში იყო.

შემეცნების ამ ამაღლებულ საფეხურზე ჩემში სამყაროს ახალი, უფრო მძლავრი, ნათელი წარმოსახვა ჩნდება. იბადება შემეცნების ახალი მიზნებიც. მეორე დონის შესაბამისი ჭეშმარიტების სრული შემეცნება მასში, როგორც

ობიექტში, ჩემი, როგორც სუბიექტის მეორე სრულყოფილი გახსნის უდიადესი აქტია.

ამ საფეხურზე ჩემ მიერ აღმოჩენილ მეორე დონის შესაბამის ჭეშმარიტებაში, როგორც შემეცნების ობიექტში, ჩემი, როგორც სუბიექტის გახსნა უფრო სწრაფად მიმდინარეობს, რადგან ამ ამაღლებულ დონეზე მე, როგორც სუბიექტი, უფრო მძლავრ ენერგიას ვფლობ, ვიდრე პირველ დონეზე. შემეცნების ხარისხი და სისწრაფეც უფრო მეტია, ვიდრე პირველ დონეზე. ახალ, მეორე დონის ჭეშმარიტებაში გახსნას, ამაღლებას შემდგომ საფეხურზე ავყავარ, სადაც ჩემი შესამეცნებელი მიზანი უფრო მეტი სიმძლავრით, მეტი სიცხადით წარმომიდგება და ეს მეორე, ჩემ მიერ გადასალახავი, განვითარებისთვის აუცილებელი ბარიერი უფრო ადვილად დაძლევადია, ვიდრე პირველი. იქ, მესამე ჭეშმარიტების დონეზე, უკვე ამაღლებული, უფრო სწრაფად ვიხსნები მესამე დონის შესაბამის ჭეშმარიტებაში, ობიექტში და ჩემ წინაშე ახალი გამარჯვების წინაპირობაა — მეოთხე ასამაღლებელი დონე და ა.შ.

სწორედ ეს მუდმივი პროცესი, მუდმივი ამაღლებაა სიცოცხლის აზრი.

არ დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერ დონეზე შემეცნების საფუძველია ამ დონის შესაბამისი ლოგიკა, მოდელი და მოდული.

დიახ, გარკვეულ ჭეშმარიტებამდე ამაღლებული დონიდან შენთვის ნათელია, რომ ამ სვლისას, ყოველი ამაღლებისას, რაც შენ აბსოლუტში სრული გახსნა, მისი შემეცნება გეგონა, ეს მხოლოდ მასთან მიახლოების ერთ-ერთი საფეხურია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ამ სიმაღლიდან გამოჩნდება მომდევნო დონე, რომელიც შემეცნების ახალი მიზანი ხდება და ასე დაუსრულებლად. მე **მას** პერმანენტულად, უსასრულოდ ვუახლოვდები, სანამ მე — სუბიექტი სრულად არ გავიხსნები **მასში** — ობიექტში. ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ მე სრულად არ გავიხსნები უმაღლესში.

უმაღლესი, ესაა სასრულ ჭეშმარიტებათა უსასრულობა.

აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ადამიანი, როგორც სოციალური არსება, არაცნობიერად ჭეშმარიტების პირველივე დონეზეც გრძნობს კონგენიალთა სისტემის შექმნის აუცილებლობას. თავდაპირველად ეს გამოიხატება მეგობართა, თანამოაზრეთა წრის ძიებაში. ჭეშმარიტების შემდგომ დონეებზე სუბიექტისთვის ნათელი ხდება, რომ დიალექტიკის, კონგენიალთა სისტემის გარეშე შემდგომი კვანტური გადასვლა შეუძლებელია.

თუ ჭეშმარიტების რომელიმე დონეზე თქვენში შემეცნების პროცესი შენელებულია, მიმოიხედეთ და მიხვდებით, რომ თქვენ გარშემო კონგენიალთა სისტემა არ არსებობს.

ამრიგად, ეს უმნიშვნელოვანესი სვლა ახასიათებს არა მარტო კონკრეტულ მე-ს, არამედ იმ მე-ების კონგენიალურ სისტემასაც, რომლისთვისაც პირველადია მე-ებს შორის ჰარმონიული ურთიერთობა.

მხოლოდ ასეთ კონგენიალურ სისტემას ხელეწიფება ჩამოაყალიბოს ეთნოსი, ერი, საზოგადოება, სახელმწიფო.

თუ ეთნოსი, ერი, საზოგადოება ვერ ახერხებს ჭეშმარიტების დონეთა დაძლევისთვის აუცილებელ კონგენიალთა სისტემის ჩამოყალიბებას, ასეთი ეთნოსი, ერი, საზოგადოება კვანტური დეგრადირებისთვისაა განწირული.

ამგვარად ჩამოყალიბებული ეთნოსი, ერი, საზოგადოება, სახელმწიფო შემეცნება-განვითარების იმავე გზას გადის, რასაც **მე** როგორც სუბიექტი.

სასრული ჭეშმარიტებებისკენ ეს უსასრულო სვლა სამყაროს შექმნისთანავე დაიწყო, დღესაც მიმდინარეობს და უსასრულოდ გაგრძელდება.

მეტ-ნაკლებად შემეცნებადაინტერესებული პიროვნება აუცილებლად აღმოაჩენს, რომ ადამიანთა ისტორია სავსეა ამ სვლის, ამაღლების აუცილებლობის გაგება-არგაგების მაგალითებით.

ამრიგად, ადამიანთა ისტორია ესაა უმაღლესის, აბსოლუტური კანონზომიერების მიღების, ამაღლების ან ამ კანონზომიერებისგან განდგომის, დაქვეითების ისტორია.

ადამიანის აზროვნება, გონივრულობა, სული მარადიული ფასეულობაა.

ის ქმნის დროს და სივრცეს და არა დრო და სივრცე – მას.

ის ბადებს ადამიანს, აკავშირებს თაობებს.

ამიტომ ჩვენს მოაზროვნე წინაპრებს აუცილებლად გავუგებთ, რადგან დაგროვილი ცოდნის შემქმნელნი არა მარტო გენეტიკურად, სულიერადაც ჩვენი წინაპრები არიან.

რატომ მოითხოვა სულმა ჭეშმარიტებისკენ სვლა?

სად და როდის მოხდა ამ უდიადესი ნაბიჯის გადადგმა?

წარმოიდგინეთ აფრიკის კონტინენტი 3-4 მილიონი წლის წინ. ადამიანთა მცირე ჯგუფები ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ მათდამი უკიდურესად აგრესიულად განწყობილ გარემოს. ალბათ უკვე გამოკვეთილია ის გონებრივი, თანდაყოლილი პოტენციალი, რომლის მეშვეობითაც ასხვავებენ ცნებებს: „მე" „ჩვენ", „უცხო" და აყალიბებენ ურთიერთობის ელემენტარულ ფორმებსა და წესებს.

წარმოიდგინეთ პირველი ადამიანი, რომელმაც ამ ერთგვაროვან სამყაროში შეიგრძნო და გამოარჩია რაღაც განსაკუთრებული, მაგ., კლდე, ხე,... რომელშიც უმაღლესი სიწმინდის გამოვლინება აღმოაჩინა. მას გაუჩნდა შინაგანი მოთხოვნილება, პატივი ეცა ამ სიწმინდისთვის და მიეძღვნა, ეწილადებინა ყველაზე ძვირფასი, რაც მას გააჩნდა. მის ნაკლებად მგძნობიარე, მოაზროვნე თანამოძმეებში ეს ქცევა, ალბათ გაოცებას იწვევდა. ის თავის ქმედებას ასე ხსნიდა: მირთმეული ძღვენის სანაცვლოდ სიწმინდის მხრიდან კეთილგანწყობას დავიმსახურებ და კეთილდღეობას მოვიპოვებო.

სწორედ ეს, კლდის, ხის,... საკრალურობა, რიტუალი კრებს მის გარშემო ადამიანთა ჯგუფს.

მათ ჰგონიათ, რომ გამორჩეული კლდის, ხის,... კერპი აძლიერებს და იცავს მათ და ვერ ხვდებიან, რომ ეს ძალა კერპისადმი თაყვანისცემით, რწმენით

შეიქმნა. თუ დავფიქრდებით, ადვილი მისახვედრია, რომ ძალას ქმნის მათი გაერთიანება და არა კერპი.

ალბათ ეს იყო იდეის გარშემო პირველი გაერთიანება.

დიახ, მოხდა უდიადესი აქტი: პირველად კაცობრიობის ისტორიაში სიწმინდის გარშემო დაიბადა ერთი არამატერიალური მიზნით, იდეით გაერთიანებული ჯგუფი. ეს ჯგუფი, ეთნოსის, ერის, სახელმწიფოს პირველადი ჩანასახია. ამგვარად, მოხდა კერპზე, როგორც ფასეულობაზე, შეთანხმება.

სწორედ იდეაზე, ფასეულობაზე შეთანხმებაა კონგენიალობა. კონგენიალობამ შექმნა პირველი ჩანასახი, პირველი სიმძლავრე, ის ძალა, რომელსაც შეუძლია, ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიოს მათდამი აგრესიულად განწყობილ გარემოს.

დიახ, ადამიანი, თუ ის ადამიანი იყო, შეძლებისდაგვარად იმ საგნებისკენ ისწრაფოდა, რომლებშიც სიწმინდის გამოვლინებას აღიქვამდა. ეს ტენდენცია სავსებით გასაგებია, რადგან სამყაროსთან ჰარმონიაში მყოფი ადამიანებისთვის „წმინდა" და „ძლიერი" სინონიმებს წარმოადგენდა, რადგან „წმინდა" ადამიანებს თავის გარშემო იკრებდა და აძლიერებდა. მხოლოდ ასეთი გაერთიანება უწევდა ეფექტურ წინააღმდეგობას აგრესიულ გარემოს და იმარჯვებდა. შესაბამისად, სიწმინდის გამოვლინება მათთვის სრულ რეალობას წარმოადგენდა, ყოფიერება სიწმინდით იყო და არის გაჟღენთილი. რა ხარისხითაც ახერხებდა ადამიანი, საზოგადოება ამის გააზრებას, ამ სიმძლავრის შეთვისებას, იმდენად უძლეველი ხდებოდა ის. ძველად ცნებები „რეალური" და „ზერეალური" არ არსებობდა, ეს ერთი და იგივე იყო. განსწავლულებმა ეს განსხვავება მოგვიანებით შემოიღეს.

დიახ, ამ „რეალურისა" და „ზერეალურის" ერთობით დაიბადა უდიადესი ძალა.

ესაა ადამიანთა ისტორიაში უმაღლესის შემეცნების პირველი დონე.

ეს არაა პრიმიტიული რელიგიური რიტუალი, როგორც სასკოლო სახელმძღვანელოებში გვიხსნიდნენ. არა, ესაა არსებული ჭეშმარიტების პირველი დონე, ის დონე, რომლის გარეშე არ არსებობს მეორე, მესამე და ა.შ.

გადის ათასობით წელი და ამ პირველადი ჯგუფების საფუძველზე საწყისი ფორმით ჩნდება ის, რასაც დღეს ეთნოსს ვუწოდებთ, ჩნდება ენის, ტრადიციების პირველადი ჩანასახები. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ საზოგადოებრივი სისტემის დახვეწა-განვითარება მიმდინარეობს. ერთი ან რამდენიმე ეთნოსის განვითარებისა და გაერთიანების შედეგად ყალიბდება ერის პირველადი ნიშნები. ერის შემადგენელი ინდივიდებისთვის საერთო ენა, ტრადიციებისა და ურთიერთობის ნორმები მკვეთრადაა გამოკვეთილი. ერი, როგორც საზოგადოების განვითარების აუცილებელი ფორმა, მდგრად პოზიციებს იკავებს. ინტენსიური ხდება მიგრაცია, საცხოვრებლად უკეთესი გეოგრაფიული ადგილების ძიება. იმავდროულად საზოგადოების შეკავშირების უმაღლესი ფორმის – სახელმწიფოსა და კანონმდებლობის დამკვიდრება მიმდინარეობს.

და ეს ყველაფერი პირველი დონით იწყება.

გამაოგნებელია, როცა უდიადესისკენ საწყის პირველ ნაბიჯს, ვიმეორებ, პირველ ნაბიჯს ვილაცის მოუმწიფებელი გონება პრიმიტიულს უწოდებს.

ჩანართი

როგორც აღვნიშნეთ, სოციუმი ბუნების ნაწილია და, შესაბამისად, სამყაროს კანონზომიერებას ექვემდებარება, ამიტომ შევეცდებით, სოციუმში მიმდინარე პროცესები მრავალნაწილაკოვან სისტემაში მიმდინარე პროცესებს შევადაროთ.

მრავალნაწილაკოვან სისტემას გააჩნია გარემოს ტემპერატურა. ტემპერატურა არის ამ ნაწილაკების რხევის საშუალო ენერგია. ცხადია, იმ ნაწილაკების რიცხვი, რომელთაც საშუალო ენერგია აქვთ, ძალიან დიდია. სხვა სიტყვებით, ამ ნაწილაკების რხევა შეესაბამება გარემოს ტემპერატურას. ნაწილაკები ირხევიან, მოძრაობენ და ურთიერთქმედებენ. ამ ურთიერთქმედების საფუძველზე შესაძლებელია, ზოგიერთმა მათგანმა დიდი ენერგია მიიღოს.

უფრო ნათლად, თუ ორი ნაწილაკი ჰარმონიულად, ერთი მიმართულებით ირხევა და მათ გზაზე აღმოჩნდა მესამე ნაწილაკი, შეჯახებისას ეს ორი ნაწილაკი მესამეს გადასცემს ენერგიას და მესამე ნაწილაკის ენერგია მყისიერად გახდება გაცილებით მეტი, ვიდრე სხვა დანარჩენის. შესაბამისად, ეს ნაწილაკი გადადის მაღალ ენერგეტიკულ დონეზე. მაგრამ, რადგან მისი ენერგია არ შეესაბამება მთელი სისტემის ენერგიას, ის ამ მაღალენერგეტიკულ მდგომარეობას დიდხანს ვერ შეინარჩუნებს და ისევ დაბალ ენერგეტიკულ დონეზე ბრუნდება, ენერგიას კარგავს (ასხივებს).

თუ დავუკვირდებით, სოციუმში ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს. სოციუმშიც განვითარების გარკვეული დონე არსებობს. ამ დონეზეც რომელიმე მგრძნობიარე სუბიექტს გადაეცემა განვითარებისთვის საჭირო ენერგია. ეს სუბიექტი სხვებთან შედარებით მაღალი განვითარების დონეზე გადადის. საერთო სოციალური განვითარების დონე კი ისევ დაბალია, არ იცვლება. შესაბამისად, ეს სუბიექტი ან საერთოდ სცილდება, გაურბის ამ სოციუმს და მიდის სხვა, მისი განვითარების შესაბამის სოციალურ გარემოში ან ეს დაბალგანვითარებული სოციუმი ანადგურებს მას (გალაკტიონი, ნიკალა, ვაჟა,...).

ამაზე იტყვიან — დროს გაუსწროო ან იქნებ პირიქით — სხვები ჩამორჩნენ დროს?

პირველი დონის აპოლოგია

დისკუსიას არ ექვემდებარება მოსაზრება, რომ დაუშვებელია, საწყის, პირველ თეზას, აზრს პრიმიტიული ვუწოდოთ. ეს არა მარტო გონივრულობის, არამედ ეთიკის საკითხია.

ვიმეორებთ, სახელმწიფოს ჩანასახი — პირველყოფილი თემური წყობილება იმ პირველი ნაბიჯით იწყება, რომელსაც მოგვიანებით გაუაზრებელნი რატომღაც პრიმიტიულს უწოდებდნენ.

იტყვით, ამ პირველადი ჯგუფების მიზნობრივი შეკრება შეიძლება არა იდეას, არამედ ერთი მსუქანი მამონტის დანახვას გამოეწვია.

გეთანხმებით, გაძღომის სურვილიც კრებს ჯგუფს, მაგრამ ვერ ქმნის ისეთ თეოლოგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ სისტემას, როგორიც იყო თუნდაც ეგვიპტე.

შიოდათ და გარეული ღორის დასაჭერად ადამიანები იკრიბებოდნენ ჩრდილოეთშიც და სამხრეთშიც, დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, მაგრამ მსოფლიოს შვიდი საოცრება იქმნება იქ, სადაც გაერთიანების მთავარი მიზეზი არამატერიალური, უმაღლესი კანონზომიერების მქონე სულიერ ფასეულობათა ერთობა — კონგენიალობა იყო.

და თუ რომელიმე სწავლულს ამაში ჯერ კიდევ ეჭვი ეპარება, გაიხსენოს ამ ფენომენის მოგვიანებითი რეალური შედეგი — ძველი ეგვიპტე, როგორც რეალურისა და ზერეალურის ერთობა.

მრავალი ათასი წელი გაივლის, სანამ კაცობრიობა პირველი დონის ჭეშმარიტებიდან ამაღლდება ჭეშმარიტების იმ დონემდე, როდესაც მიხვდება, რომ კლდიდან, ხიდან წამოსული ეს ძალა არის რეფლექსია, ანარეკლი იმ უდიადესი ძალისა, რომელიც უმაღლესისგან თავად ადამიანშია ჩადებული.

მგრძნობიარე ადამიანი შემეცნების პირველ დონეზე სამყაროში ხედავს მისთვის გამორჩეულს, წმინდას. ყველაფერი დანარჩენი მისთვის უსტრუქტურო და ამორფულია (შემეცნების მაღალ დონეებზე ის აუცილებლად მიხვდება, რომ მთელი სამყარო უმაღლესის სიწმინდითაა გაჟღენთილი). დასაწყისში, ამ ამორფულში სიწმინდის, კანონზომიერების აღქმა და შემეცნება იწვევს სივრცის ერთგვაროვნების წყვეტას, გამორჩეული ადგილის დაფიქსირებას.

და ეს სხვა არაფერია, თუ არა ათვლის წერტილის, ორიენტირის, სიცოცხლისთვის აუცილებელი ცენტრალური ღერძის პოვნა.

ათვლის წერტილის გარეშე არანაირ ქმედებას აზრი არა აქვს. ამ ღერძის გარეშე არაა წესრიგი. ღერძის — უმაღლესი ფასეულობის გარეშე მხოლოდ დანაწევრებული სამყაროს ნამსხვრევებია.

დავფიქრდეთ, რა შინაარსი დევს ცნება „საცხოვრებელ ადგილში". გავიხსენოთ საცხოვრებელი სახლის ზღურბლი და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ქცევის წესები. ძველ აღმოსავლეთში (ბაბილონი, ეგვიპტე, ისრაელი) ზღურბლზე გამოჰქონდათ განაჩენი (ვერდიქტი). ზღურბლი არის გარდასვლის სიმბოლო.

რატომაა ერთისთვის კვება, სექსი მხოლოდ ფიზიოლოგიური აქტი, მეორისთვის კი ყველაფერი ეს გაჯერებულია იმ მოკრძალებით, რასაც მაგიდასთან ქცევის წესი, სექსში სიყვარულის საიდუმლოს საფუძველი ჰქვია. და თითქოს ფიზიოლოგია საერთოდ ქრება.

აი, ეს არის პირველი და არა უკანასკნელი განსხვავება ნასწავლსა და განათლებულს შორის.

ადამიანი შემეცნების პირველ საფეხურზე არაერთგვაროვნების აღქმისას ხვდება, რომ არსებობს წმინდა სივრცე და არსებობს სხვა სივრცეც, რომლის სტრუქტურა, არსი, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ არ აღმოგვიჩენია და ამ

ქაოსში ნათლად გამოხატული სიწმინდე, იდეა ავტომატურად ხდება ორიენტირი, ცენტრალური ღერძი.

ორიენტირის, იდეის გარეშე სამყაროში მხოლოდ მიზანგამოცლილი „ბრმა" გრძნობს თავს კომფორტულად.

ამრიგად, განათლებული ადამიანისთვის სივრცე არაერთგვაროვანია.

„ბრმა" ორთოდოქსი ათეისტიც კი, იმის მიუხედავად, თუ რა ხარისხით არის მისთვის სამყარო დესაკრალიზებული, ამ ფენომენისგან ბოლომდე მაინც ვერ თავისუფლდება. მას მუდამ თან სდევს ის, რაღაც ერთადერთი, რაც მისთვის ათვლის წერტილად, ორიენტირად იქცევა: მშობლიური პეიზაჟის ანარეკლი, ადგილი, სადაც დაიბადა, სადაც გაიზარდა,... შესაბამისად, ის მაინც „კრიპტორელიგიურ" სივრცეში ექცევა.

ყველა ათეისტს ვთხოვ, ერთხელ მაინც ახედოს ღამის ვარსკვლავიან ცას. მერწმუნეთ, რომ ის თითქმის ისევე გამოიყურება, ისეთივე სიწმინდის მქონეა, როგორიც თუნდაც 500 000 წლის წინ, როცა ჩვენმა წინაპარმა ახედა, დააკვირდა და აღმოაჩინა, თუ ძველ ბერძნულ ტერმინს გამოვიყენებთ, კოსმოსი, რომელიც ქაოსისგან განსხვავებით წესრიგს ნიშნავს. აღფრთოვანდა მზის, მთვარის, ვარსკვლავების იდეალურად მოწესრიგებული მოძრაობით, რომელიც თავისთავად უმაღლესი სიწმინდის მკვეთრი გამომსახველობაა. სწორედ ამიტომ ადამიანმა უმაღლესის ძებნაც იქ, კოსმოსში, იდეალურ წესრიგში დაიწყო.

წესრიგში მან ღმერთი დაინახა.

ესაა ჭეშმარიტების პირველი დონე.

და არა აქვს მნიშვნელობა, რომ ჯერ არ დაწერილა ბახის ფუგები და არ აშენებულა სვეტიცხოველი.

არ იქნებოდა ჭეშმარიტების პირველი დონე, არ იქნებოდა კოსმოსისკენ სწრაფვა, არ იქნებოდა მთვარისკენ გაფრენილი „აპოლონი".

ადამიანი ამ ცოდვილ მიწაზე ისეთივე კანონზომიერების დამყარებაზე ოცნებობდა, ოცნებობს და მუდამ იოცნებებს, როგორიც ვარსკვლავიან ცაში აღმოაჩინა. ამას ადამიანი პირველყოფილი ურთიერთობების დროსაც და ეთნოსის, ერის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება-დამკვიდრების შემდგომაც ცდილობდა. მისი მიზანი იყო, განესაზღვრა ადამიანთა ურთიერთობის ნორმები, დაედგინა მათი უფლება-მოვალეობანი. დაედგინა, რა არის სამართალი, რა შეიძლება და რა – არა. ის ცდილობდა ღვთიურ კანონზომიერებაში გარკვევას და კანონზომიერების შესაბამისი ქცევის წესების ჩამოყალიბებას, რათა ამ კანონზომიერების შესაბამისად ეცხოვრა.

სწორედ ამისკენ ვისწრაფვით ჩვენც.

სწორედ ამიტომ ვაქციეთ კონგენიალობა საზოგადოების, სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძვლად.

ეპოქალური ჭეშმარიტების შესაბამისი კონგენიალობის დამკვიდრება ითხოვს შემეცნების არსებული დონიდან ახალ დონეზე გადასვლას.

ვიმეორებთ, ჭეშმარიტების რაც უფრო მაღალ დონეზე გადავდივართ, მით უფრო გვეხსნება უმაღლესი ფასეულობები, უფრო ვძლიერდებით და შესაბამისად, გვიადვილდება შემდეგ დონეზე გადასვლა.

ჩვენ ვიბადებით იმ სამყაროში, სადაც უკვე დადგენილია გარკვეული ჭეშმარიტებები, დამკვიდრებულია გარკვეული ფასეულობანი და შეხედულებანი.

ამ მრავალ ჭეშმარიტებათაგან შენ აღმოაჩენ ერთ განსაკუთრებულ ჭეშმარიტებას, საიდანაც შენი ამაღლება, განვითარება იწყება. შესაძლოა, ეს ჭეშმარიტება სხვისთვის შეუმჩნეველი, ბანალურიც იყოს, მაგრამ შენში ის სიცოცხლის, ამაღლების უდიდეს იმპულსს ბადებს.

სწორედ ეს დონე ცვლის არა მხოლოდ შენს, არამედ მთელი სამყაროს ცხოვრებას, შეხედულებებს, მომავალს.

სწორედ ეს, შენთვის საწყისი პირველი დონე ქმნის შენს მომავალს.

ჭეშმარიტების, ამ შენთვის განსაკუთრებული დონის მიგნება, აღმოჩენა ტოვებს დაუვიწყარ წამებს, როცა ხვდები, რომ ეს ის ფეიერვერკია, რომლის მსგავსი შენს ცხოვრებაში არ ყოფილა.

ყველას გისურვებთ ამისთანა დღესასწაულს.

რა არის ჭეშმარიტების ის დონე, რომელიც ასეთ აღფრთოვანებას იწვევს?

კაცობრიობა უდიდეს ნახტომს აკეთებს მაშინ, როდესაც ვიღაცამ მრავალ ჭეშმარიტებას შორის მისთვის საინტერესო ჭეშმარიტება აღმოაჩინა — ის მიხვდა, რომ ის რაღაცაზე დგას.

მე ვდგავარ რაღაცაზე.

ისიც ჭეშმარიტებაა, რომ რაზეც მე ვდგავარ, ისიც რაღაცას ეყრდნობა. ის რაღაცა კი — დედამიწას.

იბადება კითხვა — რას ეყრდნობა დედამიწა?

თურმე ნუ იტყვით და — სამ ვეშაპს.

ძალიან გთხოვთ, პატივი ვცეთ აზრს — დედამიწა სამ ვეშაპს ეყრდნობა.

მხოლოდ გონებადაქვეითებულს შეუძლია ამ აზრს დასცინოს.

აქ გენიალური ისაა, რომ ადამიანი მიხვდა, რომ რაღაცა რაღაცას უნდა ერდნობოდეს.

მხოლოდ საყრდენია ამაღლების საფუძველი.

დასვით კითხვა და უპასუხეთ — რას ეყრდნობა სინათლე, სიყვარული, გალაქტიკა, სამყარო?

და სახეზე ირონიული ღიმილი შეგეყინებათ, მაშინ მიხვდებით იმ პირველი კითხვის — რას ეყრდნობა დედამიწა? — მნიშვნელოვნებას.

განათლებული ადამიანი ხვდება, რომ აქ სამ ვეშაპში კი არაა საქმე, არამედ იმ კითხვის დასმაში, საიდანაც განვითარება იწყება.

ამ კითხვის დასმით და პასუხით იქმნება ის პირველი დონე, რომელიც სამყაროს კანონზომიერების გარკვევას უდებს საფუძველს.

მთავარი ისაა, რომ ადამიანი დაინტერესდა.

პატივი ვცეთ იმ ადამიანს, ვინც დასვა კითხვა — რა არის ის ჰარმონია, რომელიც სამყაროს განკარგავს?

რა, ვერ ხვდებით, რომ ამ კითხვის დასმა უკვე კაცობრიობის უდიადესი ნაბიჯია?

დასვით კითხვა – რა არის უმაღლესი?

ამ კითხვაზე პასუხის ძიებაა ადამიანთა ისტორია.

ცხადია, თუ ამ ძიების სურვილი არ გიჩნდება, ვერც შეიყვარებ, ვერც შეიმეცნებ,...

ძიების სურვილის, სიყვარულის, უმაღლესის შემეცნების გარეშე ერი, ეთნოსი, საზოგადოება განწირულია იმ რეგრესისთვის, რომელიც ბადებს კერპს და ეს კერპი ჩვენგან მუდმივად მსხვერპლს მოითხოვს.

ჩანართი

კვანტური მდგომარეობა 1.

მთელი სამყარო გაჟღენთილია იდეით, აბსოლუტური გონით.

აქვს თუ არა ამ ფრაზას მეტაფორულობის, ფილოსოფიური მოდელის გარდა რამე ხელშესახები, ემპირიული, თუნდაც მეტაფიზიკური ხედვის კუთხიდან?

მართლაც, რას ნიშნავს, მთელი სამყარო გაჟღენთილია აბსოლუტური გონით?

შევხედოთ ამ აზრს კვანტური ფიზიკის კანონზომიერებით, არაფორმალური ლოგიკით.

მრავალთათვის სადისკუსიო აბსოლუტური გონისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მთელი სამყარო ელემენტარული ნაწილაკებით „გადაჯერებულ" სივრცეს რომ წარმოადგენს, ამაში ეჭვი არ უნდა შეიტანოს იმანაც კი, ვისაც საშუალო განათლების კურსი მაინც მოუსმენია.

განვიხილოთ ელემენტარული ნაწილაკი, თუნდაც ელექტრონი.

ჰაიზენბერგის, პლანკის, ნილს ბორის,... აზრით, სანამ ნაწილაკი არ მოხვდება გასაზომი ხელსაწყოს, მკვლევარის ყურადღების ცენტრში, არსებობს როგორც მიკროშესაძლებლობა. ეს შესაძლებლობა, რაღაც „ფილოსოფიური" პოტენციალი, როგორც კი მკვლევარის ინტერესის სფეროში ხვდება, ფორმალური ლოგიკისთვის გამაოგნებელ, დაუჯერებელ, მიუღებელ თვისებებს ამჟღავნებს.

მაგ., ერთი და იგივე ელექტრონი ერთსა და იმავე დროს შეიძლება აღმოაჩინოთ სივრცის ორ ან მეტ განსხვავებულ წერტილში.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ კითხულობთ ამ წიგნს და ამავე დროს, იგივე წიგნი თაროზეც დევს და იმავდროულად სადარბაზოშიცაა გადაშლილი.

რა გასაკვირიც უნდა იყოს, ეს ფოკუსი შეუძლია ელექტრონს და ამაში არც ერთ მეტ-ნაკლებად განათლებულ ფიზიკოსს დიდი ხანია ეჭვი აღარ ეპარება.

დიახ, თუ თქვენ ერთ ელექტრონს გზაზე დაუხვედრებთ ეკრანს ორი ხვრელით, ეს ერთი ელექტრონი ორივე ხვრელში ერთდროულად გაივლის. ეს კიდევ არაფერი. მანამ, სანამ მკვლევარი დაინტერესდება ელექტრონის ხვრელებთან მიმართებაში უცნაური საქციელით, ის ნაწილაკია, ხოლო როცა მიუახლოვდება მკვლევარის მიერ მის გამოსაცდელად დადგმულ ორხვრელიან ეკრანს, რათა მკვლევარი გადარიოს, ის ტალღად გარდაიქმნება.

არ ვხუმრობ. ამ ცუღლუტობით ელექტრონმა XX საუკუნეში კინაღამ ჭკუიდან შეშალა ფიზიკოსები. მრავალი მათგანი „დასაბმელი გახდა". კიდევ კარგი, რომ უმრავლესობას ფსიქიკა ფოლადივით მტკიცე აღმოაჩნდა, ვისაც არა,... იქ ნათელი დაადგეს.

დავუბრუნდეთ ელექტრონს. დიახ, როცა მკვლევარი აკვირდება ელექტრონს, ის ტალღაა. ხოლო, როცა კვლევის შედეგებით გაოგნებული

თავდავიწყებისთვის არაყსა და ლუდს მიეძალება, ელექტრონი ნაწილაკად გარდაიქმება.

მივდივართ სახალისო დასკვნასთან: — **ელემენტარული ნაწილაკები გრძნობენ, როდის უყურებენ და როდის არ უყურებენ მათ.**

გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას დროის ნებისმიერ მომენტში შეუძლია იყოს იქ, სადაც მოეპრიანება. ამიტომაა შეუძლებელი, ზუსტად დავადგინოთ, სადაა და საით წავა. დიახ, ელემენტარულ ნაწილაკებს, რომლებისგანაც მთელი სამყარო შედგება, უცნაური დინამიკურობა, ორიგინალობა, ინდივიდუალიზმი ახასიათებთ...

მსხვერპლშეწირვა

სწორედ ამ ჩვენს ილუზორულ სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში ჩნდება ღმერთისა და დედა სამშობლოს სახელით მუდმივი მსხვერპლის მოთხოვნა და სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან ილუზორული, პაროდიული სახელმწიფოს ელიტამ საკუთარი განდიდებისთვის არაილუზორულად, რეალურად ყველაფერი წაგართვა და დაგრჩა ის, რაც ველარ მიაქვს — შენი სიცოცხლე. მიაქციეთ ყურადღება — სიცოცხლის წართმევა მას შეუძლია და მიაქვს კიდეც, აქ საუბარია საკუთარი ნებით, სიხარულით სიცოცხლის მირთმევაზე.

დიახ, ელიტა გვეცხადება, მსხვერპლს ითხოვს, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრი დედა-სამშობლო.

ჩვენი უახლესი ისტორია სწორედ ამ მსხვერპლმოთხოვნის ისტორიაა.

და თუ შემთხვევით, ვიმეორებ, შემთხვევით ვინმე გათახსირებული, მწვალებელი, არაეკლესიური იკითხავს: — გამაგებინეთ, რას და რატომ უნდა შევწირო საკუთარი შვილი?

მას აუხსნიან:

— შენი გონებაჩლუნგობა განპირობებულია იმით, რომ წირვა-ლოცვას რეგულარულად არ ესწრები, ამიტომ არ იცი, რომ აბრაამმა საკუთარი შვილი სამსხვერპლოზე მიიყვანა და კინაღამ შესწირა.

რა, განა მამა ღმერთმა ქრისტე მსხვერპლად არ შესწირა?!

შე უბედურო, ისიც კი არ იცი, რომ ასი ათასი ნამდვილი ქართველი ბრძოლის ველზე მახვილით კი არ გავიდა, არამედ მტკვარში დახრჩობით, ნეტარებით აღასრულა მსხვერპლშეწირვის რიტუალი.

როგორ ვერ ხვდები, რომ შვილების მსხვერპლშეწირვა გენეტიკურად სისხლში გვაქვს.

მსხვერპლშეწირვის გარეშე ვერც დახლს დადგამ ბაზრობაზე, არც მერია დაგნიშნავს მეეზოვედ მაღალი ხელფასით, ხოლო გამგებლის მოადგილეობას კი საერთოდ ვერასდროს ეღირსები.

არანაკლები ილუზიაა, ასევე წყნარად ინტელიგენტურად, პატიოსნად, ბინძურ პოლიტიკაში არჩარევის პრინციპით, კარგი ცხოვრების მუდმივი

ოცნებით არსებობა. საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი, ილუზორული უსაფრთხოების მოტრფიალენი ვერ ხვდებიან, რომ საკუთარ ნაჭუჭში დამალულნი, გათითოკაცებულნი, ზვარაკად გამზადებულნი ყველაზე ადვილი მისაგნებნი არიან.

ხედავთ, გრძნობთ, რა საინტერესოა ილუზორული კანონზომიერებით დამკვიდრებული სოციუმი, "სახელმწიფო"?

ასეთ სოციუმში ილუზიით შეპყრობილნი ვერ ხვდებიან, რომ **მსხვერპლშეწირვის შინაგანი მოთხოვნილებაა ყველაზე დიდი ილუზია.**

არსებული მდგომარეობა ჩვენგან აუცილებლად მოითხოვს მსხვერპლშეწირვის ანატომიაში გარკვევას.

ჩვენი აზრით, **გონივრულობა, ქრისტიანობა და „მსხვერპლშეწირვა" შეუთავსებელი ცნებებია. უმაღლესმა ჩვენ მსხვერპლშეწირვისთვის არ შეგვქმნა.**

რეალურ სამყაროში მსხვერპლშეწირვის არავითარი მოთხოვნილება არ არსებობს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სამყარო არაფერს ითხოვს. ეს შენ უნდა გაგიჩნდეს აუცილებელი მოთხოვნილება, გაიაზრო რეალური კანონზომიერება და იცხოვრო ამ კანონზომიერებით. წინააღმდეგ შემთხვევაში არაილუზორული, რეალური მსხვერპლგაღება მოგიწევს.

საიდან ჩნდება მსხვერპლგაღების ილუზია?

ჩვენ ეს აზრადაც არ მოგვივიდოდა, სიღატაკეს, შიმშილს, ხვალინდელი დღის შიშს რომ არ განვიცდიდეთ.

როგორ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან?

მრავალი ფიქრობს: – რათა ვიყო მაძღარი, გამთბარი, კმაყოფილი, რა თქმა უნდა, რაღაც უნდა გავიღო. ჩემგან რაღაცას ელოდა ღმერთი, ის რაღაც ვერ მიიღო და ალბათ ამიტომ გამწირა.

როცა ჰგონიათ, რომ ღმერთი მათგან რაღაცას ითხოვს, აი, ესაა ყველაზე დიდი ილუზია.

დაფიქრდით, მართლაც, რა უნდა მისცე **მას** – ცხადია, ის, რაც **მას** არა აქვს, რაც **მის** გარეთაა. ეს ძალიან გაგიჭირდებათ, რადგან ღმერთი ყველაფერია.

და არ არსებობს რაღაც, რაც არაა ღმერთი.

ღმერთი სიცოცხლეა.

და თუ თქვენ გგონიათ, რომ გასცემთ სიცოცხლეს, უკვე არათუ ქრისტიანი, საერთოდ რელიგიური ადამიანიც არა ხართ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სიცოცხლე თქვენ არ გეკუთვნით. ეს თქვენ ეკუთვნით სიცოცხლეს.

თუ თავს ათეისტად თვლით, მაშინაც ვერ გასცემთ სიცოცხლეს, თუნდაც იმიტომ, რომ სიცოცხლე საერთოდ არ გაგაჩნიათ.

იმის გაცემა კი რაც თქვენ არ გეკუთვნით, ან არ გაგაჩნიათ, ითვლება თაღლითობად და ისჯება თავისუფლების აღკვეთით.

ცხადია, ილუზორულ ადამიანებს ამაზე აქვთ ღრმად ილუზორული პასუხი: – სწორედ ღმერთს არაფერი სჭირდება შენგან, ეს შენ გჭირდება მსხვერპლის გაღება, თანაც სხვადასხვა ფორმით და მასშტაბით.

დაუკვირდით აბსურდს: – მსხვერპლის გაღების აუცილებლობა, რომელიც შენ გარდა არავის სჭირდება.

თუმცა, იქნებ სულაც არაა აბსურდი და შინაგანი ამაღლება, განვითარება, შენთვის ძვირფასი ადამიანისადმი მზრუნველობა ითხოვს მსხვერპლის გაღებას?

თუ მშობელი იკლებს კომფორტს, ბავშვზე საათნახევრით ადრე იღვიძებს, რათა საუზმე მოუმზადოს და ჩვენ ამ ქმედებას მსხვერპლშეწირვას ვარქმევთ, ეს უკვე ილუზიაც კი აღარაა, ეს უბრალოდ ვაჭრობაა. ეს ცნებების – „ღვაწლის" და „მსხვერშეწირვის" აღრევაა. ამ დროს მშობელი თუ მშობელია, ტანჯვას კი არა, ბედნიერებას განიცდის.

ამგვარი მიდგომით სიცოცხლისკენ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ.

ჩვენ გავიხსენოთ, ხოლო მათ გავაგებინოთ:

ტანჯვით მხოლოდ ტანჯვა იქმნება. წვალებით – მხოლოდ წვალება.

იტყვით: – რა ანაქრონიზმია? სად ნახეთ საქართველოში მსხვერპლშეწირვა? სადღა არიან მსხვერპლგამღებნი? – თუ თქვენ აღდგომას ცხვრის დაკვლა, მსხვერპლშეწირვა გაშფოთებთ და ამაში ხედავთ ჩვენს უბედურებას, ჩვენი ილუზორულობის ერთ-ერთ მიზეზს, გარწმუნებთ, რომ ღრმად ცდებით.

– სამწუხაროდ, არ ვცდები. ასეთი მსჯელობა ილუზორულობის კიდევ ერთი დასტურია.

დავფიქრდეთ.

თავდაპირველად, სანამ მსხვერპლშეწირვის მექანიზმში გავერკვევით, აუცილებელია, ერთ მარტივ ჭეშმარიტებაზე შევთანხმდეთ – ილუზორულ სამყაროში ღირსების ცნებაც ილუზორულია.

არაილუზორულ, რეალური ღირსების მქონე საზოგადოებაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ოთხმოცი წელია (სიცოცხლის და არა არსებობის ოთხმოცი წელი). იქ ოთხმოცი წლის ადამიანი თამაშობს გოლფს, მოგზაურობს, მოჰყავს ცოლი, თხოვდება, ოდესღაც დაწყებულ საქმეს ჯერ კიდევ უძღვება, მონაწილეობს ასაკობრივ ოლიმპიადებსა და ჩემპიონატებში,...

რაც შეეხება ჩვენს ილუზორული ღირსებით გაჟღენთილ სოციუმს, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ორმოცი წელია.

იკითხავთ: – ეს როგორ, ბებიაჩემი ოთხმოცი წლისაა?!

გიმეორებთ, აქ საუბარია სიცოცხლეზე და არა არსებობაზე.

ჩვენთან, ორმოც წელს მიღწეული ადამიანი სოციუმისთვის აბსოლუტურად ზედმეტი ტვირთია, აქტიური ცხოვრებიდან გარიყულია და რაღაც იმედები, ოცნებები, რომელიც ორმოც წლამდე კიდევ ჰქონდა შემორჩენილი, უკვე ნისლივით გაქრა.

ჩვენ ის ქვეყანა ვართ, სადაც მამაკაცი ორმოც წლამდე მეოცნებე ბავშვია და ორმოცი წლის შემდეგ კი – ღრმად მოხუცებული.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ადამიანთა დიდი ნაწილი უპერსპექტივობითა და დეპრესიით ნადგურდება.

შესაბამისად, ჩვენი საზოგადოების უმრავლესობის სიცოცხლის და არა არსებობის ხანგრძლივობა, ოთხმოცის ნაცვლად, ორმოცი წელია.

ამრიგად, ყოველი ჩვენგანი საკუთარი სიცოცხლის ორმოც წელს გასცემს. გამოდის, რომ თუ ოდესღაც ხუთი მილიონი ვიყავით და თითოეულმა სიცოცხლის ნახევარი გასცა, უბრალო არითმეტიკით, ორმილიონ-ნახევარი ადამიანი მსხვერპლად შეეწირა. ამას დავუმატოთ შიდა და გარე ომებში დაღუპულთა რიცხვი, შემცირებული და უშედეგო მშობიარობა და შემზარავ რიცხვს მივიღებთ.

ამგვარად, ჩვენთან ქვენაგრძნობებით შეპყრობილი ელიტარულ-კრიმინალური ჯგუფის განდიდება-გაღმერთების მანიას სულ მცირე ორ-ნახევარ მილიონამდე ადამიანი შეეწირა. ასეთი მსხვერპლშეწირვა არათუ კანიბალური, ველური ტომების ბელადებს, ნერონებსა და ფარაონებსაც კი არ დასიზმრებიათ.

როდის მივხვდებით, რომ სიცოცხლეს არავითარი მსხვერპლშეწირვა, რაღაც წინაპირობა არ სჭირდება.

არავითარი წინაპირობა არ სჭირდება ბედნიერების დამკვიდრებას, გარდა იმისა, რომ ილუზია დატოვო.

და თუ ილუზიას დატოვებ, მიხვდები, რომ

– ბედნიერება ქმნის ყველა პირობას და არა რაღაც პირობები – ბედნიერებას.

– სიყვარული ქმნის ყველა პირობას და არა რაღაც პირობები – სიყვარულს.

ბედნიერება, სიყვარული გონივრულობის და არა ილუზიის მდგომარეობაა.

ღმერთი გონივრულობაა.

ამიტომ, **ილუზიის სახელით გაიღეთ მსხვერპლი და არა ღმერთის, სამშობლოს, შვილის, ძვირფასი ადამიანის სახელით.**

ღმერთის სახელით კი მხოლოდ ბედნიერება, სიყვარული, სიცოცხლე, განვითარება ახსენეთ.

აი, ამის უარყოფას, ამის საწინააღმდეგოს მივყავართ არა ჭეშმარიტ, არამედ თქვენ მიერ გამოგონილ შურისმაძიებელ, მევახშე ღმერთთან, რომელიც მსხვერპლარგაღების შემთხვევაში გვსჯის, გვიგზავნის მიწისძვრას, შიდსს, სიღატაკეს,... და არასდროს გვაღირსებს საოცნებო ათასლარიან ხელფასს.

რჩება ერთი გზა, როგორმე გამოვიდე ილუზიის ტყვეობიდან.

როგორ გავიგო, ვინ ეძებს რეალობას, ჭეშმარიტებას?

ურთულესია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ქრისტიანობამდე ყველა რელიგია სწორედ სიმართლის დამკვიდრებას ემსახურებოდა.

თუმცა, ყველაზე მკვეთრად ქრისტიანულ არსშია გამოხატული სიმართლე, როგორც უმაღლესი ჭეშმარიტება.

სამწუხაროდ, დღეს ეკლესია ქრისტიანული არსის ნაცვლად მხოლოდ მისთვის მისაღები და მომგებიანი რიტუალიზმის გაფეტიშებას გვთავაზობს. სწორედ ქრისტიანული სიმართლის არსის უგულებელყოფით გავანადგურეთ ერთადერთი მართებული და შესაძლო გზა ადამიანის ამაღალება-განვითარებისკენ.

ჩვენ ვალდებულნი ვართ, გავაშიშვლოთ სიყალბე და ვაღიაროთ, რომ შემოქმედებითი ადამიანური საწყისი ეგოისტურმა, გამოყენებითმა მიდგომამ ჩაანაცვლა.

შედეგად, ჩვენ გარშემო სიყალბის დღესასწაულია სხვადასხვა ფორმით გამოსახული არასულიერი ანტიადამიანურობით, რომელიც კლავს, კასტრირებას უკეთებს შემოქმედს და, შესაბამისად, ესთეტიკურ შემეცნებას.

მკვიდრდება დოგმატურობა – იმ უაზრო კონცეფციათა კულტი, რომელიც გვაოცებს თავისი აბსტრაქტულობით და თავისსავე საწინააღმდეგოში მკაცრ, მკვდარ დოგმაში შეუმჩნევლად გადადის, რაც ასევე კლავს აზრს, გრძნობას, ნებას, პირწმინდად ანადგურებს ადამიანს როგორც თავისუფალ შემოქმედსა და შემქმნელს.

ძალადობრივი, ხისტად ჩამოყალიბებული ფანტაზიები, საგანთა კულტი, ეს მათი ცხოვრების ალფა და ომეგაა.

ამრიგად, მკვიდრდება შემტევი, მებრძოლი ფეტიშიზმი, ალოგიკურობა და კერპთაყვანისმცემლობა.

ჩანართი

კვანტური მდგომარეობა 2.

... საკვირველი ისაა, რომ ამისთანა თავნება, თავისუფალი ქმედების ნაწილაკებს თუ საჭიროა, აქვთ უნარი, შექმნან ურთულესი, უნიკალური კანონზომიერება დაწყებული იდეალური კრისტალიდან გალაქტიკებით არდამთავრებული.

საიდან უჩნდებათ, ვინ მისცა მათ ეს გამაოგნებელი თავისუფლების, თვითორგანიზაციის, განვითარების უნარი?

ისინი ცხოვრობენ საკუთარი ცხოვრებით, ამჟღავნებენ გამაოგნებელ თავისებურებებს, როცა თქვენ მათთან ურთიერთობაში შედიხართ.

– მართლაც, საიდან ასეთი თავისუფლება?
– საიდან ასეთი ორიგინალობა?
– თვითორგანიზაცია?
– თვითგანვითარება?
– შემოქმედება?
– ურთიერთობა?
– კანონზომიერებისკენ სწრაფვის სურვილი?

საიდან და იქიდან, რომ ისინი როგორც იდეები, **ცოცხალი, გონის მატარებელი მიკროარსებები არიან.**

გარწმუნებთ, არაცოცხალი, მკვდარი ორიგინალობით, დინამიკურობით არ გამოირჩევა.

დიახ, ისინი ცხოვრობენ თავისი ცხოვრებით. მათ შეუძლიათ, გადავიდნენ ნებისმიერ მდგომარეობაში, როცა თქვენ მათთან შედიხართ ურთიერთობაში, როცა მათ შესწავლას ცდილობთ.

— თქვენ გგონიათ, მათ არ იციან, რომ ახლა ჩვენ მათზე ვსაუბრობთ?

— იციან.

თუნდაც იმიტომ, რომ მათგან შედგება ჩვენი ტვინი, ის ტვინი, რითაც ჩვენ მათზე ვფიქრობთ. დიახ, ისინი გვგრძნობენ ჩვენ, რადგან ისინი არიან არა მატერიალური ნაწილაკები, არამედ იდეები, ის ინფორმაციული მატრიცები, რომლისგანაც შეიქმნა ეს სამყარო.

აი, ეს ინტეგრალური ინფორმაციული მატრიცა, რომლითაც შეიქმნა ყველაფერი, არის აბსოლუტური გონი, რომელიც დიდი აფეთქებისას მთელ სამყაროში გაიშალა.

დავფიქრდეთ...

მშვენიერებით ჭეშმარიტებისკენ

ჭეშმარიტება შეიძლება გავიგოთ როგორც მოვლენის, საგნის, იდეის მართებული აღქმა. სხვა სიტყვებით, იმ კანონზომიერების მართებულად გააზრების შედეგად გამოტანილი დასკვნა, რომელიც ამ საგნის, მოვლენის არსს ასახავს.

ჩვენ ეს საგანი, ფენომენი, იდეა თავიდან მოგვეწოდება არა მთლიანობით, არამედ თავისი ერთი ან რამდენიმე ნაწილით, შემთხვევით შემჩნეული წახნაგით.

ეს წახნაგი ჩვენ წარმოგვიდგება როგორც მთლიანი საგნის არსის კანონზომიერების მცირე ანარეკლი.

და ეს ფორმულირება სულაც არ გახლავთ ჩვენი მხოლოდ ზედაპირული, მხატვრული მსჯელობა.

არა.

სამყარო გაჟღენთილია აბსოლუტური კანონზომიერებით და ამას მეტ-ნკლებად განათლებული ადამიანი ვერ უარყოფს.

და თუ ეს ასეა, მაშინ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საგნის ნებისმიერი წახნაგი მთელის არსის, კანონზომიერების ნაწილია.

თვით საგანი კი არის ნაწილი სრულიად სამყაროსი.

შესაბამისად, საგანი, მოვლენა მართალია უმცირესი, მაგრამ მაინც აბსოლუტური კანონზომიერების ჭეშმარიტი ნათელის მატერებელია.

გამოდის, რომ საგნის ნებისმიერი წახნაგი აბსოლუტური კანონზომიერების შემეცნებისკენ მიგვითითებს.

თუ გიყურებ თვალებში და მთელ სამყაროს, აბსოლუტურ კანონზომიერებას ვერ ვხედავ, ეს ნიშნავს ერთს — მე ვერ გხედავ შენ, მიუხედავად იმისა, რომ თვალები ღია მაქვს.

დანახვა მხოლოდ ემოციურ ინტელექტს, გრძნობით ინტელექტს შეუძლია.

ემოციური ინტელექტის არარსებობა ღია თვალებით სიბრმავეს ნიშნავს.

მე ვერ ვხედავ სამყაროს იმიტომ, რომ ვერ გხედავ შენ.

უფრო ნათლად, გავიხსენოთ ბუნების მკვეთრად მიმზიდველი ფენომენი – პოლარული ნათება და ვულკანის ამოფრქვევა. ზედა მსჯელობიდან გამომდინარე, ეს ორივე მოვლენა უნდა იყოს მთლიანის, სამყაროს კანონზომიერების რაღაც წახნაგი. თითქოს აბსოლუტი თქვენი შემეცნებითი ყურადღების მიპყრობას მათი სილამაზით, მშვენიერებით ცდილობს.

მივყვეთ მშვენიერებას უმაღლესი კანონზომიერებისკენ მიმავალ ლაბირინთში.

მართლაც, როგორ წარმოიქმნება პოლარული ნათება? – პლანეტებს მაღალენერგეტიკული ნაწილაკები, ძირითადად მზის მაღალენერგეტიკული გამოსხივება განჭოლავს. ამ ნაწილაკებს საკმარისი ენერგია აქვთ იმისათვის, რომ დედამიწაზე სიცოცხლე მოსპონ. სიცოცხლეს მაგნიტური ველი იცავს, რომელიც გარს აკრავს დედამიწას. სწორედ მაგნიტური ველი ასუსტებს და აკავებს ამ საშიში მაღალენერგეტიკული ნაწილაკების ნაკადს. ეს ველი ყველაზე მძლავრია პოლუსებთან. მაღალენერგეტიკული ნაწილაკების ენერგიის ნაწილი, მძლავრი მაგნიტური ველის ზეგავლენით დამუხრუჭებისას, პოლარულ ნათებაში გადადის. ეს მშვენიერება არის ის წახნაგი, რომელიც მთლიანის, სიცოცხლის ძალის მატარებელ კანონზომიერებაზე მიგვითითებს.

ვულკანი – ერთი მხრივ, სილამაზე და, მეორე მხრივ, გამანადგურებელი ძალა (გავიხსენოთ პომპეი, ჰერკულანუმი). ცხადია, ვულკანი ეს არის დედამიწის სიღრმიდან გავარვარებული ლავის ამოფრქვევა. თუმცა, სწორედ ლავა უნარჩუნებს სიცოცხლისთვის აუცილებელ ტემპერატურას დედამიწას და, რაც მთავარია, ქმნის მაგნიტურ ველს, რომელიც დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნებას ემსახურება.

შესაბამისად, ვულკანი რომ არ იყოს, არ იქნება მაგნიტური ველი. არ იქნება მაგნიტური ველი, არ იქნება პოლარული ნათება, არ იქნება სიცოცხლე.

აღმოჩნდა, რომ პოლარული ნათება და ვულკანი ის მშვენიერი, სიცოცხლის ძალის მატარებელი წახნაგებია, რომლებშიც სამყაროს კანონზომიერება აირეკლება.

შემთხვევით გამოვლენილი, შემჩნეული წახნაგი ხდება ჩვენი დიალექტიკის სამიზნე და ვხვდებით, რომ ამ წახნაგს ორგანული კავშირი აქვს მთელი სამყაროს კანონზომიერებასთან.

აი, ეს უმნიშვნელოვანესი ორგანული კავშირი გვევლინება იმ ფენომენთა ფენომენად, რასაც უბრალოდ მშვენიერებას ვუწოდებთ.

სწორედ სილამაზე, მშვენიერება იზიდავს ჩემს სულს, იწვევს იმ აღფრთოვანებას, რაც კანონზომიერების აღმოჩენა-შემეცნებისთვის უმძლავრესი იმპულსია.

სილამაზეს, როგორც კანონზომიერებისკენ ორიენტირს, ოდითგანვე გრძნობდა ადამიანი.

გავიხსენოთ, ძველ ბერძნულ ენაში ცნება სილამაზის ფუძე არის ძახილი, სულის ძახილი.

მართლაც, კანონზომიერება სილამაზით გვიხმობს.

სილამაზის, მშვენიერების აღქმას ჭეშმარიტებისკენ მივყავარ, რადგან მშვენიერება უმაღლესი კანონზომიერების, ჭეშმარიტების გამონათებაა.

სწორედ ამ მშვენიერის ნათებით ვლინდება ჭეშმარიტება. თვით ჭეშმარიტების არსი ჩემში, მთელ სამყაროში მშვენიერების, სილამაზის ძიება და დამკვიდრებაა.

და ხვდები რომ, შენში არა მარტო მშვენიერებამ გადადგა ჭეშმარიტებისკენ ნაბიჯი, არამედ თვით ჭეშმარიტება ისწრაფვის მშვენიერებისკენ.

ჭეშმარიტებისა და მშვენიერების უნისონი, ერთობა არის ის, რასაც ჩვენ ჰარმონიას ვუწოდებთ.

თუ თქვენთვის ჩვენი მსჯელობა მისაღებია, მაშინ შევთანხმდეთ:

სამყაროს, ადამიანის, საგნის კანონზომიერების არსია მშვენიერება, რომელიც იმ ნათებით გვევლინება, რასაც ჩვენ სილამაზეს ვუწოდებთ. საყოველთაო მშვენიერება არა მარტო არსებობს როგორც სამყაროს კანონზომიერების იდეა, აბსტრაქცია, არამედ კონკრეტულ ფორმებში, ეიდოსში ვლინდება.

დიახ, სწორედ მშვენიერების ობიექტივაციაა სილამაზე.

დიახ, სილამაზე ეს არის ფორმაში გამოსახული მშვენიერება.

დიახ, სილამაზე ეს არის უსასრულობის სასრული ფორმა.

მაგ., ცისარტყელა თავისთავად მშვენიერია და მშვენიერია იმითაც, რომ წვიმის როგორც სიცოცხლის, წყლის, როგორც ნათლობისა და წარღვნის დასრულებას გამოსახავს.

დიახ, ცისარტყელა უდიადესი კანონზომიერების ერთ-ერთი გამოვლინება, წახნაგია.

არაილუზორული მშვენიერება გვევლინება, ობიექტურდება რეალობაში იმ შემთხვევაში, თუ მას კონკრეტული ჰარმონიული კავშირი აქვს მთელთან, სრულყოფასთან, ამ სრულყოფის იდეასთან.

დიახ, ადამიანი მშვენიერებად მაშინ წარმოგვიდგება, როცა ის ჰარმონიულ კავშირშია მთელთან, ადამიანურობასთან, ადამიანის იდეასთან.

მხოლოდ ეს ჰარმონიული კავშირი ქმნის მთელს.

მხოლოდ იდეასთან ფერთა ჰარმონია ქმნის მთლიანს, ტილოს. ფორმათა ჰარმონია მთელთან ქმნის დავითის ქანდაკებას, მუდმივ გამარჯვებას, სიცოცხლის დღესასწაულს.

შემოქმედება მაშინ იწყება, როდესაც შემოქმედი გამოკვეთს მხოლოდ იმას, რასაც გააჩნია სიცოცხლის მამოძრავებელი ძალა. ის ძალა, რომლის გარეშე ჭეშმარიტება არაა ჭეშმარიტი, რომლის გარეშე მშვენიერება არაა მშვენიერი.

ვიღებთ სამებას — **ჭეშმარიტება, მშვენიერება, სიცოცხლის ძალა.**

როდესაც უყურებ ერთი მიზნისკენ მიმართულ ამ სამ ცნებას და მათში აბსოლუტის მიერ ჩადებულ, სამივესთვის თანდაყოლილ, ერთნაირ სინათლეს ეძებ, აუცილებლად მიხვალ იმ საოცრებასთან, რასაც **სიხარული** ჰქვია.

მართლაც, ჭეშმარიტებისკენ სვლა სიხარულის მოლოდინითაა განათებული.

დიახ, სიხარული არის იმის მიხვედრა, რომ ნაწილი ჰარმონიაშია მთლიანთან, კანონზომიერთან.

შენს არსში სიცოცხლის მამოძრავებელი ძალის შემოსვლის, შემჩნევის პირველი ნიშანია სიხარული.

სიხარული სხვა არაფერია, თუ არა შენში სიცოცხლის მამოძრავებელი ძალის შეგრძნება.

და ყველაზე მნიშვნელოვანი — **სიხარული იმის მანიშნებელია, რომ ის, რაც მშვენიერებად აღიქვით, შემეცნებადია.**

კანონზომიერებასთან, სიცოცხლის ძალასთან, მშვენიერებასთან პირდაპირი კონტაქტისას წარმოიშვება უცაბედი ნათება, ელვა, რომელიც ღვთიური ცეცხლის ნაპერწკალივით, წამიერად ანათებს საგანში, ფენომენში, ადამიანის არსში ღრმად ჩადებული იდუმალების, საიდუმლოს შემეცნების რწმენას. აი, ესაა სიხარული.

მხოლოდ ამ დიდებული აქტის შემდეგ იწყება ცივი, სუსხიანი ლოგიკით, წვალებით იმ უსასრულო სპირალზე აღმასვლა, რომელსაც ახალ, უფრო მძლავრი სიხარულის ნათებასთან ავყავართ.

დიახ, ყოველგვარი აღმოჩენა დაკავშირებულია შემეცნების წმინდა და ნათელ სიხარულთან.

და ეს სიხარული **მისგან** თანდაყოლილი გვაქვს.

სიხარული ჩვენში, ჩვენი არსის ყველაზე დიდ სიღრმეში **მისგანაა** ჩადებული და ამის იგნორირება პრაქტიკულად შეუძლებელია.

სწორედ ამ მოსალოდნელი სიხარულის ასაფეთქებლად ისწრაფვის სამყაროს სული ადამიანის შემეცნებაში.

ეს სული არღვევს **მისდამი** გაუცხოებულ ყოფიერებას, გადალახავს ორგანულ და ცხოველურ ბარიერს და ჩემში იწყებს თავის შემეცნებას სრული მბრწყინავი ფეიერვერკით — მთელი კოსმოსის დიდებული კანონზომიერებით, მეცნიერული ლოგიკით, ხელოვნების გენიალურობით, ეთიკური ნათებით, ფილოსოფიური სიბრძნით.

— რაა ჭეშმარიტების, მშვენიერების, სიცოცხლის ძალის აღმოჩენის — სიხარულის საფუძველი?

— ეს არის საიდუმლოებით მოცულ საგანში, ფენომენში, მის ერთ ან რამდენიმე წახნაგში სილამაზით, მშვენიერებით გამოვლენილი კანონის შემჩნევა, შემდეგ ამ კანონის უკვე ცნობილ კანონებთან, სიდიდეებთან, აზრებთან შეჯერება და სამყაროს მთლიან კანონზომიერებასთან ჰარმონიის დანახვა.

შესაბამისად, ჭეშმარიტების, მშვენიერების, სიცოცხლის ძალის – სიხარულის შეგრძნებისთვის უკვე აპრიორულად აუცილებელია სამყაროს აღქმის უნარი, შენამდე დამკვიდრებულ კანონზომიერებაში მეტ-ნაკლებად გარკვევა. ეს კი სხვა არაფერია, ვიდრე ინტელექტი.

შესაბამისად, ჭეშმარიტების, სიცოცხლის ძალის, მშვენიერების აღმოჩენა ინტელექტის პრეროგატივაა.

აქედან დასკვნა:

ნუ ელოდებით მისგან თქვენში ჭეშმარიტების დანახვას, თუ მას ინტელექტი არ გააჩნია.

ნუ ელოდებით მისგან თქვენში სასიცოცხლო ძალის დანახვას, თუ მას ინტელექტი არ გააჩნია.

ნუ ელოდებით მისგან თქვენში მშვენიერების დანახვას, თუ მას ინტელექტი არ გააჩნია.

ჩანართი

კვანტური მდგომარეობა 3.

... დავფიქრდეთ.

ფიზიკოსთა აზრით, უსასრულოდ მცირე მიკრონაწილაკებისგან, სიმებისგან იწყება შემკვრივება – იქმნება ელემენტარული ნაწილაკები. ელემენტარული ნაწილაკების შემკვრივებისგან იქმნება ატომები, ატომებისგან – მოლეკულები, მოლეკულებისგან – უჯრედები, უჯრედებისგან შევდგები მე, როგორც სიცოცხლის მატარებელი არსება.

მართლაც, საკითხავია: „არაცოცხალი" ატომებისა და მოლეკულებისგან როგორ იბადება სიცოცხლე, უჯრედი?

თუ ჩავთვლით, რომ ელემენტარული ნაწილაკები არაა იდეები, არაა ინფორმაციის, გონის მატარებელი და უბრალოდ მკვდარი მატერიაა, მაშინ იბადება ბუნებრივი კითხვა: – **როგორ ხდება მკვდარი მატერიის ნახტომისებურად, მყისიერად სიცოცხლის მატარებელ არსებად გარდაქმნა?**

არასადისკუსიოა – **მკვდარს არ შეუძლია დაბადოს ცოცხალი**.

პასუხი თავისთავად ზედაპირზე ძევს:

– **ელემენტარული ნაწილაკები კვანტური ენტელექიის, გონის, კანონზომიერების, სიცოცხლის მატარებელი იდეებია.**

მხოლოდ ცოცხალს შეუძლია შექმნას ცოცხალიც და არაცოცხალიც.

მხოლოდ ცოცხალი შობს ცოცხალს.

საკმარისია, ამას მივხვდეთ, რომ ჩვენ წინაშე მთელ სამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობის მრავალფეროვანი შესაძლებლობა გადაიშლება.

როგორც აღვნიშნეთ, მთელი სამყარო გაჯერებულია ელემენტარული ნაწილაკებით, რაც ქმნის სამყაროს ერთიან, უდიდესი ინფორმაციის მქონე მატრიცას, კვანტურ ველს.

ამ კვანტურ ველში ელემენტარულ ნაწილაკთა შემკვრივება ქმნის პლანეტებს, ვარსკვლავებს, გალაქტიკებს და, რა თქმა უნდა, ჩვენც ამ შემკვრივების შედეგი, მატერიალური სხეულები ვართ.

შევთანხმდეთ და ამ ელემენტარულ ნაწილაკთა შემკვრივებას ვუწოდოთ „კვანტური მდგომარეობა".

გამოდის, რომ მეც რაღაც „კვანტური მდგომარეობა" ვარ, კონკრეტული სახელითა და გვარით.

ცხადია, ამ შემკვრივებას, ამ „კვანტურ მდგომარობას" შეესაბამება მისთვის დამახასიათებელი „კვანტური ველი". ჩემი შესაბამისი „კვანტური ველით" მე ვურთიერთობ სამყაროს მთლიან კვანტურ ველთან და, რა თქმა უნდა, შენ მიერ შექმნილ კვანტურ ველთანაც.

ამგვარად, ყოველი ადამიანი საკუთარი „კვანტური ველით" ზემოქმედებს მის გარშემო არსებულ „კვანტურ ველზე".

ეს ნიშნავს, რომ ადამიანი საკუთარი „კვანტური ველის" მეშვეობით ცვლის რეალობას.

შესაბამისად, თუ ორი ადამიანის ველი ჰარმონიულია და რეზონანსშია ერთმანეთთან, ჯამური ველი ძლიერდება და ძლიერდება რეალობაზე ზემოქმედების შესაძლებლობაც.

რაც უფრო მეტი ადამიანის კვანტური ველის რეზონანსი ხდება, მით ძლიერია რეალობაზე ზემოქმედების უნარი.

გამოდის, რომ რეალობას ვქმნით ჩვენ.

ეს სამყარო, რომელიც ელემენტარული ნაწილაკებისგან შედგება, იცვლება, ვითარდება არა შემთხვევითობით, არამედ ჩვენი აზრების შესაბამისად.

„კვანტური ველი" ისაა, ...

სიხარულში გამოვლენილი ინტელექტი

თუ აქამდე წარმოდგენილი თვალთახედვა თქვენთვის მისაღებია, მაშინ კიდევ უფრო ჩავუღრმავდეთ განხილულ საკითხს.

წინა მსჯელობიდან გამომდინარე, უკვე აღარ უნდა იყოს სადისკუსიო, რომ სული, გონი ადამიანის არსის შემეცნებას ასევე საკუთარ **მე**-ში შენიღბული ერთი ან რამდენიმე წახნაგიდან იწყებს.

ინტელექტუალი, სამყაროს აღქმის ამაღლებული უნარის მქონე პიროვნება პირდაპირ შეიგრძნობს ამ წახნაგის სილამაზის კავშირს სამყაროს კანონზომიერებასთან და იწყება საკუთარ **მე**-ში თვითგანვითარების სრულყოფილი მექანიზმის – დიალექტიკის ამუშავება.

თავისთავად ცხადია, სიხარულის ნათელი განცდა ეს არაა მარტო გარე სამყაროში დანახული კანონზომიერების, ჭეშმარიტების, სიცოცხლის ძალის, მშვენიერების ინდიკაცია.

ეს ასევე არის სიხარული, აღტაცება, რომ მე ვიგრძენი, მე დავინახე სილამაზე და ამით დავიწყე იმ მიზნისკენ სვლა, რომლის უმთავრესი, აუცილებელი, შემადგენელი ცნებებია **მშვენიერება, ჭეშმარიტება, სიცოცხლის ძალა.**

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი, როგორც ადამიანის, უმთავრესი მიზანი ჯერ კიდევ ნათლად არაა გამოსახული, როგორც აღვნიშნეთ, უკვე გაჩენილია მიზნის მიღწევის პროცესის დაწყებით დაბადებული სიხარულის ნაპერწკალი.

ეს ნაპერწკალი ნიშნავს ერთს, რომ მე თავი ადამიანად, შემმეცნებლად და შემოქმედად ვიგრძენი.

სამყაროს კანონზომიერების შესამეცნებლად გადადგმული სულ მცირე ნაბიჯიც კი სულის, საკუთარი თავის შემეცნების დღესასწაულია.

ეს უკვე აღარაა უბრალოდ შემეცნება.

ეს არის ქმნადობა, შექმნა, შემოქმედება.

სიხარული შემეცნების, სულიერი შემოქმედებითი აქტის დასაწყისის პირველი მაცნეა. როგორც აღვნიშნეთ, ესაა მშვენიერის წვდომის შესაძლებლობით გამოწვეული დღესასწაული.

აღქმული სილამაზე შემოქმედებას აპროგრამირებს და მშვენიერისკენ მიმართავს.

შემოქმედების ყოველ აქტში ამაღლების პულსი ფეთქავს.

სწორედ ამ პულსს გადაჰყავს სულიერება რეალობაში და შემოქმედი მშვენიერების აღქმის არსებულზე უფრო მაღალ დონეს სწვდება. ამაღლებული სულიერებით დანახული მშვენიერება ობიექტურდება ახალ ფორმაში და მანამდე არარსებულ სილამაზეში ვლინდება, რომელიც შემოქმედში უფრო ამაღლებული მშვენიერების შეგრძნების სურვილს თავიდან აფეთქებს.

სწორედ ამ უსასრულო გადასვლებს ეწოდება თვითგანვითარება.

ამაღლების ყველა სხვა გზა ილუზია, სიყალბეა.

დიახ, სილამაზე არა მარტო დიალექტიკური ერთობის კანონზომიერებისკენ ორიენტირია, არამედ გვაძლევს პოტენციალს, რწმენას, რომ შესაძლებელია ყველაფერი — შემთხვევითი, უსახური, არაკანონზომიერი, დაობებული — სილამაზის სახელით გადავლახოთ.

სწორედ ასე იმარჯვებს სიცოცხლე სიკვდილზე.

მშვენიერის განცდა საგანში, მოვლენაში არა სუბიექტური, არამედ ობიექტური იდეის დანახვით გამოწვეული რეაქციაა.

ესაა რაღაც დიდის, განუმეორებლის შესაძლო შემეცნების სიხარული.

დაუკვირდით, სილამაზე ეს არა მარტო შემეცნების შესაძლებლობის ინდიკატორია, არამედ ისაა პირდაპირი შემეცნება.

გამოდის, რომ სილამაზის განცდა ერთდროულად შემოქმედების, შემეცნების შესაძლებლობაა და ასევე ქმნადობის ფაქტის ემოციური კონსტატაცია.

ცხადია, თვითგანვითარებისთვის სილამაზის დანახვა არის პირველადი, აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა.

თვითამაღლებისკენ — ჭეშმარიტებისკენ, მშვენიერებისკენ, სიცოცხლისკენ სვლის პირველივე ნაბიჯი ითხოვს თვითკონტროლს, სავალი გზიდან არგადახვევის უმკაცრეს საზღვარს — კვანტურ ლოგიკას.

არ უნდა იყოს სადისკუსიო, თუ ვიტყვით, რომ ცნება „ლოგიკა" წარმოადგენს კანონზომიერების შემეცნების აუცილებელ მექანიზმს, რაღაც სამარკო ნიშანს, შემეცნების გზის მაჩვენებელ ორიენტირს.

ამ ნიშნის ქვეშ არსებობს და ვითარდება სინამდვილე, ჩვენი ყოფიერება.

უფრო მეტი სიცხადისთვის განვიხილოთ თვითგანვითარების სპირალი, რომლის ერთი ციკლი ერთი ბიჯით უფრო მაღლაა, ვიდრე საწყისი წერტილი.

ამ მოდელის თანახმად, შემოქმედი საკვლევი ობიექტის, მოვლენის გააზრებას მანამდე არსებული მშვენიერის შემეცნების დონეზე უფრო ამაღლებული პოზიციიდან იწყებს. შევეცადოთ, ამ პროცესის მოდელი არა სამგანზომილებიან, არამედ ორგანზომილებიან სიბრტყეში განვიხილოთ. ამისთვის კი მოდელს უნდა დახედოთ ზემოდან ან ზემოდან განათებული სპირალის ჩრდილი წარმოიდგინოთ. თქვენ დაინახავთ არა სპირალს, არამედ წრეწირს და ამ წრეწირზე მოძრავ „განვითარების წერტილს". შევთანხმდეთ, რომ აქ სახვადასხვა სიბრტყეზე სპირალის პროექციას არ ვგულისხმობთ. უბრალოდ სპირალის ჩრდილს განვიხილავთ, რათა სამგანზომილებიან და ორგანზომილებიან მდგომარეობას შორის განსხვავება წარმოვიდგინოთ.

განვითარების სპირალის მოდელის ერთგანზომილებიან მდგომარეობაში წარმოდგენისთვის, ორგანზომილებიანი წრის ჩრდილს, შეხედეთ გვერდიდან, თქვენ დაინახავთ მხოლოდ წრის დიამეტრის ტოლ მონაკვეთზე წერტილის სვლას წინ და უკან.

არიან დაქვეითებული მგრძნობელობის, მეტაფორულად რომ ვთქვათ, ერთგანზომილებიანი სუბიექტები, რომელთათვისაც მშვენიერება სხვა არაფერია, ვიდრე მონაკვეთზე წერტილის განურჩეველი, უაზრო წინ და უკან სვლა. მათთვის სულერთია ვის აირჩევენ, ვის გაჰყვებიან.

მშვენიერების აღმქმელი, მაგრამ ლოგიკას მოკლებული, „ორგანზომილებიანი" ადამიანისთვის მშვენიერება არის წრეზე ჰარმონიულად მოძრავი წერტილი.

და თუ ამ მშვენიერების აღქმა ამაღლებულ მგრძნობელობასა და ლოგიკას ითხოვს, მაშინ შემოქმედი გადადის „სამგანზომილებიან სივრცეში" და ხედავს განვითარების უფრო მეტად სრულყოფილ სპირალურ სურათს.

დიახ, არაფორმალურ ლოგიკას გადაჰყავს მშვენიერება სამაგანზომილებიან სივრცეში. აქ უკვე ნათლად ჩანს მშვენიერების განვითარების სპირალური დინამიკა.

ამ მსჯელობიდან ჩანს, რომ განზომილებათა მატება ზრდის საგნის, მოვლენის, სამყაროს, იდეის სრულყოფას, შემეცნების ხარისხს.

მართლაც, რა მშვენიერია ეს სამყარო „სამგანზომილებიანი" ხედვით. წარმოიდგინეთ, რას ხედავს, გრძნობს შემოქმედი, რომელიც გონებით ოთხ და მეტგანზომილებიან სივრცეს სწვდება.

აქ თითქოს მშვენიერებასთან მიმართებაში ლოგიკის მნიშვნელობა გამოიკვეთა.

ეს გასაგებია.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე – არაფორმალური ლოგიკა არის არა მხოლოდ ჭეშმარიტების ხედვის კუთხე, ჭეშმარიტების შემეცნებისკენ მიმავალი ძაფი, შემეცნების ორიენტირი, არამედ თვით აზროვნების პროცესი, რომლის დროსაც შესაძლებელია საგნის, ობიექტის შიდა კანონზომიერების გამოკვლევა, მაგრამ მხოლოდ ლოგიკა ახალს სრულყოფით ვერაფერს ბადებს.

არაფორმალური ლოგიკის სიმძლავრე იმაშია, რომ ის აჩვენებს არა მარტო მიმართულებას, არამედ აკონტროლებს უკვე განვლილ გზაზე დაგროვილი ცოდნისა და დასკვნების ურთიერთმიმართებას, თანაფარდობას.

და ყველაზე მთავარი – არაფორმალური **ლოგიკა პროვოცირებას უკეთებს წარმოსახვას.**

სამყაროს შემეცნება, შემოქმედება, ერთი მხრივ, გონივრული ლოგიკისგან გათავისუფლებული მშვენიერის ძიებაა და, მეორე მხრივ, ამ ძიების პროცესში არაფორმალური ლოგიკა გზიდან არგადახვევას უზრუნველყოფს.

ღრმად დასაფიქრებელია ის, რომ სამყაროს, ადამიანის არსის შემეცნებისთვის უმაღლესმა მოგვცა არა მარტო მშვენიერის აღქმის უნიკალური მექანიზმი, არამედ – არაფორმალური ლოგიკაც.

შესამეცნებელი თითქოს ორი პროჟექტორის, ორი იუპიტერის კაშკაშა სინათლის არეალშია მოქცეული.

საგნის აღქმა ხედვის ორი – ლოგიკური და ესთეტიკური კუთხიდან.

ალბათ სწორედ ამას ხვდებოდა სიორენ კერკეგორი, რომლის შემოქმედების საფუძველზეც გენიოსმა ნილს ბორმა დამატებითობის პრინციპი შექმნა.

დაუკვირდით, ლოგიკა ამტკიცებს, მშვენიერება გაგრძნობინებს, ორივე გარწმუნებს.

ნებისმიერი შედევრი ამ ორი სინათლის ანარეკლია. გაიხსენეთ მიქელანჯელოს დავითი. ის არ შეიძლება ინტელექტუალური ადამიანისთვის გაუგებარი, უცხო იყოს, რადგან აქ ძალა, სიმამაცე, სიბრძნე ლოგიკითა და მშვენიერებით არის განათებული. ამიტომაა, რომ მარმარილოში სიცოცხლის პულსიც კი იგრძნობა. სწორედ ამით მიანიჭა მიქელანჯელომ დავითის ქანდაკებას უკვდავება. ის მშვენიერი იქნება მანამ, სანამ კაცობრიობა იარსებებს და მის შემდეგაც.

ცხადია, მშვენიერების შემეცნება ინტიმური სიღრმეებიდან იწყება. ეს ნიშნავს ერთს, რომ სილამაზის აღქმა სუბიექტურობის ვოლიერში ექცევა. სწორედ ეს მდგომარეობა – სუბიექტური რეაქცია წყვეტს ყველაფერს და ყველაფერზე მეტს. ის განსაზღვრავს მომავალს.

სუბიექტურობის ვოლიერი – პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობა აძლიერებს, აქვეითებს ან საერთოდ კლავს მშვენიერების შეგრძნებას.

ასევე, სილამაზის, ჭეშმარიტების აღქმის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს არა მარტო ის, რასაც ადამიანი საკუთარ ცნობიერ არსში მოიცავს, არამედ ისიც, რაც საუკუნეების განმავლობაში ჩვენს ქვეცნობიერში მემკვიდრეობით ილექებოდა. ვერც იმ რეალობას დავემალებით, უგულებელვყოფთ რაც XXI საუკუნემ მოიტანა.

ყოველივე ამას გასაგებ გაორებამდე მივყავართ.

ჩვენ აღფრთოვანებულნი ვართ ლამაზი პეიზაჟით, ნაკადულით, მაგრამ ზიზღს იწვევს ამ სიწმინდის შემადგენელი წახნაგი – წურბელა, ჭიაყელა.

სიკვდილის სურნელით გაჟღენთილი ჭაობი ულამაზესი ყვავილით გიზიდავს, შხარა – მომაკვდინებელი ქარაფები და სიცივე, თავისი განუმეორებელი ბრწყინვალებით გეძახის.

ერთი მხრივ, თავდასხმისთვის შემართული, შიშის მომგვრელი კობრას ფერთა ჰარმონია და სრულყოფილი ელეგანტური პლასტიკა და, მეორე მხრივ, შოკირებადი შიში.

ალბათ კობრაში ესთეტიკური ჰარმონიის არდანახვა, არაღქმა დაკავშირებულია ფიზიოლოგიურ ზიზღთან, შიშთან, რაც მხოლოდ არქეტიპებით შეიძლება აიხსნას.

სწორედ არქეტიპით იხსნება, თუ რატომ იწვევს ტელევიზორის ეკრანიდან დანახული აბსოლუტურად უსაფრთხო ბაყაყი, კალია ან წრუწუნა ზიზღს და შიშს, ხოლო მართლაც საშიში ავაზა ან ლომი რატომაა აღფრთოვანების ობიექტი.

დავუკვირდეთ, სპორტსმენის ან მსახიობის გრაციოზულობა, ათლეტურობა სილამაზის შეგრძნებას იწვევს, მაგრამ ამავე სხეულში მიმდინარე პროცესები – საკვების მონელება, სისხლის მოძრაობა, ნივთიერებათა ცვლა არავითარ ამაღელვებელ ესთეტიკურ სიამოვნებას არ გვანიჭებს. ეს იმ დროს, როცა ქირურგი წარმატებული ქირურგიული ოპერაციით კანზე დარჩენილი შედეგის – შრამის, ნაწიბურის თვალიერებისას ამ „სილამაზით" გულწრფელ აღფრთოვანებას ამჟღავნებს.

ასევე, მეცნიერი მიკროსკოპში ერთუჯრედიანი ქალამანას ან ამებას თვალიერებისას ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას განიცდის.

რაა ეს ესთეტიკის „უარყოფის უარყოფა"?

დამაფიქრებელი უფრო ისაა, რომ დამთრგუნველ უმრავლესობაში ამებამ, წურბელამ შესაძლოა, ზიზღი გამოიწვიოს და იმავდროულად ესთეტიკურ სიამოვნებას, სიხარულსა და აღფრთოვანებას ვერ მალავდეს "ქარიზმატული", "სიმპათიური", გაპრიალებული, კრიმინალური სულის მქონე პოლიტიკოსის დანახვისას.

შემაძრწუნებელია აღფრთოვანება იმ სუბიექტით, რომელიც თავისი არსით უარყოფს ადამიანურ საწყისს, რომელიც ზოგად, მსოფლიო კანონზომიერებასთან ვერავითარ ჰარმონიას ვერ ამყარებს.

აი, ესაა ჭეშმარიტების, მშვენიერების, სიცოცხლის არდანახვის გამოგნებელი სიბრმავე.

ესაა ცხოვრების ილუზორული აღქმა.

რეალობისგან, არაილუზიისგან განსხვავებით ილუზია უსიცოცხლოა.

ილუზიაში ჭეშმარიტება განურჩეველია სიყალბისგან,

მშვენიერება – სიმახინჯისგან,

სიცოცხლე – სიკვდილისგან.

შესაბამისად, ილუზორულად მოაზროვნე არაინტელექტუალი ამ ფენომენებს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს.

მხოლოდ თვითგანვითარებადი, სიცოცხლის ძალით გაჟღენთილი ადამიანი შეიგრძნობს სილამაზით არა მხოლოდ კანონზომიერების ჰარმონიას, არამედ თავის პირად კავშირს აბსოლუტურ სულთან, ბედნიერებასთან.

ჩანართი

კვანტური მდგომარეობა 4.

... „კვანტური ველი" ისაა, რომელიც ჰარმონიულადაა დაკავშირებული თქვენს გონებასთან და თქვენი აზრობრივი ქმედება ეთანადება არა მარტო სამყაროს დამკვირვებლის ფუნქციას, არამედ ქმედების, შემოქმედის ფუნქციასაც.

რას ნიშნავს ეს ჰარმონია?

რასაც უნდა აკეთებდეთ, რასაც უნდა ფიქრობდეთ, თქვენი „კვანტური ველი" თქვენი ფიქრების შესაბამისად, მომენტალურად იცვლება და ამ ცვლილებით ის უკვე ურთიერთქმედებს ჩემს, სხვის, მთელი სამყაროს „კვანტურ ველთან". რასაც ხედავთ, რასაც შეიგრძნობთ, რითაც აანალიზებთ შეგრძნებებს, შექმნილია ამ ელემენტარული ნაწილაკებისგან.

თქვენ შეგიძლიათ, შეცვალოთ რეალობა და ეს რეალობა ხდება თქვენი „საკუთარება". ცხადია, თქვენი „კვანტური ველის" შემქმნელი „კვანტური მდგომარეობაც" გეკუთვნით თქვენ.

კვანტური ნაწილაკები შემკვრივდნენ თქვენი აბსოლუტური გონის „აბსოლუტური კვანტური შესაძლებლობის" შესაბამისად, რაც თქვენი განვითარების ორიენტირი უნდა იყოს. თქვენი „კვანტური მდგომარეობა" ქმნის თქვენს ცხოვრებას, სიცოცხლეს.

აბსოლუტური გონის, აბსოლუტური ინფორმაციული მატრიცის კანონზომიერებით იქმნება ის კონკრეტული „კვანტური შესაძლებლობა", რაც თქვენს „კვანტურ მდგომარეობას" განაპირობებს. შესაბამისად, თქვენი გონება იქმნება აბსოლუტური ინფორმაციული მატრიცისგან.

ხოლო ის, თუ რეალობაში როგორი „კვანტური მდგომარეობით" არსებობთ, განპირობებულია თქვენი არჩევანით — მიისწრაფვით თუ არა აბსოლუტური მე-სკენ.

თქვენი ცხოვრება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოქმედებს თქვენი შესაბამისი „კვანტური ველი" ჩემზე, საგნებზე, დროზე, მოვლენებზე, მდგომარეობაზე.

ჩვენი გონება გენერირებს ისევე, როგორც ე.წ. კვანტური რხევა. „კვანტურ ველში" ხდება ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა. ყოველ ჩვენგანს ახასიათებს კონკრეტული კვანტური რხევა, რაც განაპირობებს „კვანტურ მდგომარეობას" და ეს მდგომარეობა არის ყოველი ჩვენგანის ცხოვრების ხელწერა.

მე, როგორც ელემენტარულ ნაწილაკთა შემკვრივება, წარმოვადგენ ამ ნაწილაკთა იდეური კომპონენტების შემკვრივებას, რომელიც ბადებს ჩემი „კვანტური მდგომარეობის" შესაბამის მენტალობას.

ელემენტარულ ნაწილაკს აქვს გონი, მასა, სიჩქარე და მენტალობა — იდეური კომპონენტი.

ვინ ქმნის ჩვენს „კვანტურ შესძლებლობას"? — ჩვენი აბსოლუტური **მე,** ჩვენი შემკვრივების ცენტრი.

დიახ, მას შეესაბამება თქვენი „კვანტური შესაძლებლობა". ხოლო ის, რაც თქვენი არჩევანით შეიქმნა, რაც ხართ, ეს უკვე არის თქვენი „კვანტური მდგომარეობა" მოცემულ დროსა და სივრცეში და ის მუდმივად ცვალებადია.

ვიმეორებთ, თქვენი „კვანტური მდგომარეობა" განსაზღვრავს...

ბედნიერება

თვითგანვითარების გარკვეული დონე შემოქმედს აუცილებლად მიიყვანს მნიშვნელოვან აღმოჩენასთან — **ჭეშმარიტებას, მშვენიერებასა და სიცოცხლის ძალას** შორის უფრო მეტი კავშირია, ვიდრე აქამდე წარმოგვედგინა.

შემოქმედისთვის მშვენიერება ორგანულ კავშირშია შემოქმედების სიხარულთან.

დიახ, სილამაზის განცდა ეს ჭეშმარიტების შემეცნების თავისებური ფორმაა.

სამყარო, ყოფიერება არა მხოლოდ ობიექტურად, არამედ თითოეული ჩვენგანის ცნობიერებაში არსებობს. როგორიცაა სამყარო ჩვენს ცნობიერებაში, როგორც ვიაზრებთ მას, ისეთი იქნება ის ხვალ, ისეთი იქნება ჩვენი მომავალი.

მეტ-ნაკლებად შემეცნებადაინტერესებული ადამიანისთვის ნათელია, რომ წარსულისა და აწმყოს შესწავლა ერთ მთავარ მიზანს — ჩვენი მომავლი ცხოვრების სულიერ ფორმირებას ემსახურება. ეს, ერთი შეხედვით ამაღლებული, მაგრამ ზოგადი ფრაზა თავისთავად კონკრეტიზაციას ითხოვს.

მართლაც, რისკენ მიისწრაფვის ადამიანი, რისთვისაა ის მოვლენილი ამ სამყაროში? ამ კითხვაზე პასუხი ერთია — **ადამიანი ბედნიერებისთვისაა გაჩენილი და ბედნიერებისკენ ისწრაფვის.**

ადამიანი **ბედნიერების** არსის ძიებამ მიიყვანა მის ანალიზთან.

და ის მიხვდა, რომ ბედნიერება წარმოუდგენელია **ჭეშმარიტების, მშვენიერებისა და სასიცოცხლო ძალის** ჰარმონიის გარეშე. ამ უნიკალური ფენომენების გააზრების მნიშვნელობამ გადაავიწყა ადამიანს მთავარი ამოცანა — ჭეშმარიტების, მშვენიერებისა და სასიცოცხლო ძალის სინთეზით ბედნიერების არსში გარკვევა.

მართლაც

არ არსებობს ჭეშმარიტების შემეცნება ბედნიერების გარეშე.

არ არსებობს მშვენიერების აღქმა ბედნიერების გარეშე.

არ არსებობს სიცოცხლის მამოძრავებელი ძალის აღმოჩენა ბედნიერების გარეშე.

ერთი შეხედვით, ეს სამი საწყისი სხვადასხვა დროსთან და სივრცესთან მიმართებაში ცვალებადი სიდიდეებია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ურთულესია სამი ცვლადი საწყისის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა.

ამ შემთხვევაშიც ვცადოთ, სამი საწყისის ურთიერთობის დაყვანა ორზე. შესაბამისად, ერთი — მშვენიერება გამოვაცხადოთ მუდმივად (კონსტანტად), თუნდაც იმიტომ, რომ **აბსოლუტი სილამაზით, მშვენიერებით ცდილობს სამყაროში სიცოცხლის, განვითარების დამკვიდრებას.**

ფარშავანგი, ლომი სილამაზით ცდილობს სიცოცხლის გაგრძელებას. სილამაზით იპყრობს მამრი მდედრის ყურადღებას. გამოდის, რომ მათ აქვთ, თუ აქვთ სილამაზის შეგრძნება.

დაუკვირდით და მიხვდებით, რატომ იკრიბებიან ვარსკვლავის, მზის გარშემო პლანეტები, იმიტომ, რომ ის ვარსკვლავია, ანათებს, ლამაზია და დიდია (გრავიტაცია). ძნელია იმის დადგენა, იცის თუ არა ვარსკვლავმა, რომ ის მშვენიერია, აქვს თუ არა მას ცნობიერება. მაგრამ ის ნამდვილად ვიცით, რომ ადამიანს აქვს ცნობიერება და ამ ცნობიერებით ის არჩევანის წინაშეა – აღიქვას, დაინახოს ან არ დაინახოს მშვენიერება.

ეს ნიშნავს ერთს, ჩვენ გვაქვს არჩევანი, ვიყოთ ბედნიერნი ან არ ვიყოთ ასეთნი.

და ამ არჩევანში თავისუფალნი ვართ.

მძიმე, ძალიან მძიმეა თავისუფლება, რადგან ეს პასუხისმგებლობაა.

უფრო მკაცრი, უფრო მომთხოვნია ბედნიერება. რათა საყვარელ ადამიანთან ჰარმონია, ბედნიერება შეინარჩუნო, ურთიერთობისას მრავალი რამ უნდა გაითვალისწინო და ბევრ რამეზე უნდა თქვა უარი.

გამოდის, რომ ბედნიერება ასევე პასუხისმგებლობაა, როგორც თავისუფლება, და რაც მთავარია, როგორც თავისუფლება ასევე ბედნიერება ქმნადობაშია და არა შედეგით, არსებულით ტკბობაში.

შვილის დაბადება დიდი ბედნიერებაა, თუმცა მისი განვითარებისთვის ბევრ რამეზე უარის თქმა მოგიწევთ.

დიახ, თუ გინდა იყო ბედნიერი, აუცილებელია, ბევრ რამეზე თქვა უარი, თუნდაც კმაყოფილებაზე, განცხრომაზე,...

აი, აქ მთელი სისრულით იკვეთება ჩვენი სულიერი სიღატაკე.

ოღონდ არაფერი ვაკეთოთ და მზად ვართ, უარი ვთქვათ ბედნიერებაზე.

უმაღლეს ფასეულობად ცხადდება არა ბედნიერება, არამედ უმოქმედობა, განცხრომა. შესაბამისად, ხდება სიხარულის, მშვენიერების, განვითარების მიმართ გაუცხოება.

ასეთს კარგად ესმის, რომ ეს ყველაფერი, ასეთი ცხოვრება სულიერი სიმახინჯეა, მაგრამ ამის აღიარება სულაც არ შედის მის ინტერესში.

რჩება ერთი – ზურგი შეაქციოს, ქიმერად, იდიოტობად გამოაცხადოს რაღაც ბედნიერება, რაღაც სიხარული, რაღაც განვითარება.

ამიტომ იბრმავებს ადამიანი თავს, ამიტომ არ უნდა არჩევანის გაკეთება.

დიახ, უფრო მკაცრი, უფრო მომთხოვნია ბედნიერება.

ადამიანმა ბედნიერებისკენ სვლისათვის უნდა განივითაროს სიცოცხლის მამოძრავებელი ძალა, შეიმეცნოს ჭეშმარიტი, არაჭეშმარიტი, მშვენიერი, არამშვენიერი და გააკეთოს ლოგიკური არჩევანი.

და თუ ადამიანი გაუცხოებას, უსუსურობას ავლენს შემეცნებისადმი, არჩევანისადმი, ეს ნიშნავს ერთს, მას ეშინია, დაინახოს მშვენიერება, აღიქვას ბედნიერება.

მას ეშინია თავისუფლების და ცვლის ამ უმაღლეს ფასეულობას სუროგატით – თავნებობით. ასეთს სიამოვნების მიღება მხოლოდ არამშვენიერით შეუძლია.

ესაა არათავისუფლება.

ესაა მონობა.

გინდათ იყოთ ბედნიერი? – მაშ, იყავით თავისუფალნი და აირჩიეთ მშვენიერება.

რჩება ერთი – როგორ ვაიძულოთ საკუთარი თავი, დავინახოთ მშვენიერება?

– ვის ვკითხოთ რჩევა?

მეუბნებიან:

– გინდა იყო ბედნიერი? – ნუ იფიქრებ ამქვეყნიურზე, დაიჩოქე და იქნები ბედნიერი.

არა – დაჩოქილი, მხოხავი ცაზე ვარსკვლავებს – მშვენიერებას ვერ დაინახავ!

წამოდექი, შეძელი მშვენიერების დანახვა და საკუთარ არსში იგრძნობ ტაძარს.

იგრძენი მშვენიერება, რწმენა და ეკლესია, რელიგია თვითონ შემოვა შენში.

იგრძენი მშვენიერება და ბედნიერება აავსებს შენს არსს.

გაახილე თვალი და დაინახავ, რომ იქ, სადაც აღარაა სულიერება, მკვდრები აგებენ მკვდართათვის არა ტაძარს, არამედ გვამთსაყუდელს.

ასეთნი ვერ ხვდებიან, რომ ქრისტიანობა გვამების რელიგია კი არა, ცოცხალთა რელიგიაა.

ტაძრისკენ მიმავალი ადამიანი, რომელიც კანონზომიერებასთან დისჰარმონიაშია, რომელსაც აბსოლუტის, ღმერთის ზოგადი კანონზომიერების გააზრების სურვილიც კი არა აქვს და ბრმად მიდის ტაძრისკენ, ის იქ უმაღლესს ვერ აღიქვამს. ხოლო ადამიანი, რომელიც ამ კანონზომიერების გააზრების სურვილით იწყებს სვლას ტაძრისკენ, მიზნისკენ, უკვე ბედნიერია.

დიახ, უბედურნი ვერ ხვდებიან, რომ

მხოლოდ ბედნიერს სჭირდება ტაძარი.

მხოლოდ ბედნიერს სჭირდება რელიგია.

სანამ არ ვისწავლით მშვენიერების შეგრძნებას, ვიქნებით უბედურნი, ვერ შევხვდებით უმაღლეს.

აბსოლუტთან შეხვედრას ჰქვია ბედნიერება.

ღმერთმა ადამიანი თვითშემეცნებისთვის შექმნა;

ჩემში ღმერთი საკუთარი არსის თვითშემეცნებაა;

ხოლო ჩემი თვითშემეცნება მშვენიერების შემეცნებაა.

შესაბამისად, სიცოცხლეს ერთი სახელი ჰქვია – ბედნიერება, მშვენიერის შემეცნება.

ჩვენ კი ჯიუტად არ გვინდა სიცოცხლე.

ჩვენ ავირჩიეთ ცხოვრებასთან თამაში და არასდროს დავფიქრებულვართ, რომ ფსონზე მხოლოდ ჩვენი უბედურების დადება შეგვიძლია, რადგან სხვა არაფერი გაგვაჩნია, სხვას ვერაფერს დავდებთ.

ჩვენი ერთადერთი კმაყოფილებაა ჩვენივე უბედურებით თამაში. ჩვენ მხოლოდ ამ უბედურებაზე ვცდილობთ მხატვრულად, დახვეწილად ვილაპარაკოთ და ამით უსაზღვრო მაზოხისტური კმაყოფილება განვიცადოთ.

როგორ დავედით უბედურებით კმაყოფილების მიღებამდე?

იტყვიან: – საუკუნეების განმავლობაში ჩვენს ქვეცნობიერში დალექილმა არქეტიპებმა, ყალბმა ჩვევებმა, ტრადიციებმა მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე.

არა, ცდებით.

არქეტიპი – არქეტიპია. ტრადიცია – ტრადიციაა. უბედურება არაა არქეტიპი, ყალბი ტრადიცია. უბედურება არის ამ არქეტიპზე, ამ ყალბ ტრადიციებზე აშენებული ცხოვრება. ასეთი ცხოვრებაა არაჭეშმარიტი, არალამაზი, ილუზორული, ყალბი.

ადამიანი არაა არაჭეშმარიტი. არაჭეშმარიტია, არამშვენიერია მისი სიბრმავით შექმნილი ცხოვრების წესი.

არაჭეშმარიტია ის, რითაც ცხოვრებას ვმართავთ, რითაც ვხელმძღვანელობთ.

არ არსებობს მოტივაცია სისულელის გარდა, რომელიც საკუთარი ცხოვრების წესად ყალბი, არაჭეშმარიტი ფასეულობის, ტრადიციის შერჩევას გაამართლებს.

ჩვენ სიყალბისთვის არ დავიბადეთ, ეს არაა ჩვენი დანიშნულება ამ სამყაროში.

სიყალბე ანადგურებს, აკნინებს ჩვენს სტიქიას, ჩვენს არსს;

ყალბია ცხოვრების წესი, რომელიც ადამიანში შემოქმედ ადამიანს კლავს.

ყალბია წესი, რომელიც ადამიანს თავისუფლების არსის გარკვევაში უშლის ხელს.

სიყალბეა ასეთი უაზრო ცხოვრების შესაბამისი კანონებიც და მორალიც.

და როდესაც ამგვარი გამოქარული ცხოვრების წესი ბატონობს, იქ ”მკვდარნი მარხავენ საკუთარ მკვდრებს”.

და მკვიდრდება ყველა ბოროტებათა შორის უდიდესი – გულგრილობა.

ჩვენგან მივიწყებული ბედნიერება კი მშვენიერებით გვეძებს.

დიახ, აბსოლუტმა მშვენიერება ჩვენს საპოვნელად გამოაგზავნა.

ბედნიერება მშვენიერებით გვიხმობს, მაგრამ ჩვენ დაობებული გვაქვს სმენა და გააფთრებული სიჯიუტით, მშვენიერის არმიღებით უარვყოფთ სამყაროს, აბსოლუტს.

მშვენიერის არმიღებით კვდება ჩვენ არსში შემოქმედი, თავისუფალი.

ჩვენ მშვენიერის არმიღებით ვემალებით ბედნიერებას

ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვჭირდება – დავინახოთ, გავეხსნათ მშვენიერებას და ბედნიერება თვითონ შემოვა ჩვენ არსში.

ბედნიერებას ჩვენ არსში ეწოდება სიცოცხლე. ბედნიერების გარეშე კი მხოლოდ არსებობა, ის უბადრუკი ცხოვრებაა შესაძლებელი, რასაც ყოველდრე ვუყურებთ.

გავბედოთ და გადავდგათ ნაბიჯი მშვენიერებისკენ.

ჩანართი

კვანტური მდგომარეობა 5.

... ვიმეორებთ, თქვენი „კვანტური მდგომარეობა" განსაზღვრავს თქვენს პოტენციალს, შემოქმედებას, ქმედითობას, ყველაფერ იმას, რითაც ხართ წარმოდგენილნი რეალობაში.

და თუ როგორი ხართ რეალობაში, განისაზღვრება თქვენი აზრობრივი, გონივრული განფენილობით.

აი, სწორედ ესაა თქვენი სული. ის, რაც მართავს თქვენს „კვანტურ მდგომარეობას" და თქვენი ყოფა ემორჩილება მას.

მოგეხსენებათ, დიდი აფეთქების შემდეგ ელემენტარულ ნაწილაკთა რაოდენობა არ შეცვლილა. დიახ, ამ სამყაროს დიდი აფეთქებიდან დღემდე ერთი ატომიც კი არ დამატებია და არც მოკლებია. შესაბამისად, ისინი ფლობენ ინფორმაციას წარსულზე, აწმყოსა და ამით ქმნიან მომავალს.

ამრიგად, ჩვენ შექმნილნი ვართ იმ ელემენტარული ნაწილაკებისგან, რომლებიც არც ქრებიან, არც კვდებიან.

დასკვნა თქვენთვის მოგვინდვია.

არ იფიქროთ, რომ ეს მუდმივობა მკვდარი, გაქვავებული სტატიკაა. აქ მიმდინარეობს მუდმივი ცვალებადობა – რეგრესი ან პროგრესი.

ასევე, თქვენი „კვანტური მდგომარეობა" ვერ იქნება სტატიკური. თქვენც ან რეგრესირებთ, ან პროგრესირებთ.

ცხადია, პროგრესს, განვითარებას პოზიტიური ცვლილება ესაჭიროება და „კვანტური მდგომარეობის" ცვლილების გარეშე კი ამას ვერ შეძლებთ.

თქვენ გარედან – მარცხნიდან, მარჯვნიდან, ზემოდან, ქვემოდან ზემოქმედებით ან შეძახილით, ვერ განვითარდებით.

ვიმეორებთ, ელემენტარული ნაწილაკები, რომლებიც ქმნიან თქვენს კვანტურ ველს, არსებობენ ერთდროულად წარსულში, აწმყოში, მომავალში, მრავალ განზომილებაში და ამით ფლობენ უდიადეს შესაძლებლობებს.

დაიმახსოვრე, შენ ყველაფერი იცი.

შენი გონება უსასრულო პოტენციალს ფლობს და მართავს თქვენს „კვანტურ მდგომარეობას". „კვანტური მდგომარეობის" ნახტომისებური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა თქვენი გონება იაზრებს თქვენ გარშემო ადმიანთა, საზოგადოების, მთელი სამყაროს „კვანტურ მდგომარეობას". აი, ეს ქმნის შენი განვითარების ონტოლოგიურ ვექტორს.

შეცვლი „კვანტურ მდგომარეობას", რხევას – იცვლება აზროვნება, იცვლება აზროვნება – იცვლები შენ, იცვლები შენ – იცვლება სამყარო.

ეს წიგნი ჩვენი საზოგადოების „კვანტური მდგომარეობის" შეცვლის ინსტრუქციაა.

ვიმეორებთ: თუ ორი ადამიანის ველი ჰარმონიულია და რეზონანსშია ერთმანეთთან, ჯამური ველი ძლიერდება და ძლიერდება რეალობაზე ზემოქმედების შესაძლებლობაც. რაც უფრო მეტი ადამიანის ველის რეზონანსი ხდება, მით ძლიერია რეალობაზე ზემოქმედების უნარი.

გამოდის, რომ რეალობას ვქმნით ჩვენ.

კმაყოფილების ანგელოზი

საწყისი, სადაც აქტიურდება ჩემში არსებული პოტენციური სიცოცხლის ძალა, არის შემოქმედების მატრიცა, სული. ამიტომ ჰქვია მას არა ცხოვრების, არამედ სიცოცხლის ძალა.

ჩემი, შენი, ჩვენი სულის ერთობით, სიცოცხლის ძალით იწყება სამყაროს ობიექტივაცია.

აქ ხდება მენტალური სამყაროს გადასვლა მატერიალურში.

დავიმახსოვროთ, რეალობის შემქმნელი თვით ადამიანია.

აბსოლუტმა ჩვენში ჩადო რეალობის, ობიექტივაციის პროგრამა – ასტრალურობა, მშვენიერის შეგრძნება, რიტმი, რხევა, რომელიც ქმედებს მუდმივ **„აწმყო"**-ში.

მოაზროვნე ადამიანის სული ამ სასიცოცხლო ძალით, აზრებით, სწრაფვით, იდეებით ქმნის **რეალობას.**

დავიმახსოვროთ, **რეალობის შესაქმნელად ღმერთს არა აქვს სხვა ხელები, გარდა შენი ხელებისა.**

მან ძალა იმისთვის მოგვცა, რათა შეგვექმნა რეალობა და არა ილუზია, სიყალბე.

ადამიანს მართლაც გამაოგნებლად ბევრი რამ შეუძლია, თუ მისი აზრები გაჟღენთილია სიცოცხლის ძალით, ენერგიით.

სწორედ ასეთნი არიან სიახლის, აზრის და რეალობის პირველადმომჩენნი, შემოქმედნი.

სწორედ ისინი ქმნიან მომდევნო თაობის სიცოცხლის ძალას.

და სწორედ ამით ვართ პასუხისმგებელნი მომავალი თაობის წინაშე.

ცვლილების მიზეზი მხოლოდ ძალაა.

და თუ ვამბობთ – აზრი, სიტყვა საფუძველია, ეს ნიშნავს ერთს, რომ აზრი, სიტყვა მოიცავს ძალას.

ძალაა გამოხედვაში, ჰარმონიაში, ფერში..., ყველაფერში, რაც ცვლის არსებულს.

ვისაც არა აქვს სიცოცხლის ძალა, მას მშვენიერის აღქმის უნარი არ გააჩნია;

თუ ვერ აღიქვამ მშვენიერს, ვერ ხედავ სამყაროს;

თუ ვერ ხედავ სამყაროს, მაშ, რა ბედნიერებაზეა საუბარი?

სიცოცხლის ძალა ეს არის **მე**-ს უმთავრესი ფუნქცია, რომლის განვითარებისთვის აუცილებელია თავისუფლება.

სიცოცხლის ძალა მოიცავს აზროვნებას, ქმედებას, პასუხისმგებლობას, ადამიანურ კონტაქტებს, კონტრასტებით გაჟღენთილ სამყაროს.

სამყარო ჩვენ წარმოგვიდგება ლამაზი და უსახური მოვლენების ფართო სპექტრით. ჩვენი ესთეტიკური აღქმა მერყეობს, ირხევა სილამაზესა და უსახურს შორის, აღტაცებასა და ზიზღს შორის.

და ეს რხევა, შეგრძნებათა რთულ, ხშირად დრამატულ დამოკიდებულებას გამოხატავს.

დასაფიქრებელია, რატომ ისწრაფვის შემეცნებისთვის შექმნილი სუბიექტი დაქვეითებულისკენ, სიმახინჯისკენ, რომელიც გონივრულსა და ნათელს ეწინააღმდეგება?

პასუხი: – მას სილამაზით აღფრთოვანება არ შეუძლია.

ეს იმდენად რეალური და ცხადია, რომ ჩნდება აზრი – ალბათ დამთრგუნველ უმრავლესობაში გაბატონებულია **„სიმახინჯის ესთეტიკა".**

ეს „ესთეტიკა" ცდილობს, შეაფერხოს, გაანადგუროს ყველაფერი პროგრესული, რასაც ადამიანი საკუთარი უსაზღვრო პოტენციალის მობილიზებით ქმნიდა.

ისტორიის ანალიზი თითქოს იძლევა საშუალებას, კაცთმოძულეობა აიხსნას ცრურწმენით, გამოთაყვანებით, გონებრივი სისუსტით,... თუმცა, ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს პრობლემაში გარკვევას.

პრობლემა მარტო ის კი არაა, თუ რატომ შებრუნდა ადამიანის ცნობიერება „სიმახინჯის ესთეტიკისკენ", არამედ ის, თუ საიდან ჩნდება ცნობიერებაში რეგრესის, უსახურობის ანგელოზის მოთხოვნილება.

შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ მსგავსი ცნობიერება იმართება ჯერ შეუცნობელი, „იდუმალი ძალებისგან" და ამით საკითხი ამოწურულად ჩავთვალოთ.

ეს ბანალური, ინფანტილური მიდგომაა.

უხსოვარი დროიდან ადამიანისთვის სამყარო ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა შეჯახების არენას წარმოადგენდა.

როგორც თვლიან, ნათელი ებრძვის ბნელს, აღმშენებელი ღმერთი – ნგრევის ჟინით შეპყრობილ უაზრობას, სატანას...

შედეგიდან გამომდინარე, ამ პრობლემის წარმოდგენა აკადემიური თვალთახედვით ასევე ვერ იძლევა ნათელ, ამომწურავ პასუხს.

ამ ურთულეს პრობლემაში მკვეთრად ისახება რეალობა – „სიმახინჯის ესთეტიკა", რაც ჩვენს ცნობიერებაში საკმაოდ დამაჯერებლად და ღრმადაა დამკვიდრებული.

სწორედ ჩვენს ცნობიერებაში გამჯდარ ამ სიმახინჯის კანცეროგენური უჯრედების მომრავლებას, მეტასტაზებს მივყავართ ავადმყოფურ აზრამდე: – რაც კარგია, ღმერთს მივაწეროთ, ხოლო რაც ცუდი – ტურტლი, ჭვარტლი, ტალახი, ძონძი, გათახსირებული – სატანას.

კი ბატონო, მივაწეროთ, თუ ასე აუცილებელია, მაგრამ ამით ვერ იხსნება, თუ რატომაა, უარყოფისა და წყევლის მიუხედავად, ეს ტურტლი და გათახსირებული უმრავლესობისთვის ასეთი მიმზიდველი.

არა, ადამიანები სატანისკენ კი არ ისწრაფვიან, არამედ თავქუდმოგლეჯილნი გარბიან მოვალეობისგან, პასუხისმგებლობისგან, მშვენიერებისგან, ბედნიერებისგან, ღმერთისგან.

სწორედ ბედნიერებისგან გაქცევა ანიჭებს „სიმახინჯის ესთეტიკას" აზრს.

ღმერთისგან გაქცევა კმაყოფილების, ხეირის ძიებაა და სწორედ ამ ძიების ძალა ანადგურებს უკვე შექმნილს.

სწორედ კმაყოფილების ძიებას ჰქვია სატანა.

მშვენიერის უარყოფა, მისგან განდგომა არის სიმახინჯის, უსახურობის „ესთეტიზაციის" საწყისი.

მშვენიერის უარყოფის ტკივილს, კმაყოფილების ძიების უაზრობას ყველაზე მეტად გრძნობს შემოქმედი.

სწორედ ამიტომ უარყოფს ის განცხრომას, კმაყოფილებას.

მხოლოდ შემოქმედს შეუძლია, ხელის ერთი მოქნევით გადაფხიკოს, გაანადგუროს წლების განმავლობაში წვალებით ტილოზე შექმნილი სამყარო, ჰარმონია, რათა იმავე ტილოზე, იმავე წამს ახალი, უფრო ამაღლებული ჰარმონიის, ახალი სამყაროს შექმნა დაიწყოს.

მხოლოდ შემოქმედმა იცის, თუ როგორ იქმნება ქაოსურად მიყრილი საღებავებისგან, უფორმო თიხისგან, ქვისგან, თითქოს უაზრო ხმისა და სიტყვებისგან შედევრი.

მხოლოდ მან იცის, თუ როგორ დააჩოქოს ნებისყოფით, უკიდურესი სურვილით სტიქია, უგუნურობა, შემთხვევითობა, უგემოვნობა მშვენიერისა და მისგან დაბადებული ლოგიკის ბრწყინვალედ დალაგებულ აზრთა წინაშე.

აი, ასეთ შემოქმედს არ ეშინია ამაღლებულის უარმყოფელი – „შავი ძალების", სიკვდილის ნისლის, კმაყოფილების ანგელოზის შემზარავი ღმუილის.

არ ეშინია, იმიტომ, რომ მასზე გაცილებით მძლავრი ანგელოზი – სიცოცხლის ძალა ჰყავს გამომწყვდეული საკუთარ არსში, რომელმაც თუ აიწყვიტა, ნებისმიერი სიმტკიცის ვოლიერს გაანგრევს და კმაყოფილების ანგელოზისგან უბრალოდ აღარაფერი დარჩება.

ესაა წყლის, მიწის, ლაჟვარდის, მთელი სამყაროს ანგელოზი, რომელიც ვაჟას გულს კბილებითა და ბრჭყალებით ჩაჰფრენოდა. ის ანგელოზი, რომელსაც გალაკტიონის სული საკუთარ არსში ვეღარ იტევდა... ეს ანგელოზი ის უნიჭო, დამანგრეველი დემონი როდია, რომელსაც ლუთერმა ნიურნბერგში სამელნე ესროლა.

ამ შემოქმედების ანგელოზმა ერთი ნაბიჯიც კი ვერ გადაადგმევინა უკან სოკრატეს. ამ ანგელოზს არასდროს მიუტოვებია დეკარტე, ის გაოგნებული, გაოცებული დაჰყვებოდა ბეთხოვენს, მიქელანჯელოს.

დიახ, შემოქმედება იწყება არა ჰაეროვან, თეთრ ჰიტონში, ზეწარში გახვეულ, გამოწყობილ ლირით ხელში, სექსუალური აღტკინებით თვალებდახრილ, ფართოთეძოიან მუზასთან სიამტკბილობით, არამედ კმაყოფილების შავ ანგელოზთან სისხლიანი, დაუნდობელი ბრძოლით.

ნახეთ პიკასოს დიდცხვირიანი, გამოთაყვანებული, სიწყნარით დამძიმებული მუზა და მიხვდებით, რისი გამკეთებელიცაა ის.

მხოლოდ შემოქმედების ანგელოზს შეუძლია დაანგრიოს არსებული დაკანონებული, დაობებული ფორმები.

ეს ანგელოზი აღფრთოვანებული იყო ვაჟათი. ის მართავდა მის სასიცოცხლო ძალას.

ცხადია, აბსოლუტისთვის გამორჩეული არავინაა. უმძლავრესი შემოქმედების პოტენციალი, უსაზღვრო სასიცოცხლო ძალა მან არა მარტო ჰომეროსში, დანტეში, ვაჟაში, არამედ ყოველ ჩვენგანში, ყველა ეთნოსსა და ერში, მთელ სამყაროში ჩადო.

სწორედ ამიტომ აღგვაფრთოვანებს შემოქმედის სასიცოცხლო ძალა, რადგან მასში არა მხოლოდ მშობლიური, არამედ მთელი კაცობრიობის მძლავრი ხმა ლაპარაკობს.

სწორედ ეს სასიცოხლო ძალა აღვიძებს, ავითარებს ჭეშმარიტი **მე**-სკენ მსწრაფველ **მე**-ს, რომელსაც მშვენიერის აღქმა, შექმნა ხელეწიფება. მხოლოდ მას შეუძლია აწმყოში დაინახოს შეუმჩნეველი მარადისობის გაელვება.

ეს ის ძალაა, რომლის მფლობელიც **მეორე მე**-ა და არა გაცვეთილი ჩოხა ან გაუპარსავი სახე.

სიცოცხლის ძალის, ანგელოზის მფლობელს ჰქვია ვაჟა და არა ლუკა რაზიკაშვილი, ტატო და არა ბარათაშვილი, გალაკტიონი და არა – ტაბიძე, ნიკალა და არა – ნიკო ფიროსმანაშვილი.

სწორედ ამ სიცოცხლის ძალის რეალიზებაა რაზიკაშვილის არსში, სულში იმპლანტირებული ვაჟა.

დიახ, დურანტე დელი ალიგიერი, დი ლოდოვიკო დი ლეონარდო დი ბუონაროტი სიმონ, მარი-ანრი ბეილი, რაზიკაშვილი,... მხოლოდ ის ნიადაგია, სადაც სიცოცხლის ძალა, შემოქმედება იბადება, რომლის გარეშე დეგრადირების დაძლევა შეუძლებელია.

ჩანართი

მენტალური ძილი 1.

ახალი დროება იწყება დეკარტეს მეცნიერული მეთოდის დამკვიდრებით. დეკარტეს მეცნიერული მეთოდი წარმოდგენილია ნაშრომში – „განსჯა მეთოდისა, თუ როგორ მივმართო ჩემი გონება, რათა მეცნიერებებში ჭეშმარიტება აღმოვაჩინო" (1637წ).

ამ ნაშრომში განხილულია სამყაროს ილუზორული აღქმის დამანგრეველი და გამანადგურებელი ზეგავლენა ადამიანის, საზოგადოების, კაცობრიობის განვითარებაზე.

ამ ნაშრომმა შეცვალა ადამიანთა მსოფლმხედველობა. დღევანდელი ევროპული ცივილიზაცია სწორედ ამ აზროვნებას ეყრდნობა.

მიუხედავად ამისა, მე ქართველი ბუხაიძე... მაპატიეთ, მე ქართველი, მაშასადამე ევროპელი, ევროპის განვითარების საფუძვლად აღიარებული მეცნიერული მეთოდით საერთოდ არ დავინტერესებულვარ. ჩვენ მხოლოდ საუბრისას ინგლისური სიტყვების ჩაკვეხებით, ჭიპის გამოჩენით, ტატუების კეთებით, სხვადასხვა ადგილას პირსინგით, „ივერიის" „რედისონით" შეცვლით ვართ ევროპელები. ამიტომ სულ არ გვაწუხებს, ჩვენი აზროვნება ილუზორულად აღიქვამს სამყაროს თუ – რეალურად.

ეს უბედურ დეკარტეს ეგონა, რომ სამყაროს ილუზორული ხედვა ადამიანის აზროვნების უმდაბლესი დონეა. მან ვერ გაითვალისწინა ჩვენი ნიჭიერება... ეს

ჩვენ ვართ ის ნიჭიერი ევროპელები, რომელთაც საკუთარი დეგრადირებისთვის ილუზიაზე უფრო უარესიც შევქმენით.

ეს ჩვენ, უნიჭიერესმა ქართველებმა შევძელით შეუძლებელი — ინტელექტუალური შეზღუდულობის მდგრადი გაფართოება.

მართლაც, გიფიქრიათ, რა შეიძლება იყოს ილუზიაზე უარესი?

— არის.

— არის, და ესაა ინდივიდის და სოციუმის მენტალური ძილი.

თუმცა, რაც შეეხება იმ საშინელებას, რასაც დეკარტე ილუზიას უწოდებდა, აქვს ის რაღაც, რაც გარკვეული დოზით მაინც სჭირდება ცხოვრებას. თუნდაც ის, რომ რეალობით კონტროლირებადი ილუზია ესთეტიკისა და მხატვრული შემოქმედების წყაროა. ასევე, მას აქვს ერთი მნიშვნელოვანი თვისება — ილუზია, მირაჟი ქმედების მასტიმულირებელია. ცხადია, რომ ილუზორული ხედვა ქმნის ილუზორულ კანონზომიერებას, მაგრამ კანონზომიერებისკენ სწრაფვის იმპულსი მაინც არის.

დიახ, ილუზორული ცხოვრება არაა გვამური გაშეშება. ილუზორული ქმედებისა და ჭეშმარიტების ძიებით ადამიანს უვითარდება ის ჩვევები, რაც მას, ილუზიიდან გამოსვლის შემთხვევაში, რეალური კანონზომიერების, ჭეშმარიტების ძიებისას გამოადგება.

განა ხალხური ზღაპრები, ილუზიის მეშვეობით, ბავშვს აზროვნებისთვის აუცილებელი ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარის განვითარებაში არ ეხმარება?

თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანის ილუზიაში გადასვლა — ფიზიკური ან ფსიქიკური განვითარების ბავშვობის საფეხურზე დარჩენა, რაც უკვე ინფანტილიზმია, პროგრესს გამორიცხავს. ეს ჩვენზე უკეთ ესმოდათ დეკარტეს და მის მიმდევრებს.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სამწუხაროდ, არსებობს ინფანტილიზმზე უფრო უარესი მდგომარეობა — მენტალური ძილი.

დეკარტეს ბრწყინვალე გონება ვერც კი წარმოიდგენდა, რომ XXI საუკუნეში იარსებებდა ისეთი ნიჭიერი, თავისულებისმოყვარე, ქვეყნის გაბრწყინების მომლოდინე ერი, რომელიც ისეთ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას შექმნიდა, რასთან შედარებითაც დეკარტეს ილუზიაც კი სანატრელი აღმოჩნდებოდა.

ვიმეორებთ, ამ უნიკალურ წმინდა ქართულ ფენომენს ზემოთ ნახსენები მენტალური ძილი ჰქვია.

სწორედ ამ მენტალური ძილითაა გაბრუებული ჩვენი სოციუმი...

წონასწორული და არაწონასწორული სისტემები

როგორც ჩვენი ზემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან ჩანს, ეს ნაშრომი ჩვენი სოციუმის დეგრადირების, არსებული უწესრიგობის მიზეზების ძიებისა და ამ უსუსური მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნაა.

ჩვენი ისტორია გაჟღენთილია აბსოლუტური კანონზომიერების უგულებელყოფის შედეგად ჩამოყალიბებული უწესრიგო, უმიზნო, უაზრო ქმედებათა ნაკრებით. შედეგად მივიღეთ ის, რაც ჩვენ გარშემოა — არასიცოცხლისუნარიანი, არაგანვითარებადი, უსისტემო ადამიანთა დაჯგუფებები და არა — საზოგადოება.

თავისთავად ცხადია, ჩნდება კითხვა: – ეს მდგომარეობა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა და რატომ გვგონია, რომ ჩვენ შევძლებთ უმოკლეს დროში რაიმეს უკეთესობისკენ შეცვლას?

მართლაც, გვაქვს თუ არა უწესრიგობიდან წესრიგში გადასვლის ლოგიკური საფუძველი, თუ ეს, როგორც ყოველთვის, ჩვენი ინფანტილური, ბავშვური ოცნებაა, რომელიც ოცნებად დარჩება და ასრულება არ უწერია?

და რაც მთავარია, საიდან მივიღოთ ის რწმენა, რომ მიზანი – განვითარებისკენ, სიცოცხლისკენ სვლა – აღსრულებადია?

მართლაც, საუკუნეების განმავლობაში კარგ ცხოვრებაზე ოცნებაც კი გვიჭირდა და დღესაც გვიჭირს. მთელი ჩვენი პოტენციალი არსებობის შენარჩუნებისკენ, სიღატაკის დაძლევისკენ იყო და არის მიმართული.

ცხადია, იდეა, რომელიც ჩემი ცნობიერებისთვის **ბუნდოვანია, ვერ გახდება ჩემში არსებული ქმედების პოტენციალის პირველაღმძრავი, დეტონატორი.**

ნებისმიერი იდეის შემეცნების სურვილს თან უნდა ახლდეს რწმენა, რომ ამ იდეას მე ოდესმე შევწვდები და რეალობად ვაქცევ.

ამ რწმენის გარეშე შემეცნება ლოგიკას მოკლებულია.

რას ნიშნავს იდეის შემეცნების რწმენა?

ცხადია, რაიმე იდეის შემეცნების რწმენა საჭიროებს ჩემს თვითდაჯერებას, რომ მე ვფლობ ამ იდეის წვდომისა და განხორციელების პოტენციალს.

სხვა შემთხვევაში თუ იდეის შემეცნების რწმენა არ გამაჩნია და ქმედებას ვიწყებ, ეს ნიშნავს, რომ მე იდეის შემეცნება კი არ მაინტერესებს, არამედ ის, რომ გარშემომყოფთ შევუქმნა შთაბეჭდილება, რომ ქვეყანას ვემსახურები, მის მომავალზე ვზრუნავ, საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი ვარ. ეს უკვე არახალია.

და თუ რაიმე კორდინალურად არ შეიცვალა, ამ სიყალბით იყო, არის და იქნება გაჟღენთილი ჩვენი ყოფიერება.

შევხედოთ სახელმწიფოს შექმნა-განვითარების იდეას აბსოლუტური, უნივერსალური კანონზომიერების ხედვის კუთხიდან.

აქ დაგვჭირდება გონებრივი პოტენციალის სრული მობილიზება, რადგან განვითარებისკენ, სიცოცხლისკენ სვლა გაცილებით რთული ამოცანაა, ვიდრე ჩვენს პოლიტიკურ ელიტას და განსწავლულთა ფენას წარმოუდგენია.

გარწმუნებთ, რომ სამყაროში, როგორც სისტემაში, არსებობს განვითარების გარკვეული წესრიგი. როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველად იყო საწყისი, რომელმაც, როგორც იდეამ, შექმნა მთელი სამყარო შემდეგი თანმიმდევრობით – შესაძლებლობა, ვაკუუმი, ველი, ელემენტარული ნაწილაკი, ატომი, მოლეკულა, უჯრედი, მაკროსხეულები, პლანეტა, მზის სისტემა, გალაქტიკა,... – სამყარო. თითოეული შემდეგი სისტემა მოიცავს წინას და ამით იღებს ხარისხობრივად ახალ თვისებებს. მართლაც, ელემენტარული ნაწილაკებისგან მიიღება ატომი, რომელსაც ახასიათებს ხარსხობრივად სხვა თვისებები. ატომისგან კი – სხეულები. და ერთი – ყველაფრის საწყისი

უჯრედიდან ვითარდება ამ უჯრედისგან მკვეთრად განსხვავებული ბიოლოგიური სისტემები, სიცოცხლე თავისი მრავალფეროვნებით.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ უნიკალურ სამყაროში ყველაზე რთული სისტემაა ადამიანი, რომელიც საკუთარ არსში მთელ სამყაროს ირეკლავს.

ჩვენგან განსხვავებით ამას ჯერ კიდევ ათასწლეულების წინ ხვდებოდნენ. გაიხსენეთ ქილონი – **შეიცან საკუთარი თავი, შეიცნობ სამყაროს, შეიცნობ ღმერთებს.**

ცხადია, ასევე ურთულეს სისტემას წარმოადგენს სოციუმი, როგორც სამყაროს შემადგენელი ნაწილი. შესაბამისად, სოციუმის არსის წვდომა უნივერსალურ კანონზომიერებათა გააზრებას ითხოვს.

ჩვენი ისტორიის ზედაპირული ანალიზიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ ჩვენი სოციუმი წარმოგვიდგება, როგორც მოუწესრიგებელი, არაგანვითარებადი სისტემა.

სოციუმი, რომელიც უწესრიგობის მაღალი ხარისხით ხასიათდება, უნივერსალური თერმოდინამიკის კანონზომიერების თანახმად, ჩაკეტილი, იზოლირებული სისტემაა.

რას ნიშნავს ჩაკეტილი, იზოლირებული სისტემა?

განვიხილოთ მაგალითად თუნუქის ღუმელი. თუ ღუმელს საწვავს არ მივაწვდით, ის არ გაგვათბობს. მას დამოუკიდებლად არც ენერგიის მოპოვება და, შესაბამისად, არც გაცემა შეუძლია.

ასეთი სისტემა (ღუმელი) **ჩავთავლოთ ჩაკეტილ სისტემად**.

თუნუქის ღუმელისგან განსხვავებით ხეს აქვს უნარი, ყოველგვარი დახმარების გარეშე, მიიღოს ენერგია მზისგან, ნიადაგიდან,... და მიღებული ენერგია ნაყოფის სახით დააბრუნოს.

ცხადია, ასეთი სისტემა არის ღია.

ამრიგად, სისტემა იზოლირებული, ჩაკეტილია, თუ მას არ შესწევს უნარი, დამოუკიდებლად მიიღოს ენერგია გარედან სხვისი დახმარების გარეშე.

ღია სისტემა ბუნებასთან ჰარმონიაშია და სიცოცხლისთვის, განვითარებისთვის მაკლერი არ სჭირდება.

თავისთავად ჩნდება კითხვა: – რამდენად შეესაბამება ფიზიკური ტერმინი იზოლირებული, ჩაკეტილი სისტემა სოციუმს?

დაგვეთანხმებით, რომ სამყარო და მისი შემადგენელი ნაწილი სოციუმი გაჟღენთილია აბსოლუტური იდეით, კანონზომიერებით, გონივრულობით. თუ სოციუმი უგულებელყოფს, არ ან ვერ იაზრებს ამ აბსოლუტურ კანონზომიერებას, სხვა სიტყვებით, აბსოლუტური კანონზომიერების არ მიღებით ვერ იღებს გარედან წმინდა სასიცოცხლო ენერგიას, ის აუცილებლად გადადის სტაგნაციაში. სტაგნაცია მეტასტაბილური მდგომარეობაა და სისტემა აუცილებლად განიცდის რეგრესს, იზრდება

უწესრიგობა, მიმდინარეობს სვლა გამარტივებისკენ, დაშლისკენ, მაშინ თქვენ გინდათ თუ არა, მიდიხართ ცნება ჩაკეტილ სისტემასთან.

სამწუხაროდ, ჩვენი სოციუმი ჩაკეტილი, არაგანვითარებადი სისტემაა.

კაცობრიობის ისტორიიდან ნათლად ჩანს, რომ არსებობს ეთნოსები, ერები, საზოგადოებანი, რომელთაც შეძლეს ყოფილიყვნენ ღია, გახსნილი აბსოლუტის, სამყაროს კანონზომიერების, მისგან გამომდინარე ცოდნის, სულიერების მისაღებად, გასააზრებლად და გასაცემად.

სხვა სიტყვებით, მათი გახსნილობის არსიდან გამომდინარე, ისინი ამ სულიერებას, როგორც სიცოცხლის ენერგიას, იღებდნენ ჭეშმარიტი კანონზომიერების გააზრებით და ამავე კანონზომიერებიდან გამომდინარე, განვითარების ავანგარდშიც იდგნენ.

ამრიგად, სოციალური სისტემა ითვლება ღიად, თუ მას შეუძლია წმინდა ენერგიის მიღება, კონცენტრირება და გადანაწილება განვითარებისთვის, რაც სულიერების მიღებას და გაცემას ნიშნავს.

თავისთავად ცხადია, **ჩაკეტილია ის სისტემა, რომელსაც დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე ენერგიის მიღება არ შეუძლია და დროთა განმავლობაში გასაცემიც აღარაფერი რჩება.**

ასევე, სისტემა შეიძლება იყოს წონასწორული ან არაწონასწორული.

მაგ., თუ ბურთულას მრგვალფსკერიან ქვაბში მოვათავსებთ, ის აუცილებლად შუაში გაჩერდება, რადგან ეს მისთვის ყველაზე კომფორტული მდგომარეობაა. თუ მას ამ წონასწორული მდგომარეობიდან გამოიყვანთ, ის თავისთავად დაუბრუნდება საწყის მდგომარეობას. ეს არის **მდგრადი წონასწორული** მდგომარეობა.

ზოგადად, სისტემა მდგრადი წონასწორულია, თუ ის ახერხებს წონასწორობიდან გამოყვანის შემდეგ საწყის წონასწორულ მდგომარეობას დაუბრუნდეს.

თუ ბურთულას მრგვალფსკერიანი, ამოტრიალებული ქვაბის ზემოდან მოვათავსებთ, ის არამდგრად წონასწორობაში აღმოჩნდება, რადგან საკმარისია მცირედი შეშფოთება და ის ჩამოგორდება ქვაბის ზედაპირიდან და უკან დამოუკიდებლად ვეღარ დაბრუნდება. **ეს არის არამდგრადი წონასწორული მდგომარეობა.**

ზოგადად, თუ სისტემა წონასწორობიდან გამოყვანის შემდეგ თავისთავად ვერ ბრუნდება საწყის მდგომარეობაში, მაშინ ის არამდგრადი წონასწორობით ხასიათდება.

ბუნებას სტაგნაცია არ უყვარს და, შესაბამისად, ყოველ წონასწორულ მდგომარეობას არაწონასწორული მოჰყვება და პირიქით.

თუ სისტემის მახასიათებლები მუდმივ ცვლილებებს განიცდის, მისი მდგომარეობა არაწონასწორულია და არაწონასწორულ მდგომარეობაში სისტემა დიდი ხნის მანძილზე ვერ გაჩერდება.

ბუნებაში არაწონასწორული მდგომარეობის მაგალითია ელვის წარმოქმნა. როდესაც ღრუბელში რომელიმე ნიშნის მუხტი გროვდება, ეს

არაწონასწორული მდგომარეობაა და აუცილებლად მოხდება განმუხტვა, წარმოიქმნება ელვა. განმუხტვა იწვევს სისტემის თავისუფალი ენერგიის შემცირებას და სისტემა გადადის წონასწორობაში.

უფრო მარტივად, განვიხილოთ სისტემის – სოციუმის სამი მდგომარეობა.

——————— III დონე

——————— II დონე

——————— I დონე

ვთქვათ, სოციუმი იმყოფება ცხოვრების დაქვეითებულ I დონეზე.

თუ სოციუმი ვერ იღებს ენერგიას, ცოდნას, ცხადია, ვერ გადავა შედარებით ამაღლებულ II დონეზე. ამ შემთხვევაში სოციუმი რჩება I დონეზე, **ნეგატიურ წონასწორულ** მდგომარეობაში და სტაგნაციაში გადადის.

თუ ის ახერხებს გარედან ენერგიის, ცოდნის მიღებას, ის გადადის „აღგზნებულ", **რაციონალურ არაწონასწორულ** მდგომარეობაში და შესაძლებლობა უჩნდება გადავიდეს ამაღლებულ II დონეზე. II დონეზე გადასვლის შემდეგ აუცილებელია გარკვეული დროით „ადაპტაცია", მცირე დროით **რაციონალურ წონასწორულ** მდგომარეობაში ყოფნა, რაც გულისხმობს II დონის შესაბამისი ენერგიის რაციონალურად გადანაწილებას.

სხვა სიტყვებით, სოციუმი რაციონალურ წონასწორობაში უნდა იმყოფებოდეს იმ დროის განმავლობაში, რაც მას II დონის შესაბამისი ენერგიის, ცოდნის სოციუმზე გადანაწილებისა და ახალი ცოდნის, ენერგიის მისაღებად ესაჭიროება.

თუ ეს წონასწორული მდგომარეობა დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება, ის გადადის **ნეგატიურ წონასწორობაში – სტაგნაციაში**. ამ მდგომარეობაში ხდება მიღებული ცოდნის „დაობება", დაკარგვა და სოციუმი გადადის **ნეგატიურ არაწონასწორობაში**, რაც სოციუმის დაქვეითებულ დონეზე გადასვლას ნიშნავს.

თუ II დონეზე მყოფი სოციუმის ცოდნა კი არ „ობდება", არამედ პირიქით – ძველი ცოდნა თხოულობს ახალი ცოდნის, მეტი ენერგიის მიღებას, სოციუმი გადადის **რაციონალურ არაწონასწორულ**, აღგზნებულ მდგომარეობაში და გადაინაცვლებს კიდევ უფრო ამაღლებულ III დონეზე. სწორედ ესაა ევოლუცია, პროგრესი.

რათა სოციუმს გაუჩნდეს ახალი ცოდნის, ენერგიის, განვითარების მიღებისა და გამოყენების მუდმივი, აუცილებელი მოთხოვნილება, საჭიროა სოციუმში შეიქმნას ამ პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი ორიგინალური, მთავარი ქვესისტემა.

თუ, როგორც ჩვენს შემთხვევაში, სოციუმში დამკვიდრებულია სიღატაკე, ეს ნიშნავს ერთს — სოციუმში არ არსებობს მთავარი ქვესისტემა.

სწორედ მთავარი ქვესისტემის არარსებობაა მუდმივი რეგრესის — ევოლუციის საპირისპირო პროცესის საფუძველი.

შესაბამისად, კითხვაზე: გვეშველება რამე?

პასუხი ერთია: — შევქმნათ მთავარი ქვესისტემა და გეშველება.

სწორედ ამ ქვესისტემის შექმნას ემსახურება ყველა ჩვენი ნაშრომი.

მთავარი ქვესისტემის პირველი ამოცანაა სოციუმის პროგრესი, ევოლუცია, **რაც ნიშნავს სტაგნაციური რეგრესირებადი სისტემის რაციონალურ არაწონასწორულ მდგომარეობაში გადაყვანას შემდგომი ამაღლება-განვითარებისთვის.**

როგორც აღვნიშნეთ, სოციუმის, როგორც სისტემის არაწონასწორული მდგომარეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადის რაციონალურში, პროგრესში, თუ სისტემას ხელეწიფება ენერგიის მიღება აბსოლუტური იდეის სახით.

ჩვენი სოციუმი წარმოადგენს ჩაკეტილ, ენერგიის არმიმღებ, რეგრესირებად, ნეგატიურ-წონასწორულ, სტაგნაციურ სისტემას. ის ვერ ახერხებს აბსოლუტური იდეის, ცოდნის მიღება-გამოყენებას, ვერც მსოფლიო ისტორიით, მსოფლიო ცივილიზაციით, მეცნიერებით, კულტურით დაგროვილი პოტენციალის აღქმას.

ეს მკვეთრი განცხადება მრავალს გააღიზიანებს.

გვეტყვიან: — ჩვენ წაგვიკითხავს დიდრო, რუსო, ვოლტერი, ნაპოლეონის და ბისმარკის მემუარები; გვისწავლია მსოფლიო ისტორია, ჩაგვიბარებია ისტმატი და დიამატი, გავცნობივართ პლატონის, კანტის, ჰეგელის,... ფილოსოფიას, მრავლად გვყავს დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის მცოდნენი,...

პარადოქსიც ამაშია: — მიუხედავად ამისა, როგორც ქვეყანა, ვდეგრადირდებით.

აქ შეგახსენებთ ერთი ღია სისტემის წარმომადგენლის — ბარუხ სპინოზას სიტყვებს:

ჩვენ იმდენი ჭეშმარიტება ვიცით, რომ მისი მეათასედიც საკმარისი იქნებოდა, რათა ბედნიერად გვეცხოვრა, მაგრამ ჭეშმარიტების ცოდნა და ჭეშმარიტად ცხოვრება ეს ორი, ფრიად განსხვავებული რამ არის.

ამრიგად, ენერგიის, ცოდნის, სულიერების მიღება-გათავისება უკვე მის გამოყენებას ნიშნავს.

სხვა სიტყვებით, ის, რისი გამოყენებაც არ შეგიძლია, შენ უბრალოდ არ იცი.

ვიმეორებთ, ჭეშმარიტად ცხოვრებას მთავარი ქვესისტემის შექმნა სჭირდება.

სწორედ ამიტომ ვქმნით **მთავარ ქვესისტემას**.

მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ესთეტიკის, ცივილიზაციის, შემოქმედების აღმავლობა. ეს გამოიწვევს ამაღლებას, სისტემაში ახალი სტრუქტურების ფორმირებას. იზრდება წესრიგი, კლებულობს ენტროპია.

ჩანართი

მენტალური ძილი 2.

... სწორედ ამ მენტალური ძილითაა გაბრუებული ჩვენი სოციუმი.

მოგეხსენებათ, ფიზიოლოგიური ძილი ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, ბუნებრივი მდგომარეობაა. ფიზიოლოგიური ძილის დროს ხდება დღის განმავლობაში ადამიანის მიერ მიღებული ინფორმაციის „წესრიგში მოყვანა", გადამუშავება და გადალაგება. ამ დროს გათიშულია ცნობიერი და არაცნობიერი მართავს ყველა მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესს.

ფიზიოლოგიური ძილი ყველასთვის გასაგები ბუნებრივი ფენომენია. სიზმარში მოვლენები ვითარდება შენგან დამოუკიდებლად და მხოლოდ ემოციურ დატვირთვას გიტოვებს. შესაძლოა, აღფრთოვანებულმაც გამოიღვიძო, თუ სასიამოვნო სიზმარი ნახე, მაგრამ სიზმარში შენი სურვილით ვერაფერს ცვლი.

რაც შეეხება მენტალურ ძილს, ამ საკითხზე შეთანხმება მოგვიწევს.

თუ ფიზიოლოგიური ძილისას გათიშულია ცნობიერი, მენტალური ძილისას გათიშული უნდა იყოს მენტალობა.

რას ნიშნავს მენტალობის გათიშვა?

– მენტალური ძილისას ცნობიერი არასრულყოფილად ფუნქციონირებს. გათიშულია ცნობიერის უმნიშვნელოვანესი ნაწილი მენტალობა – ლოგიკური აზროვნების, ანალიზის, გონივრული ქმედების,... უნარი, ხოლო უმაღლეს დონეზეა აყვანილი ფიზიოლოგიურ-სექსუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სურვილი.

არის თუ არა ადამიანი მენტალური ძილის მდგომარეობაში, ვლინდება განწყობით, რაც გამოიხატება ფრაზებში – **ჩემს აზრობრივ ქმედებას არავითარი აზრი არა აქვს... ამ ცხოვრებაში მაინც არაფერი შეიცვლება.**

დაუკვირდით, მენტალური ძილის მდგომარეობაში ადამიანი აღიარებს, რომ მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია, ისევე როგორც სიზმარში, ფიზიოლოგიური ძილისას.

მენტალური ძილისას ადამიანს ყველა მისი სურვილის აღსრულების პასუხისმგებლობა ღმერთსა და კერპებზე გადააქვს. ცხადია, ამ კერპებში ის კრიმინალური სისტემა იგულისხმება, რომლის ნაწილს წარმოადგენს პოლიტიკური ელიტა. ჩვენგან განსხვავებით, ამ სისტემას სულაც არ სძინავს. კრიმინალური ელიტისთვის მენტალურ ძილში მყოფი სოციუმი ოცნებაა, რადგან მათ ხარჯზე მშვენივრად გრძნობს თავს და საკუთარ კეთილდღეობას იწყობს.

გამოდის, რომ მენტალური ძილის მდგომარეობა არის, როგორც ცალკეული ადამიანის, ასევე სოციუმის მეტად საშიში დაავადება. როგორც ყველა დაავადებას, მასაც აქვს თავისი „ვირუსი" – ალოგიზმი. ამ ვირუსის ინკუბაციური პერიოდის გავლის შემდეგ ავადმყოფობა გადადის აქტიურ ფაზაში და ვლინდება რეალობის დამახინჯებული აღქმით. ადგილი აქვს ცოდნაში, მახსოვრობაში ჩავარდნებს და მისი გონება სავსეა ყალბი ცოდნით. ის აღარაა ჰომოსაპიენსი, იმიტომ რომ მან ნებაყოფლობით თქვა უარი ცოდნაზე, აზროვნებაზე. ის უკვე ბიორობოტია.

ეს ის ეპიდემიური ინფექციური დაავადებაა, რომელიც ვირუსული დაავადების მსგავსად, სწრაფად ვრცელდება მთელ სოციუმზე და ეპიდემია პანდემიაში გადადის. პანდემიის შედეგი ისაა, რომ დღეს ჩვენს სოციუმში არაფერია

დამოკიდებული მენტალობაზე – ცოდნაზე, განათლებაზე, არც ლოგიკური აზროვნების დონეზე.

„ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება...”

ალბათ სწორედ ამ ძილს გულისხმობდა ილია.

მენტალური ძილი, ფიზიოლოგიური ძილისგან განსხვავებით, ადამიანსა და სოციუმს არაფერში სჭირდება, პირიქით, ის ანგრევს ფსიქიკას, ათაყვანებს ადამიანს. ასეთი ადამიანი უბრალოდ უკვე პოლიტიკური მანიპულირების ობიექტია. ეს უფრო მძიმე მდგომარეობაა, ვიდრე რეალობის ილუზორულად აღქმა.

და ამ სოციუმში აზრს კარგავს ქმედება, გამოსავალი არ ჩანს, რადგან მენტალურად მიძინებულთა გაღვიძება გაცილებით რთულია, ვიდრე ილუზიაში მყოფთა რეალობაში დაბრუნება...

ღია სისტემები

თავისთავად ცხადია, ჩვენ გვაინტერესებს სოციუმი როგორც სისტემა. შესაბამისად, ზემოთ განხილული სისტემების ზოგადი დახასიათება ცოცხალ ბუნებას მივუსადაგოთ, რომლის ორგანული ნაწილია სოციუმი.

მოგეხსენებათ, ბუნებრივი სისტემები ღია და არაწონასწორულია.

ევოლუცია ღია, რაციონალურ-არაწონასწორულ, ბუნებრივ სისტემებში მიმდინარეობს დაბადებით, განვითარებით, დაშლით ხელახალი ამაღლებული დაბადებისთვის.

დაბადებაში ვგულისხმობთ თვითორგანიზაციას, **განვითარებაში** – მოწესრიგებულ ფორმათა ცვლას, ხოლო **დაშლაში** იგულისხმება მოწესრიგებულ, წონასწორულ მდგომარეობაში გადასვლა, მომზადება შემდგომ, ამაღლებულ რაციონალურ-არაწონასწორულ მდგომარეობაში გადასასვლელად.

ცხადია, დისკუსიას არ ექვემდებარება მოსაზრება, რომ არსებობს ბიოლოგიური დროის ისარი – ცოცხალი ორგანიზმების განვითარება. გეოლოგიური დროის ისარი – დედამიწის ფორმირება. ჰელიოგიური – მზის სისტემა და კოსმოლოგიური დროის ისარი – სამყაროს ევოლუცია.

და თუ ეს ასეა, მაშინ ყველაფერი ეს, ქვესისტემების ევოლუცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთიანი ევოლუციური პროცესი.

თუ ამ პროცესებთან ერთად იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბუნებას სიცარიელე არ უყვარს და ეს სიცარიელე აუცილებლად ივსება ახალი წარმონაქმნებით, მივალთ დასკვნასთან:

სისტემის, სამყაროს გაფართოებას თან უნდა სდევდეს თანმიმდევრული ზრდა, განვითარება, ახალ ქვესისტემათა წარმოქმნა, გადასვლა მარტივიდან რთულში და მატერიის ფორმების მრავალფეროვნება.

შესაბამისად, თუ გვიმტკიცებენ, რომ სოციუმი ვითარდება და იმავდროულად არ მიმდინარეობს ახალი ბუნებრივი ქვესისტემების, სტრუქტურების, მიმართულებების, იდეების წარმოქმნა-დამკვიდრება, რის გარეშეც შეუძლებელია სოციუმმა მიაღწიოს ახალი ამაღლებული აზროვნების დონეს, შემოქმედების მრავალფეროვნებას, აღმოჩენებს,... ყოველგვარი საუბარი სოციუმის განვითარებაზე სიყალბეა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გავარკვიოთ, რა მდგომარეობაში იმყოფება ამჟამად ჩვენი სოციუმი. სამწუხაროდ, ამჟამად ჩვენს ყოფას ახასიათებს სტაგნაცია – ნეგატიური წონასწორობა. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს არსებობს სოციუმის მართვის სტრუქტურული ელემენტები, არავითარი განვითარება, წმინდა ენერგიის, ცოდნის მიღება-გადანაწილება არ ხდება.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს არსებული ჩაკეტილი ხელოვნური სისტემის ღია, ბუნებრივ სისტემად გარდაქმნა. ამისთვის კი აუცილებელია სოციუმის გადაყვანა ბუნებრივ, პოზიტიურ არაწონასწორულ მდგომარეობაში შემდგომი ამაღლება-განვითარებისთვის.

გავერკვეთ, რა კანონზომიერებას ექვემდებარება ბუნებრივი სისტემების დაბადება, განვითარება, დაშლა.

როგორც აღვნიშნეთ, ღია, არაწონასწორულ მდგომარეობაში მყოფ სისტემას ახასიათებს **თვითორგანიზების** უნარი. ალბათ დიდ წინააღმდეგობას არ გამოიწვევს ის, რომ ამგვარ სისტემებს ბუნებრივი ვუწოდოთ. ამის უფლებას ის გვაძლევს, რომ **ბუნებრივი თავისთავად ნიშნავს სამყაროს კანონზომიერებასთან ჰარმონიაში მყოფს.**

ევოლუციის განმარტება **თვითორგანიზაციის** გარდა თავისთავად ითხოვს ორ დამატებით ტერმინს – **რეგენერაცია** და **თვითგანვითარება**.

მართლაც, რთული წარმოსადგენია რომელიმე სახეობის ევოლუცია, თუ მას დანაკარგის შევსების უნარი არ გააჩნია.

ადამიანსაც აქვს სიცოცხლისთვის აუცილებელი უნარი, მაგ., აღიდგინოს დაკარგული სისხლი საჭირო რაოდენობამდე. სწორედ ეს გახლავთ **რეგენერაცია.**

ცოცხალ ბუნებას ასევე ახასიათებს მკვეთრად გამოსახული თვისება – **თვითგანვითარება.**

განვიხილოთ ჩვენ მიერ უკვე ნახსენები არსება ავაზა. მართლაც, თუ ავაზა ვერ დაეწია ანტილოპას, რადგან თავდასხმისთვის სტრატეგიულად ხელსაყრელი მდგომარეობა, ადგილი ვერ შეარჩია, გარწმუნებთ, ის შეეცდება, რომ მეორედ ეს შეცდომა აღარ დაუშვას. ამ წინააღმდეგობის გადალახვით ის იმეცნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში განწირულია. მსგავს მაგალითებს უჩვენოდაც მრავლად გაიხსენებთ.

დიახ, ადაპტირება, თვითშემეცნება, გადარჩენის უნარი სხვა არაფერია, თუ არა **თვითგანვითარება.**

შევთანხმდეთ, ბუნებრივ სისტემად ჩავთვალოთ ის სისტემა, რომელსაც გააჩნია თვითგანვითარების, რეგენერაციის, თვითორგანიზაციის უნარი.

საკმარისია, ამ სამი ძირითადი თვისებიდან ერთ-ერთი მაინც აკლდეს, სისტემა ბუნებრივად ვერ ჩაითვლება.

ბუნებრივისგან განსხვავებულ სისტემებს ვუწოდოთ ხელოვნური.

შესაბამისად, ხელოვნურად მივიჩნიოთ ის სისტემები, რომელთაც ბუნებრივი სისტემის მახასიათებელი სამი თვისებიდან ერთი მაინც აკლია.

თუ ეს შეთანხმება არ გაღიზიანებთ, შევეცდებით, კონკრეტულად გამოვსახოთ, თუ რას ვგულისხმობთ ხელოვნურ სისტემაში.

ხელოვნურ სისტემათა კლასს შეგვიძლია, მივაკუთნოთ: მანქანა, მობილური, კომპიუტერი,... თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ მათ **თვითგანვითარების** უნარი არ გააჩნიათ.

რა საოცარიც უნდა იყოს, ხელოვნურად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანიც და სამყაროს სხვა ორგანული ნაწილებიც.

რას ვგულისხმობთ ამაში?

განვიხილოთ გარეული ცხოველი – ლომი. ბუნებრივ პირობებში ის მშვენივრად ახერხებს დამოუკიდებლად ადაპტირებას და ის ''**ბუნებრივი**'' ლომია. თუმცა, ზოოპარკში დაბადებული და გაზრდილი ლომი გარეგნულად არ განსხვავდება გარეულისგან, მაგრამ ადაპტირების უნარს, თვითგანვითარებასა და თვითორგანიზაციას მოკლებულია. არსებობისთვის ის მუდმივად ადამიანის დახმარებას საჭიროებს და თუ მას ბუნებრივ პირობებში გადაიყვანთ, მაქსიმუმი რასაც შეძლებს, წამოწვება ხის ჩრდილში და დაელოდება როდის მიართმევენ საკვებს. ის უკვე ''**ხელოვნური**'' ლომია.

შესაბამისად, თუ ამ სამი პრინციპიდან – **თვითგანვითარების, რეგენერაციის, თვითორგანიზაციის უნარი –** ადამიანს რომელიმე აკლია, ხელოვნურად ჩავთვალოთ.

გამოდის, რომ ადამიანიც შეიძლება იყოს ''ბუნებრივი'' ან ''ხელოვნური''. ამ თვალსაზრისით, სოციუმიც, სახელმწიფოც შეიძლება დაიყოს ბუნებრივ და ხელოვნურ სისტემებად.

სამწუხაროდ, ჩვენი ჩაკეტილი, **ნეგატიურ-წონასწორული** სოციუმი, „სახელმწიფო'' მკვეთრად გამოხატული ხელოვნური სისტემაა.

მას არ გააჩნია **რეგენერაციის უნარი** – ვერ აღვიდგინეთ დაკარგული ტერიტორიები, მცირდება მოსახლეობის რაოდენობა.

ავაზასგან განსხვავებით, ჩვენ საკუთარ შეცდომებს ვერ ვაანალიზებთ და ერთსა და იმავე შეცდომას პერმანენტულად ვიმეორებთ. სწორედ ესაა **თვითგანვითარების უუნარობა**.

თვითორგანიზაციაზე ხომ, ლაპარაკიც ზედმეტია.

მართლაც, გასარკვევია: – რამდენადაა შესაძლებელი ჩაკეტილი, სტაგნაციური, ნეგატიურ-წონასწორული, ხელოვნური სისტემა ბუნებრივში გადავიდეს?

ხომ არ ჰგავს ეს მცდელობა ბარონ მიუნჰაუზენის მიერ საკუთარი თავის ჭაობიდან ამოთრევას?

— არა.

ამ პრობლემას ისევ სისტემური აზროვნებით შევხედოთ. ერთი მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, ენტროპიის, უწესრიგობის ზრდის კანონის თანახმად, ბუნებაში ყველაფერი სტრუქტურების დაშლისა და წესრიგიდან უწესრიგობაში გადასვლისკენ უნდა მიისწრაფოდეს.

რა თქმა უნდა, ასეთ პროცესებს ადგილი აქვს არაორგანულ ბუნებაში.

მაგ., მელნის წვეთი წყალში იშლება და წარმოიქმნება უსტრუქტურო ნარევი. ასევე იშლება სახლი, კლდე,...

რა საოცარიც უნდა იყოს, იმავე არაორგანულ ბუნებაში ადგილი აქვს საპირისპირო მოვლენასაც — ქაოსიდან მოწესრიგებული სტრუქტურების წარმოქმნას.

უსტრუქტურო სისტემაში, ლავაში წარმოიქმნება, იბადება აბსოლუტურად მოწესრიგებული მტკიცე კრისტალები, რომელთა შორისაა იდეალური წესრიგის მქონე ალმასი.

ვინ იტყვის, რომ არაორგანული ბუნების საოცრება, თოვლის ფიფქი იდეალური სტრუქტურა არ არის?

რა, ეს არაა თვითორგანიზაცია?!

დასკვნა: — გამოდის, რომ უწესრიგობაში წესრიგის დაბადება შესაძლებელია.

ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ ხელოვნურ და ბუნებრივ, ასევე ღია და ჩაკეტილ სისტემებს მათი სარგებლიანობის და უსარგებლობის მიხედვით ვადარებთ. აქ ხელოვნური სისტემის დაკნინება არ მიმდინარეობს, მაგ., დღეს წარმოუდგენელია ჩვენი ცხოვრება მობილურის, კომპიუტერის, მანქანის,... გარეშე.

მთავარია, თუ რა არის მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ არსებული არაგანვითარებადი სოციუმი განვითარებადად ვაქციოთ, უწესრიგობიდან წესრიგში გადავიდეთ.

და საერთოდ, შესაძლებელია თუ არა, არსებულ ხელოვნურ სოციუმში დაიბადოს ღია, ბუნებრივი ქვესისტემა, თუ ეს აბსოლუტურ კანონზომიერებას ეწინააღმდეგება?

ორგანულ ბუნებაში მიმდინარე პროცესების ანალოგიურად, ჩვენს სოციუმშიც, ჩაკეტილ, წონასწორულ, ხელოვნურ სისტემაში შესაძლებელია, შეიქმნას თვითორგანიზაციის, თვითგანვითარების და რეგენერაციის უნარის მქონე ბუნებრივი, მთავარი ქვესისტემა. თუმცა, ამისთვის აუცილებელია ქვესისტემის შემადგენელ კონგენიალურ ადამიანთა გარკვეული კრიტიკული რიცხვი.

შედეგიდან გამომდინარე, ჩვენი ხელოვნური სახელმწიფოს სახელისუფლებო სამი შტოსგან — **აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო** — არც ერთს არ გააჩნია **თვითგანვითარების,**

თვითორგანიზაციისა და რეგენერაციის უნარი. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზოგადად ეს სამი შტო, როგორც ქვესისტემა, არასაჭიროა.

მთავარია, შეიქმნას ბუნებრივი მთავარი ქვესისტემა, რომელიც ამ სამი შტოს არსებობას აზრს მიანიჭებს და მათზე დაკისრებული ფუნქციის ჭეშმარიტ აღმსრულებლად აქცევს.

მართლაც, ბუნებრივი სისტემის – შემოქმედი ადამიანის გარეშე აზრს კარგავს კომპიუტერიც, მანქანაც და მობილურიც,... პრიმატისთვის ეს სისტემები არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს. მხოლოდ გონიერი ადამიანი ანიჭებს მათ აზრს.

ასევე, ხელოვნური ხელისუფლების სამი შტო აზრს კარგავს ბუნებრივი, შემოქმედებითი მთავარი ქვესისტემის გარეშე.

ბუნებრივი მთავარი ქვესისტემის გარეშე ნებისმიერი ხელოვნური სისტემა არაგანვითარებადია.

სწორედ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაუაზრებლობამ მიგვიყვანა ამ სავალალო შედეგთან – ჩაკეტილი, წონასწორული, ხელოვნური სოციალური სისტემის არსებობასთან.

მხოლოდ ბუნებრივ მთავარ ქვესისტემას შესწევს უნარი, ჩაკეტილი, წონასწორული, ხელოვნური სისტემა აქციოს ღია, განვითარებად, ბუნებრივ სისტემად.

შესაბამისად, სოციუმის მთავარ ქვესისტემას უნდა გააჩნდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გააზრებისა და უნივერსალური აზროვნების უნარი.

როგორც აღვნიშნეთ, უნივერსალიზმი აუცილებელია, რათა შეიქმნას ისეთი თეორია, რომელიც თვითგანვითარებადი, თვითორგანიზებადი, რეგენერაციის უნარის მქონე მთავარი სოციალური ქვესისტემის შექმნას შეგვაძლებინებს.

უნივერსალიზმის ფუნდამენტურ საფუძველს ქმნის სამი ტაძარი – თეოლოგია, ფილოსოფია, მეცნიერება. ამ სამი ტაძრის გარეშე მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსის სიღრმისეული გააზრება უბრალოდ შეუძლებელია.

ჩანართი

მენტალური ძილი 3.

... და ამ სოციუმში აზრს კარგავს ქმედება, გამოსავალი არ ჩანს, რადგან მენტალურად მიძინებულთა გაღვიძება გაცილებით რთულია, ვიდრე ილუზიაში მყოფთა რეალობაში დაბრუნება.

მოგეხსენებათ, ადამიანი დაბადებულია სიცოხლისთვის და მასში აპრიორულადაა ჩადებული თავდაცვის მექანიზმი – იმუნიტეტი. შესაბამისად, მას მენტალურ ძილზეც უნდა ჰქონდეს იმუნიტეტი.

ადამიანთა მენტალურ იმუნურ სისტემას ასუსტებს, შეგნებულად ანგრევს მასმედია თავისი სერიალებით, უგემოვნო პოლიტიკური და გასართობი შოუებით და თოქშოუებით. მიმდინარეობს მენტალური დეგრადაცია, გამოთაყვანება.

ეს, მარქსისთვის იყო რელიგია ბანგი ხალხისთვის. როგორც აღვნიშნეთ, ახლა ამას ემატება კრიმინალთა ხელში მყოფი მასმედია, რომელიც ამ ვირუსის გავრცელების საფუძველს ქმნის.

შედეგად მიმდინარეობს ოჯახის, განათლების, კულტურის,... განადგურება. ეს ყველაფერი სიზმარში მყოფს არ სჭირდება, მას ძილში ვერ გამოიყენებ. მას არა აქვს უნარი, გაერკვეს ცხოვრების ორიენტირში, სადაა ჭეშმარიტება და სად – სიყალბე. ცნობიერებაში ყალიბდება ყალბი სტერეოტიპები – იწყება მენტალური ძილქუში. ყალიბდება მენტალური სიზმრების მრავალფეროვნება.

სოციუმში მკვიდრდება ილუზია – მე ეკლესიაში ვილოცებ და საქართველო გაბრწყინდება, ვილოცებ და ჩემი ცხოვრებაც გამოსწორდება, ის პარტიული ლიდერი გადაგვარჩენს. . .

კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლება, მრავალი ფაქტორი მიგვანიშნებს ჩვენს ცხოვრებაში არსებულ უტიფარ სიყალბეს.

ამრიგად, სოციუმში ყალიბდება მსოფლმხედველობა, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ ემოციებს, ქვენა ინსტინქტებს.

ცხადია, აუცილებელია ამაღლებული აზროვნება, ძლიერი ნებისყოფა, რათა ამ ზემოქმედებას გავუძლოთ.

მენტალური ძილისას ლიტერატურასა და ხელოვნებაში საზოგადოების არსის გამოსახვა აღარ ხდება. მხატვარი გადაეჩვია არსის წარმოსახვას, მკვლევარი – ანალიზს, რადგან მენტალური ძილისას ნადგურდება მეცნიერული ბაზაც.

ტელევიზიით მიმდინარეობს ადამიანის ქვენა გრძნობების განდიდება. განადიდებენ მათ, ვინც ნერგავს ძალადობას, სადიზმს, ღალატს,... მენტალური ძილის დროს მმართველობა კონტროლიდან გამოდის და იბადება ქაოსი, გაუგებრობა,... მმართველ წრეებში მკვიდრდება კორუფცია, უპრინციპობა, ბიუროკრატია, ზნეობა კი, როგორც გადმონაშთი, დასაცინი ხდება. მიმდინარეობს თავხედობის, უხეშობის, უზრდელობის, სადიზმის, სიყალბის და სიცრუის, ნარკომანიის და ცხოველური შიშის, ქვეყნის ღალატის კულტივირდება. შესაბამისად, მომავალ თაობას ცინიკოსებად, კოსმოპოლიტებად ვზრდით.

ამ კოშმარულ მდგომარეობას აქვს სასტიკი შედეგი – კრიმინალურმა ბანდამ სხვდასხვა საშუალებებით შეძლო შეექმნა აგრესიული, გამოთაყვანებული სოციუმი, რომელიც ყველას, ვინც მისი მენტალური ძილიდან გამოყვანას მოისურვებს, აგრესიით უპასუხებს და მის განადგურებას შეეცდება.

საჭიროა სულ მცირე ჩაფიქრება, რათა ადამიანი ჩასწვდეს მენტალური ძილის არსს. მართლაც, ჩვენი სოციუმი უკვე ავლენს ამ აგრესიას: დავცინით, ვაყალბებთ მათ აზრებს, ვინც ჩვენს გამოფხიზლებას ცდილობს, არ ვუსმენთ და ამით ვაჩვენებთ, რომ მათი მცდელობა სოციუმს არ სჭირდება, რომ ისინი უსარგებლონი არიან.

სწორედ ესაა ჩვენი, როგორც სოციუმის დასასრულის დასაწყისი.

იკითხავთ, არის კი შესაძლებელი მენტალური ძილიდან გამოსვლა თუ ეს ისეთი მდგომარეობაა, რასაც აღარაფერი ეშველება?

მენტალური ძილიდან გამოსვლა, მოაზროვნეთა გაერთიანებისა და პოტენციალის მიზანმიმართულად გამოყენების შემთხვევაში, ჯერ კიდევ შესაძლებელია, რადგან ჯერ კიდევ არსებობენ იმუნიტეტშენარჩუნებულნი, რომელნიც მენტალური ძილის მდგომარეობიდან გამოფხიზლებას ექვემდებარებიან.

და ეს ქმედება სასწრაფოდ განხორციელებას საჭიროებს, რადგან არის მენტალურ ძილზე უფრო დაქვეითებული მდგომარეობაც, საიდანაც გამოსავალი აღარ არსებობს. ამ მდგომარეობას დემენცია ეწოდება...

სამი ტაძარი

ჩვენი აზრით, რელიგიის არსი გამოისახება სამი პრინციპით:

1. ამ სამყაროში ყველაფერს განკარგავს აბსოლუტი, გონი, აზრი, უმაღლესი მიზანი – განვითარება.

2. არსებობს აბსოლუტური, უცვლელი ფასეულობანი.

3. წინა ორის მიუღებლობაზე პასუხისგება მოგვიწევს.

თუ დავუკვირდებით, ეს სიცოცხლის პრინციპებია.

ყველა შემოქმედი მეცნიერი ღრმადაა დარწმუნებული, რომ მეცნიერების არსი ასევე სამ პრინციპს ეყრდნობა:

1. სამყარო უმაღლეს კანონზომიერებას ემორჩილება და ამ კანონზომიერების ვექტორი მიმართულია განვითარებისკენ.

2. თვით ამ კანონზომიერებიდან გამომდინარეობს, რომ უნდა არსებობდეს ის აბსოლუტური, უნივერსალური კანონები და პრინციპები, რომელთა არსი უცვლელია დროსა და სივრცეში.

3. ყველა მეცნიერმა იცის, რომ წინა ორის უგულებელყოფა, ეჭვქვეშ დაყენება მკვლევარის განვითარებას ჩიხში შეიყვანს.

ფილოსოფიაში, ზოგად აზროვნებაში გარკვეული ყველა ადამიანი ჩვენ მიერ მოყვანილ რელიგიისა და მეცნიერების ძირითად პრინციპებს შორის საკმაოდ ღრმა ანალოგიას აღმოაჩენს.

დიახ, ყველაფერს აქვს თავისი კანონზომიერება, რომელიც უმაღლესი, აბსოლუტური კანონზომიერების შემადგენელია.

მიღებულია, რომ ცალკეული ობიექტების ქმედების კონკრეტულ კანონზომიერებებს შეისწავლის მიმართულება სახელწოდებით **დინამიკა.**

იმ შემთხვევაში, როცა დინამიკის კანონები პროცესების აღსაწერად არასაკმარისია, მეცნიერები მიმართავენ ზოგად, უნივერსალურ კანონებსა და პრინციპებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის მიმართულებას – **თერმოდინამიკა.**

თერმოდონამიკა იმით განსხვავდება დინამიკისგან, რომ ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მრავალნაწილაკოვან სისტემას, როგორც მთლიანობას და იკვლევს სისტემური მდგომარეობის მახასიათებელ პარამეტრებს – ენერგიას, ენტროპიას, ტემპერატურას,...

სწორედ იმიტომ ხდება თერმოდინამიკა ჩვენი გააზრების თვალსაწიერში, რომ სოციუმიც, როგორც მრავალნაწილაკობრივი სისტემა, თერმოდინამიკის კვლევის არეალს განეკუთვნება.

სამყარო, როგორც მრავალნაწილაკოვანი ურთიერთქმედების თერმოდინამიკური სისტემა, ემორჩილება სამ პრინციპს:

I. ენერგიის შენახვის

II. ჩაკეტილ სისტემაში ენტროპიის ზრდის

III. თავისუფალი ენერგიის მინიმუმის პრინციპს

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მესამეს.

III პრინციპში, ხშირად ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ღია სისტემებში ენერგიის დისიპაციის (გაბნევის) მინიმუმი იგულისხმება. სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს **ენერგიის კონცენტრირების უნარს.**

ენერგიის დისიპაციის მინიმუმში ვგულისხმობთ ენერგიის მინიმალურად გაბნევას, რაც ენერგიის კონცენტრირებაა.

უფრო ნათლად, თუ ადამიანს აქვს გარკვეული თანხა, მას შეუძლია, ეს თანხა წვრილმანებზე გააბნიოს ან მიმართოს გარკვეული მიზნისკენ.

ფაქტობრივად, თავისუფალი ენერგიის მინიმუმი და ენერგიის დისიპაციის მინიმუმი სინონიმებია.

ცხადია, ეს არ ნიშნავს არაფრის კეთებას და მხარ-თეძოზე წამოწოლას.

უფრო მკაცრად, რას ნიშნავს ენერგიის გაბნევის, დისიპაციის მინიმუმი?

თუ სისტემას გააჩნია ერთზე მეტი მდგომარეობის შესაძლებლობა, მაშინ რეალიზდება, აირჩევა ის მდგომარეობა, სადაც ყველაზე დაბალია სისტემის მხრიდან ენერგიის გაბნევა, დაკარგვა.

სხვა სიტყვებით, სისტემა ცდილობს შეინარჩუნოს უწესრიგობის, ენტროპიის მინიმუმი.

სამწუხაროდ, ჩვენი აზროვნება ადვილად ითვისებს მარტივ, ცალკე აღებული ობიექტის დინამიკის კანონებს.

ადამიანს, რომელიც კარგად ერკვევა დინამიკაში, კონკრეტული ობიექტის ბუნებაში, მის კანონზომიერებაში **სპეციალისტი** ეწოდება.

დინამიკისგან განსხვავებით, რთულია, გავიაზროთ თერმოდინამიკა, მრავალი ობიექტისგან შედგენილი რთული სისტემის მდგომარეობის ცვალებადობის მიზეზები, მისი შინაგანი ბუნებისგან დამოუკიდებლად.

რთული, მრავალნაწილაკოვანი სისტემების ასეთი უნივერსალური ხედვის უნარით დაჯილდოებულ ადამიანს უხსოვარი დროიდან აქვს სახელი – ბრძენი.

უმცირესი ქმედების, თავისუფალი ენერგიის მინიმუმის, ენერგიის დისიპაციის მინიმუმის პრინციპს (რაც ფაქტობრივად ერთიდაიგივეა) ემორჩილება სამყაროში ყველა უსასრულო გამოვლინება.

ეს პრინციპი არის შემოქმედების, ქმნადობის უნივერსალური კანონი.

ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ეს პრინციპი ცნება აბსოლუტის სინონიმია.

მართლაც, დაუკვირდით, ამ პრინციპის თანახმად, ენერგიის ნაკადი, რომელიც გარედან მიეწოდება არაორგანიზებული მატერიისგან შედგენილ სისტემას, გარკვეულ მომენტში ქაოსისგან ქმნის ორგანიზებულ მოძრაობას, ქმნადობას, არდაწყებული ტაიფუნიდან პლანეტარული სისტემებითა და გალაქტიკების მოძრაობით არდასრულებული.

მართლაც, გარედან მიღებული ენერგიით ქაოსურად გაბნეულ მოლეკულურ სისტემებში წარმოიქმნა ცილის მოლეკულა – **ცოცხალი სისტემის, სიცოცხლის საწყისი.**

სამყაროში იწყება გამაოგნებელი საოცრება.

სიტუაცია კორდინალურად იცვლება — **ეს სისტემა ხდება აქტიური, მას უჩნდება მიზანმიმართული ქმედების უნარი.**

ცოცხალი სისტემა გარედან ენერგიის მიწოდებას პასიურად აღარ ელის. ის თვითონ ეძებს და იღებს სიცოცხლისთვის აუცილებელ ენერგიას, საკვებს.

აი, ასე იწყება ცოცხალი სისტემების ევოლუცია.

დიახ, ევოლუცია იწყება არა მაშინ, როცა ცოცხალი ბუნება პასიურად, გარედან იღებს საჭირო ენერგიას, არამედ მაშინ, როცა ადგილი აქვს გარე ენერგიის მიწოდების დეფიციტს, რის გამოც სისტემა აქტიურ ქმედებას იწყებს. ამ პროცესის დაწყებასაც აუცილებლად სჭირდება მთავარი ქვესისტემა.

ევოლუცია მაშინ იწყება, როცა ცოცხალი სისტემა, გარედან მიღებული ენერგიის დეფიციტისას, ამცირებს ენერგიის გაბნევას, გადადის გაბნევის მინიმუმის ახალ დონეზე, რაც ნიშნავს უფრო მდგრად მდგომარეობას, სისტემის შემადგენელი ობიექტების ამაღლებულ ჰარმონიას, არსებობის არეალის გაფართოებას, შესაძლებლობათა მრავალფეროვნებას.

ეს უდიადესი ჰარმონია, სიცოცხლის ჰიმნი არაა შემთხვევითი მოვლენა.

ესაა ენერგიის გაბნევის მინიმუმის პრინციპის გამოვლინება.

ოდნავ დაკვირვებული მკითხველიც კი მიხვდება და დაგვეთანხმება, რომ ტვინის უნიკალური, ურთულესი მუშაობა არის ნეირონების თვითორგანიზაციის აქტი, რომლის მიზანია, არ დაუშვას ენერგიის გაბნევა, ენერგიის კონცენტრაციით შეძლოს სიცოცხლის პოტენციალის მაქსიმალური ზრდა.

აზროვნების მთელი პროცესი — ნეირონების აქტიურობა, სინაფსების რიცხვი ემსახურება ერთს — გარემოს მხრიდან აგრესიულ გავლენაზე, სირთულეებზე უსწრაფესი რეაგირება მოახდინოს.

სხვა სიტყვებით, **აზროვნება არის უპირველესი ამოცანის — გარედან მიწოდებული ენერგიის დეფიციტისას სიცოცხლის, განვითარების უნარიანობის შენარჩუნება.**

ესაა ევოლუცია.

ესაა ენერგიის დისიპაციის მინიმუმის პრინციპი.

ადამიანი ენერგიის დისიპაციის მინიმუმის პრინციპის რეალიზების, ევოლუციის გვირგვინია.

ადამიანი ენერგიის დისიპაციის მინიმუმის პრინციპის, პროგრესის, განვითარების ხატადაა შექმნილი.

ასევე, სოციუმის პროგრესი სხვა არაფერია, ვიდრე ზემოაღნიშნული ენერგიის კონცენტრირების პრინციპი.

ვინც განუდგება ენერგიის დისიპაციის მინიმუმის პრინციპს, აბსოლუტურ კანონზომიერებას, აბსოლუტს, ვერ მოახერხებს მინიმალური ენერგიის პირობებში მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევას, ენერგიის კონცენტრირებას — განწირულია, მან უნდა დატოვოს ისტორიის სცენა.

აბსოლუტის უარყოფა, სცენის დატოვება მიმდინარეობს ან ნახტომისებურად, მძაფრად, ომებით, რევოლუციებით, ერთმანეთის შეუწყნარებლობით, ზიზღით ან წყნარად, ეკონომიკური ყულფით, უხმო ფართხალით.

ვისთვისაც მიუღებელია სიცოცხლის დატოვება, მან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს თვითორგანიზების ფენომენს.

გასაოცარია თვითორგანიზაციის მოვლენა ღია სისტემებში.

იწყება სისტემის ელემენტებს შორის ჰარმონიის დამკვიდრება. ადამიანები უმცირეს დროში ქმნიან ახალ ეთნოსებს, ორგანიზაციებს, გაერთიანებებს და ეს ყველაფერი ენერგიის დისიპაციის მინიმუმის პრინციპის აღსრულებისკენაა მიმართული.

შესაბამისად, წინა პლანზე ის ეთიკა გამოდის, რომელმაც სისტემის ელენემტებს შორის ისეთი ჰარმონია, შეთანხმება უნდა დაამყაროს, რომლის გარეშე ენერგიის დისიპაციის მინიმუმის პრინციპი ვერ აღსრულდება.

როგორც აღვნიშნეთ, მთელი ეს ნაშრომი სოციუმში მთავარი ქვესისტემის შექმნას ემსახურება. სწორედ მთავარ ქვესისტემას ხელეწიფება ენერგიის დისიპაციის მინიმუმის პრინციპის აღსრულება და თვითგანვითარებადი, თვითორგანიზებადი, რეგენერაციის უნარის მქონე, ჰარმონიული, ბუნებრივი საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნა.

საოცრება იმაშია, რომ ღია, ბუნებრივ სისტემაში რაც უფრო იზრდება უწესრიგობა, ენტროპია, მით უფრო ძლიერდება სისტემის თვითორგანიზაცია.

ჩაკეტილ სისტემაში კი მაგ., ჩვენს სოციუმში, რაც უფრო იზრდება უწესრიგობა, პირიქით, მით უფრო იკლებს თვითორგანიზების, წინააღმდეგობის გაწევის, ენერგიის დისიპაციის შემცირების უნარი.

ღია სისტემაში წარმოიქმნება ახალი, მრავალფეროვანი სტრუქტურები ერთი მიზნით – ეფექტურად დაიძლიოს ენტროპიის, უწესრიგობის ზრდა.

ნახტომისებური ევოლუცია, განვითარების მაღალ დონეზე გადასვლა ხდება მაშინ, როცა სისტემა დგება დილემის წინაშე – **ან სწრაფად შეიცვალოს, ან გაქრეს.**

ამიტომ გააკეთა ნახტომი იაპონიამ, კორეამ, სინგაპურმა,...

ამრიგად, ვინც შეძლო ენერგიის დისიპაციის მინიმუმის პრინციპის გააზრება და ამ პრინციპის გათვალისწინებით სოციუმის მთავარი ქვესისტემა ჩამოაყალიბა, ქმნის მსოფლიო ისტორიას. ის ქვეყანა კი, რომელმაც ეს ვერ შეძლო, ისტორიულად მონობისთვისაა განწირული.

დიახ, ენერგიის დისიპაციის მინიმუმის პრინციპი არ მიატოვებს ამ პრინციპის, აბსოლუტის შემმეცნებელ ეთნოსს, ერს, საზოგადოებას.

დიახ, ის არ დაუშვებს ღია, აქტიური სისტემის სიკვდილს.

ენტროპია, უწესრიგობა მხოლოდ პასიურ, ჩაკეტილ სისტემებს გაანადგურებს ამავე სისტემების სრული თანხმობით.

მხოლოდ ზოგადი ხედვითაა შესაძლებელი დაინახოთ, თუ როგორ მიმდინარეობს ქაოსიდან, ბროუნის მოძრაობიდან მოწესრიგებული, სპირალური ბრუნვა, ზრდა.

ენერგიის დისიპაციის მინიმუმის პრინციპი სისტემის თითოეულ ელემენტს სთავაზობს განსაზღვრულ წესს, რომლის მიხედვით ელემენტი ირჩევს ან განვითარებას ან სიკვდილს.

ნათლად იკვეთება სიმეტრია, პოლარიზება – აქეთ ამაღლება, იქით სიკვდილი.

ამაღლება იყო, არის და იქნება შინაგანი დანაკარგების მინიმალიზაცია, თვითგანადგურების შემცირება. **ეს შემცირება შეუძლებელია, თუ არ იზრდება სიყვარული, გონივრულობა.**

ადამიანი, სოციუმი დგას არჩევანის წინაშე – ან სიყვარული, განვითარება ან განადგურება, სიკვდილი.

სამყაროს ბუნებრივი შერჩევის პრინციპი მართავს.

ნუ აღიარებ აბსოლუტს, ენერგიის დისიპაციის მინიმუმის პრინციპს, მოიქეცი ისე, როგორც სიზარმაცე გკარნახობს, და იმავე წამს გაიზრდება უწესრიგობა, ენტროპია და ან კონკურენცია გაგსრესს ან შავი ჭირი.

გამოდის, რომ **ისტორიულ პროცესს მართავს უმაღლესი გონი, უმაღლესი პრინციპი, აბსოლუტი – ენერგიის დისიპაციის მინიმუმის პრინციპი.**

გაიაზრე ეს პრინციპი და მიხვდები – **ყველაფერი ამაზრზენი, რაც ამ სამყაროში არსებობს, გაუნათლებლობის შედეგია.**

მხოლოდ განათლებული ხვდება, რომ ანალოგია მეცნიერებასა და რელიგიას შორის უბრალოდ ხელისგულზეა.

ვერ შექმნით ღვთის ტაძარს ისე, რომ არ მიიღოთ მეცნიერების ტაძარი.
ვერ ააშენებთ ცოდნის ტაძარს ისე, რომ არ აღმოჩნდეთ ღვთის ტაძარში.
ამის მიხვედრას შენს არსში ფილოსოფიის ტაძრის არსებობა სჭირდება.

ჩანართი

მენტალური ძილი 4.

... და ეს ქმედება სასწრაფოდ განხორციელებას საჭიროებს, რადგან არის მენტალურ ძილზე უფრო დაქვეითებული მდგომარეობაც, საიდანაც გამოსავალი აღარ არსებობს. ამ მდგომარეობას დემენცია ეწოდება.

დემენცია (გონებრივი დაქვეითება) – ესაა შეძენილი გონებასუსტობა, ცნობიერების დაქვეითება, ადრე მიღებული ცოდნის დავიწყება და რაც მთავარია, ახალი ცოდნის მიღების შეუძლებლობა.

დიახ, ესაა მდგომარეობა, როცა მახსოვრობის, მეხსიერების, აზროვნების პროგრესირებადი დეგრადაცია მიმდინარეობს.

დემენციის ადრეული სტადია შეუმჩნეველია. მას ახასიათებს გულმავიწყობა, დროის აღქმის მოშლა (ვერ ხვდება, აწმყოა, 1921წ., თუ 1801წ.), სივრცული ორიენტაციის დაკარგვა.

და ორიენტაციადარღვეულებს უკვე მავთულხლართებიც კი შემოგვავლეს.

საშუალო სტადია – გავიწყდება, რა მოხდა გუშინ. მეხსიერება გათიშულია, გავიწყდება პროფესიული აფერისტების სახელები და გვარები და პერმანენტულად ირჩევ მმართველებად ისევ მათ, ვინც სიღატაკისთვის,

მენტალური ძილისთვის გაგწირა. მათგან კვლავ ითხოვ დახმარებას და გავიწყდება, რომ სწორედ მათ გაქციეს მათხოვრად. უაზროდ, უმისამართოდ მოძრაობ, ერთსა და იმავე უაზრო კითხვებს სვამ და პასუხს არც ელი, ვერც ხვდები, რომც ელოდო, პასუხს არავინ გაგცემს.

გვიანი სტადია – ესაა სრული დამოკიდებულება სხვაზე, აბსოლუტური პასიურობა და იმავდროულად გამძაფრებული აგრესია. აი, ამ მდგომარეობაში აღარ გვეშველება აღარაფერი, აქედან გამოსავალი არ არსებობს.

ამას უკვე ადამიანის, სოციუმის მენტალური სიკვდილი ჰქვია.

აქ ჩნდება ბუნებრივი პროტესტის გრძნობა: თქვენ, „დემოკრატიის პრინციპის დაცვით" უფლება გაქვთ, ვინც გინდათ ის დაინიშნოთ მმართველად, მაგრამ რას ერჩით თქვენს შვილებს, ჩვენ, ქვეყანას?

სანამ ჩვენი სოციუმის გარკვეული ნაწილი მენტალური ძილის მდგომარეობიდან დემენციის მდგომარეობაში ჯერ კიდევ არ გადასულა, უნდა შემოვიკრიბოთ ყველა, ვისაც აზროვნების უნარი შემორჩა. იქნებ გავიღვიძოთ და მივხვდეთ, რომ ჩვენ გასანადგურებლად იდეოლოგიურ-ინფორმაციული ფრონტია გახსნილი. ჩვენ, როგორც ერი, ვქრებით, ვნადგურდებით. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება – გონივრული ქმედება თუ უსახელო საფლავი.

სწორედ ჩვენ უნდა შევძლოთ, ილუზიიდან და მენტალური ძილიდან გამოვიყვანოთ ჩვენი სოციუმი, უნდა დავფიქრდეთ, ვინ ვართ, რატომ ვართ, რისთვის მოვედით და რაა ჩვენი მისია ამ ქვეყანაზე.

სხვა გზა არა გვაქვს, უნდა ვიბრძოლოთ, რადგან მეტ-ნაკლებად განათლებულის ქმედებასა თუ უმოქმედობაზეა დამოკიდებული ჩვენი ყოფნა-არყოფნა, ქვეყნის მომავალი.

ეს მსჯელობა კონტრასტულად ნუ მოგეჩვენებათ, ამ რეალობაზე ჩვენც შეგვეძლო თვალის არიდება, თვალის დახუჭვა.

თქვენც გაახილეთ თვალი
შეხედეთ საქართველოს რუკას
დემოგრაფიულ კატასტროფას
სულიერ სიღატაკეს
ეკონომიკურ სიდუხჭირეს,...

და თუ შენ არ გშია, არ გწყურია, არ გცივა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მენტალური ძილით არ გძინავს...

მორალური არჩევანი

პიროვნების ზნეობრივი ძალა და მასშტაბი, უპირველესად, მისი პასუხისმგებლობის გრძნობით განისაზღვრება.

პასუხისმგებლობისგან განდგომა თავისუფლებისგან განდგომაა, გარე ძალების წინაშე კაპიტულაცია.

კაცობრიობის განვითარების ისტორია ეს მორალური არჩევანის ისტორიაა.

გავიხსენოთ: – **იან ჰუსი, კოპერნიკი, ჯორდანო ბრუნო, ლუთერი, გალილეი, კანტი, ფიხტე, ჰეგელი,...**

იან ჰუსი ამხელდა ეკლესიას, როგორც გახრწნილ, სულიერების საწინააღმდეგო და ჩეხი ხალხის დათრგუნვისა და მორჩილებისკენ მიმართულ ინსტიტუტს. მისი იდეალი იყო ადრექრისტიანული პერიოდის ეკლესიის დამკვიდრება.

ჩეხი ხალხი ხვდებოდა, რომ იან ჰუსი სამშობლოს ინტერესებს იცავდა და ის ხალხის მხრიდან დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. ჩეხ ხალხს ეყო გონება, იან ჰუსსა და ეკლესიას შორის იან ჰუსი აერჩია, რითაც დაიწყო ევროპის განვითარება.

რომის პაპი იძულებული გახდა, რელიგიურ საკითხებზე დებატების გამართვის მიზეზით, იან ჰუსი დასასჯელად ჩეხეთიდან მოტყუებით გაეყვანა. ჰუსმა არ უარყო საკუთარი შეხედულებები და კოცონზე მდგომმა წარმოთქვა: — **„არ განვუდგები!”**.

ჰეგელმა, როგორც მოგახსენეთ, გაუნათლებელთათვის გაუგებრად, ბუნდოვნად გამოთქმული აზრებით აიცილა დაპირისპირება.

ფიხტემ დაპირისპირებით მრავალი პრობლემა შეიქმნა.

ჯორდანო ბრუნომ თავი შეაკლა იდეას. მან, როგორც გვასწავლიდნენ, კოცონზე მდგომმა წარმოთქვა სიტყვები: ”**ის მაინც ბრუნავს**” (თუმცა ხშირად ამ ფრაზას გალილეისაც მიაწერენ).

ლუთერი უსამართლობასთან სასტიკ ბრძოლაში იმარჯვებს ფრაზით: — **„აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ შემიძლია”.**

დიახ, ლუთერმა სისასტიკის წინაშე პირისპირ დგომით დაიცვა საკუთარი იდეა.

ხოლო **კოპერნიკმა,** თვით კათოლიკური ეკლესიის პირველმა მტერმა, ლუთერისგან განსხვავებით, თავისი ჰელიოცენტრული სისტემის იდეა არა პირისპირ დგომით, არამედ წოლით დაიცვა. ანდერძის თანახმად, მისი ნაშრომი სიკვდილის შემდეგ უნდა გამოქვეყნებულიყო. ის მშვიდად იწვა საფლავში თავისსავე იდეაზე, როდესაც ამ იდეამ ეკლესიისთვის ქარტეხილები დაატრიალა.

სწორედ მისი იდეების აპოლოგიით დაუპირისპირდა **გალილეო გალილეი** ინკვიზიციას.

ამ დაპირისპირებათა არსში გასარკვევად განვიხილოთ ორიგინალური შემოქმედებითი პოტენციალის მქონე მწერლისა და დრამატურგის ბერტოლდ ბრეხტის პიესა — **„გალილეის ცხოვრება”.**

პიესის მიხედვით, გალილეი შეგნებულად დაუპირისპირდა ეკლესიას.

კონფლიქტის არსი იხსნება ორი პერსონაჟის — გალილეისა და ბერს შორის საუბრით. ბერის აზრით, ყოველი ახალი ცოდნა, ახალი ჭეშმარიტება არაადამიანურია. ის მიმართავს გალილეის: — ეკლესია ადამიანებს ასწავლიდა, რომ მათზე ღმერთი ზრუნავს,... და უცებ მათ უნდა ვუთხრათ, რომ ჩვენ რაღაც ქვის გუნდაზე ვცხოვრობთ და უაზროდ ვტრიალებთ მზის გარშემო. თურმე ნუ იტყვით და, ჩვენი მზის მსგავსი მზეები უამრავია, რომელთა შორის ჩვენი მზე უმნიშვნელოა. გამოდის, რომ ადამიანი ღვთისგან

გამორჩეული არაფრითაა. ამის შემდეგ რა აზრი აქვს ჭირთა თმენას, წმინდა წერილებს?!... უბრალო ადამიანის კეთილდღეობისთვის სჯობს ამ სასტიკი ჭეშმარიტების დამალვა.

გალილეი პასუხობს: – სამკუთხედის შიგა კუთხეების ჯამი (ჭეშმარიტება) ეკლესიის მესვეურთა ნება-სურვილით არ იცვლება.

ბერი: – რატომ არ ფიქრობ, რომ ჭეშმარიტება თუ ჭეშმარიტებაა, ის ჩვენ გარეშეც გაიკვლევს გზას?

გალილეის ტრაგედიის პარალელურად ბრეხტი წარმოგვიდგენს პაპის დრამას. რომში გალილეისა და კარდინალ **ბერბერინის,** შემდგომში პაპის, პირველი შეხვედრა კარნავალზე ხდება. ის, როგორც კარნავალზე მყოფი ნიღბიანი კარდინალი, გადაწყვეტილების მიღებისგან თავისუფალია. კარდინალს, როგორც მათემატიკაში გარკვეულს, ესმის გალილეის მოსაზრების სიმართლე, თუმცა როგორც ეკლესიის მსახური, გალილეის მოწინააღმდეგეა. გადის დრო და ის უკვე რომის პაპი **ურბან VIII** ხდება.

გალილეის, როგორც მეცნიერს, ჭეშმარიტების მიმართ პასუხისმგებლობა აწვება, ხოლო პაპს – ეკლესიური დოგმები. აქ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რომის პაპის მდგომარეობა უფრო მძიმეა, ვიდრე გალილეის.

არსებული მდგომარეობა პაპისგან ჭეშმარიტების დასამარებას ითხოვდა.

ინკვიზიტორი ეკითხება პაპს: – რაღაც საეჭვო ციფრები, თუ რწმენა?

პაპი არჩევანის წინაშეა – რწმენის ნგრევა, თუ ჭეშმარიტების დასამარება.

იწყება შინაგანი ბრძოლა და სიმბოლურია, რომ პაპს ამ მორალური არჩევანის გაკეთება უწევს შემოსვის რიტუალის დროს – რაც უფრო მეტ სამოსს არგებენ, მით უფრო შორდება ის ადამიანურობას. და როცა მას თავზე მიტრა დაადგეს, ის უკვე აღარაა ადამიანი, ის უკვე ძალაუფლებაა, ის უკვე ეკლესიაა, ის უკვე პაპია.

გალილეი განწირულია.

ბრეხტის ამ პიესის პირველ რედაქციაში, დატყვევებული გალილეი ინკვიზიციის მოთხოვნით უარყოფს იდეას. ის გადაურჩა სიკვდილს, რის შემდეგაც მალულად წერს ნაშრომს – ,,საუბრები'' – და ხელნაწერს, მოწაფის დახმარებით, საზღვარგარეთ აგზავნის.

ამგვარად, ის კომპრომისზე წასვლით სიკვდილს გადაურჩა, რითაც საშუალება მიეცა კაცობრიობისთვის მორიგი ნაშრომი დაეტოვებინა.

– რა, გონივრული არ არის გალილეის პოზიცია?

ხიროსიმას ტრაგედიის გავლენით, ბრეხტი ქმნის პიესის მეორე ვერსიას განსხვავებული ფინალით, სადაც გალილეი აცხადებს, რომ უკან დახევა ეს არის დანაშაული და ვერავითარი წიგნი, რაგინდ ფასეულიც უნდა იყოს ის, ამ უპრინციპობას ვერ გაამართლებს.

– რა, გონივრული არ არის გალილეის პოზიცია?

პერსონაჟის გონივრულობას დროებით თავი გავანებოთ და დავფიქრდეთ, რამდენად მართებულია ბრეხტის მსჯელობა?

მიგვაჩნია, რომ საკმაოდ ნიჭიერი დრამატურგის, ბერტოლდ ბრეხტის მიერ გალილეოს ცხოვრების აღწერაში ურთულესი საკითხის – მორალური არჩევანის არსის წარმოსახვის მცდელობა არამართებულია.

მორალური არჩევანის პრობლემა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი მთავარი ძიების საკითხია.

შესაბამისად, ბრეხტის **გალილეი** მხატვრული ფორმაა და არა პრობლემის ფილოსოფიური გააზრება.

მოგახსენებთ რეალობას, საქმე ეხება 30 წლიანი შრომის შედეგს – **„დიალოგი სამყაროს ორ მთავარ – პტოლემეოსისა და კოპერნიკის სისტემაზე".** გალილეი თვლის, რომ ნაშრომის გამოცემისთვის ხელსაყრელი დრო დადგა. ის საკუთარ მეგობარსა და პაპის ცენზორს – რიკარდის უგზავნის ამ ნაშრომს. ერთი წელი მას პასუხი არ მიუღია და ვერ მიხვდა, რომ ამ დუმილით მეგობარი მის გადარჩენას ცდილობდა. გალილეი ეშმაკობს და ხელნაწერს ამატებს წინასიტყვაობას, სადაც აცხადებს, რომ იგი კოპერნიკის იდეებისგან განიხიბლა. ნაშრომს განსახილველად სხვა ცენზორს უგზავნის და მართლაც, 1631 წელს ის წიგნის გამოცემის უფლებას იღებს.

მან დაუფიქრებლად გადაუგზავნა 30 ეგზემპლარი რომის გავლენიან სასულიერო პირებს და ვერ გაითვალისწინა, რომ ამ 30-დან ერთი მაინც შეამჩნევდა განსხვავებას წინასიტყვაობასა და ტექსტს შორის. წიგნი აიკრძალა. გალილეი ინკვიზიციამ რომში გამოიძახა.

გალილეიმ თავიდან აქტიური წინააღმდეგობა გაუწია ინკვიზიციას და საკუთარი იდეების დაცვას შეეცადა, თუმცა მალევე მიხვდა, რომ ვერაფერს შეძლებდა და უკან დაიხია. მან უღალატა საკუთარ ბრძოლას.

შეგახსენებთ **კანტის** ბიოგრაფიას.

კანტმა დაწერა ნაშრომი – **„კეთილი საწყისის ბრძოლა ბოროტ საწყისთან"**.

შედეგად, კანტს ფრიდრიხ ვილჰელმ II ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თითი. კანტის მხრიდან რეაქცია სწრაფი და ერთმნიშვნელოვანი იყო. მან ბოდიში მოიხადა და დაიფიცა, რომ წესიერად მოიქცეოდა და არ იცუღლუტებდა. კანტმა კეთილსინდისიერად აღასრულა დანაპირები, რითაც ხელფასიც შეინარჩუნა და მშვიდად განაგრძო მოღვაწეობა.

აქედან გამომდინარე, მისი უკან დახევით გამოწვეული მძიმე სულიერი მდგომარეობის გამომსახველია მისივე სიტყვები:

„ვინც ავადმყოფურად ზრუნავს, შეინარჩუნოს სიცოცხლე, ის ვერასდროს გაიხარებს სიცოცხლით". – ეს ჩვენი სიტყვები არ გახლავთ, ეს იმანუილ კანტის სიტყვებია.

ცხადია, თავისუფლებაშეზღუდული მოაზროვნე სიცოცხლით ვერ გაიხარებს.

ამრიგად, ღია, განვითარებადი სისტემის არარსებობისას ერთი ადამიანის ბრძოლას სისტემის წინააღმდეგ მივყავართ არჩევანთან:

ერთნი იბრძვიან და ეწირებიან

მეორენი ეგუებიან

მესამენი, რომელთაც არც ერთი შეუძლიათ და არც მეორე, საკუთარ თავში იკეტებიან და ფსიქოლოგიური მექანიზმებით იცავენ თავს.

ამ შემთხვევაში სხვა კანონზომიერება არ არსებობს, რადგან **სისტემას მხოლოდ სისტემა შეიძლება დაუპირისპირდეს.**

გალილეი ასე მსჯელობს: — ცხენი, ჩამოვარდნილი ორიოდე მეტრიდან დაიმტვრევა. ძაღლს — არაფერი მოუვა. კატა, ათი მეტრიდან ჩამოვარდნილიც გადარჩება. ჭრიჭინა კოშკიდან რომ გადმოვარდეს, არაფერი მოუვა. ჭიანჭველას კი — მთვარიდან,...

ამრიგად, რაც უფრო დიდია ადამიანი, მით მეტი შინაგანი სიმტკიცე მოეთხოვება, რაც თავად გალილეის არ აღმოაჩნდა.

რა სიმტკიცის მარაგზეა საუბარი? — რა პარადოქსულიც უნდა იყოს, აქ ინტელექტუალური პოტენციალი იგულისხმება.

დიახ, პარადოქსიც სწორედ ამაშია — გალილეო და არაინტელექტუალური?

განა გალილეოს მოსაზრებები არ დაედო საფუძვლად ნიუტონის მექანიკას?!

განა დახრილი კოშკიდან გადმოგდებული სხეულები არ დაედო საფუძვლად ექსპერიმენტალურ ფიზიკას?!

რა, მისმა ტელესკოპმა არ შეცვალა სამყაროზე წარმოდგენა?!

დიახ, ის ნამდვილად უნიკალური მოაზროვნეა, მაგრამ **არსებობს უცვლელ ფასეულობათა ის იერარქია, რომელიც უპირველესად ითხოვს განათლებას, განვითარების იდეის დაცვას და ამით ბოროტების, გაუნათლებლობის შემცირება-განადგურებას.**

დიახ, სწორედ ბოროტების შემცირებაა უმაღლესი ფასეულობა.

დავფიქრდეთ, რა, განათლებულმა, გამორჩეულმა ადამიანებმა არ იცოდნენ, თუ რას სთავაზობდნენ, ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, „მოაზროვნენი,'' „ინტელექტუალები'' ძლიერთა ამა ქვეყნისათა:

„რადგან ადამიანთა შორის სამართალი მაინც არ არსებობს, უმჯობესია, შენი ინტერესებიდან და მიზნიდან გამომდინარე, თვითონ ჩაიდინო უსამართალობა''... — **პოლ აგრიგენტელი.**

''რეალური პოლიტიკის კრიტერიუმია ძლიერის ნების აღსრულება. სამართლიანობა — ვამტკიცებ მე, ეს ისაა, რაც სასარგებლოა ძლიერისთვის'' — **ფრასიმაქე**.

„პოლიტიკა ადამიანთა ძალისა და ინტერესის გამომჟღავნების სფეროა და აქ კანონზომიერებას, ბუნებრივ, ღვთაებრივ სამართალს არაფერი ესაქმება'' — **ჰიპია.**

რა, განა მათ თვალწინ არ იწერებოდა **მაკიაველის** „მთავარი''?

— ... „ხალხის დასამორჩილებლად აუცილებელია... სასჯელის შიში, რომელიც გამუდმებით ემუქრება მათ''. „მიზანი ამართლებს საშუალებას''.

რა, მათთვის უცნობი იყო **ჰობსის** აზრები?

— „ვინც იმარჯვებს, მართალიც ისაა“, „ყველამ უნდა დავთმოთ ჩვენი უფლებები“, „ხალხი მხოლოდ იმ დოზით უნდა განათლდეს, რომ შეიგრძნოს, თუ რა უსაზღვროა სუვერენის ძალაუფლება და მას ქვეშევრდომნი რა მოწიწებით უნდა დაემორჩილონ. ყველა სხვა განათლებას სახელმწიფოს ნგრევამდე მივყავართ.”

ძალიან კარგია, თუ ჰელიოცენტრულ სისტემაზე ფიქრობთ, გადასარევია, თუ ტელესკოპით მზეზე ლაქებს აღმოაჩენთ, გენიალურია, თუ ბირთვულ ენერგიას მოათვინიერებთ, მაგრამ

მთავარია, იმ სისტემის შექმნა, რომელიც ძლიერთა ამა ქვეყნისათა სისასტიკისა და გაუნათლებლობის მოთვინიერებას შეგვაძლებინებს.

რა, ამ ბიჭებმა არ იცოდნენ, რა ელოდათ?

ეს არ იყო ფატალიზმი, მათ თვითონ აირჩიეს ეს გზა.

არაა აუცილებელი ინკვიზიციის მთელი ისტორიის აღწერა. შეგახსენებთ, ინკვიზიციის ერთ მსუბუქ სასჯელს: თუ ქალის სატანასთან კავშირზე ეჭვი გაჩნდებოდა, ხელ-ფეხს უკრავდნენ და წყალში აგდებდნენ. თუ რაღაც სასწაულით გადარჩებოდა და მდინარე გამორიყავდა, ეს მის სატანასთან კავშირის უტყუარ მტკიცებულებად მიიჩნეოდა, რადგან ითვლებოდა, რომ სატანამ გადაარჩინა და ქალს კოცონზე წვავდნენ. თუ დაიხრჩობოდა, ეს ნიშნავდა, რომ ის უდანაშაულო იყო.

გგონიათ, მას შემდეგ რამე შეიცვალა?

ჩანართი

— ინკვიზიცია ამკვიდრებს გაუნათლებლობას და სიბნელეს, თუ სიბნელესა და გაუნათლებლობაში იბადება ინკვიზიცია?

საკითხის ასე დაყენება აზრს მოკლებულია, რადგან, ჩვენი აზრით, ცნებები — ინკვიზიცია და გაუნათლებლობა სინონიმებია.

და თუ ეს ასეა, მაშინ

აჩრდილი დაძრწის საქართველოში, აჩრდილი ინკვიზიციისა.

შევხედოთ სიმართლეს თვალებში.

თითქოს განათლებული ადამიანების ნაკლებობას არ განვიცდით. დიდი ხანია განსწავლულნი, როგორც იტყვიან, „კეთილი ნების ადამიანები” მკვეთრად ხედავენ მრავალფეროვან არაადამიანურ სისასტიკეს, რომლის მიზანი გაუნათლებლობის დამკვიდრებით გავლენისა და სიმდიდრის მოხვეჭაა.

დიახ, აჩრდილი დაძრწის საქართველოში, აჩრდილი გაუნათლებლობისა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ამ სიკეთის მატარებელი განსწავლულები, ღრმად არიან დარწმუნებულნი საკუთარი ინტელექტის განუმეორებლობაში, რატომღაც ვერ ან არ ახერხებენ იმ ძალების კონცენტრირებას, რომლებიც გაუნათლებლთა სისასტიკეს, ინკვიზიციას ოდნავ მაინც შეამცირებდა.

ჩვენ სოციუმის იმ დამთრგუნველ ფენას არ ვეხებით, რომელსაც ფიხტე და იან ჰუსი ევროპის მესამე ლიგის ფეხბურთელები ჰგონია.

ჩვენ იმ განათლებულ ფენაზე მოგახსენებთ, რომელიც აღშფოთებული აუცილებლად შეგვეკითხება: რა ინკვიზიციაზე მელაპარაკებით? როცა ასეთი უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქი გვყავს და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ.

— ო, ღმერთო ჩემო, ოდეს გსმენიათ, რომ საქართველოში ვინმესთვის სატანასთან ურთიერთობის გამო ხელ-ფეხი შეეკრათ და მუნ წყალში გადაეგდოთ?!

— ვინ დაწვეს კოცონზე?!

— ჩვენთან ხომ ინკვიზიციას არასდროს უბოგინია?!

ამ განათლებულთ ღრმა პატივისცემით შევახსენებთ, რომ საუკუნეების განმავლობაში ისეთი ბნელეთი იყო დამკვიდრებული, რომ დასაწვავი „მასალაც" კი დეფიციტში გვქონდა. ისე იყო დათრგუნული სოციუმი გაუნათლებლობით, რომ ცაში ახედვა აზრადაც არავის მოსვლია, ასტრონომია და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩვენი სოციუმისთვის არ იყო შექმნილი. ტელესკოპებისა და რაღაც ოპტიკის კანონების აღმოჩენა-გააზრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ეს გუტენბერგი ნერვიულობდა ინკვიზიციას არ დაეწვა, თორემ ჩვენთან წიგნის დასაბეჭდად სტამბის გამოგონებაზე არავის უოცნებია.

ეს უბედურმა, სუსტმა, ღვთისმშობლის არაწილხვედრმა, ევროპულმა ინკვიზიციამ ითვალოს საკუთარი, დასაწვავად რიგში ჩაყენებული გენიოსები.

ღვთისმშობლის წილხვედრში კი წინასწარდაფიქრებულთ ყველაფერი გააკეთეს, რათა ეს პრობლემა არ დავდგომოდა.

არ იფიქროთ, რომ ჩვენთვის ასეული წლების განმავლობაში არსობრივად რამე შეიცვალა.

დღესაც კი ჩვენს გაუნათლებლობას, ინკვიზიციას ძალისხმევა არ სჭირდება. ჩვენ ისეთი კოშმარი დავატრიალეთ, რომ ადამიანები დღისით მზისით ყოველგავრი ძალდატანების გარეშე, იან ჰუსისგან განსხვავებით, საკუთარი ნებით, თავად იწვავენ თავს (ოთარ მაისაია, გია აბესაძე).

ჩვენს გაუნათლებლობას, უნიათობას, უაზრობას, გონებრივ სისუსტეს რამდენი შეეწირა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, წამებით, ტანჯვით, შეურაცხყოფით, ცოცხლად დაწვით, რა თქმა უნდა, არ ახსოვს ჩვენი სოციუმის განსწავლულ ნაწილს.

სწორედ გაუნათლებლობის, ინკვიზიციის ქმედების შედეგია ასი ათასი თანამემამულის სიკვდილი მტკვარში ხიდიდან გადაყრით. და უფრო დიდი საშინელება ისაა, რომ ეს მსხვერპლშეწირვა დღესასწაულად გამოაცხადეს.

და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს არ განმეორდება, ესეც მათ „განსწავლულობას" ადასტურებს.

განსწავლულთ მხოლოდ საკუთარი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების სურვილი აქვთ. მათ არავითარი არჩევანი არ ხელეწიფებათ და მორალურ არჩევანზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

და ვერ ხვდებიან, რომ გაუნათლებლობა, ინკვიზიცია მათ გასანადგურებლად მიზანდასახულად ჩამოყალიბებული სისტემაა, რომელსაც ან მონურად უნდა დაემორჩილონ, ან დაიწვან თავი, ან სიღატაკეში ჩაიხრჩონ.

ამ „განსწავლულებს" არც ის აწუხებთ, თუ რა მასშტაბებს აღწევს გაუნათლებლობა, ინკვიზიცია.

დაფიქრდით, ჩვენთან 300 ბავშვი ყოველწლიურად შიმშილით კვდება. 77 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღარიბეს განიცდის. და სულ მალე, როცა ეს რიცხვი 100 ათასს მიაღწევს, ალბათ ამასაც დღესასწაულად გამოაცხადებენ. დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობით მეორე ადგილზე ვართ.

განსაკუთრებით ნიჭიერთათვის: **თუ განათლებას, ინტელექტს თავის დაცვა არ შეუძლია, ის არც განათლებაა, არც ინტელექტი.**

ის მარტივი სიყალბეა.

როდის მივხვდებით, რომ აზროვნება უნდა დაიწყო არა მაშინ, როცა განწყობა გიჩნდება, არამედ მაშინ, როცა ადამიანად იგრძენი თავი.

ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა ითხოვს სისტემურ, კომპლექსურ მიდგომას.

განათლებულს, მეცნიერს სისტემის გარეშე თავისუფალი მორალური არჩევანი არ გააჩნია.

მხოლოდ სისტემა, მეცნიერული მეთოდი დაგვანახებს, რომ ნებისმიერი მორალური არჩევანი ეს არა მარტო პიროვნების, არამედ იმ პრინციპების გამოცდაცაა, რომელსაც ის ემსახურება.

ცხადია, ერთი ადამიანი ვერაფერს შექმნის.

სწორედ აქედან მივედით დასკვნამდე: **არ არსებობს ახალი ცოდნა ძველი ცოდნის გარეშე.**

როგორც მეცნიერული მიღწევაა შეუძლებელი სისტემის, ძველი ცოდნის გარეშე, მით უმეტეს, მეცნიერული იდეის დაცვა და სოციუმის ამაღლება-განვითარებისთვის გამოყენებაც შეუძლებელია მძლავრი სისტემის არსებობის გარეშე.

სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურება ეს ნაშრომი.

და თუ მეცნიერი იდეის დამცველი სისტემის ჩამოყალიბებაზე არ ფიქრობს, ის უკვე მორალური პასუხისმგებლობის წინაშე აღმოჩნდება, რადგან მისი იდეის განხორციელების შედეგი შესაძლოა კაცობრიობის დეგრადაციისა და განადგურებისთვის იქნას გამოყენებული.

მოგეხსენებათ, ატომური ბომბის შექმნას აინშტაინის ნაშრომი უდევს საფუძვლად. სწორედ აინშტაინის რუზველტისადმი მიწერილი გამაფრთხილებელი წერილი გახდა იმ სამეცნიერო ჯგუფის ჩამოყალიბების მიზეზი, რომელმაც ატომური ბომბი შექმნა, რასაც სიცოცხლის ბოლომდე განიცდიდა აინშტაინი.

ჩვენ გზის არჩევისას თავისუფალნი ვართ, მაგრამ არჩეულზე მორალურ პასუხისმგებლობას ვერ ავიცილებთ.

„როდესაც სამართლიანობა ქრება, აღარაფერი რჩება, რაც ადამიანთა სიცოცხლეს ფასეულობას შესძენს" – კანტი.

პალადიუმი

რამდენადაა შესაძლებელი ერთ არსში სამი ტაძრის დატევა?

ეს კითხვა მან დასვას, ვისაც საკუთარ არსში ღვთის ტაძრის აშენება არ უცდია.

ეს კითხვა მან დასვას, ვინც გაუცხოებულია მეცნიერული ლოგიკისგან.

ეს კითხვა მან დასვას, ვისაც საკუთარ თავში სოკრატე, ჰეგელი, ვაჟა არ უძებნია.

– მათ არ იციან, რომ ნაბრძანებია ბედნიერება, აბსოლუტივით სრულყოფა.

– მათ არ იციან, რომ მე ღმერთი ვარ.

– მათ არ იციან, რომ შენ ღმერთი ხარ.

ეს არაა ჩემი მხრიდან მკრეხელობა, ეს ის მკრეხელობს, ვისაც ამაში ეჭვი შეაქვს, რადგან ეს არაა ჩემი სიტყვები, ეს აბსოლუტის, უმაღლესის ვერდიქტია.

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და ვალდებული ვარ, ეს ჭეშმარიტება ვაღიარო.

სამი ტაძარი.

ამ მიწიერი სამი ტაძრის, ჰიპოსტასის ერთობა ოცნებებს კი არ მიღვიძებს, იმედს კი არ მაძლევს, არამედ ფოლადისებური ლოგიკით მარწმუნებს ჩემს შესაძლებლობაში:

— რომ მე ჭაობიდან საკუთარი თავის ამოთრევა შემიძლია.

მე მწამს აბსოლუტური გონის გონივრულობის, აბსოლუტური რაციონალურობის.

მე შექმნილი ვარ ხატად **მისა** — რაციონალურობისა.

მე რაციონალისტი ვარ.

მე რაციონალისტი ვარ, რადგან გავიაზრე, რომ ჩემ გარშემო პასიური, ჩაკეტილი სისტემაა, რომელიც მე უნდა შევცვალო.

მე რაციონალისტი ვარ და არ მესმის, თუ როგორ შეიძლება ამ ჩაკეტილ, განუვითარებელ ჭაობში საღათას ძილით ნეტარების განცდა.

ეს ჩემთვის მიუღებელია.

მთელი ჩემი არსი ჩვენს ჩაკეტილ, ჩაობებულ, ჩაქვავებულ სისტემაში ღია, პროგრესირებადი, განვითარებადი სისტემის შექმნის შესაძლებლობის აქტიური ძიებისკენაა მიმართული.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული ამ მისიის აღსრულების შესაძლებლობაში, რადგან აბსოლუტი, უმაღლესი კანონზომიერება, თერმოდინამიკის კანონები, რა გასაკვირიც უნდა იყოს, ამ ჩაქვავებულ, ჩაკეტილ სისტემასაც განჭოლავს.

ჩვენს სოციუმს რატომღაც კიდევ სჯერა, რომ ამ ჩაკეტილი სისტემის ქვესისტემები, სამი სახელისუფლებო შტო — **აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო,** მრავალი სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაცია რაიმეს სასიკეთოდ შეცვლის.

ოც წელზე მეტია ველით, რომ ეს მკვდარი სისტემა ქმედითი გახდება და შედეგს ვერ ვხედავთ.

როგორც აღვნიშნეთ, შედეგიდან გამომდინარე, როგორც მთელ სისტემას, ასევე მის ქვესისტემებს არ გააჩნიათ **რეგენერაციის, თვითორგანიზაციის და თვითგანვითარების უნარი**, რაც მკვეთრად გვიჩვენებს, რომ ეს ხელოვნური, ჩაკეტილი ქვესისტემებია.

ეს რომ ასე არ იყოს, ჩვენში სიღატაკე და უგუნურობა ვერ იბოგინებდა.

ვინ არ აგვირჩევია, ვის არ ვირჩევთ და ვის არ ავირჩევთ, მაგრამ სანამ ჩაკეტილ, ხელოვნურ სისტემასა და ბუნებრივ, ღია სისტემას შორის განსხვავებას ვერ აღმოვაჩენთ, საშველი არ იქნება.

ნუთუ არ მოგბეზრდათ ერთი და იგივე უშედეგო მცდელობები?

შესაბამისად, ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ამ ჭაობიდან საკუთარი თავის ამოთრევა, რაც ამ ხელოვნურ სისტემაში მთავარი, ბუნებრივი, ღია ქვესისტემის დაბადებას ნიშნავს.

გამოდის, რომ აუცილებელია **მმართველობის სამ შტოს დაემატოს მთავარი, ბუნებრივი ქვესისტემა, რომელიც ამ უაზრობას მიზნობრივ ფუნქციას მიანიჭებს.**

არასადისკუსიოა მოსაზრება – **ბუნებრივი სისტემის გარეშე ვერასდროს ამუშავდება ხელოვნური სისტემა.**

ვიმეორებთ, შეუძლებელია ადამიანის, ბუნებრივი სისტემის გარეშე კომპიუტერმა რაიმე შემოქმედებითი შედეგი მოგვცეს. ვიმეორებთ, განა მობილურს აზრი აქვს პავიანის ხელში?

ეს გასაგებია.

საკითხავი ის არის – რამდენად შეძლებს ეს ბუნებრივი ქვესისტემა ამ ურთულესი პრობლემის გადაჭრას და როგორ შეინარჩუნებს ამ ჭაობში ბუნებრივი სისტემის მახასიათებელ თვისებებს?

როგორ შეიძლება ჩაკეტილ, არაშემოქმედებით სოციუმში დაიბადოს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც უმაღლესი ფასეულობების დასამკვიდრებლად და შესანარჩუნებლად შესაფერის სიმტკიცეს გამოიჩენს?

სხვა სიტყვებით, ხომ არ დაემატება ამ სამ – **აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო** – კორუმპირებულ, მძარცველ, ჩაკეტილ, ხელოვნურ ქვესისტემას, მეოთხე – მათივე მსგავსი ქვესისტემა?

გაჩნდება კითხვები:

– სამი კორუმპირებული შტოს მეტასტაზები ხომ არ მისწვდება და გაათახსირებს ამ კეთილი მიზნებით მოსულ ბუნებრივ ქვესისტემას?

– რამდენადაა შესაძლებელი ბუნებრივმა ქვესისტემამ ამ კანცეროგენულ არეალში დეგრადაციამედეგობა გამოავლინოს, ცოცხალი, ღია სისტემის თვისებები შეინარჩუნოს?

ჩვენ ამ კითხვებს ვერ გავექცევით, აუცილებლად ამომწურავი, ნათელი პასუხი უნდა გავცეთ.

– თქვენ გგონიათ, რომ ცოცხალი, ღია, რაციონალური ქვესისტემის შეცდენა შესაძლებელია სიმყრალის შეთავაზებით?!

– თქვენ გგონიათ, რომ ადამიანს იმით შეაცდენთ, რაც მის არსში არ დევს, რაც მას ეზიზღება?

მახსოვს ბავშვობაში ჩემი ამაზრზენი განწყობა თევზის ქონის მიმართ. დღეს თევზის ქონი კაფსულებშია და მისი მიღება არაპრობლემურია. ჩემს ბავშვობაში კი ყველაზე მტანჯველი, გულისამრევი განცდა, განწყობა სწორედ იძულებით თევზის ქონის დალევის რიტუალს უკავშირდება. დღესაც გულს მირევს იმ საზიზღარი გემოს გახსენება, რაც თევზის ქონის მიღების შემდეგ მრჩებოდა, თუმცა მყავდა მეზობელი, რომელსაც ჩემგან გასხვავებით, თევზის ქონი ისე უყვარდა, რომ მასში პურს იფშხვნიდა და დიდი სიამოვნებით, ნეტარებით შეექცეოდა.

წარმოიდგინეთ სცენა, როდესაც ასეთი ადამიანი ჩემთან მოდის და მეუბნება: დათმე შენი პრინციპები – ღია სისტემა, განვითარება, სამართლიანობა, ზნეობა,... და მე შენ გაგაბედნიერებ, ქრთამად კი თევზის ქონს მოგცემ. ის ცდილობს მომხიბლოს იმით, რაც მეზიზღება, რაც გულს მირევს, რაც ჩემი არსისთვის მიუღებელია. ცხადზე უცხადესია ჩემი ცალსახა რეაქცია.

ამრიგად, ხშირად ადამიანი სხვას იმას სთავაზობს, რაც თვითონ მოსწონს, რაც მისი არსის გამომსახველია.

სწორედ ამიტომაა წარმოუდგენელი ჩვენი სოციუმის დამთრგუნველი უმრავლესობისთვის, რომ ეს დღემდე არსებული ფორმით და არსით ჩამყაყებული, ჩაობებული პოლიტიკური სისტემა ვინმესთვის უკიდურესად მიუღებელი იყოს.

შეიძლება აქ ნათლად ვერ გამოვხატე ჩემი სათქმელი და ვინმე მეტყვის — თევზის ქონი სასარგებლოა. და თუ თევზის ქონით ვერა, სხვა რამით შეგაცდენენ...

მოდით, ამ პრობლემას უფრო მკაცრად, სერიოზულად შევხედოთ.

გაგახსენებთ კანტის საფლავის ეპიტაფიას:

"რაც უფრო მეტად ვფიქრობ, მით უფრო ავსებს ჩემს სულს ახალი საოცრებითა და მზარდი აღფრთოვანებით ორი რამ: ჩემ ზემოთ ვარსკვლავიანი ცა და ზნეობრივი კანონი ჩემში."

ღრმად დასაფიქრებელია კანტის სიტყვები.

მართლაც, კანტს აოცებდა ვარსკვლავიანი ცა, კოსმოსური წესრიგი და საკუთარ არსში სამყაროს კანონზომიერების, კოსმოსური წესრიგის ანარეკლი — ზნეობა.

ადამიანში ასეთი ზნეობის არსებობას ეწოდება კანტის კატეგორიული მაქსიმა, **კატეგორიული იმპერატივი.**

იმპერატივი ბრძანებას ნიშნავს, აქედან მოდის სიტყვა იმპერატორი. კატეგორიული იმპერატივი — ბრძანება, რომელსაც უპირობოდ უნდა დაემორჩილო. კატეგორიული იმპერატივი მოდის არა გარედან, არამედ შიგნიდან, ღია სისტემის შინაგანი არსიდან.

მთავარი ქვესისტემისთვის არსებობს მხოლოდ ერთი მბრძანებელი, იმპერატორი — ზნეობა.

ეს ის ენერგეტიკული მდგომარეობაა, სადაც ღია, ბუნებრივი ადამიანი კომფორტულად გრძნობს თავს და ამ კომფორტიდან მისი გამოყვანა პრაქტიკულად შეუძლებელია.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ მორალი ზღუდავს ადამიანს და მას სიკეთის ვოლიერში აქცევს. კანტის აზრით პირიქით ხდება:

— მორალი, როგორც მბრძანებელი, კი არ ზღუდავს, არამედ ათავისუფლებს ზნეობრივ ადამიანს და ეს თავისუფლებაა ბედნიერება.

უფრო ნათლად, არიან ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ ცხოვრება დილის შხაპის გარეშე და არიან ადამიანები, რომელთათვისაც შხაპის მიღება ტანჯვა-წამებაა. შხაპი რომ მიიღოს, ის უნდა აიძულო. ცხადია, ასეთს ჰგონია, რომ შხაპის მიღება სხვისთვისაც ისეთივე ტანჯვაა, როგორც მისთვის.

და თუ შენთვის ეს გაუგებარი და მიუღებელია, თუ შენ ამას ვერ ხვდები, საკუთარ სულიერ ჰიგიენას უნდა მიხედო.

ცხადია, ასეთს ვერ წარმოუდგენია ისეთი ღია, ბუნებრივი ადამიანის არსებობა, რომელიც აღიარებს და იცავს კატეგორიულ იმპერატივს,

ჭეშმარიტად თავისუფალია და მოყვასის სიყვარულის აღსრულებით ის თავისუფლებას არ კარგავს.

ვიმეორებთ, კატეგორიული იმპერატივის მიმდევარი ადამიანისთვის მორალური პასუხისმგებლობა ჩვეულებრივი, ბუნებრივი, კომფორტული, თავისთავადი მდგომარეობაა. შესაბამისად, მას არ სჭირდება მორალისგან, ბედნიერებისგან გაქცევა, ის თავად ისწრაფვის ბედნიერებისკენ. ის თავისუფალია, ბედნიერია იქ, სადაც მორალია.

ეს დაქვეითებული აზროვნების მქონე სუბიექტს ეჩვენება, რომ მას მორალი ბოჭავს. ასეთები ერთმანეთის მიბაძვით, თვალთმაქცურად ასრულებენ ეკლესიაში სვლის რიტუალს. მათ არც ესმით და არც აინტერესებთ, რომ ეკლესიის მისიაა ადამიანს სიკეთე, სიყვარული, ჭეშმარიტება, მორალი – ქრისტე – უმაღლესი ფასეულობა შეამეცნებინოს. ასეთ სუბიექტებს, საკუთარი არსიდან გამომდინარე, არ სწამთ, რომ ქრისტე, აბსოლუტი, უმაღლესი კანონზომიერება ადამიანის არსს ავსებს.

ასეთნი ეკლესიაში მხოლოდ თვალთმაქცურად იცავენ დოგმებს და ასრულებენ რიტუალებს. აქედან ნათლად ჩანს, რომ მათ ქრისტეს ყოვლისშემძლეობის რეალურად არ სწამთ.

და რა გასაკვირია, რომ მათ ღია, ბუნებრივი ადამიანებისა და ღია, ბუნებრივი სისტემების არსებობა რეალურად ვერც კი წარმოუდგენიათ.

თუ კატეგორიული იმპერატივი თქვენთვის მითია და ბოროტების სიმძლავრესა და გონიერებაში ღრმად ხართ დარწმუნებულნი, გირჩევთ საკუთარ მრწამსში გარკვევას, გირჩევთ, სახარება ერთხელ მაინც წაიკითხოთ.

ხოლო ვისაც გვწამს, გავიხსენოთ:

„ისევ წაიყვანა იგი ეშმაკმა მაღალ მთაზე, უჩვენა წუთისოფლის ყველა სამეფო და მათი დიდება" (მათე 4, 8.).

„უთხრა მას: ყოველივე ამას შენ მოგცემ, თუ დამხობილი თაყვანს მცემ" (მათე 4,9.).

„... თუ დამხობილი თაყვანს მცემ" – აქ ნათლად ჩანს ბოროტის უგუნურობის უსაზღვროება.

დაუკვირდით, ბოროტება თავისი ინფანტილური აზროვნებით შემოქმედს, შემქმნელს, დამბადებელს ყველასა და ყველაფრისა, რაღაც მიწიერ „კეთილდღეობებს" სთავაზობს და მისგან თაყვანისცემას ითხოვს.

ბოლშევიკებისა არ იყოს: „მომეცი მჭადი და მოგიტეხავ პატარას".

ასეთი რამ მხოლოდ ბოლშევიკებს, სატანებს, დეგენერატებს თუ მოუვათ თავში.

ჩვენ კი უნდა ვხვდებოდეთ, რომ შეუძლებელია კორუმპირებულმა, ჩაკეტილმა, ხელოვნურმა სისტემამ ბუნებრივი, ცოცხალი სისტემა გარყვნას, გაანადგუროს.

ბუნებრივი სისტემა, როგორც ცოცხალი, გარიყავს ყველაფერს, რაც მის განვითარებას, აღმავლობას, სიცოცხლეს ეწინააღმდეგება.

უმაღლესი კანონზომიერება იმითაა უმაღლესი, რომ ის უმაღლესია.

და ეს კალამბური არ გახლავთ.

რამდენი ქრთამიც უნდა შესთავაზოთ მზეს, ის ადრე არ ჩავა.

ის, რაც კანონზომიერების შესაბამისია, უპირობოდ სრულდება.

თუ კიდევ გეეჭვებათ ღია სისტემის სიმძლავრე და უმაღლესი კანონზომიერების არსებობა ან შესაძლებლობა, სწორედ რომ საკვირველია თქვენი და სატანის ინფანტილიზმი.

თქვენ შეიძლება ეჭვი შეიტანოთ აბსოლუტური კანონზომიერების არსებობაში, თუმცა გარწმუნებთ, იმისდა მიუხედავად, იცით თუ არ იცით, გესმით თუ არ გესმით ამ უკიდეგანო სამყაროში პლანეტები, ის ცოცხალი დედამიწა, რომლითაც საზრდოობთ და რომელზედაც დახოხავთ მზის გარშემო მოძრაობისას (თქვენგან განსხვავებით), იმ კანონზომიერებას ემორჩილება, რომელიც კეპლერის კანონებით აღიწერება.

დაინტერესებულთ კი კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ თერმოდინამიკის კანონზომიერების მიხედვით, არაფრით გამორჩეული ნახშირბადის ატომებისგან შეიძლება ამორფული, სუსტი, შავი გრაფიტი, ნახშირი შეიქმნას და იმავე კანონზომიერებით, იმავე ნახშირბადის ატომებისგან უმტკიცესი მბრწყინავი ალმასიც დაიბადოს.

ნახშირი დაიბადება თუ ალმასი, ნახშირბადის ატომების განლაგებაზე, ურთიერთობაზეა დამოკიდებული. აქ უდიდეს მნიშვნელობას იძენს, თუ **როგორი წესრიგით** დალაგდებიან ნაწილაკები.

ამრიგად, სოციუმშიც, როგორც ნაწილაკობრივ სისტემაში, საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის უმნიშვნელოვანესია კითხვა — **როგორ?**

სოციალური სისტემის ჩამოყალიბებისას ერთი და იმავე ადამიანების შეკრებით შესაძლოა, მივიღოთ ჩაკეტილი, განუვითარებელი, ამორფული, ხელოვნური ნაკრები და შესაძლოა — ღია, ალმასივით მტკიცე საზოგადოება.

სწორედ ასეთი საზოგადოების არსი გამოისახება ერთი წინადადებით: **მთავარი ის კი არაა, ვინ დგას შენ წინ, მთავარია, ვინ დგას შენ გვერდით.**

და თუ როგორ უნდა შეიქმნას ეს ბუნებრივი, განვითარებადი სისტემა განუვითარებელ, რეგრესირებად, ხელოვნურ სისტემაში, დეტალურადაა განხილული ჩვენს ნაშრომში — **„შესაძლებლის აღსრულება".**

შინაარსი

პარადოქსი	8
სოციუმის ანატომია	11
კონფორმიზმი და ნონკონფორმიზმი	16
სიკეთის იდეა	22
ცნებებით მანიპულირება	27
ყოფიერება – არაყოფიერება	31
არსებობა და სიცოცხლე	36
ინდივიდუალური თუ სოციალური	41
საზოგადოების ჩამოყალიბების პრობლემა	47
ლინგვისტიკური ბუნდოვანება	52
ყოფიერების ცნობიერება	57
ცნობიერების ყოფიერება	62
დემიურგი	67
ჭეშმარიტი მე	72
სამყაროს სურათი	79
მსოფლმხედველობა	84
აბსოლუტი	89
უმაღლესი	96
ლოგოსი	101
სახელმწიფო და ეკლესია	106

მე, სამყარო, ღმერთი	110
ვინ ვარ მე?	118
მე ვარ მე	123
წინააღმდეგობა და შემეცნება	132
კანონზომიერების მაძიებელნი	137
კანონზომიერების არხი	142
ილუზორული სამყარო	148
კონსტრუირებული იდეები	153
თანდაყოლილი ცოდნა	158
ემპირისტები და რაციონალისტები	163
ანთროპოცენტრიზმი, ეგზისტენციალიზმი	169
მე	176
მე და არამე	181
გახსნა	187
აბსოლუტური მე	192
აბსოლუტი ფილოსოფიის ისტორიაში	198
ფორმალური ლოგიკა	203
ჰეგელის ცნება და უარყოფა	208
კონკრეტული და აბსტრაქტული	213
ცნობიერი და ქვეცნობიერი	219
შეიცნობ თავს – შეიცნობ ღმერთს	225
საწყისი	230
თვითშემეცნება	235
აბსოლუტის რეალობა და ნეორეალობა	240
რაციონალიზმი	245

სუბიექტურ სულთა ერთობა	249
სამება	253
ჭეშმარიტება, ინტელექტი, გრძნობა	259
სიცოცხლის ძალა	264
მიზანი	269
ჰარმონია როგორც რეზონანსი	274
დულაბის სიმფონია	279
გრძნობის ნიღაბი	284
სარკე	288
გრძნობა	293
ურთიერთობა	298
ვნება	303
მშვენიერება – სიცოცხლის ვნება	308
ჭეშმარიტება	314
ჭეშმარიტების დაკვანტვა	319
უმაღლესი ჭეშმარიტებისკენ სვლა	325
აკრძალული ზონა	329
პირველი დონის აპოლოგია	334
მსხვერპლშეწირვა	339
მშვენიერებით ჭეშმარიტებისკენ	344
სიხარულში გამოვლენილი ინტელექტი	349
ბედნიერება	355
კმაყოფილების ანგელოზი	360
წონასწორული და არაწონასწორული სისტემები	364
ღია სისტემები	371

სამი ტაძარი **377**

მორალური არჩევანი **382**

პალადიუმი **389**

სარედაქციო კოლეგია: ნინო ბურძგლა
ლანა გვალია
მარი მამისაშვილი
ნინელი უკლება
მაია შარვაშიძე

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: თამარ ბაღაშვილი
ზაზა მგელაძე
მაია შარვაშიძე
ელისაბედ ხუციშვილი

საქართველოს კანონის – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ"– შესაბამისად, წინამდებარე ნაწარმოები დეპონირებულია „საქპატენტში".
დაუშვებელია ავტორის თანხმობის გარეშე აღნიშნული ნაწარმოების გამოცემა ან საზოგადოებისთვის საჯარო გაცნობის მიზნით ციტირება.